

F

158  

---

1947





# ანალები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები

I

F1014





# АНАЛЕБИ

ТРУДЫ ИНСТИТУТА ИСТОРИИ ИМЕНИ И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

## I

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველს ცხოვრების“  
200 წლისთავისათვის

К 200-летию „Истории Грузии“ Вахушти Багратиони

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
პრეზიდიუმის განკარგულებით

პ/მგ. რედაქტორი აკად. ს. ჯანაშია

ტექნიკური რედაქტორი: ირ. მანაშვილი.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, აკაკი წერეთლის ქუჩა, № 7

უკანასკნელი თაბახი ხელმოწ. 19.12.47

საბეჭდო ფორმათა რაოდენობა 19 თაბახი

სავეტორო ფორმათა რაოდენ. 25 თაბახი, ანაწყ. ზომა 7×11 სასტამბო ზომით

შეკვ. 411

უფ 12933

ტირაჟი 1500

შ ი ნ ა ა რ ს ი

|  |     |
|--|-----|
| 1. ს. ჯანაშია. ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ . . . . .                       | 1   |
| 2. შოთა მესხია. ვახუშტი დაქველი ქართული საისტორიო მწერლობა                         | 13  |
| 3. ვ. გაბაშვილი. ვახუშტი XVII—XVIII სს ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე . . . . . | 53  |
| 4. ვახტანგ ბერიძე. XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით . . . . .       | 127 |
| 5. გ. ჩიტაია. ხევსურული სახლის „სენე“ . . . . .                                    | 145 |
| 6. რუსუდან ხარაძე. ხევსურული რჯული . . . . .                                       | 163 |
| 7. ლ. ბოკორიშვილი. კახური ჩაცმა-დახურვა . . . . .                                  | 199 |
| 8. ალ. რობაქიძე. თოფისწამლის დამზადება პირაქეთ ხევსურეთში .                        | 215 |
| 9. მაქს. ბერძნიშვილი. იოანე—ვარაზფაჩისთვის . . . . .                               | 239 |
| 10. ო. სოსელია. წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან . . . . .                          | 251 |
| 11. გ. მელიქიშვილი. ურარტელი ტომების უძველესი კერა . . . .                         | 267 |
| 12. ვ. ფუთურიძე. ქართველი მოღვაწენი ერანის კულტურულ ასპარეზზე                      | 287 |

## წინასიტყვაობა

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის „ანალების“ I ტომი ეძღვნა XVIII საუკუნის გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს.

1945 წლის 20 ოქტომბერს შესრულდა ვახუშტი ბაგრატიონის საისტორიო ნაწარმოების: „საქართველოს ცხოვრების“ შედგენა-დასრულების 200 წლისთავი. ეს თარიღი ქართულმა საბჭოთა მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ და სამეცნიერო დაწესებულებებმა აღნიშნეს ვახუშტის მეცნიერული მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სპეციალური სამეცნიერო სესიებით. იმავე 1945 წელს აკად. ს. ჯანაშიას თაოსნობით ისტორიის ინსტიტუტში დამუშავდა ვახუშტის ისტორიული შემოქმედებისა და აზროვნებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, რომელთა ერთი ნაწილი იბეჭდება წინამდებარე „ანალების“ I ტომში.

ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივი თავის სამეცნიერო ორგანოს „ანალების“ I ტომით ერთგვარ ვალს უხდის XVIII ს-ის სახელოვან ქართველ მეცნიერს, რომლის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების დაყენება და მათი გაშუქება-გადაწყვეტის ცდა იმ დროის კვალობაზე.

ვახუშტი ბაგრატიონმა არა მარტო ნიჭიერად აითვისა მრავალ-საუკუნოვანი ქართული საისტორიო მწერლობის მდიდარი მემკვიდრეობა, არამედ მანვე განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული ისტორიოგრაფია.

ვახუშტი ბაგრატიონი უქველად იღვა იმდროინდელი მსოფლიო ისტორიოგრაფიის მიღწევათა სიმალლეზე. მისი სახელი მალე გასცილდა საქართველოს ფარგლებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქართველი მეცნიერის კარტოგრაფიული სამუშაოები ჯერ კიდევ 1735 წ. ფრანგულად სთარგმნა ფრანგმა გეოდეზისტმა და ასტრონომმა დელილმა, ხოლო 1738 წ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული ბიუროს მეცნიერ-თანამშრომლებმა სთარგმნეს ვახუშტის ყველა რუკა. საკუთრივ მისი ისტორიით (ბროსეს თარგმანის საშუალებით) უხვად სარგებლობდნენ და სარგებლობენ უცხოელი ისტორიკოსები, იურისტები და ორიენტალისტები.

ქართულ-უცხოურ წყაროებისადმი საკმაო კრიტიკული დამოკიდებულებით ვახუშტიმ მეცნიერულად განაზოგადა საქართველოს ისტორიული წარსული. მან პირველმა მოჰკიდა ხელი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, სახელმწიფო დაწესებულებების, სოციალური ურთიერთობის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის საკითხების, და მატერიალური კულტურის ძეგლების მეცნიერულ შესწავლას.

ვახუშტი ბაგრატიონის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის ისტორიულ-კრეატიული ათვისება, დიდი ხნის წინ წეწყვეტილი, მხოლოდ ეხლა,



ქართული ისტორიოგრაფიის საბჭოურ პერიოდში განახლდა. „ანალების“ ტომში დაბეჭდილი წერილები ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის ნაყოფია. მომავალი კვლევა-ძიება და ახლად მოძიებული მასალები კიდევ უფრო მეტად შეავსებს გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის როგორც ნაკლულ ბიოგრაფიას, ისე მისი მეცნიერული მოღვაწეობის მრავალ საყურადღებო მხარეს.

„ანალების“ I ტომის რედაქტირება მთლიანად შეასრულა აკად. ს. ჯანაშიამ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო უღრმესი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი სამეცნიერო სამუშაო სიკვდილის წინ შესრულებულ სამუშაოთა შორის. მეცნიერი-რედაქტორის მაჯისცემა იმ დროს შეწყდა, როცა იგი აპირებდა დაეწერა ვრცელი წინასიტყვაობა „ისტორიის ანალების“ წინამდებარე ტომისათვის.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.



## ს. ჯანაშია

### ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ<sup>1</sup>

ვახუშტის მეცნიერული მემკვიდრეობა მრავალმხრივ გახლავთ მნიშვნელოვანი და საყურადღებო.

ჩემ დღევანდელ მოხსენებაში მე მინდა შევეხო მხოლოდ ერთ საკითხს, საკითხს ვახუშტის შეხედულებათა შესახებ ქართული ფეოდალიზმის, როგორც საზოგადოებრივი წყობილების, თავისებურებებსა და დაწესებულებებზე.

ზოგადი ხასიათის ნარკვევში, რომელიც ვახუშტის მთავარ თხზულებას, „საქართველოს ცხოვრებას“, შესავლის სახით წინ უძღვის, ავტორი ცდილობს წარმოადგინოს ძველი საქართველოს საზოგადოებრივი ევოლუციის სურათი. ლეონტი მროველის კონცეფციის თავისებური განმეორების<sup>2</sup> შემდეგ, აქ ვახუშტი ძველი საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობის შემდეგ სქემას იძლევა: „ხოლო წესნი აქუნდათ: რამეთუ კერპთა მღუდელთა პატივი და რიგნი იყუნენ ცალ-კერძათ, ვითარცა სულიერთა. ხოლო სოფლიერნი: პირველი ერისთავნი, ბ) მთავარნი, გ) აზნაურნი, დ) ვაჭარნი, ე) მსახურნი<sup>2</sup>, ე) მუშაკნი გლეხნი“. ადვილი შესამჩნევია რომ აქ ადმინისტრაციული წყობა არეულია სოციალურში. სხვაფრივ, ძველი (ვახუშტისათვის—წინაქრისტიანული ხანის) საქართველოს ძირითადი საზოგადოებრივი დაჯგუფებანი აქ წარმოდგენილია სრულად და მართებული იერარქიული რიგით: მუშაკნი გლეხნი, ე. ი. ძირითადი მწარმოებელი კლასი, მსახურნი, ვაჭარნი, აზნაურნი. ერისთავთა და მთავართა ცალ-ცალკე დასახელებით ვახუშტის უნდა, ერთი მხრით, უჩვენოს უმაღლესი პროვინციული სამოხელეო ფენა (ერისთავნი), ხოლო მეორე მხრით—აზნაურობის, ფეოდალთა კლასის უმაღლესი ფენა, რაც ავრთვევ კარგად უბასუხებს ისტორიულ სინამდვილეს. ქართული „ერისთავობის“ განვითარებას ვახუშტი, საზოგადოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავის დიდ ნაშრომში. ამაში უეჭველად გამოჩნდა ვახუშტის მახვილი თვალი და სწორი ისტორიული აღდგო, ვინაიდან „ერისთავობის“ ევოლუციამ მართლაც განსაკუთრებულნი როლი შეასრულა ქართული ფეოდალიზმის ისტორიაში. „ერისთავობისა“ და

<sup>1</sup> მოხსენდა საქ. მეცნ. აკადემიისა და სტალინის საბ. თბილისის საბ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ სესიას, მიძღვნილს ვახუშტი ბავრატონის ნაშრომის „საქართველოს ცხოვრების“ გამოქვეყნების 200 წლისთავისადმი (18, XI. 1945). ნაწილია უფრო ვრცელი ნარკვევისა.

<sup>2</sup> საყურადღებოა, რომ მსახურთა შორის ვახუშტი გამოყოფს „ტამარელებს“ (იქვე, 20, 38)—დამოწმებულია ბროსესა და ლომოურ—ბერძენიშვილის გამოცემები.

„მთავრობის“ განვითარების ხაზები კი არა ერთგვის გადასქდობია ერთმანეთს. ამ ორი მოვლენის შესწავლა ურთიერთ კავშირშია აუცილებელი.

ერისთაობის შესახებ ვახუშტი წერს: „წესი ერისთავთა იყო მეფისა ზოგ განწესებუ ქვეყანათა მიმართ და მის მიერ შეურწმუნება. სამართალი და ლაშქარი მის ქვეყნისანი მის ქვეშევ იყვნენ, და ივინი მოჰყრებდნენ ხარკთა სამეფოთა. ხოლო ესე ერისთავნი დაიდგინებოდნენ მთავარნი და წარჩინებულნი, და ძენი მათნი შეცვალებით“. აქ საყურადღებო დაკვირვებებია მოცემული და, გარდა ამისა, გაკვირვებულნი დასახელებულია კიდევ ერთი საზოგადოებრივი დაჯგუფება— „წარჩინებულნი“, ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, უმაღლესი საზოგადოებრივი ფენის კიდევ ერთი სახელწოდებაა წყაროებიდან ამოღებული. მეორე ადგილას ვახუშტი „დიდებულთა“ იხსენიებს, რომელთაც იგი, ჩანს, „წარჩინებულთა“ აიგივებს (აღდგომის წირვის შემდეგ „აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე, და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა“, ამბობს ვახუშტი იქვე, 32 (21)).

შემდეგ ვახუშტი თვით ამ საზოგადოებრივ ჯგუფებს ახასიათებს: „ხოლო წესნი მთავართა იყო გვარი და შთამომავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი. ხოლო უკეთეს მეფისა წესსა შინა იყო იგი, უმეტეს პატივ-იცემოდა. არამედ მთავრისა ჯერ-იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გვარი იგი, და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე, და ხეობანი, და თვინიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად. ხოლო აზნაურსა აქუნდა გვარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაიმე მათთა ანუ ბართა და დაბნევი, და ძალ-იდვას გამოსვლა მარქაფითა, კარვითა და მათთა გაწყობილებითა და თვინიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად. ხოლო ვაჰართა პატივი იყო აზნაურისა ქვემოვ, და ვიეთთამე—სწორი, და შემდგომად—პატივი მსახურთა მეფისათა, გლეხთა ძეთა, და მერმე ჩინებულთა მათთა წესისა მირე პატივი მსახურთა მათთა, და შემდგომად ამათთა—მუშაკთა გლეხთა. რამეთუ სისხლნიცა ევრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ: ზეილამ ქვეით ნახევრად ანუ ქვეილამ ზეით ერთი ორად“.

თუ ვახუშტის მცდარ ისტორიულ პერსპექტივს არ გაუუწევთ ანგარიშს (ვახუშტი მოცემულ სურათს, ჩანს, ერთნაირად ავრცელებს როგორც შირიან მეფის, ისე დავით აღმაშენებლის ხანაზე), უნდა ვთქვათ რომ აქ ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი ჯგუფები ავტორის დროისათვის განსაცვიფრებელი სიღრმით არის აღწერილი. შემჩნეულია წოდებრივი საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანი—სოციალურ-იურიდიკული მდგომარეობის მემკვიდრეობითი თვისებები—„გვარისა და შთამომავლობის“ აუცილებლობა. შენიშნულია მემკვიდრეობითი უფლებების უქმარობა იმისათვის რომ კაცი ამ საზოგადოებაში „ზეით“ იდგეს,—დაახასიათებულია ამ „ზეით დგომის“ მატერიალური საფუძველი: აუცილებელია მთავარს შთამომავლობის გარდა, ან უკეთ, შთამომავლობასთან ერთად, „ამის მიმართ“, როგორც ამბობს ვახუშტი, ჰქონდეს „ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობანი“ (უკანასკნელი ტერმინი გულისხმობს ვრცელი მოსახლეობის შემცველ მიწა-წყალს, რომელიც, გარკვეული საფეხურის ფეოდალური სახელმწიფოს აღნაგობის შესაბამისად, მსხვილ ადმინისტრაციულ ერ-

თელსაც ქმნიდა), და ასევე აუცილებელია აზნაურსაც ჰქონდეს „სიმაგრე რაიმე მათა ანუ ბართა და დაბნები“ (ე. ი. სოფლები). ვახუშტიმ ისიც კარგად იცის, რომ ამ მატერიალური საფუძვლის დაკნინება აქარწყლებდა „გვარისა და შთამომავლობის“ მნიშვნელობას, და რომ არსებითად ფეოდალური საგვარეულოს სიძლიერე მამულის სიდიდეზე, კერძოდ მის გაუყოფლობაზე იყო დამოკიდებული. ასეთი თავისი დროის ფეოდალური სახლების შესახებ ვახუშტი ამბობს, აშკარად უკეთებს რა მახვილს ჩვენ მიერ აღნიშნულ მომენტს: „გარნა ამათ მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულესნი და შემძლებელნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ (ხაზი ყველგან ჩვენია, ს. ჯ.): პირველი მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი და ყაფლანიშვილი, ზემო ციციისშვილი, ოდეს გაუყრელი იყო, და სომხითის მელიქი“ (იქვე, 44-46 (25)). ზოგადი დასკვნის სახით კიდევ ამ საკითხის შესახებ ვახუშტი შენიშნავს: „გაბაზნაურშვილებულნი, ვითარცა რატისშვილი,—ქსნის ერისთავის განაყოფი, ვით იხილვების მამულითა,—ხოლო აწ დამკირებულნი, ხოლო ზედგინიძე, სააკაძე, ელიოზისშვილი, ამთვან გამთავრებულნი. ესრეთ რომელნიმე ამოღებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა ანუ გაყრითა ძმათათა“ (46 (25)).

თუ როგორ მნიშვნელობას მიაწერდა ვახუშტი მემამულეობას აზნაურობისათვის, ეს კარგად ჩანს იმ შემთხვევებიდან, როცა იგი ფეოდალურ საგვარეულოთა გენეალოგიებს არკვევს მემამულეობის მიხედვით. ასე, მაგ., ვახუშტი ამბობს: „ხოლო ზურაბისშვილს, იარაღისშვილს და სოლოღაშვილს იტყვიან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სასაფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა“ (იქვე, 42 (24)); „აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირჯიბი, ამათ ერთობასა შინა აქუნდთ მამულნი იმერთის და ქართლსა შინა, და შემდგომად განყოფისა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშინენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი“ (42—44) (24—25). „სიგელი“ იმავე მემამულეობის იურიდიკული ანარეკლია მხოლოდ; ვახუშტივე ამტკიცებს რომ რატიშვილი არის „ქსნის ერისთავის განაყოფი, ვით იხილვების მამულითა“ (46 (25)).

შემდეგ, ვახუშტისათვის ასევე კარგად არის ცნობილი სამხედრო საქმისა და სამსახურის განსაკუთრებული მნიშვნელობა ფეოდალურ საზოგადოებაში. მამულსა და შთამომავლობას ვაბატონებული წრეებისათვის ახალ სიძლიერეს ანიჭებს სამეფო სამსახური: „...წესი მთავართა იყო გვარი და შთამომავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი, ხოლო უკეთუ მეფისა წესსა შინა იყო იგი. უმეტეს პატივ-იყემოდა“ (12 (14)). მთავრისავე აუცილებელ თვისებად სთვლის ვახუშტი „ციხე-ქალაქისა და სიმაგრისა“ ქონებას (იქვე). კიდევ უფრო მკაფიოდ ესევე აზრი გამოთქმულია აზნაურის შესახებ: „...აზნაურსა აქუნდა... სიმაგრე თაიმე მათა ანუ ბართა... და ძალ ედვას გამოსვლა მარჯაფითა, კარვითა და მათითა გაწყობილებითა“ (იქვე). ვახუშტიმ ისიც იცის, რომ სამეფო სამსახურში დაწინაურება ზოგჯერ შეეძლო „გულხთა ძეებსაც“ (აქ „გულხი“ ნახმარია, რა თქმაუნდა, მერმინდელი ზოგადი ვაგებით), და რომ სხვა „მსახურთა“ შორის „მსახურთა მეფისათა“ მეტი პატივი ჰქონდათ. შთამომავლობა, დიდი მამული,

მოწყობილი სახელმწიფოებრივ რიგზე, სახელმწიფოებრიობის ელემენტო-მეტნაკლები თვალსაჩინოებით და სამეფო, სამოქალაქო და სამხედრო სამსახური შესაფერ პირობებში — აი, როგორ ეხატება ვახუშტის გარკვეული ხანის ქართველი ფეოდალის პორტრეტი.

სამხედრო საქმის ისტორიას ძველ საქართველოში ვახუშტი საერთოდ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. პირველი პერიოდის სამხედრო საქმის ორგანიზაცია მას ასე აქვს, მაგ., აღწერილი: „ხოლო ლაშქართა წესნი აქუნდათ: მეფეთა ჰყვა როქითა, რაოდენი ძალ-ედვა, სპანი მცველად თვისად, ვითარცა იტყვის შირიანისასა და აღმაშენებლისასა სამოციათასსა(ღ) მარადის მცველად მისად, და დავითთასა არღარა განიყოფოდა საქურტლე სპათა ზედა, და პატივი ამითი იყო სხვა. ხოლო სხვანი სპანი იყუნენ ქვეყანათგან და ერისთავთა ქვეშე დაწესებულნი, რომელთა მოუწოდიან ეამად“ (14(14)). მაშასადამე, ერთი მხრით — „როქის სპა“, რომელიც, — ეს დაკვირვება ვახუშტისა შესანიშნავია! — „მცველად“ მეფისა და ცენტრალური ხელისუფლებისა არის მოწოდებული; მეორე მხრით, „საქუეყნო“ ლაშქარი, ე. ი. ჩვეულებრივი ფეოდალური რაზმები, რომელნიც „ერისთავთა ქვეშე დაწესებულნი“ არიან და რომელთაც მხოლოდ დროგამოშვებით, „ეამად“, საჭიროების დროს ჰკრებენ. იცის, რათქმუნდა, ვახუშტიმ ისიც რომ მეფეს ჰყავდა სახასო ვასალების ფეოდალური რაზმიც. შეადრ. შენიშვნა „სადროშოს“ მუხლში: „ხოლო მეფისა აღმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა“, 34 (22); „ქართველნი“ აღნიშნავს ქართლის თემის მხედრობას). უაღრესად საყურადღებოა ვახუშტის შენიშვნა „სპათა ზედა საქურტლისა არა განიყოფისათვის“. ვახუშტიმ იცის აგრეთვე რომ სამხედრო საქმეში შემდგომ ხანებში გარკვეული ცვლილებები მოხდა, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

აქვს თუ არა ვახუშტის წარმოდგენა მის მიერ აღწერილ საზოგადოებრივ ჯგუფთა შედარებითი სოციალური მდგომარეობისა და მათ შორის არსებული ურთიერთობის შესახებ? დიახ! ჯერ ერთი, როგორც ვნახეთ, მას აღნიშნული აქვს რომ თითოეულ ამ ჯგუფთაგანს თავისი „პატივი“ ჰქონდა, რომ ცალკეული ჯგუფებიც-ი ამ მხრივ შინაგან დანაწილებული იყვნენ, რომ, მაგ., „ვაჭართა პატივი იყო აზნაურისა ქვემოთ და ვიეთთამე სწორი“ (იქვე, 12 (14)). ამასვე მიუთითებს ცნობა სისხლის ფასზედაც: ... „სისხლნიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ, ზეილამ ქვეით ნახევრად, ანუ ქვეილამ ზეით ერთი ორად“ (14 (14)), და სისხლის დაურევების განმარტება „უმალღეს-უმდაბლესთა „პატივისა და წესის“ მიხედვით: „ხოლო მკულელისა მის თანამდებ იყო რათა დაეურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისისა სისხლი. ხოლო უკეთუ უმალღესმან მოკლის უმცირესი, დაუურვის სისხლი: ხოლო უმდაბლესმან თუ მოკლის უმალღესი, დაუურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა“ (14—16 (15)), ე. ი. ერთისადაიმავე დანაშაულისათვის კაცი ისჯებოდა სხვადასხვანაირად იმისდა მიხედვით, თუ როგორი ადგილი ეჭირა მას საზოგადოებასა და სახელმწიფოში. ასევე „ჩინებისა მიერ-

ვე“ უნდა დაურევბულოყო სისხლი სხვა დანაშაულობისათვისაც, კერძოდ, დაწინდულ ქალთა წაგვრისა თუ დატოვებისათვის (16 (15)).

ამ ჩვეუთა შორის ყველაზე უმდაბლესის, გლეხთა, სოციალური მდგომარეობა ვახუშტის სხარტულად აქვს გამოხატული იმ ეპითეტში, რომელსაც იგი თან აყოლებს დასახელებულს წოდებრივ ტერმინს—„მუშაკი“ („მუშაკნი გლეხნი“, 14). ფეოდალურმა საზოგადოებამ გლეხობას, ძირითად მწარმოებელ კლასს ამ საზოგადოებისას, სწორედ „მუშაკობა“ დააკისრა, როგორც მისი უმთავრესი ფუნქცია (შეადარ. შოთას „მუშა მიწყეფ მუშაობდეს, მეომარი გულოვნობდეს“). ამ „მუშაკ გლეხთა“ და ციხოსან-კარეოსან მაღალი შთამომავლობის მქონე თუ „მეფისა წესსა შინა“ მყოფ მთავარ-აზნაურთა ურთიერთ-დამოკიდებულების შესახებ ვახუშტის თავისი შრომის არა ერთ ადგილას მრავალი საგულისხმო დაკვირვება აქვს გამოთქმული, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ. აქ-კი უნდა აღვნიშნოთ რომ ვახუშტის აღწერილი აქვს სწორედ პატრონყმური ურთიერთობის, როგორც იგი ჩვენ გვესმის, ერთი მხარე:... „ძველითგანვე იყო წესი ესე, რა-ეამს მოკუდის ერისთავი ანუ მთავარი ანუ ხელისუფალნი ანუ აზნაურნი ჩინებულნი, მოართვიან მეფესა მის მომკუდრისა ზრმალი, ცხენი და უხუცესი ძე მისი. ზრლო მეფე ხელისუფლობისა და ერისთობისა წესსა, ვისიცა ენება, ღირსებისაგერ მიუბოძის და ოდესმე ძესაცა, უკეთუ ღირს იყო ანუ ძალედვა მოურნეობა მისი. ხოლო ცხენი წარიყვანიან სამეფოთ, და ზრმალს მოარტყმიდა წინაშე მეფისა მსახურთ-უხუცესი ძესა მის მომკუდრისასა, და დაწესიან ტაძრულად ანუ სხვათა სამეფოთა მსახურებათა შინა ღირსებისაგერ“ (38 (23)).

ჩვენ აქ ვეღარ შევჩერდებით ვახუშტის სხვა შენიშვნებზე აღძრული საკითხების გარშემო, კერძოდ მის საყურადღებო ცნობებზე სამღვდელოების შემადგენლობისა, როლისა და უფლებამოსილობის შესახებ, ისევე როგორც მის მიერ აღწერილ სამეფო სამოხელეო თანამდებობათა (ხელისუფალთა), დარბაზის ერთა და სხვათა შესახებ. ეს ჩვენ შორს წაგვიყვანდა. აქ ჩვენ განსაკუთრებით ის უნდა აღვნიშნოთ რომ ვახუშტისათვის აღწერილი საზოგადოება გაშეშებული არ ყოფილა, ვახუშტის იგი განვითარებაში ჰყავს წარმოდგენილი. მისი აზრით, თავდაპირველ მდგომარეობას შემდეგ უჩნდება „შეძინებული წესი“ (28 (19)). „შეძინებული წესი“, ის ახალი, რაც ქართველ საზოგადოებაში გაჩნდა გარკვეულ ხანაში, შედეგია, ვახუშტის აზრით, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მიზეზებისა. გარეგანი ვაგლუნის შედეგად ჩნდებიან „შერეულნი წესნი“ (34), ე. ი. შემორეული, შემოსული. „შეშლილი“ თვისებები. ამ მხრივ, ვახუშტის წარმოდგენით, დიდი ზემოქმედება მოუხდენიათ მონღოლებს, თურქებს, სპარსებს. პირველთა შესახებ, მაგ., ვახუშტი შენიშნავს:... „წესნი ესენი რომელნიმე ფლობისა თათართა ყვენობისასა შეიშლებოდნენ“ (34; ციტატა ამოღებულია „გეოგრაფიის“ ლომოურ-ბერძენიშვილისეული, გვ. 22, და ჯანაშვილისეული, გვ. 20, გამოცემებიდან, რომელნიც უფრო სწორ საკითხავს იძლევიან). შემდეგ ვახუშტი აღწერს ამ ახალ მოვლენებს, რომელნიც „უჯერონი“ ყოფილან, მათ შორის ისეთებსაც, როგორცაა „მეფეთა წინააღმდეგობა და განდგომილება“ (36 (22)). შემდეგ, ვახუშტის აზრით, ძველი წესწყობილება აღუდგენია გიორგი ბრწყინვალეს:

„ხოლო შემდგომად სრწყინვალემან მეფემან გიორგიმ კვლავ აგო წესსავე მას-  
 ძველსა ზედა“... და ასე გაგრძელებულა „ვიდრე შიხთა მეფეთა სპარსთათა-  
 გამოჩინებისამდე“ (იქვე). ყოველივე ამის შედეგად გაჩნდა „აწინდელი წესი“:  
 „გარნა თუმცა სამცხეს და კახეთს შემოერიათ—მათ ურუმთაგან და ამათ ყი-  
 ზილბაშთაგან—წესნი რაიმე მათნი, არამედ ქართველნი და იმერელნი ეგნენ-  
 ზნეთა მათ ზედავე. ხოლო აწინდელთა ქამთა აქუნდათ წესნი იგინივე და შერე-  
 ულნი ყიზილბაშთა ესენი“ (36 (23). შემდეგ განმარტებულია ეს „შემორეული  
 აწინდელი წესი“, ქართლ-კახეთისათვის—„ყიზილბაშთა (სპარსების) რიგისა“,  
 მესხეთისათვის—„ურუმთა (თურქების) რიგისა“, ხოლო იმერეთისათვის—  
 „ურუმულთაგან შერეული“ (ეს სწორი, ჩვენი აზრით, საკითხავი ლომოურ-ბე-  
 რძენიშვილისა და ჭანაშვილის გამოცემებს ეკუთვნის, 23 და 21; ბროსეს გამო-  
 ცემაში—„ურუმულთაგან“, 38). მაშასადამე, და ესეც საყურადღებოა, ვახუშტი  
 არჩევს მთლიანად შეთვისების შემთხვევას ადგილობრივისა და უცხო სერვეის  
 შემთხვევისაგან.

მაგრამ ქეშმარიტად საკვირველია, ვახუშტის ეპოქისათვის, ჩვენი სახელო-  
 ვანი ისტორიკოსის ღრმა მსჯელობა ფეოდალურ საქართველოში მომხდარი  
 ცვლილებების შინაგანი პირობებისა და მიზეზების შესახებ. პირდაპირ შეიძ-  
 ლება ითქვას რომ აქ ვახუშტი უახლოვდება დიდმნიშვნელოვანი ისტორიული  
 მოვლენების მატერიალისტურ ახსნას. საქართველოს სამეფოს დაყოფის (XV ს.)  
 შედეგად, ამბობს ვახუშტი, „შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა  
 სამეფოსათა ამისა აქუნდათ თვის-თვისად წესნი ესენივე, გარნა ერისთავთა-  
 ცვალებანი არლარა. განა მთავარნიცა არლარა იწოდებოდნენ მთავრად, არამედ  
 თავადად, და არცაღა იყუნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი  
 და მსახურნი გლეხნი, ხეობათაგან, იყუნენ მცველნი მეფისანი, და უმეტეს მო-  
 ხევე—მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთაოდ, ხოლო იმერთა—რაჭა და  
 სრულიად ლეჩხუმი, ხოლო კახთა—ქისიყი. ხოლო ლაშქრობისა ქამსა ერისთავ-  
 თა და თავადთა მინაწერნი იყუნენ მოყვანებად. განა იყუნენ ოთხ სადროშოდ-  
 ნე კვალადცა, ვითარცა აღვწერეთ, ქართლი, იმერეთი და კახეთი. არამედ ესე-  
 ყვეს მეფეთა, ვინათგან არლარა იყუნენ ეგდენნი შემოსავალნი, რათამცა და-  
 ეპყრათ სპანი ეგოდენნი, რათა ეპირისპირათ ანუ გამგარებოდნენ მტერთა თვის-  
 თა. ამისთვის შეჰკვეთეს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა—სრულიად რაო-  
 დენნი სახლთა შინა არიან—წარსვლად ლაშქარსა შინა, ხოლო გლეხთა მზგავსად  
 შეწერილებსად. ხოლო როსტომისამდე ესენი ესრეთ იყუნენ“ (36 (22—23).

აქ, ჯერ ერთი, მთელი რიგი ღრმა დაკვირვებაა მოცემული დაშლის-შემ-  
 დგდროინდელის (უფრო ზუსტად, ვახუშტის ქრონოლოგიით, XV ს. დამლევინ-  
 დან XVII ს. პირველი მესამედის დამლევამდე) საქართველოს სოციალურ-პო-  
 ლიტკური ვითარების შესახებ:

1. საერისთავო ხელისუფლების დამკვიდრება ცალკეულ ფეოდალურ სა-  
 ვარეულოებში. როგორც ზემოთ ვთქვით, ვახუშტი ამ მოვლენას სამართლიან-  
 ნად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. სხვაგან ამავე პროცესის შესახებ  
 ვახუშტი ამბობს, რომ თუ ძველად „მეფე ხელისუფლობისა და ერისთობისა

წესსა, ვისცა ენება, ღირსებისაებრ მიუბოძის, და ოდესმე ძესაცა, უკეთუ ღირს იყო ანუ ძალ-ედვა მოურნეობა მისი“, ეხლა უკვე, „აწინდელსა ეამსა“, ... „ერისთაობა და მთავრობა არღარა, და რომელიმე სპასპეტნიცა, რამეთუ შვილთავე მისთა ანუ სახლისკაცთა მისთავე მიუბოძიან, ეგრეთვე მთავართაცა“ (38 (23)).

2. თავადთა წრის ჩამოყალიბება, რაც არსებითად ახალი ფეოდალური წოდების წარმოშობას ნიშნავდა.

3. არსებითი ცვლილებები სამხედრო საქმის ორგანიზაციაში. რადგანაც, როგორც აგრეთვე უკვე აღნიშნული გვექონდა, სამხედრო საქმესაც ვახუშტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ამ საკითხზე იგი აქ დაწვრილებით ჩერდება. ნიშანდობლივად ძველი მდგომარეობისათვის მას, ჩანს, ის მიაჩნია რომ შეფეებს „როქით სპანი“, ე. ი., ქირის ჯარი ჰყავდათ. მეორე პერიოდში ამ სახის შეიარაღებული ძალა გამჭრალა. მაშ რა შეადგენს ეხლა „მეფის მცველ“ ძალას, ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენს? მეფის საკუთარი ვასალების ფეოდალური რაზმი მართაოდენ, უპასუხებს ვახუშტი: „სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ხეობათაგან იყუნენ მცველნი მეფისანი“—ე. ი. მეფის ფეოდალური რაზმი იკრიბება სახასო აზნაურობისა და გლეხობიდან, რომელნიც მეფესთან დაკავშირებული არიან უშუალო ფეოდალური და არა მხოლოდ ზოგად-ქვეშევრდომის დამოკიდებულებით. ვახუშტის ისიც შეუმჩნევია რომ ეს „გლეხობა“ სპეციფიკური რაიონების სოფლის მოსახლეობაა, უპირატესად მაინც—მთიელები: „მსახურნი გლეხნი ხეობათაგან... და უმეტეს მოხვევითიულნი“. რატომ? ცხადია იმიტომ რომ აქ სოფლის მოსახლეობა ჯერ კიდევ საბატონო ყმებად არ ჰქცეულა, იგი მეფის ქვეშევრდომია უშუალოდ და მეფის ვასალიც, განსაზღვრული ვაგებით (სახელმწიფო გამოსაღებისა და ფეოდალური გამოსაღების დახვედრა). ეს ვახუშტიმ კარგად იცის და ამიტომაცაა რომ იგი ამბობს: მეფეს მსახურებს აძლევდნენ ხეობელნი, „უმეტეს მოხვევითიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთოდ“, ე. ი. ვიდრე მეფესა და მთის ხალხს შორის შუალედი ფეოდალური რგოლი არ გაჩნდა, და მთიელებს ახალი, არსებითად საბატონო, გამოსაღებიც არ დაეკისრა. ასეთსავე როლში გამოდიან, ვახუშტის აზრით, იმერეთისათვის რაქა და განსაკუთრებით (ასე გვესმის ჩვენ, არა ეტიმოლოგიურად, არამედ არსებითად, ვახუშტის „სრულიად“) ლეჩხუმი, კახეთისათვის—ჭიხიცი. მთიელებს მეფის სამსახურში ის უპირატესობაც ჰქონდათ რომ ისინი ჯერ კიდევ მთლად „გამუშავგლეხებულნი“, ე. ი. მიწაზე მძიმედ დაკრულნი და ფეოდალური ტვირთისაგან წელში სამად მოხრილნი არ იყვნენ, არამედ ძველს ვაჟაკურსა და ამაყ სულს ატარებდნენ, აზჯრის სიყვარულსა და ხმარებას ბავშვობიდან ეჩვეოდნენ, და ჩინებული მეომრებიც გამოდიოდნენ. ეს იმ „მთაში გაზრდილი ვაჟაკის“ სახეა, რომელსაც გულსა და მარჯვენას უჭებს სახალხო პოეტი. ეს მთის „ერი“ მართლაც ერთს უმთავრეს რეზერვთაგანს შეადგენდა სამეფო მსახურებისას და იმ „გააზნაურნიშვილებულ“ წარჩინებულთა, რომელთა არსებობაც აგრეთვე იცის ვახუშტიმ. საკმარისია თუნ-

დაც სათანადო ქართული ფეოდალური პატრონომისტის შესწავლა, რომ დაერწმუნდეთ ვახუშტის დაკვირვების სიღრმესა და სისწორეში<sup>1</sup>.

ეს რაზმები, რომელნიც გამოდიოდნენ სახასო ვასალიტეტისა და მთის ერის რიგებიდან, იყვნენ, ვახუშტისავე კვალიფიკაციით, „მცველნი მეფისანი“, ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი სამხედრო ძალა. სწორედ ამ ძალაზე დამყარებით შეეძლოთ მეფეებს მოეკრიბათ თავის სამფლობელოში სხვა რიგის სამხედრო რაზმებიც, რომელთა გამოყენებაც აუცილებელი ხდებოდა სახელმწიფოს მეორე—საგარეო—ფუნქციის განხორციელების დროს. ამ რიგის რაზმების ბუნება და დანიშნულება ვახუშტის ნათლად აქვს შეგნებული: „ხოლო ლაშქრობისა ესმისა ერისთავთა და თავადთა მინაწერი იყუნენ მოყვანებად“

<sup>1</sup> უღრესად საყურადღებოა ვახუშტის დაკვირვება იმ მიზეზების შესახებ, რომელთა წყალობითაც თვით მთიელებს პირი ბარისაყენ ჰქონდათ მიტყვეული. ფშავ-ხევსურთა შესახებ, მაგ., ვახუშტი ამბობს რომ ესინი არიან „შეპატრონეთა თვისთა ერთგულნი... და სიმწირისათვის მონობენ, ვისცა უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ“—(298 (92); ავად. ივ. ჯავახიშვილი, საქ. გეოგნომიური ისტორია, 300 და აგრეთვე 315—317, 421). თუშების შესახებ მასვე ნათქვამი აქვს: „კახეთის თუშნი იმაზევე ცხოვრობთ სიპრაველსა, ვინათგან აქეთ ზაფხულს თვისთა მათთა შინა საძოვარი და ზამთარს ჩამოვლენ ვალმა-მხარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა“ (გვ. 105), ხოლო თუშთა ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე თემის, ფარსმანის, შესახებ ვახუშტი სპეციფიკურ პირობებსაც აღნიშნავს: „ხოლო ფარსმანი უფროს შირი არს, გარნა ამით მიერ ივნიცა გამოიხდებიან კახეთით, რამეთუ მათ მოჰყავთ და ვაჭრობენ. არამედ ივნი არა ჰყობენ კახთა შეპატრონეთა, ხოლო ესენი მორჩილნი, მოლაშქრენი და მებარკენი არიან. და არიან ბრძოლასა შემპართებელნი, მხენი, ძლიერი, მებდარი წარმატებულნი“... (328 (105)). მაშასადამე, კახეთის თუშნი უშუალო გეოგნომიურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ კახეთისგან და ამით აიხსნება მათი ყომავე კახეთის შეპატრონეთაგან. ხოლო ფარსმანის თუშნი დამოკიდებულნი იყვნენ პირველთა მეშვეობით, და ამით აიხსნება რომ ისინი კახეთის შეპატრონეთ არ ჰყობდნენ. დიდოვლების შესახებ ავტორი მკითხველს ამცნობს: „კახეთის მხრისანი ჰყობენ კახთა შეპატრონეთა და აძლევენ ზარკთა და არა ლაშქართა, რათა ვიდოდნენ საეჭვოდ კახეთს, ვინათგან ხიდევენ კახეთიდან სახრდეულსა, საშიშლოსა და სახმართა თვლთა“ (ლომ.-ბერძ. 104). ასევე დიდიღეთა შესახებ ვახუშტი ამტკიცებს: „...მორჩილებენ და აძლევენ ზარკთა ჩერქვთა, მუშაოთა თვისთა, უსახრდლობისა, საშიშლოსა და მარბილისათვის“ (458 (119)). ლეჩხუმზე ნათქვამია: „...თუცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, განა არს ევნახაიზი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვნიერ ბრინჯ-ბანბისა, გარნა სივიწროვისა და კლდიანობისათვის აზა გგოდენა სიპრაველთ“. მაშასადამე, ლეჩხუმელებს მიწა ნაყოფიერი ჰქონდათ, მაგრამ ცოტა და არასაკმარისი. პირველი გარემოება ხელს უწყობდა მრასაბლეობის, გარკვეულ ფარგლებში, სოციალურ გეოლოგიას: „მოსაბლენი არიან ანაუნი და გლეხნი“, შენიშნავს ვახუშტი. მეორე გარემოება ქმნიდა ნიადაგს უფრო განვითარებული რაიონებისაგან დამოკიდებულებისათვის: „...კაცნი მუნებურნი მბრძოლნი და შემპართებელნი, პეტროვანი, ტანოვანი, მხენი და მორჩილნი უფალთა თვისთა... გარნა ესე ლეჩხუმი, შედგომად განყოფისა სამეფოთა, იყო ტალანი იმერთა მეფისა“ (ტ. ი. მცველნი 354—352 (149); ოსების შესახებაც ვახუშტი ამბობს: „არა არს ქვეყანათა მათთა შინა მარბილი, სელი, კანაფი, და ბანა და აბრეშუმი, რათამცა ყონ საშონი თვისნი. ამისთვის უმეტესნი სცხოვრობენ ცხოვართა ტყავითა, გარნა ამათაც ხიდევენ ქართლიდამ, რაჭიდან და ჩერქესიდან. და ამისთვისცა მორჩილებენ თვის-თვისთა მხარეთა და კვალად უმეტესად სახრდელთათვისცა“ (438 (111)). ოსებშიაც, მაშასადამე, გეოგნომიური დამოკიდებულება უფრო დაწინაურებული მებოებელი რაიონებისგან („საშონისა“ და „ახრდელისა“ შემოტანა) საუფედველს უქმნიდა პოლიტიკურ დამოკიდებულებას.



—აქ საუბარია ცალკე სენიორიების ფეოდალური რაზმების შესახებ, რომელნიც იკრიბებიან ამ სენიორიებიდან შეწერით მხოლოდ გარკვეულ მომენტებში, „ლაშქრობისა ჟამსა“. იმერეთისათვის ვახუშტი ამავე მოვლენას გამოხატავს, თუმცა განსხვავებული ფორმულით: „მთავარნი თვის-თვისით სპითა შეკრიბიან“. მაგრამ იმერეთისათვის თვით ეს მთავრებიც რამდენადმე განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან: „არცალა ხელისუფალნი მეფისანი არიან-ღა“, დასძენს ვახუშტი (40 (24)). ამასთანავე ვახუშტის შეუმჩნეველია—და ესეც უაღრესად საგულისხმოა—ამ პერიოდის ერთი „შეძინებული წესი“, რომ, სახელდობრ, ჯარში ეხლა გაჰყავთ „გლეხნიც“, „მგზავსად შეწერილებისად“. ისიც საყურადღებოა რომ ამ ახალ „წესს“ ვახუშტი მონღოლთა შემდეგდროინდელ ხანაში წარმოშობილად სთვლის.

ამავე მოვლენას აღწერს ვახუშტი როცა „ეპისკოპოზთა ლაშქართა წასვლისათვის“ მსჯელობს, რომლის ერთ-ერთ მიზეზადაც, დიდი სისწორითა და სიმახვილით, აღნიშნავს: „...ეინათგან შეწერით იყო ლაშქარნი, ჰყვათ ეპისკოპოზთა აზნაურნი და მსახურნი და შეწერილნი გლეხნი წარსვლად ბრძოლასა შინა, ამისთვის მათთა მოურნეთ თანამდებ იყუნენ წარსვლად და არს მიერ ეამითგან ეგრეთ აწამდე“ (50 (27)). ხოლო იმ კითხვის საპასუხოდ, თუ რატომ გაქრა „როქით სპა“ და რატომ დაუთმო მან ადგილი მთლიანად ფეოდალურ რაზმებს, ვახუშტის მოცემული აქვს განსაკუთრებული, თავისი დროისათვის, ახსნა: „...ესე ყვეს მეფეთა, ვინათგან არღარა იყუნენ ეგოდენნი შემოსავლნი რათამცა დაეპურათ სპანი ეგოდენნი, რათა ეპირისპირათ ანუ გამაგრებოდენ მტერთა თვისთა“ (ხაზი ჩვენია). მაშასადამე, ცვლილებები სამხედრო საქმის ორგანიზაციაში ქვეყნის საერთო ეკონომიური მდგომარეობით უნდა აიხსნას<sup>1</sup>. ამ დანაკლისის საკომპენსაციოდ მეფეებმა „შეჰყუეთეს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა, სულიად რაოდენნი სახლთა შინა არიან, წასვლად ლაშქარსა შინა“—ო. საყურადღებო ცნობაა, რომელსაც, რათქმუნდა, სხვა წყაროებზე შეგვირება დასჭირდება.

დასასრულ, „შეძინებული წესიდან“ არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ, დავიდუმებთ რა ვახუშტის მრავალი სხვა დაკვირვებისა და მოსაზრების შესახებ. მხოლოდ ერთი მისი შენიშვნა (უნდა გავითვალისწინოთ რომ ქვემოთვე განმარტებული წესი ვახუშტისათვის შეძინილია ძველადვე, ქრისტიანობის შემოღებამათან დავკავშირებთ): „...ამათ მთავრობისა წინათქმულსა წესსა შეეძინა, რათა აქუნდეს მათ წესთა თანა სასაფლაოდ საეფისკოპოზო ანუ მონასტრის ეკლესია, კვალად საყდარი კარისა მღვდლითურთ. ეგრეთვე აზნაურსა სასაფლაოდ მონასტერი და ეკლესია სახლსა თვისსა მღვდლით“. ვახუშტი ფიქრობს—და ის არც ცდება ამაში—რომ ესეც მიუცილებელი ნიშანთაგანი იყო, სხვა მის მიერ ჩამოთვლილ ნიშნებთან ერთად (რომელნიც ჩვენ ზემოთ განვმარტეთ), ფეოდალისათვის: „ხოლო წინათქმულითა და ამით იწოდებოდნენ მთავარნი და

1. არ შეგვიძლია აქვე არ მოვიგონოთ, რომ ასეთივე ღრმა ახსნა მისცა ვახუშტიმ იმ პირობებს, რომელთაც შეამხადეს ბაზტიონის შესანიშნავი ეპოპეა.

აზნაურნი და თვნიერ ამითსა არა“ (ლომ.-ბერძ., 19, ჯან., 16; ბროსეს გამოცემაში „და აზნაურნი“ გამოტოვებულია, 28).

ჩვენ აქვე გამოვთქვით აზრი ვახუშტის კონცეფციის შესაჯერებლად წყაროების (პირველწყაროების) ძიების საჭიროების შესახებ. ამ საქმეს თვით ვახუშტი გვიადვილებს, რამდენადაც იგი ან პირდაპირ ასახელებს თავის წყაროებს ან გამკვირვალედ მიუთითებს მათზე, გვიჩვენებს რა ამასთან ერთად თავისი მუშაობის მეთოდსაც. კერძოდ ჩვენ კარგად ვხედავთ სად ჩნდება ბეჭა-ალბუღას სამართალი (კარვოსნობა და სხვა), ვახტანგ სჯულმდებელი (სისხლის ფასი, ქართლის უპირველესი არისტოკრატიული გვარები და სხვა). მაგრამ ამ ამოცანას ეხლა ჩვენ ვერ გამოვეყიდებით.

ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვეჩვენებინა რომ უკვე ძველმა ქართულმა ფეოდალურმა ისტორიოგრაფიამ ვახუშტის სახით მეტად თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია ძველი საქართველოს საზოგადოებრივი აღნაგობის შემეცნებაში. რათქმაუნდა, ეს წარმატება უმთავრესად ფეოდალურ საქართველოს სტრუქტურის აღწერის ხაზით იყო მოპოვებული. თუ რამდენად ჭერ კიდევ განუვითარებელი იყო შეხედულება ფეოდალური საქართველოს შინაგანი, ძირითადი მომძარევებელი ძალების ბუნების შესახებ, ეს ჩანს ვახუშტის შემდეგი ზოგადი ხასიათის შენიშვნებიდან: „ხოლო წესნი ესენი და ჩვეულებანი აქუნდათ რომელნი ვთქვით და განუხეთქელობისათვის სამეფოსა მცდელობდნენ, და უკეთუ მიუღიან საზღვარნი თვისნი, ყოველნი მწუხარებდენ და იპირვოდნენ კვალად გებასავე, და მეფეთა თვისთა მიუღრეკლად ერთგულებდენ. განა თუ სძლიან ვინმე მძლავრთაგანმან, არა დაემორჩილიან, არამედ კვალად იპყრიან თვისნივე წესნი და არა დაუტევიან ღმერთნი და მეფე და ჩვეულებანი თვისნი“ (22 (17—18)). ცხადია რომ აქ ჩვენს დიდ ისტორიკოსს თვალმა უჩრდილა, და მას გამოეპარა ის ძალები, რომელნიც, პირიქით, „განხეთქილებისათვის სამეფოსა“ ცდილობდნენ, სამშობლოს „საზღვრებს“ ზოგჯერ თითონ ხელთ უგდებდნენ მტრებს, არც თავიანთ მეფეებს „ერთგულებდნენ მიუღრეკლად“ და მამაპაპის ღმერთებსაც სხვისაში სცვლიდნენ.

ეს ბუნებრივია და გასაგები. ვასაკვირველი უფრო ისაა რომ ვახუშტი განზოგადების აღწერილ დონეზე ავიდა. ამ მხრივ მისთვის ბევრად არ წაუსწრია წინ მე-19 საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიასაც.

საკუთრივ „პატრონ-ყმობის“ ხსენება ვახუშტის აქ გაანალიზებულ ზოგად მიმოხილვაში არ არის, როგორც ვნახეთ. მაგრამ მისი ნაშრომის სხვადასხვა ადგილიდან ჩანს რომ ვახუშტის პატრონყმური ურთიერთობის შესახებ უფრო ფართო წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე ეს „შესავალშია“ ასახული. სხვათა შორის, უკვე ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ციტატებიდან მკითხველი დანახავდა, რომ ვახუშტი უკვირდებოდა და კარგადაც ხსნიდა იმ მიზეზებს, რომელნიც იწვევდნენ „მეხარკობას“, „მორჩილებას“, „ერთგულებას“, „ყმობას“ ამათუიმ მსხვილი თუ წვრილი სენიორიების „მეპატრონეთა“, „უფალთა“ და „მპყრობელთა“ სასარგებლოდ. არჩევდა ვახუშტი ფეოდალურად განვითარებულ რაიონებს ფეოდალურად განუვითარებელთაგან და ფეოდალური განვი-

თარების სხვადასხვა საფეხურებსაც. ასე, მაგ. სვანების შესახებ ვახუშტი ამბობს რომ მათ „აწ უფისთ გელოვანი, ვითარცა პატრონი მათი, და არიან თვისად, და არლარავის მორჩილებასა შინა“ (412). ცხადია, ვახუშტის ესმის, რომ გელოვანი, რომლის ყმები თავისთვის არიან და არვის მორჩილებენ, სხვა-ნაირი პატრონია, ვიდრე, ვთქვათ, „კახთა მეპატრონე“.

აგიღოთ კიდევ, ვახუშტის შეხედულებათა საილუსტრაციოდ, მისი ზოგი დაკვირვება ოსების სოციალური წყობის შესახებ. თავაურის, ქურთაულის, ვალაგირის, ფაიქომის, დიგორისა და ბასიანის თემთა შესახებ ვახუშტი საერთოდ აღნიშნავს რომ, ერთ, მხრით, მათ ჰყავთ „თავნა და წარჩინებულნი“, რომელნიც მაჰმადიანები არიან, და „დბალნი გლეხნი“, რომელნიც თავიანთ თავს ქრისტიანებად თვლიან (434 (110)). შემდეგ ის იქვე გამოყოფს „მოთავეებს“, „მდიდრებს“ და „დაბალთ“, აღნიშნავს, რომ ამ ოსებმა „უწყიან გვარნი და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოცნი“ (436 (110)); სხვაგანაც ვახუშტის შენიშნული აქვს, როგორც ოსების, ისე სხვა ხალხების მაგალითზე, ეთნიკური მომენტის წარმოჩენა ფეოდალური საზოგადოების ქმნადობის პროცესში; ლაპარაკობს „განდიდნებისა“ და „გამდიდრების“ შესახებ ამ საზოგადოებაში. მაგრამ ვახუშტიმ კარგად იცის რომ ამ სახის სოციალური დიფერენციაცია ყოველთვის საკმარისი არ არის ბატონყმური ურთიერთობის წარმოშობისათვის. ამ თემთა შესახებ ვახუშტი შენიშნავს: „...უწყიან პატრივი მოხუცებულთათვის თა ფრიადი და უფისთ ვითარცა პატრონი თვისნი (ხაზი ჩვენია). ამათ მოხუცებულთაგან სყოფენ ბრჭობასა და ზავსა და ყოველსავე სამჭირნოსა თვისთა განაგებენ მათით“ (436-438 (111)). აქ საუცხოოდაა დახატული რღვევის გზაზე დამდგარი გვაროვნული საზოგადოება თავისი პატრიარქებით, რომელთა ხელშია მართლმსაჯულება და თემის ყოველივე განსაგებელი. ამგვარ „მოხუცებულთა“ პატრონობა კიდევ უფრო სხვა ხასიათისაა, ვიდრე გელოვანის პატრონობა. თითქოს იმისთვის რომ სავსებით თვალსაჩინო გახადოს ოსეთის დასახლებულ რაიონთა განვითარების დაბალი დონე, ვახუშტი იქვე სპეციალურად აღნიშნავს რომ ამ თემებში უცნობი იყო ფულადი ურთიერთობა, რომ აღებმაცემა წარმოებდა უშუალო გაცვლის გზით; ამასთან ერთად ვახუშტი აღწერს სიმდიდრის დაგროვების ფორმებსაც ამ თემებში, რომელი ფორმებიც შეეფერება საერთო ეკონომიურ დონეს: „სიმდიდრე მათი არს თოფი, ხრმალი, ჭაქვი, ჭავშანი: სპილენძი და ოქრო და ვერცხლი მცირედ. არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით“ (438 (111)). ამ შესანიშნავი დაკვირვებოს საერთო მნიშვნელობაზე ჩვენ სხვაგან კიდევ გვექნება საუბარი.

მაგრამ, ამასთან ერთად, ვახუშტის სრულიადაც არ გამოპარვია ის გარემოება რომ ოსეთის მოცემულ თემებში მოიპოვებოდა ცალკეული სოციალურად უფრო დაწინაურებული რაიონები. დიგორის ერთი ნაწილის შესახებ, მაგ., იგი ამბობს: „...ესენი, რომელნი დავსწერეთ ხენი, არიან ბადელიძენი, და არიან შენობიანნი და დაბნებიანნი და კომკოვანნი მრავლად, რომელთა შინა მოთავენი მათნი არიანყმანნი მებატონენი (452 (116)); ხაზი ჩვენია). „მოთავეთა“ არსე-

ბობა, როგორც ვნახეთ, ვახუშტის ოსეთის ყველა თემისათვის აქვს დადასტურებული, მაგრამ ბადელიძეთა მოთავეებისათვის სპეციფიკური ის ყოფილა, რომ ისინი **ყმიანი მებატონეები** იყვნენ. ესევე შეუნიშნავს ვახუშტის ბასიანის შესახებაც: „...რს ესე ბასიანი შენობიანი, დაბნებიანი და უმეტეს გვარიანნი სხვათა ყოველთა ოსთავან, და არიან მებატონენი ყმიანნი“ (454 (117) ხაზი ჩვენი). აქ ახალია ბასიანის „უმეტეს გვარიანობა“ სხვა ოსურ თემებთან შედარებით, ე. ი. არისტოკრატიული ელემენტის უფრო ძლიერი განვითარება. „ყმიან მებატონეთა“ არსებობაზე მითითებით ვახუშტი, რათქმუნდა, აღნიშნავს განსაზღვრული სახის ბატონყმური ურთიერთობის არსებობის ფაქტს.

კიდევ ერთი შენიშვნა. ვახუშტი, ჩანს, კარგად არჩევდა მთიელი ტომების უცხო მებატონეთაგან დამოკიდებულების სხვადასხვა სახესაც. კერძოდ, მას შეუშინებია რომ ოსეთის ნახევრად პატრიარქალურ ან პატრიარქალურ მდგომარეობაში მყოფი ტომების, როგორც იყვნენ ოსები და ძურძუკნი, დამოკიდებულება მეზობელ მფლობელთაგან (*mutatis mutandis* — საკუთარ მფლობელთაგანაც) აგრეთვე სპეციფიკური ხასიათისა იყო, მათ შესახებ ვახუშტი ამბობს: „... დღესაც ეგრეთვე მოხარკენი არიან თვისთვისთა უფალთა, რომელსა უწოდებენ საჩუქარსა აწინდელს უამსა“ (426 (106—107). ის, რაც პატრიარქალური ურთიერთობისა და შეგნების ხანიდან მომდინარე ენაზე ჭერ კიდევ საჩუქრად იწოდებოდა, უფრო განვითარებული ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენლის თვალში ხარკი იყო მხოლოდ და სხვა არაფერი. ვახუშტის ამ შესანიშნავ დაკვირვებას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სხვა ადგილას ჩვენ ვუჩვენეთ, თუ რა როლს ასრულებს აღრინდელი ფეოდალური საზოგადოების ქმნალობის პროცესში **საჩუქარი, ძღვენი**, რომელიც პატრიარქალური ხანიდან მომდინარეობს და რომელიც სათანადო პროცესებში **შეგრაად და ხარკად** გადაიზრდება ხოლმე<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 129, შადრ. აგრეთვე იქვე, გვ. 30—38.

## შოთა მახვი

### ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა

ვახუშტი ბაგრატიონის, როგორც ძველევარის, ისტორიკოსის დახასიათებისათვის საკმარისი იქნებოდა მხოლოდ მისი „საქართველოს ისტორიის“ მეორე ნაწილის წარმოდგენა, იმ მეცნიერულ-კრიტიკული მეთოდის წარმოდგენა, რომლითაც სახელოვანი მეცნიერი საქართველოს ისტორიის ყველაზე რთულ და წყვედიადით მოკულ პერიოდს სწავლობდა.

მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ვახუშტის, როგორც ისტორიკოსის, დახასიათებისათვის მისი შრომის პირველ ნაწილს, იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს ძველ ისტორიას შეეხება. ამ მხრივ ვახუშტის ღვაწლის წარმოჩენა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა მისი თხზულების ძველი ისტორიის შემცველ ნაწილს შევედარებთ ქართლის ცხოვრების კრებულში შესულ ისტორიკოსთა თხზულებას—მათ სხვადასხვა ვარიანტებს. ამგვარი სამუშაო კი, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, დღემდე არავის შეუძრულებია.

ვახუშტი ისტორიას (მატიანეს) ოთხ შემადგენელ ნაწილად ჰყოფდა. მისი სიტყვით, მატიანე თანაბრად უნდა მოიცავდეს „ადგილის აღწერას“, ანუ საისტორიო გეოგრაფიას, „ნათესავთ მეტყველებას“, ანუ გენეალოგიას, „წლის მრიცხველობას“ ანუ ქრონოლოგიურ ცნობებს და „მოქმედების აღწერას“, ანუ საკუთრივ ამბების მოთხრობას; მოქმედების აღწერა, ვახუშტის აზრით, როგორც სამოქალაქო, ასევე საეკლესიო ამბებსაც უნდა მოიცავდეს<sup>1</sup>.

ვახუშტი ამ თვალსაზრისით მიუდგა „ქართველთა მატიანეს“—ძველ ქართულ საისტორიო მწერლობას და სამართლიანად მიუთითა მის ნაკლებზე, რომ იგი „შეიპყრობს სამსა ამას ნაწილსა მატიანისასა, არამედ წლის მრიცხველობასა და ნათესავთ-მეტყველებასა მცირედ, ხოლო მოქმედების აღწერასა განავრცელებს“, ამავე დროს „ეკლესიის მატიანეს შეამოკლებს“ (იქვე). როგორც ვახუშტი აღნიშნავდა მისი შრომის მიზანი ამ ნაკლთა შეესება იყო: „შრომა ჩვენი ამისთვის არს: ვინათგან ორნი წილნი ივინი გამოჟჩენელ არიან, რათა გამოვაცხადოთ“ (აღწერა, 4), ე. ი. გენეალოგია და ქრონოლოგია. მესამე, ძირითადი ნაკლის შესავსებად კი მან შეადგინა ვრცელი შრომა, რომელიც საქართველოს საგეოგრაფიო აღწერას შეიცავს.

წერილის მიზანს არ შეადგენს ვახუშტისეულ უხვ ქრონოლოგიურ ცნობებზე საუბარი, მისი საისტორიო გეოგრაფიის მიმოხილვაც რჩება ჩვენი ინტერესის გარეშე, ერთი-და-მეორეც ცალკე კვლევის საგანია.

<sup>1</sup> „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (საქართველოს გეოგრაფია) თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1941 წ., გვ. 3, ქვემოთ-აღწერა“.

ამ დამატებათა გარდა ვახუშტის, როგორც აღენიშნეთ, თავის შრომაში „ნათესავთ-მეტყველება“, რომელიც „გამოუჩინელ იყო“, „გამოუცხადებია“, „გავრცელებული“ სამოქალაქო მოთხრობა შეუმოკლებია, საეკლესიო ამბები კი, პირიქით, ვაუერცია. თუ როგორი კრიტიკული მეთოდით სარგებლობდა ვახუშტი ამ შემოკლება—გავრცობისა და სხვა დამატება—შესწორებათა შეტანის დროს, ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ამჟამად კი ქართლის ცხოვრების იმ ნუსხებზე შეჩერდებით, რომელნიც ვახუშტის ხელთ ჰქონია და სადაც მას სათანადო შესწორებები შეჰქონდა.

\* \*

ვახუშტის მითითებიდან ჩანს, რომ იგი „ძველი ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ნუსხას იცნობდა: „ხოლო უკეთუ უმჯობესი ვისმე ძალგისთ, — წერდა ვახუშტი, — ჩვენი ესე ქმნული არა დამაყენებელ არიან, ვინათჳან დედანი იგი მათიანისა შეურყეველად ჰგეის არა ერთი, არამედ მრავალი“ (აღწერა, 9). როგორც აქედან ჩანს, ძველ ქართულ საისტორიო თხზულებათა დედანებს, რომელნიც ქართლის ცხოვრების კრებულში იყვნენ შესულნი, ვახუშტი არა ერთს იცნობდა. მაგრამ რას უწოდებდა იგი „მატიანის დედანს“? სწორედ იმ საისტორიო თხზულებებს, რომელთაც ჯერ კიდევ ე. წ. „სწავლულ კაცთა“ ხელი არ მოხვედრია, ე. ი. რომელთაც სათანადო შესწორებანი არ განუცდიათ. ამ „დედანს მათიანისას“ ვახუშტი ზოგჯერ „ძველ ქართლის ცხოვრებას“ უწოდებდა. იგი ვახტანგ გორგასალის ერთ-ერთი ბრძოლის აღწერისას შენიშნავდა: „ლეონ კეისრისას სწერენ 40 წელს მეფობას; ზოგი ჩვენი ცხოვრებაც ამის ემოწმების; ჩვენც ესე 40 წელსა ზედა და ჩვენს ცხოვრებაზედ ეკმენით; არამედ ძველს ქართლის ცხოვრებაში უსახელოდ კეისრის მოშველება სწერია. ამით ამ ჟამს ანასტასი კეისარი იქმნება და არლარა ლეონ“<sup>1</sup>.

აქ დასახელებული „ძველი ქართლის ცხოვრება“ ქართლის ცხოვრების XVIII ს. აღრინდელ ვარიანტებს გულისხმობს. მართლაც ქართლის ცხოვრების ანასეულსა და მარიამისეულს ნუსხებში ვახტანგ გორგასალის შექმნე „ბერძენთ კეისრის“ სახელი არაა მოხსენებული: „ხოლო ბერძენთ მეფე სიმაპრი ვახტანგისი (ლეონი, შ. მ.), მოკუდა, და დაჯდა ძე მისი. გამოვიდა სპერად, გამოსულად ქართლს, და ვითარცა ცნა სიძმამე ვახტანგისი, დაადგრა კარნუქალაქს“ (A, 138—139; M, 183—184)<sup>2</sup>. ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხებში კი ლეონის შემდგომი კეისრის სახელი მოხსენებულია: „ხოლო ბერძენთა მეფე, სიმაპრი ვახტანგისი, მოკუდა და დაჯდა ზენონ ძე მისი“ და სხვ.

<sup>1</sup> ვახუშტი. საქართველოს ისტორია. განმარტებული და შეესებული... დ. ხ. ბაქრაძის მიერ, თბილისი, 1885 წ. 101, შენ. 1. ქვემოთ—„საქ. ისტ.“; შდრ. საქ. ცენტრარქივში დაცული ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ ავტორაფი (ხელნაწ. № 103), 37. ქვემოთ—„ავტორგ.“, ავტორაფის გვერდები ჩვენ მიერ თითოებულთა ავტორიფული პაგინაციის მიხედვით.

<sup>2</sup> A—ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942 წ., M—ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ვ. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1906 წ.

B. 148)<sup>1</sup>. როგორც ჩანს, ვახუშტის, როცა იგი „ძველ ქართლის ცხოვრებაზე“ მიუთითებდა, მხედველობაში ჰქონია XVIII ს. აღრინდელი ნუსხები, რომელთაც იგი ასხვავებდა „ზოგა ჩვენი ცხოვრებისაგან“, ანუ XVIII ს. ნუსხებისაგან. ამრიგად, ვახუშტის „ძველი ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ VI-ის წინააღრინდელი ქართლის ცხოვრება ჰქონია ნაგულისხმევი<sup>2</sup>.

ვახუშტი „ძველ ქართლის ცხოვრებას“ ზოგჯერ „სხვა ქართლის ცხოვრებასაც“ უწოდებდა, „სწავლულ კაცთა“ მიერ შევსებულ ქართლის ცხოვრებისაგან განსასხვავებლად. ქართლის ცხოვრების A და M ნუსხების მიხედვით არჩილი (ვახუშტის მიხედვით მეფობდა 410—434 წწ) იყო ვარაზ-ბაქარის ერთ-ერთი ცოლის, თრდატ მოხუცის ასულის მეორე წულის თრდატის შვილი, თრდატი კი იყო უმცროსი ძმა მირდატ წარტყვენილისა. XVIII ს. ნუსხები კი არჩილის შესახებ განსხვავებულ ცნობას გვაწვდიან:

AM

B

„მოიყვანეს და დასუსეს მცხეთას მეფედ „მოიყვანეს და დასვეს მეფედ მცხეთე თრდატის, ძმისწული მირდატის. || თას ძე მირდატ მეფისა წარტყვენილი-წარტყენილისა, სახელით არჩილ“ || სა, სახელით არჩილ“ (108).

(A. 69; M 117).

ვახუშტი, იმეორებდა რა ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხების ცნობას, სწერდა: „მოიყვანეს ქართველთა ძე მირდატისა, ასულისა წულისა თრდატ მეფისა, წარტყვენილისა მის მეფისა სახელით არჩილ“ (საქ. ისტ., 84; ავტოგრ., 32). ვახუშტისა და ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხების მიხედვით არჩილი იყო არა თრდატის ძე არამედ მირდატ წარტყვენილისა. მაგრამ ვახუშტიმ იცის, რომ მას არ ეთანხმება „სხვა ქართლის ცხოვრება“, ე. ი. XVIII ს. აღრინდელი ნუსხები, და შენიშნავს: „სხვა ქართლის ცხოვრებასა შინა ესე არჩილ თრდატის ძე სწერია წარტყვენილის მირდატ მეფის ძმისა, რომელი იყო თრდატ მეფის ასულის წულივე“ (საქ. ისტ., 84, შენ.; ავტოგრ., 32). ეს „სხვა ქართლის ცხოვრება“ კი, როგორც ვნახეთ, ვახტანგ VI-ის წინააღრინდელი ქართლის ცხოვრებაა.

როგორც ჩანს, ვახუშტის, ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხებს გარდა, ჰქონია „სხვა ქართლის ცხოვრებაც“, რომლის მიხედვითაც იგი ზოგჯერ ასწორებდა კიდევ XVIII ს. ქართლის ცხოვრების რედაქტორების წინააღმდეგობასა და შეცდომებს, ე. ი. ვახუშტი, თუმცა იშვიათად, მისდევდა XVIII ს. აღრინდელ ქართლის ცხოვრების ნუსხებსაც. ასე, მაგ., XVIII ს. რედაქტორთა მიერ შევსებული ქართლის ცხოვრების მიხედვით, შირვანის შაჰი აღსარ-

<sup>1</sup> B-ქართლის ცხოვრება დასაბამითგან შეათიხრამეტე საუწყემდის, გამოცემული დგაწლითა უ. ბ რ ო ს უ, ნაწილი პირველი, ძველი მოთხრობა, სანკტ.-პეტერბურლი, 1849 წ.

<sup>2</sup> XVIII ს. ქართველი ისტორიკოსები და ყრძოდ ვახუშტი რომ „ძველ ქართლის ცხოვრებას“ ვახტანგის წინააღრინდელ ნუსხებს უწოდებდნენ, ეს ჩვენ მიერ ზემოთყვანილი მასალების გამოუყენებლადაც დადასტურებული აქვს კ. გ რ ი გ ო ლ ი ა ს (იხ. მისი, „რას ეწოდება „ახალი ქართლის ცხოვრება“? საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, 1944 წ., 33. 190—195).

თან იყო გიორგის „მამის დისწული“ (B 272); მ. ბროსეს ერთი ხელნაწერის მიხედვით კი იგი იყო გიორგის „მამის ძმისწული“ (იქვე, შენ. 1) ე. ი. XVIII ს. ნუსხებიდან გარკვევით არ ჩანდა, თუ ვინ იყო, აღსართანი. ვახუშტი აღსართანის ჩამომავლობის გარკვევაში დაჰყრდნობის ქართლის ცხოვრების მარიამისეული ნუსხის ცნობას, რომ იგი იყო „დისწული გიორგი მეფისა“ (იხ. M 384; შდრ. საქ. ისტ., გვ. 193—194; ავტოგრ., 57).

ვახუშტი M ნუსხის მიხედვით ასწორებდა იმ წინააღმდეგობას, რომელიც XVIII ს. ნუსხებშია წმ. ნინოს მცხეთაში მოსვლის ამბავთან დაკავშირებით.

XVIII ს. ნუსხების მიხედვით, ფარავნის ტბასთან მოსულ ნინოს შეხვდნენ მწყემსები, რომელნიც ლოცულობდნენ „ენითა სომხურითა“. მიუხედავად ამისა, ნინო მათში მაინც ეძებს სომხურად მოლაპარაკეს და შემდეგ „ჰპოვა მწყემსთა მათ შორის მზრახველი სომხურისა ერთი“ (B, 71). M-ში ეს წინადადება გამოტოვებულია (იხ. M 211—212)<sup>1</sup> და ამით აღნიშნული წინააღმდეგობაც მოხსნილია. ამგვარადვე იქცევა ვახუშტიც თავის „ისტორიაში“ (იხ. საქ. ისტ., 59—60; ავტოგრ., 30).

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი „ძველ ქართლის ცხოვრებაში“ ჩართულ ცნობებს არ თვლიდა „მწერლის“, ე. ი. პირველი ავტორის კუთვნილებად, თუმცა კი ამ ჩანართებსაც, ისე როგორც თვით მწერლის ტექსტს, ანგარიშს უწევდა.

„ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი და ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე ხაზს უსვამდნენ დავით სოსლანის ბაგრატიონობას, მაგრამ არას ამბობდნენ მისი მამის ხაზით ბაგრატიონთაგან ჩამომავლობის შესახებ. ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხებში კი მოიპოვება ჩართული ცნობა: „რამეთუ დიმიტრი, ძე გიორგი მეფისა, რომელი დაშთა ოგსთა მეფის ქალისაგან, მის დიმიტრის მეექვსე ნათესავი იყო (დავით, შ. მ.), ძეთაგან მისთა და რუსუდანი უშვილო იყო და იგი მოეყვანა აღსაზრდელად“ (B. 291—292). ვახუშტი იცნობდა ამ ჩანართს და ამის მსგავსად იგიც ამტკიცებდა დავითის მამით ბაგრატიონობას: „ჰპოვეს ყრმა ეფრემის ძისაგან ოგსთა მეფისა, რომელი აღეზარდა რუსუდანს მამის დასა თამარისასა. არამედ ესე დავით იყო მეფის გიორგის ძის დიმიტრისაგან“ (საქ. ისტ., 202; ავტოგრ., 59). ვახუშტიმ კარგად იცოდა, რომ ეს ცნობა თამარის ისტორიკოსს არ ეკუთვნოდა და სხვების მიერ იყო ჩართული, ამიტომაც შენიშნავს ვახუშტი, რომ „დაიდუმა მწერალმან დავითის დიმიტრის ჩამომავლობა ვინათგან არღარა ნათესავ იყო თამარისა, არამედ ამისთჳს ახსენა დედით ვინათგან უახლოეს იყო“ (საქ. ისტ. 202, შენ. 2; ავტოგრ., 59, შენ.). ვახუშტის, რა თქმა უნდა, „დადუმებულ მწერალში“ არ შეიძლებოდა ქართლის ცხოვრების XVIII ს. რედაქტორი ეკულისხმა, რადგან იგი არ დადუმებულა დავითის მამით ბაგრატიონობის შესახებ; ამ შემთხვევაში ვახუშტის მხედველობაში ჰყავდა თამარის ისტორიკოსი, რომელიც მართლაც არას ამბობდა სოსლანის მამით ბაგრატიონ-

<sup>1</sup> ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი, A, LXIX LXX.



ნობის შესახებ. ასე რომ ვახუშტი კარგად არჩევდა, თუ რა ეკუთვნოდა „მწერალს“, ე. ი. „ძველ ქართლის ცხოვრებაში“ შესულ ავტორს, და რა ეკუთვნოდა სხვებს—XVIII ს. რედაქტორებს.

მოტანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ ვახუშტი ქართლის ცხოვრების სხვადასხვა ნუსხით სარგებლობდა და საჭირო შემთხვევაში იყენებდა მათ. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი, ძირითადად ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხებს მისდევდა და ამ უკანასკნელთ უფრო ნდობით უყურებდა.

## I

## ვახუშტი და ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხები.

## 1. ვახუშტი და ქართლის ცხოვრების ვახტანგისეული რედაქცია

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია წარმოებს დავა „ძველი ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ვახტანგისეული რედაქციის შესახებ.

დ. ბ ა ქ რ ა ძ ე ქართლის ცხოვრების პირველ ნაწილში ვახტანგისეული კომისიის მიერ შეტანილ შესწორება-დამატებებს საეგზეთ უარყოფდა (იხ. მისი ისტ. საქართველოსი, 39--43): ამგვარსავე მოსაზრებას გამოთქვამდა მ. ჯ ა ნ ა - შ ვ ი ლ ი ც (ნაშრომი, 7).

მ. ბ რ ო ს ე კ ი, დარწმუნდა რა, ქართლის ცხოვრების პირველი ნაწილი ვახტანგის კომისიის შედგენილი არ არის, „სწავლულ კაცთა“ გავლენა ქართლის ცხოვრების პირველ ნაწილზე მაინც აღიარა, თუმცა კონკრეტულად ვერ მიუთითა, თუ სახელდობრ რაში დაეტყო მას ვახტანგის კომისიის ხელი (Introd., XXXII; შდრ. თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, XVII).

ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა ყოველგვარი შესწორება და დამატება, რაც მარიამისეულ ქართლის ცხოვრებას განასხვავებდა XVIII ს. ნუსხებისაგან, ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ ნამოღვაწარად მიიჩნია. მისი აზრით, ვახტანგის კომისიის ეკუთვნოდა აგრეთვე თეიმურაზისეული ნუსხაც და სხვაც, რომელიც ვახტანგ VI მოღვაწეობის დროს იყო გადაწერილი (იხ. Onuc. II, B. I, 72—89, 109—114).

თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა მ უარყო თეიმურაზისეული ვარიანტის ვახტანგისეულობა და იქ შეტანილი შესწორებანი თეიმურაზ ბაგრატიონს მიაკუთვნა. მიუხედავად ამისა, ვახტანგის კომისიის ღვაწლზე მაინც მიუთითა და ზოგი რამ (წმინდანთა ცხოვრება, ქართლის ცხოვრების თავებად დაყოფა და ზოგი ქრონოლოგია) ამ კომისიის მიერ დამატებულად მიიჩნია (იხ. ქრონიკები, I, წინასიტყვ.).

ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით, თეიმურაზისეულ ვარიანტში შეტანილი შესწორებანი არ შეიძლება თეიმურაზს მიეკუთვნოს, მაგრამ იგი არც ვახტანგისეულ კომისიის ნამოღვაწარია, რაკი იქ შეტანილი საინტერესო მასალა ვახუშტისათვის უცნობი იყო. ზოგი სხვა შესწორება-დამატება კი ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს ვახტანგის კომისიის მიერ შეტანილად მიიჩნდა. მას არასოდეს არ

ს. მანუჩიანი  
 ს. ჯაბაძე  
 ბიბლიოთეკა

F1014

უარყვია ქართლის ცხოვრების პირველ ნაწილზე „სწავლულ კაცთა“ რედაქციის კვალი (იხ. მისი ძველი ქართული საისტორიო მწერლობა).

ამ ბოლო დროს ს. ყ ა უ ხ ზ ი შ ვ ი ლ მ ა მარიამისეულ, ანასეულ და XVIII ს. ქართლის ცხოვრების ნუსხების შედარების საფუძველზე ისევ წამოაყენა „ძველი ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის საკითხი და დაასკვნა: „ვინაიდან ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებში წარმოდგენილი შესწორება-შეცვლანი სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ნუსხაში, ამიტომ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვივარაუდოთ რაღაც კომისიის არსებობა, რომელიც „ძველი ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შესწორება—შეცვლას აწარმოებდა“ (A, LVII).

ამგვარი კატეგორიული მტკიცებების წინააღმდეგ ლაპარაკობს, სხვა ცნობილ საბუთთა გარდა (რომელთაც ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, თ. უორდანი და სხვ. ასახელებდნენ), ვახუშტის ერთი მითითებაც. ვახუშტის კარგად სკოდნია, რომ კომისია მუშაობდა ვახტანგის ბრძანებით და რომ ამ კომისიას, რაკი ვახტანგს „თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი“, „ძველი ქართლის ცხოვრების“ შესწორების დროს შეცდომებიც მოსვლია. „ხოლო აღუწერიათ, წერდა ვახუშტი, ცხოვრებაცა სახელითა ლევანის ძისა მყფისა ვახტანგისათი, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ: განა თუმცა ბრძანებითა მისითა არს. არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი, ვინათგან სწერს ბაგრატიონთ ნათესაობა შთამომავლობასა შინა სხვას ქორონიკონებსა რომელნი, ჩვენნი აქ წერილის ქორონიკონებისაგან არიან“<sup>1</sup>. როგორც მოტანილ ამონაწერიდან ჩანს, ვახტანგის ბრძანებით „აღუწერიათ ცხოვრება“, მაგრამ აღმწერთ შეცდომა მოსვლიათ, სხვათა შორის, ბაგრატიონთ „ნათესაობა—შთამომავლობის“ საკითხის გარკვევაში. ბაგრატიონთ „ნათესაობა შთამომავლობაზე“ კი ქართლის ცხოვრების პირველ ნაწილშია საუბარი, სადაც ჯუანშერის თხზულებისა და სუმბატის ქრონიკის კომპილაციით გამოწვეული მრავალი წინააღმდეგობა და უსწორობა მოიპოება, რაც ვახუშტიმ თავისი შრომის მეორე ნაწილში გაასწორა (იხ. საქ. ცხბა, 222—234).

როგორც ჩანს, ვახუშტის სკოდნია რომ ვახტანგის ბრძანებით ხდებოდა „ძველი ქართლის ცხოვრების“ შესწორება. მაშასადამე, ქართლის ცხოვრების პირველ ნაწილზე ვახტანგისეული კომისიის რედაქციის კვალის წაშლა შეუძლებელია და ეს კვალი ყველაზე უფრო მაშინ გამოჩნდება, როცა XVIII ს. ქართლის ცხოვრების ნუსხებს შევეუდარებთ არა მარტო მის წინააღმდეგდელ ნუსხებს, არამედ ვახუშტის ნაშრომსაც.

საესებით სწორად აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, რომ „თუ ჩვენ ვახტანგისეული კომისიის ღვაწლისა და ნამუშავრის დაახლოვებით გამოკვება გვსურს ქცხბაში (გიორგი ბრწყინვალემდე), ვახუშტის შრომის ცნობები ანა და მშდედფლისა და თეიმურაზისეულის ქცხბის ხელნაწერებს უნდა შევადაროთ. ამგვარი შედარება გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგისეულს

<sup>1</sup> საქართველოს ცხოვრება, 1469—1800-მდე, ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან, თბილისი, 1913 წ., გვ. 4, ქვემოთ-„საქ. ცხბა.“



ვახუშტი XVIII ს. ნუსხების გავლენას ამეღიენებს ზოგ წერილმანშიც.

მარიამისეულ ქართლის ცხოვრებაში არაფერია ნათქვამი მხედრების იბრაოდენობაზე, რომელნიც ქართლში თითქო ალექსანდრე მაკედონელმა დაატოვა. შევსებულში კი ნათქვამია: ალექსანდრემ „მისცა (აზოს, შ. მ.) ახლათახი კაცი ქუშყანით რომით“ (B 27). ვახუშტის მიხედვითაც: ალექსანდრემ „დაუტყინა ლაშქარნი რჩ (100.000), მათ ზედა მთავარი აზო“. (საქ. ისტ., 35; ავტოგრ., 17). ამ შემთხვევაში ვახუშტი სავესებით იმეორებს „ახალი ქართლის ცხოვრების“ ცნობას.

ქართლის ცხოვრების A და M ნუსხების მიხედვით „ალიძრენს... ერნი დიდნი... წარმაველნი... მცხეთად, მოვაკრებად სავმართა რათამე წინაშე არმაზლთისა მათისა“ (M 69; A 54). XVIII ს. ნუსხების მიხედვით კი, „ერნი დიდნი“ არა მარტო „სავმართა მოვაკრებად“ აღძრულან არამედ აგრეთვე ზორვად, ე. ი. მსხვერპლის შესაწირავედაც: „ალიძრენს... ერნი დიდნი... წარმაველნი... მცხეთად, მოვაკრებად სავმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზლთისა მათისა“ (B. 73). ვახუშტი, იმეორებს რა XVIII ს. ნუსხების დამატებას, წერს: „შემდგომად ალიძრენენ ერნი ურბნისით ვაპრობად და ზორვად არმაზისა და ზადენისა“ (საქ. ისტ., 60; ავტოგრ., 30).

ბაკურის დროს (ვახუშტით მეფობდა 528—544 წწ), ქართლის ცხოვრების A ვარიანტის მიხედვით, „მოკულდა კათალიკოზი სამოელ, და დაჯდა კათალიკოზად თავფეჩაგ“<sup>1</sup> (A 140). XVIII ს. ნუსხების ცნობით ბაკურის დროსვე „მოკულდა კათალიკოზი სამოელ და დაჯდა კათალიკოზად... თავფეჩაგ და მოკულდა თავფეჩაგ და დაჯდა კათალიკოზი ჩირმაგ“ (B 150). ვახუშტი სავესებით იმეორებს ამ უკანასკნელ ცნობას: „მოკულდა კათალიკოზი სამოელ და დასვა თავფეჩაგ, მოკულდა იგიცა და დასვა ჩიგირმან“ (საქ. ისტ., 103; ავტოგრ., 37).

მე-37 მეფე ფარსმანის დროისათვის ქართლის ცხოვრების A და M ნუსხების მითითებით: „მოკულდა კათალიკოზი საბა და მანვე მეფემან დასუა ვალეთი“ (A 141; M 187). XVIII ს. ნუსხების მიხედვით კი ამავე მეფის დროს საბას შემდეგ კათალიკოზად ვალეთი კი არ იყო, არამედ ევლაიოზ (იხ. B 151). ვახუშტიც იმეორებს: „მოკულდა კათალიკოზი საბა, ამანვე დასუა ევლაიოზ“ (საქ. ისტ., 104; ავტოგრ., 37).

გიორგი აფხაზთა მეფემ, როცა ქართლი დაიპყრო, „ქართლის მატეანის“ A და M ვარიანტების ცნობით, ჩიხას ერისთავად დიმიტრის ძე ბაგრატი დაატოვა: გიორგიმ „დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დიმიტრისი, რომელსა ერქუა ბაგრატი“ (A 164; M 223). XVIII ს. რედაქტორებს სხვა ცნობა ჰქონიათ. გიორგიმ „დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას, ძე დემეტრესი და ვითარ გარდიცვალა გიორგი... ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ტინინე, ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა“ (B 191—192).

<sup>1</sup> მარიამისეული თავფეჩაგს არც კი იხსენიებს, ის გადამწერთა მიერ უნდა იყოს გამოტოვებული (იხ. M 186).

ამ ცნობის მიხედვით, ჩიხას ერისთავი ბაგრატი კი არ იყო, არამედ მისი ძმა ტინინე. ვახუშტიმაც გაიმეორა ქართლის ცხოვრების რედაქტორთა მიერ მოპოვებული ცნობა და მიუთითა: „გამოვიდა მეფე აფხაზთა და დაიპყრო ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ტინენ ძე დიმიტრისა, ხოლო შემდგომად გარდიცვალა გიორგი მეფე აფხაზთა, ცოლმან მისმან მოკლა ტინენ ძე დიმიტრისა“ (საქ. ისტ., 124; ავტოგრ., 41).

არშაკი (ვახუშტით მეფობდა 93—81 წწ), ქართლის ცხოვრების A და M ნუსხების მიხედვით იყო სომეხთა მეფისშვილი, XVIII ს. რედაქტორთა ცნობით კი არშაკუნიანთა სამეფო საგვარეულოს დამაარსებელიც საქართველოში:

AM

„ხოლო სომეხთა მეფემან მოსცა ძე მისი „მეხუთე მეფე, არშაკ არშაკუნიანი-არშაკი. დაიპყრა ყოველი ქართლი და ანი. დაიპყრა ყოველი ქართლი, და მეფობდა იგი ნებიერად“ (A 22; M 25).

B

„მეხუთე მეფე, არშაკ არშაკუნიანი. დაიპყრა ყოველი ქართლი, და მეფობდა ნებიერად“ (B 35).

ვახუშტი

„მოიყვანეს და დასვეს ძე სომეხთა მეფისა არშაკ არშაკუნიანი, ყოვლისა საქართველოვსად“ (საქ. ისტ., 41; ავტოგრ., 22) ვახუშტი ამ შემთხვევაშიც მისდევს XVIII ს. რედაქტორებს.

თუ ვინ იყო არშაკის შემდეგ გამეფებული არტავი, არ ჩანს ქართლის ცხოვრების A და M ნუსხებიდან, მაგრამ XVIII ს. ნუსხებში კი გარკვევითაა ნაჩვენები „მოკლდა არშაკ და მეფე იქმნა ძე მისი არტავ“ (B 35). ამასვე იმეორებს ვახუშტიც: „შემდგომად მისა (არშაკის, შ. მ.) დაჯდა ძე მისა არტავ მეფედ“ (საქ. ისტ., 42; ავტოგრ., 22).

\* \* \*

ვახუშტი იმეორებდა ქართლის ცხოვრებაში XVIII ს. რედაქტორების მიერ შეტანილი არა მარტო წვრილმანი ხასიათის შესწორებებს, არამედ ხშირად იცავდა „ახალი ქართლის ცხოვრების“ თხრობის თანამიმდევრობასაც.

ქართლის ცხოვრების თვითმურაზისეულ ნუსხაში ჩამატებულია ნაწყვეტი მელიქსედეკ კათალიკოზის სიგლიდან (იხ. B 212—213), რასაც შემდეგ მოსდევს სუმბატის ქრონიკის მიხედვით გაკეთებული მოთხრობა ბაგრატ III-ის მიერ „კლარჯთა ხელმწიფეთა“ ამოწყვეტის შესახებ (B 213). თუ მელქისედეკის სიგლის ნაწყვეტს გამოვტოვებთ, ვახუშტისა და XVIII ს. ნუსხების თხრობის თანამიმდევრობა სავსებით ერთნაირი იქნება:

Б

„რამეთუ რაოდენნი ბაგრატიანნი მეფედ და კურატპალატად ზემორ აღკვიწერია, რომელნიმე მეფობდეს ქართლსა, და რომელნიმე სამცხეს, ტიოსსა შინა, ვიდრე ამა ბაგრატის

ვახუშტი

„კულად რაოდენნი მეფენი კურად-პალატნი ბაგრატიანთა ხსენებულნი ზემორ, ზოგნი ქართლისა და სამცხე ტაო კლარჯეთს მეფობდნენ ბაგრატიანდემ. ესა ანისსა არლარავინ

გამეფებამდე. და ოდეს მეფე იქმნა ესე ბაგრატი, რომელნიმე გარდაცვალებულნი იყუნეს და რომელნიმე ამას ეამსა გარდაიცვალნეს და არლარა ვინ იყო ამას ეამში სხუა ბაგრატიანი თუნიერ სუმბატისა და ძმისა მისისა გურგენისა... ამან ბაგრატი მეფემან... მოიყვანნა ესე ორნი ძმანნი, კლარჯთა გელმწიფენი... ციხესა შინა ფანასკერტისასა“ და სხვ. (B 213).

„ახალ ქართლის ცხოვრებაში“ გიორგი I მეფობის დასაწყისი სუმბატის ქრონიკის მიხედვითაა აღწერილი: „რამეთუ იყო რა ეამს მეფე იქმნა, წლისანი (18), მას ეამსა განდგა ამას ქუსყანა ჰერეთ-კახეთისა, და ლადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნნეს ერისთავნი მათ ქუსყანად, კულადევე ეფუძლნეს მათნი უფალნი“ (B214; შდრ., სამი ხარ., 67). ამგვარადვე იქცევა ვახუშტიც: „დაჯდა ძე მისი გიორგი მეფედ წლისა იმ (18). ამან დაიპყრა სამეფო... შემდგომად მცირედის ეამისა განდგნენ კახნი და გამოაძქეს ერისთავნი გიორგი მეფისანი და იპატრონეს პირველი უფალი მათი“ (საქ. ისტ., 144 ავტოგრ., 49). გიორგი პირველის მეფობის შესახებ მთელი მოთხრობა კი შემოკლებული გადათქმაა „ახალი ქართლის ცხოვრებისა“, ე. ი. „ქართლის მართანესა“ და სუმბატის ქრონიკის ნარევისა; მხოლოდ ვახუშტის გამოტოვებული აქვს ქართლის ცხოვრების თეიმურაზისეულ ნუსხაში ჩართული ნაწყვეტი მელქისედეკის ცნობილი სიგლიდან (იხ. B. 218).

ვახუშტი მისდევს XVIII ს. ნუსხებს გიორგი III მეფობის აღწერაშიც. ვახტანგის „სწავლულ კაცებმა“ „ისტორიანსა და აზმანს“ ჩამოაცილეს საკუთარი შესავალი და ახალი გაუკეთეს (იხ. B 264—265). ვახუშტიც ამ ახალი შესავლის მიხედვით იწყებს მოთხრობას, მხოლოდ ძლიერ ამოკლებს მას.

XVIII ს. რედაქტორებმა „ისტორიანსა და აზმანს“ დაურთეს თამარის მეორე ისტორიკოსის ბასილ ეზოსმოდღარის თხზულებიდან ამოღებული ცნობები, ე. ი. „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ თამარის მეფობა აღწერილია ორი თხზულების „შერწყმით. ვახუშტი, მისდევს რა „ახალ ქართლის ცხოვრებას“, სავსებით იმეორებს იმ თანამიმდევრობას, რაც XVIII ს. რედაქტორებს დაუცავთ ამ ორ თხზულების კომპილაციის დროს. ასე, მაგ., „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ „ისტორიანისა და აზმანის“ მიხედვით მოთხრობილია გიორგი რუსის აჯანყება თამარის წინააღმდეგ, გუზანის განდგომა, შემდეგ კი ბასილის თხზულების მიხედვით ნათქვამია: „წუხდეს და იურვოდეს უნაყოფობისათჳს თამარისა“ და ნარეუნი ლაშასა და რუსუდანის დაბადება (იხ. B 248; შდრ. ცხბა თამარისი, 19)<sup>2</sup>.

ვახუშტის მიხედვითაც გუზანის დამარცხების შემდეგ სამეფოში „ქმუნვი-

<sup>1</sup> უნდა იყოს „ძმისა“, შდრ., სამი ისტორიული ხრონიკა, გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, 1890 წ., 66. ქვემოთ—„სამი ხარ...“

<sup>2</sup> „ცხბა თამარისი“-ბასილი ეზოსმოდღარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივ. ჯავახიშვილისა, თბილისი, 1944 წ.

დნენ უნაყოფობასა თამარისასა“, მაგრამ 1183 წ. თამარმა შვა ძე გიორგი, ხოლო „კვლად ერთი წლისა“ რუსუდან (საქ. ისტ., 204; ავტოგრ., 60). ყოველივე ამის შემდეგ ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხები და ვახუშტიც ერთნაირად მოუთხრობენ ლაშას სახელზე გალაშქრებას რანში, არზრუმში და სხვრაც „ისტორიანისა და აზმანის“ მიხედვით არის გაკეთებული. XVIII ს. ნუსხების თხრობის თანამიმდევრობა ვახუშტის ქვემოთაც აქვს დაცული: გიორგი რუსის მეორედ შემოსვლა, შამქორის ომის აღწერა და სხვ. იგი იმეორებს იმასაც, რაც XVIII ს. რედაქტორებს ჩაურთავთ ბასილის თხზულებიდან, რომ თამარი „შეწვლივ ფერჯითა მიიწრა ტაძარსა ღვთის მშობლისსა მეტებითა“ (B 304; საქ. ისტ. 207; ავტოგრ., 61; შდრ., ცხ“ა თამარისი, 20), რომ გამარჯვებულმა ქართველებმა „ქორცითა ღორისათა ქმნეს პურობა იგი [განძას]“ (B 308; საქ. ისტ., 208; ავტოგრ., 61; შდრ., ცხ“ა თამარისი, 21).

შამქორის ომის აღწერის შემდეგ XVIII ს. ნუსხებში გამოტოვებულია „ისტორიანისა და აზმანის“ მოთხრობა ამირ-მირანის სიკვდილისა, დავითის განძაში ლაშქრობის, ივანე მხარგრძელის ლაშქრობისა და თამარის დეინში ჩასვლის შესახებ (იხ. „ისტორიანი და აზმანი“<sup>1</sup>, ? 110–112). ყველაფერი ეს გამოუტოვებია ვახუშტისაც თავის თხზულებაში.

როგორც ვხედავთ, თამარის მეფობის აღწერაში ვახუშტი სავსებით იცავდა XVIII ს. ქართლის ცხოვრების ნუსხების თანამიმდევრობას, და ამას იგი იქამდე მიჰყავდა, რომ იგი ზოგჯერ შეუსაბამობას იჩენდა და შეუძინველად აწინააღმდეგობაში ექცეოდა.

დავით სოსლანისა და თამარის ქორწინების მოთხრობის შემდეგ „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ ჩართულია ბასილ ეზოსმოდერის თხზულებიდან ამოღებული ცნობა მიქელ კათალიკოზის გარდაცვალებისა და ანტონ გლონისთავისძის ჭყონდილად და მწიგნობართუხუცესად დასმის შესახებ (იხ. B 293; შდრ., ცხ“ა თამარისი, 18). ვახუშტი ამ ცნობას ავსებს და წერს: „მოკლდა კათალიკოზი ქართლისა და ჭყონდიდელი მწიგნობარი მიქელ, დასვა თედორე კათალიკოზად და ჭყონდილად ანტონი“ (საქ. ისტ., 203; ავტოგრ., 59). არც ბასილის თხზულებაში, არც „ისტორიანისა და აზმანში“ და ამდენად არც „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ მიქელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით არ არის ნათქვამი თედორეს ქართლის კათალიკოზად დასმის შესახებ. ეს ცნობა ვახუშტის ბასილის თხზულებიდან ამოუღია და აქ ჩაურთავს (იხ. ცხ“ა თამარისი, 27). ქვემოთ ვახუშტი, ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხების გავლენით, ახალ კათალიკოზს, იოვანეს ასახელებს (საქ. ისტ. 209; ავტოგრ., 61). „ისტორიანისა და აზმანის“ მიხედვითაც ამ დროს კათალიკოზად მართლაც იოვანე უნდა ყოფილიყო (იხ. „ისტორიანი და აზმანი“, 115 B 313). უფრო ქვემოთ, როცა რუჟნადინის წინააღმდეგ ომია აღწერილი,

<sup>1</sup> „ისტორიანი და აზმანი“-ისტორიანი და აზმანი შარავანდეფიანი, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამაყვლეით, თბილისი, 1941 წ.

ვახუშტი, XVIII ს. ნუსხებში ჩართულ ბასილის თხზულებიდან ამოღებული ცნობის მიხედვით, ისევ თედორეს ასახელებას კათალიკოზად: „თვთ (თამარი, შ. მ.) მოვიდა ოძრხეს კათალიკოზით თედორით“ (საქ. ისტ., 211; ავტოგრ., 62; შდრ. B 321; ცხ<sup>ა</sup> თამარისი, 27). ამრიგად, ვახუშტის, ერთ დროს მიქელის შემცვლელი თედორე, XVIII ს. ნუსხებში ჩართულ ცნობათა გავლენით, იოვანე კათალიკოზის შემცვლელად მიიჩნია.

თუკი „ისტორიანისა და აზმანის“ მიხედვით თამარჯს დროს ორი კათალიკოზი იყო—მიქელი და იოანე, XVIII ს. ნუსხების ცნობით სამი კათალიკოზი—მიქელი, იოანე და თედორე—ყოფილა, ვახუშტის მიხედვით ჯერ მიქელი ყოფილა, შემდეგ თედორე, შემდეგ იოანე და ბოლოს ისევ თედორე, რაც თამარის ისტორიკოსთა ცნობით არ მართლდება. ამგვარი შეუსაბამობა, როგორც აღვნიშნეთ, იმის შედეგი იყო, რომ ვახუშტი მისდევდა რა „ახალი ქართლის ცხოვრების“ თხრობას, ზოგჯერ ვერ ამჩნევდა იმ წინააღმდეგობებს, რაც შეიძლებოდა გამოეწვია XVIII ს. რედაქტორთა მიერ სხვადასხვა თხზულების კომპილაციას.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ზოგჯერ არღვევდა „ახალი ქართლის ცხოვრების“ თხრობის თანამიმდევრობას და XVIII ს. რედაქტორთა მიერ ჩართულ მასალას თავისი გეგმის მიხედვით ადგილს უნაცვლებდა.

„ახალ ქართლის ცხოვრებაში“ გვარამის (ვახუშტით, 575—600 წწ) ერისმთავრობის აღწერას მოსდევს სუმბატის ქრონიკის ნაწყვეტი ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ (იხ. B 161—163). ვახუშტი, როგორც მისი შენიშვნიდან ჩანს, იცნობდა XVIII ს. რედაქტორთა მიერ ჩართულ ამ ნაწყვეტს, მაგრამ იქ საჭიროდ არ მიუჩნევია ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ გრძელი კამათი გაემართა XVIII ს. რედაქტორებთან და შეუნიშნავს: „ამ ბაგრატიონთ დავითიან-ბაგრატიონობა და ჩამომავლობა ვითარ არის ან მოსლვა ქართლს, სამცხის აღწერაში იკითხე, ვინადგან პირველ აქ მოვიდნენ“ (ავტოგრ., 38).<sup>1</sup>

„ახალ ქართლის ცხოვრებაში“ ჩართულია აგრეთვე, სუმბატის ქრონიკის მიხედვით გაკეთებული, ამოტ კურაპალატის გენეალოგია (იხ. B 186). გამოუტოვებია რა ეს გენეალოგია, ვახუშტის აქაც შეუნიშნავს: „ხოლო გურამ კურაპალატიდამე ვით იყვნენ ბაგრატიონნი, სამცხის აღწერაში იკითხე“ (ავტოგრ., 40)<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, ვახუშტის XVIII ს. რედაქტორთა მიერ ჩართული ზოგი მასალისათვის ადგილი შეუნაცვლებია, თავისი გეგმის მიხედვით გაუნაწილებია და ამით „ახალი ქართლის ცხ<sup>ა</sup>ის“ თხრობის თანამიმდევრობაც დაურღვევია. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ანგარიშს უწევს ამ ჩანართებს და შენიშნავდა— „სამცხის აღწერაში“ მექნება ლაპარაკი მასზე, რაც აქ ჩაურთავთო.

\* \* \*

ვახუშტი იცნობდა ქართლის ცხოვრებაში შეტანილ არა მარტო წვრილმან შესწორებებსა და დამატებებს, იცავდა არა მარტო „ახალი ქართლის ცხოვ-

<sup>1</sup> ვახუშტის „ისტორიის“ ბაქრადისეულ გამოცემაში ეს შენიშვნები არაა.



რების თბრობის თანამიმდევრობას, არამედ იცნობდა იმ ჩანართე<sup>1</sup>საც, რაც XVIII ს. რედაქტორებს სხვადასხვა წყაროს მიხედვით გაეკეთებინათ. ჩვენ მიერ ზემომოყვანილი მასალებიდან ეს ნაწილობრივ ჩანდა, მაგრამ, ამ მოსაზრების უფრო ნათელსაყოფად, რამდენიმე სხვა მაგალითსაც დავასახელებთ.

ვახუშტი იცნობდა XVIII ს. ნუსხებში ჩართულ ნაწყვეტს პეტრე იბერის ცხოვრებიდან. XVIII ს. რედაქტორთა და ვახუშტის მიერ ჩართული ნაწყვეტი პეტრე იბერის ცხოვრებიდან საეცებით ერთნაირია, ასევე ერთნაირია ამ მასალის ადგილიც თბრობის თანამიმდევრობაში:

B

„დაჯდა ძე მისი ვარაზ-ბაქარ და შეირთო ცოლი, ასული თარდატისი, რევის ძისა. მირიანის ძის წულისა... ხოლო ამას ანგელოზისა ხარებითა მოენიჭა ძე, რომელსა უწოდეს მურვანოს“ (B 102—103).

ვახუშტი:

„გამეფდა ძე მისი ვარაზ-ბაქარ. ხოლო ამან შეირთო ცოლად რევის ძის თარდატის ასული და ანგელოზისა ხარებითა ეშვა ძე და უწოდეს მურვანოს“ (საქ. ისტ., 79; ავტოგრ.; 31).

XVIII ს. ქართლის ცხოვრების ნუსხებში, მურვან-ყრუს ლაშქრობის ამბავთან დაკავშირებით, მოტანილია ადგილები დავითისა და კონსტანტინეს წამებიდან (იხ. B 173—174). ვახუშტი იცნობს ამ დამატებას და იმავე რიგით, მურვანის გამოჩენასთან დაკავშირებით, მოკლედ მიუთითებს დავითისა და კონსტანტინეს წამებაზე (იხ. საქ. ისტ., 114; ავტოგრ., 39).

ვახუშტი იცნობდა და იმეორებდა XVIII ს. რედაქტორების მიერ სუმბატის ქრონიკის მიხედვით გაკეთებულ ჩანართებსაც. „ქართლის ნატიანის“ მოთხრობას ადარნასესა და ნასრის ბრძოლის შესახებ XVIII ს. რედაქტორები ავსებენ სუმბატის ქრონიკიდან ამოღებული ადგილებით. ამ შემთხვევაში ვახუშტი საეცებით იმეორებს XVIII ს. ნუსხებს სუმბატის ქრონიკის ჩამატებასა და მისი ზოგი ადგილის შესწორებაში:

AM

„იძლინეს აფხაზნი, ხოლო მოკლეს ნასრა და ბაყათარ... და ერისთავი აფხაზთა“ (A 165; M 225).

B

„იძლინეს ნასრი, და აფხაზნი, და ბაყათარ... და შეიპყრეს ნასრ და მოკლეს კევხა შინა ხამცხისასა, სოფელსა, რომელსა ეწოდების ასპინძა... და არა დაუშთა შული და ალიხოცა სახსენებელი მისი“ (B 194)

ვახუშტი

„იძლია ნასრე და ბაყათარ ოვსი, შეიპყრეს ნასრე და მოკლეს კევხა შინა ასპინძისასა და ალიხოცა თესლი მისი“ (საქ. ისტ., 125; ავტოგრ., 46).

როგორც ვხედავთ, XVIII ს. რედაქტორებს შეუსწორებიათ სუმბატის ქრონიკაც სადაც ნასრის მოკვლის ადგილად მცხეთა ყოფილა მითითებული

(იხ. სამი ხარ., 59); სხვა ყველაფერთან ერთად, ეს შესწორებაც გაიმეორა ვახუშტიმ.

ადარნასესა და ნასრის ბრძოლის შემდეგ „ქართლის მატიაზე“ მოგვითხრობს ფადლა ქორეპისკოპოსის გაძლიერებას, კონსტანტინე აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობასა და აბულ-კასიმის ლაშქრობას (იხ. A 165—166). XVIII ს. რედაქტორები კი მოთხრობას აგრძელებენ სუმბატის ქრონიკიდან ამოღებული ნაწყვეტით ბაგრატიონთა შესახებ. ვახუშტიც საესეებით მისდევს XVIII ს. ნუსხებს:

## B

## ვახუშტი

„ხოლო ოდეს ჯერეთ არ მომკუდარ იყო გურგენ კურატპალატი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, წარმოვიდა ესე გურგენ ტაოთ, კალმხით, მამულით თვისით, ცხოვრებად შავშეთსა არტანს, და მისსა შემდგომად შეიმტერნეს ურთიერთას, და შეკრბეს ლაშქარი ერთმანეთსა ზედა: ერთ კერძო გურგენ კურატპალატმან და ერთა მისთა, ზეორე კერძოსა ადარნასე მეფემან და ბაგრატ არტანუჯელმან. მოვიდეს ესენი ჯვესა არტანისასა, სოფელსა მგლინავს. და ჰბრძოდეს ერთმანეთსა, და მეოტ იქმნა გურგენ. წყლეს და შეიპყრეს, და მოკლდა... გურგენ კურატპალატი“ (B 194—195; შდრ. სამი ხარ., 59—60).

ამის შემდეგ, როგორც XVIII ს. ნუსხებში, ასევე ვახუშტის ნაშრომშიაც განმეორებულია „ქართლის მატიაზის“ ცნობები ფადლა ქორეპისკოპოსის გაძლიერების, კონსტანტინეს მიერ ქართლის დაპყრობისა და აგარიანთა ლაშქრობის შესახებ.

თხრობის თანამიმდევრობის დამთხვევა, სუმბატის ქრონიკის ერთნაირად შესწორება და აგრეთვე ფაქტების ერთნაირად მოთხრობა ჩვენ საესეებით გვარწმუნებს, რომ ვახუშტი ამ შემთხვევაში სუმბატის ქრონიკით უშუალოდ კი არა სარგებლობდა, აოამედ ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხების მეშვეობით, სადაც სუმბატის თხზულება ასე დაშლილი სახით იყო შეტანილი.

ვახუშტი იცნობდა და იმეორებდა იმ ჩანართებსაც, რომელნიც XVIII ს. რედაქტორებს „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ შეუტანიათ ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიაზის თხზულების მიხედვით.

თამარის ქმრობის მოსურნე აღსართანის ვინაობის შესახებ ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიაზის ცნობა, XVIII ს. რედაქტორებს თამარის ისტორიკოსის თხზულებისათვის დაურთავთ, რაც ვახუშტიმ მოკლედ გაიმეორა:

B

ვახუშტი

„რამეთუ თვსად იყოდა ეს აღსართან თამარს, რამეთუ მამის დედა ამისი, დიმიტრი მეფისა დაჲ, იყო დიდის დავით მეფის ასული“ (B 290; შდრ., A 238).

„კვალად მოვიდა... აღსართან მტრფედ რომელი ეყოდაცა თამარს დავითის ძეობით“ (საქ. ისტ., 202, ავტოგრ., 59).

ეპითაღმწერელს არ მოეპოვება არავითარი ცნობა რუსუდანის ხელის მთხოვნელთა შესახებ. XVIII ს. რედაქტორებს კი საჭირო მასალა ლაშა-გიორგის-დროინდელი მემკვიდრის თხზულებიდან ამოუღიათ და სქათანად ალავას ჩაურთავთ. ვახუშტიმ თავის თხზულებაში ეს ჩანართიც გაიმეორა:

B

ვახუშტი

„დაჲ მათი რუსუდან ითხოვეს ხლათის დასასმელად დიდმან სულტანმან მელიქმან, რომელსა ეგვიპტით ვიდრე ხლათამდე სპარსეთი ჰქონდა, და დააყენა მოწყალებამან ღეთისამან, და არაჲ ჰყო ესე: შემდგომად ამისა... სთხოვა შირვანზე. უქადეს და უბრძანეს მიცემისა პირი... ხოლო ღმერთმან აქაცა დააყენა“ (B 347—348; შდრ. A 244).

„ამას შინა მოითხოვა დაჲ მეფისა რუსუდან ხლათის სულტანმან, რომელსა ეპყრა ეგვიპტეცა, არამედ დააყენა მოწყალებამან ღეთისამან, კვალად როდენისამე ეამისა შემდგომად მოითხოვა შირვანზე და მისცეს პირი...“ (საქ. ისტ., 223; ავტოგრ., 64).

ვახუშტი იცნობდა და იმეორებდა ქართლის ცხოვრების კრებულში არა მარტო სხვადასხვა წყაროს მიხედვით დამატებულ ცნობებს, არამედ თვით „სწავლულ კაცთა“ მიერ აღწერილსაც.

ეპითაღმწერელი შალვა ახალციხელის შესახებ მოკლედ მიუთითებს: „შემდგომად წელიწადისა ერთისა მოიკლა სულტანისა მიერ არ დატევებისათვის სჯულისა“ (M 570). ეს მოკლე მოთხრობა არ მოსწონებიათ XVIII ს. რედაქტორებს და თვით გაუფრცხიათ. ხოლო ამის გამო იქვე შეუნიშნავთ: „ესე აქამომდე სულ მცირედ აღიწერა ჩუენ მიერ“ (B 351). მათ მიერ, ე. ი. XVIII ს. რედაქტორთა მიერ, აღწერილი და ვახუშტის მიერ თავის თხზულებაში განმეორებული ცნობა ასეთია:

B

ვახუშტი

„ხოლო შემდგომად წელიწადისა ერთისა აიძულებდა დატევებისა ჰსჯულისათა, და უქადაგებდა ნიჭთა დი პატივისა უმეტესთა. ხოლო აჰან არა ისმინა, არცაჲ აღირჩია წუთ-ეამისა ამის პატივი... კვალად სულტანი ლიქნიდა

„სულტანი ჰყრობილს შალვას აიძულებდა დატევებისათვის ქრისტესა, გარნა იგი არა ერჩოდა და სიმწნე აწოვნებისა მისისათვის შეიყვარა და ლიქნიდა ნიჭითა მრავლითა, და ვითარ არა თავს იღვა, მოკლა იგი ფიცხლითა ტანჯვი-

და ეტყოდა უარყოფასა ქრისტესა... თა და შეირაცხა წმიდათა მოწამეთა  
 კვალად სულტანი უქადოდა მრავალ შორის“ (საქ. ისტ., 225; ავტოგ., 65).  
 ფერიოთა სატანჯველითა... არამედ  
 იგი მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა  
 ზედა.. შემდგომად მრავალთა ტანჯ-  
 ვათა, მწარიოთა სიკუდილითა განი-  
 ყვანა საწუთროსაგან წმიდა შალვა,  
 და მოწამობისა გვრგვნიოთა შემკული  
 აღვიდა წინაშე ქრისტესა“ (B 351).

ვახუშტი იმეორებდა აგრეთვე „სწავლულ კაცთა“ მიერ, ჩვენთვის უცნო-  
 ბი წყაროების მიხედვით, მოპოვებულ ახალ ცნობებს, რომელნიც მათ „ახალ  
 ქართლის ცხოვრებაში“ შეუტანიათ.

თამარის ისტორიკოსების თხზულებებში არაფერია ნათქვამი იმის შესა-  
 ზებ, რომ ი ვ ა ნ ე ა ხ ა ლ ც ი ხ ე ლ ს, ივანე მხარგრძელზე ადრე, ქ. კარის აღე-  
 ბასთან დაკავშირებით, ათაბაგობა ებოძა. XVIII ს. რედაქტორებს კი ამ სა-  
 კითხზე სათანადო ცნობა ჰქონიათ და თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში  
 ჩაურთავთ კიდევ (იხ. B 318). რაც ვახუშტიმ თავის თხზულებებშიც გაიმეორა:  
 ივანე ახალციხელს „მისცა მეფემაცა კარი და ათაბაგობაჲ“ (საქ. ისტ., 2  
 ავტოგ., 62).

საქართველოში მონგოლების შემოსვლისას, ჟამთააღმწერელის მიხედვით,  
 რუსუდანმა თბილისს „დაუტევა მუხასძე (M. 593). თუ რა ერქვა მუხასძეს,  
 ჟამთააღმწერელის თხზულებიდან არ ჩანს XVIII ს. რედაქტორების ცნობით  
 კი მას გოჭი რქმევია: რუსუდანმა „ტფილისს მუხასძე გოჭი დაუტევა“  
 (B 359). ვახუშტი ამ ცნობის გავლენით იმეორებდა მუხასძის სახელს გოქს,  
 მაგრამ მას, როგორც ჩანს, სხვა წყაროც ჰქონია, რომელიც გოქის გვარის დად-  
 გენის შესაძლებლობასაც აძლევდა. ვახუშტი წერდა: „რუსუდან... დაუტევა  
 ტფილისი და წარვიდა ქუთათის, არამედ ამცნო მწარგრძელსა გოქს.  
 თუცაღა მოვიდეს თათარნი, მოწვას ტფილისი, რათა არა იპყრან მათ სადგუ-  
 რად“ (საქ. ისტ., 229; ავტოგ., 66).

ვახუშტი იმეორებდა XVIII ს. რედაქტორების მიერ ჩართულ ზოგ უმნიშე-  
 ნელო წინადადებებსაც კი. ასე, მაგ., თამარის შესახებ, „სწავლულ კაცებს“ ნა-  
 თქვამი აქვთ: „ამიერიოთგან გონება უხმს ვრცელი და ენაბრძნად მეტყველი, რო-  
 მელმანცა შეუძლოს ღირსებით აღწერის მიცემად წარმართებანი თამარის  
 საქმეთანი... გარნა ლომი ბრკალთაგან საცნაურ არს და თამარ  
 საქმეთაგან“ (B 291), რაც ვახუშტიმ შემდეგნაირად გაიმეორა: „ამიერიო-  
 თგან იწყების საქმენი თამარისანი, რამეთუ ვითარცა ლომი ტოტთაგან  
 იცნობების, ეგრეთ თამარ ამბავთაგან იცნობების“ (საქ. ისტ.,  
 202; ავტოგ., 59).

ვახუშტი ზოგჯერ ეთანხმება ქართლის ცხოვრების შემდგომელთ ამ თუ იმ მეფის მეფობის წლების განსაზღვრაში. ბაკურ მეფემ, XVIII ს. რედაქტორებისა და ვახუშტის მიხედვით, „იმეფა ათცამეტ წელ“ (B 150; საქ. ისტ., 103; ავტოგრ., 37), ხოლო, ბაკურის ძემ ფარსმანმა „იმეფა ათოთხმეტ წელ“ (B 151; საქ. ისტ., 103; ავტოგრ., 37). ასევე ვახუშტი იმეორებს XVIII ს. რედაქტორების მიერ მიღებულ ზოგ ქრონოლოგიასაც. დავითის ისტორიკოსის ცნობით, მეფემ ზედაზნის ციხე 323 ქორონიკონს აიღო (იხ. A 206)<sup>1</sup>, XVIII ს. რედაქტორების მიხედვით კი მაშინ „იყო ქორონიკონი ტკა (321)“ (B 241). ვახუშტი ამ უკანასკნელ ცნობას დაემყარა: „აღიღეს იმრუსალიმი ქრისტესაჩრა (1101), ქართულსა ტკა (321). იმავ ქორონიკონ. აღიღო ციხე ზედაძენი მეფემან“ (საქ ისტ., 174; ავტოგრ., 53). რაკი ვახუშტი ზოგჯერ „ახალი ქართლის ცხოვრებიდანაც“ იღებდა საჭირო ქრონოლოგიურ ცნობებს, მას შეეძლო განეცხადებინა, რომ „აღმოწერილი ქორონიკონები“ ამოვიღე „ქართლის ცხოვრებათაგან ძველთა და ახალთაო“ (საქ. ცხბა, 360).

როგორც ჩვენ მიერ შემოგანხილული მასალებიდან ჩანს, ვახუშტის ძირითად წყაროს, საქართველოს ძველი ისტორიის დამუშავებაში, შეადგენდა ქართველ ისტორიკოსთა ის თხზულებები, რომელნიც ქართლის ცხოვრების კრებულში იყვნენ შეტანილი. მაგრამ ქართლის ცხოვრების კრებულთაგან იგი უფრო იცნობდა ე. წ. „ახალ ქართლის ცხოვრებას“ ე. ი. XVIII ს. შევსებულ და შესწორებულ ნუსხას. ვახუშტი ამ „ახალ ქართლის ცხოვრებას“ მისდევდა თავისი თხზულების დასაბუთებაში, თბრობის თანმიმდევრობაში, ზოგ წერილმანში, ზოგი ისტორიკოსის ცნობების შესწორებაში და სხვ; რაც მთავარია, ვახუშტი იცნობდა და იმეორებდა იმ დამატებებს, რომელნიც XVIII ს. რედაქტორებს შეუტანიათ ქართლის ცხოვრების კრებულში ქართველ მოწამეთა ცხოვრების ღირსებით, სუმბატის ქრონიკისა და ლაშა-გიორგის-დროინდელი მემკვიდრის თხზულების დაშლით და ხათანაღო ადგილებში შეტანით. ვახუშტი იცნობდა თვით რედაქტორთა მიერ აღწერილსა და დამატებულსაც.

ამას გარდა, შემოთქმული გვიჩვენებს, რომ XVIII ს. რედაქტორებს ბევრი რან შეუტანიათ და შეუსწორებიათ „ძველ ქართლის ცხოვრებაში“, რომელთაც ვახუშტი არა თუ მარტო იცნობდა, არამედ იყენებდა კიდევ საქართველოს ძველი ისტორიის მოთხრობაში. ის დამატებანი და შესწორებანი, რომელნიც XVIII საუკუნეში ქართლის ცხოვრების კრებულში შეუტანიათ და რომელთაც ვახუშტი იცნობდა და იყენებდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, ვახუშტის კომისიის, ე. წ. „სწავლულ-კაცთა“ ნამუშავევად უნდა მივიჩნიოთ.<sup>2</sup>

<sup>1</sup> M-ში ზედაზნის ციხის აღების ქორონიკონი არაა ნაჩვენები.

<sup>2</sup> ვახუშტის ნაშრომში XVIII ს. რედაქტორთა მიერ შეტანილ ზოგ შესწორება დამატებათა განმეორება და ზოგჯერ ტექსტუალური დამთხვევა ვახუშტის შრომის პირველ ნაწილის ზოგიერთ ადგილს შემსვენებლთა მიერ ქართლის ცხოვრებაში შეტანილ დამატებებთან ძალაუფებრად გვაფიქრებინებს—ხომ არ იღებდა მონაწილეობას ვახუშტი ქართლის ცხოვრების ზოგი ადგილის შესწორებაში? ან კიდევ ქართლის ცხოვრების რომელიმე ნუსხას ხომ არ განუცდია ვახუშტის რედაქტორული ხელი? ჩვენ ექვს ამ მხრივ კიდევ უფრო აძლიერებს წერაკითვის გამავრცელებელი საზოგადოების № 281 ხელნაწერის (რომელიც ჰეტერბურგში 1477

## 2. ვახუშტი და ქართლის ცხოვრების II. V. თეიმურაზისეული ნუსხა

ე. თაყაიშვილმა ქართლის ცხოვრების თეიმურაზისეულსა და XVIII ს. სხვა ვარიანტებში შეტანილი შესწორება—დამატებანი ვახტანგის კომისიას მიაკეთებდა. თ. ჟორდანიამ კი, მიუთითა რა ვახტანგის კომისიის ღვაწლზე, აღნიშნა, რომ თეიმურაზისეული ნუსხა არ შეიძლება იყოს „სწავლულ კაცთა“ მოღვაწეობის შედეგი. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად იგი შემდეგ საბუთს ასახელებდა: თეიმურაზისეულ ხელნაწერში „შეტანილი ცნობები ვახუშტის არ ჰქონია და, მაშასადამე, არც იმ ქართლის ცხოვრების ვარიანტებში ყოფილა, რომელიც მას ხელში ჰქონია თვის ისტორიის და ისტორიული წერილების შედგენის დროს.. წარმოიდგინეთ ვახუშტის რომ ხელში ჰქონოდა ქართლის ცხოვრება თეიმურაზის ვარიანტით... როგორ არ შეიტანდა თვის შრომაში ისეთს შესანიშნავს ცნობებს, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე გვაძლევს თეიმურაზის ვარიანტი?“ (ქრონიკები, I, VIII). თ. ჟორდანიას მოსაზრება სწორი იყო, მხოლოდ ის ცდებოდა თეიმურაზისეული ვარიანტის დათარიღებაში, როცა მას XVIII ს. დამლევს აკუთვნებდა და იქ შეტანილ შესწორებებს კი თეიმურაზ ბატონიშვილს.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, რაკი ვახუშტი საეკლესიო მოთხრობათა გავრცობით დიანტერესებული იყო, თავის ისტორიაში რატომ უნდა, შეიტანდა სათანადო მასალებს ქართული ეკლესიის შესახებ, რაც ასე უხვად მოიპოვებოდა ქართლის ცხოვრების თაიმურაზისეულ ვარიანტში. მაგრამ არც ერთი ამითგანი ვახუშტის არ შეუტანია, რადგან მისთვის ქართლის ცხოვრების ეს ვარიანტი ალბათ უცნობი იყო. „ამის გამო, დასკვნის ივ. ჯავახ შვილი, სრულეზიბი ცხადია, რომ არც თეიმურაზისეული, არც რუმინანციევის მუხეუმისა, არც მით უმეტეს ბართაშვილისეული და ფალავანდიშვილისეული ქართლის ცხოვრების ხელნაწერები არ შეიძლება ვახტანგის რედაქციად ვიცნოთ, იმისდა მიუხედავად, რომ პირველი ორი ხელნაწერი ვახტანგ VI-ის დროინდელია“ (ძველი ქართული საისტ. მწერლობა, 316).

წ. ყოფილა გადაწერილი ტექსტისავე ხელით შესრულებული მინაწერი: „ესე ქართლის ცხოვრება პირველდ შედგეს ვახტანგ თვით ეყუთებინა ქართლ მყოფობასა და მერმე რუსეთს ძველთა გუჯრებთა და ცხოვრებთა მოხუცებულ მახსოვარ მეცნიერთა საქართველოს კაცთაან დიდის გამოყვლივით და გამოძიებით გულს მოდგინედ ეყუთებინა, რომ საქართველოს ცხოვრება ნოეს შვილის იფფეთის ქართლოსიადამ აქომამდედ რა როგორ ყოფილა. ან შეფენი ვინა მსხდარან და ან რა ეამები და დრონი ყოფილან, ბატონიშვილის ვახუშტის თანხლებით ეყუთებინა და არღარ დასცლებოდა თანამდებობისაგან სიყდილიისა. მერმე მეფე რომ ახტარხანს გარდაცვალებულ იყო, ბატონიშვილს ვახუშტის შეგარულეზინა და არს აქ შეფენი ირაკლესამდედ...“ (ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი, „მოამბე“, 1901 წ., V, 67—68) ამგვარივე შინაარსის მინაწერი გაკეთებული აქვს აგრეთვე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების № 2410 ხელნაწერსაც.

ვახუშტის მონაწილეობას ვახტანგისეულ კომისიაში უარყოფს თვით ვახუშტის ჩვენ მიერ ზემოთყვანილი ცნობა და მისი კამათიც ამ კომისიასთან; მაგრამ შოტანილი მინაწერი მაინც ნიშანდობლივია და შეიძლება იმაზე მიგვითითებდეს, რომ ქართლის ცხოვრების ზოგი ნუსხა, ან კიდევ მისი გარკვეული ადგილები, ვახუშტის მიერ იყო შესწორებული.

ვახუშტის შრომის ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხებთან შედარება გვარწმუნებს, რომ, მართლაც, ვახუშტის თავის „ისტორიაში“ ბევრი, მისთვის საეკლესიო ცნობა არ შეუტანია, რაც არა მარტო თეიმურაზისეულ ნუსხაში იყო, არამედ ზოგ სხვა XVIII ს. შევსებულ ქართლის ცხოვრებაში.

ვახუშტი არ იცნობდა XVIII ს. ზოგი ნუსხის მიერ დართულ ანდრია მოციქულისა და სვიმონ კანანელის მოღვაწეობის ვრცელ აღწერილობას<sup>1</sup>. ანდრიას მოღვაწეობის შესახებ ვრცელი ცნობა XVIII ს. ნუსხებში დართულია ადერკის მეფობის აღწერისას. ამ შემთხვევაში ვახუშტი საესებით მისდევს ქართლის ცხოვრების A და M ნუსხებს (იხ. საქ. ისტ., 45; A 27; B 40—46), და კმაყოფილება „ძველი ქართლის ცხოვრების“ მოკლე მითითებით ამ მოღვაწეთა შესახებ.

ვახუშტის, მისდევს რა „ქართლის მატიანეს“ დავით ბაგრატიის ძის შთავრობის აღწერაში, არა აქვს შეტანილი არც ერთი ის დამატება, რაც ამ შემთხვევაში XVIII ს. შემესებელთ „ქართლის მატიანისათვის“ დაურთავეთ, ე. ი. ყველაფერი ის, რაც ბროსესეული გამოცემის 192—193 გვერდებზეა ჩართული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ან ვახუშტის შემდეგ არის შეტანილი, ან კიდევ მას საჭიროდ არ უცნია იმ მშრალი ქრონოლოგიური ცნობებით დამტკიცება თავისი შრომისა, რომლებიც ასე ბლომად იყო XVIII ს. ნუსხებში. ამგვარადვე, ვახუშტისათვის უცნოა ია სუმბატის ქრონიკიდან ამოღებული და „ქართლის მატიანეში“ შეტანილი დამატებანი ბაგრატ რეგვენისა და სხვა ბაგრატიონთა შესახებ (იხ. B 201).

ბაგრატ III-ის მეფობის აღწერაში ვახუშტი მისდევს „ქართლის მატიანეს“. აღსანიშნავია, რომ ვახუშტის არაფერი აქვს ნათქვამი დავით კურაპალატის შესახებ ე. ი. გამოტოვებული აქვს ის, რაც აქ თეიმურაზის ვარიანტში კოფილა ჩართული „იოანე და ექვთიმეს ცხოვრებიდან“ ბარდა სკლიაროსის განდგომისა, დავით კურაპალატისა და ექვთიმე მთაწმინდელის შესახებ (B 205).

ბაგრატ III-ის მეფობის აღწერაში ვახუშტისა და XVIII ს. ნუსხების თხრობის ერთნაირობას არღვევს ნაწყვეტი მელქისედეკ კათალიკოზის სიგლიდან (იხ. B 212—213). ეს ნაწყვეტი „იოანე და ექვთიმეს ცხოვრებიდან“ ე. თაყაიშვილის შენიშვნით, შეტანილია თეიმურაზის ვარიანტში ტექსტის ხელით (იხ. Опис.. II, 79). ვახუშტი არ იცნობს ამ ნაწყვეტებსაც. თუ მელქისედეკ კათალიკოზის სიგლის ნაწყვეტს გამოვტოვებთ, ვახუშტის და XVIII ს. ნუსხების მოთხრობის თანაიმდევრობა, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, საესებით ერთნაირი იქნება.

ქართლის ცხოვრების თეიმურაზის ვარიანტი გიორგი I-ის დროინდელი ამბების მოთხრობისას ურთავს ცნობებს აგრეთვე მელქისედეკ კათალიკოზის სიგლიდან. ეს დამატებაც უცნობია ვახუშტისათვის (იხ. B 218), ასევე უცნობია მისთვის სხვა ჩანართებიც იმავე სიგლიდან.<sup>2</sup>

<sup>1</sup> მ. ბროსეს შენიშვნით ეს აღწერილობა ასე ვრცლად არ არის R (რუმინანცივისეულში) და არც T (თეიმურაზისეულში) იხ. B. 42, შენ. 2.

<sup>2</sup> იხ. B 220—221 (პსტრიქი), 221 გვ. (უკანასკნელი 4 სტრიქი), გვ. 222 (22 სტრიქი).

ვახუშტი არ იცნობს ქართლის ცხოვრების თეიმურაზისეული ნუსხის ცნობას კათალიკოზ—პატრიარქის ოქროპირის გარდაცვალების და ჯერ გიორგი ტაოელის, ხოლო შემდეგ ვაბრიელ საფარელის დანიშვნის შესახებ (იხ. B 233 შდრ. Опис., II, 80—81), ამ უქანასკნელის გარდაცვალებისა და კათალიკოზად იოანეს დასმის შესახებ (იხ. B 21). ვახუშტისათვის უცნობია აგრეთვე თეიმურაზის ვარიანტში მოცემული თამარის მეფობის დასაწყისში მოწვეული „საეკლესიო კრების“ ვრცელი აღწერა (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტ. მწერლობა, 316).

პირველი დამატება ეამთაღმწერლის თხზულებაში, რომელსაც ვახუშტი არ იცნობს, მ. ბროსეს შენიშვნით, თეიმურაზისეულსა და რუმინანცევისეულშიც არ არის, ის რეპროდუქციაა მ. ბროსეს საკუთარი ხელნაწერისა (იხ. B 440, შენ. 2) და აგრეთვე მოიპოვება მეგრელიისა და ბარათაშვილისეულ ვარიანტებში (იხ. B 440—443; შდრ. M 772—777 შენ. 12).

ვახუშტისათვის უცნობია სხვა დამატებაც, ეამთაღმწერლის თხზულებაში შეტანილი—ვახტანგ III-ის ყენის კარზე გამგზავრებისა და მისი აღსასრულის შესახებ, რომ „ნახჭევანს შეეღვა საღმობა მუცლისა და მოკუდა“ (B 444—445;—M780—82, შენ. 13). ვახუშტი რომ არ იცნობდა ამ უქანასკნელ იმბავს, ეს მისი შემდეგი შენიშვნიდან ჩანს: „არამედ ამ ვახტანგისა ვითარ აღსრულდა, არა არს ცხოვრებასა შინა, გინა იცნობის მუნ ქვემოთ და ყენთაგან, ესრეთ ვითარცა აღგვიწერია და აღსრულებასაცა მისსა ვგონებთ მოწამებით, ვითარ აჩენს ცხოვრება ცხადათ“ო (საქ. ისტ. 269; ავტოგრ. 79).

როგორც ვხედავთ, ვახუშტისათვის უცნობია უმაჯგურესად თეიმურაზისა და ზოგ სხვა, XVIII ს. ნუსხაში შეტანილი დამატებანი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ვახუშტი დაინტერესებული იყო ძველ საისტორიო მწერლობაში შემოკლებით მოცემულ საეკლესიო მოთხრობათა გავრცობით, ცხადია, რომ იგი ყველა ამ დამატებას ყურადღებას მიაქცევდა და სათანადოდ გამოიყენებდა კიდევ. ამას გარდა, ჩვენ უკვე ვუწვინეთ, თუ როგორ ექცეოდა ვახუშტი იმ დამატებებს, რაც ქართლის ცხოვრებაში შეტანილ იყო XVIII ს. რედაქტორების მიერ. ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანდა, რომ ვახუშტი არც ერთ დამატებას უყურადღებოდ არ ტოვებდა—ან იმეორებდა, ან აკრიტიკებდა მათ. ზემოთქმულის გამო, პირველ რიგში მის ყურადღებას სწორედ თეიმურაზისეულ ნუსხაში მოცემული ცნობება მიიქცევდა და თუ ვახუშტი მათ ყურადღებას არ აქცევდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ესენი მისთვის უცნობი იყო.

როგორც ვნახეთ, ვახტანგ VI-ის შვილსა და მისი დროის მოღვაწეს, ვახუშტის, ხელთ ჰქონია „ახალი ქართლის ცხოვრება“, და რომ „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი დამატებანიც ყოფილიყო, ვახუშტისათვის ყველაფერი ეს ცნობილი იქნებოდა. ყოველივე ამის გამო შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თეიმურაზისეული ნუსხის აღნიშნული დამატებები და აგრეთვე ზოგი სხვა ნუსხის ჩანართები არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ვახტანგის სწავლულ კაცთა ნამოღვაწეარად და ამდენად, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვსთქვათ „თეიმურაზისეული ქცაც, რუმინანცევის მუხუშმისა და მით უმეტეს ბარა-



თაშვილისეული და ფალავანდიშვილისეული ქცანი ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ რედაქციის ნაყოფი კი არ არის, არამედ სხვა, გარეშე პირთა და ისტორიკოსთა ნამუშევარია, რომელთა შრომა ვახუშტს, როდესაც ის თავის თხზულებას წერდა, ეტყობა თვალთაყ კი არ უნახავს“. (ძველი ქართული საისტ. მწერლობა, 317).

## II

### ვახუშტის ღამოკიდებულება ძველ- ქართულ საისტორიო მწერლობისადმი

მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტის ძირითად წყაროს ქართლის ცხოვრების კრებულში შესულ ისტორიკოსთა თხზულებები შეიადგენდა, იგი, როგორც ისტორიკოსი, საქართველოს ძველი ისტორიის მოახრობაში საკუთარი გეგმით ხელმძღვანელობდა და ქართლის ცხოვრებაში თუ სხვა მის წყაროში დაცულ-მასალას ამ გეგმის მიხედვით ანაწილებდა.

ლეონტი მროველი, სანამ მირიანის გაქრისტიანების ამბავს მოგვითხრობდეს სხვათა შორის საუბრობს მირიან მეფის და კონსტანტინე კეისრის ბრძოლისა და ამ უკანასკნელის გამარჯვების შესახებ (A 43—44). ხოლო წმ. ნინოს ღვაწლისა და მირიანის გაქრისტიანების ამბავის აღწერასთან დაკავშირებით იგი ისევ იხსენიებს კონსტანტინეს მიერ მირიანის „ოტებას საბერძნეთიდან“ (A62). ვახუშტის კი, რომ მკითხველისათვის გაუგებარი არ ყოფილიყო, თუ რატომ იქნა მირიან „ოტებული საბერძნეთით“, ლეონტი მროველის მიერ შემოშობილი იქ ვადაუტანია, სადაც მირიანის გაქრისტიანებაზე იყო საუბარი (იხ. საქ. ისტ., 65; ავტოგრ., 30).

ჯუანშერი, ნიქოზის საეპისკოპოსოს გახსნასთან დაკავშირებით, იხსენიებს, რომ აქ „ეფლა გუამი წმიდისა რაჲდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისასა“ (A. 136; M 176; B 116). მაგრამ, როდის, რომელი ბრძოლის დროს იქნა რაჲდენი წამებული, ჯუანშერს არა აქვს აღნიშნული. ვახუშტიმ წყაროს ეს მითითება გამოიყენა და ამავე დროს უფრო ადრე და კონკრეტულად მიუთითა რაჲდენის წამებაზე, თუ როდის აწამეს იგი (იხ. საქ. ისტ., 96; ავტოგრ., 35).

ჯუანშერი, სრულიად სხვა ფაქტთან დაკავშირებით, შემთხვევით იხსენიებს სტეფანესა და აბიბოს ნეკრესელს, რომელნიც წამებულან სპარსთა მიერ (A 147). ვახუშტის ამ მასალებისათვისაც თავთავიანთი გარკვეული ადგილები მიუჩნევია: აბიბოს ნეკრესელის წამება ბაქურის (557—570) მეფობის დროისათვის ვადმოუტანია, მისი აზრით, ქასრეს საქართველოში შემოსვლისას „იწამა აბიბოს ნეკრესელი“ (საქ. ისტ., 106; ავტოგრ., 38); ხოლო სტეფანოზის დროს (600—619) „აწამეს ქრისტესათვის სტეფანე მცხეთელი კათალიკოზობასა შინა სამოელისასა“ (საქ. ისტ., 111; ავტოგრ., 38).

ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხები გიორგი II-ის შესახებ მოთხრობას ათავებენ იქ, სადაც თავდება „მატიანე ქართლისაჲ“ (B 236), ხოლო დავითის

ისტორიკოსის ცნობები გიორგი II-ის შესახებ შესავალის სახით უძღვის დავით აღმაშენებლის ისტორიას (B 236—240). ვახუშტი განსხვავებულად ექვეყა ამ ორ წყაროს. იგი აერთებს „ქართლის მატეანისა“ და დავითის ისტორიკოსის ცნობებს გიორგი II-ის შესახებ (საქ. ისტ., 167—172; ავტოგრ., 52—53).

ვახუშტი არღვევს ეპითაღმწერლის თხრობის თანამიმდევრობასაც. თუ ეპითაღმწერელი დავით ლაშას ძის თავგადასავალს და სასწაულებლივ გადარჩენას დავით რუსუდანის ძის ბათო და მანკუ ყაენთან გაგზავნის ამბავთან დაკავშირებით მოუთხრობს, ვახუშტი ამავე საგანზე უფრო ადრე საუბრობს, როცა სიტყვის ჩამოაგდებს რუსუდანის მიერ თავისი მცირეწლოვანი შვილის მეფედ კურთხევის შესახებ (იხ. M 610—620; საქ. ისტ., 226; ავტოგრ., 65—66).

აღსანიშნავია, რომ ვახუშტის, თავის თხზულების საკუთრივ ისტორიის გემგველ ნაწილში, არსად არა აქვს არც ერთი სიტყვა ნათქვამი ამა თუ იმ მეფის მიერ წარმოებულ მშენებლობაზე. ამგვარი ცნობები, რაც კი ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში მოიპოვებოდა, მას საისტორიო გეოგრაფიაში გადაუტანია.

ამგვარადვე ზოგი ცნობა, რომელიც საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს შეეხებოდა, ვახუშტის გადაუტანია თავის „ისტორიის“ მეორე ნაწილში, და ამიტომაც პირველ წიგნში ხშირად შეგვხვდებით შენიშვნებს—აჲა და იმ საკითხზე „სამცხის აღწერაში“, ან კიდევ „ოდიშის აღწერაში“ და სხვაგან ნახეო. ასე, მაგ., ვახუშტის ბაგრატიონთა გენეალოგიის შესახებ ვრცელი კამათი „სამცხის აღწერაში“ გადაუტანია.

\* \* \*

ვახუშტი, როგორც აღვნიშნეთ, ძველ-ქართველ მემბტიანეებს „მოქმედების“ გავრცელებულ აღწერას უწუნებდა, თვით კი მიუთითებდა—მოთხრობა შევამოკლე, რომ ისტორია „მკითხველთა არა საწყინოდ და ადრე საცნობლად იყოსო“. მართლაც, ვახუშტი თავის ნაშრომში, ძირითადად მისდევდა რა პირველ წყაროებს, ამოკლებდა მემბტიანეთა მიერ ვრცლად მოთხრობილ იმა თუ იმ ეპიზოდს. ასე, მაგ., ვახუშტის თავის „ისტორიაში“ გამოტოვებული აქვს ლეონტი მროველის მიერ მოცემული ნებროთისა და ჰაოსის ბრძოლის ვრცელი აღწერა. ის მოთხრობას უშუალოდ ქართლოსიანთა ამბით იწყებს (იხ. საქ. ისტ., 28; ავტოგრ., 15; შტრ. A 3—4; M 3—5; B 17—19). ამგვარადვე, იგი ამოკლებს ლეონტი მროველის მოთხრობას ხაზართა გამოსვლის, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისა და სხვათა შესახებ. თუ კი ლეონტი მროველს თხზულებაში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის აღწერას რამდენიმე გვერდი ეთმობა (A 11—13; B 26—28), ვახუშტი ყოველივე ამას ორიოდ სიტყვით მოკრის.

ვახუშტის შეუმოკლება მისი სხვა წყაროც, მაგრამ დიანტერესებულ მკითხველს რომ უფრო ვრცელი მასალის გაცნობის შესაძლებლობა ჰქონოდა, ამა თუ იმ წყაროზე იგი იქვე მიუთითებდა. ვახტანგ გორგასალის მეფობის

აღწერაში ვახუშტი სავსებით იმეორებდა ჯუანშერს, მაოლოდ ამოკლებდა მას და ამავე შექმნევაში იქვე მიუთითებდა—ამ სავანზე „ვახტანგის უპრცელეს ცხოვრებასა წინა ნახეო“ (ავტოგრ. 34)<sup>1</sup>, ასევე ექცოდა ვახუშტი დავითის ისტორიკოსსაც: „ვის ნებაჲს ქება დიდებისა დავითისათვის, იკითხე წიგნი თვთ ცხოვრებისა მისისა და მუნ სცნობ“ (ავტოგრ., 55)<sup>1</sup>.

ვახუშტის შეუმოკლებია გამთაღამწერელის თხზულება. ამ შემთხვევაში მას გამოუტოვებია ყველა ის მასალა, რაც უშუალოდ საქართველოს არ შეეხებოდა. ზოგან საქართველოს შესახებ მასალაც შეუმოკლებია. მაკრამ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერ ბატონიშვილს ამ შემოკლებაზე დროს მაინცდამაინც მათიანეთა თხრობის უქვევლობისათვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია.

მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ითქვას, რომ ვახუშტი კრიტიკული მეთოდით არ სარგებლობდა, რომ ის თავის თხზულებებში მხოლოდ იმეორებდა ქართლის ცხოვრების ცნობებს. ვახუშტი ქართლის ცხოვრების გავლენის ქვეშ რჩებოდა მხოლოდ მაშინ, როცა მას არ გააჩნდა სხვა მასალა სათანადო შესწორების შეტანისათვის, მაგრამ, თუ კი ასეთი რამ ხელთ ჰქონდა, იგი აკრიტიკებდა, ასწორებდა და ავსებდა როგორც ძველ მექათიანეთა ცნობებს, ასევე XVIII ს. რედაქტორთა მიერ დამატებულ მასალასაც.

ვახუშტის კრიტიკული მეთოდის ერთ-ერთ ნიმუშად შეიძლება წარმოვადგინოთ მისი კამათი XVIII ს. რედაქტორებთან ბავრათიანთა წარმოშობასა და ქართლში დამკვიდრების შესახებ.

ვახუშტიმ სავსებით სწორად შენიშნა XVIII ს. რედაქტორების უხეირო კომპილაციის შედეგად მიღებული წინააღმდეგობანი ამ საკითხის გარკვევაში. მან პირველ რიგში მიუთითა იმ წინააღმდეგობებზე, რაც შეიჭლებოდა გამოეწვია ჯუანშერის თხზულებებისა და სუმბატის ქრონიკის კომპილაციას.

როგორც ცნობილია, სუმბატ დავითის ძე არას ამბობს იმის შესახებ, რომ ბავრათიონები, კერძოდ გურამი, იყო „ნათესავთაგანი მეფეთა ქართლისათა“. მისი აზრით, გურამი და მისი ძმები არიან „ძენა სოლოჰონისანი“ (სამი ხრ., 43), რომელთაგან ერთი, გურამი, მეფობის მოშლას შეჰქდევ, ხდება ქართლის ერისმთავარი (იქვე, 45).

ჯუანშერის მიხედვით კი გურამი ქართველ მეფეთა მონათესავე იყო, „ძმისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა... რომელ მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს“ (A 143; B 161)<sup>2</sup>. ამდენად ამ ორ წყაროს შორის მრავალგვარი წინააღმდეგობა იყო, რაც ქართლის ცხოვრების XVIII ს. რედაქტორებს ვერ შეუნიშნავთ. ვახუშტიმ ყოველივე ეს ადვილად შეამჩნია.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი როგორც ჯუანშერის, ასევე სუმბატის ცნობასაც ნდობით უყურებდა. მხოლოდ საჭირო იყო ჯერ მათი კრიტიკა, სათანადოდ შესწორება და მხოლოდ შემდეგ მოხერხებული შერიგება.

<sup>1</sup> ეს შენიშვნები ბაქრაძისეულ გამოცემაში არ არის.

<sup>2</sup> M და B მიხედვით „დისწული მირდატისი“.

როგორია ვახუშტის კრიტიკა და საბუთები ამ ორ სხვადასხვა წყაროს კომპილატორთა შინააღმდეგ?

...„ზირველად, წერს ვახუშტი, წერილ არს ცხოვრებასა შინა, რამეთუ გურამ იყო დისწულისაგან ვახტანგ გორგასალის ძისა, და თუმცა ეს გურამ, რომელი გამეფდა შვიდთა ძმათაგანი იყო, არღარა ასულის წული იქმნების ვახტანგ გორგასალისა, ვინადგან სოლომონს ფილისტიმესა შინა არა ესეა ვახტანგ მეფის ასული ცოლად“ (საქ. ცხბა, 232—233). ე. ი. თუ ის გურამი, რომელიც გამეფდა, სოლომონის ძეთაგანი იყო, ვახტანგის ასულის წული როგორ იქნებოდა, როცა სოლომონს ცოლად ვახტანგის ასული არ ყოლიო. ამას გარდა, წერს ვახუშტი, „გარნა კვალად წერილ არს კურატპალატობა მეფისა გურამისა: ჰსცან, რამეთუ არა იგი შვიდთა ძმათაგანი იყო კურატპალატი“ (იქვე, 233). „კვალად წერილ არს,—განაგრძობს ვახუშტი, ცხოვრებასა შინა, რამეთუ არჩილ მეფემან მისცა გურამ კურატპალატის [მამის] ძის ძის ძეს ასული მირ მეფისა, ესეც სცან რამეთუ შვიდთა ძმათაგანსა გურამს არა ესეა მამის ძმა, არცა მამის ძმის ძე, ვინადგან შვიდნი ძმანი მოვიდნენ და არა ბიძა-ძმისწულნი“ (იქვე). მართლაც სუმბატის მიხედვით, სომხეთში და საქართველოში შვიდი ძმა მოვიდა და „არა ბიძა-ძმისწულნი“, ასე რომ გურამს არ შეიძლება ჰქონდეს ცოლი და „მამის ძმა და არცა მამის ძმის ძე“. მაგრამ, შეიძლება ფიქრობს ვახუშტი, რომ მიხრობელს მხედველობაში ჰქონდა არა შვიდძმათაგანი გურამი, არამედ სტეფანოზის ძე გურამი. ვახუშტი პასუხს აქვს პოულობს: „უკეთუ სტეფანოზის ძის გურამ კურატპალატისას იტყვის ცხოვრება, არ ესეა გურამის ბიძასა დემეტრეს, მთავრის სტეფანოზის ძმასა, ძე, ვინადგან სწულ იყო და უცოლო“ (იქვე). ჯუანშერის ცნობით, დემეტრე მართლაც სენით ყოფილა შეპყრობილი (იხ. A 145; B 166). თუ ამ გურამის ბიძას დემეტრეს ცოლი არ ჰყავდა, რა თქმა უნდა, სწორია ვახუშტი, ძეც არ ეყოლებოდა და მის ძის ძეს ვერ მისცემდა არჩილი მირის ასულს ცოლად. ამრიგად, ვახუშტის მიხედვით ქართლის მეფე გურამი ის მეფე კი არაა, რომელიც სოლომონის სხვა შვილებთან ერთად ქართლს მოვიდა, და არც ის სტეფანოზის ძე გურამია, რომელმაც შემდეგ კურატპალატობა მიიღო.

ვახუშტის სხვა საბუთიც მოჰყავს თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად: „კვალად იტყვის ცხოვრება ბაგრატიონობასა მათსა, რამეთუ ესე გურამ არა მის ბაგრატიისაგან იყო, რომელიცა შეიყვანა რაქაელ დედოფალმან სიძედ<sup>1</sup>, არამედ გურამისაგან ძმისა მისისა, რომელი მოვიდა ქართლს და ამისგან ჯერ იყო გურამიანობა და არა ბაგრატიონობა“ (იქვე). თუკი ბაგრატი ქართლს არ შემოსულა, აქ ბაგრატიონობა კი არ იქნებოდა, არამედ გურამიანობაო. რომ საქართველოს მოსულნი „ძენი სოლომონისანი“ ბაგრატიონებად არ იწოდებოდნენ, ამას ვახუშტი იმითაც ამტკიცებს, რომ გურამის დანარჩენი ძმები, რომელნიც კახეთსა და კამბეჩოვანს დასახლდნენ, „ცხოვრებაში“ ბაგრატიონებად არ იხსენებიან (იხ. იქვე).

<sup>1</sup> შტრ. სამი ზრ., 45.

დასასრულს ვახუშტი კიდევ ერთ საბუთს ასახელებს: „კვალად მეხუთე, ესეცა წერილ არს, რამეთუ დავით აღმაშენებელი იყოს მესამოცდაათურამეტე ნათესავი დავით წინასწარმეტყველისაგან და უკეთუ ესრეთ არ იყო, ვითარცა აღწერიეთ, გურამ, ბაგრატ და გურამ, მოაკლდების ორნი ნათესავნი დავით წინასწარმეტყველიდამ აღმაშენებელისამდე“ (იქვე, 233, 234). დავითის ისტორიკოსის თქმით, „იწყო აღმოსცისკრობად... სამეოცდამეთურამეტემან შვილმან დავითისამან, დავით“ (A 204; B 240), ე. ი. დავით აღმაშენებელი მე-78 ნათესავად ითვლებოდა. ხოლო XVIII ს. რედაქტორთა მიერ მიღებული ბაგრატიონთა გენეალოგიის მიხედვით დავითი მე-76 ნათესავი უნდა ყოფილიყო. რადგან ეს უკანასკნელი ორ თაობას (ადარნასე და სტეფანოზ II) აკლებდნენ სუმბატის მიერ წარმოდგენილ ბაგრატიონთა შტოს. ყოველივე ამით კი, ვახუშტის სამართლიანი შენიშვნით, წინააღმდეგობაში მოდიოდნენ ძველ-ქართულ ისტორიოგრაფიაში განმტკიცებულ შეხედულებასთან.

როგორია ვახუშტის მოსაზრებანი ბაგრატიონთა შესახებ? სამცხეში, მირდატის ერისთაობის დროს, მოვიდა „ნათესავი დავით წინასწარმეტყველისა შეიდთა ძმათაგანი გურამ და ითხოვა მისგან მკვიდრობა მის თანა“ (საქ. ცხზა, 223). მირდატმა შეიწყნარა იგი და მისცა „დაჲ თვისი გურამს ცოლად და სამკვიდრებლად ტაო და... უწოდა ტაოს ერისთავად“ (იქვე).

ვახუშტიმ, როგორც ვხედავთ, მოხერხებულად დასძლია ის წინააღმდეგობა, რაც ჯუანშერისა და სუმბატის თხზულებებზე შორის იყო და რაც ამდენად ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხებს ახასიათებდა. მაგრამ ამისათვის ვახუშტის მოუხდა სოლომონის ძეთა ქართლში მოსვლის თარიღის ოდნავ გადაწევა. ისინი ქართლში, ვახუშტით, მოდიან არა მეფობის დასასრულისათვის, არამედ ადრე. დაჩის მეფობისა და მირდატის ერისმთავრობის დროს (508 წ.). ყოველივე ამისათვის, რა თქმა უნდა, მას არავითარი ფაქტიურა მასალა არ გააჩნდა, გარდა თავისი მახვილგონიერი მოსაზრებისა.

ვახუშტი ასწორებს რა სუმბატისა და ჯუანშერის ცნობებს, წერს: „ხოლო გურამ ტაოს ერისთაობასა შინა შვა ძე მირდატის დისაგან და უწოდა სახელად ბაგრატი. ძმისა თვისისა ბაგრატის სახელი“ (საქ. ცხზა, 224). გურამს მეორე ძეც ეყოლა, მის სახელს ვახუშტი არ იხსენიებს, ეს არცაა საინტერესო მისთვის.

გურამი დავითის ჩამომავალი და მირდატის სიძე, „ტაოს ერისთაობასა შინა მოკუდა ქს ფლბ“ (532 წ.) (იქვე) ისე, რომ მას ქართლის მეფობისათვის არ მიუღწევია. ასევე, „მოკვდა ბაგრატ (გურამის ძე, შპ მ.) ერისთავი მორჩილებასა შინა მირდატის ძისათა ქს ფაშ (568 წ.) და დაუტევა ძე გურამ სახელით“ (იქვე, 224, 225). ამასობაში ამოწყდნენ მირდატის ძენიც, და „პაპი-დისწულსა თვისსა გურამს“ დაუმკვიდრეს მათი სამკვიდრებელი და „უწოდეს მირდატოვანი“ (იქვე). მაგრამ, გურამმა „მერმე შეიცვალა სახელი მირდატოვნობისა ბაგრატიონად მამისა თვისისა სახელისათვის“ (იქვე, 225), რომელსაც კეისარმა ჯერ კურაპალატობა მიანიჭა, ხოლო შემდეგ „მისცა მეფობა საქართველოსი“ (იქვე).




ამრიგად, წყაროთა მახვილგონიერი შესწორებით ვახუშტიმ უჩვენა, რომ ბაგრატიონები დავითის ჩამომავალი არიან (ე. ი. დაიცვა სუმბატის მითითება), რომ მათი პირველი წარმომადგენელი დაესიძა ქართველ მეფეთა ჩამომავლებს და ამით დაამტკიცა მომავალი მეფის, გურამ ბაგრატიონის ნათესაობა ქართველ მეფეებთან (ე. ი. დაიცვა ჯუანშერის მოთხრობა) და ბოლოს უჩვენა, თუ რატომ უნდა წოდებოდათ სოლომონის ამ ჩამომავლებს ბაგრატიონები, რაც სუმბატის ქრონიკიდან და არც XVIII ს. ქართლის ცხოვრებიდან არ ჩანდა. თუ სუმბატის, ვახუშტისა და XVIII ს. რედაქტორების მიერ შემუშავებულ ბაგრატიონთა გენეალოგიას ერთმანეთს შევადარებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

სუმბატის ქრონიკით

ვახუშტით

ქართლის ცხოვრების ვახუშტის მიხედვით



გენეალოგიურ შტოთა შედარება გვარწმუნებს, რომ ვახუშტის მიერ ქართლის ცხოვრების XVIII ს. ნუსხებში შეტანილი მთავარი შესწორება „ორი ნათესავის“ — გურამისა და ბაგრატის, — დამატებაში გამოიხატა, რითაც დაძლეულ იქნა ყველა ის წინააღმდეგობა, რაც სუმბატისა და ჯუანშერის თხზულებათა კომპილაციით იყო გამოწვეული.

<sup>1</sup> ადარნასე და სტეფანოზ II, როგორც ბაკურის მეკვიდრენი, ამოღებული აქვთ ვახუშტისა და XVIII ს. რედაქტორებს ბაგრატიონთა გენეალოგიიდან.

რაკი ჯუანშერი ადარნასეს ბაკურის ძედ აცხადებდა, XVIII ს. რედაქტორებმა ადარნასე და მისი ძე სტეფანოზი სუმბატის მიერ შემუშავებული ბაგრატიონთა გენეალოგიიდან ამოიღეს (იხ. B 186) და ამის გამო გენეალოგიაც ნაკლები აღმოჩნდა. ვახუშტიმ ეს ნაკლი „ორი ნათესავის“ დამატებით შეავსო, სხვა მხრივ კი სავსებით გაიმეორა ის გენეალოგია, რომელიც XVIII ს. რედაქტორების მიერ შეტანილ იქნა ქართლის ცხოვრებაში.

ვახუშტიმ კრიტიკულად შეხედა აგრეთვე XVIII ს. რედაქტორთა მიერ ქართლის ცხოვრებაში შეტანილ ნაწყვეტებს პეტრე იბერის ცხოვრებიდან, რომლის მიხედვით პეტრე იბერის მამა, ვარაზ-ბაქარი, მცირე თეოდოსის დროს მოღვაწეობდა (იხ. B 103, 104), ვახუშტი არ ეთანხმება ამ ცნობას და თავის თხზულებაში შენიშნავს: „მეფე ესე (ვარაზ-ბაქარი, შ. მ.) დიდი თეოდოსის ეამს იყო და ძე ამისი წმინდა პეტრე მცირე თეოდოსის ეამს. თუმცა ესრეთ არ იყოს, ს (200) წელი მეორის ფარსმანისამდე შეტი იქმნება და არც ვახტანგ გორგასალის ეამი იქნების სწორედ შესრულებული“ (საქ. ისტ., 80, შენ. 1: ავტოგრ., 31). ვარაზ-ბაქარი, ვახუშტის ქრონოლოგიით, 394 წლამდე მეფობდა; მაშასადამე, მან სამართლიანად მიიჩნია იგი თეოდოს I-თანამედროვედ. შეიძლება ამ შემთხვევაში ჩვენი მეცნიერი ცდებოდა, მაგრამ ამეამად საინტერესოა არა ეს, არამედ მისი კრიტიკული მეთოდი, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა თავისი „ისტორიის“ წერის დროს.

სხვადასხვა წყაროს მოშველიებით (თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება, მატერიალური კულტურის ძეგლები და სხვ.) ვახუშტი ასწორებს XVIII ს. რედაქტორების მიერ ჩართულ ცნობას დავით სოსლანის მამით ბაგრატიონობის შესახებ. ფუ კი XVIII ს. რედაქტორების მიხედვით დავით მეექვსე შთამომავალი იყო დემეტრე გიორგის ძისა (იხ. B 291—292), ვახუშტის ცნობით იგი მეხუთე შთამომავალი იყო: „ესე დავით იყო მეფის გიორგის ძის დიმიტრისაგან... რიმეთუ დიმიტრის აფხაზეთს ანაკოფიას დაშთა ძე და ივლტოდა ბებით თესეთს. მუნ შეიღებულმან იქორწინა ოვსთა მეფის ასულსა ზედა და ძე მისი ოვსეთს მყოფი იგი მამულით, იწოდა მეფედ ოვსთა და ძის ძის ძე დიმიტრისა და ამ დავითის მამა შერთეს რუსულდანს, რომელმან შეიყვარა ქალწულება ოთხმოციასა წლისა დღეთა... ხოლო ქმარს ამისსა სხვა ცოლთან ესეა ძე დავით, რომელი წარმოიყვანა ამან რუსულდან (თამარის მეორე მამილამ, შ. მ.) და აღზარდა თჳსად ძედ, არამედ ეყოდა თამარს დედით, რამეთუ დედა თამარისა ოვსთ მეფის ქალი იყო, რამეთუ დედით მესამე ნათესავი იყო, **ხოლო დიმიტრით მეხუთე**“ (საქ. ისტ. 202; ავტოგრ., 59). ვახუშტი ამ შენიშვნითაც არ კმაყოფილდება და „ქარის ჯევის“ მეორე ეკლესიის ფრესკის მოშველიებით ადგენს დავით სოსლანის გენეალოგიას (იხ. იქვე).

\* \* \*

ვახუშტი არა მარტო აკრიტიკებდა და ასწორებდა ქართლის ცხოვრების ცნობებს, არამედ მას თავის თხზულებაში შეჰქონდა არა ერთი ახალი მასალა, რომელიც მის ძირითად წყაროში არ მოაპოვებოდა. ასე მაგ., ვახუშტის თავის „ისტორიაში“ შეაქვს ცნობა მიქელ ეპისკოპოსის შესახებ, რომელსაც „ქართ-

ლის ეკლესიის მატრიანნი სწერენ კათალიკოზად“ და რომელმაც „ღვთის ვანგებით“ მოჰყლა პეტროზ მაჰწერელი: „ამ მიქელს სწერენ ქართლის ეკლესიის მემატრიანნი კათალიკოზად. ამ მიქელს მიუწერა პეტროზ მაჰწვენელმან, ოდეს შერია სომხითი ხაქე ჯვარს, რომელ არს სამწმინდაობისა შინა, რომელი ჯვარს ეცვა ჩვენთვის, რათა იქმნეს მისთანა აღმასრულებელი წვალებისა მისისა. ხოლო მიქელ წარვიდა და წარიყვანა ოდენივე ეპისკოპოზნი თვისთა თანა... ხოლო მოვიდა რა მიქელ, იხილა პეტროზ. რომელსა შეექმნა ხარისხი და მუნით გარდმეტევა სახლე, რათა თავყვანი სცენ ყოველთა და ჰგონა აწცა მიქელისგან ეგრე თავყანება. არაიედ მიქელ მოხილდა სახლესა და გარდმოავლო ხარისხი-დამ პეტროზ და დაჰკრიბნა ქვანი იგინი და მისთანათა მათ ყოველთა და მოკვდა პეტროზ. ხოლო მიქელ წარმოვიდა... და მოვიდა მუხეთას, ხოლო მიერი-თავან იქმნა ქართველთა და სომეხთა შორის ცილობა სარწმუნოებისათვის და განყრილება რჯულთა“ (საქ. ისტ., 89; ავტოგრ., 33).

სანამ ვახუშტი მოუთხორობდეს ბაგრატიონთა გამეფების ამბავს, მას თავის თხზულებაში შეუტანია ცნობა სპარსთა მძლავრობის დროს კვირიან ქართლის კათალიკოზის მიერ ცურტავის მონოფიზიტ ეპისკოპოზის განდევნისა და ჰერეთის სომეხური მწვალებლობისადმი მიდრეკის შესახებ (იხ. საქ. ისტ., 108; ავტოგრ., 38). ასევე, ბაგრატ III-ის მეფობის ამბავის მოთხრობისას ვახუშტის მოჰყავს ცნობა სომეხთა წინამძღვრის სოსთენის მოსვლისა და მისი ექვთიმე გრძელთან პაექრობის შესახებ (ავტოგრ., 49)<sup>1</sup>.

ვახუშტი დავითის ისტორიკოსის მოთხორობას ავსებს ახალი მასალით, კერძოდ ანისის აღებასთან დაკავშირებით, რომ დავითმა ბერძენთა მეფის ასულის დედოფალ კატორნიკეს მიერ აშენებული, თურქთა მიერ მიზგითად ქცეული, ანისის ეკლესია განაახლა და აკურთხა (იხ. საქ. ისტ., 182—183; ავტოგრ., 55).

ახალი ცნობები აქვს ვახუშტის დემეტრე I-ის შესახებაც. იგი წერდა: „ამასვე წელსა (1130, შ. მ.) მოადგა დიმიტრი მეფე დმანისს და აღიღო იგი ციხითურთ და... შემდგომად ამისა მოუხდა სალდუხ ყენი ანისს ქალაქს და გარდმოდგომილ ყო. ამის მცნობი დიმიტრი მეფე მიუხდა სპითა თვისთა და იკეთენნ და აოტა სალდუხ და შემოიქცა გამარჯვებული“ (საქ. ისტ., 187—188; ავტოგრ., 56).

აღსანიშნავია, რომ „ქართლის მატრიანე“ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ვინ შეიპყრო ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ მებრძოლი ფადლონი. იქ დასახელებულია „კაცი ვინმე მეცნიერი“ (იხ. A 194). ვახუშტის მიხედვით კი ფადლონის შემპყრობი იყო ნიანია (იხ. საქ. ისტ., 165; ავტოგრ., 52). ვახუშტის თხზულებაში სხვაც მრავალია ამგვარივე ხასიათის ახალი მასალა, რომლის შესახებ ნაწილობრივ ქვემოთაც გვექნება საუბარი.

ზემოჩამოთვლილ მასალათა გარდა, ვახუშტის თავის „ისტორიაში“ შეუტანია არა ერთი მნიშვნელოვანი ცნობა მოწამეების, ქართველ საეკლესიო მოღვაწეების-მთარგმნელი მეცნიერების შესახებაც. ყოველივე ამით მას სურდა

<sup>1</sup> ეს ცნობა ბაქრაძისეულ გამოცემაში არ არის.



გაგვერცო საეკლესიო მოთხოვნა, რომელიც, მისი აზრით, ასე შემოკლებით იყო წარმოდგენილი მემპტიანეთა მიერ.

თუმცა ქართლის ცხოვრების ანასეულსა და XVIII ს. ნუსხებში შეტანილი იყო ცნობები სირიელ მამათა შესახებ, ვახუშტის თვით დაურთავს მოკლე ცნობა ამავე საგანზე. რომ ვახუშტი ამ შემთხვევაში უშუალოდ პირველ წყაროთი სარგებლობდა, ამაში ჩვენ სავსებით გვარწმუნებს ის განსხვავება, რომელიც ვახუშტის მიერ გამოყენებულ წყაროსა და XVIII ს. რედაქტორების მიერ ქართლის ცხოვრებაში შეტანილ ტექსტს შორის არის. ვახუშტის მიხედვით, „მოვიდნენ იგ (13) მამანი, შუა მდინარიდამ, მიეგება ევლაიოზ კათალიკოზი და მოიკითხა ასურულითა ენითა. ხოლო მათ ქართულ ჰასუხ უგეს“ (საქ. ისტ., 104; ავტოგრ., 37). ამგვარი ცნობა, რომელიც ვახუშტის შიოს ცხოვრების შეტადრასიდან ამოუღია, ქართლის ცხოვრების არც ანასეულსა და არც XVIII ს. ნუსხებში არ არის.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ვახუშტის თავის თხზულებაში, რაცდენისა და ეგსტათე მცხეთელის მარტვილობათა მიხედვით, სათანადო ადგილას შეუტანია მოკლე მითითება მათი წამების შესახებ. ამგვარადვე იგი იძლევა მოკლე ცნობებს ალი შუაბის ძის ლაშქრობის აღწერისას აბო თბილელის წამების (იხ. საქ. ისტ., 119; ავტოგრ., 40), ხოლო ბუღას ლაშქრობასთან დაკავშირებით კონსტანტინეს წამების შესახებ (საქ. ისტ., 123; ავტოგრ., 41).

ვახუშტის თხზულებაში გვხვდება აგრეთვე მითითებანი ქართველ მოღვაწეთა შესახებ. როცა იგი ნასრის კონსტანტინეოლში გაქცევის ამბავს მოუთხრობს, სხვათა შორის შენიშნავს: „ილარიონ ქართველი გარდაიცვალა ქრისტესა უკვ (882), ქართულად რბ (202) (საქ. ისტ., 125; ავტოგრ., 46). სუმბატ ადარნასის ძის დროს, ვახუშტის მიხედვით, „მთარგმნელი წიგნთა ქართულად... იყო იოვანე“ (ავტოგრ., 47)<sup>1</sup>. ქვემოთ იგი უფრო კონკრეტულად მიუთითებს, რომ იოვანე იყო „მამა ეფთვიმისი“, „ქვეყნისაგან ტაოსა“ (საქ. ისტ., 140; ავტოგრ., 47).

ბაგრატ III-ის დროინდელ მოღვაწეებად ვახუშტი ასახელებს ექვთიმე ქართველს, გრძელის ძე არსენ ნინოწმინდელს, იოვანე ხახულელ ოქროპირს. ზაქარია მირდატის ძეს და სხვ. (იხ. საქ. ისტ., 143; ავტოგრ., 48). ასევე ვახუშტი ჩამოთვლას ბაგრატ IV-ის დროინდელ მთარგმნელებსაც. სხვადასხვა ამბავთან დაკავშირებით იგი ხშირად მაუთითებს გიორგი მთაწმინდელზე, მისი საქართველოში ყოფნის, აქედან წასვლის თუ გარდაცვალების შესახებ (იხ. მაგ., საქ. ისტ., 160, 161; ავტოგრ., 51), რაც ვახუშტის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულებიდან ამოუღია.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ვახუშტის თავის „ისტორიაში“ შეუტანია მსოფლიო ისტორიის ზოგი ფაქტიც. ამით ჩვენს სახელოვან მეცნიერს სურდა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების დაკავშირება მსოფლიო ისტორიასთან.

<sup>1</sup> ეს შენიშვნა ბაქრაძისეულ გამოცემაში არაა.

ვახუშტის ნაჩვენები აქვს თუ როდის იყო ნიკეის კრება (საქ. ისტ., 72, შენ. 2; ავტოგრ., 37), „ეფესოს კრება ყოვლისა სოფლისა“, „ხალკიდონური კრება“ (საქ. ისტ., 87, 88, ავტოგრ., 33)<sup>1</sup>, კოსტანტინეპოლის კრება (საქ. ისტ., 104, ავტოგრ., 37) და სხვ. ასევე, ვახუშტი მიუთითებს მუჰამადის გამორჩენის, აბუბაქრის ხალიფობის, რუსთა ხელმწიფის ვლადიმირის მოქცევისა და სხვ. წლებზე (იხ. საქ. ისტ., 113, 135; ავტოგრ., 39, 48).

ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ვახუშტი თავის თხზულებაში გზადაგზა, განმარტავდა რა ზოგ არაქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებას, უჩვენებდა მის ადგილმდებარეობასაც. ასე, მაგ., ვახუშტის მიხედვით „ხაზარეთის მდინარე არის დონის წყალი და ხაზარეთი დონის წყლიდამ დნესტრამდე, შავი ზღვის პირი ლიტოვამდე და რუსეთამდე“ (საქ. ისტ., 32; ავტოგრ., 16). მსგავს განმარტებას იძლევა იგი ჯიქეთსა და პაქანიჯეთზე, ყიზაყუთზე, რუსეთზე და სხვ. (იხ. საქ. ისტ., 91, 179, 222; ავტოგრ., 34, 54, 64).

როგორც ჩანს, ვახუშტი ყოველთვის ნდობით როდი უყურებდა მის ძირითად წყაროს—ქართლის ცხოვრების კრებულში შესულ ისტორიკოსთა და XVIII ს. რედაქტორთა ცნობებს, იგი ხშირად აკრიტიკებდა, ასწორებდა და ამოკლებდა მათ. ასე მოპოვებული მასალა მას, ჰქონდა რა წინასწარ შემუშავებული გეგმა, შეჰქონდა თავის თხზულებაში. ამას გარდა, ვახუშტის სხვადასხვა წყაროდან ბევრი ახალი საგულისხმიერო ცნობა ამოუკრებია და საქართველოს ძველი ისტორიის მოთხრობისათვის გამოუყენებია.

### III

#### ვახუშტის წყაროები

##### 1. ძირითადი წყაროები

ვახუშტის უმთავრეს წყაროდ, როგორც აღვნიშნეთ, ის საისტორიო თხზულებები იყო, რომლებიც ქართლის ცხოვრებაში არის შეტანილი. იგი ზოგჯერ კიდევ მიუთითებს ამ წყაროზე, მაგრამ სადაც ეს მითითებაც არ არის, იქაც მოთხრობა უმთავრესად დამყარებულია ქართლის ცხოვრების ცნობებზე.

ქართლის ცხოვრების კრებულის გარდა, ვახუშტის ხელთ ჰქონია სხვა საისტორიო ხასიათის თხზულებანიც, რომელთაც იგი იყენებდა ძირითად წყაროს შესასწორებლად და შესავსებად, საქართველოს ძველი ისტორიის მოთხრობისათვის.

ვახუშტის ერთი ამგვარი წყარო იყო სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, რომელსაც ის „ეკლესიის მატანეს“ უწოდებდა. „ჩვენი ქართლის მატანენი სწერენ ძველს ეკლესიის მატანეს ბაგრატიონთათვის რამეთუ... მოვიდნენ ბერძენნი და აღწერეს სრულად იბერია ანუ საქართველო“

<sup>1</sup> მითითება ქალკედონის საეკლესიო კრების შესახებ არაა ვახუშტის „ისტორიის“ ავტოგრაფში.

(საქ. ისტ., 112; ავტოგრ., 39). სუმბატის თხზულებაში მართლაც არის მითითება სტეფანოზ ადარნასეს ძის დროს ბერძენთა მიერ „ქართლის ქუეყანის აღწერის“ შესახებ (სამი ხრ., 50), რაც ჩვენ გვარწმუნებს იმაში, რომ „ეკლესიის მატრიანეში“ ვახუშტის სუმბატის თხზულება ჰქონდა ნაგულისხმევი.

ზენოთ მიუვითაეთ, რომ ვახუშტი სუმბატის ქრონიკას იცნობდა იმ ჩანართების მიხედვითაც, რაც XVIII ს. რედაქტორებს ამ თხზულებიდან ქართლის ცხოვრებაში შეუტანიათ. მაგრამ, ვახუშტის შრომიდან ჩანს, რომ იგი ხშირად უშუალოდ სარგებლობდა სუმბატის ქრონიკით და დამოუკიდებლად იყენებდა მას. სადაც „ქართლის მატრიანე“ მოუთხორობს ბაგრატ III-ის მიერ რატის დამარცხების ამბავს, იქ XVIII ს. ნუსხებში ჩართულია სუმბატის ქრონიკიდან ამოღებული ჩაწყვეტი (იხ. B 209—210). ვახუშტიმ თავის თხზულებაში გაიმეორა ეს დამატება, მაგრამ თავის მხრივ დასძინა იმავე ქრონიკიდან ამოღებული ერთი წინადადება: „ხოლო შემდგომად მამისა თვისისა დაიპყრა ბაგრატ აღხაზთა მეფემან ნაქონები მამისა და მამობილისა დავითისა“, რაც სუმბატის ქრონიკაში ხუნებულ ნაწყვეტს უშუალოდ მოსდევს და რაც XVIII ს. რედაქტორებს გამოუტოვებიათ (იხ. საქ. ისტ., 140; ავტოგრ., 48; შდრ., სამი ხრ., 65). ვახუშტის სუმბატის ქრონიკა დამოუკიდებლად გამოუყენებია სხვა შემთხვევაშიაც, მაგრამ იმაგვად იმაზე სიტყვას არ ვაფაგრძელებთ (იხ. საქ. ისტ., 10ნ, 136; ავტოგრ., 38, 48 და სხვ.).

სუმბატის ქრონიკის გარდა, როგორც ივ. ჯავახიშვილმა დაასაბუთა, ვახუშტის თავის „ისტორიის“ წერის დროს გამოუყენებია თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება (იხ. ძველი ქართული საისტ. მწერლობა, 402—403).

როგორც ირკვევა ვახუშტი სარგებლობდა აგრეთვე ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატრიანის თხზულებით და ამ მემატრიანის ტექსტს იცნობდა არა მართო იმ ჩანართების სახით, რაც XVIII ს. რედაქტორებს ქართლის ცხოვრებაში შეუტანიათ.

გიორგი III-ის დროს ორბელთა აჯანყების დამარცხების შემდეგ დემნას დასჯისა და ორბელთა ამოწყვეტის შესახებ თამარის ისტორიკოსებს არაფერი აქვთ ნათქვამი, არც XVIII ს. რედაქტორებს ჩაურთავთ რაიმე ცნობა ამის შესახებ. ვახუშტი კი წერდა: „ორბელნი მოსწყვიტნა და შემკოდენი სხვანი ექსორია ყო სხვათა ქვეყანათა შინა და დიმიტრი შეაყენეს კლდეკარს. შემდგომად დასწვენეს თვალნი და მოკულა, დაფლეს ჩხეთას“ (საქ. ისტ., 195; ავტოგრ., 57). საესებით იმგვარივე ცნობა, დემნა უფლისწულის განდგომის დასასრულისა და მონაწილეთა დასჯის შესახებ, მოეპოვება მხოლოდ ლაშა-გიორგის-დროინდელ მემატრიანეს (იხ. ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატრიანე, გამოსცა ივ. ჯავახიშვილმა, 1927 წ., 12—13).

საისტორიო თხზულებათა გარდა, ვახუშტის გამოუყენებია სხვადასხვა ძველი ხელნაწირიდან ამოკრებილი ისტორიული ცნობებიც. ამ წყაროს მიხედვით მოუთხორობს ვახუშტი დავით აღმაშენებლის მიერ ანისის დაპყრობისა და ანისის ეკლესიის „ავარიანთაგან გაწმენდის“ შესახებ (საქ. ისტ., 182—183; ავტოგრ., 55. შდრ., ე. თაყაიშვილი, მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან, ძველი საქართველო, II, 37). ამ წყაროდანვე ამოუღია ვახუშტის ჩვენ

მიერ ზემომოყვანილი ცნობა დემეტრე I მიერ დმანისის ალემისა და ანისში გალაშქრების შესახებ (იხ. საქ. ისტ., 187—188; ავტოგრ., 56; შდრ., ე. თაყაიშვილი, იქვე, 38).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ძველი ისტორიის გასათვალისწინებლად ვახუშტის, როგორც მკვლევარს, გამოუყენებია სამართლის ძეგლები და გუჯრებიც. იგი შენიშნავდა: „თუმცა ამ ორთა გიორგის (გიორგი დავითის ძე და გიორგი დიმიტრის ძე, შ. მ.) ცხოვრება ბნელ არს, არამედ იცნობის ცხოვრებასა შინივე ზემო ქვემოთაგან ესრეთ, ვითარცა ვსწერთ და კვალად გუჯართა და ამის მიერის სამართლის წიგნისაგან“ (საქ. ისტ., 276; ავტოგრ., 81). როგორც ჩანს, ეპითაღმწერელის ზოგი ცნობის ნათელსაყოფად და შესავსებად ვახუშტის გამოუყენებია გუჯრები და გიორგი ბრწყინვალის „სამართლის წიგნი“. რომ ვახუშტი მართლაც იყენებდა გიორგის „სამართლის წიგნს“, ეს ჩანს მისი შემდეგი მითითებიდან: „კვალად განიხილა მეფეჲმან მთიულთა და კავკასთა საქმენი, რამეთუ მრავალნი უჯერონი იქმნებოდნენ, რომლისთვისაც შემოკრიბნა მან სპანი, შევიდა და დაიმორჩილნა ყოველნი უმეტეს პირველისა კავკასისა შინა მყოფნი, ხოლო მუნიდან ჩამოვლო ცხრა ზმასა ზედა, მოვიდა მუხრანს და ჩამოიყვანნა მუნ რომელნიცა კავკასიასა შინა ქრისტიანენი იყვნენ, თავნი მათნი და ჳევიზ ბერნი. შემოვიდა ტფილასს და შემოიტანა ივნიცა და განუჩინა მათ სამართალი და წესნი და დაუხსნა წიგნით, რათა მყოფდნენ წარმართ ეგრეთ“ (საქ. ისტ., 278; ავტოგრ., 82). ადვილად მისახვედრია, რომ ეს ცნობა ვახუშტის ამოღებული აქტს თვით გიორგი ბრწყინვალის „ძველის დებიდან“. ამას გარდა, როგორც ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, ძველი საქართველოს სამოხელეო წესწყობილების შესასწავლად ვახუშტის „გელმწიფის კარის გარიგებაც“ უნდა ჰქონოდა გამოყენებული (იხ. ძველი ქართული საისტ. მწერლობა, 344, 345).

როგორც აღენიშნეთ, ვახუშტის თავისი შრომის პირველ ნაწილში გუჯრებითაც უსარგებლნია. როცა ვახუშტი დავით VII შესახებ საუბრობს, შენიშნავს: „ამის მეფობის ქორონიკონზედ (ვახუშტით 1346—1360 წწ., შ. მ.) ლევან მეფის გუჯარაც არის. მე ვკონებ, ორივ სახელი ამას ერქვა—დავით და ლევან, ვითარცა დავით და ბაგრატ რეგვენს ერქვა“ (საქ. ისტ., 280; ავტოგრ., 83). ვახუშტის გამოყენებული აქტს აგრეთვე „გუჯარი ბარათანთა“, რომლის მიხედვითაც მას დაუდგენია, რომ ბაგრატ V (ვახუშტით 1360.—1395 წწ.) „ძე იყო დავით მეფისა“ (ავტოგრ., 83)<sup>1</sup> და, რომ მეფე „აღექსანდრე ძე არს გიორგი მეფისა“ (საქ. ისტ., 297, შენ. 3; ავტოგრ., 88). ვახუშტის შრომის ეს წყარო, როგორც ცნობილია, ე. თაყაიშვილმა აღმოაჩინა და მანვე ნათელყო, რომ ვახუშტი თავის ამ წყაროს კრიტიკულად უყურებდა, რომ ვახუშტის თავის ამ შრომაში არ შეუტანია ბარათანთაშვილების გუჯრის არც ერთი თარიღი და არც ცნობა ბირიან აბაშის საქართველოში მოსვლისა და დამკვიდრების შესახებ და სხვ. „აქედან ჩანს, წერდა ე. თაყაიშვილი, რამდენად ფრთხილსა და კრიტიკულს დამოკიდებულებას იჩენდა ის (ვახუშტი, შ. მ.)

<sup>1</sup> ეს შენიშვნა ბაქრაძისეულ გამოცემაში არ არის.

თავის ისტორიის წყაროებისადმი... (Е. Такайшвили, Еще один из источников истории Грузияи царевича Вахушта, Зап. Вост. отд. Импер. русск. Арх. общества, т. VIII, в. I—II, 1893 г. 125).

ვახუშტის მითითებიდან ჩანს, რომ მას ხელთ ჰქონია „ბარათიანთ გაყრის წიგნი“: „აქ ჩანს ისევ ერთი მეფობა იყო და არა სამი, რამეთუ ყაბალის გზა კახეთი არის, ვით არენს გაყრის წიგნი ბარათიანთა“ (საქ. ისტ., 303; ავტოგრ., 90).

ვახუშტის გამოუყენებია აგრეთვე გიორგი VIII დროინდელი გუჯარიც იოთამის ძისათვის ამილახორობის ბოძების შესახებ „მსახურებისათჳს მამისა მისისათჳს“ (საქ. ისტ., 307; ავტოგრ., 91—92).

როგორც ვხედავთ, ვახუშტის თავის შრომის პირველ ნაწილში, უხვად, კრიტიკულად და ფრთხილად გამოუყენებია გიორგი ბრწყინვალის შემდეგ-დროინდელი გუჯრები. მაგრამ ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ მას გამოყენებული ჰქონდეს სხვა, გიორგის წინადროინდელი გუჯრებიც.

საეკლესიო ამბების შედარებით ვრცლად მოსათხრობლად, ვახუშტის წყარო მრავალმხრივი იყო. წმ. ნინოს მოღვაწეობის აღსაწერად მას უსარგებლენია არა მარტო ლეონტი მროველის თხზულებით არამედ წმ. ნინოს ცხოვრების მეტაფრასითაც: „უგრცელესი ცხოვრება მეტაფრასსა შინა იკითხე ამისათვის“ (ნინოსათვის, შ. მ.; საქ. ისტ., 73; ავტოგრ., 30). ვახუშტი იცნობდა აგრეთვე პეტრე იბერიის ცხოვრებასაც: „ვარზა-ბაქარს ეშვა ძე და უწოდეს მურვანოს, რომელი იწოდა პეტრე და იქმნა წმინდა და მიიმონის ეპისკოპოსი, რომლისა ცხოვრებასა მოვითხრობს მეტაფრასი მისი“ (საქ. ისტ., 79; ავტოგრ., 31). როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტის ხელთ ჰქონია სირიელ მამათა, კერძოდ შიოს ცხოვრების მეტაფრასი, საიდანაც მას ამოუღია სათანადო ცნობები და შეუტანია თავის თხზულებაში. ასევე, იგი სარგებლობდა ილარიონ ქართველის ცხოვრებითაც. მას თავისი „ისტორიის“ პირველ ნაწილში უხვად გამოუყენებია გიორგი მთაწმინდელის თხზულებიდან ამოღებული ცნობები. ამაში გვარწმუნებს ჩვენ მიერ ზემომოტანილი ვახუშტის არა ერთი მითითება ილარიონის, იოანესა და ექვთიმეს შესახებ.

ვახუშტი თავისი მოსაზრების გასამტკიცებლად ხშირად იშველებდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებას. „ქართლის მატიაინს“ ერთი ცნობის დასადასტურებლად ვახუშტი შენიშნავდა: „ამას მოწმობს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება კეისარიანაჲან ცოლის მოცემისა, ვინაილგან გიორგი მთაწმინდელიც კოსტანტინეპოლეს იყო“ (ავტოგრ., 49)<sup>(1)</sup>; ხოლო ქვემოთ, როცა ვახუშტი უჩვენებს, თუ როდის შეიპყრეს ლიპარიტი, ისევ მიუთითებს: „ამავე ქორონიკონს მოწოდებითა მეფიანათა მოვიდა გიორგი მთაწმინდელი ქაროლს. ამას მოწმობს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ (საქ. ისტ., 160; ავტოგრ., 51). ეს და სხვა მსგავსი მითითებანი, რომლებიც მრავალადაა ვახუშტის შრომაში, ჩვენ სავესებით გვარწმუნებს, რომ ის გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებას იყენებდა

(1) ეს შენიშვნა ბაქრაძისეულ გამოცემაში არაა.

არა მარტო ქართლის ცხოვრების შესავსებად, არამედ ზოგი ცნობის უკვე-  
 ლობის დასადასტურებლადაც.

ვახუშტის წყაროებს შორის დასახელებული უნდა იქნეს „რაქდენის წამე-  
 ბაც“. როგორც აღვნიშნეთ ჯუანშერი შემთხვევით ახსენებს სპარსთა მიერ  
 წამებულ რაქდენს, ვახუშტი კი მიუთითებს: „დროთა ამათ „შეიპყრეს ვახტანგის  
 ცოლის მამამძჳე რაქდენ, რომელმან მოკლნა მრავალნი გოლიათნი და მხნედ  
 იბრძოდა“, რაც ვახუშტის ამოუღია თვით „რაქდენის წამებიდან“ (იხ. საქ.  
 ისტ., 65; ავტოგრ., 30; შდრ. საბინინი, საქ. სამოთხე, 172).

ამგვარადვე ვახუშტის ცნობა ევსტათე მცხეთელის შესახებ ამოუღია „ევ-  
 სტათეს მარტვილომიდან“: „აწამეს ქრისტესათვის, წერს ვახუშტი, ესტატე  
 მცხეთელი კათალიკოსობასა შინა სამოელისასა“ (საქ. ისტ., 111; ავტოგრ., 38).  
 როგორც ცნობილია, „ევსტათეს მარტვილობის“ ავტორი ევსტათეს თანამედ-  
 როვეთა შორის ასახელებს „სამოელ ქართლისა კათალიკოსს“ (საბინინი, საქ.  
 სამოთხე, 315). ვახუშტი ხომ თვით ასახელებს კოსტანტინეს წამების მეტა-  
 ფრასს: „ამან პულამ შეიპყრა კოსტანტინე ქართველი და... აწამა... ვითარცა  
 გვაუწყებხ მეტაფრახი მიხი“ (საქ. ისტ., 123; ავტოგრ., 41). ამით გარდა  
 ვახუშტის ხელთ ჰქონია აბიბოს ნეკრესელისა და აბო თბილელის მარტვილო-  
 ბანიც, რომელთა მიხედვითაც მას, როგორც მიუუთითეთ, სათანადო აღვილას  
 მოკლე ცნობები შეუტანია მათი წამების შესახებ.

მის მიერ გამოყენებულ ავტორთა შორის ვახუშტი ხშირად ასახელებს  
 „ქართლის ეკლესიის მემატიანეებს“. მას „ეკლესიის მემატიანეთაგან“ აღღია  
 ჩვენ მიერ შემოშობიანილი ცნობა მიქელ ეპისკოპოსისა და მის მიერ პეტროზ  
 მკაწვრელის მოკვლის შესახებ. ის თხზულება, რომელსაც ამ შემთხვევაში ჩვენი  
 სახელოვანი მეცნიერი დაჰყრდნობია, არის „უწყებაჲ სუბულის ძისა სარგისი-  
 სათჳს“ (იხ. საბინინი, საქ. სამოთხე, 632; Xp. Bostok, V, B. II, 93--96).

„ეკლესიის მემატიანენი ქართველნი“ ვახუშტის დამოწმებული ჰყავს სხვა  
 შემთხვევაშიაც: „ამ ეამებთა ცილება იქმნა ქართველთა და სომებთა შორის  
 სარწმუნოებისათჳს, ხოლო კჳრიონ ანუ სჳმიონ კათალიკოსმან ქართლისამან  
 განდევნა ცორტავის ეპისკოპოსი შუშანიკის საფლავისაგან მწვალებლობისათჳს  
 სომებთა და იქმნა უმეტეს განყრილობა. ხოლო ჰერეთი იქმნა სომებთა წვალებ-  
 ბისა მიდრეკილნი, ესრეთ სწერენ ეკლესიის მემატიანენი ქართველნი“ (საქ.  
 ისტ., 108; ავტოგრ., 38). ეს ცნობა კი, როგორც ჩანს, ვახუშტის ამოღებული  
 აქვს არსენის ცნობილ თხზულებიდან — „ჯანყოფისათჳს ქართლისა და სომხი-  
 თისა“ (იხ. თ. გორდანიანი, ქრონიკები, I, 320).

საეკლესიო მოთხრობის გასავერცობად ვახუშტის გამოუყენებია აგრეთვე  
 წერილი „სიტყჳს გება ბერისა ეფთჳმე გრძელისა სოსთენის მიმართ სომებთ  
 მოძღურისა“ (იხ. საბინინი, საქ. სამოთხე, 615—621), საიდანაც მას ამოუღია  
 ცნობა ბაგრატ III-ის დროს ექვთიმე გრძელისა და სოსთენის პაექრობის შე-  
 სახებ (იხ. ავტოგრ., 49)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ვახუშტის ვრცელი შენიშვნა ამ პაექრობის შესახებ ბაქრადისეულ გამოცემაში არაა.

როგორც ვხედავთ ვახუშტის მიერ გამოყენებული ქართული წყაროები, საქართველოს ძველი ისტორიის მოთხრობისათვის, მრავალმხრივი იყო. იგი იყენებდა არა მარტო საისტორიო ხასიათის თხზულებებს, არამედ სახელმწიფოებრივი სამართლის ძეგლებს, გუჯრებს, საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრებას, ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებსა და ქართული ეკლესიის ისტორიისათვის სხვა მნიშვნელოვან წყაროებს. ამ წყაროებიდან ამოღებული ცნობებით ვახუშტი არა მარტო ავსებდა ქართლის ცხოვრების ნაკლს, არამედ ზოგჯერ ასწორებდა მემატიანეთა შეცდომებს და იყენებდა მათ თავის ძირითად მოსაზრებათა დასადასტურებლად. მაგრამ, ზოგი მნიშვნელოვანი ფაქტის დასადაგენად, მეცნიერ ბატონიშვილს არ აკმაყოფილებდა მარტო ქართული წყაროების მითითება და ხშირად ამ მიზნისათვის იგი უცხოურსაც იშველიებდა.

## 2. უცხოური წყაროები, ზეპირსიტყვიანობა და ნივთიერი კულტურის ძეგლები

ქართული წყაროების ცნობათა შესავსებად, შესასწორებლად თუ დასადასტურებლად ვახუშტი ხშირად იყენებდა უცხოურსაც, უმთავრესად მისთვის ხელმისაწვდომ „ბერძნულ ხრონოლოგებს“. აღსანიშნავია რომ ვახუშტი არ კმაყოფილდებოდა ერთი რომელიმე წყაროს მითითებით და ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად რამდენიმეს იშველიებდა. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი შემდეგი განცხადება: „გარნა შრომა ჩვენი არა მცირე იყო, რომელსა ზედა ვიწრომეთ კნინლა წელნი საზნი მარადის წერითა, გამოძიებითა, მატანებთა და ცხოვრებათა ძიებითა, რამეთუ არა დაუტყვეთა ხრონოლოგნი ბერძნისა, არა თუ ერთისა ვირწმუნენით არამედ სხვადასხვათა შემოწმებითა. ეგრეთვე განყრილობისა შეზღვომად რომაულთა კვისართავან, მეფეთა ევროპელთა, აწინდელთა სულტნებთა სტანბოლისათა, სპარსთა მეფეთა შიხთა გამოვიპოვეთ და შემოწმებულად ვქმენით, რომელნი მოწმობენ ჩვენთა მატანეთა და ქორონიკონებთა“ (აღწერა, 9). როგორც ჩანს ვახუშტის ჯერ „მატიანეები და ცხოვრებანი“ გამოუძიებია, ისე რომ არ დაუტოვებია „ხრონოლოგნი ბერძნისა“ თუ სხვა, ყოველივე ეს კი ქართულ „მატიანეთა და ქორონიკონების“ ცნობათათვის შეუწყამებია და სხვადასხვა წყაროდან ამოღებული, შედარებული და შემომგებული მასალა თავის თხზულებაში შეუტარია. ასე მოიქცა ვახუშტი, მაგ., მაშინ, როცა ქართველთა გაქრისტიანების თარიღს არკვევდა. ქართველთა გაქრისტიანების დასათარიღებლად ვახუშტი იყენებდა არა მარტო წმ. ნინოს ცხოვრების ცნობებს, არამედ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებასაც, ცეზარ ბარონიუსის მითითებას; ამავე საკითხის გასარკვევად მას აგრეთვე გამოუყენებია „სომეხთა და ჩვენი ეკლესიის მატანენი“ და კოსტანტინეს „ყოველნი მემატანენი“ (იხ. საქ. ისტ., 67—68, შენ. 1, 2; ავტოგრ. 30).

მაგრამ, ვახუშტი უცხოურ წყაროებს იშველიებდა არა მარტო თარიღების, არამედ ზოგი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის დასადაგენად. ასე, მაგ., მას ბაგრატ IV-ის კონსტანტინეპოლში ყოფნის დასადასტურებლად დამოწმე-

ბული აქვს „ბერძნული ხრონოლოგია“: „ამას მოწმობს ხრონოლოგია ბერძნული რაემს ბაგრატ მეფე აფხაზთა მივიდა კოსტანტინეპოლეს“ (ავტოგრ., 51)<sup>1</sup>.

„ბერძნული ხრონოლოგია“ ვახუშტის დამოწმებული აქვს სხვა შემთხვევად: „ამას მოწმობს ხრონოლოგია ბერძნული, რომელ ხონთქარმან მუსამ წარმოავლინა სპანი საქართველოს დასაპყრობად“ (საქ. ისტ., 297, შენ. 2; ავტოგრ., 88). ვახუშტის უცხო წყაროთა შორის შეიძლება დავასახელოთ „ალმოსავლეთის ეკლესიის მართანეც“. „ამას ემოწმება, წერს ვახუშტი, ჩვენი აღმოსავლეთის ეკლესიის მართანე, რომ ჯვარი ამ ეამს გამოაჩინა ელენე დედოფალმან“ (საქ. ისტ., 69; ავტოგრ., 30).

ვახუშტის გამოუყენებია აგრეთვე სხვადასხვა „ხრონოლოგები“, სადაც საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ცნობები ყოფილა: „სწერენ ხრონოლოგებსა შინა, რამეთუ ფლორენციის კრებასა ზედა იყო ერთი მიტროპოლიტი სოფრონ და ეპისკოპოზი ერთი წელსა ქრისტესა ჩულჯ (1433), ქართველნი“ (საქ. ისტ., 300; ავტოგრ., 89).

ბერძნულ წყაროთა გარდა ვახუშტის გამოუყენებია სომხურიც: „ქართლის მოქცევა უწინ იყო ჯვრის პოვნისაგან, ვითარცა აჩენს ჩვენი ცხოვრება და ემოწმებთან სომეხთა და ჩვენი ეკლესიის მართანენი“ (საქ. ისტ., 67; ავტოგრ., 30). ვახუშტი, როცა მოუთხრობს გიორგი VII-ის მიერ „ალიჯანის ციხის“ აღებისა და თემურისაგან დატყვევებული „თირჯალათის სულტნის“ განთავისუფლების შესახებ, შენიშნავს: „ამას მოწმობს სომეხთა მემართანე ესრეთ ყოფასა მეფისა გიორგისაგან“ (საქ. ისტ., 291, შენ. 1; ავტოგრ., 86).

ვახუშტის თავისი შრომის პირველ ნაწილში გამოუყენებია მისი დროისათვის არსებული მნიშვნელოვანი უცხოური გამოკვლევებიც, რომელთაგან ამოუღია როგორც მსოფლიო, ასევე საქართველოს ისტორიის ზოგი მნიშვნელოვანი ფაქტი. ვახუშტი ხშირად იმოწმებს ბარონიას (იხ. მაგ., აღწერა, 6, შენ., საქ. ისტ., 67—68; ავტოგრ. 30 და სხვ.). ვახუშტის მიერ დამოწმებული ბარონია არის კარდინალი ცეზარ ბარონიუსი (Caesar Baronius), რომელსაც ეკუთვნის ცნობილი „საეკლესიო ანალები“ (Annales ecclesiastici) და რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა. როგორც ჩანს, ცეზარ ბარონიუსის თხზულება ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გადათარგმნილი ყოფილა რუსულად, ხოლო 1719 წ. დაუბეჭდიათ კიდევ შოსკოვში სათაურით „Дѣянія церковныя и гражданскія“, ასე რომ ვახუშტის შეეძლო ამ თხზულების როგორც ორიგინალით, ასევე შემოკლებული რუსული თარგმნითაც ესარგებლნა.

ვახუშტის დამოწმებული აქვს აგრეთვე ე. წ. „თეატრის მართანე“: „თეატრის მართანის მწერალი მოწმობს, წერს ვახუშტი, რომ იუსტინე კესარმან მოსცა შეწევნა სომეხთა და გიორგიელთა სპარსთა ზედა რომელი განაპართლებს აქ წერილს“ (საქ. ისტ., 107; ავტოგრ., 38), ან კიდევ: „თეატრის მართანის მწერალი სწერს ამ ჩხნ (1250) წელს სომეხთ ორ ბუნების წვალებისა და სხვათა ზედა წინ აღუდგებოდნენ ძლიერად გორგანელნი, რომლისთჳს

<sup>1</sup> ეს შენიშვნა ბაქრაძისეულ გამოცემაში არაა.



უმეტეს განეწორენ ურთიერთას, რომელსა ჩენი შემატიანე არ მოიხსენიებს... ვგებ ეკლესიის მატრიანეში იყოს სადმე, თქვენ იხილეთ“ (საქ. ისტ., 242; ავტოგრ., 70). „თეტრის მატრიანის მწერალი“ არის ვილჰელმ სტრატემანი, რომლის თხზულებაც „Theatrum historicum“, როგორც ქრ. შარაშიძემ ვა-არკვია, ვახუშტის უთარგმნია კიდევ ქართულად, სათაურით „თეატრო, ანუ ასპარეზი მატრიანის“. თავისი შრომის პირველი ნაწილის დასასრულს ვახუშტი ასახელებს „პოლშის მემატიანეს“, საიდანაც მას ამოულია ცნობა სულთან მაჰმედის მიერ ტრაპიზონის აღებისა და მეფე დავითის შეპყრობის შესახებ: „სწერს პოლშის მემატიანე ქრისტესა ჩუნჴ (1457) აღილო ხონთქარმან სულ-თან მაჰმედ ზ ტრაპიზონი და მეფე მისი დავით კოლითა და ძეებით მიიყვანა ედრენაპოლს“ (საქ. ისტ., 309; ავტოგრ., 91). თუ რომელ ავტორს გულისხმობდა ვახუშტი „პოლშის მემატიანეში“, ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უცნობია.

როგორც ჩანს, ვახუშტი საქართველოს ძველი ისტორიის მოთხრობისათვის იყენებდა არა მარტო ქართულს, არამედ უცხოურ (ბერძნულ სომხურ და სხვ.) წყაროებსაც. ამას გარდა, ის ყურადღების გარეშე არ სტოვებდა მის დროს არსებულ გამოკვლევებს და იქ დატულ ცნობებს საქართველოს ისტორიისა თუ ჰასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

\* \* \*

ვახუშტის, როგორც თავისი დროის დიდ ისტორიკოსს, განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია, ძველისძველ ზნე-ჩვეულებათა გამოსარკვევად, მის დროინდელ ზნე-ჩვეულებისა და ანდაზებისათვის.

ვახუშტი, იმეორებდა რა ლეონტი მროველის ცნობას „მამასახლისობის დროინდელ“ ქართველთა ზნე-ჩვეულების შესახებ, წერდა, რომ ქართველნი „იქმნენ... უფსჯულოესნი, რამეთუ არღარა უწყოდენ ნათესაობანი და შერეულ იყუნენ შეყოფითა... კვალად შესძინეს ამას ზედა, რამეთუ, რა მოკუდის ვინმე კაცი, ანუ ბრძოლასა, — მეორე ივასხის და შესჴამდიან“ (აღწერა, 13). თავისი წყაროს ამ ცნობის დასადასტურებლად ვახუშტის ქართველებში და მის მონათესავე ტომებში დარჩენილი ზნე-ჩვეულებანი და ანდაზები გამოუყენებია. რომ ქართველებმა „არღარა უწყოდენ ნათესაობანი“, ვახუშტი ადასტურებს დიდოელებში დარჩენილი ზნე-ჩვეულებით. მისი აზრით, ამაში გვარაწმუნებს ქართველთა მონათესავე, სარკინეთით „ლტოლიგლნი დიდონი, რომელნი აწამდე წესსა მას ზედა დგანან, თუნიერ კაცის კამისა“ (აღწერა, 13). ხოლო მეორე ცნობას, რომ ქართველები ერთ დროს „მკვდარსა კაცსა სჴამდენ“, ვახუშტი ადასტურებს ხალხში დარჩენილი ანდაზით კარსნელთა შესახებ. რომ „კარსნელთა მართებს კოდმანელთა ხუთი მკუდარი ღღემდე“ (იქვე). ჩენი შეცნობით ცდებოდა, როცა ანდაზას ამგვარ განმარტებას აძლევდა, მაგრამ მის მიერ გამოყენებული მეთოდი — ზნე-ჩვეულებისა და ანდაზებისათვის მნიშვნელობის მინიჭება ისტორიული სურათის აღსადგენად — საესებით ნიშანდობლივია და ვახუშტის, როგორც ისტორიკოსის სიღიადღებე მიგვიითთებს.

ვახუშტი ცდილობს ხალხის თანამედროვე ჩვეულებაში მისი ცხოვრების უძველესი ნაშთი აღმოაჩინოს და ამის მიხედვით ქართველთა თავდაპირველი

სარწმუნოებისა და ყოფაცხოვრების სურათი აღადგინოს. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ვახუშტის შენიშვნა ქართველთა კერპთაყვანისმცემლობის შესახებ: „უმეტეს დიდი იყო დღესასწაული არმაზისა და შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ქამითა და ღვინის სმითა, როკვითა ფერჯისთა, პირობითა, სახიობითა და ძნობითა სამ დღე და მოიქციან თუსთუსად სახიდ... ზოლო ქამსა ქრისტიანობისასა ნაკერპავთა მათ მათა მალალთა და ბორცვთა ზედა ესევეთარი იყო განცხრომა-როკვანი, ამისათჳს აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარებობდიან მუნ, ვითარცა აწ, ფერჯისა სიმღერითა გაათენიან“ (აღწერა, 18—19). ე. ი., ვახუშტის აზრით, ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართველებში შენახული წესი ეკლესიებში „განცხრომა-როკვისანი“ და „ფერჯისა სიმღერითა“ გათენებისა წინაქრისტიანული ხანის, ანუ კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი ჩვეულებაა.

არც თქმულებები დარჩენილა სახელოვანი მეცნიერის ყურადღების გარეშე. აღსანიშნავია, რომ ვახუშტის ყურადღება მიუქცევია არგონავტების შესახებ თქმულებისათვის. საგულისხმოა, რომ ვახუშტი ამა თუ იმ უცხო თქმულებას მხოლოდ მაშინ იყენებდა, როცა იქ მოცემული ცნობები ქართული წყაროების მიხედვით ასე თუ ისე დასტურდებოდა: „ამას (ოდიშს, შ. მ.), სწერენ გეროპელნი კოლხიდად, სადიდამ იაზონ წარილო ოქროს რუნი ანუ საწმისი, არამედ ქალაქი იგი აქა არსადა მოიბოების. არცა მათიანე ჩვენი მოიქსენებს მას“ (აღწერა, 165), და რაკი ვახუშტის ეგონა, რომ „ქალაქი იგი“ (კოლხიდა), საქართველოში „არსადა მოიბოების“ და „არცა მათიანე ჩვენი მოიქსენებს მას“, ამ მეტად მნიშვნელოვანი თქმულებისათვის მის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია და აქ დაცული ცნობები ჯეროვნად არ გამოუყენებია.

ვახუშტის თავის შრომაში შეუტანია ზოგი ქართული გადმოცემა ანუ „სიტყვა“, მაგ., ბაგრატიონთა შესახებ. „ევონებ, შენიშნავს ვახუშტი, ვითარცა სიტყვა არს ივერიელთა შინა, რამეთუ ირემმან განზარდა ბაგრატონი“ (საქცხბა, 225. შენ.). ასევე ვახუშტის თავისი ისტორიის პირველ წიგნში შეუტანია თამართან დაკავშირებული ორიოდვე გადმოცემა (იხ. საქ., ისტ., 208, 212).

ვახუშტიმ ყურადღება მიაქცია ნივთიერი კულტურის ძეგლებსაც, როგორც საქართველოს ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს.

ვახუშტის მიერ მოცემული ქართული ისტორიული ჩაცმადანბურვის შესწავლის ცდა, როგორც მისივე მითითებიდან ჩანს, საისტორიო მხატვრობაზე დამყარებული. ძველ საქართველოში ხმარებული ტანსაცმელი, შენიშნავს ვახუშტი, „იცნობებთან ნახატთა ზედა“ (აღწერა, 32). როგორც ჩანს, ამ მიზნისათვის მას გელესიის კედლებზე და ხელნაწერებში შენახული ძველი სურათები გამოუყენებია ხსენებული საკითხის შესასწავლად. ვახუშტის მიერ შერჩეული საშუალება, იგ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „საუცხოვო და ამასთანავე თითქმის ერთადერთი მეთოდოლოგიური საშუალება არის“ (ძველი ქართული საისტ. მწერლობა, 349).

ვახუშტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მატერიალური კულტურის სხვა სახის ძეგლებსაც და მისი გამოკვლევები—„ზნენი და ჩვეულებანი“

და სხვ., ნაწილობრივ ამგვარი ძეგლების შესწავლაზედაცაა დამყარებული: „არა სადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-მონასტერთა, ანუ ხატთა და ჯუართა ძვირ-ფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი თჳნიერ ჩვენ მეფემან საქართველოსაჲან ანუ ქართლისა და აფხაზეთისამან“... რომელთა ზედწერილ არიან ქვათა, ხატთა და ჯუართა ზედა“ (საქ. ცხზა 4).

საჭირო შემთხვევაში ვახუშტი მშვენივრად იყენებდა ამ „ზედწერილებს“. ასე, მაგ., თავისი მოსაზრების დასადასტურებლად, რომ დავით სოსლანი იყო დემეტრე გიორგის ძის მეხუთე შთამომავალი, იგი იმოწმებს „კასრისცევის“ მცირე ეკლესიის ფრესკას: „მოწამე არსა მისი მცირე ეკლესია კასრის გვესა შინა, სადაც დახატულ არიან და დიწერილნი ზედ დიმიტრი და ძე მისი დავით. ძე დავითისი ათონ, ძე ათონისა ჯადარონ, ძე ჯადარონისა სოსლან დავით, რომელი იყო ქმარი თამარისა“ (საქ. ისტ., 202; ავტოგრ., 59). როგორც ირკვევა, ვახუშტის მიერ დამოწმებული წარწერა დაზიანებული სახით დღესაც შემონახულია, მხოლოდ ამჟამად იქ იკითხება: „...ათონ, ჯადარონ, სოსლან...“ (1).

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც. იმის დასამტკიცებლად, რომ 1407 წ. ერთ-ერთი ბრძოლა ნაზიდურთან უნდა ყოვილიყო, ვახუშტი იმოწმებს „დიდ-დიდითა ფიქლის ქვით მოზღუდვილ“ საფლავთ: „სავანებელ არს ბრძოლა ესე ნაზიდურს, სადაც არს საფლავნი მრავალთა გვამთა შეურილნი, რომლისას იტყვიანცა მუნ მოწყვედილთა მრავალთა ქართველთა და არღარა წარიღეს თჳს თჳსთა სასაფლაოთა და დაფლნეს მუნვე ვინადვან მეფე მოკლეს, არღარა ივლტოდენ და მოსწყედენ სრულიად, რომელი საჩინოდ არს დიდ-დიდითა ფიქლის ქვით მოზღუდვილი“ (საქ. ისტ., 296, შენ. 1; ავტოგრ., 88).

როგორც ვხედავთ, ვახუშტი საქართველოს ძველი ისტორიის შესასწავლად იყენებდა არა მარტო ქართლის ცხოვრებაში შესულ ისტორიკოსთა თხზულებებს, არამედ სხვა მის დროს არსებულ ორიგინალურ ქართულ წყაროებს; მათი დახმარებით ავსებდა და ასწორებდა როგორც ძველი ისტორიკოსების, ასევე XVIII ს. რედაქტორთა ნაკლსა და შეცდომებს. საქართველოს ძველი ისტორიის დასამუშავებლად მას გამოუყენებია აგრეთვე, მისი დროის შესაძლებლობის მიხედვით, უცხოური წყაროები და გამოკვლევები, ზებირი ვადმოცემები და ნივთიერი კულტურის ძეგლები.

ყველაფერი ეს ერთბელ კიდევ გვარწმუნებს, რომ სახელოვანი მეცნიერის „საქართველოს ისტორიის“ პირველი ნაწილი არის არა უბრალო შემოკლება ქართლის ცხოვრების კრებულში დაცული ცნობებისა, როგორც ეს ზოგიერთს ეგონა,<sup>(2)</sup> არამედ თავის დროისათვის მნაშვნელოვანი გამოკვლევა საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ.

(1) იხ. А. Новикова, Гробница Давида Сослана, „Социалистическая Осетия“, 9.VI.1946 г. და ამ საკითხთან დაკავშირებით აკად. ს. ჯანაშიას შენიშვნა — „Заря Востока“, 21.VI.1946 г.

(2) „ცნობილია, რომ ვახუშტის საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილი არას ქართლის ცხოვრების შინაარსის მოკლე განმეორება“ (ე. თაყაიშვილი, Опис., II, 96).

### 3. გაბაუვილი

## ვახუშტი XVII—XVIII სს ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე

ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიაში ვახუშტი ბაგრატიონს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ვახუშტიმ ქართული ისტორიოგრაფია განვითარების სრულიად ახალ გზაზე გამოიყვანა. ქართულ სინამდვილეში მან ისტორიის ცოდნა ისტორიის მეცნიერებად აქცია. ამის მკაფიო მოწმობაა, უწინარეს ყოვლისა, როგორც მისი „ისტორიის“ კომპოზიცია, ისე მეთოდოლოგიური მხარე,

ვახუშტიმ პირველად სცადა საქართველოს ისტორიული წარსულის განზოგადება. აღებული თემის **ისტორიულად** დამუშავებით მან დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის „შინაგანი“ ისტორია; მანვე მნიშვნელოვნად გააფართოვა წყაროების წრე და ახალ სიმაღლეზე აიყვანა წყაროს ისტორიული კრიტიკა.

ვახუშტი მკიდროდ იყო დაკავშირებული წინარე ხანის და თანამედროვე ქართულ საისტორიო მწერლობასთან. აქ არის საძიებელი მისი ისტორიული შემოქმედების და, განსაკუთრებით, აზროვნების მთავარი წყარო. ამავე დროს, მან ბევრი რამ აიღო და შეითვისა XVII—XVIII სს ევროპული ისტორიოგრაფიიდან. მისი „ისტორიის“ საშენი მასალა ქართულ-უცხოური ელემენტებისაგან შედგებოდა. სწორედ ამ თავისებურებით განსხვავდება ვახუშტი წინამორბედ და, ნაწილობრივ, მომდევნო ხანის ქართველ ისტორიკოსთაგან.

ჩვენი ამოცანაა ამ „თავისებურების“ ყოველმხრივი შესწავლა იმის დასადგენად, თუ რა არის ვახუშტის ისტორიულ შემოქმედებაში საკუთრივ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებასთან დაკავშირებული და რა არის ნახსენებ-შეთვისებული XVII—XVIII სს ევროპული ისტორიოგრაფიიდან.

საჭიროა წინასწარ აღინიშნოს, რომ წინამდებარე შრომა ისტორიოგრაფიულ ხასიათის ნარკვევია, ისტორიოგრაფია კი ისტორიული მეცნიერების ისტორია. ის არაა ისტორიკოსთა ისტორია ან საისტორიო ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია. ამიტომ ვახუშტის სახელთან დაკავშირებული ისტორიოგრაფიული საკითხები განხილულია ისტორიული მეცნიერების განვითარების ფონზე.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მკვლევარი აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „ძველი საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა-კი არ უნდა ახსოვდეს; არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნება და მედასეობა, მისი წყაროების თვისება, ჟამთა აღმწერლის წერის წესი და მეთოდები. საისტორიო ნაწარმოების ქრონოლოგიური განხილვა მხოლოდ თანამედროვეობის მხრივ შეტად მარტივი საშუალებაა“<sup>1</sup>. შოტლანდიელი დებულეების შესაბამისადაა დამუშა-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916 წ. გვ. XII.

ვებული აკად. ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“. ამ გამოკვლევების წყალობით შესაძლებელია ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი ეტაპების გათვალისწინება.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მიმოხილვა იმ მხრივაცაა საჭირო და საყურადღებო, რომ, მაგალითად, XI—XII სს ქართულ ისტორიოგრაფიის უკვე მოეპოვებოდა ის ნიშნები, რაც საერთოდ დამახასიათებელი იყო XV—XVII სს. ახალი წეროპული ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისათვის. გარდა ამისა, ევროპული ცოდნის გავლენა ეტყობა ვახტანგ VI „სწავლულ კაცთა“ კომისიის ნამუშავესაც. ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ვახუშტამდე, „სწავლულნი კაცნი“ დაინტერესდნენ ქრონოლოგიის, გენეალოგიის, ისტორიული გეოგრაფიის და წყაროს კრიტიკის საკითხებით. მათვე კოლექტიურად შეაგროვეს ქართული საისტორიო წყაროები და გამოიყენეს სრულიად ახალი მეთოდი დოკუმენტებით სარგებლობისა. ამასთან იმდროინდელი ქართველი მოღვაწენი ისტორიასაც მკიდროდ უკავშირებდნენ „ქართველობისათვის“ ბრძოლის და ქართული სახელმწიფოს მშენებლობის იდეურ-პოლიტიკურ მიზნებს. ყველა ამის გათვალისწინება კი აუცილებელია იმის გასაგებად, თუ სად, როდის, რატომ და როგორ გაიმართა მეცნიერულად XVIII ს-ის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის „საქართველოს ისტორია“.

### 1. მახუშტის წინამორბედი ქართული ისტორიოგრაფია

ქართულმა ისტორიოგრაფიამ განვითარების მეტად რთული და გრძელი გზა გაიარა.

ქართულმა საისტორიო მწერლობამ შექმნა: „ყოველი დარგის ნაწარმოები უმარტივეს, ლიტონად დაწერილ თხზულებათაგან მოყოლებული, რომლებშიც მხოლოდ ამბავია მოთხრობილი, ისეთ ურთულეს და უწარჩინებულეს საისტორიო ნაწარმოებათამდე, როგორც არის გიორგი მერჩულის, ბასილ ზარზმელის, გიორგი მთაწმინდელის, გიორგი ხუცეს-მონაზონის, ეფრემ მცირეს, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ისტორიკოსებისა და ვახუშტი ბატონიშვილის ქმნილებანი“<sup>1</sup>.

IX—X სს ქართულ საისტორიო მწერლობაში შემუშავდა საისტორიო თხზულების წერის ტექნიკა და მეთოდები. თვითუღ თხზულებას მოეპოებოდა განსაკუთრებული შემადგენელი ნაწილები. მოსათხრობი ამბიდან გადახვევა ანუ „წიადსვლა“ ბუნებრივად იყო ჩართული ნაწარმოებში, რის გამოც მოთხრობის მთლიანობა არ ირღვეოდა და შინაარსი უსაგნო არ გამოდიოდა. ამრიგად, ქართულ საისტორიო მწერლობაშიაც არსებობდა „გარკვეული, მტკიცე თეორიული მოძღვრება, თუ როგორ და რა გზით უნდა დაწერილიყო კარგი და სამაგალითო საისტორიო თხზულება“<sup>2</sup>. ამით ქართველ ისტორიკოსთა ნაწარმოებები დადებითად განსხვავდებოდნენ თანამედროვე ევროპული „ქრონიკე-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. Op. cit., გვ. XIX.

<sup>2</sup> იქვე, გვ. XIX.

ბისაგან“, რომელთა ავტორები ხშირად ჰკარგავდნენ თხრობის სავანს მათი თხზულებების მეტად მარტივი და გაუმართავი კომპოზიციის გამო<sup>1</sup>.

ქართველი ისტორიკოსნი ზრუნავდნენ მოთხრობის უეჭველობისათვის და სანდო წყაროებით სარგებლობდნენ. თხზულების დაწერამდე ისინი ავროვებდნენ საჭირო ცნობებს და მასალებს „ჰმად მოსათხრობლად“<sup>2</sup>.

XI—XII სს ქართველ ისტორიკოსთა წყაროები მრავალგვარი და მრავალმხრივი იყო. ისინი სარგებლობდნენ ანტიკური, ბიზანტიური, სომხური და მაჰმადიანური საისტორიო მწერლობის ცნობებით. ამავე დროს ისინი იყენებდნენ წერილობით, ნივთიერ და ზეპირ წყაროებსაც. მაგ., გიორგი ათონელის თხზულებაში დამოწმებულია სამივე რიგის წყაროს გამოყენების ფაქტები. მას „საქიროდ მიაჩნდა თავისი თხზულება დაეწერა: „თუთ მებრ მათ (ესე იგი იოანეს და ეფთემეს) საქმეთაგან, რომელნი იგი დღემილით წამებენ და ჰმამალად ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა“, ესე იგი,—შენიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი,—ისეთი ნივთიერი საბუთებით, რომელნიც დღემილითაც კი მოღვაწეთა დიდ საქმეებს ამტკიცებდნენ. საყურადღებოა, რომ ავტორი ნივთიერ წყაროებად ყოველგვარ მასალებს სთვლიდა (ზაზი ავტორისაა. ვ. გ.), როგორც სამეურნეო ქონებას, რომელიც მათ ივერთა მონასტერს შესძინეს, მაგ. ლავრა, ეკლესიანი, დაბანი, სოფელნი, მონასტერნი და დასაყუდებულონი, ისე სხვადასხვა სამწერლობო ძეგლებსა და იურიდიულ საბუთებს, მაგ. წიგნები, რომლებითაც მათ ლავრა აავსეს, მათ თარგმანებით შემკული და აყვავებული ქართული ენა, მათ მიერ დადგენილნი სამონასტრო წესნი და კანონნი, მფლობელობის სიმტკიცენი ველწერილნი და ბიზანტიის კეისართა ოქრობეჰედნი ანუ ხრიზოზოზულნი. ერთი სიტყვით, გიორგი მთაწმინდელს უსარგებელია მათი მოღვაწეობის დამახასიათებელ ყოველგვარ ნაშთებით და საბუთებით“<sup>3</sup>.

გიორგი ათონელი „უხვად სარგებლობს ყოველგვარ წერილობითი საბუთებით“ და „სარწმუნო კაცთა“ ზეპირ ცნობებით<sup>4</sup>. ამრიგად, XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი თანამედროვე მეცნიერ-ისტორიკოსივით იყენებს წერილობით, ნივთიერ და ზეპირ წყაროებს. ამასთან გიორგი ათონელს „ჰქმშმარიტ“, „უტყუველ“ და გამოსადეგ მასალად მხოლოდ საბუთის დედანი მიაჩნდა. მას კარგად ესმოდა, რა დიდი განსხვავებაა საბუთის დედანსა და მის პირს შორის<sup>5</sup>. XI საუკუნეში გამოყენებულ წყაროთა თვისების გამო აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „თანამედროვე საისტორიო მეთოდოლოგია ამ მხრივ ასეთისავე წყაროებითა და ამგვარისავე საშუალებებით სარგებლობს. ქართულ მწერლო-

<sup>1</sup> О. Л. Вайнштейн. Историография средних веков. [Москва—Ленинград, 1941, стр. 26-27.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. Op cit., გვ. XVII.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916 წ., გვ. 78.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 79.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 79.



რობენი უეჭველად „სარწმუნოანი კაცი“ უნდა ყოფილიყვნენ. ეს გარემოება შეგნებული ჰქონდა ყველა ქართველ ისტორიკოსს გიორგი მერჩულიდან მოყოლებული ომან ბერხეულიძემდე<sup>1</sup>.

ქართული ისტორიული კრიტიკა სხვა მხრივაცაა საყურადღებო. მაგ., ეფრემ მცირეს საისტორიო თხზულებაში სრულიად მოულოდნელად საგნობრივი კრიტიკის ელემენტებსაც ვხვდებით. ამ მეთოდს იგი მოვლენის შესაძლებლობის დასადგენად მიმართავს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართულ წერილობით წყაროებში საქართველოში მირონის შემოღების უფლების დამადასტურებელი ცნობისათვის ვერ მიუვცნია. ეფრემ მცირეს აზრით, „საგონებელ არს, ვითარმედ სიშორისათჳს ჳზისა და რომელ ფრიად საშიშ არს უცხო თესლთა შორის ჳმელით ანტიოქიით ქართლს წაღებაჲ წისა მიპრონისაჲ, ამისთჳს თუთ ადგილსა დაწესებულ არსა მათდა კურთხევაჲ მიპრონისაჲ“<sup>2</sup>. აღსანიშნავია რომ საგნობრივი კრიტიკის პირველი შემთხვევა, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენებო, დადასტურებულია XV ს-ის იტალიელი ისტორიკოსის ჟუსტინიანის საისტორიო თხზულებაში. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმ გარემოებაც, რომ ეფრემ მცირე, XI—XII სს გამოჩენილი ქართველი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი,—წყაროს ტექსტის რთულ ფილოლოგიურ ინტერპრეტაციასაც აწარმოებდა<sup>3</sup>. ამ მხრივაც იგი რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებს იტალიელ ჰუმანისტ ისტორიკოსებს.

XI—XII სს ქართულ საისტორიო მწერლობაში ჩვეულებრივი იყო გამოყენებული წყაროს დასახლება-დამოწმების წესი. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო საეკლესიო წრიდან გამოსული ისტორიკოსებისათვის, რომელთაც წყაროს ნიშანდობლივი დამოწმება სჭირდებოდათ კონფესიონალური პაექრობის დროს ან ქართლის მოქცევის სადაო საკითხების გარკვევა-დამტკიცებისათვის. მაგ., ეფრემ მცირეს საისტორიო თხზულებაში: „უწყებაჲ მიზეზისა ქართველთა მოქცევისაჲ თუ რომელთა წიგნთა შინა მოიწინებისა“, დასახელებულია წიგნის სათაური, ავტორის სახელი და დამოწმებული ადგილი: „მოიწინებნეს თყოდორიტე საეკლესიოჲსა მოთხოზახა წიგნსა შინა თჳსსა ოცდამეოთხე თავსა“<sup>4</sup>, ან კიდევ: „ევაგრე ეპიფანესი საეკლესიო მოთხოზახა შინა თჳსსა აღწერს ოცდამეორე თავსა შინა“<sup>5</sup>. გამოყენებულ წყაროებს ასახელებდნენ ავრთვეთ საერო ისტორიკოსებიც. მაგ., ჭუანშერი, ლეონტი მროველი, სუმბატი, ქართლის მატინანეს ავტორი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარ მეფის ისტორიკოსები, ეამთაღმწერელი<sup>6</sup>.

XI—XII სს ქართული საისტორიო მწერლობისათვის უცხო არ იყო ანალოგიის მეთოდიც. თუ გავიხსენებთ, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი XVII ს-ის ევროპული ისტორიოგრაფიის წარმონაქმია, გასაგები ვახდება, რამდენად რთული იყო XI—XII სს ქართული ისტორიოგრაფიის საისტორიო მეთოდოლოგია.

<sup>1</sup> იქვე, გვ. XIX.

<sup>2</sup> თ. ჯორდანიძე, ქრონიკები, წიგნი I, გვ. 47.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916 წ., გვ. 95-99.

<sup>4</sup> ქრონიკები, წიგნი I, გვ. 34.

<sup>5</sup> ქრონიკები, Op. cit., გვ. 53.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, Op. cit., გვ. 125-126, 131, 136, 147-148, 159, 181, 204-206



ცნობილია, რომ ევრემ მცირე ისტორიული მოვლენის ასახსნელად ანალოგიის მეთოდსაც იყენებდა. მაგ., ანდრია მოციქულის საქართველოში ყოფნისა და წმ. ნინოს ქადაგების საჭიროების დასამტკიცებლად იგი ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ გაქრისტიანებულ ხალხებში ზოგჯერ თავს იჩენდა წარმართობისადმი მიდრეკილება, რისთვისაც საჭირო ხდებოდა ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებათა განახლება „მეკერპეთა ღვარძლის“ ამოსაგდებად: „ამათ წმიდათა სამოციქულონი მოძღურებისა თესლთა ანეულნი მრავალქამ დაიპყრნა ლუარძლმან მეკერპეთამან, — ამბობს ევრემ მცირე, — არა თუ ჩუენ შორის, არამედ თუთ მათ ბერძენთაცა შორის“<sup>1</sup>. აქ რა თქმა უნდა, საინტერესოა ევრემ მცირეს მსჯელობის მეთოდოლოგიური მხარე და არა მისი რწმენა ანდრია მოციქულის საქართველოში ყოფნის შესახებ.

ხშირად მიმართავდა შედარებითს მეთოდს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „იგი ამ სამოთხრობო მეთოდს წამდაუწუმ ხმარობდა ხოლმე. ებრაელების ისტორია იქნება თუ ქრისტიანობის, ძველი წარმართ ბერძენებისა თუ სპარსელების ისტორია იქნებოდა, ჩვენი ავტორისათვის სულ ერთია, — მას სრულებით თავისუფლად მოჰყავს ყველა ხალხების და მეფეების ცხოვრებლს მაგალითები და საქართველოს მდგომარეობას და საქართველოს მეფის მოღვაწეობას იმ მაგალითებს აღარებს. მისი მხედველობისა და შედარების ასპარეზი ფართო და თითქმის განუსაზღვრელია, მისი აზროვნობა მსოფლიო-ისტორიულ სფეროში დანავარდობს“<sup>2</sup>. XI—XIII სს ქართულ საისტორიო მწერლობაში შედარებითი მეთოდის გამოყენება უკველად განვითარებული ისტორიული აზროვნების მკაფიო მოწმობაა.

აღსანიშნავია, რომ XI—XII სს ქართული საისტორიო თხზულებები იწერებოდა „ველოვნებითა რიტორებისათა“ ან „ჯეროვნად რიტორებისა“. თუ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის საისტორიო მკვლევარმეტყველება ზომიერი და თავშეკავებულია, სამაგიეროდ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში რიტორიკულ მომენტს მთავარი ადგილი უჭირავს<sup>3</sup>.

ეს გარემოება ადვილი ასახსნელია, რადგან XI—XII სს ქართული ისტორიოგრაფიისათვის, როგორც ჩანს, სანიშნუო იყო ანტიკური საისტორიო მწერლობა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ თხრობის რიტორიკულ მხარეს აქცევდა.

აღებული ხანის ქართველ ისტორიკოსთა თხზულებები აქრელებულია ანტიკურ ლთაებათა (კრონოს, ზევსი, აფროდიტე, ერმი, აპოლონ, არესი), გმირთა (აქილევსი, ჰექტორი, პრიამოსი, ალამემნონი, ოდისეოსი, ორესტი), პირთა ჰომეროსი, არისტოტელი, პლატონი, თემისტოკლე) სახელებით. სანიშნუოდ მოგვაქვს ერთი ადგილი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან: „ამად რე თხრობად მოვიწიე, ვაბისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანი მეტყუელნი, — ვიტყვ უკუე უმირიხსა და არისტოტელსა ელინთა, ხოლო იოსიპოს ებრაელთა, — რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქილევსელთანი შე-

<sup>1</sup> კრონიკები, წ. I, გვ. 34; ივ. ჯავახიშვილი. Op. cit., გვ. 110.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. Op. cit., გვ. 163-164.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 162, 179.

ამჟუნა თხრობანი, თუ ვითარ აღამენონ და პრიაშოს, ანუ აქილევი და ჰექტორ, მერმეცა ოდისეოს და ორესტი ეკუთვნეს და ვინ ვის მძლე ექმნა, და მეორემან ალექსანდრესნი წარმოთქუნა მწველაკებანი და ძლევაანი, ხოლო მესამემან ტიტოს-მიერნი მეტომეთა თვსთა-ხედანი ქირნი მისცნა აღწერად<sup>1</sup> და სხვა<sup>2</sup>. თამარ მეფის ისტორიკოსიც „ეკლინურ მწერლობის ისეთი მოტრფიალე ყოფილა, რომ გიორგი მეფეს იმნაირად აღაპარაკებს, თითქმის მეფე ბერძენთა მბრძანებელი იყოს“<sup>3</sup>. ანტიკურ კულტურისადმი დამოკიდებულება იყო არა მწიგნობრული, არამედ ესთეტური აღქმისა და განწყობილების შედეგი<sup>4</sup>.

აღნიშნული გარემოებანი სრულიადაც არ არის მოულოდნელი, რადგან XI—XII სს ლიტერატურული რენესანსის ხანა იყო საქართველოში. ამ დროის ქართულ ისტორიოგრაფიას მოეპოვებოდა ისეთი რიგის ნიშნები, რაც რამდენიმე საუკუნით გვიან დამახასიათებელი იყო XV—XVI სს იტალიური ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისათვის. ეს ნიშნებია: წყაროთა დამოწმების წესის არსებობა, საისტორიო თხზულებების კომპოზიციური მთლიანობა, ისტორიული კრიტიკის მარტივი წესების გამოყენების შემთხვევები, ტექსტების ფილოლოგიური ინტერპრეტაცია და, განსაკუთრებით, ანტიკური მწერლობით გატაცება. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ისტორიული მეცნიერების განვითარების ზოგადი ისტორიის თვალსაზრისით, არამედ იმ მხრივაც, რომ ვახუშტის შეეძლო XI—XII სს ქართული ისტორიოგრაფიიდან აეღო ის, რაც XVII—XVIII სს ვერძოულმა ისტორიოგრაფიამ შეითვისა და განავითარა წინამორბედი ჰუმანისტური ისტორიოგრაფიიდან.

მაგრამ ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისაგან განსხვავებით ქართულ საისტორიო მწერლობაში ისტორიის სეკულარიზაცია არ მომხდარა. ქართული ისტორიოგრაფიისათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო „პროვიდენციალიზმი“ ისევე, როგორც ვერძოულ „ქრონიკების“ ყველა ავტორისათვის. მაგ., ისეთი ისტორიკოსის აზროვნებითაც კი, როგორც იყო დავით აღმა-

<sup>1</sup> ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის „ძვ. საისტ. მწერლობის“ მიხედვით, გვ. 159.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 178.

<sup>3</sup> საინტერესოა აღინიშნოს, რომ XVII ს-ის მეორე ნახევრამდე: „ძველ რუს მწიგნობრებს კრონოგრაფებიდან, მატიაწებიდან, ალექსანდრიანიდან“ არა ერთხელ გავგონათ ახოლონის, არესის, ვირგოლიუსის, ვენას, ჰომეროსის და სხვათა სახელები. მაგრამ მთელი ამ მასალის გამოყენება მკითხველზე ესთეტური ზეგავლენის მოზღდენის მიზნით სრულიად ახალი მოვლენა იყო“ XVII—XVIII სს რუსული მწერლობისათვის (История русской литературы, Москва-Ленинград, 1941, т. III, часть I, стр. 8). ანტიკურ კულტურასა და მწერლობას XVII—XVIII სს რუსი მკითხველი ეცნობოდა ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის მეშვეობით. საყურადღებოა, რომ მსოფლიო საეკლესიო ისტორიების მთარგმნელი გაბრიელ ბუჟინსკი თარგმნის აგრეთვე ინგლისში მოღვაწე იტალიელი ჰუმანისტი ისტორიკოსის პოლიდორ ვერგილის ნაწარმოებს (И. Пекарский, Наука и литература в России при Петре Великом, т. I, стр. 211, 486, 487). ანტიკური მწერლობის ცოდნა საქართველოში საზოგადოდ საქმოდ საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო (ივ. ჯავახიშვილი, Op. cit., გვ. XXXII). „საგულისხმეო და მეტად დამახასიათებელია, —ამბობს აკად. ივ. ჯავახიშვილი, —რომ ელლინურ საისტორიო მწერლობის ცოდნა ქართველებს გარდა ძველს მახლობელ აღმოსავლეთში თითქმის არავის ემნევა და არც არაბულმა, არც სპარსულმა არც სომხურმა ძველმა საისტორიო მწერლობამ თითქმის არაფერა იცოდა ელლინურ ისტორიათა აღმწერლობისა“ (იქვე, გვ. XXXII).



შენებლის ისტორიკოსი, ქვეყნის უბედურება, მტრის შემოსევა ან სხვა რამ განსაცდელი „ზეგარდმონი, ღვთივ მოვლინებულნი“ იყო „ცოდებათა ჩუენთათჳს“<sup>1</sup>. ასევე თამარ მეფის ისტორიკოსი დარწმუნებული იყო, რომ ადამიანთა და სამეფოთა ცხოვრებაში ყველაფერი ღვთის წინასწარ განკარგულებათა და მოკიდებულა“<sup>2</sup>. XI—XII სს საისტორიო ნაწარმოებებში თითო-ორჯო სასწაულებრივ ამბავსაც ვხვდებით, მაგრამ ისეთი რიგისას, რომელთა ახსნა ადვილად შეიძლება<sup>3</sup>. ამდროინდელი ისტორიკოსებისათვის უცხოა ისეთი გასაოცარი და წარმოდგენილი სასწაულები, როგორც საკმაოდ შრავლად მოიპოვება ჟამთააღმწერლის თხზულებაში.

მაინცდამაინც „პროვინდენციალიზმით“, და ზოგს შემთხვევაში „სასწაულებითაც“, XI—XII სს ქართული საისტორიო მწერლობა უახლოვდება თანამედროვე ევროპულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიას. საისტორიო მეთოდების მხრით კი, —საამისოდ ზემოთ არა ერთი მაგალითი იყო ნაჩვენები, მისგან არსებმათად განსხვავდებოდა.

იმ დროს, როდესაც ევროპაში უმწეო, კომპოზიციურად გაუმართავი „ქრონიკები“ იწერებოდა, ქართული საისტორიო მწერლობის სარბიელზე მოღვაწეობდნენ ერთდრით ისტორიკოსები (გიორგი ათონელი, გიორგი ზუცეს-მონაზონი, ეფრემ მცირე), რომელთაც განავითარეს საისტორიო-საეკლესიო მწერლობა, გააფართოვეს ისტორიული წყაროების წრე და მეტ-ნაკლები სისრულით მოიმარჯვეს ისტორიული კრიტიკა<sup>4</sup>. მართალია, ყოველივე ეს იმით იყო ნაკარნახევი, რომ უკეთ და დამაჯერებლად ყოფილიყო დაცული ქართული ეკლესიის ისტორიული უფლებები ან საეკლესიო-სამონასტრო ქონების ხელშეუხებლობა, მაგრამ ამას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საისტორიო მეთოდების შემუშავებისათვის. მომდევნო საუკუნეების დას. ევროპაშიც ისტორიული წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება კონფესიონალური და კლასობრივი ბრძოლის იარაღად იყო გამოყენებული, რაც თავისთავად ხელს უწყობდა ისტორიოგრაფიის დაწინაურება-განვითარებას.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკურ-რიტორიკული მიმართულების ქართველ ისტორიკოსთა (ქართლის მატიანეს ავტორი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარ მეფის ისტორიკოსები, ჟამთააღმწერელი) მოღვაწეობა. ისინი, როგორც ერთმეფობის იდეის მატარებლები და დიდგვარიან აზნაურთა ოპოზიციის მოწინააღმდეგენი, ისტორიას პრაქტიკული პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ და ამის შესაბამისად ქართველ ხელმწიფე-დიდებულების სახელმწიფო, სამხედრო თუ კულტურული მოღვაწეობის მკვეთრ დახასიათებებს იძლეოდნენ. მათ მკაფიოდ აქვთ გადმოცემული სახელმწიფოს განსამტკიცებლად გატარებულ ღონისძიებათა მიზეზები, მნიშვნელობა და შედეგები. რათა უფრო მეტად აემალღებინათ ქართული სახელმწიფოს გაძლიერების შესვეურნი, ისინი ანტიკური საისტორიო მწერლობიდან სესხულობდნენ თბრობის რიტორიკულ ხერხებს, რაც მხოლოდ მათი პოლიტიკური ტენდენციების გარეგ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. Op. cit., 156-159.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 173.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 200.

<sup>4</sup> საამისოდ მავ-ები მოტანილია ივ. ჯავახიშვილის დას. ნაშ-ში, გვ. 199-200.

ნული ფორმა იყო, რომელშიაც ხელოვნურად თავსდებოდა ანტიკურობისაგან განსხვავებული ფეოდალური საზოგადოების აზრები და იდეები. თუ განუვ დავტოვებთ ლეონტი მროველის და ჯუან შერის, საისტორიო თხზულებებს, რომელთაც, სხვათა შორის, უფრო ბევრი რამ აქვთ საერთო შუასაუკუნეების ევროპულ „ქრონიკებთან“, XI—XII სს ყველა სხვა ისტორიკოსი თანამედროვე ამბების აღმწერელი იყო და, ცხადია, თვითეული მათგანი ყურადღებას, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური რივის მომენტებზე ამახვილებდა. ამიტომაც მათი თხრობის მთავარი საგანი ღირსშესანიშნავი მოვლენები და ომები იყო. მათს ნაწარმოებებში ნაკლებად ან თითქმის სულ არ ვხვდებით „შინაგანი“ ისტორიის ელემენტებს.

XI—XII სს ქართული ისტორიოგრაფიის, ისევე როგორც ქართული კულტურის სხვა დარგების, წარმატება-განვითარებას ნიადაგი მოუშადა გავრთიანებულ საქართველოს, წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოს, განვითარებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა პირობებმა. საქართველოს პოლიტიკურმა დაშლილობამ კი ქართული ისტორიოგრაფიის დაქვეითებაც გამოიწვია.

XIV—XVI საუკუნეებში რთული საისტორიო ნაწარმოების მაგიერ მარტივი „ქრონიკები“ და „მატიანეები“ იწერებოდა<sup>1</sup>. თვითონ ცოდნა და განათლება იმდენად შეიზღუდა, რომ ამის გამო ვახუშტი გულისტკივილით შენიშნავდა: „არამედ არს ეამი რაოდენიმე, არღარა ისახელების ცოდნა, თუნიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გლობა-სიმღერისა და სამკედროსაგან კიდე, და ჰგონებენ დიდ-ცოდინარობად“<sup>2</sup>.

ქართული საისტორიო მწერლობა ხელახლად აღორძინდა მხოლოდ XVII ს-ის მეორე ნახევარში.

XVII—XVIII სს-ში, მიუხედავად ერანის პოლიტიკური ბატონობისა, საქართველო კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურდა: „ქვეყანა მოშენდა, ეკონომიურად მოღონიერდა. შორეულსა თუ ახლო ქვეყნებთან საეკპრო ურთიერთობა გაცხოველდა, თანდათან გაიშალა კულტურული მუშაობა“<sup>3</sup>. ხელახლად გაიბა კავშირი დასავლეთის კულტურულ კერებთან. ქართული საზოგადოება დაეწაფა ევროპულ ცოდნასა და კულტურას. „ევროპასთან ურთიერთობას საქართველოსათვის მეტად დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ურთიერთობის შედეგად ქართველმა მეფე-ფეოდალებმა გაიცნეს დას. ევროპა, მისი მიღწევები... კათოლიკე პატრებთან სწავლობდნენ მოქალაქენი, თავად-აზნაურნი, მეფის ძენი და თვით მეფენი“<sup>4</sup>. კათოლიკე მისიონერთა სკოლაში სწავლობდა ვახუშტი ბაგრატიონიც<sup>5</sup>. საქართველოში მყოფ „მისიონერებს შორის არა ერთი იყო ექიმი, მხატვარი, მწერალი, ინჟინერი, გეოგრაფ-ასტრონომი და სხვ. „საერო“ ცოდნით აღჭურვილი“<sup>6</sup>. ყველა ამათ საქართველოში უნდა შემოეტანათ ევროპულ ცოდნასთან ერთად, ევროპულ ისტორიოგრაფიის მიღწევებიც.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. XXXI.

<sup>2</sup> ვახუშტი. აღწერა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ. გვ. 32.

<sup>3</sup> ვახუშტი. Op. cit., ნ. ბერძენიშვილის წინასიტყვაობა, გვ. XVII.

<sup>4</sup> იქვე, გვ. XV—XVI.

<sup>5</sup> იქვე, გვ. XVII.

<sup>6</sup> იქვე, გვ. XIII.

მაგრამ ვახუშტის წარმატება საისტორიო მწერლობის სარბიელზე მარტო ეგროპული ცოდნით ან ნასესხები იდეებით ვერ აიხსნება. მეცნიერულად გამართულ „საქართველოს ცხოვრების“ წარმოშობას ნიადაგი მოუშადა XVII—XVIII სს საქართველოს პოლიტიკურმა და კულტურულმა ვითარებამ. „ისტორიაც“ „ქართველობისათვის“ იდეური ბრძოლის ერთი მკაფიო გამოხატულებათაგანი იყო.

XVII—XVIII სს საქართველოში „ფიზიკურ საშუალებათა გვერდით თანდათან შემუშავდა იდეური ბრძოლის საშუალებანი. თანდათან ჩამოყალიბდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი: პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. სათანადო მებრძოლი მოტივები გაჩნდა პოეზიაში (არჩილი, იოსებ თბილელი), საამისოდ „გაიმართა“ ისტორიაც („ახალი ქართლის ცხოვრება“), გაჩაღდა მაჰმადიანობის წინააღმდეგ პროპაგანდა (გიორგი XI, იაკობ შემოქმედელი), დაიწყო ქრისტიანობის აღდგენისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება (არჩილი, ვახტანგ VI)<sup>1</sup>. მაგრამ ქართველ მოღვაწეთა იდეურ-პოლიტიკური დასი ამაზე შორსაც მიდიოდა: „თავადების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლისათვის ხელის შეწყობა ამ დასის საშინაო სამოქმედო პროგრამას შეადგენდა. მეორე მხრით, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გადაქცევა, ხოლო „იმერეთის მპყრობელთა“ და სხვა მთავრებთან „გეგირი ქართლის ჰეგემონიით მისივე პოლიტიკის მიზანი იყო“<sup>2</sup>.

ცხადია, ამ პოლიტიკური მიზნის შესაბამისად უნდა გამართულიყო საქართველოს ისტორიაც. საამისოდ კი საჭირო იყო საქართველოს ისტორიულ წარსულის მთლიანი სურათის აღდგენა, „ერთმთავრობისა“ და „ერთობის“ ისტორიულად დამტკიცება, საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის მიზეზების ისტორიულადვე გარკვევა. ამრიგად, ისტორიისადმი ინტერესის გაზრდა-გაძლიერება მწიგნობრული ინტერესებით ან გარედან შემოტანილი იდეებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ გარკვეული პოლიტიკური მიზანდასახულებით.

ვახტანგ VI თაოსნობით შექმნილი „სწავლულ კაცთა“ კომისიის განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა XIV—XVIII სს საქართველოს ისტორია. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ამ ხანის შესახებ გაბმული თხრობის შემცველი ისტორია არ არსებობდა, არამედ იმიტომაც, რომ სწორედ აქ იყო საძიებელი საქართველოს სამეფო-სამთავროების დაყოფის დრო და მიზეზები—როდის და როგორ „იქმნა განყოფილება“. მეტად დამახასიათებელია, რომ „სწავლულ კაცთ“ განუზრახავთ და შეუდგენიათ კიდეც მთელი, სრულიად საქართველოს ისტორია და არა საქართველოს ერთ-ერთი კუთხის ან ნაწილისა“<sup>3</sup>. ისტორიის ამგვარად გამართვა სავსებით შეესაბამებოდა „ქართველობის“ პოლიტიკას.

XVII—XVIII სს ისტორიის შედგენისას „სწავლულ კაცებს“ მრავალი რთული, გასარკვევი და ბუნდოვანი საკითხი უნდა გამოერკვიათ: ა) საქართვე-

<sup>1</sup> ვახუშტი. Op. cit., გვ. XII.

<sup>2</sup> იქვე, გვ. XII.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. Op. cit., გვ. 276.

ლოს რამდენიმე სამეფოდ და სამთავროებად დაყოფის დრო და მიზეზი, ბ) ამ სამეფოებისა და სამთავროების ბატონ-პატრონთა შთამომავლობითი შტო, და გ) თვითეული სამეფოს და სამთავროს საზღვრები<sup>1</sup>, ე. ი., მათ უნდა ეწარმოებინათ ისტორიულ-პოლიტიკური, ქრონოლოგიური, გენეალოგიური და გეოგრაფიული ხასიათის კვლევა-ძიებანი, რაც მათ, მართალია, ბოლომდე ვერ შეასრულეს და ბევრი შეცდომაც დაუშვეს, მაგრამ ამ მხრითაც მათ უეჭველად გზა გაუკაფეს მერმინდელ ისტორიკოსებს, უწინარეს ყოვლისა კი ვახუშტი ბაგრატიონს.

„სწავლულ კაცთა“ კომისიამ თავისი მოღვაწეობა ისტორიული ძეგლების შეგროვება-შემოწმებით დაიწყო. ვანს. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამის გამო შენიშნავდა, რომ სწავლულ კაცთ „უმთავრესი საისტორიო თხზულებები, საქართველოს წარსულის დამსურათებელნი, როგორც ადგილობრივი, ისე სპარსული, სომხურიც და ბერძნულიც, შეუკრებიან, ამასთანავე უსარგებლიათ ქორონიკონებითაც. ორსავე შემთხვევაში მომავალ მკვლევართ უვალი გზა გაუკაფეს და თითქმის მთელი მასალა შეაგროვეს. ამ მხრივ მერმინდელმა მეცნიერებმა თვალსაჩინო და ახალი წყარო კვლევის საგანს ბევრი არაფერი შეჰმატეს“<sup>2</sup>. ეს გარემოება იმ მხრითაც არის საყურადღებო, რომ XVII—XVIII სს დას. ევროპასა და რუსეთშიაც განსაკუთრებული ყურადღება ისტორიული მასალების შეგროვებას ექცეოდა, რათა მათს საფუძველზე მეცნიერულად გამართული ისტორია დაწერილიყო.

„სწავლული კაცები“ სარგებლობდნენ: 1) წერილობითი წყაროებით: ქართულ-უცხოური „მატიანეებით“, ქორონიკონებით, საბუთებით („გუჯრებით“) და 2) ზეპირწყაროებით: „ძველთა კაცთა“, „თუთ თუალითა მნახველთა და ომებთა შინა მყოფთა კაცთა“ გარდმოცემებით<sup>3</sup>. მათ აკლდათ მხოლოდ ნივთიერი საბუთები, რათა გამოყენებული წყაროების წრე საჭირო სისრულით ყოფილიყო წარმოდგენილი.

დოკუმენტის გამოყენებით „სწავლულ კაცებმა“ სათავე დაუდეს ქართულ ისტორიულ მეცნიერებას. ეს იყო ერთი მნიშვნელოვანი პირობათაგანი სამეცნიერო-საისტორიო შემოქმედებისათვის. ყველგან ამით გაიბა გზა ისტორიის ცოდნიდან ისტორიის მეცნიერებისაკენ. მართალია, „სწავლულ კაცებს“ გუჯრებით შედარებით ნაკლებად უსარგებლიათ, მაგრამ ამ მხრივაც მერმინდელ ისტორიკოსებს მათ პირველი მაგალითი უჩვენეს, თუმცა ქართულ საისტორიო მწერლობაში საბუთებითგან ამოღებული ცნობებით სარგებლობა ახალი ხილი არ იყო და უკვე გიორგი მთაწმინდელი უხვად სარგებლობდა ამგვარი მასალებით, მონგოლთა დროინდელ ქაშიაღმწერელსაც თხზულების წერის დროს სიგელ-გუჯრებიც ხელთა ჰქონია, მაგრამ არც ერთი ზემოაღნიშნულ ისტორიკოსთაგანი იმნაირ მდგომარეობაში არ ყოფილა რა მდგომარეობაშიც იყვნენ ვახტანგ მეფის მიერ შეგროვილი „სწავლულნი“. იმათ საბუთები სჭირდებოდათ თითო ოროლა საკითხის, ხშირად შედარებით მეორეხარისხოვანი საკითხის გამოსარკ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 275.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. Op. cit., გვ. 281.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 275—282.

ვევთ, უმთავრესი ამბებისათვის კი ცნობები ბლომად მოგპოვებოდათ, ამოთ კი ხშირად, როგორც მაგალითად, ალექსანდრე მეფეთ მეფის შესახებ, გუჯრებს გარდა სხვა არავითარი მასალები და ცნობები არა ჰქონდათ. გუჯრები იყო მათი ერთადერთი წყარო და ამ გუჯრების საშუალებით უნდა აღედგინათ ზოგიერთ მეფეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია. ეს კი, რასაკვირველია, ეხლაც მეტად ძნელი და რთული საქმეა თანამედროვე დახელოვნებულ მეცნიერ-ისტორიკოსისათვისაც-კი, მაშინ ხომ, რა თქმა უნდა, უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე მაშინ ეს სრულებით უცნობი და ახალი საშუალება და მეთოდი იყო და „სწავლულ კაცთა“ ღვაწლად ამ მეთოდის შემოღება უნდა ჩაითვალოს<sup>1</sup>.

გარდა ამისა, „სწავლულ კაცებმა“ წყაროს კრიტიკის საჭიროებაც იცოდნენ: „რაოდენი საექველი იყო ჴემარ ცყავით, ხოლო მართალი აღგვიწერია“. და მოწმებული ადგილის გამო აკად. ივ. ჯავახიშვილს ნათქვამი აქვს: „მათ თავდაპირველად ცნობების უექველ-საექველობისათვის მიუქცევიათ ყურადღება და უმუშავნიათ. მასადაამე, ისინი სხვადასხვა წყაროებითგან ამონაწერების ერთმანეთზე გადაბმითა და დაკავშირებით კი არ დაკმაყოფილებულან და უბრალო კომპილატორები კი არ ყოფილან, არამედ „სწავლული“ მკვლევარნი, რომელნიც შეძლებისდაგვარად პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას“<sup>2</sup>.

„სწავლულ კაცთა“ მოღვაწეობის ზოგადი შეფასებისა და მათი ნამუშავეის ნაკლოვანება—შეცდომათა აღნიშვნასთან ერთად აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „მინცდამაინც უსამართლო იქმნებოდა დაგვევიწყა, რომ მათ მხოლოდ კრიტიკულ განხილვისა და დაფასების შემდგომ მსურდათ ესარგებლათ შეგროვილ წყაროების ცნობებით, რომ მათაც იგრძნეს, თუ რაოდენ საჭიროა წყაროების კრიტიკული განხილვა, მათი საექველ-უექველობის გამოკვლევა და თითონაც შეძლებისდაგვარად განახორციელეს კიდევ“<sup>3</sup>.

ზემოთ აღნიშნული მაგალითებიდან ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენად ახალი, მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო „სწავლულ კაცთა“ მოღვაწეობა. უამისოდ წარმოუდგენელი იქნებოდა ვახუშტის წარმატება საისტორიო მწერლობის სარბიელზე. უექველია, მათმა მოღვაწეობამ მოუშადა ნიადაგი ქართული ისტორიული მწერლობის ახალ განვითარებას XVIII ს-ის საქართველოში. ამის მკაფიო მოწმობაა არა მარტო ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“, არამედ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადაწყვეტილის ნაწარმოებიც—ქართული ისტორიული შემოქმედებისა და აზროვნების ერთი მკაფიო ნიმუშთაგანი. ამ თხზულების ავტორმაც, ვახუშტის მსგავსად, გამოამჟღავნა კრიტიკული დამოკიდებულება „სწავლულ კაცების“ მიერ შედგენილი XIV—XVIII სს ისტორიისადმი, მეტი სიფაქიზით მოეკიდა საბუთებს, სიტყვა-სიტყვით ამოიწერა საბუთებიდან მისთვის საჭირო ცნობები, თანამიმდევრულად დაალაგა ისინი და მათი შემწეობით აღადგინა და დაახასიათა, მაგალითად, ალექსანდრე მეფეთ მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა<sup>4</sup>.

ასეთი იყო ვახუშტის წინამორბედი და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია, რომელსაც ორგანულად უკავშირდება საკუთრივ მისი ისტორიული შე-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ორ., cit., გვ. 281—282. ხაზი ყველგან ავტორისაა.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 282.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 282.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 310—317.





## 2. XVII—XVIII სს ევროპული ისტორიოგრაფია

## ა. ჰუმანისტური ისტორიოგრაფია

ახალი ისტორიოგრაფიის ისტორია რენესანსის ეპოქაში იწყება, როცა ახალგაზრდა ბურჟუაზია დაუპირისპირდა ფეოდალიზმს, ფეოდალურ ინსტიტუტებს, ფეოდალურ მწერლობასა და კულტურას.

ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის სამშობლო იტალიაა. ამ ქვეყნის საზოგადოებრივმა და ეკონომიურმა განვითარებამ მოუწადა ნიადაგი რენესანსს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში.

ისტორიოგრაფიის ახალი ხანა პეტრარკასა და ბოკაჩოს საისტორიო ნაწარმოებებით იწყება<sup>1</sup>. მათს „ისტორიებში“ პირველად ელინდება ჰუმანისტურ-ესთეტიკური მიდრეკილებანი. მაგრამ პეტრარკა და ბოკაჩო ისტორიას წერდნენ როგორც მორალისტები და ლიტერატორები<sup>2</sup>. ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისათვის კი დამახასიათებელი იყო პუბლიცისტური და პოლიტიკური ტენდენციები. ისტორიას ისინი პრაქტიკულ პოლიტიკურ მიზნებს უკავშირებდნენ<sup>3</sup>.

ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის მთავარი ნიშნებია ა) მჭიდრო კავშირი ანტიკურ ხაისტორიო მწერლობასთან, ბ) ისტორიის ხეყულარიზაცია, გ) პოლიტიკური ტენდენციები<sup>4</sup>.

ჰუმანისტურმა ისტორიოგრაფიამ აღადგინა ანტიკური „ისტორიების“ რიტორიკული თხრობა. ჰუმანისტი ისტორიკოსებისათვის სანიმუშო და სამაგალითო იყო რომელიც ისტორიკოსთა: ტიტე ლივის, სვეტონის, ტაციტის, ცეზარის საისტორიო ნაწარმოებები. მათ განსაკუთრებით ჰიბლავდათ ტიტე ლივის ანალებსებური თხრობით დაწერილი საისტორიო თხზულების ფორმა, მისი ისტორიის ღირსშესანიშნავი და ამაღელვებელი ამბები: ომები და რევოლუციები<sup>5</sup>. ისინი უკრიტიკოდ იღებდნენ უკლებლივ ყველა ცნობას, ნამდვილსა თუ ნატყუარს, ანტიკური და ადრინდელ შუა საუკუნეთა საისტორიო ნაწარმოებებიდან. ერთგვარ მკრეხელობად ითვლებოდა ანტიკური ხანის მწერლის ამა თუ იმ ცნობაში დაეჭვება. ჰუმანისტი ისტორიკოსები თანამედროვე საგნებს, ცნებებსა და ტერმინებს ძველ, ანტიკური სამყაროდან აღებულ, სახელებს უწოდებდნენ. მათს „ისტორიებში“ ისტორიული პიროვნებები ანტიკური გმირების ენით ლაპარაკობდნენ. ისინი თვითონ ადგენდნენ იმ სიტყვის შინაარსს, რომელიც საჯაროდ უნდა წარმოეთქვა გამოჩენილ ხელმწიფებს, მთავარს, პოლიტიკურ ან საეკლესიო მოღვაწეს ომის ასპარეზზე, სასახლეში ან ეკლესიაში. მიუხედავად ამ თვალსაჩინო ნაკლისა, ჰუმანისტურ ანალისტიკას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის. ჰუმანისტურმა ისტორიოგრაფიამ ბოლო მოუღო შუა საუკუნეთა კომპილატორების მიერ საისტ-

<sup>1</sup> Eduard Fueter. Geschichte der neueren Historiographie, München und Berlin, 1911, s. 2—8; Hans Baron, Das Erwachen des Historischen Denkens, Hist. Zeitschr; 1932, Bd. 147, H. 1.

<sup>2</sup> Fueter. Op. cit., გვ. 9.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 9; О. Л. Вайнштейн, Историография средних веков, 1940, стр. 47—48, 55—56.

<sup>4</sup> Fueter. Op. cit. გვ. 9—11.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 10.

ტორიო ნაწარმოების უმწეოდ და უაზროდ შედგენას. XIV—XV სს შემუშავდა ისტორიის წერის ტექნიკა. ამიერიდან ისტორიკოსს შეეძლო ისტორიული ამბები ისე დაელაგებინა, რომ თხრობის საგანი არ დაეკარგა<sup>1</sup>.

ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის ერთი მთავარი დამსახურება ისტორიის სეკულარიზაციაა<sup>2</sup>. უარყოფილ იქნა ისტორიის წერის საეკლესიო ფორმა. მსოფლიო ისტორიას გამოეყო ადგილობრივი, საკუთარი ქვეყნის ისტორია. ჰუმანისტი ისტორიკოსები არ იზიარებდნენ წმ. ავუსტინეს ისტორიულ კონცეფციებს და „ოთხი მონარქიის“ იდეას. მიუხედავად ამისა მათ არ გაუშართავთ პაექრობა, XVIII ს-ის „განმანათლებელი“ ფილოსოფოსებისა და ისტორიკოსების მსგავსად, ეკლესიის დოგმატებისა და ისტორიაზე საეკლესიო წარმოდგენების წინააღმდეგ<sup>3</sup>. ისინი კვიანურად დუმდნენ, როცა საქმე ქრისტიანობას და ეკლესიას ეხებოდა. სხვა შესაძლებლობა გამოირიცხული იყო XV—XVI საუკუნეებში. სამაგიეროდ მათთვის სრულიად უცხო იყო სასწაულები და ქრისტიანული ლეგენდები. მაგრამ „ესეც პოლემიკის გარეშე იღვა ისე, რომ სასწაულები პრინციპულად უარყოფილი არ ყოფილა“<sup>4</sup>.

ჰუმანისტურმა ისტორიოგრაფიამ დღის წესრიგში დააყენა პოლიტიკური ისტორია. შუა საუკუნეთა „ქრონიკების“ ავტორებისაგან განსხვავებით, რომელნიც ან ბერები იყვნენ, ანდა ეპაქოპოსები, ჰუმანისტი ისტორიკოსები „საეროთა“ წრეს ეკუთვნოდნენ. ამავე დროს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო მოღვაწის ან დიპლომატის მოვალეობას ასრულებდა. თვითველი მათგანი ისტორიას საკუთარი ქალაქის ან რესპუბლიკის პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად წერდა. ჰუმანისტ ისტორიკოსებს სძაგდათ ფეოდალიზმთან და შუა საუკუნეებთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები. მათში ზიზღს იწყევდა ფეოდალური მწერლობა და კულტურა, როგორც დაბალი რაზ იმასთან შედარებით, რაც ანტიკურ მწერალთა და ხელოვანთა ხელაღან იყო გამოსული. ისინი უპირისპირდებოდნენ იმპერატორთა და რომის პაპთა პოლატიკას. პოლატიკასაღმი ყურადღების გამახვილებამ გამოიწვია ისეთი წყაროებისა და საბუთების გასინჯვა-შემოწმების აუცილებლობა, სადაც საუბარა იყო რომის იმპერიის „მემკვიდრე-გამგრძელებელთა“ და რომის პაპის უფლებებზე. მთავარა მაინც ის იყო, რომ ახალგაზრდა ბურჟუაზიამ სცადა ეპიქვემ დაეყენებინა საერო და საეკლესიო ფეოდალების წოდებრივი და კონებრივი უპირატესობის გამოხატველა დოკუმენტები. საამისოდ კი საჭირო იყო ისტორიული კრიტიკის მოპირკვევა. აპრიგად, წყაროს კრიტიკა კლასობრივი ბოძოლის იარაღად იქცა.

ჰუმანისტურ ისტორიოგრაფიაში არსებობდა ორი სკოლა: პოლიტიკურ-რიტორიკული (ლუანარდო ბრუნი, მაკიაველი, გვიჩარდინი, პეატინგერი, ვიმპფელინგი) და ერუდიტული (ფლავიუს ბიანდო, კომპონიო ლეტა, ლორენცო ვალა, ბეატ რენანი)<sup>5</sup>. პოლიტიკურ-რიტორიკული სკოლა უპირატესად ომებისა და დიპლომატიის ისტორიით იყო დაინტერესებული. სამაგიეროდ ერუდიტუ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 11, Fueter შენიშნავს: „mit den Humanisten die häufig ganz gedankenlose Geschichtsglitterung mittelalterlicher Kompilatoren ein Ende nahm“. Baunreue, Op. cit., გვ. 50—51.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 11—12;

<sup>3</sup> Fueter, Op. cit. გვ. 12.

<sup>4</sup> Fueter, Op. cit., გვ. 13.

<sup>5</sup> Ваиштейн, Op. cit., გვ. 55—55.

ლი სკოლა უფრო წყაროების შეგროვებას და წყაროს კრიტიკას აქცევდა მთავარ ყურადღებას<sup>1</sup>.

იტალიური ერუდიტული სკოლას მეთაური იყო ფლაბიოს ბიონდო (1388—1463). ბიონდო წყაროებით სარგებლობისას მიმართავდა შედარების წესს. მანვე წესად აქცია გამოყენებული წყაროს დამოწმება. ბიონდო პირველი ივროპელი მწერალია, რომლის ნაწარმოებს მოეპოვება სამეცნიერო აპარატი: გამოყენებულ წყაროთა დასახელება-დამოწმება, შენიშვნები, ციტატების ტექსტიდან გამოყოფის წესი და სხვ. მაგრამ ბიონდო ამ მხრით თითქმის ერთადერთი გამონაკლისი იყო XV—XVI სს ისტორიკოსთა შორის. ბიონდოს სახელთანაა დაკავშირებული ისტორიის ახლებური პერიოდიზაციის (*medium ævum, media tempestas*) პირველი ცდაც.

მეორე იტალიელმა ერუდიტმა ლორენცო ვალამ ფილოლოგიურ-ისტორიული კრიტიკის გზით დაადგინა ისეთი ცნობილი დოკუმენტის სიყალბე, როგორც იყო შუა საუკუნეებში შეთხზული „კონსტანტინეს ბოძებულება.“ ეს გარემოება იმ მხრივაც იყო მნიშვნელოვანი, რომ კრიტიკულად განხილული იყო არა „ქრონიკის“ სათანადო ადგილი, არამედ დოკუმენტი (*Fueter, Geschichte der neueren Historiographie, p. 112*).

ვენეციელმა ისტორიკოსმა ბერნარდო ჯუსტინიანიმ (1408—1481) პირველად გამოიყენა საგნობრივი კრიტიკა (*Sachkritik*) ისტორიული მოვლენის შესაძლებლობის დასადგენად. მას მიზნად არ დაუსახავს ვალასავით დოკუმენტის ნატყუარობის გამორკვევა, ან ბიონდოსავით შეგროვებული საბუთების ერთიმეორესთან შედარება, მან საფუძველი ჩაუყარა ისტორიული კვლევა-ძიების იმ დარგს, რომელიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ისტორიული ან ფილოლოგიური კრიტიკა<sup>2</sup>.

ჯუსტინიანიმ ყალბად გამოაცხადა ატილას მიერ ქ. აკვილას სამწლოვანი გარემოცვის ცნობა. ჯუსტინიანის დაკვირვებით ეს იყო უაზრო, სულელური ცნობა, რადგან, ქალაქის სანახების განსახლვრული სივრცისა და ადგილის ნაყოფიერების გამო, შეუძლებელი იყო მრავალრიცხოვანი მყოპრების გამოკვება, ისიც იმ დროს, როცა რომაელთა ფლოტი აწარმოებდა სანაპირო ზოლის ბლოკირებას, ხოლო ქალაქის მცხოვრებთ წინასწარ გადებუჯათ მინდვრები და სურსათ-სანოვაგე ქალაქში ჰქონდათ შენახული<sup>3</sup>. ჯუსტინიანი შეეცადა ტოპოგრაფიული ძიებით დაედგინა ის გზა, რომლითაც ატილა თავისი ჯარებით იტალიაში უნდა შეჰკრილიყო<sup>4</sup>.

მაგრამ ჰუმანისტ ერუდიტ-ისტორიკოსთა ისტორიული კრიტიკა ჯერ ისევ მარტივი და მეთოდოლოგიურად დაუმუშავებელი იყო. ისინი შორს იდგნენ წყა-

<sup>1</sup> თუ პოლიტიკურ-რიტორიული სკოლა ვრიდებოდა პირველ წყაროებს და ხშირად უცხო ავტორთა თხზულებების უბრალო კომბინირებით კმაყოფილდებოდა, ერუდიტი ჰუმანისტი ისტორიკოსები უპირატესად ისტორიული ფაქტის დადგენით იყვნენ დაინტერესებული. ისინი სარგებლობდნენ არა მარტო წერილობითი, არამედ წიგნიერი საბუთებითაც. პირველად მათ სცადეს აგრეთვე ტექსტის ფილოლოგიური ანალიზი (*იხ. Вайнштейн, Op. cit. გვ. 55*).

<sup>2</sup> *Fueter. Op. cit., გვ. 114.*

<sup>3</sup> იქვე, გვ. 114.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 115.

როს ნამდვილი და არსებითი კრიტიკისაგან<sup>1</sup>. ამასთანავე, ერუდიტული სკოლა სრულიადაც არ სარგებლობდა იმ დიდი გავლენით, რომლითაც სარგებლობდა რიტორიკულ-პოლიტიკური სკოლა როგორც საკუთრივ იტალიაში, ისე მის გარეთ. აღსანიშნავია, რომ ბიონდოს მიერ დაწვეებული საქმის გამგრძელებლები და მიმდევრები აღმოჩნდნენ მხოლოდ XVII ს-ის საფრანგეთში და ნაწილობრივ XVI ს-ის გერმანიაში (ბეატ რენანი)<sup>2</sup>.

მიუხედავად საკმაოდ მრავალი ნაკლისა (ჰუმანისტა ისტორიკოსები მოღვაწეობდნენ ფეოდალურ გარემოცვაში და პოლომდე თავისუფალი არ იყვნენ ფეოდალური ისტორიოგრაფიის გავლენისაგან), იტალიურმა ისტორიოგრაფიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში. XV—XVI სს იტალიაში, ჰუმანისტ ისტორიკოსთა მოღვაწეობის წყალობით, დაიწყო ისტორიის მეცნიერულ დასაცავიანად ჩამოყალიბების პროცესი<sup>3</sup>.

კარლ VIII იტალიური ომების დროს ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის გავლენა საფრანგეთშიც გავრცელდა<sup>4</sup>. მალემისი გავლენა ევროპის ყველა ქვეყანას მოელო<sup>5</sup>.

საყურადღებოა, რომ იტალიის გარეთ XV—XVI სს დაწერილი ჰუმანისტური „ისტორიების“ პირველ ავტორებად იტალიელი ისტორიკოსები იყვნენ. მაგ., საფრანგეთში—პაულუს ემილი, ინგლისში—პოლიდორ ვერგილი, ესპანეთში—ლუცი მარინეო, პოლონეთში—ფილიპო ბუანააკორსი, უნგრეთში—ანტონიო ბონფინი<sup>6</sup>. ესენი საგანგებოდ იყვნენ იტალიიდან მოწვეული ნაციონალური „ისტორიის“ შესადგენად. მაგრამ მათი ადგილი მალე დაიჭირეს ადგილობრივმა ისტორიკოსებმა, რომელთაც მთლიანად გადმოიღეს და შეითვისეს იტალიური ისტორიოგრაფიის მიერ შექმნილი სტილი, წერის მანერა, კომპოზიცია და ისტორიული კონცეფციები.

ამ მხრით თითქმის ერთადერთ გამონაკლისს გერმანია წარმოადგენდა. გერმანიის ისტორია არასოდეს არ დაუშუშებებია უცხოელს<sup>7</sup>. გერმანული ისტორიოგრაფია შუასაუკუნეებრივი ხასიათის მატარებელი იყო<sup>8</sup>. აქ არ მომხდარა ისტორიის სეკულარიზაცია და მოდერნიზირება<sup>9</sup>. გერმანელ ისტორიკოსთა ქრისტიანულ თეოლოგიური მსოფლგაცება შერწყმული იყო მკაფიოდ გაოხბატულ ნაციონალურ ინტერესებთან. მათი ყურადღების მთავარი საგანი მსოფლიო, ტომობრივი და ლოკალური ისტორია იყო. დიდი გასაქალი ჰქონდა გერმანიაში შუა საუკუნეების „ქრონიკებს“, განსაკუთრებით „მსოფლიო ქრონიკას“, რომელსაც, გერმანულ ისტორიკოსთა აზრით, მჭიდროდ უკავშირდებოდა გერმანიის ისტორია იმდენად, რამდენადაც გერმანია წარმოდგენილი იყო რომის იმპერიის გავრცელებად. ყოველივე ეს, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება ამ ქვეყნის განვითარების თავისებურებით. „ახალი ისტორიოგრაფიის ისტორიის“ ცნობილი ავტორი გერმანელი ფოტერი შენიშნავდა, რომ „საზოგადოდ არც ერთ ქვეყანაში ისტორიული კრიტიკა არ მდგარა ისეთ დაბალ საფეხურზე, როგორც გერმანიაში“ (In keinem andern Lande blieb die historische Kritik an allgemeinen auf einer so niedern Stufe stehen)<sup>10</sup>. მიუხედავად ამისა, გერმანია-

<sup>1</sup> Fueter, Op. cit., გვ. 112—116.

<sup>2</sup> Вагнштейн, Op. cit., გვ. 68.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 68.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>6</sup> Fueter, Op. cit., გვ. 139—141, 164, 243.

<sup>7</sup> Fueter, Op. cit., გვ. 181.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 181.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 81—182.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 181.

ში მიზნე მოიპოვებოდნენ ცალკეული ერუდტი ისტორიკოსები, რომელთა მოღვაწეობის წყალობით გაფართოვდა ისტორიული წყაროების წრე.

ასეთი იყო, მაგ., ბიონდოს გერმანელი მოწაფე ბეატუს რეხანი (1482—1547). მან პირველად გამოიყენა ტოპონიმიკის, გეოგრაფიისა და ენობრივი მეტყველების მონაცემები, როგორც ისტორიის დასწმარე წყაროები<sup>1</sup>. გერმანელი ისტორიკოსი პეიტინგერი ნივთიერ ძეგლებს იყენებდა წერილობითი წყაროების შესამოწმებლად, აგროვებდა მონეტებს, მქედალიონებს და წარწერებს. მასვე მოეპოება დაკვირვებები გენეალოგიისა და ნუმისმატიკისათვის<sup>2</sup>. გერმანელმა ისტორიკოსებმა პირველად მიაქციეს ყურადღება ხალხურ თქმულებებს, სიმღერებს და სხვ. დემოკრატიული მიმართულების ისტორიკოს იოჰან ავენტინის (1477—1534) „ბავარული ანალები“ სხვა ღირსებებთან ერთად იმითაცაა საყურადღებო, რომ იქ მოიპოვება ქვეყნისა და მოსახლეობის მკვეთრი დახასიათება, რაც, მართალია, სრულიადაც არ იყო ახალი ამბავი იმდროინდელ ისტორიოგრაფიაში, რაკი ამერიკის აღმოჩენის შემდეგ თითქმის ყველა ჰუმანისტი ისტორიკოსი თავის მოვალეობად სთვლიდა თხრობაში ჩაერთო გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ექსკურსებში<sup>3</sup>. მაგრამ ავენტინის გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აღწერილობა ემყარებოდა პირად დაკვირვებებსა და წინასწარ შემუშავებულ პროგრამას, რის გამოც იგი გაცილებით სჯობდა პოლიდორ ვერგის, ბუშმანის და სხვ. ანალოგიურ აღწერილობებს<sup>4</sup>.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის აღმოჩენამ დიდი გავლენა იქონია ზოგად ისტორიოგრაფიაზე. მხოლოდ ამერიკის აღმოჩენისა და იქაური ხალხების შესახებ ცნობების შეკრება-გამოქვეყნების შემდეგ შემოვიდა წესად: ევროპული ქვეყნის ისტორიის დაწვება ქვეყნისა და მისი მოსახლეობის დაწვებითი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აღწერილობით<sup>5</sup>. ასევეა შედგენილი XVIII ს-ის ქართული ისტორიკოსის ვახუშტის „ისტორია“.

ჰუმანისტურ ისტორიოგრაფიას<sup>6</sup> თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად ბევრი ნაკლიც ჰქონდა. მან ბოლომდე შეინარჩუნა ისტორიის ანალებსებური თხრობის წესი, რასაც ნაწილობრივ მხოლოდ მაკიაველმა გადაუზღვია. გარდა ამისა, ზოგი მათგანი თავის ისტორიას საფუძვლად უდებდა გარკვეულ საისტორიო ნაწარმოებს, ხშირად ავტორის დაუსახელებლად. მაგ., მაკიაველის თავის „იტალიის ისტორიის“ პირველი წიგნისათვის გამოუყენებია ბიონდის დეკადები, მეორე წიგნისათვის — ჯიოვანი ვილანის ქრონიკა, მესამე და მეექვსე წიგნების შნიშვნელოვანი ნაწილისათვის (ფლორენციის შინაური ამბების გამოკლებით) სიმონეტ<sup>7</sup>. ასევე იქცეოდნენ ფრანგი, ინგლისელი, პოლონელი და სხვა ჰუმანისტი ისტორიკოსები. მთავარი კი ის არის, რომ ჰუმანისტ ისტორიკოსთა დიდი უმეტესობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა სოციალურ ურთიერთობას და

<sup>1</sup> Вайнштейн. Op. cit., გვ. 80; Fueter. Op. cit., გვ. 190—192.

<sup>2</sup> Вайнштейн. Op. cit. გვ. 81.

<sup>3</sup> Fueter. Op. cit., გვ. 197, 291.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 197.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 291.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 62.

ეკონომიურ საკითხებს. ასევე უყურადღებოდ იყო დატოვებული სახელმწიფო დაწესებულებების განვითარების ისტორია. ქვეყნის „შინაგანი“ ისტორიით ჰუმანისტური ისტორიოგრაფია არ დაინტერესებულა.

XVII ს-ში ჰუმანისტური ისტორიოგრაფია დაქვეითების გზას დაადგა, ხოლო ამავე საუკუნის დამლევისათვის მან დაკარგა ის გავლენა, რომლითაც იგი წინა საუკუნეებში სარგებლობდა.

მაგრამ ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის გავლენა კარგა ხანს ვაგრძელდა იტალიაში. ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ქართველმა მეკლევარმა, რომელიც XVII—XVIII სს საქართველოში მყოფი იტალიელი მწერლების ცოდნისა და განათლების გამორკვევით დაინტერესდება, რადგან, საფიქრებელია, ვახუშტი მარტო მწიგნობრული ან შემოვლითი გზით, უცხოელ ავტორთა (მაგ., ბარონისის) მეშვეობით არ უნდა გააცნობოდა ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის მიღწევებს.

ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის გავლენა ჯერ ისევ ეტყობათ XVII—XVIII სს ისეთ თვალსაჩინო ისტორიკოსებს, როგორც იყო ფრანგი ფრანსუა მეზერე და იტალიელი ლოდოვიკო მურატორი.

ფრანსუა მეზერეს (1610—1683), წინამორბედ ფრანგ ჰუმანისტ-ისტორიკოსებთან შედარებით, ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მის მოღვაწეობას საისტორიო მწერლობის სარბიელზე წინ უსწრებდა ასწლოვანი მუშაობა ისტორიის სხვადასხვა დარგში (პოლიტიკური ისტორია, საეკლესიო ისტორია, ეთნოგრაფია). მეზერემ, ერთი მხრით, გააღრმავა ისტორიული კრიტიკა (მაგ., ის ეჭვობდა მეფე ფარამონდის არსებობას და ანტიკურ მწერალთა ყველა ცნობა სიმართლედ არ მიაჩნდა), ხოლო, მეორე მხრით, გააფართოვა ისტორიის თემატიკა<sup>1</sup>. საეკლესიო ისტორიას, წეს-ჩვეულებებს, ხაშართაღს იგი უთმობდა განსაკუთრებულ ნაკვეთებს<sup>2</sup>. ასევე იქცევა ვახუშტიც, რომლის „ისტორიის“ შესავლის საგანგებოდ დასათაურებულ ნაკვეთებში განხილულია ქვეყნის „შინაგანი“ ისტორიის სხვადასხვა საკითხი.

ქვეყნის „შინაგანი“ ისტორია დღის წესრიგში დგება XVIII ს-ში, მაგრამ ეს საკითხი ჰუმანისტურა ისტორიოგრაფიის კარგეშ დგას.

## ბ. საეკლესიო ისტორიოგრაფია

საისტორიო-საეკლესიო მწერლობა ერთგვარი რეაქცია იყო XV—XVI სს ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ, მაგრამ პირველმა უკანასკნელის გავლენა მაინც განიცადა, ღღონდ არა ისტორიული აზროვნების მხრით, არამედ წყაროთმცოდნეობითი ხასიათის დავირებებისა და კვლევა-ძიების მეთოდოლოგიური ხერხების შეთვისებით. ამიტომ თანამედროვე ლიტერატურაში ამ ისტორიულ სკოლას სქოლასტიკურ-ჰუმანისტური მიმდინარეობა ეწოდება.

საეკლესიო ისტორიოგრაფიის ყველაზე ნიჭიერი და დიდი წარმომადგენელი XVII ს-ში იყო ფრანგი ეპისკოპოსი ბოსუე (Bossuet), ავტორი თხზუ-

<sup>1</sup> Fueter. Op. cit., გვ. 143; Вайнштейн. Op. cit., გვ. 91, 92.

<sup>2</sup> Fueter. Op. cit., გვ. 143; Вайнштейн. Op. cit.; გვ. 91.

ლებისა „Discours sur l'histoire universelle“ (პარიზი, 1681 წ.)<sup>1</sup>. ბოსუემ ხელახლად აღადგინა წმ. ავგუსტინეს ისტორიული კონცეფციები და შუასაუკუნოებრივი „პროვიდენციალიზმი“. მის თხზულებაში, რომლის თხრობაც ადამიდან იწყება, ცალ-ცალკე წარმოდგენილი საეკლესიო და სამოქალაქო ისტორია, ისტორიის ამ ორ მთავარ დარგად დაყოფა სწორედ საეკლესიო ისტორიოგრაფიამ დააკანონა.

საეკლესიო ისტორიოგრაფია მსოფლიო ისტორიას თეოლოგიური მსოფლგაგებით უდგებოდა. ამგვარად იყო განხილული როგორც ძველი, ისე ახალი ისტორია. ბოსუეს განმარტებით სახელმწიფოთა ბედ-იღბალი ღვთაებრივი განგების საიდუმლო კანონებზე იყო დამოკიდებული<sup>2</sup>. საეკლესიო ისტორიკოსთა წარმოდგენით ღმერთმა ესპანელებს ამერიკა აჩუქა, რათა ღირსეულად დაეჯილდობინა ისინი მავრებას წინააღმდეგ გაწეულა ბრძოლის გამო; ღვთის ნებას მიაწერდნენ ლოიოლას გამოჩენას ლუტერის მოკაზმით და სხვა<sup>3</sup>.

მავრამ XVI—XVII სს საისტორიო-საეკლესიო მწერლობამ, მიუხედავად მისი რეაქციული ბუნებისა, დიდად შეუწყო ხელი ისტორიის წყაროთმცოდნეობის დარგების განვითარებას.

ახალი საეკლესიო ისტორიოგრაფია რეფორმაციის წარმონაქმი იყო. პროტესტანტობამ ისტორია თავის რელიგიურ-პოლიტიკური მიზნების სამსახურში გამოიყვანა. პროტესტანტმა ისტორიკოსებმა შეაგროვეს, შეისწავლეს და გამოიყენეს კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ყველა საბუთი. თავის მხრით კათოლიკე ისტორიკოსებმა მიმართეს პროტესტანტთა საწინააღმდეგო ან მათ მიერ საეპოქოდ გამოყენებულ საბუთებს. კათოლიკე და პროტესტანტ მწერალთა პაექრობამ უნებლიეთ გაამახვილა ისტორიული კრიტიკა, რადგან ესა თუ ის ფაქტი, დებულება თუ დასკვნა კრიტიკულად განხილული საბუთით უნდა ყოფილიყო შემავრებელი. ამრიგად, ისტორიული კრიტიკა კონფესიონალური ბრძოლის იარაღად იქცა.

ცეზარ ბარონი უსის (1533—1607)<sup>4</sup> „საეკლესიო ანალები“, რომელსაც ასე ხშირად იმოწმებს ვახუშტი თავის ისტორიაში, პროტესტანტი ისტორიკოსი მათე ვლასიჩის (1520—1575)<sup>5</sup> „მაგდებურგის ცენტურიონის“ საპასუხოდ დაწერილი ნაწარმოები იყო.

ვლასიჩის უხარმაზარი საისტორიო ნაწარმოები კოლექტიური შრომის შედეგი იყო. თვით ეს გარეგობა თავისთავად საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების წარმატებით შეგროვება ბევრად არის დამოკიდებული შრომის განაწილებასა და მცოდნე „კაცთა“ მონაწილეობაზე. ვლასიჩმა მრავალი თანამშრომლის დახმარებით თავი მოუყა-

<sup>1</sup> Fueter. Op. cit., გვ. 265—267, 289—291; Ritter, Studien über die Entwicklung der Geschichtswissenschaft, Hist. Zeitschr., 1911, Bd. 107, s. 276—286; Вайнштейн, Op. cit., გვ. 92—94.

<sup>2</sup> Bossuet. Discours sur l'histoire universelle. Paris, 1855, p. 427.

<sup>3</sup> Fueter. Op. cit., გვ. 288.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 263—265. Вайнштейн, Op. cit. გვ. 79.

<sup>5</sup> Fueter. Op. cit., გვ. 249—253; Вайнштейн, Op. cit., გვ. 77—79.

რა, შეეგროვა და შეამოწმა აუარებელი ისეთი საბუთი, რომლებიც სახელს უტეხდნენ რომის პაპებსა და კათოლიკურ ეკლესიას. ისტორიული კრიტიკის იმდროინდელი შესაძლებლობის კვალობაზე ვლასიჩმა ამხილა რომის პაპთა ყალბი დეკრეტალები, პოლიტიკური მიზნით შეთხზული საეკლესიო ლეგენდები და სხვ. პაპიზმის ისტორიასთან დაკავშირებული ესა თუ ის უარყოფითი მოვლენა სათანადო საბუთით იყო დამტკიცებული.

„მაგდებურგის ცენტურიონმა“ დიდად ააღელვა მთელი კათოლიკური სამყარო. ამ ნაწარმოებში გამოძახილი იყო კათოლიკური ოპოზიციის წარმოშობა, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: ბარონიუსი და ბოსუე.

კარდინალ ანტონიო კარაფას დავალებით ცეზარ ბარონიუსმა „მაგდებურგის ცენტურიონის“ საპასუხოდ გამოაქვეყნა თავისი ცნობილი „საეკლესიო ანალები“, რომლის დასაწერადაც ავტორმა გამოიყენა ვატიკანის წმიდარი ბიბლიოთეკა და არქივი. ამრიგად, პროტესტანტულ საეკლესიო ისტორიას კათოლიკური საეკლესიო ისტორია დაუპირისპირდა.

ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით „ანალები“ და „ცენტურიონები“ თანაბარ სიმაღლეზე დგანან. თუმცა, როგორც ფოეტერი შენიშნავს, ანალები უფრო ახლოს დგას ბიონდოს სკოლასთან, ვიდრე გერმანული ნაწარმოები<sup>1</sup>. მაგ., ბარონიუსი გულდასმით უკვირდებოდა შუა საუკუნეთა წყაროებს, არ იმოწმებდა გვიანდელ კომპილატორებს აღრინდელ საუკუნეთა მოვლენების განხილვისას, მეტი რაოდენობით მოჰქონდა გამოუქვეყნებელი დოკუმენტები. მაგრამ ორივე ნაწარმოების ზოგადი პრინციპი ერთი და იგივე იყო<sup>2</sup>. ერთნაირი იყო თხრობის მატრიანისებური ფორმაც. იქაც და აქაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეკლესიის „შინაგან“ ისტორიას. ეს კი საერთოდ სრულიად ახალი მოვლენა იყო საეკლესიო მწერლობაში<sup>3</sup>. ბარონიუსიც, ვლასიჩის მსგავსად, ტენდენციურად სარგებლობდა წყაროებით, კათოლიკური ეკლესიის ინტერესების შესაბამისად აგროვებდა და იყენებდა საბუთებს. გარდა ამისა, როცა საბუთი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, ბარონიუსი დღემოვლით უფლიდა მას გვერდს<sup>4</sup>. მაგრამ თავის მხრით ბარონიუსმა, რომელიც უფრო განათლებული და დახვეწილი გემოვნების მკვლევარი იყო, ამხილა და ცხადყო პროტესტანტ ისტორიკოსთა მიერ ტენდენციურად შერჩეულ-გამოყენებული საბუთები.

კონფესიონალურ პეიქრობას უნდა გამოეწვია და გამოიწვია კიდევ წყაროს დამოწმების საპირობა. კამათის წესი მოითხოვდა საბუთის მოტანას. მოკამათე ვალდებული იყო აღენიშნა, თუ საიდან და როგორ იყო მის მიერ გამოტანილი მისივე დებულების დამამტკიცებელი საბუთი. ეს იყო საეკლესიო ისტორიოგრაფიის ერთი მნიშვნელოვანი მიღწევათაგანი, რადგან ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისათვის წყაროს დამოწმების წესი თითქმის სრულიად უცხო იყო. წყაროს დასახელება-დამოწმება წესად იქცა მხოლოდ XVII ს-ში. აღებული ხანის ერუდიტულ-ისტორიული სკოლის ისტორიკოსნი, რომელთა უმეტესობას

<sup>1</sup> Fueter. Op. cit., გვ. 264.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 264.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 264.

<sup>4</sup> Вайнштейн. Op. cit., გვ., 79.



სასულიერონი შეადგენდნენ, ამ მხრით, ცეზარ ბარონიუსის ნაწარმოებით იყვნენ განსწავლული<sup>1</sup>.

კათოლიკე და პროტესტანტ ისტორიკოსთა პაექრობამ გააცხოველა საისტორიო მეთოდები და კრიტიკა. ამასთან შინაარსობრივად რეაქციონური მათი საისტორიო თხზულებები გარეგნულად საუცხოოდ იყო გაფორმებული. ამდენად, ცხადია, ასეთ ნაწარმოებთა გაცნობას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ვახუშტის ისტორიული კრიტიკის ჩამოყალიბებისა და მისივე საისტორიო შრომის გარეგნული გაფორმებისათვის, ე. ი.; შრომის სამეცნიერო აპარატით შეგკობისათვის. ვახუშტი კი იცნობდა როგორც კათოლიკე (ბარონიუსი), ისე პროტესტანტ (სტრატემანი) მწერალთა საისტორიო ნაწარმოებებს.

საეკლესიო ისტორიოგრაფიაში განკერძოებით დგას იეზუიტების საისტორიო მწერლობა<sup>2</sup>. იეზუიტი ისტორიკოსები ერთდროულად და მრავალნაირად დაკავშირებული იყვნენ საისტორიო-საეკლესიო მწერლობასთან, ჰუმანისტურ ისტორიოგრაფიასთან და ახალ ეთნოგრაფიულ მიმართულებასთან.

იეზუიტმა ისტორიკოსებმა ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის მიღწევები თავიანთი სარწმუნოებრივი ბრძოლის იარაღად გამოიყენეს. ისინი ექვის თვლით უყურებდნენ შუა საუკუნეთა „ქრონიკებს“. მათ „წმინდათა ცხოვრებები-დანაც“ კი ამოიღეს სასწაულები და ლეგენდები, რათა მოწინააღმდეგეთათვის წმინდა საგნების დაცინვისა და გაბათილების საბაბი მოესპოთ. ამით, მთი რწმენით, უკეთ იქნებოდა დაცული ქრისტეს სახელი. იეზუიტებისათვის დამახასიათებელი იყო მკაცრი კრიტიციზმი. ამ მხრით მათ რამდენადმე უკან მოიტოვეს ჰუმანისტი ერთდროული ისტორიკოსები. წყაროს „შინაგანი“ კრიტიკის ელემენტებს სწორედ იეზუიტ ისტორიკოსთა საისტორიო ნაწარმოებებში ვხვდებით. იეზუიტ ისტორიკოსთა დაკვირვების დიდი უნარის წყალობით გაეცნო ევროპა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ხალხებს.

საგულსხმობა, რომ XVIII ს-ში იეზუიტ ისტორიკოსთა თაოსნობა-მოღვაწეობით ყალიბდებოდა ისტორიის დამხმარე დისციპლინების მნიშვნელოვანი დარგები (მაგ., ქრონოლოგია, პალეოგრაფია, ეთნოგრაფია და სხვ.). წყაროებისადმი იეზუიტთა კრიტიკული დამოკიდებულება იმდენად შორს მიდიოდა, რომ ლათინური პალეოგრაფიის ფუძემდებელმა, იეზუიტმა პაპებროხმა, ექვს ქვეშ დააყენა შუა საუკუნეების თითქმის ყველა დოკუმენტი. ამან მისცა საბაბი მავრისტ ეან მაბილონს შეედგინა და გამოექვეყნებინა თავისი „დიპლომატიკა“.

### გ. ერუდიტულ-ისტორიული სკოლა

თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებას სათავე დაუდო XVII—XVIII სს ერუდიტულ-ისტორიულმა სკოლამ<sup>3</sup>. განსაკუთრებით თვალსაჩინო და ნაყოფი-

<sup>1</sup> Fueter. Op. cit., გვ. 309.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 278—288, 311, 325, 329.

<sup>3</sup> G. Lanson. Hommes et livres (L'Erudition monastique au XVII-e et XVIII-e siècles). Paris, 1895; Fueter. Op. cit., გვ. 307—330; Вайнштейн. Op. cit., გვ. 95—107.

ერი იყო ერუდიტულ-ისტორიული სკოლის ისტორიკოსთა მოღვაწეობა საფრანგეთში.

ერუდიტ ისტორიკოსთა ზრუნვის მთავარ საგანს ისტორიული წყაროების შეგროვება შეადგენდა.

ისტორიული მასალების შეგროვებით დაინტერესება, გარდა უშუალო მეცნიერული ინტერესებისა, იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ ლუდოვიკე XIV დროს ისტორიკოსები მოკლებული იყვნენ აზრის თავისუფლად გამოთქმის იმ შეზღუდულ უფლებასაც კი, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ ფრანდის ბანაში<sup>1</sup>. ამიტომაც ისტორიკოსები უფრო მეტი ხალისით დოკუმენტების პუბლიკაციას ეტანებოდნენ, ვიდრე ისტორიის წერა-შედგენას. ამით აიხსნება, რომ XVII ს-ის დაახლოებით 70-იანი წლებიდან მოკიდებული ქვეყნდება უნიკო და უმწეო „ისტორიები“, რომელთაც გასავალი ჰქონდათ ჯერ კიდევ XVIII ს-ის მეორე ნახევრის საფრანგეთში. კათოლიკურ-აბსოლუტისტური რეაქციის პირობებში უკვე შეუძლებელი იყო ისეთი შესანიშნავი საისტორიო შრომის წარმოშობა, როგორც იყო ფრანსუა მეზერეს „საფრანგეთის ისტორია“.

ერუდიტულ-ისტორიული სკოლის ისტორიკოსთა უმეტესობას კათოლიკური კონგრეგაციების სწავლული ბერები შეადგენდნენ. მათი მოღვაწეობის მთავარი მიზანი იყო სახელი გაეტეხათ ჰუმანისტური და პროტესტანტული ისტორიოგრაფიისათვის, საამისოდ მათ, უწინარეს ყოვლისა, მოიმარჯვეს დოკუმენტები, რადგან წყაროების სუსტი ცოდნა დამახასიათებელი იყო როგორც ჰუმანისტი, ისე პროტესტანტი ისტორიკოსებისათვის<sup>2</sup>.

ერუდიტულ-ისტორიული სკოლა წარმოადგენდა რეაქციას ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ<sup>3</sup>. ეს სკოლა ძველისაგან განსხვავდებოდა ორი მთავარი თავისებურებითა და სიახლით: ა) ერუდიტი ისტორიკოსების მიერ მეცნიერულად დამუშავდა ისტორიის დამხმარე დისციპლინები: ქრონოლოგია, გენეალოგია, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, ლექსიკოგრაფია და დიპლომატიკა; მათ პირველად სცადეს წყაროების შეგროვება და მათი შესწავლა ისტორიის გარკვეული მონაკვეთების მიხედვით; მათ დროს შეიქმნა მეცნიერული მეთოდი ნამდვილი დოკუმენტის ნატყუარისაგან გასარჩევად; წესად იქცა ტექსტის ფილოლოგიური ანტიპრეტაცია, ბ) მეორე თავისებურება და სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ სრულიად უარყოფილ იქნა ისტორიის წერის ჰუმანისტური მანერა. დაკანონდა გამოყენებული წყაროს ზუსტი დამოწმების წესი<sup>4</sup>.

ისტორიოგრაფიის ახალი სკოლისათვის დამახასიათებელი იყო კოლექტიურად წარმოებული ისტორიული კვლევა-ძიება, რასაც ხელს უწყობდა სამონასტრო წყობილება, მკაცრი დისციპლინა და ქონებრივი სახსრები. ისტორიკოსთა ერთს გარკვეულ ორგანიზაციაში გაერთიანებამ და შრომის განაწილებამ სათანადო შედეგიც მოიტანა. კათოლიკე ისტორიკოსთა ნაყოფიერი და

<sup>1</sup> Вайнштейн. Op. cit., გვ. 92, 95.

<sup>2</sup> Fueter. Op. cit., გვ. 311; Вайнштейн, Op. cit., გვ. 98.

<sup>3</sup> Fueter. Op. cit., გვ. 308—309.

<sup>4</sup> იქვე გვ. 309.

მრავალმხრივი მოღვაწეობა, მიუხედავად მათი აპოლოგეტური მისწრაფებებისა, ერთი არსებითი პირობათაგანი იყო „ისტორიის ცოდნის ისტორიის მეცნიერებად გადაქცევისათვის“.

XVII—XVIII სს ერუდიტული სკოლის ისტორიკოსთა დამოკიდებულება წყაროსადმი ერუდიტული იყო, ე. ი., ნამდვილად ისინი მხოლოდ წყაროს გარეგანი კრიტიკით კმაყოფილდებოდნენ. ამასთანავე, ყველა ერუდიტი ისტორიკოსის ისტორიული კრიტიკა თანაბარ სიმაღლეზე როდი იდგა. მაგ., მავრისტები (წმ. მავრის კონგრეგაციის ბენედიქტინელები) უფრო წყაროების პუბლიკაციას აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას, ვიდრე ისტორიულ კრიტიკას, სამაგიეროდ იეზუიტებისათვის და მახასიათებელი იყო მკაცრი ისტორიული კრიტიკა, რითაც ისინი თვალსაჩინოდ განსხვავდებოდნენ ჰუმანიستي ისტორიკოსების, აგრეთვე კათოლიკე და პროტესტანტ მწერლებისაგან, რომელთა კრიტიკული დამოკიდებულება წყაროსადმი საკმაოდ შეზღუდული და ნაკლები იყო<sup>1</sup>.

XVII—XVIII სს ერუდიტ-ისტორიკოსთა მიერ შეგროვებული, შემოწმებული და გამოქვეყნებული მასალები დიდი მეცნიერული ღირებულების მასალა იყო და არის<sup>2</sup>. მაგრამ ამ მასალის გამოყენება-განზოგადება ისტორიული წარსულის სრული და უტყუარი სურათის აღსადგენად მათ შესაძლებლობას აღემატებოდა. ცნობილია, რომ მათი საისტორიო ნაწარმოებები მათსავე პუბლიკაციებსა და სპეციალურ გამოკვლევებზე დაბლა იდგა. ამის გამო ფოტერი (შენიშნავდა, რომ „მათ აკლდათ, უწინარეს ყოვლისა, ისტორიული (სოკიოლოგიური) მსოფლმხედველობა. ისტორიული ფაქტები მათ მიერ მხოლოდ გარეგნულად — ქრონოლოგიურად, გენეალოგიურად იყო ერთიმეორესთან დაკავშირებული. ისინი გვაწვდიდნენ მხოლოდ ისტორიულ ცნობებს. მათ არ ჰქონდათ წარმოდგენა იმაზე, რასაც შემდეგ ორგანული განვითარება ეწოდა. მათ აკლდათ განზოგადების უნარი. მაგრამ ეს ამოცანა მთლიანად ვერც განმანათლებელთა ისტორიოგრაფიამ გადაჭრა“<sup>3</sup>.

ეს იყო XVII—XVIII სს ერუდიტული სკოლის მეცნიერული ანალიტიკის მთავარი ნაკლი. მეცნიერული ანალიტიკის ფუძემდებელია „დიპლომატიკის“ ავტორი ჟან მაბილონი (1632—1707). მისი „წმ. ბენედიქტეს ორდენის ანალები“ მეცნიერული ანალიტიკის სანიმუშო ნაწარმოებად ითვლება.

ჟან მაბილონი ფრთხილი და დაკვირვებული მკვლევარი იყო. იგი შესანიშნავად იცნობდა და ფლობდა ისტორიულ მასალას. მარჯვედ იყენებდა იგი როგორც დოკუმენტალურ, ისე ლიტერატურულ წყაროებს. მან პირველად მიახლოება დოკუმენტს ის მნიშვნელობა, რომლითაც იგი დღესაც სარგებლობს

<sup>1</sup> Fueter. Op. cit., გვ. 311.

<sup>2</sup> მავრისტებისა და ბოლანდისტების განთქმული და მონუმენტური დოკუმენტების, მარტილობათა, ლიტერატურული და საისტორიო ძეგლების კრებულები, საერო ერუდიტი ისტორიკოსების: დიუკანის „შუა საუკუნეების ლათინურის ლექსიკონი“, ბალიუზის „Regum francorum capitularia“ და „Conciliorum nova collectio“ და სხვ.

<sup>3</sup> Fueter. Op. cit., გვ. 310.

თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში<sup>1</sup>. ჟან მაბილონს განსაკუთრებული სიფაქიზით აქვს დამუშავებული ქრონოლოგიის საკითხები. მაგრამ მისი თხზულების ანალებისებური თხრობა იმდენად პედანტურია, რომ ყურადღების გარეშე რჩება ბენედიქტინელთა ირდენის შინაგანი განვითარებისა და მისი ეკლესიასთან ცვალებადი დამოკიდებულების ისტორია. „დიპლომატიკის“ ავტორი როგორც ისტორიკოსი შედარებით სუსტი იყო<sup>2</sup>. ჟან მაბილონს სწამდა სასწაულები და მთელი მისი ნაწარმოები გამსქვალულია შუასაუკუნებრივი მონასტრული იდეალით<sup>3</sup>.

ჟან მაბილონის „ანალებზე“ ადრე გამოქვეყნდა ლუი სებასტიან Tillemont-ის (1637—1698)<sup>4</sup> „რომის იმპერატორთა ისტორია“. მაგრამ Tillemont-ი კიდევ უფრო ნაკლებადაა ისტორიკოსი, ვიდრე მაბილონი. იგი მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებს ემყარებოდა. მისი თხზულების თხრობითი ნაწილი შედგება ანტიკურ ისტორიკოსთა ფრაგმენტებიდან გამოკრებილ სიტყვასიტყვითი თარგმანებიდან, საკუთარი დამატებანი კი საგანგებო ფარჩხილებში აქვს მოთავსებული. თარგმნილი სიტყვის ჩიხუსტის დასაცავად მას კიდებეზე გაჰქონდა მისი ბერძნული ან ლათინური შესატყვისები. Tillemont-ისთვის უცხო იყო ისტორიული კრიტიკა და დოკუმენტის ნამდვილი მნიშვნელობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჟან მაბილონის ანალებთან შედარებით მის თხზულებას. ის უპირატესობა აქვს, რომ იგი ანალებისებური ფორმით მოგვითხრობს მხოლოდ პოლიტიკურ ისტორიას, ხოლო კულტურულ-ისტორიული თემატიკა, სახელმწიფო ხაზართლისა და ლიტერატურის ისტორია კი გატანილია განსაკუთრებულ ნაკვეთებში.<sup>5</sup> ამის გამოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი Tillemont-ს და მის თხზულებას ადგილს უთმობს ახალი ისტორიოგრაფიის ისტორიაში.

გარდა კათოლიკე ერუდიტებისა: დენი პეტოს, ჟან მაბილონის, ბერნარ მონფოკონის და მარტინ ბუკესი, აღსანიშნავია აგრეთვე „საერო“ ერუდიტი ისტორიკოსების: დიუკანკის, ბალიუზის, მურატორის, ტირაბოლსკისა და ლაიბნიცის ნაყოფიერი მოღვაწეობა საფრანგეთში, იტალიისა და გერმანიაში. მურატორი და ლაიბნიცი მეცნიერულად გამართული „ანალების“ ავტორები არიან.

იტალიელი ერუდიტი ისტორიკოსი ლოდოვიკო მურატორი (1672—1750)<sup>6</sup> მაბილონის სკოლას ეკუთვნოდა. მისი „იტალიის ანალების“ ნიმუშად „წმ. ბენედიქტის ანალებია“ აღებული<sup>7</sup>. მაგრამ მათს შორის არსებითი განსხვავება მაინც არსებობდა. ჯერ ერთი, მურატორი საერო კაცი იყო, მაბილონი კი ბერი. იტალიელი ისტორიკოსი სასწაულებს ისევე ეკიდებოდა, როგორც ძველი ჰუმანიტები. ამავე დროს, მურატორი მკაფიოდ გამოხატულ პოლიტიკურ-

<sup>1</sup> Fueter. Op. cit. გვ. 312.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 313.

<sup>3</sup> Baunreith. Op. cit. გვ. 101.

<sup>4</sup> Fueter. Op. cit., გვ. 313—315.

<sup>5</sup> Fueter. Op. cit., გვ. 314.

<sup>6</sup> იქვე გვ. 318—320; Baunreith, Op. cit. გვ. 102—103:

<sup>7</sup> იქვე, გვ. 319.



სიმაპითებს ამჟღავნებს, როცა იმპერატორებისა და პაპების ბრძოლას მოგვითხრობს და აშკარად დგება იმპერატორთა მხარეზე<sup>1</sup>. იგი ყველა შესაძლებელ შემთხვევას იყენებდა, რათა პაპების აპოლოგეტი ცეზარ ბარონიუსი, ეს saggio e zelante porporato (კვივანი და ბეჯითი ოსტატი), გაეკრიტიკებინა<sup>2</sup>.

მურატორიმ ახალ სიმაღლეზე აიყვანა წყაროს კრიტიკა. თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით იგი არა მარტო არჩევდა აღრინდელ და გვიანდელ ცნობას, არამედ ასწორებდა ჭაგრეთვე კარგ ისტორიულ გადმოცემასაც, როცა იგი შინაგანი მიზეზების გამო მას საეჭვოდ ეჩვენებოდა ხოლმე. „არც ერთ ძველ ისტორიკოსს ვოლტერამდე, — ამბობს ფოეტერი, — ისე კარგად არ შეუგნია ის აზრი, როგორც მურატორის, რომ თვით თანამედროვისა და თანადამხდურის ცნობა შეიძლება ტენდენციურად იყოს გაყალბებული; არავის ასე გულდასმით არ გამოუკვლევია წყარო“<sup>3</sup>. მურატორიმ პრაქტიკულად გამოიყენა ქრონოლოგიისა და დიპლომატიკის საფუძვლები. მაგრამ, ყველა ამის მიუხედავად, არც მისი „იტალიის ანალები“ იძლევა თემის ისტორიულ დამუშავებას<sup>4</sup>. მის „ანალებში“ წარმოდგენილია მხოლოდ პოლიტიკური ისტორია. მთავარი ადგილი მის თხრობაში ქრონოლოგიური რიგის ძიებას უჭირავს. თავის დაკვირვებებს სახელმწიფო დაწესებულებებისა და კულტურულ-ისტორიული თემატიკიდან კი მურატორი იყენებდა მხოლოდ პოლიტიკური მოვლენების ასახსნელად. მას არ მოუცია კულტურის ან სახელმწიფო სამართლის დამოუკიდებელი ისტორია. მისი თხრობა გამოკვლევისაგან გამოყოფილი არ არის<sup>5</sup>. მურატორის ყურადღების საგანი იყო არა იტალიის „შინაგანი“, არამედ „გარეგანი“ ისტორია: დიპლომატია და ომები<sup>6</sup>.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მურატორის ღვაწლი იტალიის ისტორიული ძეგლების — *Rerum italicarum scriptores* — შეგროვება-პუბლიკაციის გამო<sup>7</sup>. მისი მოღვაწეობის ეს მხარე, ისევე როგორც ფრანგი ერუდიტი ისტორიკოსებისა, მეცნიერულად უფრო დიდი ღირებულებისაა, ვიდრე მისივე „იტალიის ანალები“.

გამოჩენილმა ფილოსოფოსმა, მათემატიკოსმა და ისტორიკოსმა გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცმა (1646 — 1716)<sup>8</sup> გერმანიაში პირველად სცადა ახალი საისტორიო-სამეცნიერო მეთოდების გამოყენება. მას სურდა გერმანული ისტორიოგრაფია განვითარების იმ გზაზე გამოეყვანა, რომელზედაც იდგა ფრანგული და, ნაწილობრივ, იტალიური ისტორიოგრაფია<sup>9</sup>. ლაიბნიცი აპირებდა მავრისტების მეცნიერული ორგანიზაციის მსგავსად მოეწყო Collegium

<sup>1</sup> Вайнштейн. Op. cit., გვ. 103.

<sup>2</sup> Fueter. Op. cit., გვ. 319.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 319.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 320.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 320.

<sup>6</sup> Вайнштейн. Op. cit., გვ. 103.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 102.

<sup>8</sup> Fueter. Op. cit., გვ. 316—318; Вайнштейн, op. cit. გვ. 103.

<sup>9</sup> Fueter. Op. cit., გვ. 316.

Historicum Germanicum გერმანული ისტორიული მასალების შეგროვებაზე<sup>1</sup> კვეყნების მიზნით. მაგრამ საამისო პირობები იმ დროს გერმანიაში არ არსებობდა<sup>2</sup>. ლაიბნიცის მფარველი ბრაუნშვეიგული დინასტია მხოლოდ საკუთრივ დინასტიური და კუთხური ინტერესებით ხელმძღვანელობდა, როცა თავის კარის ისტორიოგრაფს ისტორიის შედგენას ავალებდა. ამიტომ ლაიბნიცი შეუდგა ბრაუნშვეიგული ანალების დამუშავებას იმის მაგივრად, რომ განზრახული რაიხსანალები დაეწერა. სხვა მხრითაც ლაიბნიცი, როგორც კარის ისტორიოგრაფი, ნებსით თუ უნებლიეთ, მეცნიერულ ინტერესებზე მიღწეულ ნაციონალურ და დინასტიურ ინტერესებს აყენებდა.

ლაიბნიცის „ბრაუნშვეიგული ანალები“ მაკრისტების ისტორიული პრინციპების მიხედვით იყო გაკეთებული. გერმანელი ერუდიტიც, უწინარეს ყოვლისა, რიგაინ და შემოწმებული წყაროებით სარგებლობდა. ამასთან მან წყაროს „შინაგან“ კრიტიკის მომარჯვებაც სცადა<sup>3</sup>. გარდა ამისა, იგი, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, ხსნიდა ან არბილებდა სასწაულებრივ ამბებს. მაგრამ მისთვისაც, როგორც ყველა ერუდიტი ისტორიკოსისათვის, მთავარი იყო არა წყაროდან გამოტანილი ფაქტების ისტორიული ახსნა-განზოგადება, არამედ მათი ქრონოლოგიური და გენეალოგიური თანამიმდევრობით დალაგება<sup>4</sup>. მისი „ანალები“ ყურადღების ცენტრში დგას მთავრების ისტორია და სრულებით უგულვებელყოფილია კულტურული, ეკონომიური და სოციალური ურთიერთობის საკითხები<sup>5</sup>. ავტორის შენიშვნები და კამათიც თბრობიდან გამოყოფილი არაა<sup>6</sup>. ამიტომ ლაიბნიცის ისტორიულ შემოქმედება-აზროვნებას არაფერი აქვს საერთო XVIII ს-ის „განმანათლებელთა“ ისტორიოგრაფიასთან, რომელმაც სწორედ აღნიშნული საკითხების შესწავლა-დამუშავებას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება.

XVII—XVIII სს ერუდიტული ანალიტიკის ძლიერ მხარეს ქრონოლოგია-სა და გენეალოგიის მარჯვედ გამოყენება შეადგენდა. საერთოდ, ისტორიის წერისას ერუდიტებმა პირველად გამოიყენეს პრაქტიკულად ისტორიის დამხმარე დისციპლინები (ზუსტი დათარიღების, სრული ჩამომავლობითი შტოს შედგენის და დოკუმენტების ანალოზის მიზნით), ამიტომაც ეწოდება მათს ანალიტიკის მეცნიერული, მაგრამ სამაგიეროდ ისინი მოკლებული იყვნენ ისტორიული ფაქტების განზოგადების უნარს.

თავის ადგილას ნაწვენები იქნება, რომ ქრონოლოგია და გენეალოგია ვახუშტის „ისტორიის“ ერთი ძლიერი მხარეთაგანია. შესანიშნავად არის მის მიერვე დამუშავებული ისტორიული გეოგრაფია, როგორც ისტორიის დამხმარე დისციპლინა. მანვე, პირველად ქართულ საისტორიო მწერლობაში, გამოიყენა დიპლომატიკის მარტივი წესები აღრინდელი და გვიანდელი დოკუმენტების გასარჩევად. მაგრამ XVII—XVIII სს ერუდიტ ისტორიკოსებზე ვახუშტი გაცი-

<sup>1</sup> Fueter. Op. cit. გვ. 316—317.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 317.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 317.

<sup>4</sup> Вайнштейн. Op. cit., გვ. 103.

<sup>5</sup> Fueter. Op. cit., გვ. 317.

ლებით მალლა იდგა იმით, რომ მან შესძლო ისტორიული წარსულის განვითარება თავისი „ისტორიის“ შესავალში. ვახუშტის მიერ დროსა და განვითარებაში განხილულია ქართული რელიგიის, წოდებრიობის, კულტურის, ხელოვნების, სახელმწიფო ინსტიტუტების და ეთნოგრაფიის საკითხები, რითაც იგი უახლოვდება XVIII ს-ის „განმანათლებელთა“ ისტორიოგრაფიის წინამორბედ ისტორიკოსებს.

XVII—XVIII სს ერუდიტულ-ისტორიულ სკოლის მოღვაწეობა ერთი მნიშვნელოვანი პირობათაგანი იყო ისტორიული მეცნიერების წარმოშობა-განვითარებისათვის. სამისოდ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პირობა იყო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წარმატება.

XVIII ს-ში გეოგრაფიული პირობებია და ეთნოგრაფიის შესწავლა ინტენსიური ყურადღების საგანი გახდა. ამან გააფართოვა XVIII ს-ის ისტორიკოსთა არა მარტო გეოგრაფიული, არამედ ისტორიული ჰორიზონტიც. ახალი ქვეყნების აღმოჩენამ, ახალი ხალხების გაცნობამ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წარმატებებმა შეაჩვიეს თეოლოგიური წარმოდგენები და მსოფლმხედველობა. ისტორია თანდათანობით განთავისუფლდა „პროვიდენციალიზმი-საგან“. ისტორიული განვითარება XVIII ს-ის ისტორიკოსებისათვის ღვთის ნების გარეშე დგება. პრაგმატიკულს ისტორიაში პირველად ვლინდება მიზეზობრიობის ახსნის პრინციპი. ფეხი აიდგა ისტორიულ-შეღარებითა მეთოდმა. შემუშავდა ისტორიის პროგრესული განვითარების თეორია. აღსანიშნავი, რომ თვით ისტორიული კრიტიკის დახვეწა-ჩამოყალიბებაზე, აგრეთვე ისტორიული კანონზომიერების გაგება-შეგნებაზე, ერთგვარი გავლენა უნდა მოეხდინა ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკაში შემუშავებულ ცდისა და დეკვირვების წესებს. მეტად თვალსაჩინო იყო ბურჟუაზიული რაციონალური ფილოსოფიის გავლენაც. ყველა ამან XVIII ს-ში „ცოდნა მეცნიერებად აქცია“ (ენგელსი). ისტორიის ცოდნა ამ დროს ისტორიის მეცნიერებად იქცა. ამ მხრით დამახასიათებელია ჯამ ბატისტა ვიკოს (1688—1744) საისტორიო თხზულების, ფაქტიურად პირველი მეცნიერული ხაისტორიო გამოკვლევის, სათაური: „ახალი მეცნიერების საფუძვლები ხალხთა საერთო ბუნებასთან დაკავშირებით“ („Principi della scienza nuova d'intorno alla commune natura della nazioni“).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ისტორიული მეცნიერების წარმატების მთავარი და არსებითი მნიშვნელობის პირობა იყო XVIII ს-ში ბურჟუაზიასა და ფეოდალიზმს შორის გამართული კლასობრივი და იდეოლოგიური ბრძოლა, რამაც დიდად დააწინაურა ისტორიული აზროვნება და დღის წესრიგში დააყენა „მინიგანი“ ისტორიის—სახელმწიფო დაწესებულებების, კულტურისა და ეთნოგრაფიის საკითხები. მოწინააღმდეგე კლასებს ისტორია თავიანთი კლასობრივი ინტერესების სამსახურში გამოჰყავდათ. ამ მიზნითაა დაწერილი არისტოკრატ ბულენვილიეს „საფრანგეთის ძველი ხელისუფლების ისტორია“ (Histoire de l'ancien gouvernement de la France, 1727 წ.) და ბურჟუაზიის იდეოლოგის დიუბოს „გალიაში ფრანგული მონარქიის დაარსების კრიტიკული ისტორია“ (Histoire critique de l'établissement de la monarchie dans les

Gaules, 1734 წ.). ფაქტურად ამ ორი ხსენებული ნაწარმოებში იწყება ფეოდალური ინსტიტუტების ინტენსიური შესწავლა.

XVIII ს-ის „განმანათლებელთა“ ისტორიოგრაფიის (ვოლტერი, იუმი, რობერტსონი, გიზონი, შლეცერი) ყურადღების საგანს უპირატესად „შინაგანი“ ისტორიის საკითხები შეადგენდა. მაგრამ „განმანათლებელთა“ მდებარე „შინაგანი“ ისტორიის დამოუშვებლად შეუდგნენ პიერ ბელი (1647—1706), ლუი დე ბოფორი (1695—1750), ჟან ბაპტისტ დიუბო (1670—1742) და ბულენვილიე (1658—1722). ამით ერთდროულად ისტორიკოსებსა და „განმანათლებელ“ ისტორიკოსთა შორის რაღაც გარდამავალი საფეხური უქირავთ და თუმცა ორივე მიმართულებით აქვთ გაბაჟული დამაკავშირებელი ძაფები, მაინც დამოუკიდებელი და თავისებურია მათი ისტორიული შექმნელობა XVIII ს-ის პირველი ნახევრისათვის.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს XVII—XVIII სს ისტორიოგრაფიის ერთი მნიშვნელოვანი წარმონაქმნი, ე. წ. „ერუნული ისტორია“. ასეთია, მაგ., მეზერეს „საფრანგეთის ისტორია“, ტატიშჩევის „რუსეთის ისტორია“, ჟუან ფერერას „ესპანეთის ისტორია“ და სხვ. ეს „ისტორიები“ გამოშვებული იყო ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური და ეროვნული შეგნებისა. მათი უმეტესობა მეტნაკლებად დაწერილია აღებული ხანის ისტორიოგრაფიის მიღწევათა საფუძველზე. მართალია, „ერუნული ისტორიების“ ავტორებს ბევრი რამ ერთი საერთო წყაროდან, ზოგად ისტორიოგრაფიის მიღწევათა სალაროდან ჰქონდათ აღებული, მაგრამ მათს ისტორიულ აზროვნებას, ცხადია, ჰქვებავდა საკუთარი ქვეყნის ისტორიოგრაფიის ტრადიცია-თავისებურება და, უწინარეს ყოვლისა, ის სოციალური და პოლიტიკური გარემო, რომელშიც მათ უჩდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. ერთი სიტყვით, მიუხედავად მათი ისტორიული შექმნელობის ზოგიერთი საერთო ნიშნებისა და მსგავსებისა, ისინი სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ და თავიანთი მოღვაწეობით ახალ საფეხურს ჰქმნიდნენ მშობლიური ისტორიოგრაფიის განვითარების ისტორიაში.

### 3. XVII—XVIII სს რუსული ისტორიოგრაფია

რუსი ბურჟუაზიული ისტორიკოსები რუსული ისტორიოგრაფიის ისტორიის ჩვეულებრივ XVIII საუკუნიდან იწყებდნენ. რუსეთის „ისტორიის მამად“ ტატიშჩევი იყო გამოცხადებული. ეს მცდარი შეხედულება უარყოფილია საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ. ფაქტური მასალების დამოწმებით და მეცნიერული დამაჯერებლობით დამტკიცებულია, რომ „რუსეთის ისტორიის ცოდნის ისტორიის მეცნიერებად გადაქცევას“ XVIII ს-ში წინ უძღოდა რუს მემბრინეთა ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა საისტორიო მწერლობის სარბიელზე<sup>1</sup>.

მეტად საყურადღებოა, რომ XVII—XVIII სს რუსეთშიც, სანამ „ისტორია“ დაიწერებოდა, წინასწარ ისტორიული წყაროებისა და მასალების შეგროვებას შეუდგნენ.

<sup>1</sup> Рубинштейн. Русская историография, 1941. стр. 85.



ალექსი ხელმწიფის 1657 წლის 3 ნოემბრის ბრძანებით შეიქმნა საგანგებო „Записной приказ“, — რომელსაც დაევალია რუსეთის ისტორიის შედგენა. ეს ისტორია ივანე შრისხანეს დროიდან უნდა დაწყებულიყო<sup>1</sup>. ამრიგად, მომდევნო ხანის ისტორია „Степенная книга“-ს გაგრძელებად იყო ნაგარაუდები.

„Записной приказ“-ის ხელმძღვანელი ტიმოთე კულდრიავეცივი რვა თანამშრომლის მონაწილეობით შეუდგა მუშაობას. როგორც ეს ს. ბელოკუროვმა გამოარკვია<sup>2</sup>, კულდრიავეცივის მოქმედების ფართო ვეგმა დაუსახავს. იგი აპირებდა შეეკრიბა ყველა რიგის ისტორიული წერილობითი წყაროები: მატიანეები, მატიანეთა გაგრძელებები, ოფიციალურ და ნახევრად ოფიციალურ უწყებათა დოკუმენტები, აგრეთვე კერძო პირთა (მატრიარქის ბიბლიოთეკის, მონასტრებისა და ცალკეულ ბოიართა) მფლობელობაში მყოფი გრამოტები და სხვ. მაგრამ მან ყველგან უარი მიიღო მიეწოდებინათ მისთვის საჭირო მასალები. 1659 წლის ახლო ხანში „Записной приказ“-ი დაიხურა. კულდრიავეცივი იძულებული იყო თავდაპირველ განზრახვაზე ხელი აეღო და XVI—XVIII სს ისტორიის დაწერა-გაგრძელების მაგივრად რუსეთის ისტორიის ძველი ხანის საკითხების შესწავლას შემდგომოდა მის ხელთ არსებული მატიანეებისა და პოლონური ქრონიკების მიხედვით.

„Записной приказ“-ის მოღვაწეთაგან დამოუკიდებელიც დიაკ თეოდორე გრიბოედოვმა 1669 წელს დაწერა: „История о царях и великих князьях земли Русской“. თავისი სტრუქტურით გრიბოედოვის „ისტორია“ უშუალოდ უკავშირდება „Степенная книга“-ს. იქ, სადაც წყდება ამ მატიანეს თხრობა, გამოყენებულია ახალი მასალა: მეორე რედაქციის ქრონოგრაფი, აბრამ პალიცინის თქმულება, გრამოტები და პრიკაზის მასალები. ერთგვარი სიახლე გრიბოედოვის „ისტორიაში“ არის წყაროთა დამოწმება. გრიბოედოვსაც რომანოვები, ისევე როგორც მის წინამორბედებს რიურაკები, გამოჰყავდა იმპერატორ ავგუსტიდან და მისა ძმა პრუსიდან. მისი „ისტორია“ ნამდვილად რომანოვების სახლის პანეგირიკს წარმოადგენს<sup>3</sup>.

XVII ს-ის რუსული საისტორიო მწერლობის წინაშე საკმაოდ მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით უკრაინელ მწერლებს. XVII ს-ში უკრაინაში არსებობდა კულტურის ისეთი თვალსაჩინო კერა, როგორც იყო სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია. უკრაინაში დიდი გავლენით სარგებლობდა პოლონური ისტორიოგრაფია, რომელიც თავის მხრით განიცდიდა ჰუმანისტურ და საისტორიო-საეკლესიო ისტორიოგრაფიის მძაფრ გავლენას.

XVII ს-ის მეორე ნახევარში გაცხოველდა რუსეთის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. მართალია, დასავლეთთან კულტურული ურთიერთობა მანამდე არსებობდა, მაგრამ თათართა მატონობის დროს მოიშალა უშუალო დამოკიდებულების შესაძლებლობა ბიზანტიისა თუ ევროპის კულტურულ კერებთან. უფრო გვიან კი რუსეთის დასავლეთით მდებარე ქვეყნების აგრესიული

<sup>1</sup> Рубинштейн. Русская историография, стр. 39.

<sup>2</sup> С. А. Белокуров. Из духовной жизни Московского общества 17 в., стр. 55.

<sup>3</sup> Рубинштейн. Op. cit., გვ. 41.

პოლიტიკა, რაც ერთდროულად ნაციონალურ და სარწმუნოებრივ დევნულობასაც გულისხმობდა, რუს ხალხში აღვივებდა დასავლეთისა და კათოლიკურ სამყაროსადმი მტრული განწყობილების გრძნობას. მხოლოდ XVII ს-ის მეორე ნახევარში, როცა რუსეთის სახელმწიფო თვალსაჩინოდ გაძლიერდა, დასავლეთთან დამოკიდებულება არსებითად შეიცვალა.

პეტრე მოგილამ კიევის აკადემია იფუთბთა კოლეგიუმების მსგავსად მოაწყო. რა თქმა უნდა, კათოლიკური კულტურის გაცნობა-შეთვისება სრულიადაც არ ანელებდა კათოლიკურ პროპაგანდისადმი ფრთხილ და ფხიზელ დამოკიდებულებას. ურადღების მთავარი სავანი იყო მხოლოდ ახალი ლათინური კულტურა და ლიტერატურა. ამ მხრით ერთგვარი შეამავლის როლს თამაშობდნენ პოლონელი კათოლიკე მწერლები, რომლებიც რუსეთის ინტელექტუალურ წრეებს აწვდიდნენ იმას, რასაც თვითონ ისინი, თავის მხრით, ოლონდ დაგვიანებით, სესხულობდნენ დას. ევროპის ლიტერატურიდან. ამიტომ პოლონური მწიგნობრობის გავლენა XVII ს-ის მეორე ნახევრისა და XVIII-ის დამდეგის რუსულ ლიტერატურაზე გამოირიცხულია. პოლონური წიგნი, რომლითაც რუსი მწიგნობარი სარგებლობდა, სრულიადაც არ იყო პოლონური ორიგინალური აზროვნების ნაყოფი<sup>1</sup>.

XVII ს-ის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, კიევიდან მოსკოვს მიდიან მთელი რიგი მოღვაწენი. სამხრეთის რუსების ასეთი იმიგრაცია გრძელდებოდა XVIII ს-ის პირველ ნახევარშიაც. აღებული ხანის გამოჩენილი მოღვაწენი: თეოფანე პროკოპოვიჩი, სტეფანე იავორსკი, გაბრიელ ბუჟინსკი და სხვ., გადმოსული იყვნენ კიევიდან, ხოლო თეოფანე პროკოპოვიჩი, პეტრე ხელმწიფის პოლიტიკის ერთგული მესვეურთაგანი, თავის დროზე სწავლობდა რომში კათოლიკეთა უმაღლეს თეოლოგიურ სასწავლებელში. 1700 წ. მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია ლათინურ საფუძველზე გადაკეთდა. ამრიგად რუსეთი მტროპულ ცოდნას (შუასაუკუნოებრივ—ფეოდალურს) თავდაპირველად კათოლიკეთა მეშვეობით გაეცნო, ახალ ევროპულ მეცნიერებას კი პეტრე I დროს მიექცა განსაკუთრებული ყურადღება. პეტრეს დროს დასავლეთიდან იღებდნენ მხოლოდ იმას, რაც რუსეთის სახელმწიფოს შემდგომი განვითარება-გაძლიერებისათვის საჭირო და სასარგებლო იყო.

კათოლიკურ კულტურასთან ახლო მდგარმა უკრაინელებმა: თე დ ო რ ე ს ა - ფ ო ნ ო ვ ი ჩ მ ა და ი ნ ო კ ე ნ ტ ი გ ი ზ ე ლ მ ა პირველად სკადეს რუსეთის ზოგადი ისტორიის შედგენა.

1672 წელს დაწერილ საფონოვიჩის „ქრონიკის“ პირველი ნაწილის თხრობა, რომელიც ივატაევის მატიანის უბრალო რეკრადექციაა, გრძელდება 1292 წლამდე, მეორე ნაწილა კი ფაქტურად დაუქმკავებელ, ნეღლი მასალების კრებულს წარმოადგენს. სხვათა შორის, ამ კრებულზეა დამოკიდებული ინოკენტ გიზელის „სინოპსისი“ და მანკიევის „Ряда“, რომელთა ისტორიული ხასიათის ცნობები აღებულია ან საფონოვიჩიდან ან მის მკერ გამოკენებული წყაროე-

<sup>1</sup> История русской литературы, т. III, ч. I, 1941, стр. 7.

ბიდან. საფონოვიჩის ისტორიული თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. მისი კრებული ისტორიული ცოდნის ერთგვარი ენციკლოპედიაა. აქ გამოკრებილი მოტანილია მოსკოვის მთავრების ისტორია, XVII ს-ის შესახები ცნობები და დოკუმენტები, ასტრახანის სამეფოს, ლიტვის, პოლონეთის, თურქეთის იმპერიის აღწერილობა და სხვ. აღსანიშნავია, რომ საფონოვიჩის „ქრონიკაში“ შეტანილია გეოგრაფიული სახიათის ცნობებიც.

ინოკენტი გიზელის „სინოპსისი“ დაიბეჭდა 1674 წელს<sup>1</sup>.

გიზელიც თავის წინამორბედივით ხშირად მიმართავდა გამოყენებულ ლიტერატურული ძეგლების მექანიკურ რეპროდუქციას. მისი თხრობის მნიშვნელოვანი ნაწილი ემყარება პოლონელი ისტორიკოსის სტრაიკოვსკის თხზულების ტექსტს. მაგრამ მის ნაწარმოებში შეინიშნება სრულიად ახალი დამოკიდებულება ისტორიული წყაროებისადმი. გიზელი თავის შრომის აწიგებზე ასახელებდა ამა თუ იმ ფაქტის ან ამზის ამხახველ წყაროს. მისი თხზულების წყაროებიც საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგ. „სინოპსისში“ დამოწმებულია ზონარა, მრავალრიცხოვანი ბერძნული ქრონოგრაფები, „გერმანელი მემატიანე კრანციუსი“ („Историис немешкий Кранциус“), ცეზარი ბარონიუსის მოთვლილ საეკლესიო ისტორია და სხვ.

გიზელი უყოყმანოდ იმეორებდა იმას, რასაც წყარო უყარნახებდა. თვითონ „სინოპსისის“ ტექსტი ლიტერატურული კომპილაციაა. მაგრამ მიუხედავად ამისა პირველად გიზელმა დააყენა რუსულ საისტორიო მწერლობაში წყაროს საკითხი. მასვე მოეპოება კრიტიკის ელემენტარული ნიმუშები. მან პირველად სცადა სხვადასხვა წყაროს ერთი-მეორესთან შედარება და „ურთიერთმოწმობილობის“ საკითხის გამორკვევა. მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ სრულიად ნარტივი და განუვითარებელი იყო. დამოწმებული წყარო ფაქტიურად კრიტიკისა და ანალიზის გარეშე იდგა<sup>2</sup>.

საფონოვიჩის „ქრონიკაზე“ და გიზელის „სინოპსის“-ზე დაბლა იდგა თავისი ღირსებით ალექსეი მანკიევის მიერ 1715 წელს დაწერილი „Ядро российской истории“<sup>3</sup>. ეს იყო არა საისტორიო ნაწარმოები, არამედ ისტორიული მოთხრობა, რომლის ნიმუშად ისევ ძველი რუსული მატიაწეები იყო აღებული. ახალი იყო მანკიევის შრომაში მხოლოდ XVII ს-ის და XVIII ს-ის დამდეგის ისტორია, 1712 წლამდე რომ გრძელდებოდა.

რუსული ისტორიული მეცნიერება პეტრე I მოღვაწეობის ხანაში ყალიბდებოდა. მის დროს დამყარდა მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა დას. ევროპის ქვეყნებთან. XVIII ს-ის რუსი ადამიანები გაეცნენ ევროპული მეცნიერების მიღწევებს. პეტრე ხელმწიფის თაოსნობითვე დაარსდა მეცნიერებისა და კულტურის დიდი კერა—აკადემია. მისივე თაოსნობით და მონაწილეობით დაიწყო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა „რუსეთის ისტორიის“

<sup>1</sup> XVIII ს-ში „სინოპსისი“ რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელოდ ითვლებოდა, „სინოპსისით“ სწავლობდა ისტორიას ლომონოსოვიც. 1826 წლამდე „სინოპსისი“ 30-ჯერ გამოიცა.

<sup>2</sup> Рубинштейн. Op. cit., გვ. 47.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 61; Соловьев. Писатели русской истории XVIII века, стр. 5—10 (სოლოვიოვს „Ядро“ შედარებული აქვს „სინოპსისთან“).

მეცნიერულად გასამართავად. ცხადია, სახელმწიფოს დაკვეთითა შედგენილი „ისტორია“ იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობებისა და პეტრე ხელმწიფის პოლიტიკის შესაბამისად უნდა ყოფილიყო გამართული.

მეცნიერულად გამართული ისტორიის შედგენა-დამუშავება, ისევე როგორც ევროპასა და საქართველოში, რუსეთშიაც ისტორიული წყაროებისა და მასალების შეგროვებით დაიწყო.

პეტრე I საგანგებო ბრძანებით (1720 წ. 20 დეკემბრის, 1721 წლის 17 მაისის და 1722 წლ. 16 თებერვლის)<sup>1</sup> სახელმწიფო დაწესებულებებს, საეკლესიო ადმინისტრაციას და კერძო პირებს ვეალებოდათ სენატში გადაეგზავნათ ისტორიული მასალები: წყალობის სიგელები, საეკლესიო და სამოქალაქო მატრიანებები<sup>2</sup>, ქრონოგრაფები, ხელნაწერი და დაბეჭდილი ისტორიული წიგნები. პეტრესავე მითითებით ისტორიული წყაროებისა და მასალების შეგროვების პარალელურად წარმოებდა ევროპულ საისტორიო თხზულებათა თარგმნა.

მაგ., 1718 წ. დაიბეჭდა პუფენდორფის „ევროპის ისტორიის შეჯავალი“ („Введение к истории замечательнейших государств“), რომლის მეორე გამოცემა 1724 წ. გამოქვეყნდა<sup>3</sup>. 1719 წ. გამოვიდა ცეზარ ბარონიუსის „საეკლესიო ანალები“ (Деяния церковная и гражданская)<sup>4</sup>, ხოლო 1724 წელს ვილჰელმ სტრატემანის „თეატონი, ანუ ისტორიული სანახაობა“ („Феатрон или позор исторический“)<sup>5</sup>. ევროპულ ისტორიკოსთა ნაწარმოებების თარგმნა მოწმობდა ისტორიულ მეცნიერებისადმი ინტერესის ზრდას რუსეთში. ამავე დროს ეს თხზულებები იძლეოდნენ ევროპული ისტორიოგრაფიის შეთვისების შესაძლებლობას<sup>6</sup>.

<sup>1</sup> П. Пекарский. Наука и литература в России при Петре Великом, т. I, 1862, стр. 317—318.

<sup>2</sup> პეტრე პირველის 1722 წ. 16 თებერვლის ბრძანებაში ნახმარია გამოთქმა „Церковные и гражданские летописи“ (Пекарский, *Op. cit.*, გვ. 317), ამიტომ მდებარა რუბინშტეინის აზრი, რომ 1724 წ. დაბეჭდილი სტრატემანის თხზულების წინასიტყვაობაში გაბრიელ ბუენსკომ, პირველად რუსულ საისტორიო მწერლობაში, გამოიყენა ტერმინი „სამოქალაქო ისტორია“ (ი. ა. რუბინშტეინ, *Русская историография*, 1941, стр. 60). გარდა ამისა, იგივე ტერმინი ნახმარია 1719 წ. რუსულად დაბეჭდილ ბარონიუსის „საეკლესიო ანალებში“.

<sup>3</sup> Пекарский. *Op. cit.*, გვ. 324—327.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 327—328.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 328—330; ამ საისტორიო ნაწარმოებთა თარგმნა ერთგვარად ნიადაგი მოუზნადა რუსული ისტორიოგრაფიის განვითარებას ამავე საუკუნის რუსეთში (ტატიშჩევი, ლომონოსოვი, შერბატოვი). იხ. რუბინშტეინ. *Op. cit.*, გვ. 60—61.

<sup>6</sup> გარდა ევროპულ ისტორიკოსთა თხზულებებისა, პეტრეს დროსვე რუსულად გადათარგმნა კენტე კურციუსის *De rebus gestis Alexandri magni libri „Книга Квинта Курция о делах содеянных Александра великого, Царя македонского“* (Пекарский, *op. cit.*, стр. 332). სხვათა შორის, ეს ნაწარმოები, ეტეობა, რუსულიდან ქართულადაც ითარგმნა 1733 წ. (საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განვ. ფონდი № 240 H). ამ დროსვე გამოქვეყნდა აგრეთვე ფრანგულად გადაკეთებული იულიუს კეისრის თხზულების თარგმანი: „Краткое описание о войнах из книг Цезариев“ (Пекарский, *Op. cit.*, გვ. 332). ჰემანისტ ისტორიკოსთაგან გაბრიელ ბუენსკომ თარგმნა პოლიდორ ვირგილის თხზულება: „De rebus inventoribus libri octo“—„Политор Виргилия урбинского о сем книг о изобретателях вещей“ (Пекарский, 436). ამრიგად, XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში ერთდროულად ქვეყნდებოდა ანტიკური, ჰემანისტური და საისტორიო-საეკლესიო მწერლობის ნიმუშები.

ევროპულ საისტორიო თხზულებებს რუსი მთარგმნელები ჩვეულებრივ ურთავდნენ წინასიტყვაობას, სადაც საუბარი იყო ისტორიის მიზნისა და მეთოდების შესახებ. თუ ორიგინალური არ იყო თვითონ თხზულება, სამაგიეროდ რამდენადმე ორიგინალური იყო წინასიტყვაობა ისევე, როგორც XVI ს.-ში ბერძნული ქრონოგრაფების რუსული რედაქციები, ხოლო XVII ს.-ში რუსულადვე გადაკეთებული პოლონური ქრონიკები. ამიტომ ხსენებულ წინასიტყვაობათა შინაარსი საყურადღებოა XVIII ს.-ის პირველი მეოთხედის რუსი მწიგნობრების ისტორიული აზროვნებისა და ისტორიულ შემოქმედებაზე მათი წარმოდგენის გასათვალისწინებლად.

მაგ., გაბრიელ ბუეინსკი ს წინასიტყვაობაში, რომელიც მან წაუძღვარა სტრატემაის თხზულებას, აღნიშნულია ისტორიის საგნის მნიშვნელობა და დანიშნულება, აგრეთვე ის სარგებლობა, ისტორიის კითხვას რომ უნდა მოეტანა მკითხველისათვის<sup>1</sup>. გაბრიელ ბუეინსკის წინასიტყვაობას ერთდროულად ეტყობა ძველი „ქრონიკების“ პროლოგების და ახალი ისტორიოგრაფიის, განსაკუთრებით სქოლასტიკურ-მუმანიხტურის, გავლენის კვალი. მას სწამს „ოთხი მონარქიის“ იდეა, ე. ი., აღიარებს ისტორიის პერიოდიზაციის შუა საუკუნებრივ სისტემას. ისტორიული ხასიათის და, -საერთოდ, საერო წიგნების (მათ შორის წარმართულის) საპირობება და მათი კითხვის შეწყნარება-გამართლება დასაბუთებულია პეტრე და პავლე მოციქულების, იოანე დამასკელის, იოანე ოქროპირის, გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელი), ბასილ დიდის და სხვ. ეპისტოლეებიდან და თხზულებებიდან მოტანილი სათანადო იდგილებით<sup>2</sup>.

საყურადღებოა, რომ გაბრიელ ბუეინსკის წინასიტყვაობის ერთგვარად იდენტურია ვახუშტის „ისტორიის“ წინასიტყვაობის შინაარსიც, დასაწყისიდან ვიდრე ქართული ქრონოლოგიის კრიტიკულ მიმოხილვამდე<sup>3</sup>. ვახუშტისავე ბუეინსკიც საისტორიო თხზულების წემადგენელ ნაწილებად ისახელებს: ქრონოლოგიას, გენეალოგიას, ტოპიკას (გეოგრაფიას) და საკუთრივ კონკრეტულ ისტორიას, ანუ პრაგმატოლოგიას. ეს უკანასკნელი კი დაყოფილია ორ დარგად: საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიად<sup>4</sup>.

მაგრამ ბუეინსკი ამ მხრით სრულიადაც არ ყოფილა ორიგინალური. ჯერ კიდევ 1699 წ. ამსტერდამში დაბეჭდილ კოპიევსკის ისტორიის სახელმძღვანელოში: „Введение во всякую историю по чине историческом от создания мира ясно и совершенно описанное“ ვხვდებით ისეთსავე წარმოდგენებს ისტორიის საგანსა და დარგებზე, როგორსაც ბუეინსკის წინასიტყვაობაში.

კოპიევსკის განმარტებით: ისტორია განამტკიცებს გარდასული ამბების ხსოვნას, აღწერს წარსულისა და აწმყოს „ქმნულებებს“, გარდა ამისა „познает и не забывает ни один год“ (ე. ი. შეიცავს გენეალოგიას). მას მოაქვს სარგებლობა, ართობს და ამხნევეს მკითხველს (აქაც ისტორიის მიზანი

<sup>1</sup> Пекарский. Op. cit., ტ. II, გვ. 614.

<sup>2</sup> Пекарский. Op. cit., ტ. II, გვ. 614.

<sup>3</sup> ვახუშტი. საქართველოს აღწერა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 1-3; საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. I—II, 7.

<sup>4</sup> Пекарский. Op. cit., ტ. II, გვ. 614.

პრაქტიკულ-უტილიტარული თვალსაზრისითაა განსაზღვრული). ამას მოსდევს მოთხრობა წმინდა ისტორიიდან, შემდეგ დასახელებულია ბაბილონეთის, სპარსეთის, მაკედონიის და რომის ხელშეწყობა (ე. ი. აღებულია ამბები კონკრეტული ისტორიიდან), ნაჩვენებია მათი შეფუძის წლები და, ბოლოს, განმარტებულია დრო, ეპოქა და სინქრონიზმები (განხილულია ქრონოლოგიის საკითხები). ისტორიის მოსდევს გეოგრაფია, რომელიც შეიცავს ზღვების, ტბების, მდინარეების, კუნძულების, მთების და, აგრეთვე, მიწის საზომი ერთეულების აღწერას<sup>1</sup>.

ისტორიის დარგებად დ. ყოფილია და მის შემადგენელ ნაწილებზე საუბარი აქვს ევროპიდან რუსეთს მიწვეულ მილერსაც, რომელმაც დიდი ამაგი დასდო რუსულ ისტორიულ მეცნიერებას, ისტორიულ გეოგრაფიას და განსაკუთრებით არქეოგრაფიას. 1732 წ. მეცნიერებათა აკადემიამ სანკტ-პეტერბურგში დაბეჭდა მილერის „Объявление предложения до исправления Российской истории“, სადაც რუსეთის ისტორიის შესახები მასალების შეგროვების საჭიროების აღნიშვნასთან ერთად, ნათქვამია: „Сего ради приемлется здесь история российского государства во всем своем пространстве, так что до оныя не только гражданския, церковныя, ученныя и естественныя приключения принадлежать имеют, но также и древности, знание монет, хронология, география, и пр.“<sup>2</sup>. რა თქმა უნდა, მილერი აქ არ იმეორებს ბუენისკის, მას ეს შეხედულება, გავრცობილი სახით, აღებული აქვს ახალ ევროპულ ისტორიოგრაფიიდან.

ევროპულ საისტორიო თხზულების რუსულად თარგმნას სხვა მხრივაც ჰქონდა მნიშვნელობა. მათ გავლენა უნდა მოეხდინათ XVIII ს-ის რუსულ საისტორიო ნაწარმოებთა ახლებურად გამართვაზე, რადგან ისინი უკვე შეიცავდნენ თანამედროვე საისტორიო გამოკვლევის შემადგენელ ელემენტებს. მაგ., ბარონიუსის თხზულების რუსულ თარგმანს დართული აქვს „Алфавитный указатель имен и дел“<sup>3</sup>, ასევე სტრატემაანის თხზულებას მოეპოება ანბანზე გაწყობილი საძიებელი<sup>4</sup>, ხოლო პუფენდორფის „ევროპის ისტორიის შესავალს“ იურიდიული და სხვა გაუგებარი სიტყვების განმარტებანი: „Толкование неких речений трудных, в книзе сей обретающихся“<sup>5</sup>. ეს საძიებლები პირდაპირ ორიგინალებიდან იყო უცვლელად გადმოღებულ-გადმოთარგმნილი, რადგან რუსი მთარგმნელები საერთოდ ერიდებოდნენ რაიმე ცვლილებების შეტანას კა-

<sup>1</sup> Пекарский. Op. cit., ტ. I, გვ. 19.

<sup>2</sup> Попов. Татишев и его время, стр. 446—447; 1773 წელს დაბეჭდილ რუსეთის გეოგრაფიულ ლექსიკონში მილერი წერდა: „К историческим наукам, как всякому и известно (набо ижевно, ვ. გ.), принадлежат, во-первых, гражданская, церковная, ученая и художественная история. Потом к ним же причисляются и особенные науки: землеписание (география), летоисчисление (хронология), родословие (генеалогия), знание гербов (геральдика), знание древних и новых книг (as Nummaris) и всякие древности, какого звания они не были“. ციტირებულია ვ. ვნუტევის წიგნის მიხედვით: В. Н. Гучева, Географический департамент Академии Наук XVIII века, М.-Л., 1946, стр. 29.

<sup>3</sup> Пекарский. Op. cit., ტ. II, გვ. 416.

<sup>4</sup> Пекарский. Op. cit., ტ. II, გვ. 613—615.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 439.

თოლიკე და პროტესტანტი მწერლების თხზულებებში, რათა მათთვის კათოლიკური ან პროტესტანტული სარწმუნოებისადმი მიდრეკილება არ დაებრალე-ბინათ.<sup>1</sup> მაგრამ ტატიშჩევი უკვე დამოუკიდებელივ ადგენს თავისი ისტორიისათვის საგნობრივ, საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელს. ასევე მოიქცა ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც, პირველად ქართულ საისტორიო მწერლობაში, „საქართველოს ისტორიას“ დაურთო ვრცელი საძიებლები. ერთსაც და მეორესაც ეს აღებული აქვთ ერთი საერთო წყაროდან: **ევროპული ისტორიოგრაფიიდან.**

გარდა იმისა, რომ რუსულად ითარგმნებოდა ევროპული საისტორიო თხზულებები, საკუთრივ რუსეთის ისტორიის დასამუშავებლად პეტრე I მიიწვია ევროპელი ისტორიკოსები. ტატიშჩევს ვახუშტისთან შედარებით ერთი დიდი უბრატესობა ჰქონდა: მის ჰყავდა ევროპულად განსწავლული წინამორბედი ბაიერის სახით. ბაიერი კი მრავალმხრივი ცოდნით აღქურვილი მეცნიერი იყო. მართალია, ისტორიკოსი, ფილოლოგი და ლინგვისტი ბაიერი რუსული ისტორიოგრაფიის გარეშე დგას, მაგრამ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მან პირველად სცადა რუსეთის ისტორიის ძველი ხანის საკითხების დამუშავება ახალი მეცნიერული მეთოდებით.

მიუხედავად პეტრე I და მისი მახლობელი პირების (პროკოპოვიჩი, შაფიროვი) ინტენსიური მოღვაწეობისა, „რუსეთის ისტორიის“ დაწერა ვერ მოხერხდა. ჩრდილოეთის ომების ისტორიის გამოქვეყნება სრულიადაც არ იყო მთავარი მიზნის გამოხატულება.

ეს საპატიო ამოცანა რეალურად განახორციელა მხოლოდ ტატიშჩევმა. პეტრე ზელმწიფის წრიდან გამოსულმა განათლებულმა და ნიჭიერმა სახელმწიფო მოღვაწემ. ვასილ ნიკიტის-ძე ტატიშჩევი XVIII ს-ის პირველი რუსი მეცნიერ-ისტორიკოსი იყო. ტატიშჩევის (1686—1750) „Российская история“ 1727—1738 წლებში იწერებოდა. ამ თხზულების პირველი ტომი მიღერმა 1768—1769 წწ დაბეჭდა (უკანასკნელი V ტომი გამოქვეყნდა მხოლოდ 1848 წ.). ასევე ტატიშჩევის „Лексикон Российской, исторической, географической, политической и гражданской“ ავტორის გარდაცვალებიდან 43 წლის შემდეგ 1793 წ. დაიბეჭდა.

ამრიგად, თუ არ დავუშვებთ ვარაუდს, რომ ვახუშტი ხსენებულ შრომებს ხელნაწერებში იცნობდა, ცხადი უნდა იყოს, რომ მას არაფრის ალება არ შეეძ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 430. ასევე ფრთხილობდნენ კონფესიონალურ მოსახრებათა გამო ქართველი მწერლებიც. მაგ., „სამღივნო წიგნში“ ვკითხულობთ: „საბამო დიდად იღვაწა და დიდი შოონა თავს იღვა, სომეხთა და ფრანგთა ლექსიკონთა შემოწმებითა განასრულა და იპარებს ყოველი საქირთთა წერილითა გამოშკელეველი. ხოლო მე ყოველად უღირსმან და უჯულისხმომან ტფილისის კალაქის სიონის დუკანოხის ძემან ბენეშან მღვდელმან, კანშან ხუცესმა; იოსებ ვიწუ-აღწერად და გარდმოვებად თვით მის ხელითა მისითა აღწერილსა შედა გადმ-ვწერე. თუცა სადმე ჩვენსა და ფრანგთა შორის საცილებელს მათ კერძო მოწმება აღწეროს, მე ნუ მახრალეობთ, რამეთუ მას მათ კერძო აქვნდა თვისება. (საქ. სახ. ბუხ. ხელნ. № 1334 H.). ციტირებულთა აკად. ნ. ბერძენიშვილის წინასიტყვაობის მიხედვით (იხ. ვახუშტი, საქართველოს აღწერა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. XVI).

ლო XVIII ს-ის რუსული ისტორიული მეცნიერებიდან. ტატჩშევისა და ვახუშტის „ისტორიების“ ზოგიერთი უეჭველი შეხვედრა საერთო წყაროდან, XVII—XVIII სს ზოგადი ისტორიოგრაფიიდან უნდა მომდინარეობდეს<sup>1</sup>.

ტატჩშევის „ისტორია“ ორი ნაწილისაგან შედგება. თითოეული მათგანი ერთიმეორისაგან განსხვავდება თავისი შინაარსით და მეცნიერული მნიშვნელობით.

პირველი ნაწილი წარმოადგენს ისტორიის „შესავალს“, სადაც ავტორის მიერ განხილულია რუსეთის ისტორიის ძირითადი საკითხები, განსაზღვრულია ისტორიის მიზანი და მეთოდები, განმარტებულია სამშობლოს ისტორიის ცოდნის მნიშვნელობა, რაც გაშუქებულია დიდაქტიკურ-უტილიტარული თვალსაზრისით. აქვე პირველად დაყენებულია ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, მოკლედ გადმოცემულია რუსეთის სახელმწიფოს მთავრობისა და იერარქიის ისტორია.

თხზულების მეორე ნაწილი, საკუთრივ ამბის მოთხრობა, გაერთიანებული და კომბინირებული კონკრეტულ-ისტორიული მასალისაგან შედგება. ტატჩშევის ისტორიის ამ ნაწილის, როგორც წყაროს, გამოყენების შესაძლებლობა მუდამ ეჭვქვეშ იყო დაყენებული.

„შესავალში“ ტატჩშევი არსებითად დგას იმდროინდელი ისტორიული მეცნიერების ნიადაგზე. კრიტიკულად ამოწმებს და სწავლობს წყაროებს. პირველად აყენებს რუსეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. იძლევა რუსეთის ისტორიის პერიოდიზაციას, რომელსაც შემდეგ სხვადასხვა ვარიანტით იმეორებენ მომდევნო ხანის რუსი ისტორიკოსები. ერთი სიტყვით, რუსულ ისტორიოგრაფიაში ის ჰქმნის გარდამავალ საფეხურს ისტორიის მეცნიერებისაკენ. მაგრამ „შესავალში“ დაყენებული საკითხები მოწყვეტილია კონკრეტული ისტორიიდან. მის ისტორიაში თხრობა წყაროდან გამოყოფილი არაა. მან გამო-

<sup>1</sup> მიუხედავად ამისა ვახუშტი ბაგრატიონისა და ტატჩშევის ურთიერთობა გამორიცხული არ არის. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს. სახელდახლოდ შეიძლება შემდეგი აღინიშნოს: ტატჩშევის „ისტორიაში“ იხსენიება ქართველი ტომები და საქართველოს გეოგრაფიული პუნქტები (იხ. Российская история, кн. 1, ч. 1, стр. 70, 114, пр. 3, 162—163, 169 пр. 3, 181, 215, пр. 9). ერთ ადგილას ტატჩშევი სწერს: „Грузинши объявляют, что в древния времена; Мезгицы по сами Понт Евксинский жили, потом выгнаты от Каргуельцев [или Грузинцов в Каргуеле провинции, которую обихли называють Каргуелем] в горы ушли“ (იქვე, გვ. 70). ტატჩშევი იცის, რომ „Грузинский пратокс Каргос“-ი ქართველ ტომთა ეთნარქია. იქვე იხსენიება „ქართლის ცხოვრებით“ ცნობილი ქართლოსის ჩამომავლობა (მცხეთოს, კახოს, ბარდოს, კავკასოს, ლეზგოს, ვეროს). ტატჩშევი აღნიშნავს: „В Грузинской истории скажутся“ თუ როგორ გაეყო ქართლოსმა თავის შვილებს ქვეყნები. რომელთაც მათივე სახელები ეწოდათ (იქვე, გვ. 70). ამრიგად, ცხადია, ტატჩშევი იცის „ქართლის ცხოვრების“ არსებობა. უნებლიეთ ისმის კითხვა: ვის უნდა მიეწოდებინა მისთვის საქართველოს შესახებ ცნობები? როგორც ირკვევა, ტატჩშევი პირადად იცნობდა და მასთან ლიტერატურული ურთიერთობით იყო დაკავშირებული ბატონიშვილი ბაქარი, ვახუშტის ლეიძლი მძა. ტატჩშევის ბიოგრაფი პოლოვი ბაქარს იხსენიებს იმათ შორის, ვინც მასა უცხს აწუგა ილია ტატჩშევის და დასძენეს: „Он ..говорит с грузинским царевичем Бакаром о книгах Мефодия Патарского“ (იხ. Н. Попов, Татишев и его время, стр. 434). იცნობდა თუ არა ტატჩშევი ვახუშტისაც, ეს ჯერჯერობით გამოსარკვევია.



საცემად გაამზადა რუსული სამართლის წიგნი, შეაგროვა უამრავი ისტორიული მასალა, იმ დროის კვალობაზე გააშუქა რუსეთის ისტორიის საკითხები, მაგრამ მას, ეტყობა, მიზნად არ დაუსახავს რუსეთის ისტორიის დამოუკიდებელი და ისტორიის სახით შედგენა. ამიტომაც „если «Введение» Татишева уже целиком стоит на почве науки XVIIIв., обращено к новому, то непосредственное историческое изложение еще исходит из прошлого, подытоживает старый исторический материал и не выходит за его пределы“<sup>1</sup>. საყურადღებოა, რომ თვით „შესავალში“ ტატიშჩევს თავისუფლად შეაქვს უცხო ავტორების გამოკვლევები, მაგ., ბიერის თხზულებები, საიდანაც მას აულია ნორმანიზმის თეორია (იხ. Российская история, т. 1, ч. 1, стр. 177—213; т. 1, ч. 2, стр. 225—260, 334—345, 393—424). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტატიშჩევს ახლებურად აქვს დაყენებული ისტორიის საკითხები და ახლებურადვე გამოყენებული მის მიერ საისტორიო მეთოდები.

ტატიშჩევის მიხედვით, ისტორია ოთხ დარგად განიყოფება: 1) ღვთაებრივ ისტორიად (История сакра или святая, но лучше сказать божественная), 2) საეკლესიოდ (Еклезიაстика или церковная), 3) საშოქალაქოდ (политика или гражданская), 4) შეცნიერებათა და შეცნიერთა ისტორიად<sup>2</sup>. აქედან ჩანს, რომ ტატიშჩევი იზიარებდა ისტორიის დარგებად დაყოფის იმ სისტემას, რომელიც საეკლესიო ისტორიოგრაფიის მიერ იყო შემუშავებული.

ტატიშჩევის აზრით, ისტორიის გასაგებად აუცილებელია ქრონოლოგიის (летосказание), გეოგრაფიის (положения мест), გენეალოგიის (родословие) ცოდნა<sup>3</sup>. რუსულს ისტორიოგრაფიაში პირველად ტატიშჩევიმ სცადა ისტორიის ამ დანხმარე დისციპლინების პრაქტიკულად გამოყენება.

ტატიშჩევის მიერ გამოყენებული წყაროები მოავალდებოვანია, იგი სარგებლობდა მის დროს ცნობილი ყველა რუსული მატერიალურ, გრამოტებით, დიპლომატიური აქტებით, „თანადამხდურთა“ ბარათებით (იგნატი დიაკონი, მიტროპოლიტი მაკარი, კურბსკი, პალიცინი, სილვესტრ მედვევევი, მატვევი და სხვ.), ლიტერატურული და საკანონმდებლო ძეგლებით, უცხო დამკვირვებელთა ცნობებით და გერმანული და პოლონური ისტორიული ლიტერატურით. ტატიშჩევი ასახელებს ჰეროდოტეს, სტრაბონს, პლინი სტოიკს, პტოლომეს, კონსტანტინე პორფირეგენეტს<sup>4</sup>. მისი ბიბლიოთეკის წიგნების მიხედვით შედგენილ ნუსხაში დასახელებულია მრავალი ევროპელი ისტორიკოსის თხზულება და ისტორიულ-გეოგრაფიული ლექსიკონი<sup>5</sup>.

სხვადასხვა წარმოშობის, რიგისა და ღირსების წყაროებს ტატიშჩევი სათანადო შემოწმების შემდეგ იყენებდა. 1738 წ. ტატიშჩევი სახელმწიფო კოლეგიის მისამართით დაწერილ ბარათში წერდა: „Известно государственной ко-

<sup>1</sup> Рубинштейн. Op. cit., გვ. 82.

<sup>2</sup> Татишев. Российская история, т. 1, ч. 1, стр. 1—II.

<sup>3</sup> Татишев. Op. cit., გვ. 542, 544.

<sup>4</sup> Рубинштейн. Op. cit., გვ. 77—78.

<sup>5</sup> Пекарский. Новые известия о В. Н. Татишewe. Приложение к IV-му тому Записок имп. Академии Наук, № 4, 1864, стр. 56—63.

лгни, что древняя Российская история во многих знатных делах и обстоятельствах темна и неисправна.... которую я, с 1727 году начав, колико возможно о Еуропскими а паче с польскими и немецкими Гисториками согласовал....<sup>1</sup>.

ტატიშვივი პირველ რიგში აყენებდა მოთხრობის კეშმარიტებას „Правость писания“-ს<sup>2</sup>. მისი დამოკიდებულება წყაროსადმი და წყაროს კრიტიკა იმდროინდელი წყაროთმცოდნეობის სიმალლეზე იდგა, ე. ი. ჯერ კიდევ ფორმალური და მარტივი იყო. ტატიშვივი აღნიშნავდა „Степенная книга“-ში დარღვეულ ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას, კრიტიკულად უდგებოდა „სინოპსის“, სადაც ბევრი რამ, მისი სიტყვით, ლეგენდარული იყო, კრიტიკულად სწავლობდა იოაკიმის მატინეს, რადგან მისი ტექსტი სხვა ნუსხებისაგან განსხვავდებოდა და კრიტიკულადვე ამოწმებდა ანტიკური და ბიზანტიელი მწერლების რუსეთის შესახებ ცნობებს<sup>3</sup>. ტატიშვივი თავისებურ ფილოლოგიურ ძიებასაც მიმართავდა, როცა რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ეთნოგენეზის დადგენას ცდილობდა მათი სახელების მიხედვით. რა თქმა უნდა, აქ საყურადღებოა არა „სლავის“ „славные“-დ გასაღება, ან „ალაზონების“ ბერძნულსავე „ამაზონებთან“ დაკავშირება, არამედ თვითონ ფილოლოგიური დაკვირვების ფაქტი<sup>4</sup>.

დიდი დრო მოუნდომებია ტატიშვივს კარტოგრაფიული მუშაობისათვის. მასვე შეუდგენია ისტორიული რუკები. მაგრამ მის „ისტორიას“ დართული არა აქვს არც გეოგრაფიული აღწერილობა და არც რუკები. თუმცა მისი გეოგრაფიული ლექსიკონით მტკიცდება, რომ ის გეოგრაფიულ მასალას მკიდროდ უკავშირებდა ისტორიას. ტატიშვივის კარტოგრაფიული სამუშაოები დაკარგულად ითვლება. სხვათა შორის, ტატიშვივი თანამშრომლობდა ფრანგ გეოგრაფ დელილთან, რომელმაც ფრანგულად თარგმნა ვახუშტის რუკები.

ტატიშვივი მოწინავე აზროვნების ისტორიკოსი იყო, იგი იცნობდა XVI—XVIII სს ფილოსოფიურ სისტემებს, ბურჟუაზიულ რაციონალურ ფილოსოფიას, კითხულობდა ლოკისა და ჰობსის თხზულებებს<sup>5</sup>. ტატიშვივი აღმაცერიდ უყურებდა სასწაულებს. მან უარყო ხალხთა წარმომავლობა ბიბლიური პერსონაჟებიდან, მანვე უკუაგლო არა მარტო რუს და სხვა ხალხთა ეთნარქების არსებობა, არამედ ისტორიულ ლეგენდად გამოაცხადა ქართველ ტომთა ეთნარქის ქართლოსის არსებობაც<sup>6</sup>. ამ შემთხვევაში იგი განზე გაუდგა შუასაუკუნებრივი ისტორიოგრაფიის ცნობილ ტრადიციას, რითაც იგი უმკველად მაღლა დგას ვახუშტი ბავრატონზე.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ტატიშვივი საერთოდ თავისუფალი იყო შუასაუკუნებრივი ფეოდალური ისტორიოგრაფიის გავლენისაგან. მაგალი-

<sup>1</sup> Н. Попов. А. Н. Татишев и его время, Москва, 1861, стр. 657—658.

<sup>2</sup> Татишев. Российская история, кн. 1, ч. 1, стр. IX—X.

<sup>3</sup> Рубинштейн. Op. cit., გვ. 78—79.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 81.

<sup>5</sup> Попов. Татишев и его время, 1861, стр. 433; Плевахов. Сочинения, т. XXI, стр. 57.

<sup>6</sup> Татишев. Российская история, кн. 1, ч. 1, стр. 70.

თად, მან სასაცილოდ აიგდო რიურიკის გენეალოგია პრუსიდან, მაგრამ ეს ლეგენდა მანვე ახალი ლეგენდით შეცვალა, როცა ასევე თვითნებურად რიურიკი გოსტომისლს დაუკავშირა (Рубинштейн. Op. cit. გვ. 81). ძველი ისტორიოგრაფიის ძლიერი გავლენის მეფთხო მოწმობაა მისი „ისტორიის“ კომპოზიციაც.

თუ ტატიშჩევის „რუსეთის ისტორიის“ პირველი წიგნის „შესავალი“ XVIII ს-ის ისტორიულ მეცნიერებათა სიმალღებზე იდგა, სამაგიეროდ ოთხი დანარჩენი წიგნი, რომლებშიაც რუსეთის კონკრეტულ ისტორიას მოთხრობილი, ფაქტურად რუსულ მატრიანთა კრებულს წარმოადგენს. ამიტომაც უწოდა მას სოლოვიოვმა „знаменитый Татишевский свод летописей“. სოლოვიოვის სიტყვით: „ტატიშჩევის მიზანს სრულიადაც არ შეადგენდა დაეწერა რუსეთის პრაგმატიკული ისტორია“<sup>1</sup>. ამ აზრს იზიარებდა XVIII—XX სს აველა რუსი ისტორიკოსი.

ჯერ კიდევ XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსი ისტორიკოსი ბოლტინი შენიშნავდა, რომ ტატიშჩევი „не историю писал, а летопись“<sup>2</sup>. სხვა ადგილას იგივე მწერალი ამბობს: „Он сам не назвал ее историею, но летописью Нестора Черноризца“<sup>3</sup>. ბესტუჟევი-რიუმინის აზრით: „Сочинение его — в сущности сводная летопись“<sup>4</sup>. სენიგოვიც, რომელმაც ფილოლოგიური-ისტორიული თვალსაზრისით შეისწავლა და რუსულ მატრიანებთან შეაჯერა ტატიშჩევის „ისტორიის“ დაბეჭდილი და ხელნაწერი ტექსტები, აღნიშნავდა, რომ ტატიშჩევის „მატრიანთა კრებულის“ მეორე ნაწილს შეცდომით ეწოდება ისტორია<sup>5</sup>.

ტატიშჩევი ბოლომდის შეინარჩუნა მატრიანისებური თხრობის ხასიათი. თავის „ისტორიის“ 1739 წ. პირველ რედაქციაში მან ხელუხლებლად დატოვა მატრიანთა ენა, ხოლო 1749 წ. მეორე რედაქციის დროს, მცირეოდენ შემოკლებასა და გამარტივებასთან ერთად, ტექსტი XVIII ს-ის რუსულ ენაზე თარგმნა. მის „ისტორიაში“ ავტორის ტექსტი გადატანილია შენიშვნებში, რომლებიც ამა თუ იმ ნოვლებს რეალურ კომენტარებს წარმოადგენს და, ამდენად, მეცნიერულ ღირებულებას არ აკიან მოკლებული<sup>6</sup>. მაგრამ შენიშვნები ტექსტს დართული აქვს თათართა შემოსევამდე. საკუთრივ ისტორიის თხრობა კი XVII ს-ის შუაწლებამდეა მიყვანილი.

მაგრამ ტატიშჩევის მიხედვით შექმნა მატრიანს ტექსტში ზოგიერთი შესწორება და დამატება. ყველა ის ცვლილება, რომელიც მის „ისტორიაში“ შეინიშნება, სენიგოვის გაყოფილი აქვს ორ ჯგუფად: 1) ენობრივ-ფილოლოგიური ხასიათის ცვლილებანი და 2) შინაარსობრივ-ისტორიული და ფაქტური ცვლილებანი<sup>7</sup>.

<sup>1</sup> С. М. Соловьев, Писатели русской истории XVIII века. Архив историко-юридических сведений, относящихся до России. Москва, 1855 г., кн. II, 1—2 половина, отд. III, стр. 15—40.

<sup>2</sup> Болтин, Критические примечания на второй том истории князя Щербатова, С.-Петербург, 1791 года, стр. 69—70.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 148. თვითონ ტატიშჩევი თავის „ისტორიას“ ასე უწოდებდა: „Мое собрание из древних русских летописей“ (ib. Росс. Ист. кн. 1, стр. 64).

<sup>4</sup> К. Н. Бестужев-Рюмин, Русская история, 1872 г., стр. 172.

<sup>5</sup> Сенигов, Историко критическая исследования о новгородских летописях и о русской истории В. Н. Татишева. Чтен. Общ. Ист., 1887, IV, стр. 200, 202—204.

<sup>6</sup> Рубинштейн. Русская историография, стр. 83—84.

<sup>7</sup> Сенигов. Op. cit., გვ. 363.

მილიუკოვის დაკვირვებით (ეს დაკვირვება კი სენიგოვის სპეციალურ გამოკვლევას ემყარება), ტატიშჩევი მატთანეთა კრებულის მარტო უბრალო შედგენით არ კმაყოფილდებოდა; ყველა შესაძლებელ შემთხვევისას მას ტექსტში შეჰქონდა საკუთარი შესწორებანი, დამატებანი და გაგებანი. მაგ., 1) ასწორებდა, და ისიც არა ყოველთვის წესიერად, საკუთარ სახელებს, 2) თარგმნიდა მათ თვითნებურად (Прусси—Борусси, Огаризане—Саращине), 3) იძლეოდა საკუთარ გაგებებსა და შესწორებებს, 4) თხზავდა ცნობებს იმ შონაცემების მიხედვით, მას რომ უტყუარად მიაჩნდა. მაგალითად, მთაგრების ვარდაცვალების დროის მიხედვით არკვევდა მათი დაბადების წელს და ამგვარად მოპოებულ ცნობას ურთავდა მატთანის სათანადო აღვლილს<sup>1</sup>.

მატიანისადმი ასეთი დამოკიდებულება აიხსნება იმდროინდელი ისტორიკოსების წარმოდგენით საისტორიო შრომის ამოცანებსა და ხერხებზე. მათთვის ჯერ კიდევ ნათელი არ იყო განსხვავება წყაროსა და გამოკვლევას შორის<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, ტატიშჩევის ისტორია, შთლიანად აღებული, მაინც შეიცავს თანამედროვე საისტორიო ნაშრომის შემადგენელ ელემენტებს, როგორცაა: 1) შესავალი (ფილოსოფიური და კრიტიკული ნაწილი), 2) ისტორიული მოთხრობა, 3) საკუთარ, გეოგრაფიულ და საგნობრივ სახელთა საძიებელი<sup>3</sup>.

ასეთი იყო ტატიშჩევის ისტორიული შემოქმედებისა და მოღვაწეობის თავისებურებანი, სოლოგოვის მიერ შემდეგნაირად არის დახასიათებული და შეფასებული XVIII ს-ის გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი: „Заслуга Татищева состоит в том, что он начал дело, как следовало начать: собрал материалы, подверг их критике, свел летописные известия, снабдил их примечаниями географическими, этнографическими и хронологическими, указал на многие важные вопросы, послужившие темами для позднейших исследований, собрал известия древних и новых писателей о древнейшем состоянии страны, получившей после название России—одним словом, указал путь и средства своим соотечественникам заниматься русской историей“<sup>4</sup>. ეს მოკლე, მაგრამ ამომწურავი შეფასება, რომლითაც დახასიათებულია ტატიშჩევის ისტორიული შემოქმედების მთელი თავისებურება, გაზიარებული და მრავალჯგზის ციტირებულია სხვადასხვა დროისა და მიმართულების რუსი მწერლების მიერაც<sup>5</sup>.

ტატიშჩევე შორს არ წასულა ლომონოსოვიც. პირიქით, პირველთან შედარებით მას აკლდა წყაროსადმი კრიტიკული დამოკიდებულებისა და პირველწყაროებით სარგებლობის ხალისი. მის ისტორიაში, მართალია, ერთგვარი შენიშვნებით, მაგრამ მაინც სლავი—„მოსკვიტები“ გამოყვანილი არიან „Мосоха, внука Носева“-ს<sup>6</sup> ჩამომავლებად, ხოლო რიურისის წინაპრებად რომის იმპერატორები<sup>7</sup>. ლომონოსოვის მხატვრულ-რიტორიკული თხზულება უფრო

<sup>1</sup> П. Милуков. Главные течения русской исторической мысли, Москва, 1898, т. 1, стр. 104—105.

<sup>2</sup> იქვე, 83—104.

<sup>3</sup> Сенигов. Op. cit., გვ. 201.

<sup>4</sup> Соловьев. История России, изд. „Общества пользы“, т. IV, стр. 1483.

<sup>5</sup> Сенигов. Op. cit., გვ. 201; Г. Илеханов. Сочинения, т. XXI 1925, стр. 77—78; Руби штейн, Русская историография, 1941, стр. 76.

<sup>6</sup> Ломоносов. Древняя Российская история, СПб, 1766, стр. 13.

<sup>7</sup> იქვე, 83—14.



ლიტერატურული ნაწარმოებია, შედგენილი რუსეთის ისტორიის მოტივების მიხედვით, ვიდრე ისტორია. ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით ახალი რამ არ მიუციათ არც ლომონოსოვის მომდევნო ისტორიკოსებს: ემინსა<sup>1</sup> და ელაგინს<sup>2</sup>.

ამ დროს ჯერ ისევ ვასაველი ჰქონდა ძველ რუსულ საისტორიო მწერლობას, ხოლო ისტორიოგრაფიის ახალ მიმართულებას ჯერ კიდევ ეტყობოდა ძველის ძლიერი გავლენა: „уже существовала «История Российская с самых древнейших времен» Татищева (изданная лишь в 1763—1784 гг. не полностью), «Краткий российский летописец» и «Древняя российская история Ломоносова», но они не вытеснили из обихода рукописных летописей, хронографов, да и сами, несмотря на новые черты, сохранили много связей с допетровской исторической литературой»<sup>3</sup>.

ასეთი იყო რუსული ისტორიოგრაფიის ვითარება ვახუშტის ემიგრაციის წლებში.

ახალ აღმავლობას მიაღწია რუსულმა ისტორიოგრაფიამ მხოლოდ XVIII ს-ის ოთხმოციან წლებში, როცა კრიტიკულად იქნა განხილული ნესტორის ხელნაწერი, ხოლო შჩერბატოვმა სცადა რუსეთის ისტორიის პრაგმატიკული დამუშავება. მხოლოდ ახლა ითქვა ახალი სიტყვა ტატიშჩევის შემდეგ. მაგრამ შლეცერის, შჩერბატოვისა და ბოლტინის მოღვაწეობას მაინც ტატიშჩევა მოუწადა ნიადაგი იმით, რომ მან თავი მოუყარა აუარებელ ისტორიულ მასალას, მათ შორის ისეთსაც, რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება და მხოლოდ მისი ისტორიის ტექსტში არის შენახული.

ჩვენ გავეცანით XVII—XVIII სს ევროპულ და რუსულ ისტორიოგრაფიას, თვალი გავადევნეთ ევროპული ისტორიოგრაფიის განვითარებას XIV საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის შუაწლებამდე; აღნიშნული იყო ახალი ევროპული ისტორიოგრაფიის როგორც უმკვეცი მიღწევები, ისე თვალსაჩინო ნაკლიც.

ევროპულ—რუსული ისტორიოგრაფიის მიმოხილვისას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ისტორიის წერის ტექნიკურ მხარეს: ისტორიულ წყაროების თვისებას, წყაროებთან დამოკიდებულებას, წყაროებით სარგებლობას, საისტორიო მეთოდების თანდათანობით შემუშავება-განვითარებას და საკუთრივ კონკრეტული ისტორიის თხრობის წესებს. ამასთან სათანადო აღვლილი დავთომეთ XVII—XVIII სს ევროპულ თუ რუს ისტორიკოსთა ისტორიულ აზროვნებასაც, მაგრამ ისტორიული აზროვნებიდან უპირატესად გათვალისწინებულია მხოლოდ ის, რაც დაკავშირებულია ისტორიოგრაფიის ზოგად განვითარებასთან.

ახლა ვასათვალისწინებელია ერთი გარემოება: სად, როდის და როგორ უნდა გავცნო ვახუშტის ევროპული ცოდნა და, კერძოდ, ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევები.

<sup>1</sup> Эмин. Российская История, т. I—III, СПб, 1767—1768.

<sup>2</sup> Елагин. Опыт Повествования о России, кн. 1, Москва, 1805.

<sup>3</sup> История Русской литературы, т. III, ч. 1, 1941, стр. 21.

ვახუშტის წინამორბედი ქართული ისტორიოგრაფიის მიმოხილვისას აღნიშნული იყო, თუ როდის და რატომ დაეწაფა ასე ხარბად ქართველი საზოგადოება „ფრანგულ სწავლას“. მეტად საყურადღებოა, რომ კათოლიკე მისიონერთა სასწავლებლებში ქართველები უფრო „საერო“ ცოდნას ეტანებოდნენ: „მეფე-ფეოდალებს უპირველეს ყოვლისა პოლიტიკა აინტერესებდათ და შემდეგ კი „სამოქალაქო მეცნიერებანი“ (პოეზია, უცხო ენები — ფილოლოგია, ისტორია, გეოგრაფია, ასტრონომია, მედიცინა...), ლეთისმეტყველებას თურმე ვერ ეწყობოდნენ“<sup>1</sup>. 1709 წ. უფროსი პატრი ვახტანგ VI-ეს ასტრონომიის გაკვეთილებს აძლევდა, ხოლო საბა ორბელიანს ლექსიკონზე მუშაობისას „ფრანგები“ აქტიურად ეხმარებოდნენ<sup>2</sup>. ყველა ამას უშედეგოდ არ ჩაუვლია.

სწორედ ვახუშტის საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლებში გაჩაღდა ისტორიული ხასიათის დიდი ერუდიტული მუშაობა. ასეთი იყო საქართველოს ისტორიისათვის საჭირო მასალების შეგროვება, „ქართლის ცხოვრების“ რედაქცია, XIV—XVIII სს საქართველოს ისტორიის აღდგენა-გამართვა (უპირატესად დოკუმენტების მიხედვით), ვახტანგ VI მიერ ქართული სამართლის წიგნის შედგენა, მისივე „დასტურლამალი“ და კომენტარები რუსთველის „ვეფხისტყაოსნისათვის“, საბას ლექსიკოგრაფიული მუშაობა და სხვა. ყოველივე ეს გულისხმობს არა მარტო ძველი ქართული მწერლობის ზოგი ცნობილი ტრადიციის აღდგენა-განახლებას, არამედ წყაროებსა და წყაროს ტექსტებზე მუშაობის ევროპულ წესების ცოდნასაც.

ერთი ლიტერატურული ცნობის მიხედვით კათოლიკეთა სკოლაში მიუღია „ფრანგული სწავლა“ ვახუშტი ბაგრატიონსაც: „1727 წელს დაწერილს „ვახტანგისა“ ფავლენიშვილი ამბობს ვახუშტის შესახებ:

„ვახუშტი ქრისტეს მოსავი მის მცნებაზედა დაარგული,  
 სულ აღასრულა ყოველი სწავლა ლათინთა ფრანგული“...

ამ მოწმობით დასტურდება არა მარტო ის ფაქტი, რომ ვახუშტი კათოლიკე მისიონერებთან სწავლობდა, არამედ ისიც, რომ მან საცხები შეითვისა მისიონერთა მიერ ქართლში მოტანილი ევროპული ცოდნა („სწავლა ლათინთა ფრანგული“). კერძოდ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვახუშტის თავისი კარტოგრაფიული მუშაობა კათოლიკე მისიონერების თანამშრომლობით უნდა შეესრულებინოს<sup>3</sup>. ამიტომ ცხადია, ვახუშტი რუსეთს ხელცარიელი ვერ წაეიდოდა. მაგრამ ემიგრაციის წლებში მას კიდევ უფრო უნდა გაეღრმავებინა ევროპული ცოდნა რუსეთის მეცნიერულ წრეებთან ურთიერთობისა და ევროპული ლიტერატურით სარგებლობის დროს.

სამწუხაროდ, ვახუშტის განათლების შესახები ცნობების გამოტანა მისი ნაკლები ბიოგრაფიიდან საკმაო სისრულით ვერ ხერხდება. ამიტომ საამისოდ ისევ მის ისტორიულ შემოქმედებასა და აზროვნებას უნდა მივმართოთ.

XVIII ს-ის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ცოდნასა და განათლების შესახებ საკმაო მკაფიო ცნობებს გვაწვდიან როგორც მისი Monumenta domestica — ქართული წყაროები, ისე Monumenta extraria — უცხოური წყაროები.

<sup>1</sup> ვახუშტი. აღწერა..., თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. XVI.

<sup>2</sup> იქვე, გვ. XVI. <sup>3</sup> ვახუშტი. Op. cit., გვ. XVII.

## 4. ვახუშტის „ისტორიის“ უცხოური წყაროები

ვახუშტი სარგებლობდა როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურული წყაროებით. ის ასახელებს: პლინიუს სტოიკს, ციცერონს, იოანე დამასკელს, მაქსიმე აღმსარებელს, ცეზარ ბარონიუსს, ვილჰელმ სტრატემანს, ლუი ფელიეს, უცნობ პოლონელ მწერალს, ქართულ, ბერძნულ. სომხურ და სპარსულ მატიანეებსა და ქორონიკონებს. ვახუშტი იცნობდა მათე ვლასიჩის „მაგდებურგის ცენტურიონის“ შინაარსს, ბარონიუსის „საეკლესიო ანალებს“ გადამკეთებელს პოლონელ სკარგას და რუსულ ისტორიულ მოთხრობებს. ვახუშტი იცნობდა აგრეთვე გალიელის და კოპერნიკის მოძღვრებას. ერთი სიტყვით, ვახუშტი თავის დროის კვალობაზე ნაკითხი და დიდად განათლებული ადამიანი იყო. XVIII ს-ის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, რომელსაც შეიძლება პირველი ქართველი „განმანათლებელი“ ვუწოდოთ, კარგად იცნობდა XVII—XVIII სს ევროპულ ისტორიულ და გეოგრაფიულ მწერლობას.

საყურადღებოა, რომ ვახუშტის წინასწარ შეუკრებია და კრიტიკულად შეუმოწმებია უცხოური წყაროები. ეს მას საგანგებოდ აქვს აღნიშნული: „შრომა ჩვენი არა მცირე იყო, რომელსა ზედა ვიშრომეთ კნინლა წელნი სამნი მარადის წერითა და გამოძიებითა, მატიანეთა და ცხოვრებათა ძიებითა; რამეთუ არა დაუტოვეთ ხრონოგრაფნი ბერძენთა: არა თუ ერთისა ვარწმუნენითა, არამედ ხხვათა და ხხვათა შემოწმებითა; ეგრეთვე გაყრილობისა შემდგომად რომაელთა კეისართაგან<sup>1</sup>, მეფეთა ევროპიელთა, აწინდელთა სულტნებთა სტამბოლისათა, სპარსთა მეფეთა შიშითათა გამოვიპოვეთ და შემოწმებულად ვკმენით, რომელნი ნოწმობენ ჩვენთა მატიანეთა და ქორონიკონებთა“<sup>2</sup>.

ვახუშტის „ისტორიაში“ მრავალგან დამოწმებული ბარონია არის კათოლიკე ისტორიკოსი ცეზარ ბარონიუსი, ავტორი განთქმული „საეკლესიო ანალებისა“, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა<sup>3</sup>.

მაგრამ, როგორც ჩანს, ვახუშტი იცნობდა ცეზარ ბარონიუსის არა თორმეტ ტომისაგან შემდგარ ლათინურ ორიგინალს, არამედ მის რუსულ თარგმანს, რომელიც თავის მხრით პოლონურიდან იყო გადმოღებული. პოლონელმა იეზუიტმა სკარგამ (ვახუშტი მას სკარლას უწოდებს) ერთ ტომად გადააკეთა „საეკლესიო ანალები“ რაც თვითონ ავტორის მიერ იყო გასინჯული და მოწონებული<sup>4</sup>. რუსულ ნათესაობით ბრუნვაში დასმული ბარონიუსის გვარი „ბარონია“ (ევროპელნი მას ბარონიუსს, ბარონის ან ბარონიოს უწოდებენ), მოწმობს, რომ ვახუშტი რუსული თარგმანით სარგებლობდა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ცხადია, „გაყრილობის შემდგომი“ წყაროები გვიანდელ (XV—XVIII სს) უცხოურ ისტორიულ ლიტერატურას ვუღიხნობს.

<sup>2</sup> ვახუშტი. საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ VI; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომთურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 9.

<sup>3</sup> Вайнштейн. История средних веков, 1940, стр. 79.

<sup>4</sup> П. Пекарский. Наука и литература в России при Петре Великом, т. 1 1861, стр. 327.

<sup>5</sup> ბარონიუსის თხზულების რუსული თარგმანის სათაურია: „Деяния церковная и гражданская из летоисаний Кесаря Барония собранная, переведенная с ивоиского языка на славянский.. напечатанные в царствующем граде Москве, первое: 1719.“

ვახუშტისეული „თეატრის მატიანის მწერალი“, რომლის გამოც დ. ბაქრაძე სწერდა: „თეატრი ჩვენ არსად შეგვხვედრიოა“<sup>1</sup>, არის პროტესტანტი ისტორიკოსი, ოსნაბრუკის ეპისკოპოსი ვილჰელმ სტრატემანი. მისი ლათინურად დაწერილი მსოფლიო საეკლესიო ისტორია: „Theatrum historicum“, რომლის რუსული თარგმანი 1724 წ. გამოქვეყნდა, ვახუშტის რუსულიდან ქართულად უთარგმნია 1740 წ. სანკტ-პეტერბურგში<sup>2</sup>.

ევროპულ გეოგრაფებიდან ვახუშტი ასახელებს ფრანგ გეოდეზისტსა და გეოგრაფს ლუი ფელიეს. რომელსაც ის „უფალ ფელეს“ უწოდებს. „ქარტა ქართლისა მტკვრის სამხრეთის კერძოსი, — ამბობს ვახუშტი, — სომხით-საბარათიანოსი და მეფის დროშისა, რომელიც შინა მგენარებს ხეობათა თვითეულად ახალს პოვინლს უფლის ფელეს მენაკსა ზედა ჩემ მიერ მეფის შვილის ვახუშტისაგან“<sup>3</sup>. საყურადღებოა, რომ ვახუშტის კარგად იცნობდნენ ევროპელი თუ რუსი გეოგრაფ-ქარტოგრაფები, რომლებიც დიდად სარგებლობდნენ ვახუშტის რუკებით მთელს XVIII ს-ში. ჯერ ისევე 1737 წელს ფრანგმა გეოგრაფმა და ასტრონომმა დელილმა ფრანგულად თარგმნა ვახუშტის რუკები. თავის მხრით ვახუშტის უნდა სცოდნოდა დელილის გეოგრაფიული შრომა: „Предложение о мере земли“, რომელიც 1737 წელს დაიბეჭდა სანკტ-პეტერბურგში. გეოგრაფიულა ლიტერატურიდან ვახუშტი ასახელებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1745 წ. გამოცემულ დიდ ატლასს რუსულიდან ქართულად ნათარგმნ „მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელოში“.

ვახუშტის სხვა ევროპული და, საზოგადოდ, უცხოური წყაროების ზუსტი დასახელება, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება.

ცხადია, ვახუშტის უნდა ესარგებლა ბერძნულ-სომხურ-სპარსული მატია-ნეებითაც, იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ ესა და ეს თარიღები „სპარსულ ქრონიკონებითგან არიან აღმოწერილინი“<sup>4</sup>, მაგრამ ნიშანდობლივ არ ასახელებს თავისი შრომის სპარსულ წყაროებს. ასევე ავტორის ვინაობის ილუნიშნავად იმოწმებს იგი ბერძნულ ქრონოგრაფებს: „არა დაუტყვეთ ზრონოგრაფნი ბერძენთა“, ანდა: „ამას მოწმობს ხომეხთა მატიანე ესრეთ ყოფასა მეფისა გიორგისაგან“<sup>5</sup>. დასახელებული არ არის „ევრეთვე გაყრილობისა შემდგომად რო-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, Op. cit., გვ. 107.

<sup>2</sup> სტრატემანის თხზულება ვახუშტის ერთ-ერთ წყაროდ ჩვენ მიერ დასახელებული იყო ის, რომ მისი ქართული თარგმანის არსებობა არ ვიცოდით (იხ. ვ. ვაბაშვილი, გამოქვეყნებული ქართველი ისტორიკოსი, ვახ. „კომუნისტი“, № 228 (7443), 1945 წ.). ჩვენი ვარაუდი ეჭვარებათა სტრატემანის თხზულების რუსული თარგმანის და ვახუშტის „ისტორიის“ წინასიტყვაობათა შორის არსებულ შინაარსობრივ შეხვედრებს. ქართული თარგმანი შესწავლა და აღწერა ქრ. შარაშიძემ.

<sup>3</sup> ვახუშტის ერთი რუკის რუსულ თარგმანს სათურად აქვს: „Карта генеральная новая начертанная Картошкой или Иверлианской или Георгианской по новейшему изчислению гражданов господина Фелье... Сочинена грузинским царевичем Вахуштом Вахтангевичем“. იხ. В. Ф. Гнучева, Географический департамент Академии Наук XVIII века, М.—Л., 1946, стр. 272. 1738 წ. მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიულმა ბიურომ რუსულად თარგმნა ვახუშტის ყველა რუკა (იხვე, გვ. 45).

<sup>4</sup> ვახუშტი. საქ. ცხოვრება, კიბ. გამოც, გვ. 360.

<sup>5</sup> საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. VI.



მელთა კეისართაგან, მეფეთა ევროპიელთა, აწინდელთა სულტნებთა სტამბოლისათა, სპარსთა მეფეთა შიხთათა<sup>1</sup> შესახები მის მიერ მოძიებული „მატიანენი“ და „ცხოვრებანი“. ამგვარადვე გაურკვეველია, თუ რომელი ნაწარმოებია საგულვეტელი „აღმოსავლეთის მატიანეში“, რომლის გამო ვახუშტი ამბობს: „ამის ემოწმება ჩვენი აღმოსავლეთის მატიანე, რომელ ჯვარი ამ დროს გამოაჩინა ელენე დედოფალმან“<sup>2</sup>. გამოსარკვევია, ვისი და რა დროის თხზულებაა „ძველი დეოღრაფია“, საიდანაც ვახუშტის გამოაქვს ასეთი რიგის გეოგრაფიული ცნობები: „ამათ ყოველთა კრებით ქვეყანასა სწერენ ძველ დეოღრაფიასა შინა, უწინარეს მაკედონელისაცა, სახელსა შიხნი, ესე იგი არს მესხი, და მათა დევაბონისასა, ირიჯლუსას, ყალნუსა და თორთომისას—მესხის მთას“<sup>3</sup>. ვინ აწვდის ასეთ ცნობას ვახუშტის? პტოლომე ალექსანდრიელი თუ სხვა ვინმე? ამ რიგის საკითხების გასარკვევად განსაკუთრებული გამოკვლევაა საჭირო.

ვახუშტი თავისი „ისტორიის“ მეორე ნაწილში საუკუნეთა სივრცეზე იძლევა ოსმალთა სულტნების „ზეობის“ საკმაოდ ზუსტ თარიღებს<sup>4</sup>. საიდან მოაქვს მას საამისო ცნობები? თუ დავეშვებთ, რომ მას თურქულ წყაროებზე ხელი არ მიუწვდებოდა, მაშინ „აწინდელთა სულტნებთა სტამბოლისათა“ მატიანენი თუ ცხოვრებანი სათანადო ევროპულ ისტორიულ ლიტერატურაშია საძიებელი, რადგან ქართულ და სომხურ საისტორიო მწერლობაში საამისოდ თითო-ორთა თარიღი გვხვდება.

საფიქრებელია, ოსმალთა სულტნების ზეობის წლების შესახები ცნობები ვახუშტის ამოღებული ჰქონდეს ინგლისელი ისტორიკოსის რიკოტის თხზულებიდან, რომლის რუსული თარგმანი, სათაურით: „Описание оттоманской порты“, გამოქვეყნდა 1741 წელს სანკტ-პეტერბურგში, ე. ი., ოთხი წლით ადრე. სანამ ვახუშტი თავის შრომას დაასრულებდა. ამ „კეთილ მეტრეფსა მემატიანის“, ვახუშტისავე ერთი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, მხედველობიდან არ უნდა გამორჩენოდა ახლადგამოსული წიგნი. გარდა ამისა, ვახუშტი იმეორებს ქრონოლოგიური ხასიათის ისეთ შეცდომებს, როგორიც რიკოტის დასახელებულ თხზულებაშიაც მოიპოვება. გასათვალისწინებელია აგრეთვე დიმიტრი კანტემირის ლათინურად დაწერილი „ოტომანთა იმპერიის ისტორია“, რომელიც ცნობილი იყო მთელს ევროპაში და თვით ვოლტერისათვის წარმოადგენდა ძირითად წყაროს ოსმალეთის ისტორიისათვის. ეს თხზულება ვახუშტის ხელთ უნდა ჰქონოდა, თუ მის მიერ ლათინურის ცოდნაში არ დავექვდებით.

ვახუშტის ისტორიაში მოტანილია ცნობები რუსეთის სხვადასხვა ხანის ისტორიიდანაც. მაგ., „დასაბამითგან 6496, ქორონიკონსა 208, მეთაცამეტე მოქცევისა ანუ 988 წ. მოიქცა ვლადიმერ მეფე რუსთა სრულიად დიდის რუსეთით“<sup>5</sup>. ან „რუსეთი არის პირველ ნოვგოროდისა და მერმე მოსკოვის სამეფო“<sup>6</sup>. ეს ცნობები ვახუშტის უეჭველად რუსული მატიანეებიდან და, უფრო

<sup>1</sup> იქვე, გვ. 69, შენ. 1.

<sup>2</sup> ვახუშტი. აღწერა... Op. cit., გვ. 121.

<sup>3</sup> საქართველოს ცხოვრება, კიბ. გამოც., გვ. 33, შენ. 1, 43, შენ. 1, 54, შენ. 2, 72, შენ. 1.

<sup>4</sup> საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 135., შენ. 2.

<sup>5</sup> საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამ. გვ. 198; შენ. 1.

მოსალოდნელია, ინოკენტი გიშელის „სინოპსისიდან“ უნდა გამოეკრიბა, რადგან, როგორც ვიცით, XVIII ს-ის პირველი რუსული საისტორიო ნაწარმოები, სახელდობრ ალექსეი მანკიევის „Ядро российской истории“, რომელიც 1715 წ. დაიწერა, მხოლოდ 1770 წ. გამოაქვეყნა მილერმა, ხოლო ტატიშჩევის მიერ 1737 წლისათვის დამთავრებული „Российская история“-ს პირველი ტომი იმავე მილერმა დაბეჭდა 1768 წელს.

ვახუშტის უცხოური წყაროები უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს მისი თხზულებიდან ჩანს, ამას მოწმობს, სხვათა შორის, მის მიერ შედგენილი ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ტაბულები, სადაც ზეობის წლების აღნიშვნით ჩამოთვლილი არიან: რომისა და ბიზანტიის კისრები, რომის პაპები, გერმანიის იმპერატორები, ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, რუსეთის, ავსტრიის, უნგრეთის, პრუსიის, შვეციის მეფე-ხელმწიფენი, არაბთა ხალიფები, ოსმალეთის სულტნები, ირანის ილხანი მბრძანებლები, თემურიანთა და „თეთრი ბატკნის“ დინასტიათა მეფენი და სეფიანთა ერანის შაჰინშაჰები<sup>1</sup>. ცხადია ასეთი სრული ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ტაბულის შედგენა მხოლოდ სხვადასხვა შინაარსობრივ-ისტორიულად მდიდარ თხზულებათა სარგებლობით შეიძლებოდა.

საიდან მოაქვს ვახუშტის საამისოდ საჭირო ცნობები? რადგან XVIII ს-ის პირველ ნახევარში რუსულად ზოგადი ისტორიული ხასიათის მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოები იყო ნათარგმნი, ხოლო რუსულად მსგავსი ორიგინალური ნაწარმოები არ არსებობდა, სავარაუდებელია, რომ ვახუშტის ლათინურად არსებული „ისტორიებით“ ესარგებლა. თუ ეს ასეა, მაშინ ვახუშტის ევროპული ისტორიული ლიტერატურა უნდა გავცნო როგორც რუსულ თარგმანებში, ისე ლათინურ ორიგინალებში. ამ მოსაზრებას ამავრებს ის გარემოებაც, რომ ვახუშტის მიერ ლათინურის ცოდნა სარწმუნოდ ითვლება.

მაგრამ დასაშვები და საფიქრებელია, რომ ვახუშტის შეეძლო XVIII ს-ში გამოქვეყნებული ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ტაბულებით ესარგებლა. ეს გასათვალისწინებელი გარემოებაა და არა დამადასტურებელი, რადგან: 1) სათანადო ევროპულ თუ რუსულ ტაბულებში უპირატესად ევროპის მეფე-ხელმწიფენი ან რუსი მთავრები არიან წარმოდგენილი, 2) ვახუშტის ტაბულებში ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების მეფე-ხელმწიფეთა სახელები თანამიმდევრულადაა აღნიშნული უძველესი დროიდან 1752 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, როცა ვახუშტის ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ტაბულის შედგენა დაუსრულებია. მაშასადამე, მას თანდითანობით, სხვადასხვა თხზულებისა თუ ზეპირი ცნობების მიხედვით უნდა შეეცნო თავისი ტაბულა. მაგ., ერანის უკანასკნელ მეფეებად მის მიერ დასახელებულია: „ნადირ ავშარ“ და „ადილ“, რომელთა სახელების შეტანა გამოქვეყნებულ ტაბულებში იმ დროს შეუძლებელი იყო; 3) თვითონ ვახუშტის აღნიშნული აქვს, რომ ის გართული ყოფილა „მატიანეთა და ცხოვრებათა ძიებითა“, არ დაუტოვებია „ხრონოგრაფია ბერძენთა“, გარდა ამისა, „ეგრეთვე გაყრილობის შემდგომად რომაელთა კვისართავან, მეფეთა

<sup>1</sup> საქ. ცენტრ. არქივის ძველ საბუთთა განკ. ხელნაწერი, № 103.

ვერობიელთა, აწინდელთა სულტნებთა სტამბოლისათა, სპარსთა მეფეთა შიკთათა გამოვიპოვეთ და შემოწმებულათ ვქმენით“. მოტანელ კონტექსტში ყველგან უცხოელთა „ისტორიები“, ვახუშტის ტერმინოლოგიით „მატიანენი“, „ცხოვრებანი“ და „ხრონოგრაფი“ იგულისხმება.

იმის სასარგებლოდ, რომ ვახუშტის ზოგადი ხასიათის ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ცნობები უშუალოდ ისტორიული ძეგლებიდან გამოჰქონდა, ლაპარაკობს ერთი მთავარი და არსებითი წინშენელობის გარემოებაც. მის მიერ შედგენილ ქრონოლოგიურ-გენეალოგიურ ტაბულას აშკარად ეტყობა ცალკეული ავტორების ისტორიული კონცეფციების ანარეკლის კვალი, რის გამოც ტანაც მშრალი ტაბულიდან შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ რის მიხედვითაც შესაძლებელია იმის გამოჩვენება, თუ რომელი ქვეყნის და ან რა მიმართულების ისტორიკოსთა თხზულებები უნდა ყოფილიყო ვახუშტის ხელთ. ასე, მაგ., როცა იგი რომის იმპერატორების ვადაშენების შემდეგ რომისავე იმპერატორებად შუა საუკუნეების გერმანელ იმპერატორებს ასახელებს, ადვილია იმ წყაროს მიგნება, საიდანაც მას ასეთი წარმოდგენა უნდა გამოეტანა.

უცხოურ ლიტერატურულ წყაროებს ვახუშტი იყენებდა უმთავრესად როგორც მსოფლიო ისტორიის თარიღების შესამოწმებლად, ისე ისტორიული მოვლენის ან ფაქტის დასადასტურებლად. იგივე წყაროები მას გამოუყენებია ქრონოლოგიური ხასიათის კვლევა-ძიებისას, როცა სინქრონიზმის ანუ თანამედროვეობის და საკალენდარო მეთოდებით ცდილობდა საქართველოს ისტორიის საეჭვო, მცდარი და უცნობი თარიღების დადგენას. ქვემოთ მოგვაქვს საამისო მაგალითები.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების დათარიღებასთან დაკავშირებით ვახუშტი იმოწმებს ბარონიუსის ცნობებს, რომში ქრისტიანობის გამარჯვებას რომ ეხება: „წელსა ქრისტესსა 306 მოკუდა კოსტანტი მამა კოსტანტინესი, და იქმნა კოსტანტინე კეისარი. 307 მოკუდა მაქსიმიან ღერკული, იქმნა კოსტანტინე ავგუსტი; 311 მოკუდა მაქსიმიან ლაღრიცა, და 312 რომს მიმავალს კოსტანტინეს გამოუჩნდა ჯვარი ცაში, და იქმნა ქრისტეანე, სძლო და მოკლა მაქსნეთი, დაიპყრა რომი და სრულიად კეისრობა, ვითარცა სწერს ბარონია“<sup>1</sup>. ბარონია დამოწმებულია სომეხთა მოქცევის დათარიღების გამოც<sup>2</sup> და აგრეთვე მაჰმადიანური სარწმუნოების გამარჯვების, მუჰამედის მოღვაწეობა-გარდაცვალების და ხალიფა აბუ-ბაქრის ზეობის დათარიღების აღსანიშნავად<sup>3</sup>. სტრატეგიის თხზულებიდანაც ამავე რიგის ცნობებია ამოღებული, მაგ., „თეატრის მათიანის მწერალი ჰაოწმობს, რომ იუსტინე კეისარმან მოსცა შეწენა სომეხთა ზედა, რომელ განამართლებს აქა წერილსა და გიორგიელთა“<sup>4</sup>, ან „თეატრის მათიანის მწერალი სწერს ამ ჩვენს რიცხვს 1250 წელს. სომეხთა ორ-ბუნების წვალებათა და სხვათა ზედა წინააღმდეგობდენო ძლიერად გიორგი-

<sup>1</sup> ვახუშტი. საქართველოს აღწერა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 6.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 59., შენ. 2.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 113, შენ. 2.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 107, შენ. 1.



ელნი, რომლისათვის უმეტეს განეშორნენ ურთიერთარს, რომელსაც ჩვენი მატრიანე არ მოიხსენიებს, ვგონებ ამ ქამის უცალღებისათვის, ეგების ეკლესიის მატრიანეში იყოს: თქვენ იხილეთ<sup>1</sup>. პოლონური მატრიანედან ვახუშტის შემდეგი ცნობა ამოჟლია: „1457 აღიღო ზვანთქარშიან მაჰმად მეორემან ტრაპიზონი და მეფე მისი დავით ცოლით და ძეგებით მიიყვანა ადრეანეპოლს და მუნ აიძულებდა დატყვებად ქრისტესსა; ხოლო მან არა ინება და მოიკლა ქრისტესათვის მის მიერ“<sup>2</sup>.

ვახუშტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მსოფლიო ისტორიის ცოდნას. ამიტომაც უთარგმნია მას სტრატემანის თხზულება, რომლის წინასიტყვაობაში იგი შენიშნავდა: „ვინათვან ენასა ზედა ჩვენ ქართველთასა ესრეთნი მატრიანენი ნაკულუღევანნი არიან, და არა თუ ნაკულუღევანნი, არამედ სმენითაცა ძნადნი, ამისთვის გენდა და ვიშეცადინე გარდმოღებასა რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა“<sup>3</sup>. მაგრამ მოტანილ კონტექსტში კატეგორიულად არ ირის უარყოფილი ზოგადი ისტორიების ქართულად არსებობა. ამას მოწმობს გამოთქმები: „ესრეთნი მატრიანენი ნაკულუღევანნი არიან“ და „სმენითაცა ძნადნი“, ე. ი. იშვიათნიო. მართლაც, ჯერ კიდევ ვახუშტამდე კარგა ხნით ადრე ქართულად თარგმნილი იყო იოსებ ფლაბიოსის საისტორიო თხზულება. 1733 წ. „ქალაქსა დიდსა სახელმწიფოსა, დიდსა მოსკოვსა ბრძანებითა საქართველოს მპყრობელისა მეფისა ვახტანგისათა ხელითა თუმანის შვილის პაპუასითა“ აღიწერა და დასრულდა წიგნი: კენტოს კორციოსისა „ალექსანდრეს მაკედონელის ცხოვრება“<sup>4</sup>. ვახუშტის შემდეგაც XVIII ს-ის მეორე ნახევარში და XIX ს-ის დამდეგს გრძელდებოდა უცხოური ისტორიების ქართულად თარგმნა.

გარდა იმისა, რომ ვახუშტი, ევროპული წყაროებით სარგებლობისას, ითვისებდა ევროპული ისტორიოგრაფის მიღწევებს, მის მიერ ახლად შემუშავებულ წიგნებსა და ხერხებს, მას იქიდან ქართულს სინამდვილეში შემოჰქონდა ახალი იდეები, ცნებები და ტერმინებიც.

ისტორიული ტერმინოლოგიიდან მან განამტკიცა ან პირველად შემოიტანა ქართულში: ქრონოლოგია (ხრონოლოღია), გენეალოგია (ღენეალოღია), გეოგრაფია (ღეოღრაფია), პრაგმატოლოგია (პრალმათოლოღია), ისტორიოგრაფია (ისტორიოღრაფია), ეტიმოლოგია (ეთიმოლოღია).

ვახუშტის მიერ თარგმნილ თხზულებებში გვხვდება ქართული სათავისი მანადე სრულიად უცნობი ტერმინები: აკადემია (აკადემია), პოლიტიკა (პოლეთიკა), პარლამენტი (პარლამენთი), დეპუტატი (დეფუთათი), დიქტატორი (დიქთათორი), არისტოკრატია (არისტოკრათი), დემოკრატია (დემოკრათი), რელიგია (რელიღია), პრივილეგია (პრივილეღია), ბიბლიოთეკა (ბიბლიოთიკი),

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 242, შენ. 2.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 306, შენ. 1. დ. ბაქრაძეს ეს ადგილი შეეცდომით ამოუწერია და დაუბეჭდაც „განდგომასა კახთასა სწერსა პოლშის მემატიანე“. ნამდვილად ვახუშტის ისტორიის ავტორიაგრაფში მწერია: „სწერს პოლშის მემატიანე: კკა ჩხ აღიღო ხონთქარსან მაჰმად ბ. ტრაპიზონი...“ და სხვ. (იხ. საქ. ცენტრ. არქივის ხელნაწერთა ფონდი, № 103, გვ. 91).

<sup>3</sup> საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი S/420.

<sup>4</sup> საქ. სახ. მუხ. ხელნაწერთა ფონდი, № 462 II.

კატალოგი (კათალოგი), ტომი („ტომი—ნაწილი წიგნისა), ტრაქტატი (თრაქტათი), უნივერსალი, იურისპრუდენცია (იურისპრუდენცი), ფიზიკა, ქიმიკა (ხიმიკა), მეტაფიზიკა, მედიცინა (მედიცინი), მათემატიკა (მათემატიკი), არითმეტიკა (არითმეტიკი), ტრაგედია (თრაღედია), კომედია, თეატრი და სხვ. მრავალი (საქ. სახ. მეზ. ხელნაწერთა განყ. ფონდი № 420—S).

ვახუშტი ცდილობდა უცხო სიტყვებისათვის შესატყვისი ქართული სიტყვები მოეძებნა ან დაახლოებით განემარტა, მაგრამ ზოგჯერ ამას ვერ ახერხებდა და უცხო სიტყვას განუმარტებლად სტოვებდა<sup>1</sup>.

ქართულში ახლად შემოსული უცხოური ტერმინები გარკვეულ შინაარსთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მათს ვაგება-შეთვისებას უნდა გაეფართოვებინა იმდროინდელი ქართველი განათლებული ადამიანების ისტორიული, გეოგრაფიული და პოლიტიკური წარმოდგენები. ასე იღვამდა ფეხს ევროპული ცოდნა და განათლება XVII—XVIII სს საქართველოში. ევროპულ კულტურასთან დახლოვებას გავლენა უნდა მოეხდინა არა მარტო ქართული ისტორიოგრაფიის და, საზოგადოდ, ქართული კულტურის, არამედ თვით საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაზედაც. ეს იყო XVII—XVIII სს ქართველ მოღვაწეთა მთავარი მიზანი, როცა კათოლიკე მისიონერთა შეამავლობით ისინი დაჟინებით ცდილობდნენ საქართველოში გაეცრკელებინათ ევროპული ცოდნა და განათლება. მათ შორის ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს XVIII ს-ის გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს.

## 5. ვახუშტის ისტორიული შემოკვლევა

### ა. ვახუშტის წყაროსთან დამოკიდებულება

ვახუშტიმ მნიშვნელოვნად გააფართოვა წყაროების წრე. მის მიერ გამოყენებული წყაროები გარეგნულა ფორმისა და ნაშნების მიხედვით სამ ჯგუფად განიყოფება: 1) წერილობითი წყაროები, 2) ნივთიერი წყაროები და 3) ზეპირი გადმოცემები. ამრიგად, ეს საესებით უდგება თანამედროვე წყაროთმცოდნეობის წყაროთა დაყოფის ყველაზე გავრცელებულ სისტემას.

სანამ „ისტორიის“ წერას შეუდგებოდა, ვახუშტამ დიდი დრო მოანდომა ისტორიული მასალების შეგროვება-შესწავლას: ამ მხრივ მისი წინამორბედნი ვახტანგ VI-ის „სწავლული კაცნი“ იყვნენ. ზემოთ უყვე იყო საუბარი ვახუშტის უცხოურ ლიტერატურულ წყაროებზე. აქ მოკლედ დასახელებული იქნება მხოლოდ

<sup>1</sup> ასევე იქვეაღენ ვახუშტის თანამედროვე რუსი მოღვაწეაე. სამისო მაკალითები მოჰყავს ალფხანოვს თავისი „რუსული ახროენების განვითარების ისტორიაში“. მაე, ანტიოქ კანტემირის განმარტებით „Ф и с и к а, и л и е с т е с т в е н и ц а, уч и т позн а в а т ь п р и ч и н у и о б с т о я т е л ь с т в а в с е х е с т е с т в е н н ы х д е й с т в и я х и в е ш е й“, „Метафизика“ ითი Преестествониа, д а е т н а м з н а н и е с у щ е г о в о б щ е с т в е (?—Г. П) и с у щ и х б е с п о т н ы х, к а к о в и с у т ь д у ш и, Д у х и и Б о г“. ასე სწავლობდა რუსი ადამიანი ფილოსოფიის ენას (Плаханов, сочинения, XXI, стр. 84—85) ვახუშტით: „ფიზიკა—ბუნებრივთ ნიუთთა მოძღვრებაა“. „მეტაფიზიკა—ზესთა ბუნების ნიუთთა მოძღვრება“, „პრადმათოლოღია კმუნელსიტყვიერება“, „ეკსპერიენცი—საქმის გამოცდა“ და სხვ. ვახუშტის ამ განმარტებებს თავისთავად მნიშვნელობა აქვს ქართული ფილოსოფიური და ისტორიული ახროენების განვითარების ისტორიისათვის.

მის მიერ გამოყენებული ქართული წყაროები: ნარატიული და დოკუმენტალური.

ნარატიული საისტორიო ძეგლებიდან ვახუშტის მთავარი წყაროა: „ქართლის ცხოვრება“—ძველ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებათა კრებული. ვახუშტი, როგორც ჩანს, სარგებლობდა „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ვარიანტებით. ამას მოწმობს გამოთქმები: „სხვა ქართლის ცხოვრება“ „ახალი და ძველი ქართლის ცხოვრება“ და მრავლობითში დასმული: „ქართლის ცხოვრებათა“. ამასვე მოწმობს ვახუშტისავე ცნობა: „დედანი მატიანისა იგი შეურყვევლად ჰგვის არა ერთი, არამედ მრავალი“<sup>1</sup>. მაგრამ, როგორც ეს დოკ. შ. მესხიამ გამოარკვია, ვახუშტის თავის „ისტორიის“ ძველი ხანის თხრობის საფუძვლად დაუდგია „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული ნუსხა. დანარჩენი ნუსხები კი მას, ეტყობა, შედარებებისა და შემოწმებისათვის გამოუყენებია.

მართალია, ვახუშტი არ ასახელებს ყველა გამოყენებულ ქართულ წყაროს, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მას გარდა „იმერეთის ძველი გარჩევის წიგნისა“, უნდა ესარგებლა სხვა ქართული საკანონმდებლო ძეგლებითაც, მაგ., „დასტურლამალით“<sup>2</sup>. უამისოდ წარმოუდგენელია ვახუშტის მოკლე, მაგრამ შინაარსობრივად საკმაოდ სრული, ქართული სახელმწიფოს, დაწესებულებების და მოხელეობის ისტორიის შედგენა. საზოგადოდ, ჯერ კიდევ საძიებელია ვახუშტის „ისტორიის“ ქართული ლიტერატურული წყაროები, რომელთა შესახებ არაპირდაპირი მითითება აქა-იქ თვითონ „ისტორიის“ ტექსტში მოიპოვება<sup>3</sup>. წყაროების საზოგადო ნუსხაში ვახუშტი ასახელებს მხოლოდ გარჩევის წიგნს, მესხურ დავითნს, იმერულ სძლისპირს ეტრატისას, ტლაშაძის ილწერილ ქორონიკონს, ბარათიანთ და თუმანიანთ გუჯრებს, ქართლის ცხოვრებებს ძველსა და ახალს, სახარებებს და საეკლესიო წიგნებს<sup>4</sup>.

ამრიგად, ვახუშტის მიერ დასახელებული წიგნებას ნუსხა სრული არ არის. სიზუსტე აკლია მას წყაროს დამოწმების დროსაც. მის „ისტორიაში“ ერთადერთი შემთხვევაა, როცა ნიშანდობლივ მითითებულია ავტორს გარდა დამოწმებული ადგილიც. მაგ., „ვითარცა იტყვის დამასკელი იოანე წიგნსა დ, თავსა იქ“<sup>5</sup>. შესაძლებელია, ისტორიკოსმა ეს გამონაკლისი დაუშვა კონფესიონალური მოსაზრებითაც, რათა თავისი მტკიცება გარეშე წიგნების საპირობისა და სარგებლობის შესახებ ეკლესიის მამის ავტორიტეტით შეემარებინა. ყველა სხვა შემთხვევაში კი, წყაროს დამოწმებისას, როგორც წესი, ვახუშტი ასახელებს ან წიგნის სათაურს ან ავტორს. მაგ., „თეატრის მატიანის მწერალი“, „სწერს ბარონია“, „ეკლესიის მატიანე“ და სხვ.

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. VI.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი ი. ძვ. ქართ. საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. 304.

<sup>3</sup> ერთგან, მაგალითად, ვახუშტი გიორგი ათონელს იმოწმებს ქართლის ცხოვრების ქორონიკონის შესამოწმებლად (საქ. ისტორია, გვ. 67, შენ. 1). მის კომენტარებებსა და საკუთრივ თხრობას ტექსტში გაბნეული შენიშვნებიდან ჩანს, რომ მას უნდა ესარგებლა მეტაფრასებით და წმიდათა ცხოვრებათა წიგნებით, მასვე უნდა გამოუყენებინა XVII—XVIII სს ქართული ისტორიული პოემები (მაგ. იოსებ თბილელის „დიდ-მოთრავიანი“ და სხვ.),

<sup>4</sup> ვახუშტი ი. საქართველოს ცხოვრება, კიბე. გამოც., გვ. 360.

<sup>5</sup> აღწერა... Op. cit., გვ. 2.

მაგრამ საერთოდ ვახუშტის წესად აქვს მიღებული წყაროს დაბოწმება. იგი საგანგებოდ აღნიშნავდა „მოწმობის მოხსენების“ აუცილებლობას, როცა „სწავლულ კაცებს“ კამათს უმართავდა. სტრატეგის თხზულების თარგმანის წინასიტყვაობაში მკითხველის საყურადღებოდ ვახუშტი აღნიშნავდა: „იუსყე ესეცა, რომელ წიგნი ესე სამითა წერილისა ხელითა დაწერილი არს: მსხვილითა, საშუალოთა და წვრილითა. მსხვილი საღმთო წერილი, ანუ საჩინო, საშუალო მატინე, და წვრილი, ანუ მოწმობა ანუ ვისიმე თქმული ანუ ავტორი ხიტყვა ხოლო სხოლითა ზედა წმინდათ წერილნი მოწმობანი, და რომელნი ამ ნიშნით ო არიან, თარგმანი მის სიტყვისა“<sup>1</sup>. სტრატეგის, რომლის თხზულება ვახუშტიმ ქართველ მკითხველებს გააცნო, საისტორიო-საეკლესიო მწერლობის სკოლიდან იყო გამოსული, საეკლესიო ისტორიოგრაფიის მიერ გაუმჯობესებული-განვითარებულ წყაროთა დამოწმების წესს XVIII ს-ის ქართველ ისტორიკოსზეც დადებითი გავლენა უნდა მოეხდინა. დოკუმენტების გამოყენება-დამოწმების დროსაც ვახუშტი ჩვეულებრივ აღნიშნავდა ხოლმე: „რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელი მათნი“<sup>2</sup> ან „ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი“<sup>3</sup>.

გარდა ამისა, ვახუშტიმ, პირველად ქართულ საისტორიო მწერლობაში, წესად შემოიღო და თავის „ისტორიას“ დაურთო კიდევ წყაროების საზოგადო ნუსხა. ეს სიახლე კი მნიშვნელობას მოკლებული არ იყო<sup>4</sup>.

ვახუშტი კრიტიკულად უდგებოდა ისტორიულ წყაროებს. მართალია, ამ მხრით ის „სწავლულ კაცთა“ მიერ დაწყებული საქმის გამგრძელებელია, მაგრამ სწორედ მან იაყვანა ახალსიმაღლეზე ისტორიული კრიტიკა საქართველოში. მისი დამოკიდებულება წყაროსადმი უფრო ფრთხილი და გაცილებით მკაცრი იყო, ვიდრე „სწავლულ კაცების“. ვახუშტიმ პირველად შენიშნა, რომ „სწავლულ კაცთა“ ნამუშავეს „მრავალი უსწორობანი“ ახლდა თან. ვახუშტის სამართლიანი დაკვირვებით მათ მიერ გამოყენებული წყაროები „უსწორონი და წინააღდგომნი არიან ერთი მეორისა“<sup>5</sup>. ისინი არ ასახელებდენ წყაროებს: „მოწმობისა მომხსენე“ არ იყვნენ, თანაც „გუჯართა მოწმობა“ აკლდათ?; მოთხრობაც „ამისთვის არა ქეშარიტ“ იყო<sup>6</sup>. მოთხრობის ქეშარიტებას<sup>7</sup> კი ვახუშტი პირველ რიგში აყენებდა, რა თქმა უნდა, თავისი დროისა და პირობების კვალობაზე. ვახუშტი „სწავლულ კაცებს“ იმასაც უსაყვედურებდა, რომ მათი მოთხრობა, XIV—XVI სს საქართველოს ისტორიას რომ გადმოსცემდა, შშრალი და უსაგნო იყო: „იტყვის: „ჰმეფა და მოკლდა“ და სხუასა არღარა რასა“, —ამბობს ჩვენი ისტორიკოსი<sup>8</sup>.

<sup>1</sup> საქ. საბ. მუზეუმის ზელნაწერი 5/420.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 18.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1, გვ. 308.

<sup>5</sup> საქართველოს ცნობრება, კიკ. გამოც., გვ. 9—10.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>9</sup> „მატიანე მეტყველებს ქეშარიტსა,—ამბობს ვახუშტი,—და არა სცბის და მოწმობს სხვათა და სხვათა“ (იხ. საქ. ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 1).

<sup>10</sup> საქართველოს ცნობრება, კიკ. გამოც., გვ. 9—10.

ვახუშტისათვის დამახასიათებელი იყო წყაროს ერუდიტული ანუ გარე-განი კრიტიკა. გარეგანი კრიტიკა, უწინარეს ყოვლისა, წყაროს სინამდვილისა თუ ნატყუარობის დადგენას გულისხმობს. გარეგანი კრიტიკის საგანია აგრეთვე „წყაროს უსწორო და წინააღმდეგობი“ ადგილების აღდგენა. ამავე საკითხების წრეში თავსდება წყაროს წარმოშობა—სადაურობის, ავტორის ვინაობის და თარიღის საკითხებაც. წყაროს „შინაგანი“ კრიტიკის ნიშნუშები ვახუშტის არ მოუცია, ისევე როგორც XVII—XVIII სს ვერძულ ისტორიოგრაფიას.

საყურადღებოა, რომ ვახუშტი ერთი რომელიმე გარკვეული საისტორიო წყაროს ამა თუ იმ ცნობას მეორე წყაროს ანალოგიურ ცნობასთან შედარებით ამოწმებდა. მაგ., ბერძნულ ქრონოგრაფებთან დაკავშირებით მას ნათქვამი აქვს: „არა თუ ერთისა ვირწმუნებით. არამედ სხვათა და სხვათა შემოწმებითა“. ამასთან ვახუშტის აინტერესებდა არა მარტო წყაროს, როგორც წყაროს, არამედ მოვლენის, ფაქტის შესაძლებლობის კრიტიკაც. ამისთვის სჭირდებოდა მას „სხვათა და სხვათა (ერთი რიგის, მაგრამ განსხვავებულ ცნობათა შემცველი წყაროების) შემოწმება“. ვახუშტი ახერხებდა წყაროდან მოტანილი ფაქტების ერთიმეორესთან დაკავშირებას, მათს ანალიზს და განზოგადებას. ასე შედგა მისი „ისტორიის“ ბრწყინვალე შესავალი.

ვახუშტის „ისტორიაში“ გვხვდებით საგნობრივი კრიტიკის (Sachkritik) ვლემენტებსაც. საგნობრივი კრიტიკა, რომელიც ისტორიული კრიტიკის მარჯვე იარაღად იქცა XVIII ს-ის „განანათლებელ“ ისტორიკოსთა ხელში, მოვლენის შესაძლებლობას გულისხმობს. მაგ., შაჰ-ისმაილის ლაშქრის მსუელელობა-მიმართულების გამო ვახუშტი შენიშნავს: „სწერს (მატიანე) წარმოვლო შაჰ-ისმაილ მთა კუმისისაო“, ხოლო ზეპირ სიტყვა არს: „წარმოვლო იაღლუჯა და დაიმალა ლელესა შინა“, ჩვენ ეს უმეტეს გვექმეშმარია, ვინაღდან იაღლუჯა უფრო მარჯვე ვზა არს აღჯუაღლისა, ვიდრე კუმისის მთა და ეს დავსწერეთ“<sup>1</sup>. თავის ადგილას ნაჩვენებია იყო, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მარტივი საგნობრივი კრიტიკის ნიშნუში მოგვცა ჯერ კიდევ ეფრემ მციორემ, როცა საქართველოში მირონის კურთხევის დაწესება გზის სიშორით და სიძნელით ახსნა.

თუ გავიხსენებთ, რომ საგნობრივი კრიტიკის მარტივი წესის შემუშავება ახალი ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო მონაპოვრად ითვლება, გასაგები უნდა იყოს მისი გამოყენების მნიშვნელობა ქართულ საისტორიო მწერლობაში.

წყაროს კრიტიკისათვის ვახუშტი პრაქტიკულად იყენებდა ისტორიის დამხმარე დისციპლინებს—ქრონოლოგიასა და გენეალოგიას. მისი „ისტორიის“ წინასიტყვაობაში ვრცლად არის საუბარი ქრონოლოგიისა და გენეალოგიის საკითხებზე. ვახუშტიმ დიდი წინასწარი სამუშაო შეასრულა, რათა ქართული ქრონოლოგია „სწორრიცხული“ და „რიგანი“ ყოფილიყო. თარიღების „არა ურთიერთ მოწმობილობის“ მიზეზის გამოსარკვეველ და საექვეო, მცდარი ან

<sup>1</sup> ვახუშტი ი. საქართველოს ცხოვრება, ტიპ. გამოც., გვ. 31.



უცნობი თარიღების დასადგენად იგი იყენებდა სინქრონიზმისა და საკალენდრო ძიების რთულ მეთოდებს<sup>1</sup>.

ვახუშტის გენეალოგიური ძიებაც მეცნიერულად გამართულია. „როცა იგი არკვევს, რამდენად ჭეშმარიტი და ისტორიულად სწორია მეფეთა ჩამომავლობითი შტო და მათზე მოთხრობილი ამბები“<sup>2</sup>. სანიმუშოდ მოგვყავს აქედ. ივ. ჯავახიშვილის მიერ თავის დროზე და სწორედ ამის გამო დამოწმებული მავალითი: „ბრწყინვალეს მეფის გიორგისაგან ვიდრე სვიმონ მეფისამდე არიან წყლნი სკპ (228) და მეფენი ივ (13), რომლისა არა სარწმუნებელ არს შობად ძეთა გონიერისაგან, ვინადგან თუთოთა ამათ მეფეთა მიხუდების წყლნი იე (15), რომელნი ერთი მეორის ძენი არიან; კვალად უკეთუ ჭეშმარიტობს, რადა არა იტყვის ქმნულებასა მათთა, არამედ იტყვის: „ჰმეფა და მოკუდა“ და სხუთსა არღარა რასა; კვალად არცა მოწმობს ქორონიკონთა და რომელთა მოწმობს, უსწორონი და წინააღმდეგონი არიან ერთიმეორისა, ვითარცა ვიხილეთ, და ამისთვის არა ჭეშმარიტ, და რომელნი აღვეწერთ ჩვენ, უკეთუ არა ესრეთ იყოს, არცა ჭეშმარიტ იქნებიან გუჯარნი, სიველნი და ქორონიკონნი და ამისთვის უმჯობეს არს რწმუნებად ესევე ვიდრე-ღა წართქმისა უმოწმოსა, ვითარცა მუნ არც ერთისა მოწმობისა მომხსენე არს“ (საქ. ცხოვრება, ტიპ. გამოც., გვ. 9—10)<sup>3</sup>.

ცნობილია, რომ ქრონოლოგია და გენეალოგია, ისევე როგორც ისტორიის სხვა დამხმარე დისციპლინები, მეცნიერულად გაიმართა მხოლოდ XVII—XVIII საუკუნეებში ერთდროულ-ისტორიული სკოლის ისტორიკოსთა წყალობით. მეცნიერული ქრონოლოგიის ფუძემდებელი, პროტესტანტ სკალიგერთან ერთად, არის ფრანგი იეზუატი დენი პეტო, რომლის თხზულება „De doctrina temporum“ გამოქვეყნდა 1628 წელს.

ვახუშტის საკმაოდ ფაქიზი და ძლიერი ქრონოლოგიური ძიება მოწმობს, რომ მისთვის უცხო არ იყო XVII—XVIII სს მეცნიერულად გამართულ-განვითარებული ქრონოლოგიის რთული მეთოდები.

ისტორიის დამხმარე დისციპლინის მნიშვნელობა ჰქონდა ვახუშტისათვის ისტორიულ გეოგრაფიასაც. მისი ცნობილი საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა ქართულ ისტორიულ წყაროებსა და პირად დაკვირვებებზეა დამყარებული. ვახუშტის „ისტორიის“ კომპოზიციიდან შეაფიქრ ჩანს, რომ ის გეოგრაფიულ პირობებს მკიდროდ უკავშირებდა ისტორიას.

ვახუშტი მიმართავდა აგრეთვე ერთგვარად მარტივ და თავ-სებურ ფილოლოგიურ დაკვირვება-ძიებასაც, როცა გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობას არკვევდა ისტორიული ამბების ფონზე. მაგ., „ივერიის“ განმარტებისას მას ნათქვამი აქვს: „ხოლო მეორე სახელი, ივერია, ენითავე ქართულითა მიეცა, რამეთუ „იი“ არს შორის ყრილი, რომელ არს სასიხარულო ჳმა ზახილისა,

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. 287—291. საკალენდრო მეთოდის გამო აქედ. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „ამ მეთოდით ვხლავ ხელმძღვანელობენ ხოლმე, ხოლო ქართულ საისტორიო მწერლობაში ეს მეთოდიც პირველად ვახუშტიმ შემოიტანა“ (იქვე, გვ. 290—91).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 293.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 293.

ხოლო „ვერიე“—მოვერიევე, არამედ წყობისათჳს შეთხზულად „ივერია“, რამეთუ ოდეს ი მეფემან აღერკიმ მოკლა არშაკ, მეფე ქართლისა, გოლიათობით თჳსითაჲ მაშინ აღუტევა ჳმა ესე, და იტყოდაიან ყოველნი სიმჯნისა მისისათჳს; ამის გამო იწოდა ივერია<sup>1</sup>. ამავე სიტყვის წარმოშობას ვახუშტი უკავშირებდა ქრისტიანობის წარმართობაზე განმარჯვებას: „... ხოლო „ვერიე“ მორევნასა კერპთა ზედა ძალსა ჯვარისასა და ჳსნასა ეშმაკისაგან საქართველოსასა“<sup>2</sup>. ასევე ხელოვნურადაა განმარტებული: არაგვის, დარიალის, ოდიშის, არტანუჯის, შავშეთისა და სხვ. ეტიმოლოგიები<sup>3</sup>. ყოველივე ამის შემდეგ მოულოდნელი და გასაოცარია ვახუშტის ზუსტი და სავსებით მართებული ფილოლოგიური დაკვირვება საქართველოს უცხოურ სახელწოდებათა გამო: „არამედ ვეროპელინი და ბერძენნი უჳწრობენ ჯორჯიანსა, და რუსნი გრუზსა, და მაჰმადიანნი გურჯსა მათითა ორფოდრაფიის გამო, არამედ იგივე გიორგიავე არს“<sup>4</sup>.

ცალკე უნდა აღინიშნოს ვახუშტის დამოკიდებულება დოკუმენტისადმი. დოკუმენტების არსებითი მნიშვნელობა მხოლოდ ვახუშტიმ შეიგნო ბოლომდე და გამოიყენა კიდევ ისინი თავისი „ისტორიის“ შედგენის დროს. ამის გამო აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „სიგელების არსებითი მნიშვნელობა XIV—XVII ს-ეების საქართველოს ისტორიისათვის მხოლოდ ვახუშტიმ გამოარკვია: მხოლოდ მან სცნო საბუთები განსაკუთრებული ნდობის ღირსად, როდესაც სხვა წყაროების ცნობებს ცხადი შეუთანხმებლობა ეტყობოდა“<sup>5</sup>.

ვახუშტი კარგად არჩევდა ერთიმეორისაგან ადრინდელ და გვიანდელ დოკუმენტებს XVII—XVIII სს ვეროპულ ისტორიკოსთა მსგავსად. ამის მკაფიო მიწმობაა მისი „მეფეთა წერილისათჳს“, რომლის მრავალმხრივად საყურადღებო შინაარსი მუდამ საპატიო ადგილს დაიკვრს ქართული დიპლომატიკის ისტორიაში. ვახუშტის ქართული დოკუმენტების ფორმულებისა და დოკუმენტების შედგენლობის გამო ნათქვამი აქვს: „ხოლო მეფენი ამათ ყოველთა ზედა იწერებოდნენ ესრეთ: „ჩვენი ბრძანება არს, მესტუმრეო თუ მანდატურო, ესრეთ უამბე“, და შემდგომად რაი ჯერ იყო. ხოლო სიგელსა და გუჯარსა შინა: „ჩვენ, მეფეთ-მეფემან, ღვთის წყალობით ცხებულმან თუთმჳყრობელმან და თუთ ხელმწიფემან, იესიან, დავითიან, სოლოჳნიან, ბაგრატიონმან, შვიდთავე სამეფოთა მჳყრობელმან [სახელი] გიწყალობეთ“. ხოლო აწინდელთა შამთა: „მესტუმრეო, ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდ-ბატონს [სახელი] ასრე უანბეთ“, ხოლო გუჯართა და სიგელთა: „ჩვენ, მეფემან ღვთიე-ცხებით გვირგვინოსანმან, იესიან, დავითიან, სოლოჳნიან, ბაგრატიონმან [სახელი] გიწყალობეთ“. ესრეთვე იმერნი და კახნი, არამედ ქართლისა კვალადცა მეფეთ მეფობით სწერდა წინავეთავე ჩვეულებითა“<sup>6</sup>. ამრიგად, ვახუშტიმ კარგად იცოდა ძველი და ახალი ქართული დოკუმენტების მეფეთა ტიტულატურისა და ფორმულების შინაარსი, რის მიხედ-

<sup>1</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 28.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 62, 67—68, 121 და ა. შ.

<sup>4</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა.., გვ. 28—29.

<sup>5</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. Op. cit. გვ. 308.

<sup>6</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა.., გვ. 26—27.

კითაც, ცხადია, უკვე ადვილი იყო ძველი და ახალი საბუთების განსაზღვრა. ასეთსავე ხერხს მიმართავს თანამედროვე წყაროთმცოდნეობა.

ვახუშტი, როგორც ჩანს, დაჰკვირვებია ქართული დოკუმენტების შედგენილობას (სხვა საკითხია თუ რამდენად სრულია მისი წარმოდგენა დოკუმენტის შემადგენელ ნაწილებზე) და აღუნიშნავს „სიგლის თავის“ შინაარსობრივი თავისებურებანი დროსა და განვითარებაში. ვახუშტის გაგებული აქვს ზოგადი დიპლომატიკის მთავარი კანონების: დოკუმენტის სახეობათა (ის ასახელებს: ბრძანებას, გუჯარს, სიგელს; ამავე დროს, ბრძანებას<sup>1</sup> ახსვავებს სიგელისა და გუჯარისაგან) და შემადგენელი ნაწილების ჭკოდნის საპირობების მნიშვნელობა.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა სწორად შეაფასა ვახუშტის მიერ დოკუმენტების გამოყენების მნიშვნელობა, მაგრამ გადაქარბებულად გვეჩვენება განს. მეცნიერის შენიშვნა, რომ „საკმარისი იყო სახელოვანს ქართველს მეცნიერს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა რომ მას სრულ ჰქმარიტებადის მიეღწია. მაგრამ მას ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს და სწორედ ეს იყო, რომ ვახუშტის მუშაობას ამ მხრე ზოგჯერ სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და აქა-იქ შეცდომაც ჩაუღვინებია. ვახუშტი საბუთებისადმი გადამეტებული ნდობით იყო გამსჭვალული და თითქმის ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ საბუთი შეიძლება ან ყალბი იყოს, ან მერმინდელი გადამწერის მიერ, თუ რომ ისტორიკოსს საბუთის დედნის მაგიერ მხოლოდ პირი ჰქონდა ხელთა, დამახინჯებული და უფარგისი ყოფილიყო“<sup>2</sup>. მაგრამ ასეთი ნაბიჯი არც XVII—XVIII სს ევროპულ ისტორიოგრაფიას გადაუდგამს. ყოველივე ეს წყაროს „შინაგანი“ კრიტიკის საქმეა, რაც ვახუშტის დროს ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ მომარჯვებული. XVII—XVIII სს ევროპული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი იყო წყაროს ერთდართული ანუ „გარეგანი“ კრიტიკა, „შინაგანი“ კრიტიკაზე გადასვლა კი თანდათანობით, მხოლოდ ცალკეული შემთხვევიდან შემთხვევამდე, ხდებოდა ხოლმე. მეცნიერულად სრული ისტორიული კრიტიკა წყაროს „გარეგანი“ და „შინაგანი“ კრიტიკის მთლიანობას გულისხმობს, ამას კი მხოლოდ XIX—XX სს ისტორიულმა მეცნიერებამ მიაღწია.

ვახუშტისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო ნატყუარი საბუთების არსებობა, რადგან ჯერ კიდევ XV ს-ის საქართველოში არსებობდა მკაფიო წარმოდგენა ნატყუარ საბუთზე<sup>3</sup>. ვახტანგის სამართლის წიგნშიაც სავანგებოდ აღნიშნული იყო, რომ საბუთს „გაუსინჯონ ბეჰედი, ქორონიკონი, დამწერი და მოწამე ამიტომ, რომე ბეჰრს ტყუილადაც მოიკონებენ“ (§ 143, შეად. აგრეთვე § 213). ვახუშტის დაკვირვებისა და აზრის სიახლე ის იყო, რომ მან გამოძებნა ხერხი და საშუალება აღრინდელი საბუთის გვიანდელისაგან გასარჩევად. ამ მხრითაც იგი ახალი ევროპული ისტორიოგრაფიის სიმადლეზე იდგა.

ისტორიული წყაროს მნიშვნელობა ჰქონდა ვახუშტისათვის ზეპირსიტყვაობასაც (ხსოვნამოთხრობითს, ხალხურ ანდაზებს და სხვ.)<sup>4</sup>. ვახუშტი უხვად სარგებლობდა პირადი დაკვირვებებით ისტორიული, გეოგრაფიული და ეთ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916 წ. გამოც. გვ. 309.

<sup>2</sup> ქრონიკები, წიგნ. II, გვ. 244; ივ. ჯავახიშვილი, Op. cit., გვ. 309.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 306.

ნოგრაფიული მასალების შეგროვების დროს<sup>1</sup>. ამ შემთხვევაში ის თვითონ იყო თავისი „ისტორიის“ წყარო.

წყაროს მნიშვნელობითვე იყო გამოყენებული ენა და მეტყველების თავისებურებანი. ეს ვახუშტის სჭირდებოდა ქართველ ტომთა ნათესაური ურთიერთობისა და ქართველთა ეროვნული ერთობის დასამტკიცებლად<sup>2</sup>.

განსაკუთრებით საყურადღებოა ვახუშტის დამოკიდებულება ნივთიერი წყაროებისადმი.

XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსი დიდი ყურადღებით სწავლობდა „დიდ შენებულთა მონასტერთა“ და „ქუთა, ხატთა და ჯუართა ზედა“ წარწერებს. ქართული ეპიგრაფიკული მასალები მას გამოუყენებია ისტორიული და გეოგრაფიული საკითხების გასაშუქებლად. ქართული ტანისამოსის ისტორიამის მიერ შესწავლილია კედლის მხატვრობისა და ხელნაწერების მიხედვით<sup>3</sup>. საქართველოს გეოგრაფიულ აღწერილობაში ვახუშტი „ყველა ისტორიულ ნაშთებსაც იხსენიებს: ციხე-ქალაქებს, ეკლესიებს, მონასტრებს, სასახლეებს, ხიდებს, რუებს და არხებს, ან ვისი აგებულია, ან როდის, ვინ გადააკეთა ან დაანგრია, საითგან იწყება და სად მიდის რუ-არხები, ან ვისი გამოღებულია და როდის“<sup>4</sup>. ვახუშტი უკვირდებოდა ეკლესია-მონასტრების და სასახლეების გარეგნულ ფორმა-მოყვანილობას, საღმშენებლო მასალას, მდებარეობას (ნაქალაქარების და ნასოფლარების ადგილ-მდებარეობის გამოსარკვევად), ეცნობოდა მონუმენტალურ დამწერლობას, რომლის შინაარსის მიხედვით ადგენდა არა მარტო მშენებელთა ვინაობას, არამედ ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებსაც: „არამედ რაოდენნი ეკლესიანი ანუ მონასტრნი აღვსწერენით, ანუ პალატნი,—ამბობს ვახუშტი,—არა არს არც ერთი, რომელნი არა იყოს თლილის ქვიჩა ნაშენნი, რამეთუ ყოველნივე თლილის ქვიჩა არიან აღშენებულნი. კვალად არა არიან დაბანი ანუ აგარაკნი, რომელსა ქვიჩა არა იდგეს ეკლესია თლილისა ქვისა, უკუნაითონი მცირენი და დიდნი, და მით იცნობის ნახოფლარი, სადაცა დვას ეკლესია... კვალად, რომელნი ეკლესიათა აღმშენებელნი არა მოვისხენეთ, ვინათგან დავსწერეთ მეფენი ეკლესიათა მაშენებელნი, მათ მიერ არიან აღშენებულნი ყოველნი, ხოლო ზოგნი მთავართა და ხუროთმოძღვართაგან, ვითარცა ზედვე ეკლესიათა წერილნი აჩვენენ“<sup>5</sup>. მოტანილი კონტექსტიდან ცხადად ჩანს, რომ ვახუშტი ისევე სარგებლობს ნივთიერი წყაროებით, როგორც თანამედროვე მკვლევარი-ისტორიკოსი.

გარდა ამისა, ვახუშტი ნივთიერი წყაროს წერილობითი წყაროს ცნობის შესა-  
 მოწმებლადაც იყენებდა. მაგ., მისი მტკიცებდა: „არს ახპატი და სანაინი მეფეთა ქართველთათა აღშენებულნი, ეკლესიანი გუნბათიანნი, კეთილნაშენი, საეპისკოპოზო გარნა აწ სხენან სომეხნი...“<sup>6</sup> და იქვე კიდევ გააქვს წერილობითი წყაროდან მოტანილი შენიშვნა: „არამედ სომეხნი სწერენ: ოდეს ეპურათ სომეხთა მეფეთა, მათ მიერ არს აღშენებულნი“<sup>7</sup>. ამრიგად, მასსადაამე, ვახუშ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 286, 304, 306.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 295—296.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, *Op. cit.*, გვ. 307—308.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 285. <sup>5</sup> ვახუშტი. აღწერა..., *Op. cit.*, გვ. 80—85. <sup>6</sup> იქვე, გვ. 35.



ტის კარგად ესმოდა ნივთიერი საბუთის მთავარი ღირებულება. რაც ნივთიერი და წერილობითი წყაროების ურთიერთმოწმობილობას ან გამტყუნებას გულისხმობს.

ისტორიულ წყაროსადმი ვახუშტის დამოკიდებულება საკმაოდ კრიტიკული და გამართულია. ის საბუთებს ერთმანეთს უღარებს, არკვევს მათს-ღირსება-ნაკლოვანებას და თავის თხუზულებას საისტორიო წყაროების საფუძვლიან შესწავლაზე ამყარებს (გაეხსენოთ თუნდაც მისი ისტორიული გეოგრაფია ან XIV—XVIII სს საქართველოს ისტორია). თვითონ ვახუშტი შენიშნავს, რომ საბუთების „განჩვევა საჭიროდ არს და უბმს შრომა დიდი“<sup>1</sup>. წყაროებსა და საბუთებზე დაკვირვებით, მათი შინაარსის გარჩევით, იგი კრებდა საჭირო ცნობებს („ვიუწყებთ ცხოვრებათა, გუჯრებთა და ქორონიკონებთაგან“)<sup>2</sup> და მათი შემწვობით აღადგენდა ხოლმე ნარატიული თხრობის ისტორიას. მაგ., ასეა აღდგენილი გიორგი ბრწყინვალისა და მისი წინამორბედების „ქართლის ცხოვრებით“ ნაკლული ხანა: „თუმცა ამ ორთა გიორგის ცხოვრება ბნელ არს — ამბობს ვახუშტი, — არამედ იცნობების ცხოვრებასავე შინა ზემორე-ქვემორე, ვითარც ვწერთ და გუჯართა და ამის (გიორგი ბრწყინვალის) სამართლის წიგნისაგანაცა“<sup>3</sup>. ასევე კახთ-ბატონების ჩამომავლობის საკითხის გამო ნათქვამია: „ვინადგან ბნელ და უჩინო არს ცხოვრება და ძნელად გამოხარკუეველი“, ამიტომ „რაოდენ შესაძლებელ არს გუჯრებთა, სიგლებთა და ქორონიკონებთაგან წარმოვაჩინოთ“<sup>4</sup>.

ეს იყო ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ წარმატებით შედგენის ერთი უმნიშვნელოვანესი პირობათაგანი. „ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველმა მან შეჰქმნა მძლავრი კრიტიკული მიმართულება. წყაროებისადმი წინანდელი სრული დღ განუსაზღვრელი ნდობის მაგიერ იგი გაბედულად შეუდგა მათ კრიტიკულ განხილვას, მათი სხვადასხვაგვარი ნაკლულოვანება გამოააშკარავა და შეძლებისდაგვარად შეასწორა“<sup>5</sup>.

### ბ. ვახუშტის „ისტორიის“ ფორმა და შინაარსი

ვახუშტის „ისტორია“ მეცნიერულად გამართული გამოკვლევაა. ავტორმა მას წაუშმდღვრა წინასიტყვაობა („შკითხველთათვის სიტყვა, თუ რაისათვის არს შრომა ესე“) და შესავალი ანუ ზოგადი ხასიათის ისტორიული მიმოხილვა („ზენი და ჩვეულებანი საქართველოსანი). თვითონ ძირითადი ტექსტი შეიცავს საქართველოს გეოგრაფიულ აღწერილობას და საკუთრივ კონკრეტულ ისტორიას. ტექსტს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, ქრონოლოგიური და გენეალოგიური ტაბულები, საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი და რუკები. ამგვარად შედგენილი საისტორიო თხუ-

<sup>1</sup> საქართველოს ცხოვრება, ტომ. გამოც. გვ. 4.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 154.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორია, ბაქრაძის გამოც. გვ. 276, შენ. 1.

<sup>4</sup> საქართველოს ცხოვრება, Op. cit., გვ. 156.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი. Op. cit., გვ. 310. ხაზი ავტორისა.

ლება სრულიად ახალი იყო ქართულს მწერლობაში, ხოლო XVII—XVIII სს ევროპულ მწერლობაში იმდენად იშვიათი, რომ ტატიშჩევი გულისტკივილით შენიშნავდა: „.....росписи алфавитических имен, народов, людей, предметов, урочищ и проч. от лениости или от незнания так кратки сочинены, что многого сыскать невозможно, а все книги читать времени не достанешь“<sup>1</sup>.

ვახუშტის „ისტორიის“ კომპოზიცია არსებითად განსხვავდებოდა ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების კომპოზიციისაგან. გარეგნულად ეს საისტორიო შრომა ახლებურადაა გაფორმებული. ვახუშტის თხზულება შეიცავს თითქმის ისეთსავე შემადგენელ ელემენტებს, როგორსაც თანამედროვე საისტორიო ნაშრომი. ამით მან დაარღვია ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ტრადიცია. ვახუშტამ მათგან ისტორიად აქცია. მაგრამ, ამავე დროს, თუ „ისტორიის“ შინაგან ელემენტებს დაუფუკვრდებით, აღმოჩნდება, რომ მას მიანიჭ შეუნარჩუნებია ქართული ისტორიოგრაფიის ხასიათი და ბევრი თავისებურება.

ვახუშტის „ისტორიის“ წინასიტყვაობაში განზილულია ისტორიის მიზნები და მეთოდები. ის წარმოადგენს თხზულების კრიტიკულ-ისტორიულ ნაწილს. „შესავალში“ დასმულია „შინაგანი“ ისტორიის საკითხები და იმ დროის კვალობაზე სანიმუშოდ შესწავლილ-გაშუქებულია ქართული სახელმწიფო დაწესებულებები, სოციალური ურთიერთობა, რელიგია, კულტურა, ზელოვნება, ეთნოგრაფია. აქ ვახუშტის მსჯელობა ემყარება ქართული საისტორიო წყაროებიდან გამოკრებილ ცნობებს და მათი ანალიზის შემწეობით ახდენს საქართველოს ისტორიული წარსულის განზოგადებას დროსა და განვითარებაში. ამით ვახუშტიმ უკან მოიტოვა XVII—XVIII სს ევროპულ ისტორიკოსთა დიდი უმეტესობა, რადგან, როგორც ვიცით, ქვეყნის „შინაგანი“ ისტორია მხოლოდ XVIII ს-ის „განმანათლებელთა“ ისტორიოგრაფიის ყურადღების საგანს შეადგენდა.

ზოგადი ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ვახუშტის „ისტორიაში“ გამოკვლევა თბრობისაგან გამოყოფილია. ეს ითქმის არა მარტო შესავალზე, არამედ შრომის სხვა ძირითად ნაწილებზედაც. მაგ., გვიანდელი საუკუნეების საქართველოს ისტორიის წამძვარებული აქვს „უწყებულება მკითხველთათვის“, სადაც მეცნიერულად საყურადღებო კრიონოლოგიური ძიების გვერდით მოიპოვება მეტად სანტიერესო დაკვირვებანი ერისთავების გამთავრების და ერისთავ-უფლისწულების გამეფების პირობების გაგება-დასადგენად<sup>2</sup>. ვახუშტი ხელმძღვანელობდა მიზეზობრიობის პრინციპით, როცა იგი საქართველოს „დაშლილობის“ მიზეზების ახსნას ცდილობდა. ასეთ წინასწარ კვლევა-ძიებას კი ორგანულად უკავშირდება თვითონ კონკრეტული ისტორიის ახრობა.

გარდა ამისა, საკუთრივ თბრობის ტექსტში ვახუშტი კვადრატულ ფრჩხილებში ათავსებს სათანადო განმარტებას ან შენიშვნას, ხოლო კიდევზე გა-

<sup>1</sup> Татищев. Российская история, кн. 1, ч. 1, стр. XXIII.

<sup>2</sup> გვიანდელი საუკუნის ისტორიისა და წინ უძღვის გამოკვლევა „აღმოჩენა და დაპყრობა აწინდელთა მეპატრონეთა კახეთისა“ (საქ. ცხოვრება, კიბ. გამოც. გვ. 154—156).



აქვს არსებითი მნიშვნელობის შენიშვნები, რომლებიც ტექსტის რელურ კომენტარებს წარმოადგენენ. ამნაირად არის შემაგრებული თხრობის დამაჯერებლობა. ისტორიული გეოგრაფია კი მთლიანად გამოკვლევა, რადგან ვახუშტის გეოგრაფიული ცნობები ემყარება ქართულ საისტორიო წყაროებსა და ავტორის პირად დაკვირვებებს. ისტორიული გეოგრაფია ცალკე წიგნად ვახუშტის არ დაუწერია. საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა „ისტორიის“ ორგანული ნაწილია. „საქართველოს აღწერის“ ყველა არსებული გამოცემა გამომცემლების მიერაა მექანიკურად შედგენილი და ერთ ნაწარმოებად გაერთიანებული. თვითონ ვახუშტის ავტოგრაფში კი ისტორიული გეოგრაფია დაშლილია საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროების მიხედვით. მოყვანილი მაგალითებით ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენად დადებითად განსხვავდება ვახუშტის „ისტორია“ XVII—XVIII სს ევროპული მეცნიერული ანალისტიკის საისტორიო თხზულებების ფორმისა და შინაარსისაგან.

ვახუშტის „ისტორიის“ საკუთრივ ამბის მოთხრობა ანუ საქართველოს კონკრეტული ისტორია ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება.

**პირველი ნაწილი** (უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე) ფაქტიურად „ძველი ქართლის ცხოვრების“ შემოკლებული ვერსიაა<sup>1</sup>. ასეთი მტკიცების საბაზს, უწინარეს ყოვლისა, იძლევა თვითონ ვახუშტის ცნობა: „ხოლო შრომა ჩენი ამისთვის არს...**გავრცელებული შევამოკლოთ**, რათა მკითხველთა არა საწყინოდ და აღრე საცნობელ იყოს“<sup>2</sup>, რომლის უარყოფა თანამედროვე მკვლევარის მიერ გაპირდებოდა. მაინც რამდენად შეიძლება ვახუშტის შრომის პირველი ნაწილი დამოუკიდებელ ნაწარმოებად ჩითვალოს? იმდენად, რამდენათაც ისტორიკოსი იძლევა „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებულ რედაქციას უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე, ე. ი. აქ საქმე გვაქვს არა წყაროს უბრალო რეპროდუქციასთან, როგორც ეს ტატიშჩევის მაგალითიდან ვიცით, არამედ **ტექსტის შეკუმშვა-შემოკლებასთან**. საწინააღმდეგო მოსაზრებისათვის ვერ გამოდგებოდა „ისტორიის“ ამ ნაწილში დადასტურებულ დამატებებზე ან „ქართლის ცხოვრებისათვის“ უცხო წყაროებზე მითითება, რადგან, ზოგადი წყარომცოდნეობის და ისტორიოგრაფიის ენით რომ ვილაპარაკოთ, ვახუშტის მიერ შესრულებული სამუშაო ჩვეულებრივი „დამატება“, დამატება კი გულისხმობს ტექსტის **ინტერპოლაციასა და გაგრძელებას**.

ინტერპოლატორს ტექსტში შეაქვს ავტორის ხელნაწერისათვის უცხო სიტყვები და ფრაზები: ინტერპოლაცია ჩვეულებრივ შემთხვევითია და გადამწერლის უვიცობის შედეგია, მაგრამ ზოგჯერ ინტერპოლაცია **შეგნებული აქტია**. ასეთ შემთხვევაში ინტერპოლატორი ავტორის ფრაზებს უმატებს საკუთარ ფრაზებს, ასრულებს, ალამაზებს და ამახვილებს თხრობას. გაგრძელება კი სხვა რიგის მოვლენაა. გაგრძელება მოვპოვებოდა შუასაუკუნეების თითქმის ყველა ქრონიკას. გაგრძელების პრინციპითაა შედგენილი ვახტანგ VI „სწავ-

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ვახუშტის საისტორიო შრომის „პირველი ნაწილი ქცის დამუშავება და შევსება“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტორიო მწერლობა, გვ. 267).

<sup>2</sup> საქართველოს ისტორია, დ. ბაკრაძის გამოც., გვ. I—II.

ლულ კაცთა“ ნამუშავეცი: XV—XVIII სს საქართველოს ისტორია. გაგრძელებას გულისხმობს აგრეთვე ვახუშტის „ისტორიის“ მეორე ნაწილიც, მაგრამ ეს უკანასკნელი ძირითადად მეცნიერულად გამართული ნაწარმოები გამოვიდა.

ვახუშტის „ისტორიის“ პირველ ნაწილში დამოუკიდებელ მნიშვნელობას ინარჩუნებენ მხოლოდ მისი ქრონოლოგიური და სხვა რიგის შენიშვნები, რომლებიც მთავარი წყაროს ტექსტის გარეშე დგანან<sup>1</sup>. თვით მეორე ნაწილშიაც შექანიკურად და თითქმის უცვლელადაა შეტანილი ე. წ. „მესხური მატთანე“ ვახუშტის არა მარტო ხელუხლებლივ შეუნახავს წყაროს დედნის ენა, არამედ მომთხრობელი მონაწილე შემატანის პირით ლაპარაკობს, როცა XVI ს-ის ამბებს ვაღმოგვეცვს. ამასთან „ზოგან ვახუშტის ისტორიის მოთხრობაში მესხური მატთანის პირვანდელი სახე და დედანი უკეთესად არის შენახული, ვიდრე იმ ხელნაწერში, რომელშიც ჩვენამდის მოაღწია და რომელიც თვით თავდაპირველ დედნად ითვლება“<sup>2</sup>. ეს გარემოება მოწმობს, რომ ვახუშტი ბოლომდე თავისუფალი არ იყო შუახაუჭუნობრივი ისტორიოგრაფიის გავლენისაგან.

ის, რასაც ვახუშტი აკეთებდა, დამახასიათებელი იყო როგორც ადრინდელი, ისე გვიანდელი ქართული საისტორიო მწერლობისათვის. ამგვარად შედგა „ქართულის ცხოვრების კრებული“; ფარსადან გორგიჯანიძესაც ავტორის დაუსახლებლად ვადმოჰქონდა მთელი ავღილები სპარსელი ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის თხზულებიდან<sup>3</sup>; ასევე სენია ჩხეიძე თავის „მეფეთა ცხოვრებას“ იწყებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან ამოღებული ვრცელი ტექსტით, სადაც მეფის ხელისუფლების პრეროგატივებზეა საუბარი და რომელიც XVIII ს-ის ისტორიკოსის ნაწარმოებში დროისა და სივრცის გარეშე დგას. რა თქმა უნდა, ფარსადან გორგიჯანიძის და სენია ჩხეიძის თხზულებათა ძირითადი ნაწილები ამით არ ჰყარაგავენ პირველ წყაროების მნიშვნელობას, რამდენადაც ავტორები მათ მიერ აღჭურვილი გვიანდელი აშუბების თანდამხდურნი და თვითმზილველნი არიან; მაგრამ ვახუშტის „ისტორიის“ პირველ ნაწილს კი სწორედ წყაროს დარბეზულება აკლია, რადგან მეთოდოლოგიურად მეცვლევარისათვის უმჯობესია უშუალოდ მიმართოს მისი თხრობის მთავარ წყაროს, ვიდრე მის მიერ კომპინირებულ ტექსტს<sup>4</sup>. თუ არ ვცდებით, ვახუშტის „ისტორიის“ პირველი ნაწილი, როგორც წყარო, არავის დაუმოწმებია და გამოუყენებია.

<sup>1</sup> ეს ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც კი ვახუშტის ავტორადი უნახავს. მაკალითების მოყვანა შორს წავიყვანდა. სანიმუშოდ მოგვეცეს მხოლოდ ერთი მათგანი: „ნინოს ქორონიკონი ცხოვრებასა შინა სხვა სწერია; არამედ ამ ქორონიკონსა შინა არც კონსტანტინე იყო და არც სხვანი. ხოლო 14 წე-ი ქართლს ყოფა ნინოსი რომ სწერია, ეს 14 წელი მის მოსლვას რომ დაუდგათ, ეს ქორონიკონი იქნება“ (საქ. ისტორია, გვ. 73, შენ. I). სწორედ ამის გამო აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „თავის ისტორიის პირველ ნაწილში ვახუშტი უმთავრეს ყურადღებას ქრონოლოგიის გამორკვევას აქცევდა“ (ივ. ჯავახიშვილი, Op. cit., გვ. 291).

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. Op. cit., გვ. 224.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 248.

<sup>4</sup> თვითონ ვახუშტიც შენიშნავს: „არა თუ დატყვებულ იქნას მატთანე იგი („ქართლის ცხოვრება“, ვ. გ.), არამედ იგივე უმჯობეს სივრცეზე, და ამის განმარტებისათვის, ხოლო ესე სიმოკლისა და რომლისად აღწერეთ სახმარად მისდა“ (ვახუშტი, აღწერა, გვ., 4).





„ისტორიის“ მეორე და მთავარი ნაწილი კი ძირითადად დამოუკიდებელი და ორიგინალური ნაწარმოებია. ამ შემთხვევაში ავტორი „შებლუდული არ არის ქართლის ცხოვრების“ კონტექსტებით, ამიტომ იგი იძლევა მოვლენების დამოუკიდებელ ისტორიულ ახსნას. აქ უკვე ვახუშტი იყენებს არა მარტო მატიანეს, ქრონიკას ან „სწავლულ კაცთა“ ახალ ისტორიას. არამედ დოკუმენტებს. მან ხელახლად შეადგინა XIV—XVIII სს საქართველოს ისტორია.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით: „ვახუშტის შრომის მეორე ნაწილი არის ამასთანავე მისი თხზულების საუკეთესო ნაწილიც. იგიც იმავე მიზანს ემსახურებოდა, რა მიზნითაც ვახტანგ მეფემ „სწავლულნი კაცნი“ შეკრიბა, — საქართველოს ისტორიის გამორკვევა და აღწერა გიორგი ბრწყინვალის შემდგომ დროითგან მოყოლებული. მან კარგად იცოდა, რომ ამავე საგანზე უკვე არსებობდა განსაკუთრებული თხზულება, რომელიც დაწერილი იყო „სახელითა ლევანის ძისა ვახტანგისითა“, მაგრამ მეცნიერი ბატონიშვილი ნათლად ხედავდა მის მრავალგვარს ნაკულეფიანებას... ვახუშტის ამ ნაწარმოების „ვითარება“ კარგად ჰქონდა შესწავლილი, იცოდა მისი „უსწორებლობანი“ და ამის გამო ვადისწყევიტა, რომ უკეთესი იყო ამავე საგანზე ახალი შრომა დაწერილიყო, ვიდრე „სწავლულ კაცთა“ მრავალი შეცდომანი გასწორებულოცა“<sup>1</sup>. ვახუშტის განზრახული ჰქონდა აღედგინა XIV—XVIII სს საქართველოს ისტორიის უტყუარი სურათი, რისთვისაც მან მიმართა მრავალფეროვან ისტორიულ წყაროებს და, ამასთანავე, საამისოდ მოიმარჯვა ახალი საისტორიო მეთოდები.

ახლა გასარკვევია ერთი საკითხი: როგორია ვახუშტის „ისტორიის“ ფორმა? მატიანეა ის თუ ისტორია? ისტორიის ილსანიშნავად ვახუშტი ხმარობს მხოლოდ ორ ტერმინს: „ცხოვრებას“ და „მატიანეს“. მაგრამ აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „მატიანე“ ვახუშტის ისტორიის ზოგადი სახელის მნიშვნელობით აქვს ნახმარი<sup>2</sup>. მართლაც, თავისთავად საინტერესო და საყურადღებოა, რომ ვახუშტის ვრცელსა და დიდს ნაწარმოებში არსად არ იხსენიება სიტყვა „ისტორია“. უფრო მეტიც — მის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილ საისტორიო თხზულებაში „ისტორია“ ყველგან „მატიანით“ არის შეცვლილი. მაგ., სტრატეგმანის Theatrum historicum-ის რუსული თარგმანის სათაურია: „Феатрон или позор исторический“, ვახუშტი კი ქართულ თარგმანს ასე ასათაურებს: „თეატრო ანუ ასპარეზი მატიანული“. თვით ტექსტშიაც „ისტორიის“ მაგიერ უკლებლივ „მატიანეა“ ნახმარი. სანიმუშოდ მოგვიქვს მხოლოდ ერთი მაგალითი. გაბრიელ ბუჟინსკი, სტრატეგმანის თხზულების რუსულად მთარგმნელი, თავის წინასიტყვაობაში წერს: „Позор сей исторический... не что иное есть, токмо наставление во истории юным, прочетшим же истории, всегдашнее прочтенных оглавление...“<sup>3</sup>. ვახუშტი ამას ასე თარგმნის: „რომელ ასპარეზი ესე მატიანული... არა რაი სხვა არს, გარნა განწვრთნილ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძვ. ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 291.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც., 1, გვ. XV.

<sup>3</sup> Стратегман. Феатрон или позор исторический, стр. 2, ციტირებულია 1724 წ. გამოცემის მიხედვით.

მა მატიანება შინა კაბუტთა, ხოლო წარმეითხველთა მატიანე სამარადისოთ საკითხველთა თოვანებანი(sic)<sup>1</sup>. ამავე თხზულების უცხო სიტყვათა ლექსიკონში („ლექსიკონი რომელნი წიგნსა ამას შინა უცხო სახელნი არიან“) აღნიშნული „ისტორიოგრაფია“ განპარტებულია რაფორც „მატიანის მხაჯველი, ან მწერალი“.

რატომ გაუზრბის ვახუშტი „ისტორიის“ ხმარებას, როცა ეს სიტყვა ჯერ კიდევ XII ს-ის ქართული საისტორიო მწერლობის მიერ იყო შეთვისებული? განა არ იცოდა ვახუშტიმ, რომ მატიანე გარკვეული თვისებისა და შინაარსის საისტორიო თხზულების აღმნიშვნელი სახელი იყო? მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი: ვახუშტისათვის მატიანე ისტორიის აღმნიშვნელი წიგნადი სახელია.

XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსის შრომა „ისტორია“ და არა „მატიანე“. ამის მოწმობაა ამ საისტორიო შრომის მთელი კომპოზიცია. მართოს რად ღირს, რომ მისი „შესავლის“ ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა „ართული საისტორიო შრომის ნაყოფია, ქართული საისტორიო და სხვაგვარ წყაროების შესწავლასა, დაკვირვებასა და კვლევაზეა დამყარებული“<sup>2</sup>.

რამდენადმე მატიანისებურია ვახუშტის თხრობის წესი, რადგან კონკრეტული ისტორია დალაგებულია მეფეთა ან მთავართა ზეობის წლები მიხედვით, მაგრამ XIV—XVIII სს ისტორიის თხრობაში ის დებს ისეთ შინაარსს, რაც უკვე მოვლენების ისტორიულ ახზნას გულისხმობს და არა მარტო მასალის უბრალო ნაწილებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. აკად. ივ. ჯავახიშვილმა შესანიშნავად შენიშნა, რომ ვახუშტიმ „თითონ შეადგინა საქართველოს ისტორია გიორგი ბრწყინვალეთგან მოყოლებული თავის დრომდე, რომელშიაც მატიანისებურა ელფერი და თვით წყაროების ცხადი კვალი თითქმის სრულებით წარხაჯილია და ისტორიის სახით არის შედგენილი“<sup>3</sup>. ვახუშტი ბაგრატიონმა შესწლო აღებული თემის ისტორიულად დამუშავება.

ამრიგად, თუ „ისტორიის“ პირველი ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ მოკლე რედაქციაა, მეორე ნაწილი დამოუკიდებელი შედგენილი ისტორიაა.

ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა თვითონ კონკრეტული ისტორიის შინაარსობრივი თვისებების გარკვევა. ეს შესაძლებლობას მოგვცემდა გავერკვია, თუ რა არის ვახუშტის ნაწარმოების კომპოზიციურ მთლიანობაში ახალი და რა არის ძველთან დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, ვახუშტის ისტორიის თხრობა, დაწყებული უძველესი დროიდან, გრძელდება მის დრომდე. ის ამოკლებს ძველი ხანის ისტორიას, ავრცელებს ქრონოლოგიური ხასიათის ცნობებს, პირველად აღგენს ისტორიულ გეოგრაფიას და ახლად წერს XVII—XVIII სს ისტორიას.

„ისტორიის“ კომპოზიციასთან დაკავშირებით საყურადღებოა თვითონ ავტორის აზრი საისტორიო შრომის შემადგენელ ნაწილებზე. ვახუშტი: „მატიანე განიყოფების ოთხ წილად: ადგილის აღწერად, ნათესავთავე ებად,

<sup>1</sup> საქ. სახ. მუხეუმის ხელნ. S/420

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართული საისტორიო მწერლობა, 1916 წ. გვ. 303.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 311. ხაზი ყველგან ჩენია.



წლისმრიცხველობად და მოქმედების აღწერად<sup>1</sup>; ე. ი. სრული და უნაკლო საისტორიო თხზულება შეიცავს ან უნდა შეიცავდეს: გეოგრაფიას, გენეალოგიას, ქრონოლოგიას და საკუთრივ კონკრეტულ ისტორიას („მოქმედების აღწერას“). ამის მიხედვითაა შედგენილი მთელი შრომა, რითაც ეს უკანასკნელი გარკვეულ ადგილს იჭერს XVII—XVIII სს ზოგად ისტორიოგრაფიაში<sup>2</sup>.

თავის მხრით „მოქმედების აღწერა განიყოფება ორად: საეკლესიოდ და სამოქალაქოდ. საეკლესიო არს წმიდათა ცხოვრება და ქმნულება მათნი, ხოლო სამოქალაქო—ქმნულება სოფელსა შინანი დიდთა და მცირეთა“<sup>3</sup>. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „რამდენადაც შენახულ თხზულებებშითვან ჩანს, ქართულს საისტორიო მწერლობაში ვახუშტამდე არავის ჩამოუგდია „მატიანეთა“ შემადგენელ ნაწილებზე საუბარი და ამგვარი დანაწილებაც პირველი მაგალითია“<sup>4</sup>. ახლა უკვე ძნელი არაა იმის მიგნება, თუ საიდან მოაქვს ვახუშტის წარმოდგენა საისტორიო თხზულების შემადგენელ ნაწილებზე—XVII—XVIII სს ევროპულ ისტორიოგრაფიიდან.

საკუთრივ ისტორიის ორ მთავარ დარგად—საეკლესიოდ და სამოქალაქოდ დაყოფის იდეა ვახუშტის უნდა აეღო საისტორიო-საეკლესიო მწერლობიდან, რადგან მისი ისტორიის ზოგიერთი თავისებურება ამავე მწერლობას უკავშირდება. მართალია, მას არ შემოაქვს თავის შრომაში საეკლესიო

<sup>1</sup> როგორც თავის ადგილას ვუჩვენეთ, ასეთივე შეხედულებისაა საისტორიო თხზულების შემადგენელ ნაწილებზე ტატიშჩევიც. ტატიშჩევამდე ვგვევ ახრი გაქოქება გაბრიელ ბუჩინსკიმ სტრატემანის თხზულების თარგმანისათვის დართულ მიძღვანაწინასიტყვაობაში (II. Печарский, Наука и литература в России при Петре Великом, т. II, стр. 614). რაკი ეს წინასიტყვაობა ვახუშტიმ ქართულად თარგმნა, სტრატემანის თხზულებასთან ერთად შეიძლება გვეყარაფუდა, რომ ქართველი ისტორიკოსი ამ მხრით რუს მთარგმნელზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. მაგრამ შეხედულება ისტორიის ოთხი შემადგენელი ნაწილის შესახებ იმდენად გავრცელებული იყო იმდროინდელ ისტორიულ ლიტერატურაში, რომ ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა ვახუშტის სხვა წყაროებიდანაც. თვითონ გაბრიელ ბუჩინსკი ამავე ლიტერატურაზე იყო დამოკიდებული. პეტარსკი შენიშნავდა, რომ ბუჩინსკი „В русском переводе исторических „добротохому истории любили“ Знакомит с тогдашними понятиями об истории и вообще об иностранных произведениях“ (იქვე, გვ. 614). მეორე: თვითონ ვახუშტი აღწერს: „ჩვენ ქართველთა მათიანე შემოიპყრობს საშა მას წილსა მათიანისაჲს, არამედ წლისმრიცხველობასა და მათესაჲს-მეტყველებასა მცირეთ, ხოლო მოქმედების აღწერას განაგრძელებს“ (იხ. საქ. აღწერა თ. დომინურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 4). მაშასადამე, თუ ქრონოლოგია-გენეალოგია მცირედ იყო დაბუთებული, სამაგიეროდ მას აკლდა მხოლოდ „ადვილის აღწერა“, ანუ გეოგრაფია. ეს ნაწილი ვახუშტიმ შეაგოს და თავისი შრომა ახლებურად გამართა. მესამე: ვახუშტის ახასიათებს ქრონოლოგიური და გენეალოგიური ძიების რთული მენიარული მეთოდები. ბუჩინსკის წინასიტყვაობაშიც ნათლად ქრონოლოგია-გენეალოგიის ზოგად პრინციპებსა საუბარი. მეოთხე: პირდაპირ წარმოდგენილია, რომ ვახუშტის ეს ამავე რუსეთში გაგვი და შემადგ ისტორია შედგინა, ამ შეხედულების ცოდნას გულისხმობს არა მარტო „ისტორიის“ შინაარსი, არამედ მასალებიც, რომელსაც ეყარება თვითონ ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა. ყოველ ექვს გარეშეა, რომ მაგ., ისტორიული გეოგრაფიისათვის მასალების შეგროვება და პირადი დაკვირვებების წარმოება ვახუშტის საქართველოში ყოფნის დროს უნდა მომხდარიყო. მაგრამ „ქვეყნის აღწერისა და საამისო რუკების დაზადების გეგმა მას უნდა ახრად მოსვლოდა ისტორიაზე სამეცნიერო მუშაობის პროცესში“ (იქვე, გვ. XIX). ამიტომ საფარულდებელია ეს შეხედულება. მას საქართველოშიკათოლიკე მისიონერთა სკოლაში შეეთვისებინა.

<sup>2</sup> ვახუშტი. აღწერა..., Op. cit., გვ. 3.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი ი. ძვ. ქართ. საისტორიო მწერლობა, 1916 წ. გვ. 284.

ისტორია, მაგრამ, სამაგიეროდ, „მოქმედების აღწერა იწყება «ლეთაებრივი ისტორიის» ანუ, ვახუშტის ტერმინოლოგიით, „მატიანე ბუნებისანის“ მოკლე მოთხრობით. ისტორიის ამგვარად დაწყება ვახუშტის დამატებაა, რადგან „ქართლის ცხოვრების“ თხრობა იწყება „ნოდან ვიდრე ბრწყინვალეს მეფის გიორგისამდე“<sup>1</sup>. ეს ახალი ვახუშტისეული დამატება აღებულია იმავე საისტორიო საეკლესიო მწერლობიდან. შესაძარებლად მოგვაქვს ბოსუეს და ვახუშტის კონკრეტულ ისტორიათა პირველი სტრიქონები:

ბოსუე:

ვახუშტი:

Premier âge du monde

La première époque vous présente d'abord un grand spectacle: Dieu qui crée le ciel et la terre par sa parole, et qui fait l'homme à son image...<sup>2</sup>

ღმერთმან სიბრძნითა თვისთა მოწყალეობისათა, გამოუთქმელითა და მიუწოდომელითა, დაბადა კაცი...<sup>3</sup>

„ლეთაებრივ ისტორიას“ მისდევს ის, რითაც იწყება „ქართლის ცხოვრება“. ფაქტიურად სწორედ ეს არის სამოქალაქო ისტორიის დასაწყისი. მაგრამ აქ უკვე ვახუშტის თხრობა უკავშირდება შუასაუკუნებრივი „ქრონიკის“ ჩვეულებრივ მოთხრობას, როცა ქართველ ტომთა ეთნარქებთან დაკავშირებულ ლეგენდას გადმოგვცემს.

XVIII ს-ის ისტორიკოსზე ძლიერ გავლენას ახდენდა ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ტრადიციები. აქედან მოდის მისი „ისტორიის“ მრავალი ღირსება და ნაკლიც. იმავე დროს ის თავისუფალი არ იყო ახალი ისტორიოგრაფიისათვის (რომელსაც თავის მხრით, ჯერ კიდევ ეტყობა ფეოდალური ისტორიოგრაფიის ერთგვარი გავლენა) დამახასიათებელი ნაკლულეიანებისაგან.

ვახუშტის ისევე სწამდა ქართლოსის არსებობა, როგორც XVII—XVIII სს ფრანგ ჰემანისტ ისტორიკოსებს მეფე ფარამონდის არსებობა (შოლოდ მეზერემ დააყენა ემპეიემ ეს ისტორიული ლეგენდა). პოლონელი ისტორიკოსების მიხედვით იაფეტის ჩამომავლები იყვნენ: ჩეხი, ლეხი და რუსი. ი ნ ო კ ე ნ ტ გ ი ზ ე ლ ი როშს უკავშირებდა ბიბლიურ მოსოხს, რომელსაც იგი მოსკოვის დამაარსებლად და რუსი ხალხის ეთნარქად სთვლიდა<sup>4</sup>. მართალია, ტატიშჩევმა ექვის თვალთ შეხედა ამ ლეგენდას და უარყო კიდევ, მაგრამ ლომონოსოვი ხელახლად დაუბრუნდა მას და თავის ძველი „რუსეთის ისტორიაში“ მოსკოვი მოსოხიდან გამოჰყავდა, ხოლო ტობოლსკი თუბალებიდან.

ამრიგად, როგორც დაინახეთ, ვახუშტის ისტორია შინაარსობრივი თვისების მიხედვით თანაბარი ღარებულების არაა. მისი საისტორიო შრომის გარ-

<sup>1</sup> ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 4.

<sup>2</sup> Bossuet. Discours sur l'histoire universelle, Paris, 1855, p. 6.

<sup>3</sup> ვახუშტი. საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 1.

<sup>4</sup> П. Миллюков. Главные течения русской исторической мысли, т. 1, 1898, стр. 11.



კვეთილი ნაწილი შედგება ძველი და ახალი მწერლობის ნარევი ელემენტებისაგან. განსაკუთრებით ითქმის ეს შრომის პირველ ნაწილზე, რომელსაც მატია-ნისებური ელფერი აკრავს და „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებულ და თავისებურ რეპროდუქციას წარმოადგენს.

მეორე ნაწილი კი, პირიქით, ისტორიის სახით არის შედგენილი. მისი შინაარსი ემყარება მრავალგვარ კრიტიკულად შემოწმებულ წყაროებს და საყურადღებოა ისტორიული ფაქტების კანონზომიერი დალაგება-განზოგადებით, თუმცა უნდა ითქვას, რომ აქაც ახალთან ერთად ზოგი რამ ძველიდანაც არის შემონახული (მაგ., მესხური მატიანეს ჩართვა თხრობაში, ისტორიის თხრობა მეფეთა ზეობის წლების მიხედვით, სამცხე-საათაბაგოს ისტორიის შესავალი „ბაგრატიონთა წარმოჩენისათვის“ რომლითაც გურამ ბაგრატიონი დავით წინასწარმეტყველთან არის დაკავშირებული, უპირატესად ქორონიკონების ხმარება ქრისტესით წელთ-აღრიცხვის მაგიერ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მის წინამორბედს უკვე შენობებული აქვს ახალი აღრიცხვა და სხვ. წვრილმანი). მაგრამ ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვახუშტი მაინც თავისი დროის ისტორიკოსი იყო.

ვახუშტის საისტორიო შრომის სტილისტიკური უნდა ენობრივი გარჩევა ჩვენს საგანს არ შეადგენს, მაგრამ უნდა აღინიშნოს მისი თხრობის სადა, უბრალო და საქმიანი კილო, რითაც იგი განსხვავდება არა მარტო XI—XII სს ქართველ ისტორიკოსთა საისტორიო მჭევრმეტყველებსაგან, არამედ ზოგ უფროს და უმცროს თანამედროვე უცხო ისტორიკოსთათვის დამახასიათებელი რიტორიკული თხრობისაგანაც (მაგ. შეზერე, მურატორი, ლომონოსოვი).

სტილისტიკურად ვახუშტის თხრობა მჭიდროდ უკავშირდება გვიან-ფეოდალურ საისტორიო მწერლობას.

როგორც ამდროინდელი ქართული საისტორიო მწერლობის, ისე ვახუშტის სამოთხრობო ენის ღირებულება ვასაგები გახდება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ, რომ პირველად XVII—XVIII სს მეცნიერულმა ანალიტიკამ აუბვია გვერდი ჰუმანისტურ ისტორიკოსთა ანტიკურ-რატორიკულ თხრობას და ისტორია სადა მოთხრობის რეალურ ჩარჩოში მოათავსა.

მართალია, ვახუშტის „ისტორიის“ ზოგიერთი შინაგანი ელემენტი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ძველს უახლოვდება, მაგრამ გარეგნულად თვითონ შრომა ახლებურად და მეცნიერულად არის გაფორმებული. თავისი ძირითადი შემადგენელი ნაწილებით (წინასიტყვაობა, შესავალი, კონკრეტული ისტორია, ისტორიული გეოგრაფია, საძიებლები, რუკები) ის თანამედროვე საისტორიო შრომის გვერდით დგება. მისი „ისტორიის“ ბრწყინვალე შესავალი, მისივე შესანიშნავი ისტორიული გეოგრაფია, ნაწილობრივ XIV—XVIII სს ისტორია—მეცნიერულად საესებით გამართული დამოუკიდებელი და ორიგინალური ნაწილებია, რომლითაც იგი ერთბაშად აღმოჩნდა XVIII ს-ის ევროპული ისტორიოგრაფიის სიმაღლეზე.

### გ. ვახუშტის ისტორიული აზროვნება

ვახუშტის ისტორიული აზროვნება, მისი დამოკიდებულება კონკრეტული ისტორიული მოვლენისადმი მკაფიოდაა გამოხატული მისივე შრომის წინასიტყვა-

ობაში, სადაც ისტორიის მიზნის, მეთოდებისა და მნიშვნელობის შესახებაა საუბარი და განსაკუთრებით „შესავალში“, სადაც პირველად არის დაყენებული საქართველოს ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

ვახუშტი დიდაქტიკურ-უტილიტარული თვალსაზრისით უდგებოდა ისტორიის საგანს. ისტორიის მიზანი და დანიშნულება მას ასე აქვს განმარტებული: „მატიანე მოგვახსენებს დასაბამით, კანსა ჟამსა, წელსა და საუკუნოსა; მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა, მატიანე აღამალლებს კეთილის ქმნულებასა და გმობს უკეთურთ ქმნულებასა, მატიანე მეტყველებს ქეშმარიტსა და არა სცბის და მოწმობს სხვათა და სხვათა; მატიანე განამწნობს კაცსა და ერ-გულ ჰყოფს ქვეყნისად; მატიანე აცნობებს ნათესავთ-ჩამომავლობასა, და დასდებს თავსა სარწმუნოებისათჳს, და მოყვარულ ჰყოფს მოყვასსა მოყუსისა მიმართ“<sup>1</sup>. ასეთი დიდაქტიკურ-უტილიტარული შეხედულება ისტორიის საგანზე შეიძლება გამოეთქვა მწერალს მხოლოდ ისტორიული მეცნიერების განთიადზე; ამავდროულად საგნის გამო ასეთსავე შეხედულებას საკმაოდ მრავლად ვხვდებით XVII—XVIII სს ისტორიკოსთა თხზულებების წინასიტყვაობაში. ვახუშტი ამ მხრითაც ხარკს უხდიდა თავის დროს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან მისი ისტორიული აზროვნება იმდენად მწიგნობრულ განათლებაზე არ იყო დამოკიდებული, რამდენადაც მისი დროის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე.

ვახუშტის „ისტორია“ გარკვეული პოლიტიკური მიზნითაც არის დაწერილი. ამით მან ისტორია პოლიტიკის წიგნად აქცია. XVIII ს-ის სახელმწიფო მოღვაწე და გამოჩენილი ისტორიკოსი, უეპელია, ეკუთვნოდა ქართველი საზოგადოების იმ დასს, რომლის სამოქმედო პროგრამას შეადგენდა: „თავადების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლისათვის ხელის შეწყობა“<sup>2</sup>. ვახუშტის ისტორიის თხრობიდან მკაფიოდ ჩანს, თუ ვის მხარეზეა მისი სიმპათიები, როცა ის ახასიათებს ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნებას (მაგ., გიორგი სააკაძე, როსტომ მეფე). ზოგადი ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ვახუშტი იძლევა ისტორიული პიროვნების ოსტატურ და მკვეთრ დახასიათებას, თუმცა ამ მხრით მას ჰყავდა ისეთი დიდი წინამორბედი, როგორც იყო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და ისეთი ნიჭიერი თანამედროვე, როგორც „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადაამკეთებელი.

თავადური პოლიტიკის მოწინააღმდეგე ისტორიკოსი აწიშვლებდა თავგასული ქართველი ფეოდალების საეკო საქციელს, ზოგჯერ კი აშკარა მოლატეობას. ვახუშტი აშკარად ლაპარაკობდა ისეთ ფაქტებზე, რომელთაც სხვა დემოლით აუვლიდა გვერდს. ამიტომაც დაიმსახურა მან ზოგი თავადის და, მათ შორის, ზოგიერთი ისტორიკოსის გულისწყრომა. ეს გარემოება ემიგრაციის წლებში გულისტკივილით აღნიშნა თვითონ ვახუშტიმ. სტრატემანის

<sup>1</sup> ვახუშტი. აღწერა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 24.

<sup>2</sup> ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, აკად. ნ. ბერძენიშვილის წინასიტყვაობა, გვ. XII.



თხზულების თარგმანის პატარა წინასიტყვაობაში ის ამბობს: „დაეშვრ და ვიყავ წერასა შინა ამისსა მრავალ ტანჯულ თვისთაგან... ვითარცა განმავდეს და მომძულეს ცუდად, მშრომელი მეფის შვილი ვახუშტი...“<sup>1</sup>.

ფეოდალური დაქსაქსულობის პირობებში მცხოვრები ისტორიკოსისათვის ერთმეფობა ეროვნული და პოლიტიკური ერთობის გამომხატველი იყო. ვახუშტის მტკიცებით, „ერთმეფობა“ ქართველი ხალხის ძველის-ძველი ჩვეულებაა, „წესი დახაწყისითგანავე“, ბუნებრივი და თავდაპირველი, რომლიდანაც გადახვევა და „განყოფილება“ მუდამ „შინაური შფოთით“ და „გარეშე მტერთა“ ჩარევით იყო გამოწვეული: „ხოლო წესნი ესენი და ჩვეულებანი აქუნდათ, რომელნი ეთქვიეთ, — ამბობს ისტორიკოსი, — და განუხეთქელობისათვის სამეფოსა მცდელობდნენ და უკეთუ მათუღიან ხაზღვარნი თხანი, ყოველნი მწუხარებდენ და იჭირვოდნენ კვალადგებასვე, და შეფეთა თხათა მიუღრეკლად ერთგულდნენ. განა თუ სძლიან ვინმე მძალერთაგანმან, არა დაემორჩილიან, არამედ კვალად იპყრიან თხანივე წესნი, და არა დაუტყვიან ღმერთნი, და მეფე, და ჩვეულებანი“<sup>2</sup>. მოტიანილ კონტექსტში ხაზგამათა ნათქვამი, რომ სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნება, ქვეყნის დაცვა, მეფის ერთგულება, დაკარგული დამოუკიდებლობისა და „ქართველობის“ („თხანივე წესნი“) აღდგენა ქართველი აღზის თვისებას (ვახუშტით „ჩვეულებას“) შეადგენდა.

ვახუშტის აზრით, უძველესი დროიდან მოყოლებული განხეთქილებამდე საქართველო გაერთიანებული იყო და ერთიან სახელმწიფოში ერთმეფობა იყო გაბატონებული. ამ პრინციპს ემყარება ვახუშტისეული პერიოდიზაცია, რომლის მიხედვით საქართველოს მთელი ისტორიული წარსული სამ უმთავრეს ხანად არის დაყოფილი: 1) „პირველ განხეთქილებიას“, 2) „შემდგომად განყოფილებიას და განხეთქილებიას სამეფოთასა“ და 3) „აწინდელი“<sup>3</sup>.

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პირველი ცდა ვახუშტის ერთგვის, ამ მხრითაც იგი ემზრობა ახალ ისტორიოგრაფიას, რადგან ისტორიული ცხოვრების უმთავრეს ხანებად დაყოფა ისტორიული განვითარების შინაგანი ნიშნების მიხედვით ახალმა ისტორიოგრაფიამ შეიმუშავა.

ვახუშტისათვის ისტორია პატრიოტული მოთხრობაა: „მატიანე განამკნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქვეყნისად“<sup>4</sup>. მისი ისტორია გამსჭვალულია პატრიოტულ-პოლიტიკური მოტივებით ისევე, როგორც მოწინავე ქართველი ისტორიკოსების: ირჩილის, პაპუნა ორბელიანის, „ქართლის ცხოვრების“ ვადამკეთებლის და სხვ. ნაწარმოებები. ყოველივე ეს ვახუშტის „ისტორიას“ ანიჭებდა „ერთგული ხატობის“ თვისებებსა და მნიშვნელობას.

ვახუშტიმ მცენიერულად განაზოგადა საქართველოს ისტორიული წარსული. მისი ისტორიის შესავალში „ისტორიულად დასურათებულია საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება, ქართველთა სარწმუნოება,

<sup>1</sup> საქ. საზ. მუზეუმის ზედნ. S/420.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 17—18.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. Op. cit., გვ. 300.

<sup>4</sup> ვახუშტი, აღწერა... გვ. 3.

ქართული სამართალი, ზნე-ჩვეულებანი და შინაური ყოფა-ცხოვრება. ეს არის ქართველთა მრავალსაუკუნოვანი წარსულის საზოგადო ფილოსოფიურ-ისტორიული მიმოხილვა, რომლის მსგავსი ქართულს მწერლობაში არც წინათ დაწერილა და არც შემდეგში<sup>1</sup>. — შენიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი. სახელმწიფო და სოციალური ინსტიტუტები ისტორიკოსთა ინტენსიური შესწავლის საგანი გახდა მხოლოდ XVII—XVIII სს მიჯნაზე, ხოლო კულტურის ისტორიასა და ეთნოგრაფიას მხოლოდ XVIII ს-ის „ვანანათლებელთა“ ისტორიოგრაფიამ მიექცია განსაკუთრებული ყურადღება. სწორედ ამიტომ ვახუშტი, როგორც ისტორიკოსი, მალა დგას XVII—XVIII სს ისეთ ევროპულ ისტორიკოსებზე, როგორც იყვნენ ჟან მაბილონი, ლაიბნიცი და შერატორი.

ვახუშტი XVII—XVIII სს ერთი იმ იშვიათ ისტორიკოსთაგანია, რომელთაც დაკვირვებისა და შესწავლის საგნად აქცევს ფეოდალური ურთიერთობა და ინსტიტუტები.

ვახუშტის მოწინავე ისტორიული აზროვნების მკაფიო გამოხატულებაა ის გარემოება, რომ ისტორიის „შესავალში“ დასმული საკითხები განხილულია დროსა და განვითარებაში. ვახუშტის წარმოდგენით: „ქართველთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება, ზნეჩვეულებანიც და შინაური ყოფა-ცხოვრებაც საუკუნეთა განმავლობაში თანდათან იცვლებოდა, ზოგჯერ მცირედენად, ზოგჯერ კიდევ არსებითადაც“<sup>2</sup>. ამრიგად, მასმასაძამე, ვახუშტისათვის უცხო არ იყო ისტორიული განვითარების იდეა.

XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსი მიწვეზობრიობის პრინციპსაც იყენებდა ამა თუ იმ რთული ისტორიული მოვლენის ასახსნელად. საქართველოს ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ვითარების ცვალებადობათა მიზეზები გარკვეულია როგორც საქართველოს შინაგანი განვითარებისა და ბირობების, ისე უცხო, გარეშე ძალების გავლენის გათვალისწინებით. ასეა, მაგალითად, ვახუშტის მიერ ახსნილი ერთიანი საქართველოს დანაწილების მიზეზები, როცა ამბობს: „შურითა ურთიერთთა (ე. ი. ფეოდალურ წინააღმდეგობათა. ვ. ვ.) და გარეშეთა მტერთაგან იქმნა განყოფილება“<sup>3</sup>. ასევეა ახსნილი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ხანის სახელმწიფო წყობილების, რელიგიის, კულტურისა და სხვ. „წესნი დასაწყისისთაგანვე“ (თავდაპირველ—ადრინდელი), „შეძინებული“ (დროთა განმავლობაში შემუშავებულ-შეთვისებული) და „შერეული წესნი“ (ქართულ-უცხოური) ურთიერთ გავლენის მაგალიტებზე<sup>4</sup>.

ვახუშტის ისტორიული აზროვნების, დაკვირვების უნარის და რთული თეორიული მსჯელობის გასათვალისწინებლად განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ იგი ქართული წარმართობის გადმონათობთა ელემენტებს ნახულობდა ქართული ქრისტიანობის წეს-ჩვეულებებში. წარმართულ „ეკრპთ დღესასწაულთათჳს“ განკუთვნილ ნაკვეთში ნათქვამია: „თაყვანისცემდნენ არმაზს, შემდგომად ზადენს და შერმე სხვათა ღმერთთა. არამედ უმეტეს დიდი იყო დღესასწაული არმაზისა და შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიშნი და განცხო-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. *Op. cit.*, გვ. 300.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. *Op. cit.*, გვ. 300.

<sup>3</sup> საქართველოს ცხოვრება, ტ. 3. გამოს. გვ. 4; ივ. ჯავახიშვილი, *Op. cit.*, გვ. 296.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, გვ. 300—301.



მანი დიდითა ჭამითა და ღვინის სმითა, როკვითა ფერჯისათა, პურობითა, სახიობითა და ძნობითა სამ დღე და მოიქცინან თუსთუსად სახიდ...—ნაკვეთი სრულდება ტექსტში ჩართული, მაგრამ ფრჩხილებში მოთავსებული კომენტარით—[„ხოლო ეამსა ქრისტიანობისასა ნაკერპავთა მათ შათა მალალთა და ბორცვთა ზედა ესევეთარივე—იყო განცხრომა-როკვანი; ამისთუს აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარობდიან მუნ, ვითარცა აწ, ფერჯისა სიმღერითა გაათენიან“<sup>1</sup>].

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ქართული ეკლესიის ორგანიზაცია განხილულია ქართულ ფეოდალურ ინსტიტუტებთან დაკავშირებით. ვახუშტი აღნიშნავს: „ხოლო ვახტანგ გორგასალ დასვა კათალიკოზი და ეპისკოპოზი ყოველსა საქართველოსა შინა. ამათ მიეცა პატივი—კათალიკოზსა მეფისა თანა და ეპისკოპოზსა ერისთავისა თანა, ხოლო მღვდელთა—აზნაურთა თანა“<sup>2</sup>.

ამრიგად, ამჟამად, რომ ვახუშტისათვის უცხო იყო „პროვიდენციალიზმი“. მან პირველად უარყო ქართულ საისტორიო მწერლობაში გაბატონებული „ღვთის მნებელობისა და მიშვებულობის“ თეორია. მისთვის ისტორიული განვითარება ღვთის ნების გარეშე იდგა. ამითაც ვახუშტი დადებითად განსხვავდება XVII—XVIII სს საისტორიო-საეკლესიო და ერუდიტულ-ისტორიული სკოლის ისტორიკოსებისაგან. მაგრამ, ცხადია, ისიც ისეთივე მორწმუნე ქრისტიანი იყო, როგორც მისი დროის ყველა ქართველი. თავის „ისტორიაში“ ვახუშტი მრავალგან სასოებით ლაპარაკობს ღვთაებაზე. მაგრამ მისთვის „ღმერთი მაინც ისტორიის გარეშე დგას, გარდა ერთადერთი შემთხვევისა, როცა მას ღმერთი გამოჰყავს დასაბამისა და ისტორიის დასაწყისის „ბიძგის“ მიმცემის როლში. მისი ისტორია ამგვარად იწყება: „ღმერთმან სიბრძნითა თვისისა მოწყალებისათა, გამოუთქმელითა და მიუწოდმელითა, დაბადა კაცი“...<sup>3</sup> და სხვ. ღმერთი ისტორიის ბიძგის მიმცემის როლში წარმოდგენილი ჰყავს ჩაგრეთვე ვიკოს თავის „ახალ მეცნიერებაში“. ვიკოს კი ისტორიის პროგრესული განვითარების თეორიის ავტორია<sup>4</sup>.

მართალია, ვახუშტი განზე სტოვებს „პროვიდენციალიზმს“, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი დამოკიდებულება სასწაულებისადმი არარაციონალური იყო. ესაა მისი საქმაოდ გამართული და მოწინავე ისტორიული აზროვნების ერთი მთავარი ნაკლავანი. ეტყობა, მას ისევე სწამდა სასწაულები, როგორც ჟან მაბილონს, დიდილომატიკის ფუძემდებელს. სანიმუშოდ მოგვაქვს მაგალითი, რომელიც რამდენადმე ვახუშტის დროსთან არის დაკავშირებული. შიო მღვიმის მონასტრის გამო ვახუშტის ნათქვამი აქვს: „არს მღვიმესა შინა საფლავი წმიდის შიოსი სასწაულთმოქმედი, რომლის გარემოს მისა ვერა იკადრებს მტეცი შექმად პირუტყვთა მონასტრისასა“<sup>5</sup>. ტექსტის კიდევ გადატანილ შე-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 10—11; ვახუშტი, აღწერა... გვ. 18—19; ივ. ჯავახიშვილი. *Op. cit.*, გვ. 303.

<sup>2</sup> ვახუშტი. აღწერა..., გვ. 19. საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 11.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 1.

<sup>4</sup> Р. Виллер. *Общественные учения и исторические теории XVIII—XIX вв.*, 1908, стр. 9.

<sup>5</sup> ვახუშტი. აღწერა..., გვ. 62.

ნიშენაში კი ნათქვამია: „წმიდის შიოს ნაწილი აღმოვიდოდა წლითი-წლად, ძვალი შიშველი, თვნიერ ხორცთა, და თაყვანისცემდენ და მიიღებდენ კურნებასა. შანადირ მოავლინნა მოჰმადიანნი, რათა იხილონ, უკჷსთუ კეშმარტ არს, ხოლო მათ შემუსრეს სამყოფი ნაწილთა და დაამტკრივეს. შემდგომად შეკრიბეს და დაასვენეს მუნვე. მიერით არღარა აღმოკვალს ამ ქამაჰდე“<sup>1</sup>. მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

ჩვენ მიერ თავთავის ადგილას ნაჩვენები იყო ვახუშტის ისტორიული შემოქმედებისა და აზროვნების მრავალი ღირსება და ნაკლიც. შეინიშნული ნაკლოვანების მთავარი წყარო ის არის, რომ ვახუშტი ბოლომდე თავისუფალი არ იყო შუასაუკუნოებრივი ფეოდალური ისტორიოგრაფიის გავლენისაგან. ამ გავლენის გამოხატველი მთავარი ნიშნებია: 1) უცხო ავტორის მთლიანად შეტანა საკუთარს ისტორიაში, 2) ისტორიის თხრობის ბიბლიური პერსონაჟებით დაწყება და ქართველ ტომთა ეთნარქის საკითხის შუასაუკუნოებრივი პრინციპით გადაწყვეტა, 3) სასწაულებისადმი არა რაციონალური დამოკიდებულება. მაგრამ ყველა ეს ნაკლი, მეტნაკლებად, დამახასიათებელი იყო XVII—XVIII სს ვეროპული ისტორიოგრაფიისათვისაც.

## 6. ვახუშტი XVII—XVIII სს ვეროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე

### (ზოგადი დასკვნები)

ვახუშტი ბაგრატიონი ვეროპულად განათლებული მკვლევარი-ისტორიკოსი იყო. მისი ისტორიაც ვეროპულადაა გამართული. ვახუშტის ისტორიული და გეოგრაფიული ჰორიზონტი შეუდარებლად ფართო იყო, ვიდრე წინამორბედი და მომდევნო ხანის ქართველი ისტორიკოსებისა.

ვახუშტი კარგად იცნობდა ვეროპულ ისტორიულ და გეოგრაფიულ მწერლობას.

თავის მხრით ვახუშტის კარგად იცნობდნენ ევროპელი თუ რუსი კარტოგრაფები, რომლებიც დიდად სარგებლობდნენ ვახუშტისეული რუკებით XVIII ს-ის მთელ სიგრძეზე<sup>2</sup>. მისი ისტორია კი შედარებით გვიან გახდა ხელმისაწვდომი (ბროსეს ფრანგული თარგმანის საშუალებით) ევროპელი ისტორიკოსების, იურისტებისა და ორიენტალისტებისათვის.

ვახუშტი თავისი ისტორიული შემოქმედებით მეტნაკლებად უკავშირდება XVII—XVIII სს ვეროპული ისტორიოგრაფიის სამსავე სკოლას: ჰუმანიტურს, საისტორიო-საეკლესიო და ერუდიტულ-ისტორიულს. ისტორიული ფაქტების დალაგებით, მათი განხილვების უნარით და ფართო ისტორიული თემატიკით კი ვახუშტი ახლო დგას XVIII ს-ის „განმანათლებელ“ ისტორიკოსთა უშუალო წინამორბედებთან.

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 62.

<sup>2</sup> ვახუშტი, საქართველოს აღწერა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. XVIII.

ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის დამახასიათებელი თვისებები და მთავარი მიღწევები ვახუშტისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ძველი ქართული საისტორიო მწერლობიდანაც. გარდა ამისა, ამ ისტორიულ სკოლას იგი უნდა გასცნობოდა როგორც მწიგნობრული გზით, ისე საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერების დახმარებით. მაგრამ ვახუშტისათვის ეს სკოლა ისტორიოგრაფიის განვლილ საფეხურს წარმოადგენდა. მისთვის უცხო იყო ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი რიტორიკული თხრობის წესი. ამასთან მისი საისტორიო შრომა შეიცავს არა მარტო საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობისა და ომების ისტორიას, არამედ იმ დროის კვალობაზე საქმაოდ გამართულ „შინაგან“ ისტორიასაც. ქართველი ისტორიკოსისათვის უფრო საყურადღებო უნდა ყოფილიყო ამავე ისტორიოგრაფიის ერთდრეტიული სკოლის მიღწევები, განსაკუთრებით კი ჰუმანისტურ ისტორიოგრაფიასთან დაკავშირებულ იმ კათოლიკე ისტორიკოსთა მოღვაწეობა, რომელთაც პირველად მოჰკიდეს ხელი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მასალების დამუშავებას. ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება და წეს-ჩვეულება ვახუშტის აღწერილი აქვს ახალი ეთნოგრაფიული მეთოდების მიხედვით. თუ გავიხსენებთ საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერთა „რელაციონებს“ და ვრცელ აღწერილობებს, გასაგები გახდება, თუ სად, როდის და როგორ უნდა გაეცნო ვახუშტის ახალი ეთნოგრაფიული მიმართულება. მასვე კარტოგრაფიული სამუშაოებიც ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს კათოლიკე მისიონერებთან თანამშრომლობით შეუსრულებია.

კარგად იცნობდა ვახუშტი XVII—XVIII სს საეკლესიო ისტორიოგრაფიის (სქოლასტიკურ-ჰუმანისტურს). აქედან უნდა აეღო მას ისტორიის საეკლესიო და სანოქალაქო დარგებად დაყოფის იდეა. გარდა ამისა, ვახუშტის ისტორიული კრიტიკის ჩამოყალიბებაზე დადებითი გავლენა უნდა მოეხდინა საისტორიო-საეკლესიო მწერლობაში მომარჯვებულ წყაროთა ღირსება-თვისების გარკვევის, შემოწმებისა და ციტირების წესს, რის შემუშავება-განვითარებაც, როგორც ვიცით, ხელი შეუწყო ცხარე კონფესიონალურმა პაექრობამ. მაგრამ ვახუშტისათვის უცხო იყო „პროვიდენციალიზმი“, ისტორიის თეოლოგიური მსოფლგაგება. მისთვის ისტორიული განვითარება ღვთის ნების გარეშე იდგა. ამით იგი არსებითად განსხვავდებოდა XVI—XVIII სს განათლებულ საეკლესიო მწერლებისაგან.

ვახუშტის ბევრი რამ აქვს საერთო XVII—XVIII სს ერთდრეტულ-ისტორიულ სკოლასთან. მაგრამ ზოგი უქვევლი მსგავსება იმდენად ისტორიული მასალების შეგროვება-შემოწმებასთან არაა დაკავშირებული, რამდენადაც ისტორიის დამხმარე დისციპლინების: ქრონოლოგიის, გენეალოგიისა და დიპლომატიკის პრაქტიკულ გამოყენებასთან. ვახუშტის რთული ქრონოლოგიური ძიების წყარო ამ სკოლის ისტორიკოსთა ნაყოფიერ მოღვაწეობაშია საძიებელი. მაგრამ ერთდრეტულ-ისტორიული სკოლის მეცნიერულ ანალიზტიკასთან შედარებით ვახუშტის „ისტორიას“ თვალსაჩინო, ზოგად ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საყურადღებო უპირატესობანი მოეპოვება. XVIII ს. გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს შესწევდა ისტორიული წარსულის განზოგადების უნარი

და ყურადღებით ეპყრობოდა „შინაგანი“ ისტორიის საკითხებს, რის გამოც იგი გაცილებით მაღლა დგას XVII—XVIII სს ერუდიტ-ისტორიკოსებზე.

ვახუშტიმ შესძლო ალებული თემის, საქართველოს ისტორიის, ისტორიულად დამუშავება. XIV—XVIII სს საქართველოს ისტორიული ცხოვრების ვალმოცემისას მან არსებითად გადაუხვია მატეიანისეზური თხრობის წესს და ის ისტორიის სახით შეადგინა. მისი „ისტორიის“ მეორე ნაწილს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ხოლო მისივე ისტორიული გეოგრაფია თანამედროვე ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის მაგიდის წიგნად ითვლება. ამასვე ვერ ვიტყვიტ ტატიშჩევის „რუსეთის ისტორიაზე“, რომელიც ფაქტიურად „მატიანეთა“ კრებულს წარმოადგენს.

ვახუშტი არა მარტო იღვა XVII—XVIII სს ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, არამედ, პირიქით, ზოგს შემთხვევაში, თვალსაჩინო უპირატესობით განსხვავდებოდა ისეთ სწავლულ ისტორიკოსებისაგანაც კი, როგორიც იყვნენ მბილონი, ლიბნიცი და მურატარი.

ვახუშტის „საქართველოს ცხოვრებას“ ბევრი ისეთი ღირსება და თვისება აქვს, რაც დამახასიათებელი იყო ვოლტერის წინამორბედი XVII ს-ის გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის ფრანსუა მეზერეს „საურანგეთის ისტორიისათვის“, ოღონდ ქართველი ისტორიკოსისათვის სრულიადაც არ იყო დამახასიათებელი ფრანგი ჰუმანისტი ისტორიკოსის რიტორიკული თხრობის წესები. სამაგიეროდ მეზერე მასთან შედარებით შეუდარებლად წინ იდგა ისტორიული ლეგენდებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით. მართალია, ვახუშტი სარგებლობდა XVII—XVIII სს ევროპული ისტორიოგრაფიის მიერ შემუშავებული საისტორიო ძიებისა და ისტორიის შედგენის ტექნიკური მეთოდებით, მაგრამ ამასთანავე მან დამოუკიდებლად და ორიგინალურად განაზოგადა საქართველოს ისტორიული წარსული თავისი შრომის შესავალში.

თავ-თავის ადგილას ჩვენ მიერ ნაჩვენები იყო ვახუშტის საისტორიო შრომის ღირსებაც და ნაკლიც. 1745 წელს შედგენილი „საქართველოს ცხოვრება“ უნაკლო არ იყო. უნაკლო არ ყოფილა XVII—XVIII სს ევროპული ისტორიოგრაფიაც, ეს აიხსნება იმით, რომ XVIII ს-ში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ისტორიის მეცნიერებად ჩამოყალიბების პროცესი. ჯერ კიდევ ძლიერი იყო ისტორიოგრაფიულად მოძველებული საისტორიო წესების გავლენის კვალი. მაგ., მეზერე თვითონ აწვდიდა წინასწარ შედგენილ სიტყვებს ისტორიულ პიროვნებებს, ხოლო „განმანათლებელთა“ ისტორიოგრაფიის ერთი მთავარი წარმომადგენელთაგანი ინგლისელი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი იუმი ისტორიულ ამბავს მატეიანისეზური თხრობის ჩარჩოში ათავსებდა.

მაგრამ ვახუშტის „ისტორიის“ არსებითი ნაკლი მინც ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ტრადიციებთანაა დაკავშირებული. აქედან მოაქვს მას ისტორიული ლეგენდები, შუასაუკუნოებრივი მცდარი წარმოდგენა ქართველ ტომთა ეთნარქზე, მატეიანეს თუ წყაროს უმრავლო რეპროდუქციის წესი და სხვა თავისებურებანი. ამვე დროს საგულისხმოა ისიც, რომ აქედანვე მოდის მისივე „ისტორიის“ მრავალი თვალსაჩინო, განსაკუთრებით საყურადღებო და დღემდით მნიშვნელობის ღირსება. ფაქტიურად ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებამ მოუხადა ნიადაგი მეცნიერულად გამართული „საქართველოს ცხოვრების“ წარმოშობას.

ვახტანგ ბერიძე

XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით

თბილისის უძველესი გრაფი ული გამოსახულება (დღემდის მოღწეული მაინც) მხოლოდ XVII ს-ის მეორე ნახევარს მიეკუთვნება; ეს, როგორც ცნობილია, ის ნახატი, რომელიც შარდენის მოგზაურობის წიგნსა აქვს დართული (ნახ. 1). ქრონოლოგიურად მომდევნო ადგილი თბილისის სურათთაგან ტურნეფორის ნახატს უჭირავს: იგი უკვე XVIII ს-ის დასაწყისშია შესრულებული (ნახ. 2). ამ მხრივ ჩვენი დედაქალაქის მდგომარეობა ვაქილებით უარესია, ვიდრე ევროპისა და რუსეთის მრავალი ქალაქისა, რომელთა სახე ბევრად უფრო ადრეა ნახატებით აღბეჭდილი. შარდენისა და ტურნეფორის ნახატებს, განსაკუთრებით პირველს, რა თქმა უნდა, უეკველი ღირებულება და მნიშვნელობა აქვს: შარდენი გარკვეულ წარმოდგენას ვეძღვეს ქალაქის იმდროინდელი ტარგლებისა, მისი ზოგადი განლაგებისა და ძირითადი ნაწილების შესახებ. მის პანორამაში დაახლოებით მაინც სწორადაა აღნიშნული უმთავრეს ძეგლთა განთავსება, ზოგიერთ შემთხვევაში იგი თვით შენობათა გარეგნობის შეძლებისდაგვარად სწორ ვადმოცემასაც ცდილობს. მაგრამ, თუ ამ საერთო შთაბეჭდილების შემდეგ, ნახატის უფრო დაწვრილებით განვილვას შევუდგებით, ადვილად აღმოვაჩენთ, რომ იგი ბევრ რაშიმე ნებისმიერია და ბევრს, ჩვენთვის საინტერესო საკითხს უპასუხოდ ტოვებს: სწორად არაა ვადმოცემული ქალაქის კონფიგურაცია, მის ცალკეულ ნაწილთა ურთიერთშეფარდება, არ ჩანს ქალაქის მთავარი არტერიები, უზნებად დანაწილება, დასასრულ, არც ექსპლიკაციაა სრული და ყოველთვის გასაგები.

ტურნეფორის ნახატი უკეთესადაა შესრულებული, მაგრამ ვაქილებით ნაკლებ კონკრეტულ მასალას გვაწვდის, ვიდრე შარდენისა, თანაც, არავითარი განმარტებითი ტექსტი არ ახლავს და, ამიტომ მისი გამოყენება საკმაოდ ძნელია. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო მეტი ინტერესი ენიჭება თბილისის ვახუშტისეულ გეგმას, რომელიც წარმოგვიდგენს ქალაქის სახეს XVIII ს-ის 30-ე წლებში. მიზანდასახულობის გარკვეულობა, საქმის ცოდნა და სიყვარული, დიდი კეთილსინდისიერება, დამახასიათებელი ვახუშტის ყველა ნაშრომისათვის, ადვილად შევადგინებთ მის მიერ შესრულებულ რუკებსა და, კერძოდ, თბილისის გეგმაშიაც. ბუნებრივია, რომ ვახუშტისეული „თბილისი“ ტოპოგრაფიული აზომვის შედეგს არ წარმოადგენს და მას, ამ მხრივ, სიზუსტეს ვერ მოვთხოვთ; მაგრამ ამ ნახაზის ყურადღებით განვილვა და მისი შედარება ქალაქის დღევანდელ გეგმასთან დაგვარწმუნებს, რომ იგი მაინც სანაღო ისტორიული დოკუმენტია, რომელსაც უწყობანოდ შეგვიძლია დავეყრდნოთ თბილისის წარსულის შესწავლისას. ჩვენი მიზანი ამ წერილში თავსებით კონკრეტული და შემოფარგლულია: ჩვენ გვაინტერესებს; როგორი იყო



თბილისი ვახუშტის დროს, ე. ი. XVIII ს-ის პირველ ნახევარში, რა არის იმ დროიდან შემორჩენილი დღემდის, რა შეიცვალა, რა დარჩა უცვლელი, ან მომავალი განვითარების რა ელემენტები იყო უკვე მაშინ ჩასახული. ამის გასარკვევად ჩვენ ძირითადად სწორედ ვახუშტის აღნიშნულ გეგმას მივმართავთ.

ვახუშტის რუკებმა, როგორც ცნობილია, ჩვენამდის ორი განცალკევებული ატლასის სახით მოაღწია: ერთი—1735 წელს შედგენილი—საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული (H 2079), ხოლო მეორე, უფრო დიდი—საქ. შ.ს.ს ცენტრალურ საარქივო სამმართველოში (იგი უფრო გვიან უნდა იყოს შესრულებული)<sup>1</sup>. თბილისის გეგმა (ნახ.3) პირველ მათგანშია მოთავსებული, მესამე ტაბულის ზემო მარჯვენა კუთხეში (ამ ტაბულაზე ქართლის რუკაა). გეგმა სწორკუთხა ჩარჩოში ზის (20,5 × 18 სმ) და ორმაგი არშია აქვს შემოვლებული: ყვითელი და აგურისფერი. მის ზემოთ, ამგვარსავე ჩარჩოში, ექსპლიკაციის ტექსტია 9 სვეტად, ხოლო ამ ორ ჩარჩოს შუა ერთ სტრიქონად წერია: «სახე ტბილისისა (sic) ახლად დახატული ამისავე მხაზველისა რომელი არს სატახტო ქართლისა: ნიშანი ციფრით შემორწერილ არიან თვითვეულად ყოვლისა»

ექსპლიკაცია შეიცავს 65 №-ს არაბული ციფრებით და კიდევ 16-ს, ქართული ასოებით აღნიშნულს (ა—ივ). განმარტებულია პირობითი ნიშნებიც: გზა, ღელე, გორა, დასასრულ, „განჯისკარი“ უნომროდაა დარჩენილი და მცირე წრით (შიგ წერტილია ჩასმული) აღინიშნება. გეგმის ფონი თავისი ფერით მთლიანი და ერთნაირი არაა: სხვადასხვა ადგილს ყვითელი, ღია მწვანე და ბალახისფერია, მაგრამ ისე კი, რომ სიჭრელის შთაბეჭდილება არ რჩება. ტონის ცვალებადობაში რაიმე კანონზომიერება არ ჩანს. თეთრ ნახატი, ისევე, როგორც განმარტებითი ტექსტი, შავი ტუშითაა შესრულებული და საკმაოდ მკაფიოდ გამოიყოფა ღია ფონზე.

ვახუშტი, შარდენისა და ტურნეფორის მსგავსად, ქალაქის სურათს კი არ იძლევა, ეს ნატურის ჩანახატი კი არაა, არამედ, როგორც ითქვა, გეგმა: ეს თითქოს ჰორიზონტალური პროექციაა, რუკა, მაგრამ ადვილი შესამჩნევია, რომ აქ ზოგი რამ პირობითაა გაკეთებული. ეკლესიები ვახუშტის ნაჩვენებში აქვს ფასადის პირობითი გამოსახულებათ (ვერტიკალური პროექცია), ქალაქის გაღავანი და ციხე-სიმაგრე, კერძოდ, მრგვალი კოშკები—აქსონომეტრიულადაა წარმოდგენილი. ასევე აქსონომეტრიულია კალბანი (ვახუშტის ექსპლიკაცია № 34), მთაწმინდა (45), სომხის საყდარი (61), ახალი სოფელი (64, ესეც ეკლესიაა)<sup>2</sup>. ეს პირობითობა არ ვნებს ნახაზს: პირიქით, იგი უფრო ცოცხალი და თვალსაჩინოა. არსებითად, ესეც თავისებური პანორამაა, ან პროექციისა და პანორამის შერწყმა, რადგანაც ამ გეგმის ნახვისას ისეთი

<sup>1</sup> ს. ცხაკაია საქართველოსა და ამიერკავკასიაში კარტოგრაფიის განვითარებისათვის 1735 წლიდან 1942 წლამდე, საქ. სსრ გეოგრაფიული საზოგადოების მოაზრება, № 2, 1945, გვ. 99.

<sup>2</sup> ვახუშტი. ამას გარდა, ყველგან განასხვავებს გუმბათიანსა და უგუმბათო ეკლესიებს. მაგ. სრულიად გარკვევითაა მონახული ანისისბატის ბაზილიკური პროფილი, ნაჩვენებია ერთნაევინი გლესიებიც (მაგ., კვირაცხოველი, 63); იგი აღნიშნავს სამრეკლოებასც.

შთაბეჭდილება იქნება, რომ შემდგენელი ერთი გარკვეული წერტილიდან უყურებს ქალაქს: ეს წერტილი მახათას მთაზე მდებარეობს. ამიტომ გეგმაზე ჩრდილოეთი მარჯვნივაა მოქცეული.



ნახ. 1.

ამგვარი პირობითი გეგმები ვახუშტის თანამედროვე ევროპაში გავრცელებული იყო; ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ 1714 წელს დე ლა კაის მიერ შედგენილი გეგმა პარიზისა<sup>1</sup>. ისევე, როგორც ამ გეგმაზე, ვახუშტისაც მხოლოდ მნიშვნელოვანი მონუმენტალური შენობები აქვს გამოყოფილი და აქსომეტრიულად ნაჩვენები (ციხე, ეკლესიები და კიდევ რამდენიმე ნაგებობა), საცხოვრებელი სახლები კი „გაუპიროვნებულია“: ეს მთლიანი, პირობითი მასაა, რომელიც მცირე უჯრედებისაგან შედგება, თითქოს ქუჩის მოკირწყლული ფენილი იყოს დახატული. ასეთ მცირე მასშტაბის რუკაზე სხვაგვარად, ცხადია, არც შეიძლება. მიუხედავად ამისა, ქალაქის ძირითად ქუჩებსა და მოედნებს ვახუშტი ყველგან აღნიშნავს და, ამგვარად, ქალაქის განაშენიანებისა და უბანთა განლაგების შესახებ საკმარის მასალას გვაწვდის.

ვახუშტის ატლასები, მასშაბამე, თბილისის „სახეც“, მის მიერ უკვე რუსეთში ყოფნის დროსაა შესრულებული. რუსეთშივე ინახებოდა ეს რუკები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლებამდე, როცა ქართულ სიძველეთა დიდი ნაწილი კვლავ საქართველოს დაუბრუნდა. კერძოდ, ის ატლასი, რომელიც ამჟამად (1923 წლიდან) საქ. სახ. მუზეუმს ეკუთვნის, წინათ ყაზანში იყო დაცული. წარსული საუკუნის ბოლოს, როცა თბილისის 1876 წლის აღწერის მასალები გამოსაცემად მზადდებოდა, ატლასი ყაზანიდან დროებით ჩამოიტანეს თბილისის და აქ, საგანგებოდ გამოცემისათვის, თბილისის გეგმის პირი იქნა გადმოღებული (ნახ. 4)<sup>2</sup>. დღემდის ამ პირითაა ცნო-

<sup>1</sup> Буни, Ильин, Поляков, Шквариков.—Градостроительство. М., 1945, გვ. 186, სურ. 194.

<sup>2</sup> Тифлис по однодневной переписи 25-го марта 1876 года, составлен и редактирован... Д. А. Кобляковым. Сборник сведений о Кавказе, т. VI, თბილისი, 1880; ტაბ. 290—191 გვერდებს შუა და შენიშვნა 290 გვ-ზე.

ბილი ფართო საზოგადოებისათვის ვახუშტისეული გეგმა, რადგანაც ყველა სხვა გამოცემაშიაც ბეჭდაყდნენ მას, და არა ორიგინალის რეპროდუქციას<sup>1</sup>. ამიტომ აუცილებელია იმ განსხვავებების აღნიშვნა, რომელიც ორიგინალსა და აღნიშნულ პირს შორის არსებობს: პირი ორიგინალის სიდიდისა და ასევე დაბეჭდილი. გამოტოვებული ან დამატებული მასში არსებითად არაფერი არაა, ასე რომ ამ პირით სარგებლობა თავისუფლად შეიძლება. მაგრამ იგი ორიგინალის შესრულების მანერას არ გადმოგვცემს: დაშტრიბვა ზოგან შეცვლილია, ზოგან შეკვეცილი; საცხოვრებელ კვარტალთა აღნიშვნელი უჯრედები, ეკლესიათა და სხვა ნაგებობათა კონტურები, რომლებიც ვახუშტის ხელით გაუფლია, აქ სახაზავითაა გატარებული. ზუსტად არც თბილისის შემოშტრიბვული მთების აღნიშვნაა განმეორებული. ნახაზზევე არსებული განმარტებითი წარწერები აქ რუსულითაა შეცვლილი, ციფრებიც უფრო მკაფიოდაა მოხაზული. ყველა ეს ცვლილება, აშკარაა, რეპროდუქციების გასაადვილებლად შეტანილი, რადგანაც თვით ორიგინალი, დაშტრიბვის სისწორის გამო (საცხოვრებელი კვარტალები), რამდენადმე ჩაშავებულია, ციფრები და წარწერებიც იმდენად წვრილია (ზოგან გადასულიც), რომ ძნელად იკითხება. მაგრამ, ამის გარდა, დაბეჭდილი გეგმის ექსპლიკაციის ნომრები მთლიანად არ ემთხვევა ორიგინალისას, ზოგი რამ გამოშტრიბვებს გადაუსვამთ; დასასრულ, არის ორი-სამი შეცდომა, რომელთაც ქვემოთ თავ-თავის ადგილას აღნიშნავთ.

ვახუშტის გეგმის განხილვისას, გარდა მისი ექსპლიკაციისა, ბუნებრივია, ის ტექსტიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომელიც „საქართველოს აღწერაში“ თბილისისადმი მიძღვნილი. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ „აღწერის“ ტექსტი მთლიანად არ ემთხვევა „გეგმის“ მონაცემებს: წიგნში, რა თქმა უნდა, ყველაფერი არაა მითითებული, მაგრამ ზოგი რამ ისეთიცაა, რაც რუკაზე არ არის: ამას გარდა, ზოგიერთი ობიექტის სახელწოდება ვახუშტის ერთ შემთხვევაში ერთნაირად აქვს, მეორეში კი მეორენაირად. სხვა, არსებითი, განსხვავება „აღწერას“ და გეგმის შორის არ არის.

„ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი—ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოთ-აღმოსავლით, ტფილისს—ჩრდილოთ და ისნს დასავლით და სამხრით“<sup>2</sup>. ასე იწყება ვახუშტის ცნობილ წიგნში თბილისის აღწერა და გეგმაზედაც ყველაფერი ეს სავსებით გარკვევით ჩანს: ქალაქი მტკვრის ორსავე ნაპირზეა გაშლილი, მაგრამ ძირითადი მაინც მარჯვენა ნაპირზე ვითარდება. ძველი ქალაქი მართლაც სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება, მაგრამ უკვე გაჩენილია ახალი უბნებიც, რომლებიც სჭარბობს კიდევ ზოგიერთ ძველ ნაწილს.

ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი, ცენტრი ქალაქისა, რომელშიაც თავმოყრილია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შენობები—მეფის, დედოფლის, ბატონიშვილის სასახლეები, კათედრალი, ქარვასლები, მთავარი მოედ-

<sup>1</sup> М. А. Полиевктов, Г. Наталае Старый Тифлис в известиях современников; 1929, ტბ. 32 გვ-თან იგივე ქართულად, 1930, ტბ. 32 გვ-თან ექსპლიკაციის ტექსტი აქ რუსულიდანა ნათარგმნი და საგომართლად განსხვავდ ბა ორიგინალისაგან). იხ. აგრეთვე ნ. ბაღრაი-შვილის ტიფლის, მ. ილინას Архитектура Тбилиси და სხვ.

<sup>2</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 52.



ნები, უმეტესი ნაწილი ეკლესიებისა—კალაა; ამ ნაწილშივე შედის ქალაქის ციტადელიც: „კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედაო“. კალა მთლიანად გალავანშემორტყმული იყო და ამ გალავნის აგებას ვახუშტი შაჰ-აბაზ მეორეს მიაწერს („კალა მოზღუდა მეორე შაბაზ, პირველ შემუსვრილი“). მისი იმდროინდელი ფარგლები ადვილად შეიძლება შემოიხაზოს: ციტადელიდან, რომლის ნანგრევები დღესაც დაჰყურებს ძველ ქალაქს, იწყებოდა გალავანი,



ნახ. 2.

რომელიც მისდევდა სალაღაის ქედს (დაახლ. ახლანდელი კომკავშირის ხეივანის მიმართულებით). ეს გალავანი, რომელიც სამხრეთიდან საზღვრავდა კალას, მთავრდებოდა ციხით, რომელსაც ვახუშტი შაიხტახტ უწოდებს (№ 20 გვერდზე. მისი ნანგრევები დღემდეა დარჩენილი). აქ გალავანი მკვეთრად უხვევდა ქვემოთ, თავქვე ეშვებოდა მთის კალთაზე (გალავნის ეს ნაწილიც კარგად ჩანს დღეს) და ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა აწინდელი ფედერაციისა და პუშკინის ქუჩების ხაზზე, დაახლოებით ბარათაშვილის ქუჩის კუთხემდის, სადაც დღემდე კარი იყო (22), აქ ისევ უხვევდა და ახლანდელ ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით აღწევდა მტკვრის ნაპირს იქ, სადაც ახლა ბარათაშვილისავე ხილია<sup>1</sup>. შემდეგ გალავანი „უკან“, სამხრეთისკენვე ბრუნდებოდა

<sup>1</sup> „დიღვის კარის“ მიდამოებში ძველი გალავნის რაღაც ნარჩენები დღესაც ჩანს (ვიწრო ჭასასვლელში პუშკინის ქუჩის № 27 და 29 სახლებს შუა).

მტკვრის გაყოლებით და იმ ადგილის მახლობლად წყდებოდა, სადაც მტკვარი აღმოსავლეთისაკენ უხვევს<sup>1</sup>, დაახლოებით აწინდელ „თათრის მოედანთან“ (მაშინ მას ციხის მეადანი ერქვა). გარეთა გალავნის მეოთხე კედელი (სამხრეთ-აღმოსავლეთისა) ციტადელიდან მტკვრისკენ ეშვებოდა, კლდეებზე, ახლანდელი მდ. დაბახანის პარალელურად, იმ ქუჩის თავზე, რომელიც ამჟამად ჯერ აბანოებისაკენ და შემდეგ ბოტანიკური ბაღის შესასვლელისკენ მიემართება. ამ კედლის პარალელურად, კალას შავნით, ვახუშტის ნაჩვენებები აქვს კიდევ ერთი, რომელიც ციტადელიდანვე ეშვება ავლაბრის ხიდისკენ (ია). ამ ორი კედლის შიგნითაა მოქცეული, მთის კალთაზე, ციტადელსა და მტკვარს შუა—ე. წ. ციხე დაბალი (P=გამოცემული პირის № 71), რომელიც მთლიანად საცხოვრებელი უბნებითაა შევსებული. თვით ციტადელს ვახუშტი ძალად ციხეს უწოდებს (18,თ=გამოცემის 72)<sup>2</sup>.

ქალაქის მეორე მთავარ ნაწილს, „აღწერაში“ საკუთრივ „ტფილისად“ წოდებულს, გეგმის ექსპლიკაციაში სეიდაბადი ან ტბილისი ეწოდება: „აქ დასხნა შასფევიმ სეიდნი. მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს“<sup>3</sup>. ეს ახლანდელი აბანოებისა და ბალნეოლოგიური კურორტის რაიონია. მოსახლეობა მაშინ მთის კალთაზე ყოფილა შეფენილი, მტკვრის გასწვრივ კი, მთელ სიგრძეზე, ბაღები იყო გაშენებული: ტბილისის ბაღი სეიდაბადისა (47). „ტფილისის დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანონი ექვსნი და დიდშენნი, ავაზიანნი“<sup>4</sup>. კალასაგან სეიდაბადი წავკისის წყლით (ახლანდელი „დაბახანა“) იყოფა („აღწერაში“ ვახუშტი ამ მდინარეს, რატომღაც, „სალალაკის წყალს“ უწოდებს, თუმცა კლაბროტის თანახმად მას წავკისისა ერქვა: „ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის წყალი, რომელი გამოსდის წავკისისა და კოერის მთებსაო“). გეგმის განმარტებაში სალალაკის წყალი იმას ეწოდება, რომელიც ჯერ აღნიშნული წავკისის წყლის პარალელურად მოემართება, შემდეგ ორ მუხლად უხვევს და ახლანდელი კიროვის ქუჩის მახლობლად ჩამოდის ბერიას მოედნისაკენ. ეს წყალი ამჟამად ქუჩებქვეშაა ვატარებული). ჩრდილო-აღმოსავლეთით სეიდაბადს მტკვარი საზღვრავდა, ამის მოპირდაპირე მხრიდან—მთაბორის კალთები („აქ თაბორს, ყოფილა ციხე, არამედ აწ შემუსერილი არს“),<sup>5</sup> სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ბაღები გალავნით იყო შემოზღუდული; ამ გალავნის ნანგრევები დღესაც კარგად ჩანს: იგი ქალაქის ბაღშია, სანაპიროსა და ტავიზადეს ქუჩებს შუა, სწორედ იქ, სადაც მტკვრის მეორე (მარცხენა) ნაპირზე ე. წ. გოგილოს აბანოა.<sup>6</sup>

<sup>1</sup> შარდენის დროს მტკვრის გაყოლებით კალას გალავანი არ ქონია.


<sup>2</sup> კლ. იოსელიანის ცნობა კალას გალავნისათვის: „Стены эти...разломаны с 1820 по 1840 год и из их местях и из их материалов соданысь лома. Но по местам некоторые остатки их еще целы и свидетельствуют об их высоте и толщине. Высота их была и есть от 4 до 5 сажней, а в толщину не менее 2 1/2 аршин“. იხ. მისი Описание древностей города Тифлиса. 1866, გვ. 256.

<sup>3</sup> აღწერა, გვ. 52.

<sup>4</sup> იქვე, 52.

<sup>5</sup> იქვე, 52.

<sup>6</sup> დარჩენილი ორი ნახევარწრიული ბურჯი და კედლების ნაწილი, ქვითა და აგურით ნაშენი, ძველ შენობათა ნანგრევები იქვე, ტავიზადეს ქუჩაზედაც ჩანს.



Են. 3.

ქალაქის მესამე ნაწილი—ისნი, რომელიც ერთადერთი ზიდით (ია) უკავშირდებოდა მეორე ნაპირს, ვახუშტის დროს შემოზღუდვილი არ ყოფილა: მას გარს მხოლოდ თბილენი და ხეები უვლის. ვალავანშემოვლებული აქ მარტო მეტეხის ეკლესიაა. მეტეხს გარდა აქ კიდევ ორი დიდი ეკლესიაა აღნიშნული; გუმბათიანი **სომეხების საყდარი** (57, დაბეჭდილ პირში 56) და **ბერძნის საყდარი**, უგუმბათო (58, გამოცემის 57).

ესაა ქალაქის ის ნაწილები, რომლებიც თბილისის ფარგლებში ძველთაგანვე იყო შესული. მაგრამ ვახუშტისეული გეგმა უკვე ქალაქის ზრდასაც გვიჩვენებს. ზრდა იმ დროს ისევე მიიმართებოდა, როგორც ადრევე, ქალაქის არსებობის უძველეს დროიდან, და როგორც შემდეგ, დღემდის: უმათარესად მტკვრის აღმა, ჩრდილოეთისაკენ. რამდენიმე ეკლესია კლასს გარეთ, ჩრდილოეთით, უკვე დიდი ხანია არსებობდა: ვახუშტის აღნიშნული აქვს სომეხთა კათედრალი **ვანქი** (25)—მტკვრის პირას, ვალავანშემოვლებული (იმ ვალავანის ერთი კოშკის ნანგრევი დღესაც დგას მტკვრის ქუჩაზე), კალბაზანი (=კალოუბანს, რომელიც იქ იდგა, სადაც ახლა კინოთეატრი „რუსთაველია“, 34), ციხის საყდარი (36; ეს სახელწოდება გაუგებარია, ან იქნებ ნომერი იყოს შეცდომით დასმული: ეკლესია იქაა აღნიშნული, სადაც სომეხური, ე. წ. ქამონათ საყდარი იდგა—რუსთაველის პროსპექტისა და ყ. კომინტერნის ქუჩის შესაყარზე), დასასრულ ქაშოეთი (33), რომელიც განმარტოებით დგას, განაპირას. მაგრამ ვახუშტის დროს აქ უკვე არა მარტო ეკლესიებია: ვანქის მეზობლად, ჩრდილოეთით, აღნიშნულია მეიდნის სასახლე (27), მის წინ, დასავლეთით—**მედანი** (Sic!) ანუ **ასპარეზი** (28; ეს უნდა ყოფილიყო ბარათაშვილისდროინდელი „ყაბახი“) და იქვე **საბაზიერო მეფასა** (30). ეს რიონი—**ასპარეზი**, რომელიც, უეჭველია, ქალაქის მცხოვრებთა ხშირი შეკრების ადგილი იქნებოდა, **საბაზიერო** და კიდევ საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია მის დასავლეთით, „ქაშოეთამდის“—დღეს კომუნარების (ყოფ. ალექსანდრეს) ბაღს უჭირავს.<sup>1</sup> „ქაშოეთის“ მახლობლადვე, დაახლ. იქ, სადაც ახლა კავშირგაბმულობის სახლი დგას, ციციშვილის სახლი მდგარა (32), ზოლო დაახლოებით იქ, სადაც პიონერების სასახლე ან საქართველოს მუზეუმი—არაგვის ერისთვის სახლი (35). მთელი ეს ფართობი—მტკვარსა და მთაწმინდის კალთებს, კალასა და „ასპარეზს“ შუა, „გარეთებნად“ წოდებული (იბ=გამოცემის D), უკვე მჭიდროდა განაშენიანებული საცხოვრებელი სახლებით (მხოლოდ „ვანქთან“ უჭირავს მოზრდილი ადგილი სომეხების სასაფლაოს: 26. **სახაფლაო სომეხთა**, ასე რომ თბილისის იმდროინდელ საზღვრად ჩრდილოეთის მხრივ

<sup>1</sup> პლ. ოსტელიანი „ასპარეზის“ შესახებ: В древности именовался он Аспарези, т. е. кристаллине; потом стали именовать его Кабахи (ყაბახი)—от персидского слова, означавшего мячу, на верху которой нагагался прыг в награду тому, кто уларит в цель... На этом же гипподrome происходила игра в мяч (ბურთობა), скачка и военная эволюция. Площадь эта имела в длину 250 сажень, в ширину 120. С 1820 года половина этой площади по длине ее встроилась частными и казенными домами. Оставшаяся же площадь именовалась Александровской. Наместник Кавказский, князь А. И. Барятинский, в видах пользы города, велел развести здесь сад из тенистых деревьев, необходимых в войные дни Тифлиского лета“. იბ. Описание древностей города Тифлиса, 1866, გვ. 266.



ქაშოეთი და ხსენებული ასპარეზი — კომუნარების ბალი უნდა ვიანგარიშოთ<sup>1</sup>. თუ აქვე, შესადარებლად, ჩვენ შარდენის ნახატს მივმართავთ, ადვილად შევნიშნავთ, რომ „გარეთუნის“ ზრდა, მოსახლეობის გამრავლება ამ მხარეს, სწორედ დროის იმ მონაკვეთს მიეკუთვნება, რომელიც შარდენსა და ვახუშტისეულ გეგმას შუაა მოქცეული, ე. ი. XVII ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XVIII ს. პირველ მესამედს. მართლაც, შარდენის პანორამაში ამ ადგილას, ეკლესიებისა და თითო-ორი შენობის გარდა, ჯერ კიდევ არაფერი არ არის. შარდენის დროს, თუ მისი ნახატი ამ მხრივ ზუსტია, არც „ასპარეზი“ ყოფილა: იგი პირველად ტურნეფორთან ჩნდება (ყველა ნიშნის თანახმად, სწორედ ასპარეზად უნდა მივიჩნიოთ ის მოედანი, რომელიც ტურნეფორს პირველ პლანზე აქვს ნაჩვენები, თუმცა მას „მეტეხი“ აქვე მოუთავსებია, მდინარის გამოღმა. „ასპარეზზე“ აღმართულია მაღალი ანძა საფეხურებითურთ).

მტკვრის აყოლებით მოსახლეობა უკვე მარცხენა ნაპირზედაცაა გაჩენილი, ისინი ჩრდილოეთით, ჩუღურეთში (62), მაგრამ ეს უბნები ჯერ კიდევ მოწყვეტილია ქალაქის მასივს და თვითონაც მცირეა. ეს უფრო ქალაქის მიმდებარე სოფელია, ვიდრე თვით მისი უბანი.

აქ ვახუშტის სამი ეკლესია აქვს აღნიშნული: სომხის საყდარი, რომელსაც ზედვე აქვს მიწერილი: „იაკობისა“ (61, გამოცემის 60)—ეს ისინი მახლობლადაა, ხევგალმა; კვირაცხოველი (63, გამოცემის 62) ავქალის გზასთან, რომელიც დაახლ. მტკვრის პარალელურად მიემართება, და ანალი სოფელი მდინარის ნაპირის მახლობლად (64, გამოცემის 63).

შემდეგ რომ აღარ დავუბრუნდეთ მტკვრის მარცხენა ნაპირს, აღვნიშნავთ, რომ ისინი აღმოსავლეთით, უკვე ქალაქკარეთ, მაგრამ დასახლებული უბნებისაგან არც მაინცადამაინც დიდ მანძილზე, ვახუშტის ნაჩვენები აქვს ერთიმეორის გვერდით შელიქის საყდარი და ბებუთას ბალი (59 და 60, გამოცემაში 58 და 59). ორივე შემდეგდროინდელ ხოჯაევანქის სასაფლაოს ადგილსაა საჯულის-ხმებელი: ხოჯაევანქის ეკლესია ბებუთაშილის გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელთაგანის მელიქ-ბებუთის აშენებულია XVII საუკუნეში (აქედან — „მელიქის საყდარი“)<sup>2</sup> და მათი საგვარეულო სასაფლაოც ამ ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდელ რიყზე ვახუშტის დროს არავითარი მოსახლეობა არ ჩანს, ისევე, როგორც იმ კუნძულზე, რომელსაც შემდეგ „მადათოვისა“ ერქვა. ეს უკანასკნელი — კუნძული — გეგმის თანახმად, მთლიანად ბალს ეკირა: „ანალი ბალი შეიღისა“ (65), ასე უწოდებდა მას ვახუშტი (1880 წლის გამოცემაში, რატომღაც, ამ ბალის ნომერი — 64 — რიყესა აქვს მიკუთვნებული, კუნძული კი განუმარტებლად რჩება).

<sup>1</sup> ვახუშტის გეგმაზე ასპარეზს ჩრდილოეთიდან საზღვრავს „ყაიბულას ბალი“ (29). 1756 წლის ერთი საბუთიდან (საქ. მუხ. Ad 1809) ჩანს, რომ ყაიბულას სეიდბადშიაც ჭკონია ბალი, მაგრამ იმ დროს იგი უკვე სევას ეკუთვნოდა. იხ. ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, 1, 1938; გვ. 26.

<sup>2</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1910, ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობა (რუსული), გვ. XIII, და Геналогическая таблица рода Бегутовых, იქვე, XVI-XVII გვერდებს შუა.


ისინია და ჩუღურეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ვახუშტის მითითებული აქვს შემდეგი გზები: ბაღების გზა ყარაისა, შუა ტბის გზა, კახეთის გზა, ავჭალის გზა, ზედა გზა, ლილოს გზა, და აგრეთვე მთა მახათა.

XVIII ს. პირველ ნახევარში, როგორც ამას ვახუშტისეული გეგმა მოწმობს, უკვე ჩასახულია ქალაქის ზრდის კიდევ ერთი მიმართულება: კალას დასავლეთით, იმ მხარეს, სადაც დღეს სოლოლაკის უბანია: აქეთ მიემართება გზა, რომელიც დღევანდელ ენგელსის ქუჩის ხაზს მისდევს. აქვე, დაახლოებით იქ, სადაც ახლა ქალაქის საბჭოს შენობაა, დიდი ქარვასლა დგას (37, ბეჟანას ქარვასლა), აქვეა ბაღები—მამასახლისისა (38), დედოფლისა (39), მეფის დი ბაღი? (ძნელი გასარჩევია: მეფის დის ბაღია, თუ მეფის დიდი ბაღი)—ამათ უკირავთ ფართობი (დაახლოებით) აწინდელი ბერიას მოედნის, ფედერაციისა და ენგელსის ქუჩებსა და იშტატურუქის კალთებს შორის. ამ ადგილას ბაღი უკვე შარდენსაცა აქვს ნაჩვენები (R—Le jardin du prince) და ტურნეფორსაც. უფრო ზემოთ, კოჯრის გზაზე, თბილელის ბაღია (42), იქ, სადაც შემდეგ „ამბლენების“ ეკლესია აშენდა, და კიდევ თითო-ოროლა შენობა, რომლებიც, სამწუხაროდ, არაა განმარტებული. ბერიას მოედნის ადგილას მაშინაც მოედანი იყო (მისი ადგილმდებარეობა შეიძლება ზუსტად არ ემთხვეოდეს დღევანდელი მოედნისას). ამ მოედანზე გადადის კოჯრისკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა და მისი გადაკვეთი გზა, რომელიც დაახლოებით ყ. კომინტერნის ქუჩისა და რუსთაველის პროსპექტის ხაზისკენაა მიმართული და შემდეგ ჩრდილოეთისაკენ გრძელდება. უკვე გეგმაზევეა შესამჩნევი, რომ ქალაქის ახალი ნაწილებისათვის ხსენებულ მოედანს, რომელიც ძველ გზაჯვარედინს წარმოადგენდა, და აქედან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას, რომელიც მთელ ვარეუბანს გასდევს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბუნებრივია, რომ უფრო გვიან, XIX ს-ში, ქალაქის ცენტრი სწორედ აქ გადამოადგილდა.

თუ ყოველივე ზემოთქმულს დავუმატებთ მთაწმინდის ეკლესიას (ვახუშტის დროს „ცალიერს“), რომელიც საგანგებო სუბსტრუქტიაზე აგებული ჩანს (45), ციხის ბაღსა (51) და თათართ-საფლავს (50) დღევანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე და თქუანთ ბაღს (52) წაკისის წყლის ხეობაში (სასაფლაოცა და ხიდიც დღემდეა დარჩენილი), განმარტებულ ბაღს სეიდაბადის სამხრეთ-აღმოსავლეთით (48: სალათგარი), კრწანისის ბაღს (54), დასასრულ, მთაბორს (სალაოაკის გადაღმა, სამხრეთით მდებარე ქედია), სადაც აგრეთვე ეკლესია ჩანს (49), ჩვენ მთლიანად გვექნება შემოხაზული ვახუშტისეული თბილისი და მისი უშუალო მიდამოები.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქალაქის მთავარი ნაწილი, რომელშიაც უმნიშვნელოვანესი შენობები იყო თავმოყრილი, XVIII ს-ში კალაა. იმ ხაზზე, რომელიც სიონსა და ანაისხატს აერთებს, უნდა ვიგულებოთ ქალაქის ერთი უმთავრეს არტერიათაგანი, ხოლო ქალაქის ცენტრი ამ დროს, ისევე, როგორც შარდენის დროსაც, მეფის მოედანია (აწინდელი ბებელის მოედანი), აღნიშნულ ხაზზევე მდებარე (4). მოედანი წესიერი, სწორკუთხა ფორმისაა (შარდენი გეგმობებს, რომ მასზე 1000 ცხენი დაეტეოდა). მეფის სასახლე, რომელიც წი-

ნათ შალალს ციხეში ყოფილა და რომელიც „დაუტევა შეფეშან როსტომ“, ახ-  
 ლა აქ არის, მოედანზე, „სიონსა და ანჩისხატს შუა... მტკვრის გარდაკიდებით“



ნახ. 4

(1). იგი „უიზილბაშთა რიგისაი“ (ეს სასახლეა, შარდენს რომ აქვს აღწერილი).  
 აქვეა, მის მეზობლად, კარის საყდარი (3), რომელიც (როგორც ჩანს, საგ-  
 რძნობლად გადაკეთებული სახით) დღესაც დგას. შავთელის ქუჩაზე, და დე-  
 ლიფლის სასახლე (2)—აწ უკვე აღარარსებული, ისევე, როგორც თვით მეფის  
 რეზიდენციაც. ამავე ხაზზეა, მტკვრის ნაპირას, შეჯგუფებული სხვა სასახლეები:  
 ბატონიშვილისა (5—„სასახლე“, 8—„სახლი“), ამილახერისა (7), „ლუარსაბისა“

(9)<sup>1</sup> და მუხრანის ბატონისა (10). ამ შენობათაგან დღემდის არც ერთს არ მოუღწევია, მაგრამ ამილახვართა სახლის შესახებ შემონახულია ერთი მოკლე, მაგრამ მინც საინტერესო ცნობა 1779 წელს გამოცემულ წიგნაკში, „История Георгианская о юноше князе Амилахорове“, რომელშიაც პაატა ბატონიშვილის ცნობილ შეთქმულებაში გარეული ოჯახის ერთ-ერთი წევრის, ალექსანდრე ამილახვრის თავგადასავალია მოთხრობილი: „В Тбилизе дом наш был построен при самой реке (მტკუარი), которая велика и быстра и своей быстростию промывла фундамент сего дома, от чего и стало опасно, ибо сей новый дом построен был в три этажа (sic) и на Персицкий вкус“. მტკვარს მართლაც გამოურეცხია სახლის საძირკველი და შენობა დაინგრა, კონტექსტის თანახმად—1763 წელს.

სიონის სამხრეთით სხვა დანიშნულების შენობებია თავმოყრილი: იქვე, მეზობლად, ესეც „მტკვრის გარდაკიდებით“—თბილელის ქარვასლა (12), ცოტა მოშორებით კი—სამხრეთით და დასავლეთით, მელიქის ქარვასლა (13) და მეფის ფუნდუკი (14), რაც, საბას მიხედვით, აგრეთვე ქარვასლას ნიშნავს<sup>2</sup>.

სიონის ტაძრის ერთ-ერთი სიგელის თანახმად, რაღაც ქარვასლა სიონის მიწაზე როსტომ მეფეს აუშენებია XVIII ს. ნახევარში: „ჩუენცა აღვაშენეთ თქუენის ტაძრისა მიწანი ქარვასლად ჩუენისა ალალისა თეთრითა... და მის ქარვასლისაგან შემოგწირეთ ყოველსა წელიწადსა ასი მარჩილი თეთრიო“, წერს როსტომი ტაძრისადმი ბოძებულ საბუთში 1650 წელს<sup>3</sup>. საფიქრებელია, რომ აქ სწორედ „თბილელის ქარვასლა“ იგულისხმება. ამეჟამად ამ ადგილას XIX ს. შენობები დგას (არწორუნიეული ქარვასლა), როსტომისდროინდელ ნაგებობათა ნაშთს კი ძნელადღა თუ ვიპოვებთ<sup>4</sup>.

ციხის მეიდანს (15), როგორც ითქვა, ახლანდელ მეიდანის ადგილას იყო და უშუალოდ ემიჯნებოდა დაბალი ციხის გალავანს. იმ გალავანის აგებას ვახუშტი როსტომს მიაწერს: „მეფეჟან როსტომ ჩამოზღუდა კალა ციხილამ ხილის ყურამდე და მისცა სპარსთა; მიერთიგან უპყრავთ მათო“. ვახუშტი სხვაგანაც აღნიშნავს, რომ აქ სპარსელები მკვიდრობდნენ: „მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰმადიანნიო“<sup>5</sup>. ცნობილია, რომ ერეკლე I-ის დროიდან მეტეხიც სპარსელებსა აქეთ და მათ ზელშივია მტკვრის ორი ნაპირის დამაკავშირებელი ერთადერთი ხიდიც, რომელიც „განვალს... კალილამ ისნს, ციხილამ ციხესა“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ვინაა ლუარსაბი? ეს სახელი ერქვა ვახუშტის პაპის ძმას, შაჰნავაზის ერთ-ერთ ვაჟთაგანს, მაგრამ ამ დროს იგი უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო: იხ. Histoire de la Géorgie, ტ. II, I, 1856 წ. 67.

<sup>2</sup> „ქარვასლა სხვათა ენაა, ქართულად ფუნდუკი ჰქვან“. 1880 წლის გამოცემის რუსულ ექსპლიკაციაში ფუნდუკი შეცდომით ნათარგმნია როგორც конюшня.

<sup>3</sup> თ. ჟორდანიას კრონიკები, II, გვ. 1897 წ., 465.

<sup>4</sup> Тбилиси, Юбилейный Сборник, 1946: ნ. ე. ბაღრაიშვილის Памятники материальной культуры, გვ. 155.

<sup>5</sup> აღწერა... გვ. 52 და 54.

<sup>6</sup> იქვე, 53.





დაბალ ციხეში გეგმაზე ნაჩვენებია მთავარი ქუჩა, რომელიც დიაგონალურად ჰკვეთს ციხეს ერთი კარიდან მეორემდის. პირველი კარი—როსტომისეულ „ზღუდესში“—ციხეს კალასთან აკავშირებს (იგი შეიდანზე გადის), მეორე—სეიდაბადთან: აქაა ტბილისის (sic) ხიდი ციხიდან მდ. წაჯკისის წყალზე. ციხეს კიდევ ერთი კარი ჰქონდა, დაახლოებით იქ, სადაც ახლა ბოტანიკური ბაღის შესასვლელია, იმავე წყლის პირას, ციცაბო კლდის ძირში. ამ კარს განჯის კარი ეწოდებოდა, რადგანაც აქედან იწყებოდა თბილისიდან ირანისკენ მიმავალი გზა. ვალაენისა და კოშკების ცალკეული ფრაგმენტები ძველი განჯის კარის მიდამოებში დღემდეა დარჩენილი.

თვით ციტადელს, როგორც ითქვა, ვახუშტი მაღალ ციხეს უწოდებს. ექსპლიკაციაში ეს სახელწოდება ორჯერ იხსენიება (18 და თ=1880 წლ. გამოცემის 72). ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი: ამით ნაჩვენებია, რომ მაღალი ციხე ორსავე არსებულ ტერასას ერქვა—ზემოთასაცა და ქვემოსაც. ციხის მთავარი ნაგებობა ე. წ. სტამბოლის გოდოლი იყო, დიდი მრგვალი კოშკი, რომელიც, როგორც ჩანს, ციხის უმაღლეს წერტილში უნდა ვიჯულისხმოთ (19. გამოცემაში, სრულიად უსაფუძვლოდ, ეს ნომერი მეორე, უფრო მცირე, კოშკსა აქვს მიკუთვნებული). თუ ციტადელის შენებაში თურქებს მართლაც მიუძღვით რაიმე წილი, როგორც ეს შარდენსაც აქვს მოთხოვნილი<sup>1</sup>, მაშინ დიდი გოდოლის ამგვარი სახელწოდება გასაგები იქნება.

ნარიყალის დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით ძნელია მისი იმდროინდელი სახის წარმოდგენა: მართალია, მისი საერთო მოხაზულობა ემთხვევა ვახუშტის გეგმაზე აღნიშნულს, მაგრამ ცალკეულ ნაწილთა, კერძოდ, სტამბოლის გოდოლის კონფიგურაციის გარკვევა ახლა არ ხერხდება, ბევრი რამ, აშკარაა, მას შემდეგაც გადაუკეთებიათ, მთავარი კი ისაა, რომ ციტადელის შიგნით მდებარე დიდ ნაგებობათაგან დღეს მიწის ზედაპირზე არც ერთის კვალი აღარ ჩანს. „მაღალს ციხეში არს ეკლესია გუნბათიანი წმიდის ნიკოლოზისა და სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შეენიერნიო“<sup>2</sup>, აღნიშნავს ვახუშტი. იმ დროს, როგორც ითქვა, იქ უკვე სპარსელთა გარნიზონი იდგა და ეკლესია, რომელიც გეგმაზედაც არის მითითებული ციხის საყდრის სახელწოდებით (17), ცხადია, გაუქმებული იყო. დღეს აღარც ეკლესიაა, აღარც სასახლე: არქეოლოგიური კვლევა-ძიება ნარიყალაზე, უეჭველია ბევრ რასმე საინტერესოს გამოამჟღავნებდა და იქნებ ამ სასახლისა და ეკლესიის რაიმე კვალისთვისაც კი მიგვეგნო<sup>3</sup>.

ასეთია ქალაქის პოლიტიკურ-საადმინისტრაციო ცენტრი, როგორიღაა კალას დანარჩენი, უდიდესი ნაწილი, ის უბნები, რომლებიც მჭიდროდ ავსებენ მთელ ტერიტორიას ვალაენს შიგნით? ამ უბნების ერთფეროვან მასაში კუნძუ-

<sup>1</sup> თუმცა ლალაფაშას შემოსევის თარიღი შეცდომითაა მითითებული.

<sup>2</sup> გეგმის განმარტებაში „ნიკოლოზის საყდრად“ დაბალი ციხის ეკლესიაა (16) დასახელებული.

<sup>3</sup> კლ. იოსელიანის ცნობით სასახლე XVIII ს. ნახევარმდის არსებობდა, ხოლო წმ. ნიკოლოზის ეკლესია ერთპილოვანა გადააკეთებინა თოფისწამლის საწყობადო. „Остатки дворца разломаны“ უმატებს იგი იქვე, იხ. მისი Описание древностей города Тифлиса, 1866, გვ. 250.

ლებივით გამოიყოფა რამდენიმე ეკლესია, რომელთა იდენტიფიკაციასაც არ-  
თულებს ზოგიერთი სახელწოდება: სალაღაჯის ქედის ფერდზე, განცალკევებით,  
ორი ეკლესია დგას: უფუშმათო კლდისუბნის საყდარი (ზ=1880 წლ. გამოცემის  
70) და დიდი, გუმბათოვანი ტაძარი, რომელსაც ვახუშტი მოლნის უწოდებს  
(3), თუმცა ეს ამჟამად ფთხანია<sup>1</sup>. ორივე ეს ეკლესია დღესაც ადვილი სა-  
ნახავია აღნიშნულ ადგილებზე, თუმცა ვახუშტის შემდეგ მათ რამდენადმე იც-  
ვალეს სახე<sup>2</sup>. ქვემოთ, საცხოვრებელი უბნების ფარგლებში, აღნიშნულია მამა-  
ნახლიხის საყდარი (ბ=65. ეს სახელწოდება გასაგები არაა, რადგანაც აქ  
სურბ-ნიშანის ეკლესია დგას, 1701 წელს აგებული)<sup>3</sup>, სომხის საყდარი  
(გ=66. ეს ე. წ. „ჯიგრაშენი“, ბერიას მოედნის მახლობლად, ლესელიძის ქუ-  
ჩაზე, განახლებულია 1785 წ.)<sup>4</sup>, ლათინთ საყდარი (დ=67)—იქ, სადაც დღე-  
საც დგას კათოლიკეების ეკლესია (ყოფ. კათოლიკეების, ახლა 1 შანის ქუჩა),  
და კიდევ ორი ტაძარი: ერთი ის, რომელიც ნამდვილ მოლნისად უნდა იქნეს  
მიჩნეული, მეორე კი იქ, სადაც ახლა ჯვარის მამა და ნორაშენი დგას. ამ  
მოლნისის დასავლეთით ბეჟანას (sic! ბეჟანა უნდა ვიგულისხმობო) ბაღია  
(ე=68), მთელი დანარჩენი ტერიტორია კი საცხოვრებელი სახლებისათაა შეგე-  
ბული. ვახუშტი, ცხადია, ყველა ქუჩასა და შესახვევს არ გვიჩვენებს—ეს შეუძ-  
ლებელიც იყო. მაგრამ შენობათა ერთგვაროვან ფონზე მას ძალიან მკაფიოდ  
აქვს აღნიშნული მთავარი მაგისტრალები, რომლებიც კვეთს კალას ერთი ნა-  
პირიდან მეორემდის და ქალაქის შიგა დანაწევრების ჩონჩხს ქმნის. ადვილი

<sup>1</sup> 1880 წლის გამოცემაში ვახუშტის ეს შეცდომა გასწორებულია და „მოლნისად“  
მითითებულია ის ეკლესია, რომელიც ბოლო დრომდე მართლაც ამ სახელით იყო ცნობილი  
(ენგელის ქუჩასა და ალავერდის მოედანს შუა. გამოცემაში ამ ეკლესიას ზე 69 უბის, ორიგინალში  
კი არაფერი). შარ დენის ნაპატი ადასტურებს ამ შესწორების საპართლიანობას.

<sup>2</sup> პირველი მათგანი, მიუხედავად სიმკირისა, შორიდანვე იპყრობს ყურადღებას დღუჯი  
კერამიკული ფილების საბჭრავით. დღეს მას სურბ-გევორქსაც უწოდებენ და სურბ-აკოფსაც.  
ბროსეს (V rapp., 24) იგი მოხსენიებული აქვს როგორც „წმ. გიორგი ჭარაფა“ (S. Giorgi-  
Carapi), რაც ადასტურებს, რომ ეს სწორედ ვახუშტისეული „კლდისუბანია“. ჩრდილოეთის შე-  
სვლელის თავზე (საპირეთით შენობა თითქმის გეჯინება კლდეს) დამათარიღებელი წარწერაა,  
რომელიც ბროსეს შეცდომებით აქვს გამოქვეყნებლი: პირველი სტრიქონი სომხურია და  
ბროსეს მას კითხვობის როგორც ქორონიკონის აღნიშვნის: «en 1205—1756 de J.-C.»  
შემდეგ, იმავე სტრიქონში: „ქკა უშა“, რაც 1753 წ. გვაძლევს, ამის ქვემოთ კი, სამ სტრიქო-  
ნად: „ჩ. ჩემ: ზომრბანთ: პეტროსა: და ჩემ: (sic!) შეულღ: დალითარსამ || ავაშეთ: ესე  
წმინდა: გიორგის: საყდარი სასხენებლათ: სულის ჩვენის: და || დედ: მამის: მელქიას: და: დუნია-  
ჯვარის (sic!): ვინც წაიკითხოთ: შენობა გვიმანეთქისეუ (sic!)“. ამგვარად, შენობა, დღევანდელ-  
ი სახით, ვახუშტისდროინდელი არ არის, მაგრამ გადაკეთების სავარაუდო ნიშნები ამტკი-  
ცებს, რომ აქ წინანდელი შენობის რეკონსტრუქციასთან გვაქვს საქმე (საბურავის ჩრდ. კალთის  
დაქანება შემცირებულია და ვიწრო ფსაფხვებზე გარკვევით ჩანს დამატებული წყობა. გადარჩე-  
ნილი ძველი კარნიზი—ზერხულად დალაგებული აგურები—ძალიან დამახასიათებელია XVII საუ-  
კუნისთვის. N კედლის სარკმლები თავდაპირველი არ ჩანს, გვიანაა გაფართოებული. ახლან-  
დელი გუმბათიც, ძალიან ვიწრო ყელით—თითქმის კამარაში ნახვრეტი იყოს ვაკეთებული—თავ-  
დაპირველი არაა. შესაძლებელია ეკლესია არა მარტო ერთხელაა გადაკეთებული).

<sup>3</sup> მ. ბროსე. V rapp., 18.

<sup>4</sup> იქვე, 20. 1880 წლის გამოცემაში ეს სახელი ამ ეკლესიას კი არა აქვს მიკუთვნებული,  
როგორც ორიგინალშია, არამედ სიონის SW-ით მდებარეს.

შესამჩნევია, რომ ამ რაიონის დღემდის შემორჩენილი გეგმა ძირითადად უკვე მაშინ ყოფილა შემუშავებული. მთავარი ქუჩები, ისევე, როგორც დღეს, მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, სიონ-ანჩისხატისა და სამეფო სასახლის რაიონიდან იმ გალავნისკენ, რომელიც ფედერაციისა და პუშკინის ქუჩების ხაზს მისდევს. ცენტრალური ქუჩა მეფის მოედანთან იწყება, ჯერ ჩრდილოეთით მიემართება, მაგრამ მალე უხვევს დასავლეთისკენ და სწორხაზოვნად გრძელდება კოჯრის კარამდის (21), რომელიც დაახლოებით იქ ჩანს, სადაც ლესელიძის ქ. („შუა ბაზარი“) ბერიას მოედანს ერთვის. და თვით ეს ქუჩაც, მისი დასავლეთის მონაკვეთი მაინც—ხსენებულ ლესელიძის ქუჩის „წინაპრად“ უნდა ჩავთვალოთ. გარდა მესამე მდებარეობისა სხვა ნაწილებთან შეფარდებით, რაც უკვე თავისთავადაა საკმარისი ამ ქუჩის დასადგენად, აქ გვშველის ეკლესიებიც—ჯიგრაშენი და სურბ-ნიშანი. ამ ქუჩის ჩრდილოეთით ქუჩების განლაგების საერთო ხასიათი ახლანდელს ემსგავსება: სრულიად უეჭველია, რომ უკვე გაყვანილია ის ხაზი, რომელსაც (მცირეოდენი უკვლავებებით) აწინდელი ვერცხლის ქუჩა მისდევს. მისი ერთი თავი ე. წ. დღემდე კარს ებჯინება (ეს კარი, როგორც ითქვა, დაახლოებით იქ იყო, სადაც პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩები ხედება ერთმანეთს), მეორე მხარეს კი მის გაგრძელებას კვლავ მეფის სასახლისკენ მივყავართ. ვერცხლის ქუჩასთან დაკავშირებულ ქუჩათა განლაგება უახლოვდება აწინდელ ავლევისა და მილიციის ქუჩათა და აკოფიანის შესახვევის განლაგებას. ერთი მათგანი თითქმის პარალელურად მისდევდა კალს ჩრდილოეთის ზღუდეს და მთავრდებოდა ე. წ. ქვემო კართან, NO კუთხეში (24). აქ, ისევე, როგორც მეზობლად მდებარე მეიღნის კარის (23) წინაც, ღელეზე ხიდი იყო გაკეთებული.

კალას სამხრეთის ნახევარში კიდევ ორი გრძელი ქუჩა ჩანს: ერთი მათგანი—ენგელსის ქუჩას და მის გამგრძელებელ რიჩინაშვილის ქუჩას ემთხვევა, მეორე კი ლერმონტოვის ქუჩის იმ მონაკვეთს, რომელიც ფედერაციის ქუჩის აღმოსავლეთითაა. გალავანს გარეთ უკვე გარკვევით ჩანს ენგელსის ქუჩის მთელი დანარჩენი სიგრძეც: იგი, როგორც აღინიშნა, კოჯრის ერთ-ერთი გზის დასაწყისს წარმოადგენდა.

ამგვარად, XVIII ს. პირველ ნახევარში უკვე არსებობს ის „ფოლორცები“ და გზები, რომლებიც საფუძვლად დაედო აწინდელ ენგელსისა და რიჩინაშვილის, ლერმონტოვის, ლესელიძის, ბარათაშვილის, ვერცხლის, ფედერაციის, პუშკინის, ყ. კომინტერნის ქუჩებსა და რუსთაველის პროსპექტს, ბერიას, ბებელიას და თათრის მოედნებს, ე. ი. უკვე არსებობს მთელი ამ რაიონის აწინდელი დაგეგმარების ჩანასახი, მისი ჩონჩხი.

ვახუშტისდროინდელი, ე. ი. XVIII ს. პირველი ნახევრის, თბილისი ჯერ კიდევ ტიპურ შუასაუკუნეებრივ ქალაქს წარმოადგენს. «გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვაელითა საესე... სანადირონი მრავალნი ახლოს. ფრინველთა და ნადირთა...», მაგრამ თვით ქალაქის უდიდესი ნაწილი ჩაქედლია გალავანში, რომელიც სალტესავით ეკერის მას ვარს. რაიმე მთლიანი იდეა დაგეგმარებისა ამ დროისთვის—სრულიად უცნობია და თბილისი, ისევე როგორც ფეოდალური ხანის ქალაქთა აბსოლუტური უმე-

ტესობა, მკაფიოდ ამჟღავნებს განაშენიანების სტიქიური, მოუწესრიგებელი ზრდის ნიშნებს.

შუა საუკუნეთა ქალაქები, უფრო ხშირად, რადიალური გეგმით იზრდებოდა ციტადელის, ციხე-დარბაზის გარშემო რადიუსებად გაშლილი გზების გასწვრივ. ამგვარი ცენტრული, ან მარაოსებრი გეგმა ტიპურია მრავალი ევროპული ქალაქისთვის. თბილისის ბირთვიც, როგორც ცნობილია, ციხე-სიმაგრე იყო, მაგრამ ბუნებრივი პირობები ქალაქის ზრდას სხვაგვარად წარმართავდა: მოსახლეობა შეეფინა იმ მთის კალთებს, რომელზედაც ციხე აღიმართა, მერე კი ქალაქი სივრცეში განვითარდა მდინარის გაყოლებით, ორსავე ნაპირზე, რადგანაც მთავარი გზები, რომლებიც თბილისს ქვეყნის სხვა ნაწილებთან აკავშირებს, მტკვრის ხეობას მისდევს და მდებარეობაც—გარშემო არსებული მთები—არ იძლევა სივრცეზე გაშლის საშუალებას. კალას გეგმის საერთო კომპოზიციაზე თუ ვიტყვიტ რასმე, ისევე ის უნდა აღინიშნოს, რომ იგი თითქმის პარალელური ქუჩებით მთელ სივრცეზე იკვეთება რამდენიმე ნაწილად. მაგრამ ამ ნაწილთა შიგნით ქუჩების წესიერ განლაგებაზე, ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლება.

ქალაქის ხუროთმოძღვრული დომინანტი XVIII ს-ში კვლავ ნაჩიყალაა: მისი მდებარეობისა და სიდიდის გამო, იგი ყველაზე მკაფიო, შორიდანვე შესამჩნევ აქცენტს წარმოადგენს. მაგრამ ქალაქის, კერძოდ, კალას დაგეგმარებაში იგი უკვე აღარაა განმსაზღვრელი. კალას გეგმაში საერთოდაც არ არის ისეთი მძლავრი ცენტრი, რომელიც მთლიანად თავს უყრიდეს, იქვემდებარებდეს ყველა სხვა ნაწილს, მაგრამ რაღაც ფუნქციური ცენტრი მაინც არსებობს და იგი უკვე დაშორებულია ძველ ციხეს; ეს მეფის მოედანია, ალბათ მას შემდეგ შექმნილი, რაც ციტადელი სპარსელთა გარნიზონს გადაეცა და მეფემ თავისი რეზიდენცია გადმოიტანა აქ. ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სწორედ ამ მოედნის მახლობლად იყო თავმოყრილი ქალაქის უმნიშვნელოვანესი შენობები; შეიძლება გავიხსენოთ შარდენის ცნობაც, რომ აქვე, მეფის სასახლის პირდაპირ, მდებარეობდა ბაზარი, მოედნის გარშემო იყო მღალაზიებიც, ე. ი. ეს იყო ქალაქის სამეურნეო ცხოვრების ცენტრიც. მაგრამ უკვე მაშინ ჩანს, როგორც ზემოთაც ითქვა, იმ ახალი ბირთვის ჩანასახიც, რომელიც გაცილებით უფრო გვიან—XIX ს-ში, გადაიქცა ქალაქის გულად: აწინდელი ბერიას მოედანი.

ქუჩების მიმართულების ერთი განმსაზღვრელთაგანი რელიეფია და თბილისშიაც, იმ რაიონებში, რომლებიც კალთაზე მდებარეობდა, ქუჩები რელიეფს მისდევდა აღმა-დაღმა და მიხვეულ-მოხვეულად. ეს ჩვენ ახლაც შეგვიძლია ვნახოთ ნაჩიყალის მიმდებარე უბნებში, სადაც ქუჩების კონკრეტული ქსელი იქნებ შეიცვალა კიდევ, მაგრამ განლაგების ხასიათი, უძვეველია, ინარჩუნებს ძველებურ სახეს. მთავარი მაგისტრალები კი, რომლებიც ვახუშტის დროს უკვე ეაკე ადგბლსაა, ისევე, როგორც ყველა სხვა შუასაუკუნეებრივ ქალაქში, საქალაქო კარებთან იყო დაცემიერებული: ამ კარებით ამყარებდა ურთიერთობას ქალაქი, ამ შემთხვევაში კალა, გარეშე სამყაროსთან, აქედან შემოქონდათ საქონელი, აქ ახდევინებდნენ ბაჟს: კარი ერთი ყველაზე ცოცხალ, მოძრავ, ხალხმრავალ ადგილთაგანია ქალაქისა. თბილისს, როგორც დავინახეთ, XVIII ს-ში,

ვახუშტის დროს, ექვსი კარი ჰქონდა: „დასავლით ორი კარი“: კოჭრისა, საიდანაც იწყებოდა როგორც კოჯრის გზა, ისე ჩრდილოეთისკენ მიმავალიც, და დიღმისა, რომელიც გარეთუბანს უყურებდა. „ჩრდილოთ“ აგრეთვე ორი: მეიღმისა და ქვემო კარი, რომელთა წინ, როგორც ითქვა, ხიდები იყო, რადგანაც ჩრდილოეთის კედელს მთელ სიგრძეზე ღელე ჩაუდოდა. ორი სხვა კარი დაბალ ციხეში იყო; ხსენებული განჯისკარი და ის, რომელიც კალას სეიდაბადთან აკავშირებდა. ვახუშტი მის სახელს არ იხსენიებს, მაგრამ „მოურავის სარჩოში“ და კლაროტის მიერ მოხსენებული აბანოს კარი ეს უნდა იყოს<sup>1</sup>.

კალას მთავარი ქუჩები, როგორც აღინიშნა, საკმაოდ სწორხაზოვანია და, ალბათ, შედარებით ფართოც. მაგრამ ის შუკები, შესახვევები, ჩიხები, რომლებიც მათ შორის იყო, ასეთი არ იქნებოდა. განაშენიანების სიმჭიდროვე, ვიწრო, დაქსაქსული, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, მოულოდნელი ჩიხები—შესაუკუნეთა ქალაქის დამახასიათებელია: ევროპის ქალაქებში 5—7 მეტრის სიგანის მქონე ქუჩები ჩვეულებრივი იყო, სამხრეთ იტალიაში კი ეს სიგანე ზოგჯერ 2 და 1 მეტრამდეც მცირდებოდა<sup>2</sup>. ასეთი იყო თბილისიც: „ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნიო“, ლაკონიურად ამბობს ვახუშტი, ხოლო გულდენშტედტი, რომელმაც 70-ე წლებში ინახულა თბილისი, უმატებს, ქალაქი კეთილმოუწყობელია და ანტისანიტარულ მდგომარეობაშიაო: ესეც ჩვეულებრივი რამ არის შუისაუკუნეებრივ ქალაქებში.

როგორიღა იყო თვით შენობები? აქ ადვილი შესამჩნევია—და ფეოდალური ხანის ქალაქისთვის ესეც დამახასიათებელია—მკვეთრი განსხვავება ღარიბი ფენების სახლებსა და არისტოკრატიულ საცხოვრებელთა შორის. უპირველეს ყოვლისა, როგორც მოგზაურთა აღწერა მოწმობს, XVII—XVIII სს-ში მეფის სასახლე ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი და მდიდრულად მოკაზმული ყოფილა: ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) სასახლის შარდენისეული აღწერა ხომ კარგადაა ცნობილი. ამას შეიძლება დავუმატოთ ვახუშტის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ყდ მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი მშვენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდმხატვრობითა, ლაევარდითა და მარმარილოს კედლითა“ (იგი „შემუსრეს ოსმალთ“), და იმავე შარდენის ცნობები საზოგადოებრივი დანიშნულების მშვენიერად აგებული შენობებისათვის (ბაზარი, ქარვასლები, აბანოები და სხვ.). რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა ნეკრის მითითება იმის შესახებ, რომ თბილისის უმდიდრეს მოქალაქეებს თავისთვის „დარბაზები“ ჰქონდათ აშენებული. მართალია, ეს ცნობა XIX ს. დასაწყისის მიეჭთვნება, მაგრამ სრულიად უეჭველია, რომ აქ ძველ ტრადიციასთან გვაქვს საქმე და ვახუშტის სიტყვებიც, თბილისელებს სახლები აქვთ „ზოგთა სპარსთ რიგისა, ზოგთა ქართულიო“, ჩვენთვის რეალური შინაარსით იყვება. მეორე მხრივ, ვახუშტისავე სიტყვით,

<sup>1</sup> „მოურავის სარჩო“ XVIII ს. მიწურულში გადაწერილი საბუთია: საქ. სიძველენი, II, № 496, გვ. 523—524: აქაც ექვსი კარია აღნიშნული, მათ შორის კოჯრის, დიღმისა და განჯისა. იხსენიება აგრეთვე წყლის კარი: ეს ვახუშტის ქვემოკარი უნდა იყოს, მტკვრის ნაპირის მახლობლად მდებარე; ასე აქვს განმარტებული კლაროტს.

<sup>2</sup> Буин, Ильин, Поляков, Шквариков. Градостроительство, 1945, გვ. 95

თბილისში „სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა“, ხოლო გულდენშტედტის თანახმად, ამ დაბალ, ერთსართულიან, ბანიან სახლთა უმრავლესობა არასოლიდური და ნაჩქარევად აგებული ყოფილა. განსხვავება სხვადასხვა ფენის საცხოვრებელთა შორის უფრო შესამჩნევე იმითომ უნდა ყოფილიყო, რომ მეფის, დედოფლის, ბატონიშვილისა და თავადების სასახლეთა უმრავლესობა ერთ უბანში იყო თავმოყრილი მეფის მოედანისა და ქვემო კარს შუა: ეს თავისებურ არისტოკრატიულ უბანს წარმოადგენდა.

ზემოთ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ქალაქის ზრდის მთავარი მიმართულება მტკვრის აღმა იყო, მდინარის მარჯვენა ნაპირზე: ერთი მხრე შარდენისა და ვახუშტის ნახატთა შედარება, მეორე მხრივ, ქალაქის ვახუშტისშემდგომი განვითარება გვიჩვენებს, რომ ზრდა ამ მხარეს, ე. ი. ქვეყნის უმთავრესი გზების, მისი სასიცოცხლო არტერიების გასწვრივ, გაცილებით სქარბობდა სხვა მიმართულებით ზრდას. აქ ძალაუფლებურად ისმის შემდეგი საკითხი: იყო თუ არა ამ რაიონში მოსახლეობა წინათაც, თუ თბილისში პირველად მხოლოდ ამ გვიანს ხანაში გასწია თავისი საზღვრები აქეთ? ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ვახუშტისდროინდელი თბილისი ის ქალაქია, რომელმაც, XIII ს. მოყოლებული, ჯერ ჯეღალედინის შემოსევა განიცადა, შემდეგ მონღოლთა შემოსევის დროს ხანძარს ემსხვერპლა, უფრო გვიან ლანგთემურის ჯარების არაერთგზის თავდასხმას გაუძლო, XV—XVI სს-ში მთელი საქართველოს დედაქალაქობა დაკარგა, ქალაქი, რომელიც ამის შემდეგაც კიდევ არც ერთხელ გადასულა ხელიდან ხელში, არა ერთხელ დანგრეულა და დაბრუნულა. XVIII ს. დასაწყისის თბილისი, რომლის ციტადელშიაც უცხოელთა გარნიზონია ჩამდგარი, ქალაქი, რომლის მოსახლეობაც, ტურჩინფორს თუ დაუუჯერებთ, 20000 სულს არ აღემატებოდა, შეუძლებელია ისეთივე იყოს თავისი ტერიტორიით, როგორც თამარის „სამეუფო“, „დიდად სახელ-განთქმული ქალაქი ტფილისი“ იყო. და მართლაც, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ XII—XIII საუკუნეებში მაინც, თბილისის ფარგლები გაცილებით უფრო შორს იყო გაწეული მტკვრის აყობებით, ვიდრე ვახუშტის დროს: თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში ვარკვევით ჩანს, რომ, მაგ. დიდუბის ველი არც ისე დაშორებული ყოფილა ქალაქის კარს და, მაშასადამე, არც ქვაშეთი და ე. წ. ლურჯი მონასტერი მდებარეობდა ქალაქ-გარეთ.

თბილისი, რომელიც განუწყვეტელი შფოთით, რბევითა და ოხრებით სახვე საუკუნეთა მანძილზე კალას ვიწრო ნაქუქში შეიხიზნა, XVII—XVIII საუკუნეთა განმავლობაში კვლავ იწყებს ზრდასა და გაფართოებას, გარეთუბანი თავისი სიდიდით ისხს აღარ ჩამოუვარდება, და ვახუშტი, რომელიც თბილისის აღწერას ასე იწყებს — „ტფილისი არს სამი ქალაქი—ტფილისი, კალა და ისნიო“, იმავე აღწერის ბოლოს ამბობს: „ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა აწ ტფილისსო“.

ვახუშტის შემდეგ, XVIII ს. ბოლომდის, სანამ საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა, თბილისი არსებითად ინარჩუნებდა თავის ძველ სახეს: 1807—1808 წლებში, როცა იგი კლაპროტმა ნახა, იგი იმავე ნაწილებისაგან შედგებოდა და თვით კალას შემოპლუდველი ძველი გალავანიც კი განაგრძობდა არსებობას, თუმც საკმაოდ შელახული სახით (ილა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ).

რა თქმა უნდა, არც მისი ქუჩების ხასიათი იყო შეცვლილი: ქუჩები ისე ვიწროა, რომ ურემს მხოლოდ უფართოეს ქუჩებში შეუძლია გავლა, ზოგან კი ცხენოსანიც ვერ გაეტევო, წერდა კლაპროტი. დასასრულ, თუ იმავე კლაპროტს დავუჯერებთ, გამოდის, რომ მთელი საუკუნის მანძილზე, ტურნეფორის შემდეგ, თბილისში მცხოვრებთა რიცხვიც არ გაზრდილა: XIX ს. დასაწყისში თბილისში კვლავ 20000-მდე სულია, საკვირველი აქ არაფერია: ქალაქის მაინცადამაინც მნიშვნელოვანი ზრდა ისედაც არ იყო მოსალოდნელი და ალა-მაჰმად-ხანის შემოსევასაც, ცხადია, არ შეეძლო უკვალოდ ჩაეველო.

ამ მცირე ნარკვევის ბოლოს ჩვენ კიდევ ერთხელ, და ახლა უფრო საფუძვლიანადაც, შეგვიძლია ვთქვათ ის, რაც თავშივე გვქონდა აღნიშნული: ვახუშტისეული გეგმა თბილისისა უეჭველად სანდო, დიდი კეთილსინდისიერებით შედგენილი დოკუმენტია, იგი მდიდარ კონკრეტულ მასალას გვაწვდის ქალაქის იმდროინდელი ვითარებისათვის და მის მიხედვით, არსებითად, შეიძლება ვიმსჯელოთ თბილისის შესახებ მთელი XVIII ს. მანძილზე. ვახუშტის გეგმა ნათლად წარმოგვიდგენს ძველ თბილისს—ქართლ-კახეთის სამეფოს დედაქალაქს—მისი არსებობის უკანასკნელ საფეხურზე და მისი მნიშვნელობაც თბილისის წარსულის შესწავლისათვის ფრიად დიდია.

## 8. ჩიბანი

### ხევსურული სახლის „სამნი“

არამედ არიან ოთხივე მთანი ჯენა-  
ხონი, უხილონი, გარნა ნაყოფიერი, პირუ-  
ტყვიანი, ნადირიანი, ბაღაზუვან-ყვავი-  
ლოვანი, წყაროიანი.

ვახუშტი. აღწ. საქ., გვ. 92.

ხევსურეთის მრავალმხრით საინტერესო ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო დანიშნულების ნაგებობები შემდეგი ძირითადი სახეებითაა დამოწმებული: „სახლი“, „სამკედლო“, „ბუჭულა“ (წისქვილი), „ბინა“ (ნაგებობა მთაში, სადაც ზაფხულობით ძროხები აჭყავთ), „სამრეველო“, „ბელელი“, „ხატის კოშკი“, „სამარხი კოშკი“, „ხატი“ და „სა-  
ლლდე“. ამ ნაგებობათაგან საკუთრად სახლი ისეთი შენობაა, რომელსაც და-  
კისრებული აქვს როგორც საცხოვრებელი, ისე სამეურნეო ფუნქციები. სახ-  
ლის ჰერ-ქვეშ მოცემულია ადამიანის სადგომი და მისი მარაგი, ასევე საქონლის  
სადგომი და მისი მარაგი. სახლისაგან დამოუკიდებლად არსებობენ ისეთი  
სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, როგორიცაა „სამკედლო“, „ბინა“,  
„ბუჭულა“, „საღლდე“ და „ბელელი“. ამათგან ორი უკანასკნელი ცალკე ნაგე-  
ბობის სახით იშვიათად გვხვდება. უმეტეს შემთხვევაში ისინი „ხატის“ შენო-  
ბათა ნაწილს შეადგენენ.

საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა „სახლი“ ხევსუ-  
რეთში ოთხი ძირითადი სახითაა დადასტურებული. ამათგან პირველია „კალო-  
იანი სახლი“, მეორე — „კოშკური სახლი“, მესამე — „საბძღური (ანუ „ფშაური“)  
სახლი“, ხოლო მეოთხე — „ბარული სახლი“.

ზემოთ დასახელებული სახლის სახეებიდან პირველი ძირითადად ხევსურუ-  
ლია. იგი შეგუებულია ხევსურების ძველებურ ყოფასთან და შერწყმულია მათ  
სამეურნეო ვითარებასთან.

კალოიანი სახლი „სამთვალისანი“ (სამსართულიანი) „თავგაქრული“ ნა-  
გებობაა, რომლის პირველ თვალს საკუთრად „სახლი“ ეწოდება. ეს თვალი  
უმთავრესად განკუთვნილია „ყვერფისა“ (კერა), ჯალაბობისა და პირუტყვისა-  
თვის, აგრეთვე ოჯახის „ბუნაგის“ შესანახავად. მეორე თვალს სახელად შერ-  
ქმეული აქვს „ჰერხო“. იგი მამაკაცთა სადგომია და ადამიანისა და საქონლის  
მარაგის საცავი. სახლის მესამე თვალი „კალო“-ა, ანუ „მალალი ბანი“, სადაც  
ზამთარში ყინულზე პურს ღეწავენ, ხოლო მისი „დაფარებული კალო“ ბარგის  
(საჭურვლის, იარაღის) შესანახავი ფარდულია.



სახლის ამ ტიპის გავრცელების არე ხევისურეთში ნიშანდობლივადაა მოცემული. იგი გავრცელებულია ერთიანად ხევისურეთის ძირითად ნაწილში, პირაქეთ ხევისურეთში, რომელსაც „მირგვალი“ და „ბუღე ხევისურეთი“ ეწოდება. ხევისურეთის ამ ნაწილისათვის კალიოანი სახლი გამატონტებული და დამახასიათებელი სახეობაა. აქა-იქ ეს სახლი ხევისურეთის ორ დანარჩენ ნაწილშიც მოიპოვება, სახელდობრ, მიღმა-ხევსა და არხოტში.

კოშკური სახლი ოთხ ან მეტ თვალანია. პირველი თვალი მსხვილფეხა საქონლისთვისაა განკუთვნილი (მას „საძროხე“ ეწოდება, თუშური „ბაშტე“), მეორე—წვრილფეხა საქონლისათვის („ზედა შუას“ უწოდებენ), მესამე—ყვერფისა (კერისა) და ჯალაბობისათვის („შუა“), ხოლო მეოთხე—„ქერხო“—მამაკაცებისათვის და მარაგის შესანახავად. კოშკური სახლი გავრცელებულია ხევისურეთის იმ ნაწილებში, რომელთაც მიღმა-ხევი და არხოტი ეწოდებათ. სახლის ეს სახე მეტ-ნაკლებად შეგუებულია პირიქითი ხევისურეთის მაღალმთიანი ზოლის მეურნეობის მოთხოვნილებებთან. „მირგვალი“ ხევისურეთისაგან განსხვავებით აქ, პირიქით ხევისურეთში, მეცხვარეობას მეტი მნიშვნელობა აქვს მოპოვებული. პირაქეთ ხევისურეთში თითო-ოროლა ცხვრის მეტი არა ჰყავთ, პირიქითში კი ცხვრის რაოდენობა დიდია. ამ სხვაობას თავისი განსაკუთრებული გამოსახულება სახლის აღნაგობაშიც უპოვია. „კალიოან სახლში“ ცხვრისათვის ცალკე სადგომი არ არის გამოყოფილი, სამაგიეროდ „კოშკურ სახლში“ მეორე სართული მთლიანად ცხვრისთვისაა განკუთვნილი. პირველ შემთხვევაში კი სახლის ქვემო თვალის უდიდესი ნაწილი მხოლოდ მსხვილფეხა საქონლის სადგურადაა მიჩნეული, სახლის ორი სახეობის ზემოთ დასახელებული ფუნქციონალური სხვაობა მიუთითებს იმ სხვაობაზე, რომელიც არსებობს მირგვალი ხევისურეთისა და მიღმა ხევისურეთის მეურნეობაში. სახელდობრ: პირველში ჩვენ ვაქვს უმთავრესად და უპირატესად მსხვილფეხა მესაქონლეობა, ხოლო მეორეში წვრილფეხა მესაქონლეობა მსხვილფეხა მესაქონლეობასთანაა შერწყმული. ამას, როგორც ქვემოთ დაერწმუნდებით, არა მცირე მნიშვნელობა აქვს ჩვენი კვლევის საგნისათვის.

ზემოთ ჩვენ მიერ აღნიშნულ სხვაობასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ კოშკური სახლი, პირიქით ხევისურეთის გარდა, გავრცელებულია მის ჩრდილოეთით და თუშეთში. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სახლის ეს სახეობა შეიძლება საზიარო იყოს პირიქით ხევისურეთისა და მისი ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მეზობლებისათვის. სახლის ამ სახეობის ერთ თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ მას აქვს ჩარდაბი და სათოფურები.

ბარული სახლი ერთთვალანია. ის ქართლური ბანიანი მიწურების ტიპისაა. გავრცელებულია პირიქით ხევისურეთის არხოტის თემში. როგორც ბოლო ხანების მიწურები, აქაური ბარული სახლიც მიწის ზემოთ მდგარი ნაგებობაა. მის კედლებს დატანებული აქვს ფანჯრები. ხევისურეთის სხვა ნაგებობათა შორის ეს სახლი დაწინაურებული ტიპისაა. როგორც სხვა შემთხვევებშიც, სახლის აღნიშნული ტიპი პირველად არხოტში ჩნდება. არხოტი ხევისურეთის სხვა ნაწილებს შორის ძველიდანვე უფრო მეტად პროგრესული იყო, ხოლო მირგვალი ხევისურეთი—ტრადიციული და ჩაკირული, მიუხედავად იმისა, რომ

ხევისურეთის ეს უკანასკნელი ნაწილი ქართლ-კახეთის ცენტრებთან ტერიტორიულად უფრო ახლოა, სახლის ეს ტიპი არხოტში სამხედრო გზის მეშვეობით უნდა იყოს შესული. ბარული სახლი ხევისურეთის ჩრდილოეთითაც მოიპოვება, რასაც სათანადო ლიტერატურა ამოწმებს<sup>1</sup>.

რაც შეეხება ვგრეთწოდებულ საბძლურ სახლს, ის ხევისურეთის სხვა სახლების მსგავსად ქვითაა აგებული, ოღონდ, სხვა ტიპებისგან განსხვავებით, მისი სახურავი ორფერდაა, ორწახნაგოვანი. ამ მაჩვენებლითა და თავისი ერთსართულიანობით ეს სახლი ფშაური სახლის გარკვეული ტიპის მსგავსია. მას ხევისურეთში ფშაური სახლიც ეწოდება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ხევისურეთში ორფერდა სახურავი, საბძლურ სახლს გარდა, ხევისურულ ხატებს აქვთ<sup>2</sup>. ეს ფაქტი იმდენად გავრცელებულია ხევისურეთში, რომ მას არც ერთი გამონაკლისი არ ახლავს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხევისურეთის ხატების სახურავი სავანგებო მზრუნველობის საგანია, მისი შეკეთება მხოლოდ ხატის მსახურთ შეუძლიათ, ისიც ძველი გეოგრაფია, — ორფერდოვანი სახურავი ხევისურებისათვის ძველი ხანიდან უნდა იყოს ცნობილი.

ზემოთქმულთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ხევისურეთში საბძლური სახლი დამხმარე ნაგებობაა, რომელსაც ხევისური იყენებს თავის გამძლო მურნობასთან (მსხვილფეხა მესაქონლეობასთან) დაკავშირებით. სახელობრ, როდესაც მსხვილფეხა საქონლის საშამთრო საკვები კალოიანი სახლის ჭერბოში გამოილევა (რასაც ჩვეულებრივად ადგილი აქვს გაზაფხულის პირზე), ის თავის საქონელთან ერთად საბძლურ სახლში გადადის, რომელიც სოფლის განაპირას ან ჭალაში დგას. აქვეა დაგროვებული საქონლის საკვები მარაგი. საქონლის გამოკვების გარდა, საბძლურ სახლთან დაკავშირებულია სასუქის დამზადება მახლობელი საყანე მიწებისათვის. გავრცელების მიხედვით სახლის ეს ტიპი სპორადულად გვხვდება, როგორც მირგვალ ხევისურეთში, ისე მიღმა ხევში (პირიქითში).

როგორც დავინახეთ, ხევისურეთში დადასტურებული საცხოვრებელი და სამურნეო დანიშნულების ნაგებობათა ოთხი ტიპიდან ძირითადი, ხევისურეთისათვის დამახასიათებელი და ტიპობრივია კალოიანი სახლი. ეს სახლი თავისი აღნაგობისა და გეგმის მიხედვით კომპლექსურია, გამოყენების მიხედვით რთული და მთის ზოლის მურნეობასთან სათანადოდ შეგუებული.

მთის ზოლის მურნეობა, ხანგრძლივი და ცივი ზამთრისა და სამოდრად ძნელი ხეობების არსებობის პირობებში, მოითხოვს ნაგებობის ისეთ ტიპს, რომელშიც საცხოვრებელი და სამურნეო ნაგებობანი ერთად და ერთ ჭერ-ქვეშ არის მოქცეული და ვერტიკალურ განზომილებაშია მოცემული. ამ მხრივ სხვა ვითარებაა ბარის ზოლის მურნეობაში. აქ საცხოვრებელი და სამურნეო ნაგებობები ჰორიზონტალურ განზომილებაშია გაშლილი, რამდენიმე სახურავის ქვეშ და ცალკეული ნაგებობის სახითაა წარმოდგენილი<sup>3</sup>.


<sup>1</sup> Br. Plaetschke. Die Tschetschenen, Hamburg, 1929, გვ. 77 და შვდ.

<sup>2</sup> В. Бардавелидзе. Опыт социологического изучения хевсурских верований, Тифлис, 1932, გვ. 18—19.

<sup>3</sup> ვ. ჩ ი ტ ა ი ა. გლეხის სახლი ქვაბლიანში. მიმოშინიველი, I, ტფ. 1926.

როგორც ცნობილია, ტპობრივი ბარული მიწურის საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების კომპლექსი მაშინაც კი, როდესაც ის ერთადაა მოცემული, რამდენიმე სახურავის ქვეშ არის მოქცეული<sup>1</sup>. ბარის მეურნეობის პირობებთან შეფარდებით „მიწური“ სახლის კომპლექსი რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულადაც ნაწევრდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს ნაგებობის კომპლექსი მივიდან ზემოთ ამოდის. დანაწევრება აქ აშკარაა. ამ შემთხვევაში ცალკე ნაგებობის სახითაა მოცემული სახლი, ბოსელი, საბძელი, ბეღელი, მარანი და სხვა.

სამაგიეროდ მთის ზოლის მეურნეობის პირობების შესაბამისად „კალოიანი სახლი“ მრავალსართულიანი ნაგებობაა, რომელიც ითავსებს „სახლს“, „ბოსელს“, „საბძელს“, „ბეღელს“. ერთი სიტყვით, როგორც ადამიანის სამყოფს, ცხოველების სადგომს, ასევე ადამიანის საქმლის მარაგისა და ცხოველის საკვების საცავს. ეს სახლი აგრეთვე სხვა საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, სოციალურ და რელიგიურ ფუნქციებსაც ასრულებს. ყოველივე ეს ამ სახლში ერთ-ერთ-ქვეშ, ერთი სახურავის ქვეშაა მოცემული. აქ „მაღალ ბანზე“ ზამთარში კალოობაც კი იმართება ხოლმე (ნახ. 1).



ნახ. 1. ხევსურული კალოიანი სახლი. სოფ. ბარისახო.

კალოიანი სახლის სამეურნეო ფუნქციებიდან მთავარია მასთან დაკავშირებული მსხვილფეხა ქესაქონლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. იგია ამ საქონლის სადგომი, მისი მარაგის საცავი; აქვე ხდება რძის პროდუქტის დამზადება და შენახვა.

გავეცნოთ კალოიანი სახლის ზოგიერთ მხარეს.


კალოიანი სახლის პირველი თვალი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

1) „შინა“ (შინა მოიცავს „ყვერფსა“, „ლომელსა“, „ნაწოლსა“, „სახბორესა“.

<sup>1</sup> გ. ჩიტიია. გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმოზიხილელი, I, ტფ. 1926.

„სახოსტაგესა“ და სხვ.), 2) „საპროხე“, 3) „სენე“ || „სენა“, 4) „ეზო“, 5) „საცხენე“ და 6) „ჭარიპანი“ (ნახ. 2, გეგმა). სახლის ამ თვალში აგრეთვე აღსანიშნავია: „შუქუმები“, „დექანი“, „კულა“, „ლიბუ“, „დარანი“, „ასაყარი“, „კეზი“, „ქაზდარი“, „ზღვე“ და სხვ.

სახლის მეორე თვალში, კერძოში, მოცემულია: 1) „წინგარდა“, 2) „კერ-



ნახ. 2. ხევსურული კალიძანი სახლის პირველი თვალი. სოფ. ბარისახო.

ზოს ქარიპანი“, 3) „სალოგინე“, 4) „კერხო“ — „ყვერბით“, „დექნებით“, „შუქუმებით“, „სასწორფრო კარით“ და სხვ.

მესამე თვალს აქვს „მაღალი ბანი“ და „დაფარებული“ კალო“.

სახლის პირველი თვალის „შინა“ ნაგებობის ის ნაწილია, რომელიც განკუთვნილია ჯალაბობის საცხოვრებლად და სამუშაოდ, ცეცხლის ადგილად და ზოგიერთი მარაგის შესანახავად. „საძროხესაგან“ „შინა“ გამოყოფილია „ნაწლაეთ“<sup>1</sup> (მოწნული კედლით), რომელიც ჰერამდე აღის. შინის გარეკედელში შუქუმია მოწყობილი შუქის შემოსასვლელად, ხოლო შიდა კედელში, რომელიც შინასაგან გამოყოფს „სენე“ || „სენას“, — „საკვამეა“ ბოლის გასასვლელად. „ყვერფზე“ ჰერში „ასაყარია“ გამართული, რომელზედაც ხის საკიდარი ან რკინის ჯაპვი ჰკიდია. აქვე, ყვერფის მეზობლად, „ღომელი“ დგას, რომელიც პურის საცობადაა განკუთვნილი.



ნახ. 3. „შინა“

ამათ გარდა შინაში მოთავსებულია სხვადასხვა დანიშნულებისა და სახის „კასრები“, „კიარდები“, „სასანთბე“, „მაქალოზი“ და სხვა. კასრებში ინახება „წნილები“, „სატანი“ და ხორაგი. კედლებში დატანებული „დუქნები“ (განჯინები) გამოყენებულია სხვადასხვა საოჯახო ნივთის მოსათავსებლად. აქვე დგას კარადა ჯამებისა და სხვათა შესანახავად და „კართანულა“ — კარადა, რომელიც შინაში შემოსასვლელ კართან დგას და რომელშიც ნაფქვავია დაცული. კედლის გასწვრივ ჰერზე მიმაგრებულია „ისკორტა“, რომელიც გამოყენებულია სხვადასხვა „ბუნავის“ ჩამოსაკიდებლად: „ქინთი“, „სამარილე“, „ფანდური“, „დაშნა“, „ტრმალი“ და სხვ. აქვე დგას „ტაბლა“ და „ჩეკი“. „ყვერფის“ მიდამო ორ ნაწილადაა გაყოფილი. „სამამაცო“ მხარეზე მოთავსებულია „მერხი“ || „სკამლოგინი“, ჩვეულებრივად მდიდრული ორნამენტით შემკული, ხოლო „სადიაცოს“ მხარეზე დევს „ჩაფი“ — მოწნული საწოლი დედაკაცისათვის (ნახ. 3).

<sup>1</sup> შტრ. არნ. ჩიტაია. ტანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ. 1938. გვ. 161.

შინასა და საძროხეს კედლები „ლიბუზე“ (საძირკველზე) არის ამოყვანილი. ლიბუს გასწვრივ „დარანია“ მოწყობილი ნიადაგის წყლის ასარიდებლად საძირკელისაგან. სახლის კედელი მშრალადაა ნაგები, ოღონდ საჭიროების მიხედვით ის წვრილი ქვითაა „დაქვორილი“ და გავოზილია აშელილი საქონლის პატივით. უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურეთში ქვით მშრალად აგებულ კედელს „ყორე“ ეწოდება, ფიცრისაგან აშენებულს—„კედელი“, ხოლო მოწნულს—„ნაწლავი“ || „ნაწოლა“.

სახლის აგების ტექნიკის მიხედვით საგულისხმო ფაქტია ის, რომ მირვალი ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ბოლო დრომდე კირს არ იყენებდნენ. თუმცა ხევსურულ პოეზიაში ქვეთკირი მრავალგზის არის მოხსენებული, ხევსური ყოფაში არ იცნობდა არც კირისათვის გამოსადეგ ქვას, არც საკირე ქურას, არც ამ საქმისათვის საჭირო სხვა მოწყობილობასა და იარაღს. ბუნებრივად იზადება კითხვა, ხომ არ არის ამ მოვლენაში მშენებლობის ტექნიკის უძველესი ტრადიცია შემონახული, ხომ არ მომდინარეობს ეს ტრადიცია გმირთ-ნაკვეთ ნაგებობათა ხანიდან, რასაც მხარს დაუჭერდა ხევსურეთის ნაგებობებში დამოწმებული კირის თავქუდის აგების ძველებური ხერხი<sup>1</sup>.

ხევსურული სახლის ქვემო თვალის ერთს საყურადღებო თავისებურებას მისი „თავგაქრულობა“ შეიძლება. თავგაქრული სახლის ქვემო თვალის უკანა კედელი წინა კედელთან შედარებით დაბალია. ამ კონსტრუქციული წესის მიზანია გაადვილდეს ბოლის დენა საკვამისა და კარებისაკენ.


მაგრამ ხევსურული სახლის ქვემო თვალი სხვა მხრივაც საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი შეიცავს კულტურულ-ისტორიულად ღირებულ მრავალ ელემენტს, რომელთა შესწავლა ქართველი ტოპების მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხებს გაარკვევს. ეს ელემენტებია ყვერფი, ვსო, კულა, სენე და სხვა. ამათგან ჩვენ გვინდა ერთ ელემენტზე, სახელდობო, სენეზე განსაკუთრებით შევჩერდეთ (ნახ. 4).

ხევსურული სენე შინას წინა კედელთანაა მოწყობილი. იგი ერთი მხრით იყენებს შინას გვერდის ყორის გაგრძელებას, მეორე მხრით—შინას წინა ყორეს, ხოლო მისი მესამე და მეოთხე კედელი მოწნულია („ნაწლავი“) და ფიცრული („კედელი“). სენეს გვერდის ყორესა და კედელში შექუშვებია დატანებული, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

ხევსურულ კალიონ სახლში სენე ჩვეულებრივ იმ ვარაუდით ეწყობა, რომ იგი სახლის ისეთ კუთხეში უნდა მოწყვეს, სადაც ქარი მეტად სცემს. ამისათვის საჭიროა ეს ვარაუდი სახლის აგებისას წინასწარ იყოს გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ხევსურული სენე თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ შეასრულებდა.

<sup>1</sup> ლ. შ. ოველი. ცხოვრ. ქართველთა: ქართლ. ცხ., მარიამ დედოფლისძეული ვარ., გვ. 10; W. Belck, Bauten und Bauarten der Chalder: Verhandl. d. Berl. Anthr. Gesellsch., 1895, გვ. (602).

ხევსურული სენე დანიშნულების მიხედვით სახლის ის ნაწილია, სადაც რძის პროდუქტების დამზადება წარმოებს. მასში დგას: 1) „საზისცვრე“ (რძეს ხევსურულად ეწოდება—„ზისცვარი“, აპარულად—სძე, ზე)<sup>1</sup>, რომელშიც ბაქნებია მოთავსებული, 2) გოდრებდაფარებული „ბაქნები“ (ქაზდარზე—ნიადაგზე), 3) „საზურე“ (ხის ჭურჭელი ნაღებისათვის), 4) „საწველელი“, 5) „ყუიკა“, 6) „კასრები“ (ერბოსა და „სატანისათვის“), 7) „ქინკლე“; მასში ჰკიდია: ა. „ვარია“ (სადღვებელი), ბ. „საკალტე, გ. „ხასუნა“, დ. „სატანის საწური“, ე. „წამალა“; მასშივე დევს: „სერცხა“ და „საწური“.



ნახ. 4. ხევსურული სენე, ს. ბარისაზო.

უნდა აღინიშნოს, რომ მირგვალი ხევსურეთი განსაკუთრებით მსხვილდება მესაქონლეობის ქვეყანაა. მისი მეურნეობის სპეციფიკურობას მსხვილდება მესაქონლეობა შეადგენს. იმ დროს, როდესაც მისი მეზობელი ქართველი ტომები თუშები, ფშაველები, მოხვევები, გულამაყრელები წვრილდება მესაქონლეობას მისდევენ,—ხევსური ისევ და ისევ ძროხის მეურნეობას არ ეშვება და ძროხასთან დაკავშირებით თავის სახლ-კარს არ სცილდება.

ხევსურეთის ყოფის რიგი მოვლენები მისი მეურნეობის ამ თავისებურებასთან არის დაკავშირებული. ისიც აღსანიშნავია, რომ ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში განსაკუთრებით დაწინაურებულია რძის პროდუქტის დამზადება. ხევსურული ერბო თავისი კარგი თვისებებით განთქმულია.

რძის პროდუქტის ამგვარი მაღალი თვისება, რა თქმა უნდა, როდია შემთხვევითი მოვლენა. იგი აქ ორი გარემოებითაა შეპირობებული: 1) რძის პროდუქტის დამზადების შედარებით მაღალი ტექნიკით და 2) ხევსურული

<sup>1</sup> სტ. მენთეშაშვილი. აპარის ეთნოგრაფიული მასალები. ენიშვის მოამბე, II 1939 წ., გვ. 174; არნ. ჩიქობავა, op. cit., გვ. 94.

ძროხის მაღალი საბონიტეტო თვისებებით. თქმა არ უნდა, რომ ერთიცა და მეორეც ისტორიულად გამომუშავებული, ხალხის შრომითა და ოფლით მოპოვებული მიღწევია. განვახილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ხევისურული ძროხა მრავალი საბონიტეტო თვისებითაა შემკული. ხევისურებსა და ქართველების სხვა ტომებს საუკუნეთა მანძილზე დიდად უშრომიათ ამ ჯიშის გაუმჯობესებაზე. თავისი ჩამომავლობით ეს ძროხა ძველი კოლხური ძროხის ჯიშისა უნდა იყოს, რომელსაც, პატარა ტანის მიუხედავად, დიდი წველადობა ახასიათებდა<sup>1</sup>. ხევისურულ ძროხას დღეს ახასიათებს მაღალი წველადობა, ხოლო მის რძეს—დიდი ცხიმინაობა. ხევისურულ ძროხას ეს თვისებები შეძენილი აქვს ადამიანის კულტურული ზეგავლენის შედეგად, კერძოდ, საკვების შერჩევა-გაუმჯობესების გზითაც. საქოვარ-საბალახოს შერჩევას ხევისურეთში დიდი ყურადღება ექცევა<sup>2</sup>.

ცხადია აგრეთვე, რომ კარგი ერბოს დასამზადებლად აუცილებელი პირობაა სათანადო თვისების რძე. ამასთან ერთად საჭირო და აუცილებელია რიგი ღონისძიებები, რომელთა შემწევობით შესაძლებელი ხდება მაღალიღირსების პროდუქტის მოპოვება.

ამ ღონისძიებათა რიცხვს ეკუთვნის ხევისური-მეურნის ის შესანიშნავი დაკვირვება, რომლის მიხედვით ერბოს დამზადების პროცესში რძე და რძის ნაღები (ხევისურულად „ზეური“) არ უნდა დამეყდეს. ამ ღონისძიების ეფექტური განხორციელებისათვის საღვთესო პირობას ხევისურული სენე იძლევა.

როგორც ზემოთ ითქვა, სენე ეწყობა სახლის ისეთ კუთხეში, რომელიც ქარის მხარეზეა. აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ სენეს ქვის კედელში (ყორწში), ასევე ფიცრის კედელში („კედელში“) მოწყობილია შუქულები, რომელთა შემწევობით სენეში ჰაერის მუდმივი ცირკულაცია ხდება. ამას არამცირედად ხელს უწყობს სენეს მდებარეობა ქარის მხარეზე.


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხევისურები ერბოს მხოლოდ ნაღებისგან აკეთებენ. იმისათვის, რომ რძემ ნაღები მოიგდოს, ისინი რძეს პირფართო ბაქნებში (გობებში) ჰყენებენ, რომელთა ერთი ნაწილი სენეში საზიცვრეშია ჩადგმული, ხოლო მეორე ნაწილი—აქვე ქაზდარზე დგას. ამ უკანასკნელთა გოდრები ჰსურავთ. რძის თავზე მოდგმულ ნაღებს ხევისურები აგროვებენ აქვე, სენეში, მღვარ საზეურში. ამგვარ პირობებში რძესა და ნაღებს დამეყვებისაგან იცავს ჰაერის მუდმივი ცირკულაცია სენეში. რაც შეეხება ნაღებს, ის ორმაგადაა დაცული დამეყვების პროცესისაგან, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ნაღები მოათვისეს საზეურში, მას საზეურიდან სისტემატურად აცლიან სველს. ამ მიზნით საზეურს გვერდზე ძირთან საგანგებო შუშუტი აქვს დატანებული. ზემოთქმულს ერთვის აგრეთვე სხვა ღონისძიებები, რომლებიც არსებითად საუკეთესო ღირსების პროდუქტის მიღებისათვის დაკავშირებული და ამ დარგში ხევისურთა კულტურული მიღწევების დამადისტურებელია.

<sup>1</sup> B. Latyshev. Scythica et Caucasia, ტ. I, გვ. 375—376.

<sup>2</sup> ამ საკითხზე დაწერილებით იხ. ჩემი „ხევისურული სადღვებელი“, იბეჭდება საქ. სახ. მეტ. მოამბეში.



ზემოაღნიშნულს ისიც უნდა დავძინოთ, რომ ხევესურული სენე არა მარტო  
 რძის პროდუქტის დამზადებისათვისაა განკუთვნილი, არამედ სენე ის ადგილია,



ნახ. 5. სამკითხაო ბეჭი. 1. ღიასახლისის სიკედილი, 2. ახალზღის  
 კვალი, 3. სენე (წველა-დღეება), 4. შინაური მკედარი, 5. სახლისკა-  
 ცის სიკედილი, 6. ბეჭვის აკვანი, 7. „სისხლის მკედარი“, 8. ნაჭრე-  
 ვიანობა, 9. საქონლის სიკედილი, 10. მთის გატება.

სადაც რძის პროდუქტებსაც ინახავენ, ერბოსა და სატანს (ყველს). ამ მხრივ  
 ის რძის პროდუქტის საკუქნაოც არის. როგორც ვხედავთ, სენე თავისი დანი-

შნულების მიხედვით, ორივე შემთხვევაში, რძის მეურნეობასთანაა დაკავშირებული და ამ მეურნეობის მოთხოვნილებებს ემსახურება.

მაგრამ ხევისურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მარტოდმარტო ზემოთქმულით არ ამოიწურება მონაცემები სენეს შესახებ.

ხევისურებში, როგორც ბევრ სხვა ხალხშიც<sup>1</sup>, გავრცელებული იყო თიკანბატკნის ბეჭე მკითხაობა. სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია, რომ ეს ჩვეულება უძველესი ხანიდან მომდინარეობს<sup>2</sup>. ხევისურეთში ბეჭე „დაწერილის“ მიხედვით წლის მანძილზე მოსალოდნელი შემთხვევების შესახებ ვარაუდს იჭერდნენ. მკითხაობის საგანი იყო ადამიანის სიცოცხლისა და მეურნეობის დამახასიათებელი მომენტები. ბეჭე იკითხებოდა: „დიასახლისის სიკვდილი“, „სისხლის მკვდარი“, „შინაური მკვდარი“, „ახალზღის კვალი“, „სახლის კაცის სიკვდილი“, „ნაჭრევიანობა“, „ზავშვის აკვანი“, „საქონლის სიკვდილი“, „მთის გატეხა“ და „ოჯახის ბარაქა“ („ნაწველ-ნადღევების“ რაოდენობა) (ნახ. 5).

ამ უკანასკნელს ხევისურები ცნობდნენ ბეჭის თავის ხრტილოვანი ნაწილის მიხედვით. ბეჭის ამ ნაწილს ისინი სენე ო სენას უწოდებენ. რამდენად დიდია სენე, იმდენად მეტია ოჯახის ბარაქა, ე. ი. მოსალოდნელი ნაწველ-ნადღევები<sup>3</sup>. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიასახლისის ნიშანს ბეჭე „ყვერფი“ ეწოდება. სამკითხაო ბეჭე „სენე“ „ყვერფის“ მახლობლადაა მოთავსებული. სამკითხაო ბეჭე სენეს წარმოჩენა კვლავ ადასტურებს სენე ო სენას კავშირს რძის მეურნეობასთან და ამასთანავე სენეს ამგვარი ფუნქციის სიძველეზე მიუთითებს.

როგორც მარანი ღვინის დასამზადებელი და შესანახავი ნაგებობაა, ხოლო ბელელი მარცვლეულის (საქუწნაოა, ასევე დაფერენტირებულად ხევისურული სენე რძის პროდუქტის დასამზადებელი და შესანახავი ნაგებობაა, ხევისურული კალოიანი სახლის ქვემო თვალის ნაწილია. იგი ემსახურება ხევისურეთის სპეციფიკურ მეურნეობას—მსხვილფეხა მესაქონლეობას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სენე ო სენა ხევისურულ პოეზიაშიც მოიხსენიება<sup>4</sup>.

ხევისურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თავისი დანიშნულების მიხედვით ასე ძკათოდ წარმოჩენილ სენე ო სენას პარალელები ქართველების სხვა ისეთ ტომებშიც მოგვაგვება, სადაც მსხვილფეხა მესაქონლეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სახელდობრ,—აჭარლებსა და მესხებში.

აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები სამი ძირითადი სახითაა დამოწმებული. ნაგებობათა თითოეული ძირითადი სახე შეფარდებულია აჭარის გეოგრაფიულ პირობებსა და მის სამე-


<sup>1</sup> A. Haxthausen. Transkaukasien, II, Leipzig, 1856, გვ. 172—173.

<sup>2</sup> E. Eisenberg und Paudler. Das Wahrsagen aus dem Schulterblatt eines Säugetieres: Internationales Archiv für Ethnographie, ტ. XXXVIII, Leiden, 1940, გვ. 112—118. რეგ. ამ ნაშრომზე იხ. Anthropos, ტ. XXXV—XXXVI, გვ. 387—388, Freiburg, 1942.

<sup>3</sup> ვსარგებლობ ასს. თ. ო ჩ ი ა უ რ ი ს მიერ მოწოდებული მასალით. შდრ. მ. ბ ა ლ ი ა უ რ ი, მესაქონლეობის წესები ხევისურეთში. ისტ. ინსტ. ვინ. განყ. არქივი, ხელნაწ. № 33, რეგ. 3, გვ. 137—138. თ. ო ჩ ი ა უ რ ი მასალის მოწოდებისათვის მადლობას მოვასწავებ.

<sup>4</sup> აკ. შ ა ნ ი ძ ე. ქართ. ხალხ. პოეზია, I, ხევისურული, 1931, გვ. 31.

ურნეო და კულტურულ-ისტორიულ ვითარებასთან. ნაგებობათა ძირითადი სახეები შემდეგია: „ჩარხილი“ და „ორთა-სახლი“—ბარში, „ჯარგვალა-სახლი“—„ფერდაში“ („ყიშლა“), ხოლო „ხულა-სახლი“—თაში („იაილა“). ჩარხილი და ორთა-სახლი ჩვეულებრივად ორ ან სამსართულიანია, ჯარგვალა—ერთსართულიანი და ხულა-სახლი წესისამებრ—ორსართულიანი. სახლის ეს უკანასკნელი ტიპი მეტად საინტერესოა თავისი აღნაგობით. იგი მოგვაგონებს ძველი კოლხების სახლებს, როგორც ეს ვიტრუვიუსს აქვს აღწერილი<sup>1</sup>.





ნახ. 6. აჭარული ხულა-სახლი. იაილა ბეშუმი.

როგორც ზეესურეთში, აჭარის მთიან ზოლშიც მსხვილფეხა საქონლის მეურნეობაა. აჭარელს საქონელი ზამთარში და გაზაფხულზე სოფელში ჰყავს. შემოდგომით, ვიდრე სოფელში ყანები აიღება, ფერდაში ამყოფებს, ხოლო ზაფხულში მთაში მიჰყავს, სადაც თვითონაც აღის ჯალაბობით (იაილაზე). აქ იგი ხულა-სახლში თვითონაც ცხოვრობს, ღამით საქონელიც უყენია და მეურნეობასაც ეწევა (ნახ. 6).

ხულა-სახლში ქვემო სართული საქონლისთვისაა განკუთვნილი (ბოსელი), ხოლო მეორე სართული ადამიანის სადგომი, ცეცხლის ადგილი და რძის პროდუქტების დასამზადებელია. მეორე სართულში სამი განყოფილებაა: „იაზული“, „საცეცხლური“ და „სარძიე“. ამ უკანასკნელში წარმოებს რძის პროდუქტების დამზადება და შენახვა, კერძოდ—კარაქისა.

<sup>1</sup> Vitruvius. De architectura libri decem, გამოც. F. Krohn-ისა, Lipsiae, 1912, 33-16.

ხეცსურების მსგავსად, აპარლები კარაქს მხოლოდ ნაღებისაგან დღევამდე<sup>1</sup>. შეიძლება გადაპრით ითქვას, რომ ხულა-სახლის სარძიე თავისი დანიშნულებით ხეცსურული კალიონი სახლის სენე || სენას ადეკვატურია. ხეცსურული სენეს მსგავსად, აპარული სარძიე სახლის ისეთ კუთხეში იგება, სადაც კარც უფრო მეტად ხედება. კიდევ მეტი: იმისათვის, რომ სარძიეში ჰაერის ცირკულაციამდმივად ხდებოდეს, სარძიეს კედლის ძელებს დატანებული აქვს ნაჩერტები („პიკინები“), რომელთა შემწეობით გარეგანი ჰაერი სარძიეში ადვილად შედის. ამის გამო სარძიეში ჰაერი სათანადოდ იწმინდება და მასში საკურო ტემპერატურული რეჟიმი მყარდება. ზემოთქმულს იმასაც დავძენთ, რომ, როგორც ხეცსურეთში, აქაც სარძიეში პირგანიერი ვიზუებით დგას რძე ნაღების მოსავლება. აპარაში სარძიეს სამზამეც ეწოდება (ნახ. 7).




ნახ. 7. აპარული ხულა-სახლის  
კრილი. იაილა ბეშუმი.

თავის დროზე ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ „აქ (ი. ი. აპარაში) აკეთებენ ყველს—ერთი იქნების ი, იე, და კ ლიტრა, არაოდესვე წახდების, არცა დაობდების, რაჟამს გნებავს, შემგბარი კეთილ სახმარ არს“<sup>2</sup>. ვახუშტი ის ცნობა იმას მოწმობს, რომ აპარლები რძის პროდუქტების დამზადების ერთ დარგში საკმაოდ დაწინაურებული ყოფილან. მაგრამ აპარლების ამგვარი დაწინაურება ჩანს აგრეთვე კარაქის დამზადების ხელოვნ-

<sup>1</sup> ნაღები იღლებება ხის ან თიხის საღებავებში, რომელსაც აქ „ღვარია“ ეწოდება (შდრ. სტ. შენთეშაშვილი, *op. cit.*, გვ. 174—175)

<sup>2</sup> ვახუშტი. აღწერა etc., თბ. 1941 წ. გვ. 154.

ნებაშიც, ჩვენი აზრით, ამას ადასტურებს ზემოთ გამოვლენილი ორი გარემოება:  
 1. სარძიეს გამოყენება, ხევესურული სენე || სენას მსგავსად, კარაქის დამზადების პროცესში და 2. ნაღების შეღღება კარაქად. ზემოთქმულს დავძენთ, რომ



ნახ. 8. დარბაზული სახლი, ს. უდე.

აქარლები კარაქს ამარილებენ და ტყეჩის ყუთებში ინახავენ, ხევესურები კი კარაქს ერზოდ აღნობენ და ერზოს სახით კასრებში ინახავენ.

სარძიეს არსებობა დადასტურებულია აგრეთვე მესხურ სახლში (ქვაბლიანის ხეობა), სადაც ის მოთავსებულია კარაპნის ერთ ნაწილში<sup>1</sup> (ნახ. 8).

სხვა ფუნქცია აქვს დაკისრებული სენე ო სენას სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, თუმცა სენე ო სენა აქაც ნაგებობასთანაა დაკავშირებული და სახლის ნაწილს აღნიშნავს.

სვანეთში სენაი ო სანაი-სა (ბალს ზემოთ) და სენა-ს (ქვემო სვანეთი) სახელწოდებით აღინიშნება სვანური სახლის („ქორის“) პირველი სართულის („მაჩუბის“) კედლის თახჩა, რომელიც მორწმუნე სვანის ყოფაში განსაკუთრებული დანიშნულებისა იყო. სვანის რწმენით, ყოველ გვარს და გვარში შემაჯალ ყოველ ოჯახს თავისი „მეზირი“ ჰყავდა ამა თუ იმ უჩინარი ცხოველის სახით: ვერცხლის ან ოქროსფრად მოელვარე თავგვი, ხელიკი, ხბო, კვიცი, ოქროს მამალი, დედალი და სხვა. მეზირი გვარისა და ოჯახის მფარველად ითვლებოდა. ის ოჯახსა და გვარს სიკეთესა და ბარაქას ანიჭებდა. მისი საცხოვრებელი ბინა უპირატესად სვანური სახლის სენაი ო სანაი ო სენა იყო. აქ, სენაი-სთან, ოჯახის უფროსი ქალი ოჯახისათვის დიდად მნიშვნელოვან რიტუალს ასრულებდა და მეზირის სახელზე სენაი-ში საგანგებო დანიშნულების კვერს („ქორალეგემს“) შედებდა და „ფაქნით“ (ჯამით) რძეს შედგამდა<sup>2</sup>.

ზემოაღნიშნულის გარდა, სენას სახელწოდებით ქვემო სვანეთის ზოგიერთ სოფელში სახლის („ქორ“) ზემო და ქვემო სართულის („მაჩუბ“ და „დარბაზ“) სარკმელიც აღინიშნება. ამრიგად, ორივე შემთხვევაში სვანური სენაი ო სანაი-სენა (თახჩა და სარკმელი) ნაგებობასთანაა დაკავშირებული. ამასთანავე პირველ შემთხვევაში იგი ოჯახის მთავარ კულტს უკავშირდება დაახლოებით ისევე, როგორც ხევსურულ ბეჰის მკითხაობაში სენე ო სენა ყვერფთან (კერასთან) და დია-სახლისთან ახლო მდგომია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხევსურულ-აჭარული სენე-სარძიეს მსგავსი ნაგებობის არსებობა დამოწმებული უნდა იყოს XVII საუკუნის სამეგრელოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ქრ. კასტელის ალბომში მოცემულია სახლის სურათი, რომლის ერთ კუთხეში იკითხება წარწერა „Cassina“, რაც სარძიეს აღნიშნავს (ნახ. 9). უნდა რსიც ითქვას, რომ ალბანეთისა და ალპების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამგვარი სარძიეები დღესაც არის დამოწმებული<sup>3</sup>.

მოხვევების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სენა-ს სახელწოდებით აღინიშნება სახლის ის ნაწილი, რომელშიც ინახება ოჯახის ძვირფასეულობა (ტანსაცემელი, სამკაული, აგრეთვე ერბო, ყველი და სხვა). აქ სენეს კარებს მაგარი საკეტები აქვს.



ნახ. 9. Cassina  
კასტელის მიხედვით.

<sup>1</sup> გ. ჩიტაია. გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, ტ. I, ტფ. 1926.


<sup>2</sup> გ. ბარდაველიძე, სვანურ საღებურ დღეობათა კალენდარი, I, ტფ. 1939, გვ. 163

<sup>3</sup> Fr. Nopcsa. Albanien. Bauten, Trachten und Geräten, Leipzig 1932, გვ. 21.

მაგრამ ტერიზინი სენე II სენა დადასტურებულია არა მარტო ბოლო ხანების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, არამედ ჩვენ მას ეხვდებით XI საუკუნის ისტორიულ დოკუმენტში. საგულისხმეოა, რომ ამ დოკუმენტშიც ეს სახელწოდება ნაგებობასთან და რძის მეურნეობასთანაა დაკავშირებული.

ნიკორწმინდის სიგელში იკითხება: „სახლი სენაით“ და „ზედა სახლი სენიანი“<sup>1</sup>. ორივე შემთხვევაში ტექსტი ისეთ ნაგებობას გულისხმობს, რომელსაც სენა აქვს. მაგრამ ამით ჯერ კიდევ გარკვეული არ არის, თუ რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო სენა ნაგებობის კომპლექსში.

ამ საკითხის გასარკვევად ყველაზე ადვილი იქნებოდა სენა სენაკთან დაგვეკავშირებინა და ეს უკანასკნელი ოთახის მნიშვნელობით ავუცხსნა<sup>2</sup>. ამის საფუძველზე „სახლი სენაით“ და „ზედა სახლი სენიანი“ უნდა გვევარაუდებინა როგორც სახლი ოთახით და ზედა სახლი ოთახიანი. მაგრამ ეს ვარაუდი თავისთავადაც მისაღები რომ იყოს, ამით სენაის სპეციფიკური დანიშნულება ამ ეპოქისათვის (XI საუკუნე) ოდნავადაც არ იქნებოდა გარკვეული.



ნახ. 10 საკარმიდამო კომპლექსი,  
 გურია XIX ს., საქ. მუზ.წეთნ. განყ.  
 კოლ. № A. 291—89.

სამაგიეროდ, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ნიკორწმინდის ძეგლის მონაცემებს ნაგებობათა შესახებ და მათ ფუნქციებს გავეცნობით, სენას საკითხსაც იდვილად გავარკვევთ. ძეგლში ნიშანდობლივად შემდეგი სამეურნეო ხასიათის ნაგებობებია დასახელებული: „ბოსელი“, „ფარები“, „სამეგრეო სახლი“, „ბელელი“, „სამზარეულო სახლი“. ამასთანავე ამავე ძეგლში გარკვევითაა მოცემული

<sup>1</sup> თ. ჟორდანიას კრონიკები, II, ტფ. 1897 წ., გვ. 47—48.

<sup>2</sup> ა. კიციანიძე. შუა-სახლი რაჭა-ლეჩხუმში, ენიმკის მოამბე, ტ. VI, გვ. 365.

ცალკეული მეურნეობის ნაგებობათა კომპლექსები სოფლობრივად. მაგალითად, სოფ. ხოტევეში ნაგებობათა კომპლექსს შეადგენს: „სახლი სენაითა“, „ორითა ბოსლითა“, „ბელელი სადაგი“, „ბელელი ხერხული“; სოფ. საწიერეში: „ბოსელი ქვიტკირი“, „ზედა ბელელი ხერხული“, „სამზარეულო სახლი“, „ქიშკარი“ „ბოსელ-ქორედიანი“, „სახლი ცოლოფისა“, „ზედან საჯვარე“. ამასთანავე საუფრადღებოა, რომ ძველში შექმნილი მიწის საფასურად ხშირად დასახელებულია: „ზროხა“, („ჯარი“ და „ფური“), „მოკეთი ზროხაი“, „ცხენი ხუაღი“, „ცხოვარი“, „ქალმანი შოლტაი“, „ჯორი“, „ჯარის ტყავი“, „ხაჟოი“, „მატყლი“. „ჯაჟვი“, „აეშარა“, „ქვაბი“, „რკინა“, „ცვილი“, „სასკე“ და სხვ.

ზემოთმოყვანილი ორი წყება მონაცემის საფუძველზე ირკვევა, რომ ნიკორწმინდის მონასტრის მეურნეობაში წარმოდგენილი იყო როგორც მემინდერეობა, ასევე მესაქონლეობა, მევენახეობა და მეფუტკრეობა. ამავე ნაგებობათა და გაცემული საფასურების გაცნობიდან ცხადი ხდება, რომ ამ მეურნეობაში მესაქონლეობა ფართოდ იყო მოცემული. კერძოდ დოკუმენტი შეიცავს ცნობას იმის შესახებ, რომ მიწის საფასურად „ხაჟოი კაბიწი“ გაუციათ. ძველში დაცული ცნობების მიხედვით ამ მეურნეობას ემსახურებოდა შემდეგი ნაგებობე-



ნახ. 11 საკარმიდამო კომპლექსი, 'სამეგრეო XVII ს., კასტელის მიხედვით.

ბი: ბოსლები ზნაკვას, მუხურს, ხოტევეს, საწიერეს და ბეთობრელს; ფარეხი ს. ზნაკვას და სამი სამეგრეო სახლი—ბეთობრელს. ეს მონაცემები ააშკარავებენ, რომ მონასტრის მეურნეობაში მსხვილფეხა მესაქონლეობას შედარებით დიდი ადგილი სჭერია. სამწუხაროდ, ნიკორწმინდის ძველი დაწვრილებით შესწავლილი არ არის, ამიტომ ზედმიწევნით იმის გარკვევა, თუ რა სახით იყო მოცემული სხვადასხვა სამეურნეო ერთეულის ნაგებობათა კომპლექსი<sup>1</sup>, ამ-

<sup>1</sup> საკარმიდამო კომპლექსების საკითხის გასარკვევად შესადარებელ მასალას იძლევა XVII საუკუნისათვის ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე კ ა ს ტ ე ლ ის აღბოში (შდრ. V. Bellio. La Georgia etc, Boll. della Soc. Geograph. Ital., ser. II, IV, IX, 1884, გვ. 690. XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის სახ. მუხ. ეთნოგრ. განყ. ნაგებობათა მოდელების კოლექცია და სხვა (იხ. სურ. 10—11).





უამად მეტად ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ზემომოყვანილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ნიკორწმინდის მონასტრის მეურნეობაში გარკვეული რიგის ნაგებობანი ან მათი შემადგენელი ნაწილები, მემინდვრობას, შევენახეობასა და მესაქონლეობას ემსახურებოდნენ. ამას მოწმობს ძეგლში დასახელებული ნაგებობები: ბეღელი, მარანი და სენა. ეს უკანასკნელი XI საუკუნის რაქაში იმავე დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო, როგორც ხევსურული სენა და აქარული სარძიე, სადაც დაწინაურებული წესით კარაქის დამზადების რთული პროცედურები ტარდებოდა და სადაც რძის პროდუქტებს ინახავდნენ.

მაგრამ სენას არსებობა თავისი სპეციფიკური დანიშნულებით XI საუკუნეზე ადრინდელ ხანაშიც არის სავარაუდებელი. ამ ვარაუდს ამართლებს მცხეთა-სამთავროსა და თრიალეთში აღმოჩენილი ძველი ხანის (ურართული და უფრო ადრინდელი დროისა) საძღვებლები<sup>1</sup>. ამ მონაცემთან გარკვეულ კავშირშია კლასიკური მწერლობის ცნობა კოლხური ძროხის საბონიტეტო თვისების შესახებ, ისევე როგორც ასურული წყაროების მასალები ურართელებსა, თობალებსა და მუსკებში მაღალი დონის მესაქონლეობის არსებობის შესახებ<sup>2</sup>. ძველი ჩანს თვით სახელწოდება სენე, რამდენადაც მისი შესატყვისი უნდა იყოს ხალღური *sini* — „სახლი“, „საცავი“<sup>3</sup> და ხურული *sen-ni* — „სახლეული“, „ძმა“.

სახელწოდება სენე || სენას თავდაპირველი მნიშვნელობის გასარკვევად შესაძლებელია ქართული შინა და ხევსურული შინშიც (შდრ. საბა ლექს., შინში — დეიდაშვილი, მამიდაშვილი) იყოს გამოყენებული. ამ მემართულებით სხვა მასალებიდან გასათვალისწინებელია: ბაცბ. „სანი“ აღნიშნავს კარს, სახლის შესავალ-გასავალს, „სანგო“ — კარების მიდამოს, ეზოს<sup>4</sup>, „სანი“ ალაჩოყის კარი<sup>5</sup> და ხევსურული „სანა-ლეღე“ — მთაზე გადასასვლელის სახელია გულანიდან ბაცალიგოში<sup>6</sup>.

ამგვარად, ხევსურული სენე || სენა ხევსურული სახლის ქვემო თვალის ის ნაწილია, რომელსაც სავანგებო დანიშნულება აქვს და რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ხევსურეთის მსხვილფეხა მესაქონლეობასთან. სენე თავისი სპეციფიკური ფუნქციით ქართველ მესაქონლე ტომებში რძის მეურნეობის მაღალ დონეზე მიუთითებს და მის სიძველეს ამოწმებს.

<sup>1</sup> Б. К у ф т и н. Археологич. раск. в Триалети, I, Тбилиси, 1941, გვ. 57, ტაბ. XXIX.

<sup>2</sup> Luckenbill. Ancient records of Assyria and Babylonia II, Chicago, 1926.

<sup>3</sup> Н. Марр. Отчет Анийского музея древностей за 1915 г. Петроград, 1917, გვ. 40.

<sup>4</sup> ცნობა მომართა ვნის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანაშრ. დ. იმნაიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვასწავებ.

<sup>5</sup> ჩემი ჩანაწერის მიხედვით, ტბათანა, 1932 წ.

<sup>6</sup> ცალკე განხილვას საჭიროებს ოსურში (დივ.) შემონახული *siax* — აღნიშნავს სიძეს В. М и л а е р, Осетино-русско-немецкий словарь და რუსული — сени, რომელსაც E. Benveniste ბერძნულ *σχαρως*, *σχαρως*-ს უკავშირებს (Origines de la formation des noms en indoeuropéen, I, Paris, 1935, გვ. 14.

რუსულან ხარაძე

ხ მ ვ ს უ რ უ ლ ი რ ჯ უ ლ ი

სისხლ-მესისხლეობა

რამეთუ უკმთუ მოკლას ერთმან, არა დასცხრების მეორე იგი გვარი შეილით-შვილამდე უკუნისამდე, თუმცა არა მოკლას მანცა, და მკუღელი მოკლულსა მათ-თუს გვარსა ჩასძაბებს საფლავსა შინა: „მოვ-ქალო მკუღელი შენი“, და რწამთ ესე სა-ცხონებლად მისად. არამედ უკმთუ დაზე-დნენ ბოჭეთაგან და მისცეს სისხლი, გარ-ნა კვლადცა მოკლავს და უკუნსცემს სი-სხლსა, შინაცენსა თუსსა.

ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა სა-ქართველოსა“. 1941 წ. გვ. 110—111.

კავკასიაში მოსახლე ტომების ჩვეულებითი სამართალი ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიანსა და ოთხმოციან წლებში იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას (შდრ. ლეონტოვიჩი<sup>1</sup>, კომაროვი<sup>2</sup>, კოვალევსკი<sup>3</sup>, გველესიანი<sup>4</sup> და სხვ.): კერძოდ ხევსურების ხალხური სამართალი კი, რომელიც ხევსურული რჯულის სახელითაა ადგილობრივად ცნობილი, აღწერილია ნაწილობრივად ნიკო ხიზანაშვილის (ურბნელის)<sup>5</sup> მიერ, აგრეთვე ხუდადოვისა<sup>6</sup> და მ. კოვა-ლევსკის<sup>7</sup> მიერ, ხოლო მათ შემდეგ გავერით მაკალათისა<sup>8</sup> და თედორაძის<sup>9</sup> მიერ.

ეს ნარკვევი უმთავრესად ჩვენ მიერ შეკრებილ მასალაზეა აგებული.

ხევსურული რჯულისა და მასთან დაკავშირებული ნათესაური ურთიერ-ობის შესწავლა 1938 წ. დავეწყეთ. ამ მიზნით იმავე ზაფხულს მივლინებულნი

<sup>1</sup> Ф. И. Леонтович. Алаты кавказских горцев. Материалы по обычному пра-ву северного и восточного Кавказа. Наг. I, II, Одесса, 1882, 1883.

<sup>2</sup> А. В. Комаров. Алаты и судопроизводство по ним. Сб. свед. о кавказск. горцах. Наг. I, გვ. 1—88.

<sup>3</sup> М. М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе. ტ. I—II, М., 1890.

<sup>4</sup> Гвелесиани. Алаты андийского округа, ხელნაწერი, ინახება საქ. მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფ. განყოფ. არქივში.

<sup>5</sup> ეთნოგრაფიული ნაწერები, ფშავ-ხევსურეთი, მასალები საქართ. ეთნოგრაფ., ტ. II, 1940

<sup>6</sup> Заметки о Хевсурии, Зап. Кавк. ога. русск. геогр. общ. XIV, ნაგ. I, 1890.

<sup>7</sup> დასახ. ნაშრ. გვ. 102.

<sup>8</sup> ხევსურეთი, თბ. 1935.

<sup>9</sup> ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. ნაწ. II, 1930 წ.

ვიყავით ერთი თვის ვადით მირგვალ ხევსურეთსა და არხვატში (იხ. ენიმკის-მოამბე, IV, გვ. 299—304). შემდგომ ეს მუშაობა 1939 წ. ზაფხულში განაგრძეთ და 33 დღის განმავლობაში ემუშაობდით შატილის თემსა და მილმაჯეში (იხ. „პირიქით ხევსურეთში მივლინების წინასწარი ანგარიში“, ენიმკის მოამბე, ტ. XI, გვ. 21—41). უკანასკნელად კი 1940 წ. ბუდე ხევსურეთში, სადაც ორი კვირის განმავლობაში ვატარებდით ზოგიერთ დამატებითსა და შესამოწმებელ მუშაობას<sup>1</sup>. (ბოლოში ჩვენ .ეერთავთ იმ მთხრობელთა სიას, რომელთა მიერ მოწოდებული ცნობებითაც ვსარგებლობდით ძირითადად).

ამ ნაწილში ჩვენ ხევსურული რჯულის მხოლოდ ერთ საკითხს—სისხლ-მეხისხლეობას ანუ თავ-მეთავეობას განვიხილავთ.

ხევსურული რჯული თავის ძირითად ნაწილში გვაროვნული თემის საფუძველზე უნდა შექმნილიყო. ამდენად, საზოგადოების განვითარების ამ საფეხურის შესწავლა რჯულის საკითხების დამუშავებამდე აუცილებელი შეიქნა. ჩვენი სპეციალური ნაშრომი—ხევსურული ძირი და გვარი<sup>2</sup> ამ საკითხს დასწვრილობით ეხება, აქ კი გაკვრით შევჩერდებით ზოგიერთ დასკვნით დებულუბაზე.

ხევსურული გვარი ნათესაური ურთიერთობის განვითარებაში ყველაზე მაღალ საფეხურს წარმოადგენს. ზოგადი კლასიფიკაციის მიხედვით იგი ფრატრიას შეესატყვისება და Gens-ის მნიშვნელობის მქონე ძირებისაგან შედგება. თითოეული ძირი თავის განშტოების სახით ჯერ ძველ მამათა, ხოლო შემდეგ ახალ მამათა მიხედვით იყოფა. გვარის წარმოშობისა და განვითარების თავისებურების მიხედვით ძვალ-გვარი (ბუნებრივი გზით განვითარებული გვარი) განსხვავებულია ჭარ-ქვებით შამაყრილობა-საგან (ხელოვნურად შექმნილი გვარისაგან).

ნათესაური ექსოვამიით განმტკიცებული გვარი სისხლ-მეხისხლეობის საკითხებში გვარის მთლიანობას ემყარებოდა. ნათესაური კატეგორიების მიხედვით გამოყოფილი უფლება-მოვალეობანი საზოგადოების მიერ გამოიმუშავებული ნორმების ერთადერთ ამოსავალს წარმოადგენდა. მეზობლურს ურთიერთობაზე დამყარებული თემური გაერთიანებანი<sup>3</sup> ამ შემთხვევაში რჯულის საკითხში უმნიშვნელო როლს ასრულებდა.

საზოგადოების განვითარების გვაროვნული საფეხურისათვის დამახასიათებელი ფრატრიებისაგან შემდგარი ტომობრივი გაერთიანება, რომელსაც თავისი მუდმივად მომქმედი სატომო საბუკო ჰყავს, სვანური ჯეჭობ-ის<sup>4</sup> მსგავსად, აქ არ ჩანს. შესაძლებელია ამ მხრივ ანგარიშგასაწვევი იყოს სახევსურეთო სალაშქრო გაერთიანება, რომელიც მუდმივად ჩამოყალიბებულ სამ სადროშოს ქმნიდა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ყველა აღნიშნული მივლინება მიღებული გეგმისა და სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის აკად. ნ. შარის საბ. ენისა, ისტ. და მატ. კულტურის ინსტიტუტისგან.

<sup>2</sup> წაკითხულია მოსწენებად სსრკ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყოფ. V სამეცნ. სესიაზე. იხ. სესიის მუშაობის გეგმა და თეზისები, 1942.

<sup>3</sup> რ. ხარაძე. ხევსურული თემი, ხელნაწერი, 1941.

<sup>4</sup> რ. ხარაძე. „სვანური ჯეჭ და ქეობ“, ხელნაწერი.

<sup>5</sup> რ. ხარაძე. „ხევსურული ანდრეხები“ (ლაშქრობანი), ხელნაწერი.

1. ტერმინისათვის. ტერმინი **მესისხლეობა** ქართულ ისტორიულ წყაროებში უძველესი ხანიდანვე ჩნდება. აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის გამოკვლევაში ამის შესახებ წერს: „სიკვდილად დასჯა სხვადასხვანაირად იცოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში, რომლისთვისაც თავ-თავისი ტერმინი არსებობდა. მაგრამ ამ კერძობითი სახელების გარდა კიდევ ერთი ზოგადიც იყო. «მესისხლეობა», როგორც ეტყობა, სიკვდილად დასჯის აღმნიშვნელი სწორედ ასეთი ზოგადი ტერმინი ყოფილა. თამარ შეფის პირველ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ თამარი «კიდევ-მჭონებელი ყოვლისავე მესისხლეობისა და მბნელობლობისა და ასოთა მიღებისა» ტაჯგანავის დაკვრასაც-კი არავისთვის იმეტებდაო (ისტორნი და აზნნი 633 გვ. \* 412)<sup>1</sup>.

ტერმინები **სისხლი**, **სასისხარი საქმე**, **სისხლის პატრონი**, **სისხლის ძიება** და მისთანანი, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, საისტორიო წყაროებში მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობათ იხმარებოდა და თვითონ **სისხლი** ქონებრივ საზღაურსა გამოხატავდა. „მანაც ასეთი ტერმინებისა და გამონათქვამების არსებობის გამო, რასაკვირველია, ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად გამონათქვამებს «სისხლის შეწვედრა», «სისხლის პატრონი», «სისხლის ძიება» და «გადაცემა» და სხვა ამგვარ სიტყვებს ოდესღაც პირდაპირი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. რომ მაშინ სამართალი მართლა შურისძიებაზე დამყარებული «სასისხარი საქმე» და «სისხლის» სამართალი იყო“<sup>2</sup>.

ამავე მნიშვნელობით ხმარობს ტერმინ **სისხლს ვახუშტიც**. იმ ნაწილში, სადაც აღწერილია „ზენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“, ვახუშტი სამართლის წესების აღწერისას შენიშნავს:

„ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათჳს აქუნდათ: **სისხლი**, ვრმალი, შანთი, მდღლარე და ფიცი. **სისხლს** უწოდებდენ ოდეს სწორმან მოკლის ვინ ვინმე სწორი. მეფისაგან შერისხეა იყო ანუ სიკუდილი, ანუ გვემა და პატიმრობა, ხოლო მკულელისა მის თანამდებ იყო, რათა დაეურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისისა **სისხლი**. ხოლო უკმთუ უმაღლესმან მოკლის უმცირესი, დაუურვის **სისხლი**, ხოლო უმაღლესმან თუ მოკლის უმაღლესი, დაუურვის **სისხლი** და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა...“<sup>3</sup> (ხაზი ყველგან ჩვენია—რ. ხ.).

ვახუშტი ხმარობს ტერმინ **მესისხლენი-საც**; ოგსთა თვისებების ჩამოთვლისას იგი შენიშნავს, რომ ისინი **მესისხლენიც** იყვნენ<sup>4</sup>. აქვე ვხვდებით ჩვენ ტერმინ **მესისხლობაც**<sup>5</sup>.

ისტორიული წყაროების მიხედვით შეუძლებელი ხდება იმის გამოარკვევა, თუ როდის მიიღო **სისხლმა** ასეთი გადატანითი მნიშვნელობა. ყველა დღემდე

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. 2, ტფ. 1929, გვ. 520.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. 2, ტფ. 1929, გვ. 301.

<sup>3</sup> ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941, გვ. 15.

<sup>4</sup> დასაბ. ნაშრ., გვ. 109.

<sup>5</sup> დასაბ. ნაშრ., გვ. 110—118.



არსებული ცნობის მიხედვით, როგორც საეკლესიო ისე საერო სამართალი, შურისძიებას სასტიკად სდევნიდა. აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, „სისხლის მეძიებელი“ ჩვენს საისტორიო VIII—XII საუკ. მწერლობაში მხოლოდ ერთხელ არის მოხსენებული. სახელდობრ იქ, სადაც ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ განდგომილ თეოდოსე უფლისწულს შუამავლად მისული კვირიკე კახთა ქორეპისკოპოზი ურჩევდა, ძმას მიენდევ და შეურიგდი, ხელს არ ვახლებსო, ხოლო თუ რამე ვაგნოს, მე ვიყო პასუხისგამცემი, «მე ვიყავ მეძიებელი სისხლისა შენისა»-ო (მტენ ქა \*460, გვ. 235)<sup>1</sup>. ამაზე აკად. ივ. ჯავახიშვილი იქვე შენიშნავს: «მაგრამ როცა თეოდოსის ძმამ მაინც ფიცი გატეხა და ძმას თვალები დაათხრევინა, კახთა ქორეპისკოპოზი სისხლის საძიებლად მაინც არ ვარჯილა».

აღნიშნული ტერმინის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს მეორე საყურადღებო ცნობაც, რომ „სისხლი“ მხოლოდ მკვლევლობისა და დაპრილობისათვის დაწესებული საზღაურის აღმნიშვნელი იყო, პარვისათვის «საზღაო» ეწოდებოდა. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ თავდაპირველად «სისხლი» მართლაც სისხლსა ჰნიშნავდა და ეს ტერმინი იმ ხანის ნაშთი უნდა იყოს, როდესაც მხოლოდ სისხლის ძიება სუფევდა, შემდეგში და თანდათან ის უკვე ქონებრივ საზღაურად იქცა<sup>2</sup>.

ამგვარად, საისტორიო ხასიათის წერილობით ძეგლებში სისხლი თავდაპირველად არა ვადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო ნახშირი.

ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტერმინ სისხლის თავდაპირველი ბუნების გაგებისათვის ხევსურული რჯულისა და კერძოდ სისხლ-მეხისხლეობის შესწავლას.

ხევსურულ წეს-ჩვეულებათა მიხედვით, როგორც კი მოკლულის პატრონი მკვლევლობის ამბავს შეიტყობდა, მაშინვე სისხლის ასაღებად მიდიოდა. ღამით ძმა-შინშნი მეკელის (მკვლელის) სახლისაკენ გაეშურებოდნენ. შორიახლოს მისულნი მეკელეს ღურბინდით ზვირავენენ. პირველი თოფი ძმას უნდა გაესროლა, შემდეგ კი, თუ ძმა ვერ მოახვედრებდა, შინშები ესროდნენ. თუ მოკლულს ძმა არ ჰყავდა, მაშინ მამას ეკუთვნოდა პირველი გასროლა. თუ მამა მოხუცი იყო, მაშინ მოკლულის თოფს სხვას გაატანდნენ და პირველად ეს თოფი უნდა გაესროლათ. ქვენა აწოელი გიგია ჯინკარაული ამას შემდეგნაირად აღწერს: «როცა მეკელე მაკლავს, დედით ნაშობი ძმა წავა, მასძენის მეკელეს, მას ძმა-შინშნი წაყვებიან, გვერდ ამაუღებებიან, მაგრამ პირველი თოფი დედით ნაშობი ძმისაა. იმან უნდა ესროლოს. თუ მოარტყა ხომ კარგი, თუ არა და მემრსხვა ძმა-შინშნი ისერიან. თუ მამკვდარს ძმა არ ჰყავს, მამა ისერის პირველ თოფს. თუ მამაც არა ჰყავს ან თუ მამა მოხუცია, მაშინ ის გაატანს მამკვდარის თოფს ვინმეს. შეიძლება დაიქირავოს კიდევ ვინმე და მაშინ მამკვდარის თოფი

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. 2, ტუ. 1929, გვ. 301—302.

<sup>2</sup> დასახ. ნაშრ., გვ. 503—504.

უნდა გავარდეს პირველი. ხოლო თუ ძმა არის ან მამა სისხლის ამღებში, მაშინ გინდ ჯოხითაც მაჰკლას. თუ მაჰკლეს მეველე. ხომ მაჰკლეს, თუ არა და მისი ძმა უნდა მაჰკლან. მოკვლის შიში მხოლოდ ძმასა აქვს. შინშა და გარეშე ბიძაშვილს კი არ მაჰკლავენ, მაგრამ დაკეჰნის შიში აქვს. ცოტა რო დასჰრას, ოლონდ სისხლი გამაადინას, მაშინვე თავის კედარს შაუწირავს, შაუწირვის შიში აქვს<sup>1</sup>.

შურისძიების ამგვარი წესი არც სხვა ქართველი ტომებისათვის იყო უცხო. სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მოკლული კაცის დამარხვაზე მოკლულის ჰირისუფალი, რომელსაც უნდა ესისხლა თავისი ძმისა, ბიძისა თუ მამის მაგივრად, ქუდმოხდილი იღდა კუბოსთან. იგივე ჰირისუფალი დასაფლავების შემდეგ საფლავზე თოფს ისერიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის იღებდა თავის თავზე სისხლით მოპასუხის ვალდებულებას. ამგვარ ჰირისუფლობას პირველ რიგში შვილი ან ძმა სწევდა. მკვლელობა თაობიდან თაობაზე გადადიოდა და შემდგომ კი მასში მონაწილენი იყვნენ არა მარტო ძმა და შვილი, არამედ მთელი ძირიშ მეზმბაზრ-ი<sup>2</sup>. ასევე ცნობილია ეს წესი კავკასიის დანარჩენ მოსახლეობაშიც. დალისტნის ტომთა ადათების მიხედვით, მომხდარი მკვლელობის შემდეგ თვითონ მკვლელი და მისი ძმა ან უახლოესი ნათესავე ხდება მეველედ, ანუ, როგორც იქ უწოდებენ, ბაშ-კანლი-დ. ეს უკანასკნელნი იხიზნებიან თავისი საცხოვრებელი ადგილიდან.

თვითონ სიტყვა კანლი ნაწარმოებია თურქული სიტყვა კან-იდან, რაც სისხლს ნიშნავს, ავარულად მეველეს ეწოდება ბიდულაუ; ბიდ—სისხლი (შდ. А. В. Комаров, Алаты и судопроизводства по ним, Сб. свед. о кавк. горцах, ნაკვ. I, გვ. 20; ასევე სტატია Алаты южно-дагестанских обществ. I Кюринский округ. Сб. свед. о кавказ. горцах, ნაკვ. VIII, გვ. 5—6, 20—23, 36; Алаты даргинских обществ. Сб. свед. о кавк. горцах, ნაკვ. VII, გვ. 15). დალისტნის ტომთა ადათები ასხვავებენ ერთმანეთისაგან ბაშ-კანლისა და მალ-კანლი-ს.

ბაშ-კანლი არის ის პირი, რომელიც მომხდარ მკვლელობაში პასუხს აგებს თავისი თავით, ე. ი. თავის სიცოცხლით, და მხოლოდ ამ პირთა მოკვლით შეუძლიათ მოკლულის ახლო ნათესავეებს შურისძიება. მალ-კანლი კი, როგორც ამას თვითონ ტერმინიც ამჟღავნებს (მალ—ქონება), სისხლის ნივთიერ ანაზღაურებაში იღებენ მონაწილეობას. მალ-კანლის მოკვლის უფლება არავის არა აქვს, მიუხედავად ამისა, შერიგებამდე მოკლულის ნათესავეებთან მათი შეხვედრა მაინც არ შეიძლება და ამიტომ გარკვეული დროის განმავლობაში ისინიც სტოვებენ თავის საცხოვრებელ ადგილს.

ყუმიხებთან<sup>3</sup> ბაშ-კანლის ეწოდება კოლ-კანლი (კოლ—ხელი); მალ-კანლის კი იერჩენ-კანლი (იერჩენ—თანამტანს ნიშნავს, ე. ი. კოლ-კანლის თანამტანი) და ასე შმდ. (შდრ. კო მაროვის დასახ. ნაშრ., გვ. 27).

<sup>1</sup> ბარისახო (ქვენა ავო), გიგია ჯინჭარაული, როგორც აქ, ისე ქვემოთ მოტანილ აღწერილობებში ხევსურული კილო მთხრობელთა მიერ ხუსტად დაცული არ არის.

<sup>2</sup> რუსუდან ხარაძე. „დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში“, 1939, გვ. 25.



„მეცდრისათვის შაწირვისა“ ხევსურებს სიკვდილზე ნაკლებად არ ეძინათ. მეთავე მეტელეს რომ მოკლავს, ის მას მაშინვე თავის მეცდარს შესწირავს შემდეგი სიტყვებით: „უნცროსიმე ხარ ჩემის ძმისაი, წყალსამც უზიდავ, ჯღანსამც უბანდავ, რაც დაშვირდების მსახურადამც ხყვიხარ, სისხლი ამილია“<sup>1</sup>.

მიცვალებულის შეურაცხყოფა ხევსურეთში ძნელ საქმედ ითვლებოდა. სევანური ბალახური სამართლის მიხედვითაც მიცვალებულის შეურაცხყოფა დიდი დანაშაული იყო, რის შემდეგაც წორ-ის რაოდენობა საგრძნობლად იზრდებოდა<sup>2</sup>. ხელის მოჭრა ხევსურეთში მხოლოდ უცხო ტომის კაცის მოკვლის დროს იცოდნენ. „უნცროსიმე ხარ ჩემის მეცდრისაჲ, ამას შეუთვლის მეკლელი, ველს რომ მაშკრის ქისტს, ლეკს, ურჯულს; რჯულთანს არავის მამჭრის. ველს მაიტანს, დააკრავს სახლის ყორეზე, კოშკის ყორეზე. მეტელე იმაზე ჰქვიან, ვითომ მაგის ქელით მაკვდაო, მეთავე, რადგან კაცის თავ დაიკარგების“. ასე აღწერს უცხო რჯულის მქონე კაცის მოკვლისას ხელის ტროფეის სახით წამოღების წესს გუდანელი ბაბუა არაბული.

როგორც აღწერილიდანაც ჩანს, ხელის მოჭრის წესი ხევსურებთან მხოლოდ უცხო ტომის კაცის მოკვლასთან იყო დაკავშირებული. ასეთი იყო სისხლის პირდაპირი სახე ხევსურეთში. სისხლის აღების მსგავსსავე შემთხვევებს ჩვენ ვხვდებით დალისტინის ტომთა ადათბშიც, სადაც ეს უკანასკნელი უფრო მეტის სისასტიკით სრულდებოდა და მოითხოვდა, რომ შურისმაძიებელი მტერს საფლავზე ან მომხდარი მკვლელობის ადგილზე გასწორებოდა<sup>3</sup>.

2. რჯულის კაცების შავრა. როდესაც მკვლელობა ან ერთიმეორის კრა მოხდებოდა, შუაკაცები რჯულის კაცებს შეყრიდნენ. :

გუდანელი ბაბუა ჯინჰარული ამას ასე აღწერს: „შუაკაცები აგვიდგებიან, კაც გაგვივლის ერთშუა და რჯულის კაცებს შაგვიყრის და რსინი გარჯულავენ, რჯულის წყალს გაავლევენ, ირჯულბენ. რჯულის კაცებს ბჭეებსაც ეტყვიან, ისინი გააბჭობენ. რჯულის კაცნ დაასხნესო, იტყვიან. გუდან კოხაზე<sup>4</sup> რჯულის კაცების სადენ ალაგი იყო. მედავეებს იქ იბარებენ, გუდან კოხაზე შეედითო. ისინიც მეშორეთ დადგებიან, რო თვალით არ ჩინნენ, თუ არა იშულლებენ ერთუცში. რჯულის კაცები მიუვლენ, ჯერ ერთს აუბნებენ, მერე სხვას, რაზე ჩხუბობენ, რად კეწიან ერთუცს, რა ღგულავთ, უნდ უთხრან იმ მებჭეთ, მერჯულეთ. მეგრ ისენი დაისწავლიან იმათ ლაპარაკს. გაივლიან მებჭენი, დასხდებიან ცალკე, იმათთან აღარ. რომენ მტყუან გამოვა, იმას გაამტყუნებენ, რომენ მართალ გამოვა, იმას დრამას ააღებინებენ საქონით. მედავეები იქავ სხენ, ბჭენი იქავ გაივლიან მედავეებთან. ჯერ ერთკან გაივლიან: გახმტყუნდივ შენაო.

<sup>1</sup> ბარისაზო (ქვენა აქო), გიგია ჯინჰარული.

<sup>2</sup> რუსულადან ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

<sup>3</sup> А. В. Комаров. „Адаты и судопроизводство по ним“. Сб. свед. о кавк. горцах. № 2, I, гл. 44. „Кровомщение в Дагестане принимало часто громадные размеры и сопровождалось необыкновенною жестокостью. Исполнители его старались поймать убитого и зарезывали его на могиле убитого или на том самом месте, где он был убит; если же это не удавалось, то отрезали голову калмы или уши, которые показывали своим родственникам и потом клали их на могилу убитого“.

<sup>4</sup> ადგილის სახელია სოფ. გუდანის ახლოს.

შენ უნდა აიტანა და მავას ჩააბარაო, თუ მაინც არ დაიჯერებ მავასაო, არ ხმტყუნდებო, სხვებ კაცებ მაიყვანეო, ან და ჯვარჩი დაიფიცეო ან და შავედი საფლავზედაო და ცოდვა მაიციდო! თუ მაინც არა და არც იმის მაშქმედია და იტყვის—ვერც ჯვარჩი დაიფიცებო და ვერც ტოდვას მავაიცილებო, მაშინ მეტყენი ეტყვიან დრამა აიტანეო. მეშრ თუ ვატყდ ის კაცი, წამედილითაო ეტყვის და თქვენ, თქვენი ზელით ჩააბარეთაო, მაგცემთაო. წავლენ და დახუასვენ, ასწონიან სპილენძს, წაუტანენ იმას და შაარიგებენ“.

ამგვარად, როგორც აღწერიდანაც ჩანს, გუდანში არის ერთი საგანგებოდ გამოყოფილი ადგილი, სადაც რჯულის კაცები ჩვეულებრივ იკრიბებოდნენ. უნდა შევნიშნოთ, რომ საერთოდ კი ხევისურეთში რჯულის კაცების შესაკრებად სპეციალურად განკუთვნილი ადგილი არ არსებობდა. ქვენა ავოელი ურჯუკა ჯინქარაული შემდეგნაირად გადმოგვცემს რჯულის კაცების შეყრის ამბავს: „რჯულის კაცი დაჯდებიან სასწორო ადგილჩი, ნახევარ გზას მაკლავისკე, ნახევარ გზას მამკლარისკე, საცა ვინ გაუგიათ მეცოდარი კაცი მეგელესა და მეთავეს ნათესაიებს, შაყრიან ყველა იმ კაცებს. მერჯულენი მედავეებთან დადიან, ისინი ერთი ვერსის მანძილზე იქნებიან ერთმანეთზე შორი-შორს დამსხდარი. ირჯულეს ერამა ბლოელმა და ერთმა აკუშელმა. აკუშელმა წაიყვანა ლიქაკელი მერჯულე, ბლოელმა აარჩია ერთ კაც და ლულჩი მივიდეს ერთიმეორეზე ისე სამ ვერს მოშორებით იყვესა და ერთიმეორესთან მივიდოდეს მერჯულენი“.

ამ აღწერიდან აშკარაა, რომ რჯულის კაცები ანუ მეტყენი იკრიბებიან არა ერთ რომელიმე, ბუკობისათვის წინასწარ განკუთვნილ ადგილს, არამედ ორ მედავეს შორის არსებულს საშუალო ადგილზე. იმისდა მიხედვით. თუ როგორი იყო თითონ დანაშაული, რჯულის კაცების რაოდენობაც იცვლებოდა 2—10 კაცამდე. განაჩენის გამოტანისას ბჭებს სახელმძღვანელოდ ჰქონდით მხოლოდ წინათ მომხდარი ანდრეზად დარჩენილი ანალოგიური შემთხვევა. ანდრეზების შენახვას ხევისურეთში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. მამაპაბათაგან გავონილ ანდრეზს ხალხი თავის შვილებს გადასცემდა, მაგრამ ამის გარდა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, თავის-გათავების დროს ანდრეზების შემნახავი სპეციალური პირებიც იყვნენ, რომელთაც ანდრეზის შესანახს უხდიდნენ. ეს საყურადღებო მომენტი აშკარაგვებს ხალხური სამართლის შექმნის თავისებურებას.

როგორც ვთქვით, ბჭების არჩევა შუაკაცების მიერ ხდებოდა. შუაკაცები იწვევდნენ გამოცდილ და გონიერ მოხუც კაცებს. მუდმივად არჩეული ბჭეები კი ხევისურეთში არ არსებობდა. შუაკაცები მივიდოდნენ და ბჭედ არჩეულ მოხუცს ეტყოდნენ: „შენ ხარ ნათვალი, შენ გინდ კაცებში წამოსვლაო!“.

ძველად, როგორც ამის შესახებ მოხუცები გადმოგვცემენ, რჯულის კაცებში ერთი ჯინქარაული მაინც უნდა გაერიათ, რადგანაც რჯული ძველთაგანვე გუდანიდან მომდინარეობდაო. ბაცალიგოელი აფშინა არაბული შენიშნავს: „წინავე ვერ ირჯულედეს, გუდანელ თუ ვერ იქნებოდ. პირველად რჯული იქით გამოსულა. მთას იქითელს აქით უკითხავ, ხევისურეთს აქით უკითხავ“. მუდმივი ბჭეების არსებობა არც სვანეთისათვის იყო დამახასიათებელი.





„თუ მოკლულის ოჯახი დათანხმდებოდა შერიგებაზე, ის დაასახელებდა თავის მორტუალ-ს და მკვლელის ოჯახი კი თავისას. მორტუალ-ის არჩევა ყოველთვის ერთსადიამივე რაოდენობით არ ხდებოდა; რაც შეეხება მკვლელობას, აქ უფრო ხშირად მორტუალ-ი 24 კაცისაგან შედგებოდა, რადგანაც ხალხურ სამართალში ყველაზე საძნელო საქმედ ეს უკანასკნელი ითვლებოდა“<sup>1</sup>.

ბჰობისათვის განკუთვნილი ადგილიც სვანეთში, ხევსურეთის მსგავსად, წინასწარ განსაზღვრული არ ყოფილა. განსაკუთრებულია ამ მხრივ თუშური ხაფრინდაო, რომელიც არჩეული ბჰეებისათვის საგანგებოდ მიჩნეული სათათბირო ადგილია, ქვისაგან გაკეთებული სკამ-სავარძლებით.

ის გარემოება, რომ ხევსურებს გულანის მცხოვრებნი რჯულის ყველაზე კარგ მკოდნეებად მიიჩნდათ, საესებით ეგუება გვაროვნული წყობილების საფუძვრზე მდგომი ხალხის შეხედულებას, რომ რჯულისა თუ ადათის საქმეები ყველაზე კარგად ამა თუ იმ ტომის უძველესი სამშობლოს მცხოვრებლებმა იციან. მსგავსი მაგალითები ჩვენ მოგვეპოვება დაღისტნის ტომთა აღწერილობაშიც. მაგალითად, უმაღლესი ლაუდაევი ჩაჩნების შესახებ შენიშნავს, რომ მანეტლები განთქმული იყვნენ ადათის ცოდნის საქმეში. ამიტომ, როდესაც სხვა რომელიმე კუთხეში ჩვეულებითი სამართლის ამა თუ იმ საკითხს ვერ გადასწყვეტდნენ, მანეტლებს მიმართავდნენ (შდ. მისი „Чеченское племя“, Сб. свед. о кавк. горцах, ნაკვ. VI, გვ. 50; ამავე ცნობით სარგებლობს მ. კოვალევსკიც თავის ნაშრომში „Современный обычай и древний закон“, ტ. II, 1886, გვ. 194).

ბჰეებს ე. წ. „მოსარიგებელი საშუაეცო ერგებოდა. ძროხაზე ცხვარ უძლევათ წინაე“. ამას ორივე მხარე გადაიხდიდა. ამგვარად, ბჰეებს უხდიდნენ დროში გადახდილ ძროხაზე ერთ ცხვარს.

ბჰეების საშუალებით საქმის გამორკვევისა და გარიგების შესახებ ცნობას ვახუშტიც გვაწვდის. დვალეთის შესახებ მოცემულ აღწერილობაში ნათქვამია: „ამათ მოხუცებულთაგან ჰყოფენ ბჰობასა, და ზავსა, და ყოველსავე სამპირნოსა თუსთა განაგებენ მათით“<sup>2</sup>.

ლილიეთა შესახებ მოცემულ აღწერილობაში ვკითხულობთ: „არცა უწყიან კლვა და მესისხლობა ურთიერთთა, გარნა თუ შეიმთხვეს, მოხუცებულთა მათთა ვანბრკობითა ზავ ჰყოფენ“<sup>3</sup>.

3. დაჰრა-დაკენა. დაჰრისა ანუ დაკენის შეფასება ხევსურული რჯულის, კერძოდ, სისხლ-მესისხლობის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს, რომელიც რჯულის კაცებისაგან მთელი რიგი ნორმების გათვალისწინებას მოითხოვდა.

ის საურავი, ანუ დრამა, რომელსაც დამნაშავე დაკენის დროს იხდის, დიფერენცირებულია ნაჰრევის ადგილისა, სიგრძისა და სიღრმის მიხედვით. რჯულის კაცები კრილობის შეფასებისას შემდეგ მომენტებს ითვალისწინებენ:

<sup>1</sup> რუსულად ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

<sup>2</sup> ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 111.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 118.

ა) თავისა და სახის დაკეცნა.

1. თუ თავის ნაქრევი ძვლამდეა დაყვანილი და ძვალი არ არის გაქრილი, მაშინ დამნაშავე იხდის სამ ცხვარს. ამის შესახებ გულანელი აქიმი მგელა ჯინჰარაული ამბობს:

„სათათველ ნაქრევი, ასე ვეძახით, თუ ძვალ არაა გაქრილი, მაშინ დამნაშავე იხდის 3 ჩარქქ სპილენძს ან 3 ჯელით ცხვარს. აქიმს უხდის ერთ ჯელით ცხვარს და აქიმთან დაქრილის ჰამა-სმაც იმის ხარჯითაა“.

ძვლამდე დაყვანაში ხევისურები ძვლის ზედა კანის (periosteum) გაქრას გულისხმობენ, რომლის მნიშვნელობა მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული. ამასთანავე ხევისურები ასხვავებდნენ ზეთა და ქვეთა ძვალს. პირველ შემთხვევაში იგულისხმებოდა თავის ქალის ძვალი (os), მეორეში მაგარი გარსი (dura mater).

2. თუ თავის ნაქრევი ძვლის ნახევრამდეა დაყვანილი, დამნაშავე იხდის 5 ძროხას.

3. როდესაც ნაქრევი იმდენად ღრმა არის, რომ ზეთა ძვალი სულ დაიმშვრევა, მაშინ დამნაშავე იხდის 8 ჯელით ძროხას. მგელა ჯინჰარაული ასე აგვიწერს ამ მომენტს: „ზეთა ძვალ რომ ამოვასა და ჩხიმზე ჩავა, მაშინისა 8 ჯელით ძროხას უნდ გადახდა. აქიმისა 8 ცხვარ უნდ მიცემი, ძროხაზე ცხვარს უნდ გადახდა, ხარჯიც აქიმისა მენაქრევემ უნდ გადაიხადას, რადგან დაქრილი იმის ოჯახში ცხოვრობს“.

4. თუ თავის ნაქრევით ქვეთა ძვალი ნახევრად გატყდა, დამნაშავე იხდის 12 ძროხას, „თავში რომ ტვინ ამოუჩინდება, იმას შარს<sup>1</sup> ეტყვიით, 16 ძროხა ღრამა უნდ“<sup>2</sup>. მგელა ჯინჰარაული ასე აგვიწერს ამ მომენტს: „ქვეთა ძვალ რომ გაიჭრების და ტვინ ამოჩინდების, მაშინისა 16 ჯელით ძროხას უნდა გადახდა. აქიმისა ძროხაზე ცხვარი. დაქრილის შესანახი ხარჯიც მისია, რადგან დაქრილი აქიმთან ცხოვრობს“. თავში მიყენებული ჰრილობის გამორკვევას დასტაქარი შემდეგი წესით ახდენს: გათლის ხის პატარა ხმალიკას, ხმალიკას საშუალებით ნაქრევს გასინჯავს, რა სიღრმემდეა ჰრილობა ჩასული. თუ ნაქრევი ღრმა არის, მაშინ დასტაქარმა ერბოთი გაპოხილი ნაქერი უნდა ჩასდოს ჰრილობაში. გარდა ამისა არსებობდა სხვა საშუალებებიც ჰრილობის მოსარჩენად. დასტაქარი მგელა ჯინჰარაული შემდეგნაირად აღწერს ამას: „თავში თუ ნაქრევი, ხმალიკას გათლა ვიცით, ხმალიკაით ნაქრევს გადავსწ-გადმავსწევთ და გაივების, თუ ძვალს სჭირს. თუ ხმალიკაი მაგრად დეეუსულ ძვალჩი, მაშინ უნდ ჩავსხათ კანაფები (ბოლოებ მეექვსება, ნაპირებს დავაბუებდ, დავებრტავდით ისეთს, რომ გარბილდებოდა, იმას წამალს უშვებოდით მარადულ საპონს და იადაფორმის. თუ ის არ ჰქონდა, ერბოთი უნდოდ შეხვევავი). ნაქრევის გასაგებად ხმალიკაით ნაპირებს გადავსწ-გადმოვსწევთ და ხოწით ძვალს მოვფხვებთ“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> შარს- თვითონ ასე აღწერენ: „შარ მძივ რომ არასა, წითელია და ბეწვიკაი, ზეთა ძვალ რომ ამოვას, ცვარ იმაში ამოჩინდების, ხოწით რომ ამოიფხივების, ის რომ გაიჭრას, კაცი მოკვდების“. სოფ. გულანი, მგელა ჯინჰარაული, აქიმი.

<sup>2</sup> სოფ. უკენა ქაღუ. უნცრაჟა ბაღათერას-ქე ქერაული.

<sup>3</sup> აქიმი შემდეგი სახის იარაღებს ხმარობს: ხმალიკა, ბორწყალა (პინცეტი), ხოწი, გალი. მაშინა. შდ. საქ. მუზეუმის ფინოვრატის განყოფილების კოლექცია № 12—27 (49—60).



5. „პირსახის შაშლაში მარცვლი ეწყობა“ (უცენ ჭადუ, უნცრუა ქირაული). ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ დასახიორებული სახის ის ნაწილი, რომელიც ქუდით არ დაიდარება, უკანასკნელს შუბლის სამი ზედა ნაქცის ქვემოთ ანგარიშობენ. პირსახის შაშლაში დრამის გამოანგარიშება შემდეგი წესით ხდება: იმის შემდეგ, რაც პრილობა შეხორცდება, ნაქრევს ჩალის ღეროს—ჭყუშს დააზომივენ, შემდეგ ჭყუშს ქვაზე დასდებენ და ზედ ფიქალი ქვით ჭყუშის ზომას გამოხატავენ. ქვაზე, ნაქრევის გამოხატულების მიხედვით იფქლისა და ქერის მარცვალს ერთმანეთში არევიით დაალაგებენ. იფქლს სიგრძეზე დააწყობენ, ქერს სიგანეზე.

ამას თვითონ შემდეგნაირად იღწერენ: „თუ სახეზე, საღაც თმა არ ამოჩინდება, იქა სჭირს ნაქრევი, დავზომთ იმას ჩალის ჭყუშით, მერე იმას ქვაზე დავხდებთ. ქვაზე ქვითავე დავსწერთ, გამოვხატავთ ნაქრევს. მერე მარცვალს მოვიღებთ ნახევარს იფქლს, ნახევარს ქერს, ერთსა კუდით დავაწყობთ, მეორეს გარდივარდმო“ (უცენ ჭადუ, უნცრუა ქირაული). მგელა ჯინჭარაულის აღწერით: „თუ სახეზე, შუბლის სამი ნაოქის ქვეით სჭირს ნაქრევი, მაშინ ან იღებს ძვალისას ან იღებს პირის სერისას ანუ პირის შარვისას“.

„ნაქრევს გალია გავზომენ, ნახშირით გამოსწერენ იმას სიძზე. მემრ იმას მარცვლებს დაასხენ იფქლისას სიგრძეზე, ქერისას მიდამოღმ. მემრ დაზომენ, რამთვენ მარცვალ დაიდოს, ხუთ დაიდოს, შვიდ დაიდოს. მემრ იმთენსა ძროხასა უნდ მიცემა, რამდენსაც მარცვალს დაიდებს“. (სოფ. გუდანი, მგელა ჯინჭარაული). როდესაც გამოითვლიან, რამდენი მარცვლი დაეტია ნაქრევზე, მარცვლის საერთო რაოდენობას ორს გამოაკლებენ და იმდენ ჭელით ძროხას გადაახდევინებენ დამნაშავეს. ასე მაგალითად, თუ ათი მარცვლი დაეტია, ორს გამოაკლებენ და რვა ჭელით ძროხას გადაახდევინებენ, რადგანაც პრილობა მორჩენის შემდეგ შემოკლებდაო. სრული სახით მარცვლის რაოდენობას ანგარიშობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაქრევი ცხვირის ნაწილსა ან თვალის ძირშია.

## ბ) დაკეკნისა და გახეიბრების სხვადასხვა შემთხვევა.

1. თუ დაკეკნით კაცი დაბრმავდა, დამნაშავე იხდის 30 ძროხას.

2. ყურზე მიყენებული ნაქრევის გამოანგარიშებისას შემდეგ მომენტებს ვარაუდობენ: ა) თუ ყური მთლიანად არის ჩამოთლილი, დამნაშავემ 5 ძროხა უნდა გადაიხადოს. ბ) თუ ცომაა (ყურის ბიბილო) მოგლეჯილი, დამნაშავე იხდის 5 ცხვარს.

3. მჯარის გახმობაში დამნაშავემ 20 ძროხა უნდა გადაიხადოს: „თუ მჯარი გაუკმ, მაშინისა 20 ძროხაი უნდ. თუ სააქიშოა, აქიშ ცხვარს მისცემს ძროხაზე, მეტყეებს სამფასავ უნდ ექესი აბაზი“.

4. საბეჭეზე ანუ ბეჭზე, ნაქრევის მიყენებისას დამნაშავე იხდის 10 ცხვარს.

5. საგულეზე—მკერდზე—ნაქრევის მიყენებისას დამნაშავე იხდის 5 ძროხას. „თუ გულისპირზე სჭირს ნაქრევი და ერთი წვეთი სისხლიც თუ ჩავარდა, 5 ძროხა უნდ“.

6. ე. წ. საუბატიურო ნაქრევის დროს დამნაშავე იხდის 5 ძროხას. „საუ-  
პატიურო დრამა ხდება ნაქრევიყენებულის მუხლიდან თეძოს ძვლამდე 3 თი-  
თის დადებით“.

7. თუ მთელი ფეჭი ვახში, დამნაშავე იხდის საუჯმაროე დრამას 30  
ძროხას.

8. თუ ფეჭის სავარცხალზეა ნაქრევი, დამნაშავე იხდის 5 ცხვარს.

9. თუ წვივზეა ნაქრევი, დამნაშავე იხდის 9 ცხვარს.

10. თუ საბაწრეზეა (კოჭზე) ნაქრევი, დამნაშავე იხდის 8—10 ძროხას.

11. თუ მუხლშია ნაქრევი, ამ შემთხვევაში საუჯმაროე დრამის გადახ-  
დაა საჭირო და დამნაშავე იხდის 30 ძროხას.

12. საუბედლეუ დრამა, რომელსაც კისრის ძარღვის გაჭრის დროს  
იხდიან, 20 ძროხას უდრის. „საუბედოს ძარღვი რო გაიჭრას, გადახდა უნდ-  
20—25 ძროხამდე“ (ს. გუდანი, მგელა ჯინქარაული). ბევსურების რწმე-  
ნით, ამ ძარღვის გაჭრის შემდეგ მამაკაცს შვილიერების უნარი ეკარგება,  
ამიტომ ეწოდება მას საუბედლეუ და დიდი რაოდენობის დრამასაც მოითხოვს.

13. თუ ნაქრევით კისრის ჩხიმი გაიჭრა, დამნაშავე იხდის 9 ცხვარს. „ქო-  
ყინქარი არა აქვს მაქრილი კისერზე, მაშინ შინ მიუვა არაყით, სპილენძის ქვაბ-  
საც მიართმევს შინ 3—4 ჩარქისას“ (ს. გუდანი, მგელა ჯინქარაული).

14. თუ ნაქრევისაგან მთელი ხელი ვახში, მაშინაც საუჯმაროე დრამაა  
გადასახდელი და დამნაშავე იხდის 30 ძროხას<sup>1</sup>.

15. თუ იდაყვშია ჭრილობა მიყენებული, მაშინ დამნაშავე იხდის 16 ძროხას.

16. თუ კელი საწალტეში (მაჯაში) გაფუქდა, მაშინ დამნაშავე იხდის  
12 ძროხას.

ამგვარად, თუ კელ-ფეჭის ჭრილობით ადამიანი არ სახიჩრდება, ე. ი. კე-  
ლისა და ფეჭის ხმარება არ ეკვეთება, მაშინ დამნაშავე იხდის საფათვლეს,  
ხოლო დისახიჩრებისას—გახეიბრებისას საუჯმაროეს, რომელიც შედარებით  
დიდი რაოდენობის საურავია. ტანზე მიყენებული ყველა ჭრილობა საფა-  
თვლედ ითვლება. საფათვლე ჭრილობის შეფასებისას ბუნეი უმთავრესად დროს  
დაკარგვას ანგარიშობენ, ლოგინში წოლით საქმის გაცდენის გამო.

17. თითების დაშავებისას დრამის რაოდენობას შემდეგნაირად ანგარი-  
შობენ:

ა) ბერა თითი (კერი) თუ ვახში, დამნაშავე იხდის 5 ძროხას. ბ) სალოკა-  
თითი თუ ვახში, დამნაშავე იხდის 4 ძროხას. გ) შეშულა თითი თუ ვახში,  
დამნაშავე იხდის 3 ძროხას, დ) ნიკორაის თითის გვერდა თუ ვახში, დამნაშავე  
იხდის 2 ძროხას. ე) ნიკორაის თითი თუ ვახში, დამნაშავე იხდის 1 ძროხას.

18. კბილის ჩამტვრევის შემთხვევაში ერთ ან ორ ძროხას ახდენენებენ  
„თუ კბილი დაიძრ, ორ ძროხაი“ (სოფ. გუდანი, მგელა ჯინქარაული).

ჭრილობის შეფასებისას მებუნეი და აჭიმი საჭირო. მებუნეი ექვს აბაზს

<sup>1</sup> ბევსურეთში ხელის გაფუქება საერთოდ ძალიან ძნელ საქმედ ითვლებოდა. ქალის ხე-  
ლის დაჭრა და გახეიბრება კი არავითარი ფასით არ ანახლავდებოდა (შდ. მელანი ბა-  
ლიაური, ჭორწინების წესები ბევსურეთში, ისტ. ინსტ. ეთნოგრაფიის განყოფილების არქი-  
ვი, რე. IV, გვ. 157).



აიღებენ საშფასავს (ე. ი. საფასურს, საზღაურს, ხელფასს) მენაჭრევესაგან, აქიმი კი დრამის მიხედვით—ძროხაზე თითო ცხვარს.

დრამის გადახდისას საფასურის ძირითად ერთეულს ძროხა წარმოადგენდა. ხევესურები ასხვავებენ ველით ძროხას ფვეთით ძროხისაგან. დრამის შეფასებისას ჩვეულებრივ იგულისხმება ველითი ძროხა, რომლის გადახდა ხდება წვრილფეხა საქონლით ან სპილენძითა და ფარდაგებით. ერთი ველითი ძროხა უდრის 4 ცხვარს ან 3 ჩარექ სპილენძს. ზოგჯერ დაზარალებული მხარე დრამის გადიდების მიზნით მოითხოვდა დრამის ალვანიით (პირიქ. ხეეს.) ანუ ალმანიით (პირაქ. ხეეს.) გადახდას. დრამის ალმანიით გადახდა გულისხმობდა, რომ დამნაშავეს ერთ ველით ძროხაში უნდა მიეცა არა ოთხი ცხვარი, არამედ ხუთი. ალმანიით მხოლოდ ნახევარს მოითხოვდნენ, დანარჩენს კი ჩვეულებრივი წესით გადაახდევინებდნენ.

ამ მხრივ სვანური მასალა ხევესურულთან შედარებით საყურადღებო თავისებურებას ამჟღავნებს. დრამისა, ანუ წორ-ის საქონლით გამოანგარიშების ნიშნები იქაც ჩანს, მაგრამ ძირითადი საზომი ერთეული მაინც მიწის ნაკვეთია.

წორ-ის საერთო რაოდენობა სვანეთში მიწის საზომი ერთეულით გამოანგარიშება<sup>1</sup>, ხოლო ნათესაურ გაერთიანებაში შემავალი ცალკეული პირების გადასახდელი საქონლით გამოიხატება<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც გავლენას წამყვანი მეურნეობის თავისებურება ახდენდა ხევესურეთში—მესაქონლეობა, ხოლო სვანეთში—შერეული მეურნეობა. ძროხისა თუ სხვა საქონლის საზომ ერთეულად გამოყენება საურავის გადახდის დროს ცნობილია ჩრდილო კავკასიის ტომთა შორისაც<sup>3</sup>.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნიყენებული კრილობის შეფასებისას ხევესურული რჯული ითვალისწინებს ნაჭრევის ადგილს, მის სიგრძესა და სიღრმეს.

მოყვანილი აღწერილობიდან ნათელი გახდა ის გარემოებაც, რომ ნაჭრევის ადგილის გარკვევისას დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმას, გამოსაჩენ თუ დაფარულ ადგილზეა მიყენებული კრილობა. როგორც ჩანს ესთეტიკურ მომენტს აქ სათანადო ყურადღება ექცევა. ამ მხრივ საყურადღებოა სვანურ ხალხურ სამართალთან ერთად ძველი ქართული იურიდიკული ძეგლებიც. მაგალითად, გიორგი მეფის „ძეგლის დადებაში“<sup>4</sup> ნათქვამია: „თუ გერში სად საჩინოდ იყოს, ასრე რომე არ დაშავდებოდეს, და დააჩნდეს, სამი უარზანგობა დაეურვოს და დასტაქართა წაშლის ფასი“ (ჭ ლბ).

მეორე ადგილას კი უკვე ლაპარაკია ისეთ გერზე, რომელიც ტანსაცმლით არის დაფარული, რის გამოც საურავის რაოდენობა სამჯერაა შემცირებული.

„სადაც კაცი დაიკოდოს, ასრე რომ არა ჩნდეს ტანისამოსისაგან, არცარა დაუშავდეს თუითოს დაკოდლობისათვის, თუითო უზანგობით დაიურვოს თა-

<sup>1</sup> რუსულადან ხარაძე. დასაბ. ნაშრ., გვ. 31, 34.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 33, 34, 35.

<sup>3</sup> შდ. მაგალითად: 1) Н. Г. Петрусеви ч. „Заметка о карачаевских аятах по долговым обязательствам“. Сб. свѣд. о кавк. горцах, № 5, IV, გვ. 46—77. 2) Л. Я. Лоз-ляе. „Учреждения и народные обычаи шапсугов и натухайцев“. Зап. КОРГО № VII, გვ. 10—11. 3) Ф. И. Леонтови ч. Алаты кавказских горцев, ტ. I, გვ. 434—435.

<sup>4</sup> „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“ ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1913 წ.

ვის გუარსა ზედა და დასტაქარსა წამლის ფასი, რაც გასლოდეს, ისიც მიეცეს“ (§ ლმ გვ. 14). (ხაზი ჩვენია—რ. ხ.).

ამ ძველის მიხედვით, დაფარული და გამოსაჩენი ადგილი ვათვალისწინებულია კბილის ჩამტყვევის დროსაც კი, მაგალითად, იქ ნათქვამია:

„კაცმან თუ კაცს კბილი ჩაადგებინოს, ოთხთა ზემოთ წინათ, ოთხთა ქვემოთ საჩინოთა კბილთა ჩაყრევიანებისათვის თუთოს კბილისათვის ოროლი უზანგობა დაიუროვოს თავის წესსა და გუარს ზედა“ (§ ლთ, გვ. 14). შემდეგ იქვე ნათქვამია: „ამ ოთხთა კბილთა იქით სხუათა უჩინართა ჩაყრევიანებისათვის თუთოს კბილისათვის თუთო უზანგობა დაიუროვოს“ (§ მ., გვ. 14).

ანდიის ოლქის ადათებში აგრეთვე ხდება შესაძლებელი მსგავსების დადგენა. იქაც, იმის მიხედვით, გამოსაჩენ ადგილზეა თუ არა კრილობა მიყენებული, იცვლება საურავის რაოდენობა. ასეთია ეს მოწინებები, დადასტურებული გველესიანის მიერ, ანდიის ოლქის შემდეგ მხარებში: წინდალი<sup>1</sup>, უნკრატლ-ჩამალალი<sup>2</sup>, დიდოეთი<sup>3</sup> და სხვ.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელსაც კრილობის შეფასებისას ბევსურული რჯული ითვალისწინებს არის ძველის დახაზიჩრება, თავში მიყენებული ნაჭრების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოება: დაყვანილია თუ არა ნაჭრები ძვლამდე, დაზიანებულია თუ არა თვითონ ძვალი და რა სახით; დაზიანებულია მხოლოდ ძვალი, თუ მაგარი გარსიც და დაყვანილია თუ არა კრილობა ტვინამდე და ა. შ.; ბევსურულის მსგავსად, კრილობის შემოწმების ეს წესიც საურავის შეფასებისას დამოწმებულია ანდიის ოლქის ზემოთჩამოთვლილ ყველა პუნქტში.

მაგალითად, დიდოეთის ადათების აღწერილობაში ვკითხულობთ: „За рану в голову, не доходящую до кости, платится раненому 1 р. 40 к.; до кости—2 рубля; с пробитием нижней части черепа до мозгов—8 руб.“ (გვ. 15).

წინდალის ადათებში: „За рану в голову не до кости виновный платит пострадавшему 1 р. 40 к.; до кости—2 рубля, с повреждением верхнего слоя черепной кости—4 рубля и за пролом до мозгов—8 рублей“ (გვ. 2—4).

უნკრატლ-ჩამალალის ადათებში: § 1 „За рану в голову до мозгов виновный платит раненому 30 руб. и лекару по соглашению, кроме того должен дать: лекару обувь, шубу и постель, раненому, и лекару—3 меры ишеничной муки и охного барана в три рубля на кажлме 15 аней впрель до выздоровления“ (გვ. 68). § 2: „За рану в голову, когда будет содрана только кожа, виновный платит лекару по условию и один рубль пострадавшему. За рану до кости платит четыре рубля; с прорезом верхнего слоя кости—10 руб., с прорезом второго слоя кости—15 руб. и лекару по условию; кроме всего этого он должен доставить лекару и раненому все указанное в § 1“ (გვ. 68).

კარატანის ადათებში: „Если ранят в голову до мозгов, то виновный кроме того, что платит за поранение, доплачивает еще 25 руб.; если будет соарана с головы кожа так, что кость не будет видна, платится 1 р. 40 к.; а если она будет видна—2 р. 40 к.; если отсечен верхний слой черепной кости, но не до мозгов—платится 15 р.; если отделится отрезанный кусок черепа—платится 17 руб.“ (გვ. 54).

<sup>1</sup> Гвельესიანი. Адамы андийского округа. დასახ. ხელნაწერი გვ. 2—4; 16—17, 18;

<sup>2</sup> იქვე, 68—72;

<sup>3</sup> იქვე, 114—115.

რუმბეთის სანაიბოს ადათები ამასვე იმეორებს.

იმავე მდგომარეობასთან გვაქვს საკმე ინკუზების ადათებშიც, სადაც ზედმიწევნით დაწვრილებითაა შესწავლილი თავში მიყენებული კრილოზების ყველა შემთხვევა (მდ. ლეონტოვიჩის დასახ. ნაშრ., გვ. 162 და სხვ...).

ნაკურევის შეფასების ეს მომენტი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვძლევს ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ იმაში, რომ ხეცსურები და მათი მეზობელი სხვა კავკასიელი ტომები, რომლებმაც ზედმიწევნით კარგად იცოდნენ დოსტაქრობა და კერძოდ თავის ქალის ტრეპანაცია, კარგად ერკვეოდნენ მის ანატომიურ აგებულებაში.

საყურადღებო მომენტს წარმოადგენს აგრეთვე დაკეპნილის, კერძოდ, სახეზე მიყენებული კრილოზების მარცვლეულით გამოანგარიშება, რომელიც აგრეთვე ცნობილია დალისტნის ტომთა შორისაც, სადაც დამნაშავე თითო მარცვალში იხილდა ოთხი მინეთის საფასურს. ასე მაგალითად, უნკატლ-ჩამალალის ადათებში ნათქვამია: „за рану в лицо, если после излечения останется шрам, виновный платит пострадавшему 4 р. по числу зернышек, сколько поместится на шраме“ (გვ. 68—72).

წინადალში მარცვლებით გამოანგარიშების ეს წესი შეცვლილია თითქმის: „измеряют величину раны или шрама пальцем и по числу уложившихся на ране или шраме пальцев платят по три рубля“ (გვ. 16—17).

სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც დავინახეთ, ხეცსურული რჯული ხელს, რომლის მოჭრა თავ-სისხლის ნახევრადაა შეფასებული, ხოლო ქალის ხელის მოჭრა კი არაფრით არ ანაზღაურდება და აუცილებლად სისხლის აღებას მოითხოვს. ხეცსურული რჯულის მიხედვით, მარჯვენა და მარცხენა ხელის ღირებულება ერთმანეთისაგან არ განსხვავდება.

ძველის დაღება ამ მხრივ განსხვავდება ხეცსურული რჯულისაგან, აქ მარჯვენა და მარცხენა ხელის საფასური დიფერენცირებულია. § ლგ ნათქვამია: „მარჯვენა ჯელი ვისაც მოეკუთოს ანუ დაუშავდეს დაკოდლობითა, სისხლის მესამედით დაიურვოს“ (გვ. 13).

იმდენად დიდი ყურადღებაა მიქცეული ამ შემთხვევაში პრაქტიკულ მხარეზე, რომ ლაყოჩას შემთხვევაც კი ცალკეა გამოყოფილი და ერთ-ერთ პარაგრაფში ნათქვამია: „კაცი თუ ლაყოჩა იყოს და მარცხენას ჯელს მარჯუენად იხმარებდეს, მარჯუენის ჯელის სისხლი დაეურვოს“ (გვ. 13). ხეცსურული რჯული ხელის დაშავების შემთხვევაში ამ მომენტს მხედველობაში არ იღებს.

ხეცსურული რჯულის მიხედვით, ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხთა ადათების მიხედვით, დიფერენცირებულია თითების საურავის რაოდენობა. ამ უკანასკნელს გიორგი მეფის ძეგლის დაღებაში ადგილი არა აქვს.

ამგვარად, ხეცსურული რჯულით სრულიად განსაკუთრებულია ხელის მნიშვნელობა, რომელიც მარჯვენასა და მარცხენას მიხედვით არ განსხვავდება. ხელის საფასური ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა; თვალსაზრისი, რომელიც ზემომოყვანილ ძეგლის დაღებაშია გათვალისწინებული, აქ თითქოს არ ჩანს.

4. გარიგება—რიგების ყენება. შემდეგი ხანის მონაპოვრად ითვლება ხეცსურეთში რიგების ყენების ჩვეულება. ხეცსურული რჯულის მიხედვით უცხო-

გვარის კაცებს შორის მომხდარი მკვლელობის დროს შუაკაცები აღდგებოდნენ მამკვდარსაც და მამკლავსაც<sup>1</sup> და მიცვალებულის დასაფლავებამდე მამკვდარის სახლში მივიდოდნენ, თან ერთ ასამტეხლო საკლავსაც წაიყოლებდნენ. „შუაკაცები პირველ მოსვლახედვე მოიყოლებდნენ ერთ ჯელით საკლავს. ამ საკლავს ეწოდებოდა ასამტეხლო. ასამტეხლო ნიშნავდა იმას, რომ ვიდრე ამ საკლავით არ სთხოვდნენ ქირის პატრონს, რომ ნება მოგვეცი რიგი მოვიტანოთ, გიყენოთ და ვილაპარაკოთ თქვენსა და დამნაშავეთ შუაშიო, მანამდინ კი ვერაფერს იტყოდნენ“<sup>2</sup>. მისვლისას შუაკაცები ჯერ ქირს უწყენენ, შემდეგ ამბავ-მშვიდობას ჰკითხავენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებიან საქმეს. პირველად შუაკაცები ეტყვიან: „ჩვენ მავედითა, მაგიხდათ უბედურება, მაგისთანებისა მერჯულენ არ იქნებითა, ქვეყანახედა მოუხდომ საქმე არც რა იქნება. მართალია, დასანანებ ხართ თქვენა, რიგ უნდა აილათა, რიგ უნდა იყენათა თქვენა“. ქირის პატრონი უპასუხებს: „რა რიგ უნდა ვიყენა, არც რიგ მინდა მაგის ნაყენები, არაფერ არ მინდა, მამკლაო, მამკლა, ჭნაი მაგან თავის გულისაი, რაც ეწადა ჩემზედა, დღეს თუ შენსძალი იყვეს, აგრე რა იქნება. თუ სრუაც კაც მექნა, დიდ ხანს არ გაავლევ“. შუაკაცები ეტყვიან: „ებლა ეგრ ყოფა არ შაიძლების, რიგს ყენება გინდ, ხევსურეთის წეს-რჯულ რაც არის. რიგ არ ბრუნავს, ეს მიდის, მიიძახსა, ხევსურეთის წესია, რჯულია“.

შუაკაცები ამ დროს მუხლმოდრეკილი ემუდარებიან, „მუტლით დაუსხდებიან“, ქულებს მოუხდიან და ეტყვიან: „აი ქულით გეგვეწებით, ჩვენებით სალოცავებით გეგვეწებით“. კალთაზე ხელს მოიკიდებენ, „კალთებს დეებშიან“ მეტი მორჩილებისა და მუდარის გამოსახატავად (ს. გუდანი, ბაბუა ჯინქარაული).

ბოლოს როდესაც ქირისპატრონს რიგის მიღებაზე მაინც დაითანხმებენ, მამკლავის სახლიდან მოყვანილ მიწადშიე საკლავს მკვდარისად სახელს დაუდებენ. ერთი შუაკაცი მარცხენა მუხლით დაჯდება და საკლავს დაუქერს, ხუცესი ხანჯალს ამოიღებს და ღმერთს უძახებს:

„ღმერთო, შენ უშველე ამ სისხლ-მისისხლეათა, ნულარას ჩამაუგდებ, რაიც არ ჩამოღვარდნია, ნულარას მარჯეს დააღირებ; ჩვენებო სალოცავებო, უშველეთ, შუ გაუარეთ, წალმ მაუარეთ, ღმერთო. დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო. კაცი შენ გეძახსა, სულიც შენ გებარების. საცა შენ ხარ, აფშინავ, შენ სულ მიივსენების, შენსამც სულს იმთავრებს ეს სამსახური, შენსამც სულს აიიღებს, შენსამც გეკმარის. როგორც ჩვენ გავგიქჩერებავ, როგორც ჩვენ თვალწინ ა ისე შენი მოსახმარები იქნების!“.

ამის შემდეგ დაჰკლავენ საკლავს: „შაუნდნას ღმერთმა, მავკმარას!“—ერთხმად იტყვის ხალხი. საკლავს გაატყავებენ, ხორცს იქვე მოხარშავენ, ტყავს კი შუაკაცები წაიღებენ. ხორცის ჭამის დროს არაყს დალევენ. შუაკაცები ქირის პატრონს დალოცავენ: „დავლოცასა, გადღეგრძელას, ნულარა მარჯე დაგაღი-

<sup>1</sup> მამკვდარი გულისხმობს მოკლულის ნათესავეს, მამკლავი კი მკვლელის ნათესავეს. ჩვენც ამ გაგებით ვხმარობთ ყველგან ჩვენს ნაშრომში ამ ტერმინებს.

<sup>2</sup> ალ. ო ჩ ი ა უ რ ი. „სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში“. ხელნაწერი, ისტ. ინსტ. ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი, რე. 29, გვ. 387.





რას, შენ გულ კაით გაგიკურნას, დღეს ამას უკენ გულ ნულარაი შავიწუხას<sup>1</sup>. ამის შემდეგ მიცვალბულს წაიღებენ და დაასაფლავენ.

თუ მამკლავს დაუგვიანდა მიწად შეი ხაკლავის გადახდა და მიცვალბული ისე დასაფლავეს, მაშინ დამნაშავეს, მეთავეს სასარგებლოდ გადაახდებიან 5 ძროხა ჯურუმს.

მკვლელობის შემდეგ მეთავე გვარი საგვარო ლაშქრობად მოემზადება. შუაკაცები მათ შესაგებებლად და გზიდან დასაბრუნებლად მამკლავის მეგობრების ხარჯზე საგვარო რიგს უყენებენ. საგვარო რიგის დაყენებაში მონაწილეობას გვარის თითოეული კომლი იღებს. დიდ გვარს მეგვამურობაზე კენჭებით დაითვლიდნენ და ვისაც რა შეხვედებოდა სისხლის კენჭში, იმას გადაიხდიდა. სულ გადასახდელი იყო 1 ბულა, 12—20 საკლავი და 5 ჩარეკი სპილენძი.

სალაშქროდ წამოსულ გვარს საკლავებს გზაში მიაგებებდნენ. „თუ არ მიაგებეს, რომელი მიზეზიან სოფელია, ის გვარი იმას დეეცემის, ქუდიანს ვისაც მახვლენ, სრუ გააფუჭებენ. ერთ კაცს მაინც მახვლენ, სულს ამიიღებენ“<sup>2</sup>.

მიყვანილ საკლავს სახელს დაუდებენ: „ღმერთო, უშველე ამ სისხლ-მე-სისხლეთა; ღმერთო დალოცვილო, მაღალო, კაცთა გამწენო, შუ გაუარე, წაღმ შუარე; ღმერთო, ავსა ურიგოს ნულარას ჩამოუგდებ, რაიც არ ჩამაღვარდნიე. ღმერთო, ავი დააცილე. სისხლ-მეისისხლეთ მეშუენო ანგელოზნო, თქვენ დევმარენით კაცსა და შუაკაცსა, კარგის თქმა გონებას ნუ მაუშლით; ღმერთო დალოცვილო, ზე დამარჩოთაც უშველე, ავსა და სიკვდილობას ნულარ დააღირებ! ღმერთო, შენგანვე გაჩენილი ხეწება კაცისაჲ, ბარება სულისაჲ, საც ქრისტე პურობენა, ანგელოზნი ჟამობენა, ცოდვილს ვაინანებენ, მართალს ვაისვენებენ, სულ წმიდან მაიხსენებთან, საცა მართალთაში შენ სულ მაიხსენების, აპარეკავ! შენამც მაგიჟა, შენამც მაგვემარების ეს დაყენებულ სამსახური. რაადაც გინდა, იმაადამც ხვმარობ, ცოდოსაც მაგვდის, სასჯელსამც ვარიდებს, სამძიმოსამც გი-ზუბუქებს, წინ მაგებებულსა, უკენ მაწეულსა, სიკვდილი დღე დამწყდელულსა, ენი ნათქვამსა, ჯელი ნაქნარსა, ყური ვანაგონარსა, თვალი ნანახსა, შალხევასა, ცოდვასამც გბდის. თუ გინდ ღმერთის კარზედა, თუ გინდ სულეთის ღმერთთა-ნა იქამც მაიხმარ, მანდილური წესითა და რჯულით შავინდნას, მაგვემარას ნუმც არაით ვაიხლათები! მე რასაც დაგაკლებ, სულეთის ღმერთი ნურას დაგაკლებს, ისიმც ვისრულებს, შავინდნას სულეთის გამრიგე ღმერთმა, მაგვემარას!“<sup>3</sup> საკლავს რომ დაკლავენ, ყველანი იტყვიან: „შაუნდნას, მაგვემარას; კაც—შუა კაცს ვასჯილობა ნურას დაგიკარგავსთ, კაის თქმა გონებას ნუ მაგშალნასთ ღმერთმა!“<sup>4</sup>

საგვარო რიგის დროს მიღებულ საკლავს რომ ჩაიბარებდა გვარი, ზოგს დაჰკლავდა და საერთოდ მოიხმარდა, ზოგს კი ხატს შესწირავდა, მიღებულ სპილენძსაც ასევე ხატს სწირავდნენ.

<sup>1</sup> სოფ. გულდანი, ბაბუა ჯინქარაული.

<sup>2</sup> სოფ. გულდანი, ბაბუა ჯინქარაული.

<sup>3</sup> სოფ. გულდანი, ბაბუა ჯინქარაული.

საგვარო რიგის გადახდით ხდება გვარის გვართან შერიგება, მაგრამ შამკლავის სახლს კი მამკვდრის არც სახლი და არც სამშო ამ დროს არ ირიგებს.

ხელახალი იერიშით შესაძმოენი—ძირის წვერნი მიდიან მამკლავის სახლის ასაოხრებლად. ვარდა მამკლავის სახლისა, მესისხლეებმა უნდა ააოხრონ მისი ძმის ან მამით შინშის სახლიც.

მათაც მეტვლეს შესაძმოენი რიგს დაუყენებენ. ერთს სამი წლის ბულას, სამჩარქიან სპილენძის ქვაბს, ორ საკლავს გზაში მიაგებებენ, რომელთაგან ერთი ბანზე შესაძმოდმოლოა, მეორე კი გადმოსამდომლო. თუ ვერ მოასწრეს გზაში მიგებება, მაშინ ბანზე ასელამდე უნდა დაუკლან ბანზე შესაძმოდმოლო და უკან დაბრუნება სთხოვონ. თუ ესეც ვერ მოასწრეს და მეთავე ბანზეა ასული, მაშინ ბანიდან ჩამოსამდომლო უნდა დაუკლან და ბანიდან ჩამოსვლა სთხოვონ, რომ ბანი დანგრევისაგან გადაარჩინონ.

ასეთივე წესით ხდება დედის გვარის შეჩერებაც, რომელიც თავის მხრიდან მოითხოვს სადედო რიგის დაყენებას და მოდის გვარისა და სახლის გასანადგურებლად. სადედო, ანუ დედის გვარის რიგი, რომელსაც საგვარო რიგის მსგავსად სალაშქრო რიგსაც უწოდებენ, იმავე ზომის გადასახადს, ანუ დრამას შეიცავს, როგორსაც საგვარო რიგი. ამგვარად, რიგის დაყენების დროს საკლავები მაშინვე იკვლებოდა, ხოლო ჯარს და ქვაბს მთავარ სალოცავს სწირავდნენ.

სახლის რიგი მამკლავის სახლის ხარჯზე სრულდება. მამკლავს სახლი მამკვდრის სახლს უხდის ერთ სამი წლის ბულას, სამჩარქიან სპილენძის ქვაბს და ორ საკლავს. თუ მამკვდრის ოჯახმა გაიგო მამკლავისაგან რაიმე ცუდი ნათქვამი, თუ არ დააჯუჯრუშა, ისე აღარ დაიყენებს მისგან რიგს. ასეთ შემთხვევაში ჯურუმს სამ ან ხუთ ძროხას ახდევინებენ.

მკვლელის სახლი უყენებს აგრეთვე რიგს დას, მამიდას, დისშვილებს, და თითოეულ ამ ნათესაურ ჯგუფს უხდის ცხრა ცხვარს. სადო რიგი 9 ცხვრის რაოდენობით ერთ უფროს დასთან იგზავნება, სამამილო ერთ უფროს მამიდასთან და ასე სხვა, რაც შემდეგ ამ ნათესაური ჯგუფის შიგნით ნაწილდება.

ყველა ზემოჩამოთვლილი გადასახადი მამკლავს არ ათავისუფლებს მამკვდრის პატრონის დევნისაგან. არც თვითონ მამკლავს—მეველეს და არც მის მესაძმოეთ არ შეუძლიათ მამკვდრის სოფელში შესვლა, და თუ ამ წესს დაარღვევენ, მათზე იტყვიან: „სისხლნ შამჩქეფინა“—და დააჯუჯრუშებენ.

თუ მამკლავი იმავე ან მეზობელ სოფლიდანაა, საიდანაც მამკვდარი, მაშინ მეველე მთელი თავის ოჯახით უნდა აიყაროს და ამანათად წავიდეს. ამანათად წასულს უცხო გვარი და სოფელი შეიხიზნებს. ხევისურული რჯულის მიხედვით, ამანათად მიღებაზე უარის თქმა არავის არ შეუძლია.

ზენა აწოელი ურჯუკა ჯინქარაული ასე აღწერს ამანათის მიღების წესებს: „ამანათად შენახვა ყველასი ვიცით, ვინაც იქნება. ამანათი ეტყვის, ამანათად მაინც მამყოფეთო, თუ არ შამიყრით ჯარ-ქვაბითო. მერე თუ ხანი გავიდა და ამანათი დარჩა, ეტყვის: შამინახეთ, მიძმიეთ, ჯარ-ქვაბით შამიყარეთ!.. გაუჭირებლად სოფელში არავინ მიგიტყვს. თუ საქმე არა გაქვ გაჭირვე-

ბული და სოფლიდან აყრა არ გინდა, არავინ მიგიტყვის, ქობსაც არ გაგაკეთებინებენ. ამანათს კი ხელს შაუწყობენ, ყველა უნდ მისცენ იმას, სახლიც მოუწყონ, მისცენ კიდევ, რაც ოჯახში სჭირდებათ. სადაც უფრო ნათესავი ჰყავ, იქ უფრო წავალს ამანათი, სადაც დაბო ჰყავ, ან ძმაი ჰყავ, იმ სოფელს შეხვეწების, იქ იცხოვრებს. შაუძლიან, რო სხვა ქვეყანაშიც წავიდას, იქა ნება აქ, იქა ვერ შაუშლიან იმას ხელს ცხოვრებისას. ქისტი რომ იყოს, ლევი რომ იყოს ამანათი, ხევსურზე კარგა უნდ შინახონ.

მკვდრის პატრონმა ამანათად შაიძლება მარტო მკვლევს ოჯახი აჰყაროს, შაიძლება რომ თქვას, არავის არ გაუტყვევ, არც მის ბაძაშვილებსო, მაშინ მთელი სახლიკაცები თავისი ცოლ-შვილით უნდა აიყარონ. ამანათს, რომელსაც სოფელი მიიღებს, ხატშიც შაუძლიან მისვლა<sup>1</sup>.

ხევსურული ამანათობის ფრაგმენტულ სახეს წარმოადგენს სვანური ჩვეულება, რომელიც ნაკა-სა და კერიის მოხსნით და ცეცხლზე წყლის დასხმით მკვლელის ოჯახის სიმბოლურ განადგურებას გულისხმობს<sup>2</sup>.

მკვლელისა და მისი ოჯახის ვახიზენა აღნიშნულია გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაშიც“. იქ ნათქვამია, რომ მკვლელი „სამს წლამდის გარდაიხვეწოს“ (შდ. § ე, გვ. 6; § ია, გვ. 8 და სხვ.)<sup>3</sup>.

დამნაშავეის გადახვეწა, როგორც აუცილებელი მომენტი ჩვეულებითი სამართლისა, ახლავს აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ზემოდნასახელებულ ადათებს. მაგრამ იქ ზოგჯერ გადასახლების მომენტი უფრო პირობითსა და არაარსებით ხასიათს ატარებს. უნკრატლ-ჩამალალის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, მკვლელი იხიზნება სამშობლოდან 3 დღით. მხოლოდ სამი დღის შემდეგ, როდესაც მკვლელის ნათესავები მოვლენ მოკლულის ნათესავებთან სუდართა და ხარით, მათ შეუძლიათ შერიგება და თავის ძველ სამოსახლოზე მოსვლა<sup>4</sup>. კარატინის ადათებით, თუ მკვლელი ვადაზე უფრო იდრე დაბრუნდა, მაშინ იმ ოჯახმა, რომელსაც ის შეეხიზნება, საზოგადოების სასარგებლოდ უნდა ვადაიხადოს 10 მანეთი, ხოლო მკვლელი კვლავ იდევნება<sup>5</sup>. თუ მკვლელმა თავის დროზე ვერ გადაიხადა მასზე დაკისრებული საურავი, მაშინ მესისხლეების სრულ დაკმაყოფილებამდე მას ერთმევა თავის სამოსახლოზე დაბრუნების ნება<sup>6</sup>.

დაღისტნის ზოგიერთი ტომის ადათებში ჩვენ მოგვეპოვება ცნობები უფრო ხანგრძლივი ამანათობისაც. კომაროვის მიხედვით, ყუმიხებთან ამანათის ვახიზენა ხდებოდა 2 წლის ვადით; ყაპუქლებსა და დიდოელებთან—ერთი წლის ვადით, რადგანაც ამაზე ადრე შერიგების მოხდენა სათაკილოდ მიაჩნდათ (შდ. კომაროვის დასახ. ნაშრ., გვ. 28; ლეონტოვიჩის დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 130; და წერილი „Адаты южно-дагестанских обществ“. Сб. свел. о кавк. горцах, ტ. VIII, გვ. 5—6).

**პირშესამყრელი.** მკვლელობის შემდეგ ხანი რომ გაივლის, მამკლავის მესამქონეი მიუგზავნიან მამკვდრის მესამქოებს შუაკაცებს: „არ შეიძლება,

<sup>1</sup> რუსუდან ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

<sup>2</sup> „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1913, გვ. 5.

<sup>3</sup> შდ. გველესიანი, დასახ. ხელნაწ., გვ. 64.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 47.

რო გვერდით დამისვას, მაპატიას?— შეეკითხებიან. შუაქაცებიც თავისი მხრივ ეტყვიან: „თუ გწყინსაო, გვითხარი, რაით შიყრი პირსა?“— და გადაუწყვეტენ ზედმეტად გადასახდელ ჯურუმს—სამს ან ხუთ კელით ძროხას; პირშესამურელოსათვის ერთ რომელიმე დღეს დანიშნავენ. მამკლავის მესამოენი დაამზადებენ 5 ძროხა დრამას; წიაღებიწებენ შუაქაცებს ხატში სვესა და ფორს და ლულს ადღებინებენ.

მამკლავისა და მამკვდრის მესამოენი ყველანი მეჭელესა და სათოფეთ გაწირულის გარდა, ხატში იკრიბებიან. სათოფედ გაწირული მამკლავის ძმა ან ბიძაშვილია; მის შერიგებაზე მამკვდრის მესამოენი უარს ამბობენ და მამკლავთან ერთად მასაც შურთიგებელს სტოვებენ.

დალუპვის შემთხვევაში მკვლელს სათოფედ გაწირული მოძმე ცვლის. შუაქაცები ხშირად სთხოვენ რომ „მაგას ნუ ვასწირავ.“ მამკვდრის მესამოენი ამაზე უარით უპასუხებენ: „კაც რო ამოსწყდეს, ჩემ თავ სისხლ სად უნდ წავიდას?“ ამგვარად, მეჭელესა და სათოფედ გაწირულს გარდა ყველანი ხატში იკრიბებიან და ორ საკლავს მამკვდრის მესამოეების მოსვლისას დაკლავენ. ამავე დროს დამზადებული აქვთ ლუდიანი კოდიც. კოდის გვერდზე დადგმულია ტაბლა—მოგრძო დაბალფებიანი სუფრა, რომელზეც აწყვია პურები, სატანი (ყველი) და მოხარშული ხორცი. ზედე დგას ერბოიანი ჯამები, ერთი ჯელადა არაყი; კოდის გახსნის შემდეგ ლუდიან თასებსაც ზედ დგამენ. კოდს ხუცესი სახელს დასდებს: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლობა შენდა! ღმერთო დალოცვილო, შენგანაა გაჩენილი ზეწება კაცისაჲ, ბარება სულისაჲ. საცა ქრისტე პურობენო, ანგელოზნი ეამობენო, ცოდვილს გაინაბებენ, მართალნი გაისვენებენ, სულ წმიდა მაიხსენებია; საცა შენ სულ მაიხსენება გიგია, შენ საცა ხარ, შენ ანდაფია, შენ სამყოფია; შენამც მაგია, შენამც მაგეჭმარება დადგმული კოდი, დაკრული სანთელი, ცოდოსა გქდისა, მჯელსაც გარიდებს, სამძიროსაც გიზღუტუქებს, წინ მაგებებულსა, უკენ მაწეულსა, სიკვდილის დღე დამწყდელსა, ენი ნათქვამსა, ჯელი ნაქნარსა, თვალი ნანახსა, ყური განაგონარსა, შენისამც ცოდვის მხდელია, ცოდვისამც იალ მქნელია. როგორც გაუქჩერებავ ემ ხალხთა, შენამც გეჭმარის; სულეთის ღმერთითამც ხმარობ, მანდიური რჯულითა, სულეთის ღმერთის მაცემითა, მზის შუქითა, დღის სინათლითა, ერუმსალეთის მადლითა, შაგინდას სულეთის გამრიგე ღმერთმან, მაგაჭმარას!“ შემდეგ ხუცესი მიუბრუნდება იქ მყოფთ: „ღმერთმა ავი. ურიგო ნულარა ჩამაგიგდასთ, ერთმანეთის მდევნი კად დაგარიგნასთ; კაც, შუაქაც კას თქმა გონებას ნუ მაგიშალნასთ. შაუნდას ღმერთმა, მახმარას!“ ამის შემდეგ გაიმართება პურობა. შუაქაცები ცდილობენ, რომ მესისხლეები ერთმანეთში არევით დასვან. შერიგების განმტკიცების მიზნით მათ ამშობილებენ—ჩაფხევენ ლულში ვერცხლს და შუაქაცები დაილოცებიან: „ღმერთო დალოცვილო, ფიც-ვერცხლის გამჩენო, კად დაარიგენი. ღმერთო, გიგია და ღთისია ერთმანეთს შაყვარე, ავსა, ურიგოს ნურას მანადომებ. სიყვარული ჩაუხედით, წმინდაო ანგელოზნო, ჩვენო სალოცავნო დალოცვილო“. ორივე ერთად აიღებს თასს, ჯერ ერთი მოსვამს სამჯერ. შემდეგ მეორე და ასე რამდენჯერმე გაიმეორებენ და ერთმანეთს ადღებრძელებენ.



სუფრა რომ აიშლება, ერთ საკლავს წაიყვანენ და მამკვდრის დედასთან მივლენ სახლში. ქულმოხდილნი სახლის ზღურბლთან დასხდებიან, ოჯახის უფროსი დისასხლისი მივა მათთან და ეტყვიტ: „შადით, გადმავედით აქ საწყლებო, თქვენ რაჩი გიტანავთ ბრალი, მეც იმან დამიღუპა და თქვენც იმან დაგოუპათ, თქვენი რა ბრალია!“

ამის შემდეგ შევლენ და სადაც „ყვერფ-კერა სხე“, იქ დასხდებიან და დამხდურებთან ერთად მოტანილ ლუდს დაუწყებენ სმას. დიდხანს არ დარჩებიან, წასვლისას მკვდრის პატრონი ეტყვის: „ნურაზე შესცდებით, არ მინდა, რო გამაგონათ ცუდ სიტყვა, არც მოსვლას გიშლით ჩემ სოფელში, არც აძრახობას გიშლით, ერთად დასხდომიაც გვინდა, მასვლაიც გინდათ, ცუდს ნურას გამაგონებთ, თავისუფლებ ხართ“. ამის შემდეგ, მგვლეხა და სათოფედ გაწირულს გარდა, ყველასთან შერიგებული არიან.

თუ მამკვდრის პატრონმა მგვლეს თოფი ესროლა და მხოლოდ დაქრა, მაშინ შუაკაცები ეტყვიან: „შენ თოფ გადაჰყუდეთ, თუ შენს ჯელს ეწერაო, შენ ხო თოფ ესროლეო, შენგნით ხო მომკვდარიიო და ღთისგნით ცოცხალია, დაანებე თავი!“

ცოტა ხნის შემდეგ მამკლავი თვითონ გაუფხავნის კაცებს და გაატანს მეთავესთან საკლავს: „სთხოვეთ, იქნებ გამიშვას, იქნება ღმერთსა ჯენას“. თუ მამკვდრის პატრონი დათანხმდა, მამკლავი წააღებინებს ხატში სვესა და ფორს ლუდისათვის და ერთს 3 წლის ხარს. შუაკაცები აღულებენ ლუდს მამკვდრის ხატში.

მგვლეს დალამებულში წამოიყვანენ და მეთავის სოფელში უსინათლოდ შევლენ, თან 3 საკლავს წამოიყვანენ. ერთ საკლავს სოფლის თავში დაკლავენ და ისე მივლენ ხატში. ხატში მისვლისას ხუცესი კოდს გაადიდებს, მეორე საკლავს დაკლავს და სახელს დაუდებს:

„ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლობა შენდა, ღმერთო, გემას ეკირის პატრონი, უშველე, ძველის სულის გონებად ნუ დაღლე, ახალს ნულარას ჩამაუგდებ მას იქითა. შენდობა სულს წმიდას. სააქაოს ნათქვამი თუ საიქიოს შიდიოდას, სულს შენდობა მიუდიოდას; სადა შენ ხარ გიორგიო, შენამც მაგვკმარების სააქაოს გამაჩქერებული ტაბლა, ყინწი, ჭურჭელი, კოდი დალოცვილი, დაღმული ღთის წესი, სამანდაოსამც გვეკმარვის, ცოტა—დიდად, რიოშ—წმიდად, ფერუქცევალად, წაუქცევალად, სულეთის ანგელოზი შენა ჯელადამც მიიღებს, მებალბათვიმც ნუმც აგართობს. სააქაოს გამაჩქერებულ გამაღებულ მანდამც გვეკმარვის, ჩემის უთქმელობითამც ნურა დეაკლდების. ცოდვისამც გვდის, მჯელსა-მჯავრესამც გარიღებს, სამძიმარსამც გიზუბუქებს, წინ მაგებებულს, უკენ მაწეულს, სიკვდილის დღეს დამწყვედეულს. ენი ნათქვამს, ყური განაგონარს; შენისამც ცოდვის მველია, ცოდვისამც იალ მქნელია. ნუმცარაით დაღონდები, ნუმცარაით გაიხლათები. ჯელსამც გახკრავ, უბე-კალთასამც გაიხვევ. შაგინდნას ღმერთმა, მაგვკმარას. თავისად გინდა, სხვათად გინდა, შენამც საკმარ იქნების“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ზვისტეჩი, ორბელთა, გიორგი არაბული.

შუაჯაცები და მამკვდრის მებარკონეები ლუდის სმას რომ შეუდგებინან, მეტელე ამ დროს კარში სიბნელეში ზის, მამკვდრის რომელიმე ახლობელი მესამშოე მივა მეტელესთან და ეტყვის: „რაც მოხდა, მოხდა, წინ უნდა ყოფილიყავ სიფხიზლით, მოხდა და ეშმაკისაგან მოხდა თუ ქაჯისაგან“. მოჰკიდებს ხელს და წაიყვანს. ზღურბლთან რომ მივა, მეტელეს გადასვლა არ უნდა, თუ გადავიდა, მაინც სიბნელეში ჯდება. მეთავე ლუდიან თასს მიუტანს, მეავე ჯერ უარს ამბობს მიღებაზე, ბოლოს გამოართმევს თასს, დაილოცება და დალევს.

ერთი წლის განმავლობაში ამის შემდეგ მეტელეს მეთავის სახლში შესვლა არ შეუძლია.

მკვდრის პატრონი უთვლის: „მერჯულენ ქვე არ ორთო ჩვენა, როცა გვერდით დავისევი, სახლშია შოვიდეს“. ამის შემდეგ მეტელე ერთ ქინთ (ტიკი) არაყს წაიღებს და ერთ საკლავს წაიყვანს, ერთ საიმედო სოფელელ კაცსაც შუაჯაცად წაიყვანს და მივა მეთავესთან; აძრახებას მაინც ვერ უბედავს. მეთავე ეტყვის: „ხათრ აღარ გინდაო, უკილოო ხათრს ნულარ სწეო, მასვლაიც გინდ, აძრახლომაც გინდ, გავლა-გამავლაიც გინდ; თუ ხათრს დაიქერ, დედაია იმისაჲ—მამკვდრისაჲ, თუ მამაია, შენთვისან კარგია, ამ დღის უკენ ჩემგან შიში ნულარ გინდა, ეს რიგის საკლავი<sup>1</sup> ღა გრჩების“<sup>2</sup>.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ პირშესამყრელო, როგორც აუცილებელი რიტუალი შერიგებისა, რომელიც ვარაუდობს დაზარალებული და დამზარალებელი მხარეების ერთად შეყრას და აგრეთვე მოითხოვს მკვლელისა და მისი ნათესავეებისაგან სავალდებულო საჩუქრების გადახდას, დადასტურებულია, ხევსურებს გარდა, სვანებთანაც<sup>3</sup>. მსგავსივე სახით დალისტინის სხვადასხვა ტომში<sup>4</sup> და აგრეთვე ჩერქეზებთანაც<sup>5</sup>. მსგავსებას ამჟღავნებს თვითონ სახელწოდებაც—პირშესამყრელო, როგორც, მაგალითად, თაბასარანული ბეტ-გერმაგ<sup>6</sup>.

თუ მეთავე მეტელესთან შერიგებაზე უარს აცხადებს, მეტელეს შეუძლია ჯვარჩი შაუჯდეს. მაკლავი შუაჯაცებთან და ხუცესთან ერთად ღამით მივა ჯვარში. თან წაიყვანს სამი წლის მოზვერს, წაიღებს სპილენძის ქვებს, ხუცესი ხატში საკლავს დაჭლავს და იხუცებს:

„შენაც სამთავრო, სადილო, გასამარჯო იყოსა სომხოზ გიორგი, მაყენებული ეს ბულაური, მახრილი ჩოქი, მათხოილი მადლი ამ მესისხლეებისა, აპათ თავ ჯალათობისად. სამეშვლო, სამწყალობო აიტანე. ერთიერთსმანეთთან სისხ-

<sup>1</sup> რიგის საკლავის სახით ამ შემთხვევაში იგულისხმება სამკანაო რიგი, რომელზეც ჩვენ ცოტა ქვემოთ შეგებრდებით.

<sup>2</sup> ზეისტერი, ორბეულთა, გიორგი არაბული.

<sup>3</sup> რუსულან ხარაძე. დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში, 1939, 37—40.

<sup>4</sup> შდ. Ф. И. Леонтович. დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 130, 163, 214; А. В. Комаров, დასახ. ნაშრ., გვ. 34—35; გველესიანი, დასახ. ხელნაწ. გვ. 82, 97 და სხვ.

<sup>5</sup> შდ. Н. Ф. Грабовский. „Очерки суда и уголовных преступлений в кабардинском округе“, Сб. свед. о кавк. горцах, გამ. IV, გვ. 29 და სხვ.

<sup>6</sup> შდ. „Алаты южно-дагестанских обществ“, Кюринский окр. Сб. свед. о кавк. горцах, გამ. VIII, გვ. 33, 51. შდ. აგრეთვე А. В. Комаров, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

ლობას, ცოდვილობას ნულარ მაუხდენ, ამათში შუაკაცებ რომლებიც არიან, ამათსა სწყალობდე!..“

მამკვდრის პატრონს დილამდე არ გააგებინებენ „ხატში შამოჯდომის“ ამბავს. მეორე დილით კი შუაკაცები მივლენ მეთავის სახლში, მიიყვანენ ერთ საკლავს და ეტყვიან: „დღეს თოფი უნდ გადავარდეს, აი ამ საკლავითა გთხოვთ, გებეჭებთ. ნულარ მაჭკლავ. ჯვარჩი შამამჯდარია და ჯვარსაც აპატიე და ჩვენც გვაპატიე“. ისიც უპასუხებს: „არ უნდ შამამჯდარიყო, არც ვკლავდი მია, არც მგულავ. რად უნდოდ ხატში შამამჯდომი“<sup>1</sup>.

ამის შემდეგ მოსაკლავად ვეღარ დასდევს მისი მესისხლე. გადასახდელი რჩებოდა მხოლოდ სამაჯნაო რიგი. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენდა იმ სახის დრამას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არ ისპობოდა. მამკლავი და შემდეგ მისი შთამომავლობა მას ერთი ცხვრის სახით ყოველწლიურად იხდიდა. თუ მკვლელს პირდაპირი ნათესაობის ხაზით აღარაფერ რჩებოდა, მაშინ სამაჯნაო რიგს ის იხდიდა, ვინც მკვლელის ადგილ-მამულს ამუშავებდა.

სამაჯნაო რიგის დაყენება გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ხვნა დაიწყებოდა და ხარის პირველი კვალი გავიდოდა.

ყველა ზემოაღწერილი წესის გარდა, მკვლევსა და მის მესამძიმებს რჩებათ შესასრულებელი მთელი რიგი აღკვეთებისა, რაც შთამომავლობით ვადადის და საუკუნეთა მანძილზე ინახავს მესისხლეების შულს.

ქვემოთ ჩვენ შევჩრდებით ამ აღკვეთათა ცალკეულ სახეებზე:

1. თუ მამკლავი მამკვდრის პატრონს გზაში შეხვდა ცხენით, მამკლავი ცხენიდან უნდა ჩამოვიდეს.

2. თუ მამკლავი მამკვდრის პატრონს ვიწრო გზაზე შეხვდა, მამკლავი გზის თავზე ვერ გადაუფლის მამკვდრის პატრონს და გზის ქვემოთ უნდა მოერიდოს.

3. მამკვდრის სოფელში მამკლავი ცხენზე შემჯდარი ვერ შევა. ბ. გაბუურიც აღწერილობაში ეკითხულობთ: „მეწევი რომ მეთავის სოფელში მივიდას, საქმე რომ რა ხქონდას, არ შეუძლავ, რომ იქითას იმის სოფელში ახკიდევ ცხენზე ნაჯდომმა ცხენით გაიარას—არ აქვის ნება; \*თუ ცხენით მივას და იმ სოფლისას აქვ გზა გასავალი სხვაკან მიმავალს, მაშინ შორითავ უნდა გარმოქდას ცხენზეით, ცხენი ველში დაიპირას და ისე ნებას გაიაროს. თუ ცხენით გაიარა, თუ მესისხლე შინ ას, გამაეტანების და დასქრის“<sup>2</sup>.

4. ხალხში მამკვდრის გვარეულს მამკლავი ჩხუბს ვერ დაუწყებს, და თუ ვინმე მამკვდრის მონათესავეს ეჩხუბება. მამკლავმა მისი მხარე უნდა დაიპიროს.

5. მამკლავმა ხათრი უნდა გასწიოს და თუ სადმე ქეიფში შეხვდა მამკვდრის ნათესავს, მას ლუდიანი თასით პატივი უნდა მიართუას; მასთან ვერც იმღერებს და ვერც იმხიარულებს. „სად შეხედება ქეიფში, სმაში, ხალხში, სადაც უნდ იყოს, პატივი უნდ მიართუას. ან ლუდიანი თასი, ან არაყი; ამის გარდა საქიროა ხათრის ქერა. არც იმღერებს, არც დაუკრავს ფანდურზე, არც იშულებს მასთან“ (გულდანი, ქორია და ბაბუა ჯინქარაულები).

<sup>1</sup> ზეისტიმო, ორბეულთა. გიორგი არაბული.

<sup>2</sup> წელიწადული, 1923—24, გვ. 140—141.

„სმელობაში რომ ერთად შეიყრებიან მამკლავ-მოკლული პირველად, რომ მამკლავი მოკლულს მახველავს, იქ ლუდი უნდა მიატანიოს სხვა კაცს, პატივს ექძახით ამას“. (უკენ ჯალუ. უნცრუა ქერაული).

ბ. გაბუური ამის შესახებ წერს: „სადაც შეხედების ხალხში, მუდამ პატივი უნდა აძლიოს მეთავეს; თუ პატივი არ მისცა, მაშინ მეველეს დასჭრის ხანჯრით და შასწირავს თავის მეკლავს. ეს რომ თავ-მეთავეობა სრუ მიწა-წყალობაში ას, იმის გათავება არ იქნების, ჩამომავლობამ მეველისამ სრუ უნდ პატივი აძლიოს მეთავეს“. (ბ. გაბუური, წელიწდული, 1923-24, გვ. 140).

6. საკლავ-პატივის გადახდა. ისევე, როგორც სამაჯნაო საკლავი, საკლავ-პატივიც მეკლავზე მეველის სახლმა უნდა გადაიხადოს. ესეც თაობიდან თაობაზე გადადის და თავის გათავებაშივე გრძელდება. მამკლავის სახლი უხდის აგრეთვე პატივს მამკლავის სახლს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ქალს გაათხოვებს ან ვაჟს ცოლს მოჰგვრის. ამას საქორწილო პატივი ეწოდება. საქორწილო პატივს იხდის ფულით ან ხამზილო ფარჩით.

ყველა ზემოთ დასახელებული ილყეთა სამაჯნაო საკლავთან ერთად დაუსრულებელ ვალდებულებებს წარმოადგენდა ძველისძველ მესისხლეთა შორის, მხოლოდ ამ 50—60 წლის წინათ შემოიღეს ე. წ. თავის გათავება.

თუ ძველისძველ მესისხლეს თავის გათავება უნდოდა, შეუთვლიდა: „ზურაბისოღინდელ თავსაო ქო მიწაწყალთ კი ვერ გავაწვდენთაო, გაგათავებ მია თავსაო“. თუ თანახმა გახდებოდა თავის გათავებაზე, მაშინ მეველის მეგვიდრე დანიშნული დღისათვის ლულს ადულებდა და ყველანი მამკლავთან შეიკრიბებოდნენ.

შუაქაცები შეათასებენ საქონელს, ზოგი მეთავე 16 ჯელით ძროხას მოთხოვს, ზოგი 30 ჯელით ძროხას. ამის გარდა სპილენძს, ხანჯალს, ქამარს, ცხვარს, ძროხას, ცხენს და სხვ... შუაქაცები ყველაფერს ჩაიბარებენ და მამკლავის ნათესაობას მიართმევენ. ზოგიერთი მეთავე გადასახდელის ერთ მესამედს აპატიებს მამკლავს.

შერიგების დროს კოდს გახსნიან და ლულს მეკლავისად დალოცავენ: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა! სააქაოს ნათქვამი საიჭიოს მილიოდას! სადაც შენ ხარ (სახელს იტყვიან მეკლავისას), შენი სამყოფოია, შენი ანდაზაია, შენი სახმარ იქნების. შენიმ სამთავრებ იქნების, მოუდევარ გექნების, მოუტიდვარ გექნების, ცოდოსამც გხდის, მეველსა, მეჯავრესა გარიდებს, სამძიმარსაც გოზუბუქებს; წინ მაგებებულსა. უკენ მაწეულსა, ენი ნათქვამსა, ჯელი ნაქნარსა. ყური განაგონარსა, თოლით ნანახსა, შენი სიკვდილის დღეს დამწყვდევულსა, შენი კოდვის მხდელია, კოდვისამც იალ მქნელია. თუ ვინ გყავდასა შამამხედავი, შამამბრუნავი, მაკეთე მაკიდული, სოფლელი, სწორფერი, ნაცნობი, ნადობი, ძმობილი, შენითამც ნებით დაიწვევ, დაიტანებ, ძალით ნუფინ მაგვიდების; მანდიური წესრიგითამც ხმარობ, ჩემი უთქმელობითამც ნურა დალონდები, ნურა გაიხლართები, შავინდას, მაგახმარას!“. 1.

1 სოფ. გიორ-წმიდა, ივანე გოგოჭური.



კოდის დალოცვის შემდეგ, სანამ ხალხი საქმელად დასხდებოდეს, მანამდე შუაქაცები ნამჯისაგან ნასკეს გააკეთებდნენ „ყარტ განასკვენ ერთმანეთის ძველი შედავნი; წინ დაიდებენ“; მკვდრის პატრონი აიღებს ხელში ნასკეს და იტყვის: „აი, მაგდიოდასთ, თქვენს ღმერთსაც მიზდიოდას, მიპატიებ მე, ეხლა ნასკეს ვიღებ (იღებს წინ ნასკეს); აი მაგდიოდასთ შუაქაცებს სრულ ყველას, მე ნასკეს ვიღებ ამ კაცთან, თუ მაგვალ ნასკვის დადების უკენ, იქავ მაშკლას, თუ დაეხკარ, იქავ დამკრას, თუ შაუწირე, შამამიწიროს, ხოლოთ იმ კვდარს ნუ ამიხსენებს<sup>1</sup>, თორემ მაშინ კი აისივ საქმე გვექნება და ახალ იყვეს, აი ნასკვზე ფეხ ვაღვამ“.



ნასკვი

ამის შემდეგ მეთავე ერთ-ერთ შუაქაცს მიმართავს: „აი, აპარეკავ, და-ისწავლიდი, შენ შეილებსაც ასწავლიდი, რომ ნასკვზე მე შემახდინეს, ანდრეზ გაწირიდი, რო მაგათან გათავებულ მაქვ საქმე“. ნასკვზე ფეხის დამდგომ ორ კაცს—შუაქაცებს 2 ფეხითი ცხვარი უნდა მისცენ მაშკლავის ნათესავეებმა, რასაც ანდრეზის შეხანახს უწოდებენ. შემდგომ თუ რაიმე გაუგებრობა მოხდა, ეს შუაქაცები იტყვიან: „მაგი თავს ვეღარ გაახლებენ, მე შავესწარი, მაგ ნასკვზე მე ვიდექ“.

<sup>1</sup> ე. ი. მოკლულის სულს ნუ გამოიანძლავს, მის სახელს აუვად ნუ მიხსენებსო. „მამკვდარს რომ მაშკლავმა უძახას, ჩვენს მოკლულს მიგიდნასო, ჩემი ცხენი, ჯორი, ძაღლი, ციცი... მაშინ 5 ძროხას წაართმევს ჯურუმს“, ხოლო „თუ მამკვდარმა უძახა მაშკლავს უნცროსიმეც ხარ“, ე. ი. შენი მკვდარი ჩემ მკვდარს ემსახურებაო, მაშინ ის და ააჯურუმებს.

თავის გათავებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველაფერი რიგზე და წესზე სრულდება და მისისხლე ყოველწლიურად დაუგვიანებელი იხდის სამაჟნაო საკლავს და მოკლულის სახელსაც არასდროს ცუდად არ ახსენებს.

ამგვარად, მხოლოდ თავის გათავების შემდეგ ხდება მისისხლეების სრული შერიგება. როგორც აღვნიშნეთ, თავის გათავება შედარებით ახალი წეს-ჩვეულებაა და ძველი ხევისურული რჯული ამგვარ შერიგებას არ თვლიდა შესაძლებლად, რადგანაც მისისხლეობა უხსოვარი დროიდან თაობიდან თაობაზე გადადიოდა.

5. მკვლელობის და დასახიჩრების სხვადასხვა შემთხვევა. ხევისურული რჯული ასხვავებს ერთმანეთისაგან მკვლელობის ორ სახეს: იშობრად მოკლულს და გიწამაობით მოკლულს. პირველი უცაბედად, წინასწარი განზრახვის გარეშე მოკლულს გულისხმობს (შდრ. საბა, იშობრივ—ფათერაკსავით, ფათერაკად). მეორე კი წინასწარი განზრახვით, წადილით მოკლულს გულისხმობს.

იშობრად მომხდარი მკვლელობის დროს შერიგება უფრო ადვილია, გიწამაობით მომხდარი მკვლელობა კი უეჭველად სისხლის აღებას მოითხოვს<sup>1</sup>.

სევანური მასალაც ამ მხრივ საყურადღებო პარალელების დადგენის შესაძლებლობას იძლევა. სევანეთში წორ-ის რაოდენობა უცაბედი მკვლელობის შემთხვევაში მცირდებოდა<sup>2</sup>.

უნდა აღინიშნოს რომ დალისტნის ტომთა ადათებიც ითვალისწინებს ამ მომენტს და იშობრად მომხდარი მკვლელობის დროს სისხლის დრამის შუაზედ ყოფს<sup>3</sup>.

საყურადღებოა, რომ უძველესი ქართული სისხლის სამართალი, XI საუკ. მოყოლებული, მკვეთრად ასხვავებს შემთხვევითსა და განზრახ ჩადენილ მკვლელობას და პირველს დანაშაულადაც კი არ თვლის<sup>4</sup>.

აკად. ივ. ჯავახიშვილი „მონღოლთაგან შემოღებული ველური პირობების გავლენით“ საქართველოს კულტურული დაქვეითების ერთ-ერთ მაჩვენებლად სამართლის ძველებსაც ასახელებს. მკვლევარი საგანგებოდ აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ XIV საუკ. I ნახ. გიორგი ბრწყინვალეს მიერ შედგენილ „ძველის დადებაში“ „მკვლელობა დანაშაულებრივ მოქმედებად არის უკვე მიჩნეული იმ შემთხვევაშიც, თუნდაც ასეთი საქმე ვისმე ჭებრალოდ დაემართოს, ე. ი. უნებლიეთ ჰქონდა ჩადენილი და მაშინაც-კი, როცა მკვლე-

<sup>1</sup> ამდენად არ არის მართებული ნ. ურბნელის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „ხევისურულ სამართლისათვის სულერთია—შემთხვევით შემოგაკვდა კაცი, თუ განზრახ მოჰკალი იგი; კაცი როგორც უნდა შემოგაკვდეს, ხარალი ერთი და იგივეა“. იხ. ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II, თბ., 1940 წ., გვ. 66.

<sup>2</sup> რ. ხარაძე დასახ. ნაშრ., გვ. 33.

<sup>3</sup> შდ. გველესიანი. დასახ. ხელნაწერი: უნკრატლ-ჩამალალის სანაიბო, გვ. 64; დიდოფთი, გვ. 113; კარატინის სანაიბო, გვ. 45; წინდალის სანაიბო, გვ. 19 და სხვა... შდრ. აგრეთვე A. B. Кошаров, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

<sup>4</sup> შდ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1941 წ., გვ. 164.

ლობა უცაბედად მოხდებოდა: ამგვარად იქ ფათერაკისათვისაც-კი სასჯელია დაწესებული!“<sup>1</sup>

აკად. ივ. ჯავახიშვილს ნებისითი დანაშაულის უნებურისაგან განსხვავება ქართული სამართლის დამახასიათებელ მხარედ მიაჩნდა, ხოლო შემდეგი დროის კანონმდებლობაში მის შეცვლას საქართველოს კულტურული დაკნინებით ხსნიდა.

ხევისრულმა რჯულმა პირდაპირ დანაშაულთან ერთად იცის დანაშაულის ისეთი სახეც, როდესაც ბრალდებული უშუალოდ დამნაშავე არ არის. მაგალითად, თუ მკვლელობა ან დაკეჭნა ვინმეს ენის მიტანითაა ჩადენილი, ან თუ რომელიმე პირმა დაიწყო ჩხუბი, სხვები წააჩხუბა და შემდეგ თვითონ გამოეცალა, ან თუ ჩხუბს დაესწრო და მაჩხუბარნი არ გააშველა და ასე სხვა, ... ასეთი დანაშაულისათვის ჩხუბის მონაწილესა თუ დამსწრეს ახდევინებენ ე. წ. არბითხ 5-დან 16 ძროხამდე. იმ პირს, რომელიც არბითხ იხდის, მფარბითე ეწოდება.

პირშესამყრელის დროს მეთავე შუაქაცუბის საშუალებით შეეკითხება მამკლავს: „მფარბითე ვინ ჰკავ, თუ თავად მამკემს?“ თუ მფარბითე არავინ ეყოლა, მაშინ არბითიც მკვლელმა უნდა გადაიხადოს. მამკლავის პატრონი არბითხ არ დაიკლებს<sup>2</sup>.

თუ მკვლელი არ ეთანხმება რჯულის კაცების გადაწყვეტილებას და რაიმე მიზეზის გამო თავის გამართლებას ცდილობს, მაშინ მამკლავის პატრონი კაცის თავზე ფიცის დადებას მოითხოვს.

ასეთ შემთხვევაში შუაქაცუბი მამადკაცობიდან (გვარის განშტოებიდან) 9 კაცს დაუსახელებენ ფიცში მონაწილეობის მისაღებად ისეთებს, რომლებსაც „ხატი ავინებს“. ხოლო თუ მამკლავის პატრონმა 18 კაცით მოინდომა დაფიცება, მაშინ ბრალდებულს შეუძლია თავისი შერჩევით წამოიყვანოს თავისი მონათესავენი—მესამმოენი.

დანიშნულ დღეს მივლენ ხატში, საკლავს დაკლავენ, დაიმწყალობებენ. ბრალდებული დაიფიცებს: „მავდიოდასთ ყველას კაცსა, დიაცს, მე ამ კაცის მაკვლამი ბრალ არ მიტანავ, არც ენით, არც წელით, არც ვიც ვინ მაკლ“. იქვე მდგარი მისი მესამმოენი დაიძახებენ „მართალია, მართალია, წელს ვეკიდებით“. ასე ხდება კაცის თავზე ფიცის დადებით ბრალდებისაგან გამართლება.

ამ წესის საილუსტრაციოდ ჩვენ მოვიყვანთ სოფ. ბაკალიგოში მოხუცი (66 წ.) აფშინა არაბულისაგან ჩაწერილ აღწერილობას: „საფლავზე შახტომა, ცოდვის მოკიდება იციან. ამაზე ცხრას კაცს წელს მოაკიდებინებენ. ეს ცხრა კაცი თავისი მესამმოენი იქნებიან. თუ ჩვენ გვებრძვიან, რომ მამკლავნი ხართ და ჩვენ უარზე ვართ, ისინი დაგვისახელებენ კაცებს, რო ესა და ეს კაცები წამაიყვანეო. თუ რვა კაც გაჰყვებიან (მეცხრე თავად იქნების), დარწმუნებით გაჰყვებიან, თუ მამკლავია და არ გაჰყვებიან. მივლენ საფლავზე, ამოსთხრის მამკლავად შერქმეული ფეც ჩასადგმელ ადგილს, შიგ ჩასდგების ამოთ-

<sup>1</sup> იქმე.

<sup>2</sup> უკან ხადუ, ბუღეჯან ხაიელი.

ხრილში, სხვებიც იმის მახლობლად დადგებიან (ეს 8 კაცი მისი სახლისკაცები, მისი შესამოწონი იქნებიან), ფეკს რო ჩასდგამს საფლავში, ეკლით თავად ყურს ჩამოიკაწრის, სისხლს ჩააწვეთებს საფლავში და მერე იძახებს: თუ მე მაგისა რა მეცხასა, ჩემ მაკლული იყვესა, ველ მეტანასა. ცოდა მქონდასა მაგისაიცა, მაგის მკვდრისაიც! სხვანიც იტყვიან: ჩვენაც ცოდო გვქონდასა, თუ ეგ მტყუანი იყვესა, მართალზე არ ვიკიდებდეთ ცოდვასა. კელს ვეკიდებით ჩვენავ რვა კაცი ამის სიმართლზე! მამკვდარ კი არ მივ იქ, სხვას კაცს წაღლაღავს მაყურებელს. მაყურებელი ახლოს არ მიდის, შორიახლოს უყურებს, ამბავ უნდა მიუტანოს მამკვდრის პატრონს. სანდო კაცს წაღლაღავს მაყურებლად, სიმართლის მთქმელი უნდა იყოს. ცოდვის მოკიდება მარტო სისხლ-მესისხლეობაში იციან და მარტო მოკვლავ. კელის მაკიდენი შესამოწონი არიან. თუ შინშებ არ იქნება, მაშინ გარეულ ბიძაშვილებზე გადავა<sup>1</sup>.

ესავე ფაქტი ურბნელს შემდეგნაირად აქვს აღწერილი: „ბჭე აიღებს ხელში რაიმე ეკალს, ჯერ ბრალდებულს და მერე თითო-თითოდ იმის რვა ნათესავს ყურში ეკალს აძგერებს, სისხლს გამოუშვებს; სასხლი საფლავს ჩაეწვეთება. მკვდრის პატრონი სისხლის გამოშვების დროს ამბობს: უმცროსიმე ხარ, ჯდამსაც უბანდავ, ფეხის სამოსამეც უკეთებ, წყალსაც უზიდავ, ხელზედაც ემსახურები, გახდები იმის მოვალე, რომ არაფრით არ დააღონოვო... ეს იმას ნაშნავს, რომ თვითველი მოფიცარი საიქიოს მკვდრის ყმა და მოსამსახურე გახდება, თუ კი ტყუილად დაიფიცებს“<sup>1</sup>.

მსგავსივე წესი საფლავში სისხლის ჩაწვეთებით ფიცის დადებისა დაღასტურებულია ოსებთან შანაევის მიერ. მაგრამ იქ მოფიცარის მიერ სისხლის გამოდენის თავდაპირველი სახე, რომელსაც ხევსურულ მასალაში ვხვდებით, შეცვლილია უკვე სიმულაციით. (შდ. Жантемир Шанаев. „Присяга по обычному праву осетин“. Сб. свед. о кавк. горцах, т. VII, გვ. 16—17. შანაევის აღწერილობით სარგებლობს მ. კოვალევსკიც, შდ. მისი Современный обычай и древний закон, т. II, 1886, გვ. 286—287).

რაც შეეხება ცალკეული პირის ნათესაური ფიცით გამართლებას, იგი ცნობილია საერთოდ გვაროვნული წყობილების მქონე ხალხთა შორის და, კერძოდ, დაღისტნის ტომებში<sup>2</sup>.

ზემომოყვანილი აღწერილობიდან ჩანს, რომ ხევსურული რჯული სისხლ-მესისხლეობის დროს ითვალისწინებს შემდეგი სახის საურავს:

I. თ ა ე - ს ი ს ხ ლ ი, რომელიც მთელი რიგი მომენტებითაა წარმოდგენილი:  
 ა. მიწად—შიე—საკლავი,

<sup>1</sup> ნ. ხ. ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი (ურბნელი). ეთნოგრაფიული ნაწერები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II, თბ., 1940 წ., გვ. 66.

<sup>2</sup> შდრ. გ ვ ე ლ ვ ს ი ა ნ ი. დასახ. ხელნაწ.: დიდოვლები, გვ. 113; კარატინის სანაიბო, გვ. 46; ტენუცალის სანაიბო, გვ. 29, 30, 40; უნკრატლ-ჩამალალის სანაიბო, გვ. 63; რუმბეთის სანაიბო, გვ. 98; წინდალის სანაიბო, გვ. გვ. 2, 12. შდ. აგრეთვე А. В. Комаров. დასახ. ნაშრ., გვ. 16 და წერილი: „Алаты даргинских обществ“, Сб. свед. о кавк. горцах, т. VII, გვ. 9. ნათესაუების ფიცში მონაწილეობის იმავე წესის არსებობა ოსებთან და მისი ზოგადი თეორიული მნიშვნელობა გარჩეული აქვს მ. კოვალევსკის თავის ნაშრომში „Современный обычай и древний закон“, т. II, 1886, გვ. 304.

- ბ. საგვარო (ანუ სალაშქრო) რიგი,  
 გ. სადედო (ანუ სალაშქრო) რიგი.  
 დ. სახლის რიგი,  
 ე. საძმო რიგი,  
 ვ. საქალო რიგი: სადო, სადედითშინშო და სამამიდო,  
 ზ. სამაჯნაო რიგი.

თავ-სისხლი, როგორც მოკლული იდამიანის საფასური, ხეცურეთში 60 ძროხად იყო შეფასებული.

ყველა ამას თან სდევდა ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის სახით კიდევ ე. წ. ჯურუმი და არბითი.

სისხლის საურავის აღნიშნული სახეები მოითხოვს მეწელისა და მისი გვარისაგან სისხლიან მსხვერპლს, ხარისა და ცხვრის სახით, ლუდის გარკვეულ რაოდენობას და გარიგებულ ტაბლებს. როგორც მეთავე ისე მეტელები, ე. ი. როგორც დაზარალებული, ისე დამზარალებელი, წარმოდგენილია ნათესაური ჯგუფისა და არა ცალკე პირების სახით. მეტელებს ოჯახში მიცვალებულის დასაფლავების წინ უნდა დაკლას მიწადშიე საკლავი, ამას მოჰყვება მეთავისა და მეტელის გვარების ურთიერთგარიგება. მეტელის გვარის შუაკაცები საკლავებით გზაშივე უხედებიან მეთავის გვარს და მას მსხვერპლის შეწირვით აჩერებენ. თუ საკლავის დაკლა დაუგვიანდათ, მეთავის გვარი მეტელის გვარს დახოცვისა და განადგურებას ემუქრება. საგვარო რიგს გვარი საერთო ხარჯზე უყენებს მეთავის გვარს: სისხლის კენჭში მეტელის გვარის თითოეულმა წევრმა თანაბარი მონაწილეობა უნდა მიიღოს. ამგვარად, საგვარო რიგს, რომელსაც ავრეთვე სალაშქრო რიგიც ეწოდება, გვარის დაბრუნების შესაძლებლობა აქვს. ამ შემთხვევაში ავნატური ნათესაობა მოითხოვს მოწინააღმდეგისაგან გვარის კუთვნილი დაკარგული სისხლის ანაზღაურებას, ე. ი. სისხლში—სისხლს. ამას მოჰყვება სადედო რიგი, სადაც დედის გვარი მოითხოვს ქალის შთამომავლობის სისხლს. სადო და სამამიდო რიგი, ასევე ნათესაობის მატრილოკალური უფლებებს ამჟღავნებს, ხოლო საძმო რიგი მატრილოკალური ნათესაობის სახით ძირის ანუ გენსის უფლებების მატარებელია.

საყურადღებოა ამ შემთხვევაში ისიც, რომ თუ საძმო რიგი გულისხმობს, რომ დრამას იხდის მეტელის გვარის ერთი ნაწილი, გარკვეული ნათესაური ჯგუფის სახით, მის მიღებაშიც მეთავის მხრიდან ამავე სახის ნათესაობაა წარმოდგენილი.

სადო რიგი ერთ უფროს დასთან იგზავნება, სადედით შინშო—ერთ უფროს შინშთან, სამამიდო—ერთ უფროს მამიდასთან, ეს კი თავისთავად გულისხმობს დების, დედით-შინშებისა და მამიდების ნათესაური ჯგუფების არსებობას, რომლის შიგნითაც ხდება მიღებული დრამის განაწილება.

ამგვარად თავ-სისხლის გადახდასა და მიღებაში სათანადო უფლებით სარგებლობენ როგორც მამის ისე დედის გვარის წევრები, დრამის რაოდენობით განსხვავება ამ შემთხვევაში კოვნატური ნათესაობის შედარებით სუსტ უფლებებზე მიუთითებს. სპეციალურად მიცვალებულის კულტანაა დაკავშირებული მიწადშიეი საკლავი და სამაჟნაო რიგი, რაც თავისთავად გვაროვნული წყობილების მნიშვნელოვან გარდმონაშთს წარმოადგენს.

უპირაჟი მაგალითის მოყვანა შეიძლება კავკასიის ტომთა ჩვეულებითი სამართლიდან, სადაც უცხო გვარის წევრთა მიერ ჩადენილი დანაშაული გვაროვნული ხასიათის მატარებელია, ინდივიდუალური მომენტები კი სრულიად მიჩქმალულია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხევისურულ რჯულში ზოგიერთი მომენტის მიხედვით, შესაძლებელი ხდება სისხლ-მესისხლეობის წესების განვითარების დადგენაც. ასე მაგალითად, თავის გათავებებსა და ნახკვებ დადებით ძველისძველ მოსისხლე გვარების შერიგება, როგორც აღენიშნავდით ხევისურულ რჯულში მხოლოდ შემდეგი დროის მონაპოვრად ითვლება. ამ მხრივ საყურადღებოა ის ცვლილებებიც, რომელიც არხოტის თემში ე. წ. ახალი პირის სახით თავის რჯულში შეიტანა. ახალი პირი ძირითადად, სისხლ-მესისხლეობის დროს არსებული გარკვეული ვალდებულებების მქონე ნათესაური კატეგორიის ფარგლების დაეიწროებას შეეხო.

მაგრამ სინამ სისხლ-მესისხლეობაში გვაროვნული წყობილების გარდმონაშთების შესახებ საბოლოო დასკვნას გაავაკეთებდეთ, საქირთა ნაწილობრივ მინც გვარკვიოთ სისხლის რიგის დაყენების მნიშვნელობა. რიგების დაყენება პირველ ყოვლისა გვარისათვის დაკარგული წევრის სამაგიეროდ გადახდილ ნივთიერ ანაზლაურებაში მდგომარეობს, სისხლის რიგების რიტუალი კი გულისხმობს აგრეთვე, რომ დამნაშავე მხარე სწირავს მსხვერპლს ხარისა და ცხერის სახით. ამზადებს პურებითა და საქმელებით მოწყობილ სუფრას და აღუღებს ლულს.

აქ ბუნებრივად ისმება კითხვა: რა თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამგვარ შესაწირავს? თვითონ რიგების სახელწოდება თავსისხლი ან პირდაპირ სისხლი უკვე გულისხმობს იმას, რომ მეთავე სისხლის ანაზლაურებას მოითხოვს. საგვარო რიგი, შეწირული ხარისა და ცხერის სახით, გამოლაშქრებულ მესისხლეს გზიდან აბრუნებს. ბანზე შესამკდომლო საკლავი მოწინააღმდეგეს ბანზე შესკლის უფლებას ართმევს, ბანიდან ჩამოსამკდომლო საკლავი ბანს დანგრევისაგან იცავს.

გვარი არ დაბრუნდება, თუ წინ არ შეაგებეს საკლავები. სისხლიანი მსხვერპლი, ხარისა თუ ცხერის სახით, ამ შემთხვევაში შესაძლოა ადამიანის მსხვერპლსაც მოაგონებდეს. რიგის დაყენების უფლება უკვე პირდაპირი სახის სისხლ-მესისხლეობის შეცვლას გულისხმობს. ამას სთხოვენ მეთავეს შუაკაცები, როდესაც რიგის დაყენების ნებართვის მიღება უნდათ. განრისხებული მესისხლე ეძებს მეწელის გვარს, მის საქმოს და ყველასაგან ადამიანის მსხვერპლს მოითხოვს. სისხლის დრამის მსგავს მომენტებს ჩვენ ვხვდებით ქართველ და კავკასიის დანარჩენ ტომთა შორისაც. კერძოდ, სვანების წორ<sup>1</sup>-ისა და და-

<sup>1</sup> რუსუდან ხარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 26, 31—36.



ლისტნელთა დიატის სახით. დიდოვლებთან მკვლელის გვარი მოკლული გვარის სასარგებლოდ იხდის დიატს 250 მან. ამის გარდა, მკვლელობის ჩადენის შესამე დღეს მკვლელის ნათესავეებმა მოკლულის ნათესავეებს უნდა გადაუხადონ: ერთი ხარი ან მისი ღირებულება 25 მან., სასუდარო თეთრი ფერის ნაჭერი, ან მისი ღირებულება 42 მან. რაოდენობით<sup>1</sup>. ასეთია თითქმის ყველა სხვა სანაიბოს ადათ-ჩვეულებაც<sup>2</sup>.

საინტერესოა ამ მხრივ ის გარემოებაც, რომ ჯვესურულ რჯულში საურავის გადახდის დროს დრამის საფასურის ძირითადი ერთეული, ძროხა, შენაცვლებულია ცხვრებით. რის დროსაც ასხვავებენ კელითსა და ფვკით ძროხას: ჯელითი ძროხა 4 ცხვარს უდრის.

დანაშაულის მონანიებისა თუ დამნაშავეის შერიგების მიზნით, მსხვერპლის შეწირვა ძველისძველ წესს წარმოადგენდა, ცნობილს ახლო აღმოსავლეთის ტომთა სისხლის სამართალშიც.

ბო ლ ა ზ კ ო ი ს მეფეთა წიგნსაცავში აღმოჩენილი დაფები მთელ რიგს ამგვარი ხასიათის აღწერას შეიცავს. მაგალითისათვის ერთ მათგანს მოვიყვანთ, სადაც ნათქვამია, რომ უზურპატორი, რომელმაც შელახა ღვთაების კერძო საკუთრება სახატო მიწის მოხვნით, ჩვეულების ძალით უნდა დასჯილიყო თავის მოკვეთითა და ხარების შეწირვით.

მეფის კანონმა ადამიანის მსხვერპლი შეცვალა ცხოველების შეწირვით. შესაწირი სამი ცხვრიდან ერთი ადამიანის მსხვერპლის მაგიერი იყო, ხოლო ორი დანარჩენი—ხარების ნაცვალი; ამის გარდა, მოძალე ვადლებული იყო ღვთაებისათვის შეეწირა ოცდაათი პური და სამი ზომა ლუდი<sup>3</sup>. მაშასადამე, ლუდი, პურებიანი სუფრა და კურატი ხეთურ კანონებშიც ადამიანის სისხლის საფასურის გამომხატველი ელემენტებია. საყურადღებოა აქ ისიც, რომ ხეთური კანონების სათანადო მუხლში ნათქვამია, რომ დანაშაული მოითხოვდა თვითონ დამნაშავე პირისა და მისი ხარების შეწირვას, რაც მეფის მიერ ცხვრების შეწირვით შეიცვალა.

ამვე ხეთურ კანონებში ჩვენ გვხვდება სხვა არა ნაკლებ საყურადღებო ადგილებიც. კოდექსის ერთ-ერთ მუხლში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ჩადენილი დანაშაულის ასანაზღაურებლად დამნაშავემ უნდა გადაიხადოს ერთი ცხვარი, რომელიც დაწესებულია ადამიანის მაგიერ ოდენობად, 2 ცხვარი ხარების მაგიერ ოდენობად და, ამის გარდა, 30 პური და 3 საზომი ლუდი<sup>4</sup>. იქვე ერთ-ერთ შემდეგ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ ერთმა ცხვარმა უნდა შესცვლოს ადამიანი და მის მაგიერად დაიკლას<sup>5</sup>.

<sup>1</sup> შდ. გველეხიანი, დასახ. ხელნაწ., დიდოვთი, გვ. 113.

<sup>2</sup> იქვე, ანდისი სანაიბო, გვ. 82; წინდალის სანაიბო, გვ. 1, 11, 15; ტენუცალის სანაიბო, გვ. 29; უნკრატლ-ჩამალალის სანაიბო, გვ. 62; რუმბეტის სანაიბო, გვ. 96—97.

<sup>3</sup> Edouard Cuq, Etudes sur le droit babylonien, les lois assyriennes et les lois hittites, Paris, 1929, გვ. 501.

<sup>4</sup> Хетты и хеттская культура, Перевод З а х а р о в а. გვ. 146.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 152.

ხევისურული რჯულის მიხედვით შერიგება უნდა მოხდეს ან დამნაშავეს მოკლეთ ან სათანადო ნივთიერი ანაზღაურებით. საურავის გადახდის რიტუალური მხარე ლუდითა და პურებით გარიგებულ სუფრასთან ერთად, მიცვალებულისათვის კურატისა და ბატანის შეწირვას მოითხოვდა.

მიცვალებულის კულტის ძალით მოკლულის აუგად ხსენება ყველაზე ძნელ საქმედ ითვლება ხევისურულ რჯულში; თუ შერიგების შემდეგ ასეთს ადგილი ექნებოდა, შერიგების პირობა ირღვეოდა და მესისხლეობა ხელახლა იწყებოდა.

**სამაჯნაო საკლავი.** ასევე მიცვალებულის კულტის მძლავრი განვითარების შედეგია, ის ავალდებულებს მეკელის მთელს შთამომავლობას ყოველწლიურად, ხვნის დაწყების წინ, მოკლულის სახელზე საკლავის შეწირვას.

არც ერთი ნათესაური გაერთიანება არ დათანხმდება იმაზე, რომ სისხლის აღებისა თუ რიგის დაყენების გარეშე დატოვოს ჩადენილი მკვლელობა, ჯერ რიგის დაყენებაც თავისთავად სასჯელის შერბილებას გულისხმობს. ამიტომ მხოლოდ შუაგაციების მეშვეობით და მეთავეებისაგან მიღებული თანხმობის შემდეგ შეიძლება რიგის დაყენება. როგორც დავინახეთ, არის შერიგების იძულებითი შემთხვევებიც ხატში შაჯღამის სახით.

მეორე სახის ვალდებულებად ხევისურთა სისხლ-მესისხლეობაში პატივის გადახდა უნდა ჩაითვალოს.

პატივის გადახდა, როგორც ზემოთ მოცემული აღწერიდანაც ჩანდა, საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა და მეკელისა და მეთავის ნათესავების შეხვედრისას მეკელისაგან თასით ლუდის მირთმევას მოითხოვდა. ჩვენ ზემოთაც შევნიშნავდით, რომ ამ სახის პატივის გარდა არსებობს აგრეთვე საკლავ პატივიც, რომელიც უკვე სისხლიანი მსხვერპლის შეწირვას მოითხოვს.

უძველეს ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში, კერძოდ, გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებაში ნახსენები პატივი ასევე გარკვეული სახის ვალდებულებას უნდა გულისხმობდეს. იქ ნათქვამია: „ჩვენ მსოფლიოსა ამისი სისხლი, პატივი და სასაქმო გაგუიჩინა“<sup>1</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის სამართლის ისტორიაში ამის შესახებ შენიშნავს: «სისხლია ძველ ქართულს იურიდიულ მწერლობაში სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის დაწესებულ სასჯელს ეწოდებოდა. პატივი მოხელეობას და თანამდებობას ერქვა»<sup>2</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აპატივი გიორგი ბრწყინვალის მიერ დაწესებულ კანონებში ასევე გარკვეული სახის ვალდებულებას უნდა ნიშნავდეს და როგორც თითონ ჩამოთვალაშიც. სადაც ნათქვამია, რომ გიორგი ბრწყინვალემ დააწესა სისხლი, პატივი და სასაქმო, სისხლის მნიშვნელობა ეგუება ხევისურული სისხლისა და სუანური წირის მნიშვნელობას, ასევე აქ ნაჩვენები პატივიც ხევისურული პატივის მსგავსად შესაძლებელია თანამდებობის აღმნიშვნელი სახელი არ ყოფილიყო. ამის დასამტკიცებლად შეიძლება იმავე ძეგლიდან სხვა ნიმუშების მოტანაც, სადაც უფრო მეტი სიცხადით ჩანს ასეთი გაგების მართე-

<sup>1</sup> ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ. ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ. 1913, გვ. 5.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართ. სამართლ. ისტორია, წ. I, 1928, გვ. 98.



ბულობა. მაგალითად, ძველის დადების მე-8 პარაგრაფში ეკითხულობთ „და თუ ქვეყანამ მოკლას ჯევის ბერი, გამგებელის სიკუდილის სწორი პატივი, ბეგარი და სისხლი დაეფურვოს და დაედევას ბეგარა საუკუნოდ“<sup>1</sup>, ე. ი. ჯევისბერის სიკვდილისათვის დაწესებულია გამგებელის მოკვლის სწორი „სახლური“ პატივისა, ბეგარისა და სისხლის სახით. ან კიდევ: „ერისთავის სიკუდილი ვით აროდეს კადრებულა, აგრე ნუმიცა ვისგან იკადრების და თუ ვის ღთი შერისხდეს და შეცოდება აზომ დიდი დაემართოს და მოკლას ერისთავი, ვითა უმსავსო არის და უსაზომო შეცოდება, აგრევე დამეტებული დიდი პატივი და გარდახდევინება დარბაზით ეკითხოს“<sup>2</sup>. ამ შემთხვევაშიც ნათქვამია, რომ ერისთავის სიკვდილისათვის, როგორც უმსავსო საქციელისათვის, დამატოს დიდი პატივი. ამგვარად, როგორც ხევსურულ რჯულში, ისე ძველ ქართულ იურიდიკულ მწერლობაში პატივი გარკვეული სახის და გარკვეული ხასიათის ვალდებულებას უნდა ნიშნავდეს. ვახუშტის გეოგრაფიაში ნახმარია ტერმინი **სახლის პატივი**. როგორც ჩანს, ეს ტერმინი აქ საურავის მნიშვნელობითაა ნახმარი. ოგსთა შესახებ ნათქვამია, რომ „შეირთვენ მდიდარნი ორსა და სამს ცოლსა და დაბაღნიერთსა, არამედ თუ მოკუდეს ძმა ერთი, შეირთავს მეორე ძმა თუსს ძმის ცოლსა, ვინადგან მისცემენ **სახლის პატივად** ქალის სახლელუს ი, კ, ლ და შ ძროხასა, ამისთუს არღარა განუტევებენ სხვის შერთვად, არამედ ირთვენ თუთვე“<sup>3</sup> (ხაზი ჩვენია—რ. ხ.). ამგვარად, სახლის პატივი აქ ქალის სახლის სასარგებლოდ გადახდილ უკვე ნივთიერი ხასიათის გადასახადს ანუ ურვადს უნდა გამოხატავდეს.

ამრიგად, თუ **სახლი** გულისხმობს მოკლულის ნათესაეების სასარგებლოდ დაკარგული წევრის ასანაზღაურებელ გადასახადს, ე. წ. **პატივი**, რომელიც ხევსურული რჯულის მიხედვით მუდმივი მორჩილებისა და მორიდების გამომხატველია, უმთავრესად მოკლულის ნათესაეების ზნეობრივ დაკმაყოფილებაში მდგომარეობს.

სვანურმა ხალხურმა სამართალმა სისხლ-მესისხლეობის წესებში ასევე აშკარად გამოავლინა ეს მხარე, სადაც „მომხდარი შერიგების დროს ურვადის გადახდა დამნაშავეისაგან პირად დამცირობასაც მოითხოვდა: ის ვალდებული იყო გარკვეული ნიშნებით, ამ შემთხვევაში ნექნების გადაქდობით და დაჩოქებით, გამოეხატა თავისი მორჩილება და უძლურება“<sup>4</sup>.

მესამე სახის ვალდებულებას სხვადასხვა **სამკსნელოები** წარმოადგენენ, რომელთა შესრულებაც მკვლელს ათავისუფლებს მასზე დადებული მთელი რიგი აღკვეთებისაგან.

ასეთ სამკსნელოებს წარმოადგენენ: 1. წყალ-წისქვილის სამკსნელო, 2. ჯვარ-ჯვარის კრის სამკსნელო, 3. საფლავ-სამარის სამკსნელო და 4. საქმის სამკსნელო. ყველა ამის გადახდა ამანათად გასული მეგელის სახლს აქვს დაკისრებული. მეგელის ნათესაობის მთელი საქმიანობა, აგრეთვე ცხოვრების სხვა მო-

<sup>1</sup> დასაზ. ნაშრ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>3</sup> ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი 1941 წ. გვ. 110.

<sup>4</sup> რუსუდან ხარაძე. დასაზ. ნაშრ., გვ. 41.

შენტები: ღვთის ვედრება, მიცვალებულის დასაფლავება და სხვ., მეთავის ხელშია, მისგან დაკავებული და დაბმულია. მისი განთავისუფლება მოითხოვს მეჭელისაგან სათანადო მსხვერპლის გაღებას, რასაც სამკსნელოს გადახდას უწოდებენ. თითოეული სამკსნელო 9 ცხვარს მოითხოვს. ამით ეხსნებათ ალკვეთა წისქვილზე, წყალზე და სასაფლაოზე. სამკსნელოს ხევესურეთში საკსარსაც<sup>1</sup> უწოდებენ. გუდანელი ბაბუა ჯინქარული ასე აგვიწერს ამას: „მეთავე მეჭელეს რომ შეირიგებს, მაშინ გამოართმევს ყველა საკსარს (სამკსნელოს): წყალ-წისქვილისას, ჯვარ-ჯვარის კრისას, საფლავე-სამარისას, გვერდზე სამჯდომლოსას“ (იგივე პირშესამყრელოა). აქაც, მაშასადამე, მეთავეს მეჭელე სრულ შორჩილებამი ჰყავს, მისი არსებობის აუცილებელ საშუალებებზე ალკვეთაა დადებული და განთავისუფლება თითოეულ კერძო შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ სათანადო საურავის გადახდით.

როგორც ცნობილია, თვითონ წესი სისხლის აღებისა გვაროვნული საზოგადოების დროს არის გაჩენილი და მის ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენს. ხევესურული მასალა კი ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებულ მომენტებს ამჟღავნებს. ხევესურული სისხლ-მესისხლეობა არკვევს ხევესურული ნათესაობის სისტემის შინაარსს, რაც ძირითადად შემდეგი მომენტების სახით მჟღავნდება:

I. ხევესურული რჯულით მესისხლეობის სავალდებულო საზღაური დანაწილებულია ნათესაური ჯგუფების მიხედვით: საგვარო, სადედო, სამამო, სახლის და სადო. ამათგან სადედო და სადო რიგების სახით წარმოდგენილია უძველესი სახის—კოვანტური ნათესაობის უფლება-მოვალეობანი, ხოლო დანარჩენი აგნატური ნათესაობის უფლებათა გამომხატველია.

II. მიცვალებულის კულტის ძალით თითოეული ნათესაური ჯგუფი ვალდებულია სისხლი აიღოს, ადამიანისა თუ კურატის მსხვერპლის სახით, და ამით გარკვეული ვალი მოიხადოს თვითონ მოკლული ნათესავის წინაშე.

III. გვაროვნული წყობილების ნიშანდობლივ მოვლენად უნდა ჩათვალოს ფიცში მხოლოდ მონათესავე პირების მონაწილეობა. უცხო გვარის წევრებს არ შეეძლოთ ფიცის დადება, რადგანაც როგორც მოწამე, ისე ფიცის დამდები მოწინააღმდეგეს მტრად უნდა ვახდომოდა და ამით ახალი მესისხლეობა ჩამოვარდნილიყო სხვა გვარებს შორისაც.

IV. თვითონ წესი სამართლის წარმოებისა ხევესურეთში თემური საზოგადოების ძირითად პრინციპზეა აგებული:

აქ არ არსებობს ჩამოყალიბებული სასამართლო მუდმივი ბჭეებით. ამ უკანასკნელთა არჩევა ხდება საგანგებოდ თითოეულ ცალკე შემთხვევაში. საყურადღებოა აგრეთვე ხევესურული სამართლის შექმნაში ანდრეზისა და მენდრეზეს მნიშვნელობაც, რაც ააშკარავებს ხალხური სამართლის შექმნის თავისებურებას.

<sup>1</sup> შდრ. სვან. საკსარი, რომელიც ტყვის გასათავისუფლებელ სასყიდელს აღნიშნავს. (იხ. თავისუფალი სვანი, ჩვეულებრივი უფლება სვანეთში საზოგადოდ და საკუთრივ თავისუფალ სვანეთში“, დრ., 1885, № 198).

### მთხროველთა სია:

#### I. მიზგვალ ხმისწრათი

- ა. წყალს იქითა თემი: 1. სოფ. როშკა—თოთია წიკლაური (ქირცინათა).  
 2. სოფ. ბლო —ჯარია გიგაური, ბერდია გიგაური, ახალა გიგაური.
- ბ. გორშალმის თემი: 1. ს. ბაცალიგო—გაგა არაბული, ბაკყურა არაბული.  
 2. ს. წინკადუ —ხახონ არაბული, მიხეილ არაბული.  
 3. ს. უქვენკადუ—უნტრუა ქერაული, ბულიჯან ზაიელი, ივანე არაბული, ხახონ ქერაული.  
 4. ს. ჩხუბა —ივანე არაბული, ღთისო არაბული.  
 5. ს. ორბეულთა—გიორგი არაბული.  
 6. ს. მისახი —ლაგაზა არაბული (ხოშორაულთა).  
 7. ს. ატაბე —მგელა გოგოჭური.  
 8. ს. ხიტაღე —ნანუკა არაბული.
- გ. გუდანის თემი: 1. ს. გუდანი —ქორია ჯინქარაული, ბაბუა ჯინქარაული, მგელა ჯინქარაული (დასტაქარი).  
 2. ს. ზენ-უბანი—გაგა (კუჭაქა) ჯინქარაული.  
 3. ს. ძეძეურთა—ბეწიკა ჯინქარაული, გიგია ჯინქარაული.  
 4. ს. ღუღი —თორელ ქისტაური, გამიხარდი ქისტაური.  
 5. ს. ბისო —ჩალხი ქეთელაური.  
 6. ს. ხახმატი —ჩალხი ალღდაური, ყუდია ქეთელაური.  
 7. ს. კორმეშაძე—სულთანა გოგოჭური.
- დ. ლიქოკის თემი: 1. ს. კარწეულთა—ჩალხურთა მინდიკაური.  
 2. ს. ქოშულო —ჩაჩაურ ლიქოკელი, თათარა ლიქოკელი.  
 3. ს. ქალაისოფელი—გიგია ლიქოკელი, ბათირა ლიქოკელი.
- ე. ბარისახოს თემი: 1. ზენა ბარისახო—ურჯუკა ჯინქარაული (ადიონათა).  
 2. ქვენა ბარისახო—ივანე არაბული (კავკავათა).  
 3. ს. დათვისი —გოგოთურ არაბული (ბიჩინაგათა), გაგა არაბული (ბიჩინაგათა).  
 4. ს. გველეთი —ივანე არაბული (ბიჩინაგათა).  
 5. ს. ბუჩუკურთა—ბაჩია გოგოჭური.  
 6. ს. ჩირდილი —თათარა არაბული, ღთისო არაბული.

#### II. პირიპით ხმისწრათი

- ა. შატლის თემი: 1. ს. შატილი—გიორგი ჯინქარაული (ხატის მსახური), ღთისო ჯინქარაული (მანგიათა), საყურა ჯინქარაული, ლაგაზა ჯინქარაული.

2. ს. ჭეჭყეთი — შარომა ჯინჰარაული (ბაბკიაურთა),  
ლთისია ჯინჰარაული (ბაბკიაურთა).
  3. ს. კისტანი — გიორგი (ხოტა) ჯინჰარაული (აბულე-  
თაურთა), გუგა ჯინჰარაული (აბულე-  
თაურთა).
  4. ს. გიორწმიდა — აპარეკა გოგოჭური, ბიძურა გოგო-  
ჭური (სუიკაურთა), იმედა გოგოჭური  
(სოსანათა), თორელ გოგოჭური (ბათა-  
კათა).
  5. ს. ლეზაისკარი — ალექსანდრე ჯინჰარაული, სამუკა  
ჯინჰარაული.
- ბ. არღოტის თემი: 1. ს. მიცუ — გუჯეჯა დაიაური (სამლორში), სამუკა  
ჯინჰარაული (წუჭვიოში), სუხი ბორჩა-  
ძე (80 წ. ქისტი, ძვ. მიცუს ერთადერ-  
თი მცხოვრები).
2. ს. ეოწის ქალა — როსტომ შეთეკაური.
  3. ს. არღოტი — მეიდა მურლოე, ბაისერ ზვიადაური, ნი-  
კო ზვიადაური.
  4. ს. ჯაჯაბო — ლეკო გოგოჭური (მინდიკაურთა), ბაბო  
ხახიაური, ლთისო გოგოჭური (მინდი-  
კაურთა).
- ვ. არხვატის თემი: 1. ს. ამლა — თოთა წიკლაური, ჭირლა წიკლაური  
(80 წ., დასტაქარი).
2. ს. კიმლა — გიორგი თეთრაული, ბაყყია გიგაური.
  3. ს. ახიელა — გარსია ოჩიაური, გიორგი ჯაბუშანური,  
მინდია ოჩიაური.

ლ. ბობორიშვილი  
კახური ჩაცმა-დახურვა<sup>1</sup>

(ბალის ჩაცმულობა)

ბოლო შემოსილი არაან ქართველნი  
და კახნი ერთიგათ.  
ვახუშტი, აღწ. საქ., გვ. 32.

წარსულ საუკუნეში შემოსული ევროპული გავლენა თანდათან ჩაცმა-და-  
ხურვის სფეროშიც იჭრებოდა, მაგრამ ჩაცმულობის ადგილობრივი ელემენტი  
უკანასკნელ დრომდე მაინც გაბატონებული იყო. საქართველოს მთასა და ბარ-  
ში მიმდინარე საუკუნის პირველი ორი ათეული წლის მანძილზეც კი ძირითადად  
კვლავ ქართული ჩასაცმელი ბატონობდა და კახეთის მოსახლეობაც, საქართველოს  
სხვა კუთხეების მცხოვრებთა გვერდით, ისევ ნაციონალურ კოსტიუმს ატარებდა.

რევოლუციის მომდევნო პერიოდში მომხდარი გარდატეხა კახელთა ჩაც-  
მულობასაც მკვეთრად დაეტყო, ქართული კოსტიუმის განდევნის პროცესი  
აღნიშნული ვითარების შემდგომ შესამჩნევად დაჩქარდა. ევროპული ყაიდის  
ჩაცმა-დახურვა ამ დროიდან საბოლოოდ გაბატონდა, ქართული ტანსაცმელ-  
ფეხსაცმლისა და თავსაბურავის ტარების დიდხნოვანი ტრადიცია კი ძველი  
თაობის უხუცეს წარმომადგენელთა შორისღა შემოინახა.

ქვემოთ წარმოდგენილი მონათხრობიც შიგნით კახეთის სოფლებში შეკ-  
რებილს, ხნიერ აღამიანთაგან გადმოცემულ ცნობებს ემყარება; მართლოდენ  
შიგნით კახეთში შეგროვებულ მასალაზე დამყარებული ნაშრომი, ვფიქრობთ,  
კახეთის დანარჩენ კუთხეებში ხმარებული კოსტიუმის დასახასიათებლადც გა-  
მოდგება<sup>2</sup>.

აღწერილობა ძირითადად გლუხკაცურ კოსტიუმს შეეხება, მაგრამ ამ უკა-  
ნასკნელის მეოხეებითა და ადგილ-ადგილ საგანგებოდ განხილული მასალების  
წყალობით მაღალი წოდების კოსტიუმის შესახებაც გარკვეული წარმოდგენა  
შეგვექმნება.

გამოჭრილობის მიხედვით, როგორც ნაშრომში წარმოდგენილი ნახატები-  
დანაც ჩანს<sup>3</sup>, გლუხი ქალის ჩაცმულობა თავად-აზნაურთა წრიდან გამო-  
სული ქალის ჩაცმულობისაგან თითქმის არაფრით არ განირჩეოდა; განმასხვა-  
ვებელი თავისებურება უფრო კოსტიუმის ელემენტთა ღირებულების მეტნაკლ-  
ობაში გამოიხატებოდა, ზოგჯერ კი, როგორც ირკვევა, ზღვარი ამ ხაზითაც  
იშლებოდა. შედარებით არსებითი სხვაობა მამაკაცის კოსტიუმს ეტყობოდა:  
თავად-აზნაურთა და გლუხთა ჩასაცმელი უროიერთისაგან გამოჭრილობითაც  
განირჩეოდა. თავადი თუ აზნაური მამაკაცი, რა თქმა უნდა, უფრო ძვირფას

<sup>1</sup> ნაშრომი დამუშავდა 1941 წელს, ისტორიის ინსტიტუტის საწარმოო გეგმის მიხედვით.

<sup>2</sup> ნაშრომში წარმოდგენილი აღწერილობა, ძირითადად, წარსული საუკუნის მეორე ნა-  
წევარსა და მიმდინარე საუკუნის პირველ ოცეულში ხმარებულ ჩაცმულობას შეეხება.

<sup>3</sup> ნახატები გაკეთებულია საქ. მუხ. ეთნ. განყ. კოლექციების მიხედვით.



კოსტიუმს ატარებდა, მაგრამ ჩაცმა-დახურვის მოყვარული გლეხი ვაჟაკიც, შესაძლებლობის ფარგლებში, საკმაოდ ლაზათიანად ეწყობოდა.

საქართველოს სხვა კუთხეებშიც კარგად ცნობილი ქართული კაბა, რომელსაც კახეთში წელიანი, ყურთმთჯიანი და ხარტყელ-გულიხშირიანი კაბაც ეწოდებოდა, კახელი ქალის ჩაცმულობის ძირითად ელემენტს წარმოადგენდა. ქართული კაბის პირადად ქალი ევროპულად შეკერილ კაბებსაც ხმარობდა, მაგრამ ქართულ კაბა-დ წოდებულ და საგვირგვინო კაბა-დ მიჩნეულ ჩასაცმელთან შედარებით ყველა მათგანი მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა.

ჩითი, ქიშმირი, შალი, აგრეთვე ფარჩა-დ წოდებული სხვადასხვა სახის აბრეშუმის ქსოვილი და სხვა ძვირფასეული, საკაბედ განკუთვნილ მასალას შეადგენდა. ჩითისა და სხვა იაფფასიანი ნაქრის კაბებს ქალი საშინაოდ ატარებდა, აბრეშუმისა და სხვა ძვირფას ქსოვილისგან შეკერილს კი, სიახლის ლაზათის დაკარგვამდე, უფრო საგარეოდ ხმარობდა.

საკაბედ ნავარაუდვეი ნაქრის ზომითი ოდენობა ქალის სიმაღლე-სიდაბლეზე იყო დამოკიდებული, საშუალოდ კი თითო კაბას 7—10<sup>1</sup>/<sub>2</sub> არშინი ქსოვილი სჭირდებოდა. ქალი ოთხი-ხუთი განის მქონე კაბას იცვამდა („დაბლა კაბას ოთხი-ხუთი განი მაინც უნდებოდა“); ოთხგანიან კაბას შედარებით იშვიათად ხმარობდნენ (ისიც მხოლოდ ტანმცირე ქალს ესაქიროებოდა), უფრო ხშირად ხუთგანიან კაბებს იკრავენენ.

ქართული კაბის კომპლექსს, როგორც ეს მისი ცალკეული სახელწოდებებითაც ჩანს, კაბასთან ერთად შეადგენდა ხარტყელი, გულიხშირი და ყურთმთჯები. ქართული კაბის სპეციფიკა სწორედ კაბისა და აქ ჩამოთვლილი ელემენტების შეხამებაში მდგომარეობდა.

თვით კაბა ორი უმთავრესი ნაწილისაგან შედგებოდა: წელს ქვემოთ მოქცეულ ნაწილს დაბლატანი ეწოდებოდა, წელს ზემოთა ნაწილი კი მაღლატანისა და „კანძოლის“ სახელწოდებებით აღინიშნებოდა. მაღლატანისა და დაბლატანის ცალ-ცალკე ჰკერავდნენ, ხოლო ერთმანეთზე მაშინ გადააკერებდნენ, როდესაც თითოეულ მათგანს სათანადოდ დაამზადებდნენ. ქართული კაბის დაბლატანის შეკერვა რამდენიმეგვარად შეიძლებოდა: შესაძლებელი იყო, რომ იგი მხოლოდ სწორი განებისაგან შეეკერათ; შეიძლებოდა, რომ სწორი კალთის სახით წარმოდგენილი ერთი განი წინ მოექციათ, ორი აგრეთვე სწორი განი უკანა კალთებად აეღოთ და ირიბ კალთებად ქცეული ორი განი კი გვერდებში ჩაეკერებინათ. ირიბი კალთა შემდგენიარად გამოჰყავდათ: სწორ განს ირიბად შუაზე გაჭრიდნენ და მიღებულ ნაქრებს ირიბი კალთის ვარაუდზე ერთმანეთს გადააკერებდნენ.

ქართული კაბა საერთოდ გრძელი, კოჭებამდე ჩამოშვებული იყო, მაგრამ თუ მოისურვებდნენ, მის უკანა ნაწილს უფრო მეტად დააგრძელებდნენ: უკანა კალთებს გარკვეული წესით გამოჭრილ ნაქრს გადააკერებდნენ და ბოლოდაშვებულ კაბას მიიღებდნენ. ამნაირად გამოშვებულ დაბლატანს (სწორ-განებისადაც და გვერდებირიბებისადაც) ირგვლივ ქობა-დ წოდებულ ვიწრო ნაქრს—სამოსლის კიდურას სადებს“ შემოაკერებდნენ („ქობას შემოუდ-

ბდენენ“) და, თუ საკაბე ნაჭერი თხელი იყო, მთლიანად ან ნახევრამდე ხარ-ჩულხაც კი „დაუდებდნენ“. ამის შემდგომ მას ზემოთა ნაწილის უკანა ნახევარზე ნაოქს აუსხამდნენ“. (სწორგანებიან კაბას შეიძლება ირგვლივაც ასხმოდა ნაოქი<sup>1</sup>), ვამძლეობისა და სიმაგრისათვის ნაოქს შიგნითა მხრიდან სილიფა-დ სახელდებულ წვრილ ნაჭერს „ჩაუყოლებდნენ“, ხალტე-ს შემოაკერებდნენ და მალლატანს სანახევროდ გადააკერებდნენ—მალლატანის წელსა და დაბლა ტანის უკანა მხარეს ერთმანეთს შეუერთებდნენ, წინა მხარეებს კი ურთიერთისაგან გათიშულად სტოვებდნენ, სიფიწროვის თავიდან ასაცილებლად და მარჯვე ჩაცმისათვის, დაბლატანს გვერდში მცირეოდენ ზომაზე ჩასჭრიდნენ და აქეთ-იქით შესაკრავად ხრკებს, ანუ დუგშებს, დააკერებდნენ. მალლა-



ნახ. 1.—1. ქართული კაბა (უკანა მხრიდან და წინა მხრიდან), 2. ყურთმაჯები, 3. გულსიპირი, 4. სარტყელი, 5. შეიღიში, 6. შეიღიშის ორნამენტი.

ტანი „ექვსი ნაპრისაგან“ იკერებოდა, მალლატანი „ექვსნაპრიანი“ იყო. ეს უკანასკნელი ბეჭებისა, „მუნდრულგბ“-ადაც წოდებული გვერდებისა და წინა კალთებისაგან შედგებოდა. მალლატანი წელში კარგად უნდა ყოფილიყო გამოწყობილი; რომ უკეთ მდგარიყო და არც დაკმუწულიყო, მას სარჩული უნდა ჰქონოდა დადებული, წინა კალთებზე კი შეიძლება ძვლის ან რკინის ჯოხისებური ფირფიტები დაეწყოთ. ქართული კაბის საკისრე ოდნავ იყო ამოჭრილი, საყელო კი სრულიად არ ჰქონდა მოკერებული. საკისრეს ირგვლივ და წინ-

<sup>1</sup> უკანასკნელ ხანებში უნაოქო ქართული კაბებიც ყოფილა ხმარებული, ნახატზე წარმოდგენილ კაბასაც ნაოქი არა აქვს ასხმული.

კალთების ნაპირებზე შემოავლებდნენ ხარჩევი-ს სახელით ცნობილს ვიწრო აბრეშუმის ქსოვილს (აბრეშუმის ქსოვილი კაბასთან შეხამებული ფერის უნდა ყოფილიყო) ან მძივის არშისას. მაღლატანი იმგვარად უნდა შეკერილიყო, რომ ჩაცმის დროს წინა კალთები ერთმანეთთან არ დაახლოებულიყო, კალთებს შორის ღია ადგილი უნდა დარჩენილიყო; მათი შეხვედრა მხოლოდ გულის ძირთან ხდებოდა, ერთმანეთს მხოლოდ კალთათა ბოლოები უახლოვდებოდა.

ამ ღია ადგილზე გულისპირი თავსდებოდა, გულისპირის „ჩადგმის“ შემდგომ (ჯერ კაბა უნდა ჩაეცვათ და შემდეგ კი გულისპირი ჩადედათ) გული იკვრებოდა წინაკალთების ნაპირებზე დაკრებული ხრიკებისა და ზონარი-ს საშუალებით<sup>1</sup>. აბრეშუმის ძაფის გრებილი, რომელსაც ზონარი-ც ეწოდებოდა და ზორნაკი-ს სახელწოდებითაც იხსენიებოდა, ორ მხარეს დაკრებულ ხრიკათა შორის ჯვარედინად იხლართებოდა.

ქართული კაბის სახელი შეხსნილ სახელოს წარმოადგენდა; მართალია, ეს უკანასკნელი მხართან მცირედენ ზომაზე უნდა ჩაკერილიყო და ბოლოშიც მაჯა უნდა გაკეთებოდა, მაგრამ მისი უდიდესი ნაწილი მაინც გაუკვრავი რჩებოდა. სახელოს მაჯაზე დაკრებული ვერცხლის ან ოქროს ბუდიანი ხრიკებით იკრავდნენ, მაჯაზე „ორ-ორი ან სამ-სამი წყვილი ბუდიანი ხრიკა“ უნდა დაეკრებინათ, ხრიკების მაგიერ ზოგჯერ იხმარებოდა ვერცხლის ან ოქროს ყუნწიანი ღიღები. სახელოს მაჯაზე, ხელის ზურგის მხრიდან, სამკუთხად მოყვანილი პატარა ნაჭერი უნდა გადააფენოდა; ეს უკანასკნელი ხშირად მაჯის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა, ის სახელოს აუცილებელ ატრიბუტად ითვლებოდა და წყუში-ს სახელით აღინიშნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ყოში მამაკაცის კაბასაც კჷონდა; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთდროს ის ხელის ზურგის დაფარვის ფუნქციას ასრულებდა. სახელოს ჩახსნილი ნაწილის ნაპირებზედაც და ყოშის კიდეების ირგვლივაც ხარჩევი უნდა შემოეკვრებინათ, კაბას ყველგან (სადაც კი საჭირო იყო) ერთნაირი სახის სარჩევი უნდა შემოვლებოდა.

ყურთმაჯეი სწორ, თავიდან ბოლომდე თითქმის ერთნაირი სივანის მქონე „მაჯაფარფარა“ სახელოს წარმოადგენდა. ქალი მას მკლავზე წამოსაცმელად ხმარობდა; კაბის ჩაცმის შემდგომ ის კაბის სახელოს ქვეშ ექცეოდა, მაგრამ დროდადრო ხელის მოძრაობისას, სახელოს შეხსნილი ნაწილიდან ჩნდებოდა. ქალს შეეძლო ყურთმაჯეები ერთმანეთზე ზონრით გადაემა და, როგორც აღვნიშნეთ, მკლავებზე კაბის ჩაცმის წინ წაშრეცვა; მაგრამ ისიც შეიძლებოდა, რომ ისინი იმთავითვე სახელოებზე მიეკვრებინა და ამგვარად ყურთმაჯეები კაბის განუყოფელ ნაწილად ექცია.

ხარტყელი, როგორც წარმოდგენილი ნახატიდანაც ჩანს, ორი უმთავრესი ნაწილისაგან შედგებოდა: ქამრის დანიშნულების შემსრულებელი ხალტე და მასზე მოხმული ორი ტოტი სარტყლის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენდა. როდესაც ქალი ხალტეს წელზე შემოირტყამდა, სარტყლის ტოტები წინაკალთებზე ჩამოივინებოდა. ძველი დროის ქართველი ქალის სარ-

<sup>1</sup> ორივე ნაპირზე ერთნაირი ხრიკები უნდა მიეკრებოდა.



ტყელი ქსოვილის მთლიანი ზოლის სახით იყო წარმოდგენილი, ტოტების როლს სარტყელის ბოლოები ასრულებდა. სარტყელი, გულისპირი და ყურთმაჯები ერთნაირი ნაჭრისაგან უნდა ყოფილიყო შეკერილი, შესაკერ მასალად ხავერდს ან აბრეშუმს ხმარობდნენ. სარტყელ-გულისპირისა და ყურთმაჯების შესაკერად განკუთვნილი მასალის ფერი კაბის ფერს უნდა შეეხამებოდა, მაგ-



ნახ. II.—1. თვისაკრაგი, 2. თვისაკრავშემორტყმული ჩიბტა, 3. გულისპირი, 4. სარტყელი, 5. ქატიბის სახელთა წვერი.

რამ მათი შეკერვა თვით კაბის ნაჭრისგან არ შეიძლებოდა, სარტყელს და გულისპირს ოქრომკვდილ-ს სახელით ცნობილი ოქროსფერი ძაფითაც კერავდნენ (ოქრომკვდით შეკერილ სარტყელსა და გულისპირს „ოქრომკვდით ნაკერ“ სარტყელ-გულისპირს უწოდებდნენ) და ფერადი ძაფებითა და მძივებითაც კარგავდნენ. უკანასკნელ ხანებში ხმარობდნენ ყვავილიანი აბრეშუმის სარტყელსა და გულისპირსაც, მაგრამ უფრო მიღებულია მინც ნაკერსა და მოქარგულ სარტყელ-გულისპირს მიიჩნევდნენ.

ჩვენ მიერ ხსლახან აღწერილი კაბის გვერდით კახელი ქალი ე. წ. გუჯასტიან კაბასაც ხმარობდა. გუჯასტიანი კაბა ქართული კაბის ერთ-ერთი სახეობა იყო და ქართული კაბის მსგავსად იკერებოდა. სარტყელ-გულსპირი და ყურთმაჯები მასაც სჭირდებოდა, მაგრამ ტიპობრივი ქართული კაბისაგან ყელისა და გულის მოყვანილობით განსხვავდებოდა. გუჯასტიანი კაბის მაღლატანიც წინ მთლიანად იყო ჩახსნილი, მაგრამ მაღლატანის კალაათა შორის მოქცეული ადგილი მთლიანად გულისპირის ჩასადგმელად არ იყო განკუთვნილი. მაღლატანი გულამდე შეკრული უნდა ყოფილიყო, გულს ზემოთ კი ის ოთხკუთხედ იყო ამოკრილი და გუჯასტიანი კაბის გულისპირიც ოთხკუთხედნად იყო მოყვანილი. გუჯასტიან კაბას საკისრე სრულიად არ ჰქონდა ამოღებულის და თუ ქალი მოისურვებდა, მას შეიძლება საყვლოც ჰქონოდა მოკერებული<sup>1</sup>.

ქართული კაბა, როგორც აღვნიშნეთ, საგვირგეინო კაბად ითვლებოდა, ის გათხოვილი ქალის აუცილებელ ჩასაცმელს წარმოადგენდა. ვასათხოვარი ქალიც, თუ ოც წელს გადაბიჯებდა, „თავს იხურავდა“ და ქართულ კაბასაც იცვამდა. საქორწინო ჩასაცმელად აღიარებული ქართული კაბა გლოვის დროსაც გარკვეულ როლს ასრულებდა: ქმრის დასაფლავების დღეს ქალი სადღოდლო კაბაში გამოეწყობოდა და თვითონაც მას საფლავში თან ჩაიყოლებდა.

ცხენოსნობის მოყვარულ ქალს საცხენოსნო კაბაც უნდა ჰქონოდა, უამისოდ ის ცხენზე ვერ შეჯდებოდა. „ამაზონკა“-ს სახელწოდებით ცნობილი საცხენოსნო კაბა უმთავრესად შავი ფერის ნაქრისაგან შეკერილს, მეტად გრძელსა და განიერ დაბლატანს წარმოადგენდა, თავიდან ბოლომდე ჩახსნილი ამაზონური ღილებითა და კილოებით იყო შეკრული.


ქართული კაბა, რა თქმა უნდა, კახელი ქალის კაბათა ერთადერთ სახეობას არ წარმოადგენდა; მანდილოსანი მას, მართალია, განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებდა, მაგრამ დროადადრო ის, როგორც ამას ზემოთაც აღვნიშნავდით, ევროპულ ყაიდაზე შეკერილ კაბებსაც ხმარობდა („ხაბარდიანს“<sup>2</sup>, „კერესიანს“, „ხალათურს“ და სხვა მრავალს). ამჟამად ჩვენს მიზანს მხოლოდ ქართული და საერთოდ არაევროპული წარმოშობის ჩაცმულობის განხილვა შეიადგენს. წინამდებარე ნაშრომში ჩაცმულობის მხოლოდ ამგვარ ელემენტთა აღწერილობაზე ვილაპარაკებთ, ზემოხსენებულ კაბათა დახასიათება აქ არ იქნება წარმოდგენილი.

კახელი ქალის ჩაცმულობაში კაბის ზემოდან ჩასაცმელ ტანისამოსსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა; ქაიბი, დოღბანდი, ტალმა და ხაზაფხული

<sup>1</sup> საბას განმარტებით „გუჯასტიანი კაბის საკლოც“-ა. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პრაღ. ი. ყიფშიძისა და პრაღ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1929, გვ. 76.

<sup>2</sup> „ხაბარდიანი“, ანუ „ხაბარდა“, კაბა თურმე განსაკუთრებით შესამჩნევი სივანური ხასიათდებოდა; საგანგებო ზერზების გამოყენების გზით—კერძოდ, კაბის ქვეშ მავთულენბაკურილი დაბლატანის ჩაცმის მეშვეობით, ქართულ კაბასაც, სივანურის მზრივ, „ხაბარდიანი“ კაბის ელემენტი ეძლეოდა.

დასახური სწორედ ამგვარი ტანსაცმლის როლს ასრულებდა. ქათიბს, ღობანდს და ტალმას ქალი ზამთრობით ატარებდა (ტალმას ზოგჯერ ზაფხულშიც წამოიხურავდა), საზაფხულო დასახურს კი, როგორც ეს მისი სახელწოდებიდანაც ჩანს, ზაფხულობით ხმარობდა. მეტად ლაზათიან და საპატიო ჩასაცმელად მიჩნეული ქათიბი წარმოადგენდა ხავერდის ან ატლასისაგან შეკერილს, ტყავკაბის მსგავსად მოყვანილ სამოსს. ქათიბის შესაჯერ მასალის გაბატონებულ ფერად წითელი ფერი ითვლებოდა, მაგრამ ჩამკმელის ასაკისა და გემოვნების მიხედვით მას შავი ან სხვა ფერის ქსოვილისგანაც კერავდნენ. ქათიბი, როგორც ნახატიდანაც ჩანს, წელში იყო ვადაჭრილი, რამდენიმე კალთისაგან შემდგარი ქვედა ნაწილი მალლატანთან ნაოკით იყო ვადაჭრებული. ამგვარი დანიშნუ-



ნახ. III.—1. ქათიბი, 2. ქათიბის მოსართავი ბეჭედი დეტალები, 3 ქათიბი შიგნითა შრიდან.

ლების შემსრულებელ სხვა ჩასაცმელთა მსგავსად ქათიბიც წინ შთლიანად იყო ჩახსნილი და გულისძირთან ეკერა შესაკრავად განკუთვნილი რამდენიმე ღილი. ქათიბს მე ტად გრძელი და ღრმად შესხნილი სახელოები ჰქონდა. ქათიბის სახელოებიც, ქართული კაბის და მამაკაცის ყურთმაჯიანი ჩოხის სახელოთა მსგავსად, ყო-შით იყო დაბოლოებული. ქათიბი თბილად უნდა ყოფილიყო „დასარჩული“: მას ან ბამბით გაწყობილი აბრეშუმის თუ სხვა ქსოვილის სარჩული უნდა ჰქონოდა დადებული, ან ბეჭეიანი ტყავი. წინკალთების ნაპირებზე, საყელოს ირგვლივ და დაბლატანის გარშემო ქათიბს ძაღარა-დ ან ძაღა-დ სახელდებული ბეჭედი ჰქონ-



და მოვლემული<sup>1</sup>. თუ ქალი მოისურვებდა, ქათიბი შეიძლებოდა „ბუხმეტ“-ად წოდებული ოქროქსოვილითაც მოერთო. ქათიბი ძლიერ გრძელი არ იყო (კაბის საკმაოდ დიდი ნაწილი ჩანდა ქათიბის კალთების ქვემოთ); ტალმას, დოლბანდს და საზაფხულო დასახურს ის სიგრძით ბევრად ჩამორჩებოდა.

**ტალმა**, რომელსაც, როგორც<sup>2</sup> ჩანს, უფრო ხანში შესულია ქალი იცევამდა. შავი და საერთოდ თაღბი ფერის ჩასაცემელი იყო. შესაკერ მასალად უმთავრესად მთელი იხმარებოდა, მაგრამ სხვა სახის ქსოვილთა გამოყენების შესაძლებლობაც არ გამოირიცხებოდა. ტალმა ნაბღისებურად იყო მოყვანილი: ნაბღივით გრძელი, კოკებამდე ჩამოსული და კალთებგანიერი (მთხრობელთა ვადმოცემით, ექვსი არშინის სივანის მქონე) ტალმა წინ მთლიანად იყო ჩახსნილი. ნაბღის მსგავსად ისიც უსახლებო იყო. ნაბღისაგან განსხვავებით „ტალმის საყელო საყელურად იყო მოსული“, მას არც ნაბღის მხრებისათვის დამახასიათებელი „ქიშები“ ჰქონდა გაკეთებული. შეიძლებოდა ტალმას ცალკირი სარჩული ჰქონოდა, მაგრამ ხშირად ის უფრო **დალიანდაგებული სარჩულით** იყო გაწყობილი. ტალმას ირგვლივ უმკველად ქობა უნდა ჰქონოდა შემოკერებული („შემოდებული“) და, თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, გარშემო გვირგვინი-ც შეიძლებოდა შემოეფლოთ. გარკვეული ტიპის ჩასაცემლის აღსანიშნავად „**ტოლამა**“ საბაორბელი იანის ლექსიკონშიც გვხვდება; ტოლამა, საბას განმარტებით, „ფართო (მოკლე B)“ და ბეწვიანი სამოსელია<sup>3</sup>.

ტალმის მსგავსად **დოლბანდი**-ც გრძელ ჩასაცემელს წარმოადგენდა<sup>4</sup>, მაგრამ გამოპრილობით მისგან ის არსებითად განსხვავდებოდა. დოლბანდს „სწორ განებში“ კერავდნენ (შესაკერ მასალად სქელი ქსოვილი უნდა ყოფილიყო გამოყენებული), კალთების ბოლოთა განსაკუთრებული სივანირე მას არ ახასიათებდა. დოლბანდიც წინ მთლიანად ყოფილა ჩახსნილი და, როგორც მთხრობელთა ვადმოცემიდან ჩანს, მას გვერდებიც არ ჰქონია გაკერილი—გვერდები ერთმანეთთან ზონრის ხლართებით ყოფილა გადაბმული. დანიშნულებით მის მსგავს თანამედროვე ტანსაცმელსავით დოლბანდსაც წინა მხარის ერთ კალთაზე კილოები ჰქონდა გაკერილი, მეორე კალთაზე კი დილეები ეკერა. დოლბანდს უკეთდებოდა მოკლე, იდაყვამდე ჩამოსული და მეტად განიერი სახელოები. ხოლო მისი მრგვლად მოყვანილი საყელო იმდენად ფართო იყო, რომ წამოსასხამის მსგავსად მხრებზე ეფინებოდა.

უფრო წმინდა მასალისაგან, უპირატესად შავი ფერის ქსოვილისგან, შეკერილი **საზაფხულო დასახურიც** დოლბანდივით იყო გამოპრილი: წინ დოლბანდურად იყო ჩახსნილი, მასაც დილ-კილოებით იკრავდნენ, გვერდები ერთმანეთთან დოლბანდურად ჰქონდა დაკავშირებული, გვერდებს შორის ზონრის ხლართები იყო გაბმული; მისი მოკლე და განიერი სახელოებიც დოლბანდის სახელო-


<sup>1</sup> საბაორბელი იანის განმარტებით, „**ძაღარა** ბეწვის გარშემონაკერები, კიდური“-ა.

<sup>2</sup> საბაორბელი იანის ლექსიკონით: ტოლამა ფართო (მოკლე B) სამოსელი ბეწვიანი (+ მალატონი B).

<sup>3</sup> „დოლბანდში კაბა ერთი მტკაველი-ლა უნდა ჩანებულიყო“.

ების მსგავსად იყო მოყვანილი. საზაფხულო დასახურს საყელოც ჰქონდა; თუ ქალი მოისურვებდა, შეიძლებოდა საყელოს და სახელოებს შესატყვისი ფერის (უმძივო ან მძივებჩაყოლებული) არშია ჰქონოდა შოვლებული. დოლბანდისაგან განსხვავებით, საზაფხულო დასახური ბეჭებში უფრო მეტად იყო გამოწყობილი და სიგრძითაც მეზღებს არ სცილდებოდა.

კაბის ქვეშ მოქცეული ტანსაცმლის კომპლექსიც რამდენიმე ელემენტისაგან შედგებოდა: პერანგი, შეიდიში (რომელიც იმთავითვე, როგორც ჩანს, დღეს გავრცელებულ სახელწოდებასაც ატარებდა), საზაფხულო ან საზამთრო დაბლატანი, დაბამბული საბეჭური და დაბამბული ახალოხი აღნიშნული დანიშნულების შემსრულებელ სამოსლად ითვლებოდა. ზაფხულობით ქალი მხოლოდ



ნახ. IV.—1. დაბურული თავის საერთო შესახედაობა, 2. მოსაბევეის დეტალი, 3. ლეჩაქის დეტალი, 4. შეიდიში, 5. შეიდიშის ორნამენტი.

პერანგ-შეიდიშსა და საზაფხულო დაბლატანს იცვამდა, ზამთრობით კი პერანგ-სა და შეიდიშთან ერთად დაბამბულ დაბლატანსა და დაბამბულ საბეჭურ-ახალოსაც ხმარობდა. ჩითი-ს, ყუმაში-ს<sup>1</sup> და ხაში-ს სახელწოდებით ცნობილი ბამბის მსხვილი ქსოვილი, აგრეთვე თავთა („თავთა“ შინაურული წესით დამზადებულ აბრეშუმის ქსოვილს ეწოდებოდა), ყანაოში და სხვა აბრეშუმეული წარმოადგენდა ხსენებულ ტანსაცმელთა შესაკერ მასალას.

<sup>1</sup> სიტყვა „ყუმაში“ თურმე მიტკლის აღსანიშნავად ყოფილა ხმარებული. საბაობრებლიანი სლექსიკონში ის უფრო ფართო გაგებით არის წარმოდგენილი—„ყუმაში“ ანუ „კუმაში“ ლართან არის ვაიგივებული.

პერანგისა და შეიდიშის შეკერვისას ფერს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ: ყველაზე ლამაზ ფერად წითელს მიიჩნევდნენ, კერძოდ თავთას თითქმის მხოლოდ წითლად ღებავდნენ, მაგრამ დროდადრო ჩამცემელის ასაკისა, მდგომარეობისა და გემოვნების შესატყვისად სხვა ფერის (ყვითელი, სოსანი და სხვ.) ქსოვილსაც ხმარობდნენ<sup>1</sup>.

**პერანგი** გრძელი და ფართოკალთებიანი უნდა ყოფილიყო. პერანგის კალთების გაგანიერებას ორგვარი გზით ახერხებდნენ: გვერდებში მას ან ჩაქებს შეუხსნიდნენ (გვერდებშესხნილ პერანგს „ჩაქებიან პერანგს“ უწოდებდნენ) და ან თავწვირლ და ბოლოგანიერ, ე. ი. სამკუთხად მოყვანილ ნაჭერს „ჩაუვლებდნენ“. გვერდებში ჩადგმულ ნაჭრებს **ბლარტების** სახელწოდებით იხსენიებდნენ პერანგს გრძელსა და **მაჯაფარფარა სახლებებს** უკეთებდნენ; სივიწროვისა და მალე გარღვევის თავიდან ასაცილებლად ილიებში ხისტაკად ანუ ხიშტაკად წოდებულ და **ბლარტ-ადაც** სახელდებულ პატარა ნაჭრებს აკერებდნენ. პერანგის ყელ-გული ყოველთვის ერთნაირი წესით არ გამოჰყავდათ. თუ გულჩახსნილი პერანგი სურდათ,—მას გულს გარკვეულ ზომაზე ჩაუჭრიდნენ, სათანადო რაოდენობის კილოებითა და ღილებით გააწყობდნენ და პატარა საყელოს მოაკრებდნენ. ხმარობდნენ სხვადასხვაგვარად მოყვანილი ყელ-გულის მქონე პერანგებსაც. ძალიან ხშირად გულამოკრილ პერანგსაც იცვამდნენ. გულამოღებულ პერანგის ჩაცმის დროს შიშვლად დარჩენილ ყელსა და გულს იფარავდნენ სავანგებოდ ამ პერანგზე სახმარად განკუთვნილი **გულსაფარით**. საყელო-გულის პირის დანიშნულების შემსრულებელი გულსაფენის ბოლოები კისერთან უნდა შეეერთებინათ: ან ღილით უნდა დაეკავშირებინათ, ან კვანძით დამაგრებინათ. პერანგის შეკერვა ყოველთვის ზემოგანხილული პროცესით არ მთავრდებოდა. პერანგს ზოგჯერ, თუ ის, რა თქმა უნდა, განსაზღვრული სახის ქსოვილისა იყო, ქარავდნენ, ზოგჯერ კი არშიებითაც ამკობდნენ.

**შეიდიში** შალვრის ყაიდაზე იყო შეკერილი. მისი კოკებამდე ჩამოსული ტოტება უბის გასწვრივ საკმაოდ ფართო იყო და ბოლოში კი შესამჩნევად შევიწროებული. შეიდიშის საწელე განიერი უნდა ყოფილიყო და სიხალავათის მისაცემად ტოტთა შორისაც მას უბე-დ წოდებული ნაჭერი უნდა ჰქონოდა „ჩაგდებული“. საწელესთან შეიდიშს სათავეს გადაუტყავდნენ, ხოლო სათავეში ხონჯრად სახელდებულს ძაფის გრებილს გაუყრიდნენ. შეიდიშს ცალპირ ნაჭერშიცა კერავდნენ, მაგრამ უფრო ხშირად, როგორც ჩანს, მას სარჩულს უკეთებდნენ. ძვირფასი ქსოვილისგან შეკერილ შეიდიშის ტოტებს **ოქრომკვდი**თ ქარავდნენ, მოქარგული ტოტების ირგვლივ ხან „ბუშმენტს“ ავლებდნენ, ხან კი შინ მოქსოვილს აბრეშუმის არშიას ე. წ. **ბაბთას** აკერებდნენ. „ბაფთა“-ს თუ „ბაბთა“-ს სახელით ცნობილ არშიას ნაპირები დაკვიბილი ჰქონია. ამ უკანასკნელის კბილები, ანუ კუწუბები, როგორც იმათ გამოთქმიდან ჩანს, შევერცხლილიც ყოფილა („ბაბთა კუწუბ-ვერცხლიანი“-ო).

<sup>1</sup> გლოვის პერიოდში კვირე კალს უთუოდ თაღზი ფერის (ღურჯი ან შანარვეი) თეთრული უნდა სცმოდა.

კაბის ქვეშ ჩასაცმელი საზაფხულო დაბლატანი სწორგანიან კაბასავით იყო შეკერილი, ამგვარივე გამოკრილობისა იყო საზამთრო დაბლატანი; მას, ორპირ ნაქერში შეკერილსა და დაბამბულს, ზემოდან, მესამე პირად, სხვა სახის ქსოვილიც ჰქონდა გადაკრული. ახალობი ვაჟკაცის უსაყულო ახალობივითა ყოფილა მოყვანილი და მის მსგავს საბეჭურს კი სახელოები არ ჰქონია მოკერებული.

კახელი ქალი წინათაც ფეხებს წინდებითა და ფეხსაცმლით იმოსავდა, ევროპულ ყაიდაზე შეკერილი ფეხსაცმლის გვერდით ის ხმარობდა მესტებს, ქოშებსა და ფლოსტებს. წინდების მოქსოვა ყოველი ქალის მოვალეობას შეადგენდა, ფეხსაცმლებს კი საგანგებოდ განსწავლული ოსტატი კერავდა. კახელი ქალი ზოგჯერ ფაბრიკული წესით დამზადებულ წინდებსაც ყიდულობდა, მაგრამ, როგორც ვთქვით, უმეტეს ნაწილად მაინც შინ მოქსოვილი წინდებით კმაყოფილდებოდა.

წინდების მოსაქსოვად იყენებდნენ მატყლის, ბამბის, ყაქისა და აბრეშუმის ნართს. ბაწრის (მატყლის ძაფის) წინდებს ზამთრობით იცვამდნენ, ბამბისა, ყაქისა და აბრეშუმის წინდებს კი უპირატესად ზაფხულობით ხმარობდნენ. წინდებს თეთრი ძაფისგანაც ქსოვდნენ, მაგრამ უფრო მრღებულად თალხი ფერის წინდებს მიიჩნევდნენ. თეთრი ბაწრის წინდებთან შედარებით ჭრელი ან სადა თალხი ფერის ბაწრის წინდებს დიდი უპირატესობა ჰქონდა. მთბრობელთა გადმოცემებით ირკვევა, რომ ძველად ქალის წინდაც, მამაკაცის წინდების მსგავსად, მოკლეყელიანი ყოფილა („წინდის ყელი კუნთამდე მოდიოდა“), გრძელყელიანი წინდები კი, ჩანს, შემდგომ ხანში გავრცელებულა.

ევროპული ტიპის ფეხსაცმლებს, მესტებს, ქოშებსა და ფლოსტებს უპირატესად ახლომახლო სოფლებსა და ქალაქებში მცხოვრები ოსტატები კერავდნენ, მაგრამ ფეხსამოსი სხვა მხარეებიდანაც შემოჰქონდათ. ადგილობრივი ოსტატები კარგი ხარისხის ქოშებისა და ფლოსტების მკერავებად იყვნენ მიჩნეულნი, მაგრამ საყოველთაო ქება და მოწონება უფრო დაღისტნიდან და არზრუმნიდან მოტანილ ფლოსტებსა და ქოშებს ჰქონდათ მოპოვებული.

ქ ო შ ს მტწილად ტყავისაგან ჰკერავდნენ, ძირსა და პირს ტყავისაგან ამზადებდნენ. საპირედ ზოგჯერ ხავერდსაც იყენებდნენ, ძირს კი ამ შემთხვევაშიც ტყავისას უკეთებდნენ. ტყავის ნაკლებობის წლებში სახლში სახმარად განკუთვნილი ქოშის ძირს ხისგან თლიდნენ, საპირეს კი, როგორც ჩანს, ხისძირიანი ქოშისთვისაც ტყავისას კრიდნენ. ქოში ქუსლიან ფეხსაცმელს წარმოადგენდა. გამძლეობისათვის, უმთავრესად კი წაქცევის თავიდან ასაცილებლად, ქუსლის ძირს წრიაპის როლის შემსრულებელი ნალისებური რკინა უნდა გადაჰკვროდა. ქოშს პირი მარტოოდენ წინა ნახევარზე უკეთდებოდა და მხოლოდ ტერფის წვერს ფარავდა, ქოშში ჩადგმული ფეხის ქუსლი და გვერდები კი შიშვლად გამოიყურებოდა. ქოშის პირი, ტყავისათუ ხავერდისა, ერთნაირ ყაიდაზე იკრებოდა, ყველა სახის ქოშის პირი ჩიბუხივით ამობრუნებული წვერით გვირგვინდებოდა. ქოშს სარჩულად სადა ან პრელად შემკულ ტყავს უფენდნენ, პირად კი, როგორც ვთქვით, რომელიმე ფერის (შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი და სხვ.) ტყავს ან ხავერდს უკეთებდნენ. ხავერდისპირიან ქოშს

ოქრომკედითა და ფერადი ძაფებითაც ქარგავდნენ, ტყავისპირიან ქოშს კი ფერადი ტყავის ნაჭრებით აპრელებდნენ.

**ფლოსტიც** ქოშის ყაიდაზე იკერებოდა, ქოშისაგან განსხვავებით მას ქუსლები არ უკეთდებოდა—ფლოსტი უქუსლო ქოშს წარმოადგენდა. ქალი ფლოსტს საშინაოდ ხმარობდა, ქოშს კი, როგორც ვადმოგვცემენ, უმთავრესად საგარეოდ იცვამდა.

გათხოვილ ქალსაცა და სრულწლოვან ვასათხოვარ ქალსაც, როგორც აღვნიშნეთ, თავი უნდა დაეხურა, სარტყელ-გულისპირიანი კაბის ჩამკმელს შესაფერისი თავსაბურავი უნდა ეტარებინა. თავდახურული ქალის თავსაბურავი რთული შედგენილობის კომპლექსს წარმოადგენდა: კოპი, ანუ გაურჯელა, ჩიხტა და სამკაულებით განწყობილი თავსაკრავი, ლეჩაჭი, ანუ ჩიქილა, და მანდილის როლის შემსრულებელი ბალდადი აღნიშნული კომპლექსის ძირითად ელემენტებად ითვლებოდა.

ბალდადსა და მისი ფუნქციის შემსრულებელ სხვა მოსახვევებს (მოსახვევს, თავშალს და სხვ.) გამზადებულს ყიდულობდნენ, ჩიხტასა და კოპს თვით მანდილოსნები ამზადებდნენ, ლეჩაქსა და თავსაკრავს კი სავანგებოდ განსწავლული ოსტატები კერავდნენ.

**კოპი** შემდეგნაირად იკერებოდა: გრძელსა და ვიწრო ნაჭერში ბამბას მოათავსებდნენ და მტკიცედ გაკერავდნენ. გაკერვის პროცესი იმგვარად უნდა ეწარმოებინათ, რომ კოპი შუაში მსხვილი გამოეყვანათ, ბოლოებისკენ კი თანდათან დაევიწროვებინათ. ადვილად დრეკადი მასალისაგან შეკერილი კოპი ჩვეულებრივ რკალისებურ მდგომარეობაში ჩერდებოდა, თავზე მოათავსების მომენტში მას სავანგებო მოხრა აღარ სჭირდებოდა.

**ჩიხტა** ქალადლისაგან მზადდებოდა. შესაფერისი წესით გამოკრილ ქალადლებს ერთმანეთზე სავანგებოდ შემზადებული წებოთი აწყებდნენ, ზოგჯერ კი, ჩანს, ამ საჭიროებისათვის ხის მეტად თხელ ბუჯალსაც იყენებდნენ. ჩიხტა რკალისებურად იყო მოყვანილი. ზემოხსენებული მასალისაგან გაკეთებულ ჩიხტის რკალს ზემოდან შავი ან სხვა თაღი ფერის ნაჭერიც უნდა ჰქონოდა ვადაკრული. ჩიხტის რკალი ცალმხრივ ვიწრო იყო, მეორე მხრივ კი უფრო ფართო და ოდნავ დაქანებული. თავზე დადგმის დროს ჩიხტის ვიწრო მხარე შუბლისკენ ექცეოდა, ფართო მხარე კი თხეს ებჯინებოდა.

**თავსაკრავი** ვიწრო და გრძელი ზომის გვერდებგადაკეცილ ნაჭერს წარმოადგენდა, საბას განმარტებითაც ხომ „თავსაკრავი (თავსაკრი C) თავის შემოსახვევი წულილი“ ქსოვილია. თავსაკრავს ქალი ზოგჯერ ჩიხტის დადგმის შემდგომ ირტყამდა, ხშირ შემთხვევაში კი მას ჩიხტაზედვე ამავრებდა. თავსაკრავს უმთავრესად ხვერდისაგან კერავდნენ, მეტად იშვიათად კი მის დასამზადებლად სხვა სახის ძვირფას ქსოვილსაც იყენებდნენ. სათავსაკრავედ მრავალნაირი ფერის ხვერდის გამოყენება შეიძლებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად შავი, ლურჯი და შვინდისფერი ხვერდისაგან შეკერილი თავსაკრავები იყო გავრცელებული. სხვა ფერის თავსაკრავთა შორის თეთრი ფერის თავსაკრავსაც საბატიო ადგილი ეჭირა, ამ უკანასკნელს ქალი უმთავრესად დედოფლობის დროს ხმარობდა. მოხუცი და ქვრივი ქალები სადა შავი ფერის თავსაკრავს



ირტყამდნენ, ახალგაზრდები და შუახნისანი კი ნაკერ თავსაკრავებს ხმარობდნენ. თავსაკრავების შესაკერ-მოსაქარგად სხვადასხვა სახის მასალას იყენებდნენ: მას ოქრომკედითა და მძივითაცა კერავდნენ და ფერადი ხავერდებითა და ძაფებითაც ქარგავდნენ. ოქრომკედით შეკერილ თავსაკრავს ოქრომკედით ნაკერს უწოდებდნენ, მძივით შემკულს მძივის თავსაკრავს ეძახდნენ; სხვა სახის თავსაკრავებსაც შესაფერისი სახელწოდებებით აღნიშნავდნენ.

მძივით ნაკერ თავსაკრავთა შორის ყველაზე უკეთესად მარგალიტით შემკულ თავსაკრავს, ე. წ. „მარგალიტის თავსაკრავს“ მიიჩნევდნენ. მარგალიტების ჩასამბეღლად კნეთელსა (ოქროვან ძაფს) ხმარობდნენ, სხვა სახის მძივითა მისამაგრებელ საშუალებად კი, კნეთელთან ერთად, ჩვეულებრივ ძაფსაც იყენებდნენ. კნეთელს ფერადი ძაფებით გამოყვანილი სახეების ირგვლივ ავლებდნენ, თავსაკრავის მოსართავად განკუთვნილ კილიტებს აგრეთვე კნეთელით აკერებდნენ. კილიტა ოქროსფერი ლითონის პაწია მრგვალ ფირფიტას წარმოადგენდა, კილიტას შუა ადგილას გაკეთებული ნაჩერტი მისი ძაფზე აგებისა და თავსაკრავზე მიმაგრების შესაძლებლობას იძლეოდა. კილიტებით მძივიან თავსაკრავსაც ამკობდნენ და მას მოქარგული თავსაკრავის სახეებშიც აყოლებდნენ. კილიტებით დამშვენებულ თავსაკრავს, მის სხვა ძირითად სახელწოდების გვერდით, კილიტანი თავსაკრავის სახელითაც იხსენიებდნენ. თავსაკრავის ორნამენტი მრავალნაირ სახეთაგან შედგებოდა (ტოტიანი, ვარდიანი, ბროწეულის, ჯაჭვის და სხვ.), ორნამენტის ოსტატი თავსაკრავის შეკერვა-მოქარგვის დროს ყოველთვის ხალხის ტრადიციულ გემოვნებას ითვალისწინებდა. თავსაკრავის შეკერვა-მოქარგვას აწარმოებდნენ თავსაკრავის მოსაქარგავად განკუთვნილ პატარა ქარგაზე. მუშაობის დროს მთავარ იარაღს ნემსი წარმოადგენდა.

ლეჩაქი, ანუ ჩიქილა, თავსაბურავის ყველაზე თვალსაჩინო ელემენტად ითვლებოდა. ლეჩაქის შესაკერად მეტად თხელი და გამჭვირვალე თეთრი ქსოვილი იხმარებოდა; „ბლონდი“, „ტული“, „ატლასი“, „ტალატინი“ და „ჯალაშაი“ სალეჩაქე ქსოვილის სახეობებია. ყველაზე უკეთეს სალეჩაქე მასალად ბლონდსა და ტულს მიიჩნევდნენ. ამ უკანასკნელთაგან შეკერილ ლეჩაქს მეტწილად ახალგაზრდა და შუახნის ქალები იხურავდნენ, ქვრივი და მოხუცი ქალები კი ატლასისა, ტალატინისა და ჯალაშაის ლეჩაქებს ატარებდნენ. არშინაშემოვლებულ სადა ბლონდის ლეჩაქს არამგლოვიარე მოხუცი ქალიც იხურავდა, ახალგაზრდა კი ყოველთვის შეკერილს და დაბასმულ ლეჩაქს ხმარობდა.

ყველა სახის ლეჩაქს სამკუთხოვანი მოყვანილობა ჰქონდა, საშუალო ზომის ლეჩაქის საერთო სიგრძე ორ არშინსა და ერთ ჩარექს, ან ორარშინ-ნახევარს უდრიდა. ლეჩაქს სამკუთხოვან ქარგაზე ბასმავდნენ და შეკერვასაც ამგვარივე მოყვანილობის, მაგრამ უფრო პატარა ზომის, ქარგაზე აწარმოებდნენ<sup>1</sup>. დაბასმვის დროს ბასმა-დ წოდებულ თეთრ წებოსა და თავიანთ კინძისთავს ხმარობდნენ: სუფთად გათლილ ჩხირის წვერზე მიმაგრებულ კინძისთავს დრო-

<sup>1</sup> დასაბასმავი ლეჩაქის ქარგა ლეჩაქის ზომისა უნდა ყოფილიყო, ქარგაში ლეჩაქი მთლიანად უნდა ჩაბმულიყო და გაკეტილიყო. ლეჩაქის შესაკერად კი უფრო პატარა ქარგას იყენებდნენ, ლეჩაქის შეკერვას საშუალოდ ორ ჩაბმაზე ამთავრებდნენ.

დადრო ბასმაში ასველებდნენ და ქარგაში გაბმულ ლეჩაქზე სხვადასხვაგვარ სახეს აღბეჭდავდნენ. შესაკერავად განკუთვნილ ლეჩაქს თეთრი აბრეშუმის ძაფით ქარგავდნენ, ზოგჯერ კი ამ მიზნით მალათა-დ სახელდებულ სირმისებურ ძაფს იყენებდნენ. შეკერვა-მოქარგვის პროცესს ნემსითა და ყანისნალით აწარმოებდნენ. მალათათი, როგორც ვთქვით. უპირატესად ნაკერ ლეჩაქსა ქარგავდნენ, მაგრამ ზოგჯერ, ჩანს, დაბასმულ ლეჩაქსაც კერავდნენ. მალათათი გამოყვანილი სახეების წყალობით, მთხრობელთა სიტყვით რომ ვთქვათ, ლეჩაქს ვარსკვლავისებურ ბრწყინვალეობას ანიჭებდნენ. დაბასმული და შეკერილი ლეჩაქის ორნამენტი მრავალნაირი სახის იყო: მარწყვის ფოთოლი, ვაზის მტევანი, ჩივიან-ათა და „დათრთვილულ“-ადაც წოდებული თირთვილის ყვავილი, დაჯონჯოლი, კილიტა, წყალი, ხრახნილი და სხვა მრავალი სალჩაქე ორნამენტად იყო მიჩნეული. ლეჩაქს—ნაკერსაც, დაბასმულსაც და ხადასაც—ირველივე აბრეშუმის ძაფის არშია უნდა შემოვლებოდა, უარშიო სადა ლეჩაქს მეტად ღრმად მოხუცი ქალი თუ დაიხურავდა. სალჩაქე არშიაც მრავალნაირი სახისა იქსოვებოდა: ყვავილიანი, ჯაჭვიანი, კვანძის-ხრახნილი, მოჭრილ-კილიტიანი, სწორედ გადავლილი, ნიავისა და სხვა მრავალი. არშისი არჩევა-ყიდვის დროს ქალი თავის ნივთიერ შესაძლებლობასაც ითვისისწინებდა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ის უფრო ლეჩაქის თავისებურებით ხელმძღვანელობდა. ლეჩაქის არშისაც საგანგებოდ განსწავლული ოსტატი ქსოვდა. ლეჩაქის მკერავი და არშების მქსოველი ოსტატები სოფლებშიც მოიპოვებოდნენ, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მიანიც ქალაქებში (თელავში, სიღნაღში და სხვ.) ცხოვრობდა.

ბაღდადი კვადრატული მოყვანილობის აბრეშუმის თავშალს ეწოდებოდა, თავის დაბურვის დროს ქალი მას უბეურად კეცავდა. მოხუცი და ქერიანი თავს შავი ბაღდადებით იბურავდნენ, ახალგაზრდა და შუახნის გულმზიარული მანდილოსნები კი კრელსა და ღია ფერის სადა ბაღდადებს იბურავდნენ. ნაკლებად შეღებული ოჯახის წარმომადგენელი „ბაღდად“-ად წოდებულ აბრეშუმის თავშალს საგარეოდ ინახავდნენ, საშინაოდ კი თავშალი-სა და მოსახვევის-ს სახელწოდებით ცნობილ ჩითის თავსახვევებს ხმარობდნენ<sup>1</sup>. ზაფხულობით ცალპირ ბაღდადსაც იხვევდნენ (საზაფხულო ცალპირი ბაღდადი შეიძლება მოქარგულიც ყოფილიყო), ზოგჯერ კი თავსაიადაც (ყბაღდადოდ) დაიარებოდნენ. ბაღდადის მაგიერ ზამთრობით შალისა და ქიშმირის თავშალსაც ხმარობდნენ, შალ-ქიშმირისაგან შეკერილ მოსახვევებს მასალის გამომატკევი სიტყვით—„შალოვი“-თ აღნიშნავდნენ.

თავბურვის რთული პროცესი თმების დავარცხნით იწყებოდა: თმის უღიდეს ნაწილს ქალი ორ ნაწნავად დაიწნავდა და მხრებზე გადაიყრიდა, შუბლის აქეთ-იქით მოთავსებულ თმას კი წინ ჩამოუშვებდა, შესაფერისად დაგრებდა, დააკულულებდა და ამგვარად კავებით („კაეი“) ლაწვებს დაიმშვენებდა. თმის დავარცხნის შემდგომ თავბურვის ნაწილი პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობდა: ზურვის მხრიდან წამოხურული ლეჩაქის ერთ ყურს თხემზე გადაი-

<sup>1</sup> შალი ახლაც „მატყლის ნაქსოვს“ ეწოდება, მაგრამ „თავშალის“ სახელწოდებით, ხშირ შემთხვევაში, ჩითის მოსახვევს აღნიშნავენ.

ფენდა, რომ თავიდან არ გადასცურებოდა, მას ცალი ხელით დაიკავებდა, მეორე ხელით კი თავსაკრავშემორტყმულ ჩიხტას დაიდგამდა. თუ ჩიხტა თავსაკრავით წინასწარვე არ იყო გაწყობილი, მაშინ მას ქალი ჩიხტის დადგმის შემდგომ შემოირტყამდა, მსხვილთავა ქინძისთავეებით სათანადოდ დაამაგრებდა, ზონრებმომბოლო თავსაკრავის ბოლოებს კი უკან გამოკრავდა. წესიერად დადგმულ ჩიხტის რკალში კოპს მოათავსებდა და ჩიხტის ზემოდან გადაფენილი ლეჩაქის მეორე ყურს მასზე მიამაგრებდა; მისაბმელად ამ შემთხვევაშიც თავიან ქინძისთავეებს იყენებდა. ლეჩაქის მეორე ყურის ახვევა ორგვარი გზით ხერხდებოდა: თუ ქალს სურდა, ლეჩაქის ამ ყურს იქვე აკეცავდა ჩიხტა-კოპზე ბრტყლად გადაიფენდა და როგორც აღვნიშნეთ, ქინძისთავეებით დააბამდა. ზოგჯერ ის სხვა ხერხსაც მიმართავდა—ლეჩაქის ყურს ყელის ქვეშ გაატარებდა და მეორე ლეჩაქის ასწვრივ ახვეულ ბოლოს ჩიხტას მიამაგრებდა. ლეჩაქის დაბურვის ამა თუ იმ წესის უპირატესობა სუბიექტურ გემოვნებაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ყელზენით დაბურვის წესთან შედარებით, რაც ბოლო ხანებში დამკვიდრდა, ყელახვევით დაბურვის ძველბურვი წესი („თამარ დედოფლის დროინდელი“), უფრო მიღებული ითვლებოდა.

თავხურვის პროცესი ბალდადის მოხვევით უნდა დამთავრებულიყო. ბალდადის მოხვევისას თავსაკრავით შემკული ჩიხტის წინა ნაწილი ოდნავადაც არ უნდა დაფარულიყო. ჩიხტისა და ბალდადის დაკავშირებაც ქინძისთავეებით ხდებოდა, ხოლო გრძლად ჩამოშვებული ბალდადის ყურები ყელთან იკვრებოდა.

ახალგაზრდისა და მოხუცის თავსაბურავს შორის არსებული სხვაობა მართა ფერების სხვადასხვაგვარობასა და შემკულობის (ბრწყინვალეობა—სიფერმკრთაღეში როდი მდგომარეობდა; ჯელითა და ხნიერთა თავსაბურავის კომპლექსი შედგენილობის მიხედვითაც განსხვავდებოდა: შავი ფერის თავსაკრავით გამართულ ჩიხტას, როგორც ვთქვით, ზოგიერთი მოხუციც იდგამდა, მაგრამ უმკვანდელ მგლოვიარე მანდილოსანთა დიდი უმრავლესობა ჩიხტა-თავსაკრავის მაგიერ თავსაკრავით გრძელს, ოღონდ უფრო ფართოსა და ირიბად მოყვანილ „შავ ნაჭერს ირტყამდა; მოხუც ქალთა თავსაბურავის ამ მახასიათებელ ელემენტს ყასაბა ეწოდებოდა. ჩიხტიან თავხურვას მალა-თავს ეძახდნენ, ყასაბას მონაწილეობით წარმოდგენილ თავხურვას კი დაბლა-თავს უწოდებდნენ.

ჩიხტის დღევანდელი სახეობა, თავსაბურავის მნიშვნელოვან ელემენტად მიჩნეული და უკანასკნელ დროს კახეთში საყოველთაოდ გავრცელებული, როგორც მთხრობელთა ცნობებიდან ჩანს, დიდი ხნისა არ ყოფილა; ჩიხტის ხმარება ჩვენი დროის მოხუცთა წინამორბედ თაობას დაუწყია. მაშინ კანტიკუნტად ხმარებული ჩიხტა თანდათან გავრცელებულა და, ბოლოს, ახალგაზრდა ქალის თავსაბურავის კომპლექსში გაბატონებული ელემენტის სახით დამკვიდრებულა.

ძველი დროის კახელი ქალი ახლანდელი ჩიხტის მაგიერ წებოთი „გაშრეშილი“ ქსოვილისაგან გაკეთებულს სათაურას ხმარობდა, ჩიხტის მოვალეობის შემსრულებელი ელემენტის ზემოდან ახალგაზრდა მანდილოსანი თავსაკრავს იკეთებდა, ხნიერი კი ყასაბას ირტყამდა. ასეთია ზოგიერთი მთხრობლის ცნობა ჩიხტის შემოღების შესახებ, თავისთავად საყურადღებო, მაგრამ ალბათ

არა სრული. საეჭვოა, რომ დაპირისპირება მხოლოდ ჩიხტასა და ყასაბას შორის მომხდარიყო; თავსაბურავის ამ ახალი ელემენტის წყალობით სხვა ყადის თავბურვისათვის განკუთვნილი ელემენტიც უნდა განდევნილიყო. ხსენებულ ელემენტს, ალბათ ყამჩისა თუ ყანჩის მსგავს თავის მოწყობილობას, ჩიხტისა და დაბლა-თავის ელემენტებისგან განსხვავებული გარეგნობა უნდა ჰქონოდა. სავარაუდებელია, რომ ჩიხტიანი თავბურვის აღსანიშნავად განკუთვნილი სახელწოდება „მაღლა-თავი“ ერთ დროს აღნიშნული ელემენტის მონაწილეობით წარმოდგენილ თავბურვას ეწოდებოდა.

კახელი ქალის ჩაცმულის, კერძოდ კი თავსაბურავის, ტიპობრივი ანალოგები სხვა ქართულ ტომთა ჩაცმულობაშიც მოიძებნება. კახური ჩაცმა-დაბურვისა, კერძოდ კი მაღლათავ-დაბლათავის საყურადღებო საკითხის გარკვევას, საქართველოს სხვა კუთხეთა კოსტიუმის შესახებ არსებულ მასალებთან ერთად, ქანური თაბლა-სი და ქანთავან შეთვისებული ურუმული დაბლა-სი ჯეროვანი შესწავლაც დიდად დაეხმარება<sup>1</sup>.

დამბაისლურ და ლაზათიან კოსტიუმში გამოწყობილი კახელი ქალი თავს ოქროს სამკაულებითაც იმშვენებდა, რომელიმე ძვირფასი თვლით შემკული შუბლისქინძისთავი (ჩიხტის შუა ადგილზე გასაკეთებლად განკუთვნილი)<sup>2</sup> და თვლიანი ან უთვლო ბეჭედი უღარიბესი ოჯახის წარმომადგენელ ქალსაც კი უმკველად უნდა ჰქონოდა. საქორწინო ჩაცმულობის აუცილებელ ატრიბუტებად მიჩნეულ ბეჭედ-ქინძისთავის გარდა, კახელ მანდილოსანთა უმრავლესობა სხვადასხვა სახის საყურეებს, ყელსაბამებსა და სამაჯურებსაც ხმარობდა.

კახელი ქალის ჩაცმულობის აქ მოცემული დახასიათება, როგორც ვხედავთ, მხოლოდ აღწერილობაა. ქართულ ჩაცმა-დაბურვასთან დაკავშირებული მდიდარი ეთნოგრაფიული ცნობების შესწავლის შედეგად (ქართლსა და საქართველოს სხვა კუთხეებში), იმედია, წარმოდგენილი მასალა უფრო სრულად გაშუქდება და მომავალი კვლევა-ძიების დროს, ისტორიულ კრილშიც სათანადოდ განხილულს, ქართული ჩაცმულობის ერთ-ერთ შტოდ მისაჩნევ კახურ ჩაცმულობას თავისი ადგილი გამოეძებნება.

<sup>1</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ჩვენი ნაშრომი: „წალკელი ურუმი ქალის თავსაბურავი და სამკაული“ (ხელნაწერი) და Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1910, („თაბლა“-ს განმარტება).

<sup>2</sup> შუბლისქინძისთავი რამდენიმენაირი ყოფილა: „ალმასის შუბლის-ქინძისთავი“, „ფირუზიანი“ ანუ „ფირუზის თვლიანი ოქროს შუბლისქინძისთავი“ და სხვ.

ალ. რობაქიძე

## თოფისწამლის დამზადება პირაქით ხევისჭრითში

ძველად პირაქით ხევისჭრეთში თოფისწამალს თითქმის ყველა სოფელში ამზადებდნენ. თოფისწამლის მისაღებად საჭირო იყო: **ყინვარი** (გვარჯილა), **ჩექა** (გოგირდი) და **ნახშირი**. ამ ნივთიერებათაგან ადგილზე მზადდებოდა ყინვარი (გარდა სოფ. ლულისა და ქიესი) და ნახშირი, ხოლო ჩექა მეზობელი ტომებისაგან შემოჰქონდათ.

### ყინვარის დამზადება

პირაქით ხევისჭრეთში ყინვარის დამზადების რამდენიმე ხერხი დამოწმდა: საქონლის ნადგომში დაგროვებული **ჭურთის** გამოხდა, ყინვარის მიღება ნივთიერებიდან, რომელსაც **ვახუშტი კლდის ნოტიობას** უწოდებს<sup>1</sup>, და საქონლის შარდის დაწურვა. ყინვარის მიღების შემოსხენებული წესებიდან პირველი საყოველთაოდ იყო გავრცელებული, ხოლო მეორე და მესამე ცალკეული შემთხვევის სახეს ატარებდა.

1. საქონლის სადგომის ზედაპირს, თუ ეს სადგომი დიდი ხნისაა, არხილის<sup>2</sup> მსგავსი ნივთიერება მოეკიდება ხოლმე. ყველაზე დიდი რაოდენობით არხილი კედლის ძირთანაა დაგროვებული. გაზაფხულზე, საქონელს რომ გამოიყვანდნენ გარეთ, სადგომის იატაკზე არხილულ მიწას ხელით ან ცოცხით მოხვეტავდნენ და ხის ბაკებში დააგროვებდნენ. ოდნავ შემშრალს მიწანარევ არხილს ქვაბში ჩაყრიდნენ, ზედ წყალს დაასხამდნენ, ისე რომ მას დაეფარა მიწამირეული არხილი, და ძლიერ ცეცხლზე შედგამდნენ.

პირაქით ხევისჭრეთში გვარჯილის დუღილის სხვადასხვა ხანგრძლიობა დამოწმდა. სოფ. ბარისახოსა და სოფ. ლულში, მაგ., მიწანარევ არხილს მხოლოდ ერთხელ წამოადუღებდნენ, რის შემდეგ იგი მოივლებდა ზედაპირზე **ზეთს**<sup>3</sup>, რომელსაც მოხდიდნენ, ფართო გობზე დაასხამდნენ და გასაშრობად მზეზე გადგამდნენ.

<sup>1</sup> ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 35

<sup>2</sup> ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928, სიტყვასთან არხილი.

<sup>3</sup> ხევისჭრეთში ამ შემთხვევისათვის ხმარებული „ზეთი“ იგივე „ტუტი“ უნდა იყოს, რომლის შესახებ ს. ორბელიანი ამბობს: „ესე არს ნაცრის წვეთი კუმპარასათჳს, გინა გვარჯილის მიწის წვენი საგვარჯილედ და მისთანანი“ (ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრ., სიტყვასთან ტუტი).

იმავე ბარისახოს ზენუბანში მიწანარევე არხილს იქამდე ადულებდნენ, ვიდრე წყალი თითქმის არ დაშრებოდა. ზედაპირზე მოქცეულ ზეთს ხის გაშლილ ჭურჭელში გადაიღებდნენ, რომლის გაშრობის შემდეგ გობში მოშავო ფერის წვრილი თხილის ოდენა გვარჯილის კრისტალები რჩებოდა. ასევე ხარშავდნენ მიწანარევე არხილს ს. აკუშოში.

ამგვარად, პირაქეთ ხევისურეთში არხილის დუღილის ხანგრძლიობის ორი უკიდურესი მაჩვენებელია დამოწმებული: ერთი წამოდულება (ს. ბარისახო) ან დუღილი იმდენი ხნის განმავლობაში, რამდენიც საჭიროა ციკნის ზორცის მოხარშავად (ს. დული) და დუღილი იქამდე, ვიდრე წყალი თითქმის არ დაშრებოდა (ს. ბარისახოს ზენუბანი, ს. აკუშო). ამავე დროს ყველასათვის იყო ცნობილი, რომ გვარჯილის სისუფთავე არხილის დუღილზეა დამოკიდებული, ხოლო თოფისწამლის ავკარგიანობას გვარჯილის ხარისხი განსაზღვრავს.

რომ დუღილის ხანგრძლიობის მნიშვნელობა სუფთა გვარჯილის მიღებისას ცნობილი იყო ხევისურებისათვის, ამას ხალხური ლექსის ერთი სტრიქონიც ამოწმებს: „თოფმა თქვა: ჩემთა წამალთა შვიდ რიგად უნდა დუღილი“<sup>1</sup>. ამდენად ს. ბარისახოსა და დულიში დამოწმებული ფაქტი ყინვარის ერთი წამოდულებისა უნდა წარმოადგენდეს გადახრას სუფთა გვარჯილის მიღებისათვის საჭირო და ხევისურეთში ცნობილი წესისაგან. როგორც შემდეგ გაირკვევა, ეს გარემოება უარყოფით გავლენას ახდენდა თოფისწამლის ხარისხზე.

ყინვარის გამოხდა პირაქეთ ხევისურეთში ადრე ვახაფხულზე სცოდნიათ, „ვიდრე მაისის მთვარე დამირგვალდების“. სიტყეს რომ დაიქერდა, თოფისწამალი გატეხილი უნდა ყოფილიყო და გასათეცხავად გამზადებული. ვაჟას მიერ ჩაწერილ ზემოხსენებულ ლექსში ეს მომენტიც არის აღნიშნული: „მაისის ბერში დამნაყონ, მემრ ნახონ ჩემი ქუხილი“<sup>2</sup>.

მსგავსი წესი გვარჯილის მიღებისა დამოწმებულია ჩვენ მიერ 1945 წლის აგვისტოში, ზემო სვანეთში, მულახის თემის ს. ლახიოში (გაბრიელ ხერგიანი-ძე მარგიანი), იმ განსხვავებით, რომ ზემოხსენებული წესით მიღებულ გვარჯილის ნაწურს თითქმის მთელი დღის განმავლობაში ადულებდნენ, ვიდრე გვარჯილის ნაწური ერთ მესამედზე არ დავიდოდა<sup>3</sup>.

იგივე ითქმის ზემო რაჭის შესახებაც<sup>4</sup>. ს. ხიდაშში თხა-ცხვრის დიდი ხნის ნადგომში დაგროვებულ გვარჯილას არყის ტოტების ცოცხით მოფალავდნენ. ჩაყრიდნენ დასვრეტილძირიან ხის კოდში, რომელსაც ძირზე თომი ჰქონდა დაფენილი; კოდს ქვეშ გობს ამოუღვამდნენ და მიწანარევე გვარჯილას

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, ტფ., 1937, გვ. 78; ოდნავ განსხვავებული ვარიანტი იქვე, გვ. 77. იგივე სიტყვები ჩაწერილია ჩვენ მიერ 1943 წელს კოტაიში ონ ხირჩლა გოგოჭურისაგან.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 78. ხირჩლა გოგოჭურისაგან ჩაწერილი ვარიანტი: „მაისის ბერში გამტეხეთ, მემრ ნახეთ ჩემი ქუხილი“.

<sup>3</sup> ალ. რობაქიძე, ზემო სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1945.

<sup>4</sup> ალ. რობაქიძე, ზემო რაჭის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1938.

ზევიდან მდლდარე წყალს დაასხამდნენ. გვარჯილის ნაწურს ძლიერ ცეცხლზე ადულდებდნენ და გასაცივებლად ფართო გობზე ასხამდნენ; ვაცივების შემდეგ ხსნარი გვარჯილის კრისტალებს იკიდებდა.

გვარჯილის მიღების მსგავსი წესი დადგენილია დიდოეთშიც<sup>1</sup>. აქ, გაზაფხულის პირზე, გომურის იატაკს მოასუფთავენდნენ და ზედ ჰინჭარს დაყრიდნენ ერთი მტკაელის სისქეზე (იმ რწმენით, რომ გომურის ზედაპირი ისევე მოიყრიდა გვარჯილას, როგორც ჰინჭრით დასუსხული ადამიანის სხეული მოიყრის ხოლმე ნასუსხს), ერთი თვის განმავლობაში გომური კარდაკეტილი იყო და არავის არ შეესვლებოდა შიგ—არც ადამიანს, არც პირუტყვს. ამ ხნის განმავლობაში გომური წმინდა ადგილად იყო მიჩნეული, და რომ მოვიდოდა შიგ შესვლის დრო, წამლის მკეთებილი გედოებს დაიხდიდა, ფეხშიშველა შევიდოდა გომურში.

ზემოაღნიშნული ვადის შემდეგ ჰინჭარს გარეთ გამოყრიდნენ და გომურის იატაკის ზედაპირზე რთვილივით მოსხმულ გვარჯილას არყის ტოტის ცოცხით მოხვეტავდნენ, ხის ჰურჭელში ჩაყრიდნენ, ზევიდან თბილ წყალს დაასხამდნენ, ხელით აურევდნენ და დაფშენიდნენ. შემდეგ წყალში გახსნილ გვარჯილას ქვაბში გადმოსახამდნენ და ძლიერ ცეცხლზე დიდხანს ადულდებდნენ. ნახევარზე დამდგარ სითხეს ხის ფართო გობზე დაასხამდნენ და გასაცივებლად კარში გადგამდნენ.

რაქაში, ისევე როგორც დიდოეთში, გვარჯილის დუღილის ხანგრძლიობას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. წყალში გახსნილი გვარჯილა ყოველ შემთხვევაში ნახევარზე მაინც უნდა დამდგარიყო, იგი რძესავით თეთრ და სქელ სითხედ უნდა ქცეულიყო.

გვარჯილის ხსნარის დუღილის საკმარისობას დიდოეთში, მაგალითად, შემდეგი წესით საზღვრავდნენ. ჩხირის წვერით ამოიღებდნენ სითხის ერთ წვეთს, დაიწვეთავდნენ მას ცურის ფრჩხილზე და თუ დაატყობდნენ, რომ წვეთი შეკრულია, მხოლოდ მაშინ შეწყვეტდნენ დუღილს.

2. ს. ჰორმეშავში დამოწმებული მასალით ირკვევა, რომ პირაქეთ ხევსურეთში ყინვარის მიღების მეორე წყაროც არსებობდა. ნედლეულად ამ შემთხვევაში გამოყენებული იყო არა ქურთი, არამედ კლდის ნოტიობა.

ჰორმეშავის მახლობლად ნასოფლარია, რომელიც ძველად ამავე სახელს ატარებდა. ჰორმეშიონთ ზევი აზარალებდა ხშირად და რამდენიმე ათეული წლის წინათ ძველი ჰორმეშავის მოსახლეობა ახალ ადგილზე—დღევანდელ ჰორმეშავში გადმოსახლებულა. ამჟამად ნასოფლარი ჩამოშლილია. ძველ ჰორმეშავში გოგოთურა გოგოტურას სახლთან კლდის ნაბრალი ყოფილა, საიდანაც ძველად მიწამირეული გვარჯილა გამოჰქონდათ. უფრო დიდი რაოდენობით გვარჯილა კმუზიან ამინდში ამოდიოდა, ნოტიო რომ ჩადგებოდა კლდეში. ასეთ ამინდში გვარჯილა ობივით ეკიდებოდა კლდეს; მას ხელით ან ცოცხით მოხვეტდნენ და შემდეგ წურავდნენ იმავე წესით, რა წესიც გამოყენებულია საქონლის სადგომიდან აღებული მიწანარევი არხილის გამოხდისას.

<sup>1</sup> ალ. რობაკიძე. დიდოეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1940.

კლდის ნოტიობიდან გვარჯილის მოპოვების ფაქტი დამოწმებულია ჩვენ მიერ 1945 წლის აგვისტოში ზემო სვანეთში, ს. ეამუშში (მულახის თემი). აქ, რაქდენ აბრამის-ძე ქალდანის სახლში, მანჭიბის ქვეშ მცირე ტევადობის ოთახი აღმოჩნდა (გუმე), სიგრძით ოთხი მეტრი, სიგანით სამი და სიმაღლით ორი მეტრი, რომელშიაც გვარჯილა საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო დაგროვებული.

გვარჯილას (ეზგ-იგივე სიტყვით აღინიშნება თოფისწამალიც) ღორის ჯაგრის ცოცხით მოხვეტავდნენ და ჩაყრიდნენ ხის ჭურჭელში (ღუმე-ში), რომელსაც ძირში ნასვრეტი ჰქონდა გაკეთებული: ნასვრეტის ნაპირებს ჩვეულებრივ წერაქვს (ბალახია ერთგვარი) ჩაუყოლებდნენ და ისე დაუცობდნენ სოლს. ღუმე-ში ჩაყრილ ეზგს ცხელ წყალს დაასხამდნენ, სოლს ოდნავ მოუშეებდნენ და გვარჯილის ნაწურს ქვაბში დააგროვებდნენ. გვარჯილის ნაწურს ძლიერ ცეცხლზე ხანგრძლივად ადუღებდნენ და ნაღულის ვაცივების შემდეგ იღებდნენ გვარჯილის კრისტალებს<sup>1</sup>.

ამასვე უნდა გულისხმობდეს ვ. ტუპცოვი, როდესაც ამბობს სვანი მონადირეების შესახებ, რომ „ისინი ამზადებენ თოფისწამალს ხიეთიერებიდან, რომელიც იღებება მათი სახლების სარდაფებში“<sup>2</sup>.

გვარჯილის მიღების ამგვარი წესი ჩვენ მიერ დიდოეთსა და რაქაში არ არის დამოწმებული. მაგრამ რომ საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე კლდის ნოტიობიდან გვარჯილის მიღება გავრცელებული იყო, ამას ვახუშტი გვიმოწმებს ალგეთის ხევის<sup>3</sup>, სანაინის<sup>4</sup>, ოსეთისა<sup>5</sup> და საქართველოს სხვაკუთხეების აღწერისას. გამოქვაბულში გვარჯილის მოპოვების ფაქტი იმერთში ს. კრუკოვსკის აქვს დამოწმებული<sup>6</sup>.

3. ს. ქობულოში, გვარჯილის მიღების უკვე აღწერილი წესის პარალელურად, არსებობდა გვარჯილის მიღების განსხვავებული წესი. ამ წესით გვარჯილის მიღებისას შეძლებისდაგვარად ახმობდნენ თამბაქოს ჯოყარს, ჩაჭყრიდნენ მას ლითონის ქვაბში და წვრილად დაამტვრევდნენ. ქვაბს შედგამდნენ ძლიერ ცეცხლზე, შიგ ჩაასხამდნენ ცხერის შარდს და ადუღებდნენ სრულ დაშრობამდე. სითხის დაშრობის შემდეგ თამბაქოს ჯოყარს რთვილივით მოეკიდებოდა გამოხდილი გვარჯილა, რომელსაც ჩამოუხტევდნენ ხის ვაშლილ ჭურჭელში და ვასაშრობად გადგამდნენ მზეზე.

გვარჯილის მიღების ეს მესამე წესი, აღწერილი ს. ქობულოში, ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ვგონებ არ უნდა იყოს ცნობილი. ნ. დანილოვე-

<sup>1</sup> შდრ. ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ტფ., 1939, გვ. 142, შენიშვნა 2.

<sup>2</sup> В. Тупцов. Сванетия. СМОПК, X, Тиф., 1890, გვ. 28.

<sup>3</sup> ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 48.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 114.

<sup>6</sup> С. Круковский. Пещера Гварджилас-кале в Ргани. Известия Кавказского Музея, т. X, в. 3, Тиф., 1916, გვ. 255.



სკისა<sup>1</sup> და ს. ბრონევესკის<sup>2</sup> მიერ აღნიშნული ფაქტი კავკასიაში გვარჯილის დამზადებისა მცენარეულისაგან გვარჯილის მიღების ს. ქობულოში აღწერილ წესთან ვერ იქნება გაიგივებული, რადგან მცენარეული მათი ცნობით გვარჯილის მიღების წყაროს წარმოადგენს და არა პირობას<sup>3</sup>.

საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე დამოწმებულია აგრეთვე გვარჯილის კრისტალების მოპოვება სუფთა სახით თოფისწამლის დამზადების მიზნით. გვარჯილის სუფთა სახით მოპოვების ფაქტს სვანეთში ვ. ტეპცოვი გვიმწმებს. მისი სიტყვით: „მონადირეები სადღაც პოულობენ გოგირდსა და გვარჯილას და თვითვე ამზადებენ თოფისწამალს. ამ მინერალების (ხაზი ჩვენია. ალ. რ.) ადგილმდებარეობა საიდუმლოდ ინახება თავისიანებისაგანაც კი“<sup>4</sup>.

ასეთივე პირდაპირი ცნობა გვარჯილის კრისტალების მოპოვებისა და მისგან თოფისწამლის დამზადების შესახებ სხვა კავკასიელ ტომთა შორის ვინმე გ—დ-ს წერილშია დაცული<sup>5</sup>.

ამგვარად, პირაქეთ ხევსურეთში დამოწმებულია გვარჯილის მიღების სამი წესი—ქურთის გადამუშავება, კლდის ნოტიობის დაწურვა და საქონლის შარდის გამოხდა. ზემოაღწერილ სამ წესს შორის პირველი წესი ფართოდაა ცნობილი საქართველოში და კავკასიის სხვა ტომებში. დღემდე ცნობილი ეთნოგრაფიული მასალა საკმარისად საფუძველს იძლევა იმის მტკიცებისათვის, რომ ამ მხრივ ხევსურეთსა, რაჭასა, სვანეთსა და დიდოეთს შორის ძირითადად თითქმის სრული დამთხვევა არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მეორეხარისხოვან დეტალებში ზოგჯერ მნიშვნელოვანი განსხვავებაა. შემდგომი კვლევა-ძიებით, საფიქრებელია, უფრო გაფართოვდება წრე იმ კავკასიელ ტომთა, რომელთათვისაც ქურთის გამოყენება გვარჯილის ნედლეულად და მისი გამოხდის ზემოაღწერილი წესები საერთო კუთვნილებად იქნება აღიარებული.

### ჩემას დამზადება

ჩემას (გოგირდს), თოფისწამლის დამზადებისათვის საჭირო მეორე ელემენტს, როგორც აღვნიშნეთ, პირაქეთ ხევსურეთში არ ამზადებდნენ—მას ყიდულობდნენ მემობელი ტომებისაგან. გოგირდის გარედან შემოტანა ხევსურეთში

<sup>1</sup> Ш. Данилевский. Кавказ и его горские жители в нынешнем их положении, М., 1846, гл. 80.

<sup>2</sup> С. Броневский. Новейшие географические и исторические сведения о Кавказе, ч. II, М., 1823, гл. 142.

<sup>3</sup> საქ. მუზეუმის უმცრ. მეცნ. თანამშრ. აშხ. აკ. კაცაძის მიერ მოწოდებული ცნობებით (რომლისათვისაც მას მადლობას მოვასხენებ), მთიულეთში ყუთურს (მუნს) ცხვრის შარდისა და თამბაქოს ნადუღით არჩენენ. სვანეთში თოფისწამალი ღვინის (მუნის) მკურნალობის რადიკალურ საშუალებად ითვლება. ზემოხსენებული ფაქტების დაპირისპირება გვარწმუნებს, რომ თამბაქოს ჯოყარი შემთხვევითი ფაქტორი არ უნდა იყოს თოფისწამლის დამზადების პროცესში.

<sup>4</sup> В. Тенцов. Дзасб. ნაშრომი, გვ. 28.

<sup>5</sup> Г—д. Поездка к южному откосу Эльбруса, Биб. для чтения, т. 97, СПб., 1849, гл. 61.



არ იყო ძნელი, რადგან საქართველოსა და კავკასიის სხვა პუნქტებში გოგირდის მოპოვება თოფისწამლის დამზადების მიზნით იშვიათ შემთხვევას არ წარმოადგენდა.

გოგირდიანი დარიშხანის მოპოვება და გამოყენება სხვადასხვა დანიშნულებისათვის პონტოს ქვეყნებში ძველთაგან იყო ცნობილი<sup>1</sup>. დრაკონტიუსის ცნობით, კოლხელი ქურუმი ქალები სხეულის განწმენდის მიზნით, სხვა საშუალებათა შორის, სუფთა გოგირდის კომლსაც ხმარობდნენ<sup>2</sup>. ტურნეფორის გადმოცემით, თბილისში თოფისწამლისთვის გოგირდი განჯიდან მოჰქონდათ<sup>3</sup>. გოგირდის მოპოვებაზე საქართველოში არა ერთგზის მიუთითებს ვახუშტი<sup>4</sup>.

თუმცა ვახუშტის არა აქვს მოცემული პირდაპირი ჩვენება გოგირდის მოპოვებაზე თოფისწამლის დამზადების მიზნით, მანიშნებელია მის მიერ გვარჯილის მოპოვების ადგილების ხშირი ხსენება და „დასტურლამალის“ სულხან მდივნის ვარიანტში დაცული შემდეგი ცნობა: „წელიწადში კაცის თავს თეთოს ჩარეკს ტყვიას ზარაფხანიდამ მისცემდენ და თეთოს ჩარეკს გვარჯილას მისის გოგირდითა“<sup>5</sup>. ეს ცნობები ვახუშტის დროისათვის გოგირდისა და გვარჯილისაგან თოფისწამლის დამზადების ფართო მასშტაბზე უნდა მიუთითებდეს. ყოველ შემთხვევაში, XVIII ს-ის 70-იან წლებში თბილისში უკვე არსებობს დაწესებულება, რომელიც გოგირდისა, გვარჯილისა და ნახშირისაგან თოფისწამალს ამზადებს<sup>6</sup>.

პირდაპირი მითითება გოგირდის მოპოვებაზე თოფისწამლის მიღების მიზნით XIX ს-ში მოცემული აქეთ კოლჩეცკისა<sup>7</sup> და ვ. ტეპცოვის<sup>8</sup>, ხოლო საერთოდ გოგირდის მადნის არსებობაზე საჩაჩნოში—ე. მაქსიმოვისა და გ. ვერტეპოვის<sup>9</sup>.

ზემოხსენებული ლიტერატურული წყაროები საკმაო საბუთს წარმოადგენს იმის მტკიცებისათვის, რომ გოგირდის მოპოვება ძველთაგან იყო ცნობილი საქართველოში და რომ შემდგომ თოფისწამლის წარმოება ამ მხრივაც უზრუნველყოფილი იყო საკუთარი, ადგილობრივი წარმოშობის ნედლეულით.

<sup>1</sup> Витрувий. Десять книг об архитектуре, М. 1936, VII, 75.

<sup>2</sup> В. Латышев. Известия... т. II, в. II, СII6, 1906, გვ. 428.

<sup>3</sup> Tournefort. Reise nach der Levante, III, Nürnberg, 1777, გვ. 286.

<sup>4</sup> ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 109, 111 და სხვ.

<sup>5</sup> ვახტანგ VI. დასტურლამალი, ტფ., 1886, გვ. 142.

<sup>6</sup> G ü l d e n s t ä d t. Reisen durch Russland und im Kaukasischen Gebürge, I, St. Petersburg, 1787, გვ. 226.

<sup>7</sup> Кольчевский. Отчет о разведке месторождения серы близ аула Чиркат, в Гумбетском наибстве Среднего Дагестана, произведенной в 1861 г., ССК т. II, Тиф. 1872, გვ. 91—96. შდრ. А. Берже. II, Материалы для описания Нагорного Дагестана, XX, 1858, გვ. 277.

<sup>8</sup> В. Тенцов. დასახ. ნაშრ., გვ. 28.

<sup>9</sup> Евг. Максимови Г. Вертепов. Туземны северного Кавказа, в. II, Чеченцы, Владикавказ, 1894, გვ. 17.

## ნახშირის დამზადება

ნახშირი თოფისწამლის მესამე შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს, ელემენტს ისევე მნიშვნელოვანს, როგორც ყინვარი და ჩქა.

პირაქეთ ხევსურეთში ნახშირს ამზადებდნენ მელიქაურისას (ს. კორმეშაევი), ლეისას (ს. კიე), ცაცხვისას (ს. აკუშო), მურყანისას (ს. ქობულო), ხატრიის ხისას (ს. შაწმაო) და სხვ., მაგრამ საუკეთესო ნახშირის მისაღებად სამი სხვადასხვა ჯიშის ხის ტოტებს იყენებდნენ: ცაცხვისას, ღვანლისას და ლეისას.

დასახელებული ჯიშის ხის თითის სისქე ტოტებს დაჭრიდნენ გაშლილი ხელის სიგრძეზე (=ერთ მტკაველს); დასაწვავად გამზადებული ტოტები თანატოლი და თანაბრად შრალი უნდა ყოფილიყო, რომ ყოველ მათგანს თანაბრად მოკიდებოდა ცეცხლი. მზეზე ან ცეცხლზე გამშრალი ტოტებისაგან სანახშირეს ააგებდნენ, სიმაღლით და სიგრძე-სიგანით ტოტის სიგრძის შესატყვისს. ამ ზომაზე დალაგებულ სანახშირისაგან მიღებული ნახშირი უნდა ჰყოფნოდა ერთი წამლის განაჟას (=1 გირვანქა თოფისწამალს), ე. ი. თოფისწამლის იმ რაოდენობას, რომელიც ჩვეულებრივ დენგის კვაფში ეტეოდა. სანახშირედ დალაგებულს თანატოლსა და თანაბრად გამშმარ ტოტებს ცეცხლი მირგვლივ მოედებოდა და წვაც თანაბრად მიმდინარეობდა. როგორც კი დაუქრებოდა სანახშირეს ალი და იქამდე, ვიდრე მუგუზლებს ფერფლი მოეკიდებოდა, სანახშირეს რკინის მორჩილ გრაწას (ქვაბს) გადაახურავდნენ და ქვაბის პირს ძონძებს შემოათარებდნენ, რომ სანახშირეში ჰაერი არ შეპარულიყო და ცეცხლს სული არ მოეჭკია. ცეცხლი დაიბნიდებოდა და ასეთი წესით მიღებული ნახშირი საუკეთესო ნახშირად ითვლებოდა.

ცეცხლს წყლით არ დაახშობდნენ: ამ წესით მიღებული ნახშირი უვარგისად იყო მიჩნეული.

ნახშირის დამზადების ზემოხსენებული წესი უცვლელად მეორდება პირაქეთი ხევსურეთის თითქმის ყველა სოფელში. მხოლოდ ს. კიეში სანახშირეს აგებდნენ არა მიწის ზედაპირზე, არამედ ორმოში. ამ შემთხვევაში ცეცხლის დახშობის მიზნით ზემოხსენებულ ორმოს სიპს გადაახურავდნენ, ნაპირებს თიხით შემოუფოხავდნენ და ამგვარად დაბნიდავდნენ ცეცხლს. წყლის დაპყრება ნახშირის გამოწვისას არც აქ იყო მიღებული—წყლიანი ნახშირი არ იმუშავებო.

რაქაში ნახშირის დასამზადებლად თხილის ტოტებს ამჯობინებდნენ. თანაბარი სისქის თხილის ტოტს ოთხად გააპობდნენ (ხწორედ დაპობილი ტოტის ნახშირი ტყვიას ხწორედ მიიტანს), დაპობილ ტოტებს გულს ამოაკლიდნენ (გულის ნახშირი ჩუტვაო), გაახშობდნენ და სუფთა სიპზე სანახშირეს ააგებდნენ. თეთრად რომ მოედებოდა მუგუზაის ფერფლი, ცეცხლს დაახშობდნენ და ნახშირი მზად ითვლებოდა.<sup>1</sup>

ნახშირის გამოწვის ანალოგიური წესი დამოწმებულია ზემო სვანეთში<sup>2</sup>, სადაც ნედლეულად იელის გამშმარსა და კანგაკლალ ტოტს იყენებდნენ.

<sup>1</sup> ა. ლ. რობაქიძე, ზემო რაქის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1938.

<sup>2</sup> ა. ლ. რობაქიძე, ზემო სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1945.



დიდოეთში ნახშირის დასამზადებლად ტირიფის ტოტებს ხმარობდნენ. თანაბრად დაპირილსა და გამხმარ ტოტებს ოთხად აპობდნენ და სანახშირეს ორმოში აგებდნენ. ნახშირის მზადყოფნას წყლის მიპკურებით აქაშნიკებდნენ, ხოლო ცეცხლის მოგუდვის მიზნით ორმოს სიპს ან რაიმე ჭურჭელს გადაახურავდნენ და პირებს მსწით შემოუგოზავდნენ. ცეცხლის წყლით ჩაქრობა არც დიდოეთში იყო მიღებული<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, აქაც, ნახშირის გამოწვის შემთხვევაშიაც, ხეესურებისა, სვანებისა, რაპელებებისა და დიდოელების ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული მასალა საყურადღებო პარალელების შემცველია. შეიძლება ითქვას, რომ ზემოხსენებულ ტომებში დამოწმებულია ნახშირის დამზადების არსებითად ერთი წესი.

#### თოფისწამლის შემადგენელ ნაწილთა ურთიერთშეფარდება

თუ ყინვარის მიღების პროცესი პირაქეთ ხეესურეთის სხვადასხვა სოფლის მიხედვით არსებით ნაწილში მეორდება და მხოლოდ მეორე რიგის ფაქტორები კმნიან განსხვავებას, ხოლო ნახშირის გამოწვის წესი არსებითად ყველგან ერთია, ამ ელემენტებისა და გოგირდის ურთიერთშეფარდება საგრძობლად განსხვავებულია და სრული დამთხვევა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში იჩენს თავს. ამ რყევადობის ნათელსაყოფად საკმარისია ქვემოთმოყვანილი ცხრილი თოფისწამლის შემადგენელი ელემენტების ურთიერთშეფარდებისა (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1  
თოფისწამლის შემადგენელ ნაწილთა ურთიერთ-  
შეფარდება

| პანს რიგზე | სოფლების დასახელება       | შემადგენ. ნაწილები |              |         |
|------------|---------------------------|--------------------|--------------|---------|
|            |                           | გზაჯა-<br>მე       | ვოგირ-<br>დს | ნახშირი |
| 1          | ბარისახო (ხენუბანი) . . . | 80                 | 10           | 10      |
| 2          | აკუშო . . . . .           | 33,3               | 33,3         | 33,3    |
| 3          | კიე . . . . .             | 50                 | 25           | 25      |
| 4          | კიე . . . . .             | 44                 | 44           | 12      |
| 5          | ქორმეშავი . . . . .       | 50                 | 25           | 25      |

შეზავებულ ნივთიერებათა შეფარდების ასეთს თვალსაჩინო რყევადობას ყინვარის ხარისხით ხსნიან. რაც უფრო სუფთაა გვარჯილა, მით უფრო ნაკლებ-  
ბი რაოდენობაა მისი საჭირო და შემთხვევითი არ არის, რომ იქ, სადაც მიწა-

<sup>1</sup> აღ. რთბაქიძე, დიდოეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1940,

ნარკე არხელს მხოლოდ ერთხელ წამოადუღებენ (ს. ბარისახოს ზენუბანი), ყინვარის ხეიდრითი წონა თოფისწამალში ყველაზე მეტია, ხოლო იქ, სადაც მას აღუღებენ იქამდე, ვიდრე წყალი თითქმის არ დაშრება (ს. აკუმო)—ყველაზე მცირე<sup>1</sup>.

მისაღებია მხედველობაში ის გარემოებაც, რომ თოფისწამლის გატეხვის დროს ხშირად იღებენ ჰაზნიკს და თუ თოფისწამალი არ აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნას (ძლიერი და უცაბედი აფეთქება და უმნიშვნელო ფერფლი), მას უმატებენ გვარჯილას, რითაც წამლის ხაფიცი იზრდება. მეტისმეტად ფიცხი წამლის დაყენების შემთხვევაში მას გოგირდს უმატებენ—ეს უკანასკნელი ძირსა სწევს თოფისწამლის სიფიცხეს.

მაგრამ ყინვარისა, ჩექისა და ნახშირის შეფარდების რყევადობაზე მართო გვარჯილის ხარისხი არ ახდენს გავლენას. ამ შეფარდების დადგენისას თოფისწამლის მკეთებელი მხედველობაში იღებს გოგირდისა და ნახშირის ხარისხს, თოფის სისტემას, ტყვიის ყალიბს და სხვ., რის შესაბამისადაც იგი წამლის გატეხვის პროცესში ცვლის მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთ-შეფარდებას.

საქართველოში და კავკასიის სხვა კუთხეებში თოფისწამლის შემადგენელი ნაწილების ურთიერთშეფარდების შემდეგი სურათია დადგენილი (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2

თოფისწამლის შემადგენელ ნაწილთა ურთიერთ-შეფარდება


| №№ რიგზე               | სოფლების დასახელება  | შემადგენ. ნაწილები |         |         |
|------------------------|----------------------|--------------------|---------|---------|
|                        |                      | გვარჯილა           | გოგირდი | ნახშირი |
| <b>ა. რაჭა</b>         |                      |                    |         |         |
| 1                      | ხიდაში . . . . .     | 40                 | 24      | 36      |
| 2                      | გლოლა . . . . .      | 50                 | 25      | 25      |
| <b>ბ. ზემო სვანეთი</b> |                      |                    |         |         |
| 1                      | ლაბირი . . . . .     | 60                 | 20      | 20      |
| 2                      | ჭამუში . . . . .     | 60                 | 20      | 20      |
| <b>გ. დიდლოეთი</b>     |                      |                    |         |         |
| 1                      | ხუთრაბი . . . . .    | 74                 | 13      | 13      |
| 2                      | მაყოფი . . . . .     | 60                 | 20      | 20      |
| 3                      | ჭამაიტლაბი . . . . . | 70                 | 15      | 15      |
| 4                      | საჭადა . . . . .     | 74                 | 13      | 13      |

<sup>1</sup> თბილისში თოფისწამლის დამზადების გულდენშტედტისეული აღწერილობა ამ მხრივაც საინტერესო ჩვენებას შეიცავს. მის დროს თოფისწამლის დამზადებისას თბილისში შემდეგ პროპორცია იყო მიღებული: 13 წილი გვარჯილა, 2 წილი გოგირდი და 2 წილი ნახშირი (Güldenstädt, დასახ. ნაშრ., გვ. 226).

პირველი შეხედვით თოფისწამლის შემადგენელ ნაწილთა ურთიერთშეფარდების სურათი მეტად ჭრელია. შემადგენელ ნაწილთა ხვედრითი წონის რყევადობა არ იჩენს ისეთი ხასიათის კანონზომიერებას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა აგვეხსნა იგი ან ეთნიკური თავისებურებით, ან კულტურულ-ისტორიული ვითარებით. ეს რყევადობა თოფისწამლის შემადგენელ ნაწილთა ხვედრითი წონისა, ისევე როგორც ხვესურეთში, სავსებით დამოკიდებულია ამ შემადგენელ ნაწილთა ხარისხზე, თოფისწამლის დანიშნულებაზე, ტყვიის ყალიბზე და სხვ.

#### დენგი

ყინვარის, ჩექისა და ნახშირის მომარაგებისა და მათი შემოსხენებული წესით შეზავების შემდეგ თოფისწამლის მკეთებელი შეუდგებოდა მის გატეხვას თოფისწამლის დენგში. თოფისწამლის გატეხვა საკმაოდ შრომატევადი პროცესია, მას ერთი-ორი დღის მუშაობა სჭირდება.



ნახ. 1. ქვის დენგი. ხვესურეთი, ს. აკუშო.

პირაქეთ ხვესურეთის შესწავლილ სოფლებში ორგვარი დენგია დამოწმებული: ხისა და ქვის დენგი. პირველი აღწერილია სოფლებში: ბარისახოს ზენუბანში, კობულოში, კორმეშავში, ხოლო მეორე—მაწმაოში, აკუშოში (2 ეგზემპლარი), აქეში, კორმეშავში, ლულში, ქიეში, ბუჩუკურთაში და გუდანში. ამგვარად, ხისა და ქვის დენგის თანარსებობა დადგენილია მხოლოდ კორმეშავში, ხოლო ორი ქვის დენგისა—მხოლოდ აკუშოში.

ხის დენგი არც ერთგან არ არის შენახული. ქვის დენგებიდან ს. ქიესა და ლულის დენგები დაკარგულია (მიწამ შექამაო). დანარჩენი ქვის დენგები ზემოაღნიშნულ სოფლებში მთლიანად დაცულია, გარდა მაწმასო დენგისა, რომელსაც ცალი გვერდი (თითქმის ერთი მესამედი) ჩამოტეხილი აქვს.

ამჟამად დაცული ქვის დენგები უმეტეს შემთხვევაში ან თუბონზე იმყოფება (ს. ბარისახოს ზენუბანი), ან ადგილის დელასთან, ხატთან (ს.ს. მაწმასო, აკუშო), ან ამა თუ იმ მოსახლის ბინასთან (ს.ს. აკუშო, გუდანნი).

გადმოცემით იტყვივა, რომ ქვის დენგში გატეხილი თოფისწამალი უკეთესი გამოდიოდა ხის დენგში გატეხილთან შედარებით. ქობულოელნი, რომელთაც ძველად ხის დენგი ჰქონდათ სოფელში, თოფისწამალს ხშირად ს. აკუშოში ყიდულობდნენ—**უფრო ფიცხი წამალი იცინაო**. აღსანიშნავია ისიც, რომ ხის დენგში თოფისწამლის გატეხვას გაცილებით უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე იმავე რაოდენობის თოფისწამლის გატეხვას ქვის დენგში.

ქვის დენგის შემადგენელი ნაწილებია: საკუთრივ დენგი, ხის კედში ჩამარტებული ხისავე ან ქვის გურჩი და კედის საყრდენი ლაშ-ყბა.

დენგი **ბახრი რიუის კლდეა**, ჩაგარი ჯიშის ქვა სხვადასხვა ზომისა. სწორ ზედაპირზე, შუაში ან ნაპირთან, მას ამოკოდილი აქვს კვაფი—ადგილი, სადაც იტეხება წამალი.

პირაქეთ ხეცსურეთში დამოწმებული ქვის დენგები შემდეგი ზომისანი არიან:

- ს. მაწმასოში: სიგრძე 50 სმ., სიგანე 35 სმ., სიმაღლე 40 სმ., კვაფის სიღრმე 16 სმ., ხოლო დიამეტრი 16 სმ.
- ს. აკუშოში: 1) სიგრძე 161 სმ., სიგანე 96 სმ., სიმაღლე 33 სმ., კვაფის სიღრმე 16 სმ., ხოლო დიამეტრი 16 სმ; 2) სიგრძე 72 სმ., სიგანე 68 სმ., სიმაღლე 23 სმ., კვაფის სიღრმე 15 სმ., დიამეტრი 15 სმ.
- ს. ბუჩუკურთაში: სიგრძე 96 სმ., სიგანე 60 სმ., სიმაღლე 23 სმ., კვაფის სიღრმე 17 სმ., დიამეტრი 15 სმ.
- ს. გულანში: სიგრძე 54 სმ., სიგანე 45 სმ., სიმაღლე 25 სმ., კვაფის სიღრმე 16 სმ., დიამეტრი 16 სმ.


როგორც ჩანს, ქვის დენგის სიგრძე-სიგანე და სიმაღლე საგრძნობლად განსხვავებულია, მაშინ როდესაც ზომა დენგის ზედაპირზე ამოკვეთილი კვაფისა, ე. ი. იმ ადგილისა, სადაც თოფისწამლის გატეხვა წარმოებს, ყველა შემთხვევაში თითქმის აბსოლუტურად თანხვედრილია. ზუსტად ამავე ზომის კვაფი უნდა ჰქონოდა ხის დენგსაც. ეს ზომა კვაფისა ერთი წამლის განაყას, ანუ, დაახლოებით, ერთ გირვანქა თოფისწამალს იტევდა.

გურჩს (ქვისავე სანაყს) რიყზე მოხელავდნენ ხოლმე. წყლის მიერ დამუშავებული გურჩი საუკეთესო სანაყად იყო მიჩნეული. იგი მაგარი იყო და ხელოვნურად დამუშავებულსა ჰგავდა. გურჩი ზომით მკლავის სიგრძე და ხისქე უნდა ყოფილიყო.

სანაყის ტარად მსხვილ კედს ხმარობდნენ, რომლის სიგრძე ორ მეტრს აღწევდა. ნედლი კედის ერთს ბოლოში გურჩის ბუდეს ამოთხრიდნენ, პერპენდიკულარულად შიგ გურჩს გაქედადნენ და გასაშრობად დატოვებდნენ. კედის

გახზობის შემდეგ გურჩი ისე იქედებოდა ტარში, რომ სხვა გასამაგრებელი საშუალება მას აღარ ესაჭიროებოდა. მხოლოდ თუ ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გურჩის მოდუნება დაეტყობოდა, მას სოლებით ამაგრებდნენ.

საკუთრივ დენგი, როგორც წესი, მიწაში იყო ჩადგმული ისე, რომ მისი ზედაპირი მიწის პირისპირ მოსულიყო. კედში ჩამაგრებული გურჩი გვაფში უნდა ყოფილიყო მოთავსებული, ხოლო კედის შუა წელი ხისაგან გამოთლილ ან ყორისაგან აშენებულ ლაშ-ყბაში მოქცეული. თუ ლაშ-ყბა ხისაგან იყო გამოთლილი, მას შუაში ვალაყინტს<sup>1</sup> ამოუკვეთავდნენ და კედს იმგვარად გასდებდნენ ზედ, რომ გურჩი ოდნავ თავმძიმე ყოფილიყო.



ნახ. 2. ქვის დენგი. ზვესურეთი, ს. აკუშო.

ლაშ-ყბასთან, ორივე მხრიდან, გრძელ მარგილებს დააყენებდნენ, რომ კედზე ორივე ფეხით შემდგარ თოფისწამლის მკეთებელს წონასწორობა არ დაეკარგა. უმეტეს შემთხვევაში წამლის მტებველს მუშაობისას მარგილებზე ეკიდა ხელი, ზოგჯერ კი მარგილებზე კიდონი იყო გადადებული-დამაგრებული, რომელსაც ხელოსანი მკერდით ებჯინებოდა.

ხის დენგს მუხისას ან იფნისას აკეთებდნენ. გამოაკოპიტებდნენ დიდ მორს, სიგრძით 2,5 მეტრამდე, სიგანით 0,5 მეტრამდე. მორის ერთ ბოლოში ამოკვეთავდნენ გვაფს, იმავე ზომისას, რა ზომაც ქვის დენგისათვის იყო მიღებული. მორის ზედაპირზე, მისი სიგრძის გასწვრივ, დაწყებული გვაფიდან მორის მეორე

<sup>1</sup> შდ. ს. ორბელიანი, დაცხ. ნაშ., სიღვესთან ძალაყინი და ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული წრის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1, თბ. 1946, გვ. 154.



ბოლომდე, ამოკვეთადნენ ღარს, რომლის სიღრმე კედის შესატყვისი უნდა ყოფილიყო. ხის მორს მიწაში ჩაამაგრებდნენ; კედსა და ლაშ-ყბას იმავე წესით შეამზადებდნენ, როგორც ეს ქვის დენგის შემთხვევაში იყო აღწერილი, და მუშაობასაც ისევე აწარმოებდნენ.

არც დენგის მასალისა თუ ზომა-მოყვანილობას მხრით, არც მასზე მუშაობის პროცესის მხრით სტერეოტიპულ მსგავსებას სოფლების მიხედვით ადგილი არა ჰქონდა. აქაც, ისევე როგორც ყინვარის მიღებისას, ფართო ვასაქანი ეძლეოდა წამლის მკეთებლის საკუთარ დაკვირვებასა და პირად გამოცდილებას. ლაშ-ყბა, მაგალითად, მუდამ არ იყო ქვის ყორისაგან მიშენებული ან ხისგან გამოჭრილი. ხის დენგის ლაშ-ყბის ფუნქციას ზოგჯერ ფონად დაბმული ღვლერქი ასრულებდა (ს. ქობულო); იმავე ქობულოში თოფისწამლის გატეხვისას კედს ერთი ფეხით ამუშავებდნენ და არა ორივე ფეხით, როგორც ეს სხვა შემთხვევებში იყო დამოწმებული; ამის შესატყვისად დენგს მარგილიც ერთი ჰქონდა, ნაცვლად ორისა.

მაგრამ დენგის არსებითი ნაწილებისა და დენგზე მუშაობის ძირითადი წესების საერთო მსგავსების პირობებში ზემოხსენებული გადახრები იმდენად უმნიშვნელო განსხვავების შემცველი არიან რომ ტიპოლოგიური იგივეობის სურათს, რა თქმა უნდა, ვერ დაარღვევენ.

ქვის დენგის ზემოაღწერილი ტიპი XIX ს-ის ოთხმოციან წლებში რადეს აქვს დამოწმებული შატილში<sup>1</sup>. ქვის დენგის რადესეული აღწერილობა სავსებით ემთხვევა თოფისწამლის იმ დენგებს, რომლებიც ჩვენ მიერ დადგენილია პირაქეთ ხევისურეთში. ერთადერთს განსხვავებას კედის ზომა წარმოადგენს (რადესთან მისი სიგრძე 9 ფუტია, სისქე—„ადამიანის სხეულის ოდენა“), რაც შეიძლება იმიტაც აიხსნას, რომ რადეს მიერ ნახული ეგზემპლარი მის დროს ტყავის სახელად იყო გამოყენებული და არა თოფისწამლის სატეხად.

შატილში თოფისწამლის დამზადების ფაქტი ძველად, რადეს მიერ ჩაწერილი ცნობების გარდა, ხალხური ლექსითაც მტკიცდებოდა:

„შატილს ნუ წახვალთ, მშველებო, შატილს ვაენი ღვან ქვლიანნი, თაოდავ ნაყენ წამალსა ბაქნებით უღვან ტყვიანი“<sup>2</sup>.

თოფისწამლის დამზადებაზე ხევისურეთში განიცი მიუთითებს<sup>3</sup>, თუმცა მისი აღწერილობიდან არა ჩანს, ფეხით ამუშავებდნენ დენგს თუ ხელით.

რაკაში თოფისწამლის სატეხად ხის საცხველს ხმარობდნენ. საცხველის დასამზადებლად ხის (უმთავრესად მუხის) გრძელ მორს გამოკეთხავდნენ, რომლის სიგრძე სამ მეტრს აღწევდა, ხოლო სისქე—ერთ მეტრს. მორის ერთ ბოლოზე ამოტეხავდნენ ქვაბს, იმავე ზომისას, რა ზომაზე ხევისურული ქვაფისთვი-საა დამახასიათებელი. ქვაბიდან დაწყებული ვიდრე მორის ბოლომდე ღარი


<sup>1</sup> Г. Радде. Хевсурия и хевсуры. ЗКОРГО, XI, 2, Тиф., 1881, გვ. 281—282.

<sup>2</sup> აკ. შანიძე. ხალხური პოეზია, თბ. 1931, გვ. 60; შდრ. ალ. თხიჯაური, ხევისურული ანდრეზები, გვ. 138, ხელნაწერი, ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში არქივში.

<sup>3</sup> К. Гаи. Путешествие в селу шшавов, хевсур, кисти и ингушей, „Кавк. Вестник“, № 5, Тиф., 1900, გვ. 53—54.

იყო ამოკვეთილი სანაყის ტარის მოსათავსებლად; ღარის ბოლოში, მის პერპენდიკულარად, სანაყის ტარის რიკის ბუდე იყო დატოვებული.

სანაყის ტარი წარმოადგენდა გრძელ ტოტს, ღარის სიგრძის შესატყვისს. მის მსხვილ ბოლოში ბუდე იყო ამოკვეთილი, რომელშიაც ტარის პერპენდიკულარულად ქვის სანაყს ჩაამაგრებდნენ ღვლერქების საშუალებით. სანაყის ტარს მეორე ბოლოში რიკს გაუყრიდნენ და მორის ზედაპირზე ამოკვეთილ სარკვე ბუდეში მოათავსებდნენ ისე, რომ სანაყის ქვა მორის მეორე ბოლოში ამოტეხილი ქვების პირისპირ მოსულიყო.



ნახ. 3. ეჭ ლაყალ. ზემო სვანეთი, ს. ხე.

თოფისწამლის გატეხვისას წამლის მკეთებელი სანაყის ტარზე შედგებოდა, ერთ ფეხს გადააბიჯებდა სანაყის რიკს და ორივე ფეხით ამუშავებდა სანაყს. წონასწორობის დაცვის მიზნით, რაკაშიც საცეხველს ორივე მხრიდან მარგილები ჰქონდა დასმული, რომლებზეც თოფისწამლის მკეთებელს ხელები ეყრდა<sup>1</sup>.

ზემოსვანეთში, საკუთრივ მულახის თემში, თოფისწამალს ხელის სანაყში ნაყავდნენ. სვანური სანაყი თოფისწამლისა (ეჭ ლაყალ) ორი ნაწილისაგან შედგებოდა; ბლის ხისაგან გამოთლილ გურნასა და მაგარი ჯიშის ქვის (ღონა) როდინისაგან. გურნას სიგრძე (ეამუშში აღწერილი ეგზემპლარის მიხედვით) 69 სანტიმეტრია. მისი ორივე ბოლო სანაყადაა გამოყენებული, ხოლო შუაში ხელის მოსაკიდებელი აქვს დატოვებული.

ამგვარი, ხოლო ხისროდინიანი გურნა დღეს მარილისა და სხვათა სანაყადაა გამოყენებული.

გურნას ანალოგიური ეგზემპლარი იფარის თემის ს. ბოგრეშშია დადგენილი.

- ქვის როდინი ზემო სვანეთშიც სხვადასხვა ზომისაა; საკუთრივ:
- ს. ეამუშში: სიგრძე 73 სმ, სიგანე 53 სმ, სიმაღლე 25 სმ. კვადის (სე. ხურუ) სიღრმე 14 სმ, დიამეტრი 14 სმ.
  - ს. ლახირი: სიგრძე 120 სმ, სიგანე 65 სმ, სიმაღლე 40 სმ. კვადის სიღრმე 15 სმ, დიამეტრი 15 სმ.

<sup>1</sup> ა. ლ. რობაქიძე. ზემო რაჭის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1938.

ს. ბოგრეში: სიგრძე 90 სმ, სიგანე 83 სმ, სიმაღლე 21 სმ. კვაფის სიღრმე 13 სმ, დიამეტრი 16 სმ.


ქამუშში ჩაწერილი ვერსიით, თოფისწამლის დამზადების ხელობა მხოლოდ ქალღანებმა იცოდნენ და ახლომახლო თემებში ყველას მათგან მიჰქონდა თოფისწამალი. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს ვადმოცემა, თითქოს ძველად დაღის სვანეთშიაც ქამუშიდან მიჰქონდათ თოფისწამალი. იმ ხელსაწყოს მიხედვით კი, რომელიც შემორჩა ხალხის ყოფას დღევანდლამდე, ე. ი. უზგ ლაყალის მიხედვით, მისი სრული მსგავსება ხევისურეთისა და, როგორც შემდეგ დავინახავთ, დიდოეთის სანაყთან არავითარ ეჭვს არ იწვევს. განსხვავება თავს იჩენს მხოლოდ დანაყვის წესში—ზემო სვანეთის ს. ქამუშში დადგენილია თოფისწამლის ხელით გატეხვის ფაქტი.

დიდოეთში, ისევე, როგორც ხევისურეთში, ორგვარი დენგია დამოწმებული: ქვისა და ხისა. ქვის დენგი აღწერილია ს. მაყოყში (2 ეგზემპლარი) და ს. საჰადაში (1 ეგზემპლარი), ხოლო ხის დენგი ს. შაურში შიიტლელი—ხაჯი მურადის მიერ გაკეთებული მოდელისა და მისივე განმარტების მიხედვით<sup>1</sup>.

გარდა ზემოხსენებული სოფლებისა, ქვის დენგის ძირითადი ნაწილი (ტილუშ) დიდოეთში სხვა მრავალ ადგილასაც მოიპოვება, მაგრამ ჩვენ მიერ მათი აღწერის მომენტში ისინი მხოლოდ მარილის სანაყის დანიშნულებას ემსახურებოდნენ.

დიდოეთი ქვის დენგის ძირითად ნაწილს სიპი ქვა წარმოადგენს, რომლის ზედაპირზე შუაში წამლის სანაყი ბუდეა ამოკვეთილი. დიდოეთში თოფისწამლის სანაყის (ტილუშ-გილუშ) შემდეგი ზომებია დადგენილი:

1. ს. მაყოყი: 1) სიგრძე 73 სმ, სიგანე 43 სმ, სიმაღლე 25 სმ., კვაფის სიმაღლე 15 სმ, დიამეტრი 15 სმ. 2) სიგრძე 31 სმ, სიგანე 31 სმ, სიმაღლე 16 სმ. კვაფის სიმაღლე 14 სმ, დიამეტრი 16 სმ.



ნახ. 4. უზგ ლაყალ. ზემო სვანეთი, ს. ბოგრეში.

<sup>1</sup> მოდელი დაცულია საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, კოდ. № 57—40.

2. ს. საპადა: სიგრძე 98 სმ, სიგანე 100 სმ, სიმაღლე 50 სმ. გვაფის სიმაღლე 18 სმ, დიამეტრი 16 სმ.

როგორც გაირკვა, ტილუპ მხოლოდ ნაწილობრივ იყო ჩადღული მიწაში.

ს. მაყოყში დადგენილი ეგზემპლარი, რომელიც სამშედლოში იმყოფებოდა, მაფის ზედაპირს მხოლოდ 25 სმ-ით იყო აცილებული.

ს. საპადაში შეკრებილი მასალით დადგინდა, რომ სანაყის კეტი 2 მეტრს აღემატებოდა, ხოლო სისქე 40 სმ აღწევდა. ქვის სანაყი (გილუპ) კეტის ერთ ბოლოში ამოკვეთილ ბუდეში იყო ჩასმული. მისი დიამეტრი გვაფის დიამეტრს შეესატყვისებოდა, ხოლო სიგრძე 0,5 მეტრს არ აღემატებოდა. სანაყის ტარი შუა წელით ორ მარჯილს შორის იყო დამაგრებული, ისე რომ მას თავისუფლად ემოძრაენა.




ნახ. 5. ტილუპ. დიდოეთი, ს. ქიტურა.

ამგვარად, ს. საპადაში დამოწმებული ტილუპ-გილუპ თითქმის სავსებით იმეორებს ხეცსურულ დენგს. განსხვავებას წარმოადგენს ხეცსურული დენგის მხოლოდ ლაშ-ყბა, რომელიც დიდოურ ტილუპ-გილუპ-ს არ გააჩნია.

ს. მაყოყში დამოწმებული თოფისწამლის დენგის მეორე ეგზემპლარი საპადის ზემოაღნიშნული დენგის სრული ანალოგია. განსხვავებას წარმოაჩენს მხოლოდ თოფისწამლის მკვთებლის საყრდენის თავისებურება. ს. საპადაში ამ საყრდენს მარჯილებზე გადადებული კაღონი წარმოადგენს, რომელსაც სანაყის ტარზე ფეხით შემდგარა წამლის მკვთებელი მკვრით ეყრდნობა, მაშინ როდესაც ს. მაყოყში საყრდენის ფუნქციას მხოლოდ მარჯილები ასრულებენ.

ს. მაყოყში დადგენილი დენგის პირველი ეგზემპლარი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმავე სოფელში დადგენილი დენგის მეორე ეგზემპლარისა და ს. საჭადაში დამოწმებული დენგისაგან. განსხვავებას წარმოადგენს დენგის აგებულება და მასზე მუშაობის წესი: ს. საჭადის დენგზე და ს. შაყოყის მეორე დენგზე სანაყს ფეხით ამუშავებდნენ, ხოლო ს. მაყოყა პირველ დენგზე—ხელით. ამ თავისებურების შესაბამისად შეკვალა სანაყის ფორმაც. სანაყის ღარი უკანასკნელ შემთხვევაში თუქვა იმავე ზომისაა, რაც პირველ ორ შემთხვევაში, მაგრამ გილუჭ აქ სანაყის ტარის ბოლოში კი არ არის წითაცხებული, არამედ შუაში. ტარის ერთი ბოლო მარგილებზეა დამაგრებული ისე, რომ ტარის მეორე ბოლოსთან მდგომ წამლის მკეთებელს ტარის აწე-დაწევა და ამგვარად წამლის გატეხვა შეეძლოს.



ნაზ. 6. ტილუჭ. დიდოეთი, ს. შაიქლი.

როგორც ვაჩვენებ, ხელით ასამუშავებელი დენგი ახალი ტიპისაა. ძველად, ჩვეულებრივ, თოფისწამალს ფეხით ასამუშავებელ დენგში ნაყავდნენ ხოლმე.

მაშასადამე, ხეცსურეთში დამოწმებული ორი სახეობის დენგებისაგან ხის დენგის სრული ანალოგი რაჭაში მოგვეპოვება. დენგის ორივე სახეობის თანაარსებობა დიდოეთშიც არის დადგენილი. დიდოეთში დენგები (ვარდა ს. მაყოყში აღწერილი მეორე ცალისა), როგორც აგებულების, ისევე მათზე მუშაობის თავისებურების მხრივ, ხეცსურეთის განმეორებლად შეიძლება მივიჩნიოთ. ზემო სვანეთის ქვის დენგი რამდენადმე განსხვავდება ხეცსურეთისა და დიდოეთის ქვის დენგებისაგან მუშაობის წესით და სანაყის აგებულებით, თუმცა სვა-

ნური ეგ ლაყალის ძირითადი ნაწილი საესებით ემთხვევა ხეცურული და დილოური დენვის სათანადო ნაწილს.

დენვის შესახები ხეცურული, რაჭული, სვანური და დილოური ზემომოყვანილი მასალა საკმაო საბუთს უნდა წარმოადგენდეს იმის მტკიცებისათვის, რომ ხსენებულ ეთნიკურ წრეში დადგენილი თოფისწამლის სანაყი ხელსაწყო—დენგი—განეკუთვნება არსებითად ერთ ტიპს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში თითქმის უცვლელად მგორდება; ამ ძირითადი ტიპისაგან გადახრის ორი შემთხვევა მხოლოდ ვარიანტულ სახესხვაობას უნდა წარმოადგენდეს და ამდენად მათი დამოუკიდებელ ტიპად აღიარება ფაქტური მასალით არ იქნება გამართლებული.

დენვის შედარება ქართულსა და კავკასიურ საცხველებთან ცხადყოფს, რომ იგი საცხველის ტიპის ხელსაწყოა. ამის საბუთია პეტკოლდტის მიერ მის ნაშრომში მოყვანილი გამოსახულება ფეხით ასამუშავებელი საცხველისა, რომელიც მას გმელინის ნაშრომიდან აქვს გადმოღებული „მცირე-ოდენი შესწორებით“<sup>1</sup>.



ნახ. 7. კავკასიური საცხველი (პეტკოლდტის მიხედვით).

შემდგომ ამ გამოსახულებით პ. ლეზერმა ისარგებლა მოცემული ტიპის საცხველების წარმოშობილობის ადგილისა და გავრცელების გზების ძიებისას<sup>2</sup>. ამავე რიგის საბუთს გურული ჩამური წარმოადგენს, რომლის გამოსახულება ე. მაინენის ნაშრომშია დაცული<sup>3</sup> და ჩრდილოეთ-კავკასიური გუზ,

<sup>1</sup> Al. Petzholdt. Der Kaukasus. B. II, Leipzig, 1868, გვ. 170, სურ. 31.


<sup>2</sup> P. Leser. Westöstliche Landwirtschaft, Festschrift, Publication d'hommage offerte au P. W. Schmidt. Wien, 1928, გვ. 470, სურ. 78.

<sup>3</sup> E. Meynen. Die Verbreitung des Holzmörsers. Ethnologica, B. III, Leipzig, 1927 სურ. 61.

რომლის ფოტოსურათი გადაღებულია ს. ყართ-ჯურთში საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის იმხ. ილ. კუონიას მიერ.

აღ. პეტცჰოლდტის მიერ მოცემული წყლით ასამუშავებელი იმერული საცხეველის ესკიზი აღწერილობის მიხედვითაა შედგენილი და ამდენად მისი ამ შემთხვევაში გამოყენება მხოლოდ პირობით შეიძლება<sup>1</sup>.

რომ ფეხითა და წყლით ასამუშავებელი საცხეველი, აგებულია თვალსაზრისით, ერთ ტიპოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნება, ამის საბუთად საკმარისია მარტო ბასკური საცხეველი, რომლის წყლის დასაგროვებელი კურკელი ფეხსაცმლის ფორმისაა და ამით თვალნათლივ მიუთითებს იმაზე, თუ რით ამუშავებდნენ საცხეველს იქამდე, ვიდრე მის ასამუშავებლად წყლის ენერჯია იქნებოდა გამოყენებული<sup>2</sup>.



ნახ. 8. გურული ჩაბური (ე. მაინენის მიხედვით).



ნახ. 9. ჩრდილოეთ კავკასიური გუბ (ს. ყართ-ჯურთ).

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკმაო საბუთს წარმოადგენს იმის მტკიცებისათვის, რომ საცხეველსა და დენგს შორის, როგორც აგებულებისა და მასალის, ისევე მათი ცალკეული ნაწილების დანიშნულების მხრივ, სრული თანხვედრილობა არსებობს, ეს გარემოება კი თავისთავად ცხადყოფს, რომ ძველთაგან ცნობილი და მიწისმოქმედებასთან დაკავშირებული საცხეველი, მასში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანის გარეშე, გამოყენებული იყო თოფისწამლის სანაყად ამგვარ

იარაღზე მოთხოვნილების წარმოქმნისთანავე.

მართალია, საცხეველს როგორც სასოფლო-სამეურნეო იარაღს და საცხეველს როგორც თოფისწამლის გასატეხ ხელსაწყოს, დიდი ქრონოლოგიური

<sup>1</sup> Al. Petzholdt, იქვე, გვ. 169, სურ. 30.

<sup>2</sup> P. Leser, დასაზ. ნაშრ., გვ. 471, სურ. 79.

მანძილი აშორებს, მაგრამ ფაქტი საცეხველის გამოყენებისა თოფისწამლის დამზადების პროცესში იმაზე მიუთითებს, რომ თოფისწამლის დანზადება ამ მხრი-



ნახ. 10. იმერული საცეხველი (აღ. პეტაქოლდტის მიხედვით).



ნახ. 11. ბასურის საცეხველი (პ. ლეზვიას მიხედვით).

ვაც უზრუნველყოფილი იყო ადგილობრივი, ქართველი ტომების მეურნეობაში კარგად ცნობილი იარაღით.

#### თოფისწამლის ბატონა

როგორც აღვნიშნეთ, თოფისწამლის გატეხვა ხანგრძლივ შრომას ზოი-ხოვდა. თოფისწამლის გატეხვისას ხშირად მიმართავდნენ მის კაშნიკს: ამოწმებდნენ თოფისწამლის შედგენილობას და მის მზადყოფნას. კაშნიკის მიზნით იღებდნენ ხის კოვზით ერთ წიკა ნაზავს, დასდებდნენ მას ნაფოტზე (ს. ქობულო) ან ფთეზე (ს. ქიე) და ცეცხლს მოუკიდებდნენ. ალის უეცრად და უფერულად ავიარდნა თოფისწამლის მზადყოფნის მაჩვენებელი იყო. თუ კაშნიკად აღებულნი წამალი შეშხუნსა და ხრჩოლვას დაიწყებდა, ე. ი. თუ მოკარბებულნი ჩეკა თოფისწამლის ალს ძირსა სწევდა—ნაზავს ყინვარს დაუმატებდნენ.



ქ. ი. სიფიციხეს შემატებდნენ მას და კვლავ განაგრძობდნენ მის ნაყვას იქამდე, ვიდრე ჭაშნიკი სასურველ შედეგს არ მისცემდა.

თოფისწამლის გატეხვის პროცესში მისი ხშირი ჭაშნიკი სვანეთშიც არის დამოწმებული, სადაც ჭაშნიკს ხელისგულზე იღებდნენ<sup>1</sup>; ზოგ შემთხვევაში სვანეთში თოფისწამალს ფილზე აჭაშნიკებდნენ<sup>2</sup>. რაჭაში თოფისწამლის მზადყოფნის შემოწმება თეთრ ქალაღზე იცოდნენ<sup>3</sup>, ხოლო დიდოეთში—მარცხენა ხელის ცერის ფრჩხილზე<sup>4</sup>.

გატეხვის დროს თოფისწამლის ნაზავს ხშირად აპყურებდნენ წყალს—ნახავი მავრად მოხელილი ცომის მიგვარი უნდა ყოფილიყო.

გატეხვის შემდეგ თოფისწამალს ხელით დაფშენიანდნენ, ჩაყრიდნენ ღუღურაში (მთლიანი ხისაგან გამოკერილი ან ხის ქერქისაგან შეკრული ცილინდრისებური ქურჭელია) და დიდხანს ადგვიებდნენ, ვიდრე თოფისწამალი არ დაიმარცვლებოდა. დამარცვლილ თოფისწამალს გაატარებდნენ ამ შემთხვევისათვის სპეციალურად გაკეთებულ საცრელაში (პატარა საცერის გორგოლაა, რომლის ძირზე ამოკერილი ტყავი სადგისით არის დასვრტილი). დამარცვლილი თოფისწამლის იმ ნაწილს, რომელიც საცერში რჩებოდა, კვლავ დანაყავდნენ, დაფშენიანდნენ, დამარცვლავდნენ და გასტრიდნენ. ეს მეორედბოდა იქამდე, ვიდრე გატეხილ წამალს მთლიანად არ გაატარებდნენ საცრელაში.

საცრელაში გატარებულ თოფისწამალს მზეზე დააღივლებდნენ, ქ. ი. გაფიციხებდნენ<sup>5</sup>, ხის ღოჩაში ჩაყრიდნენ, ორივე ბოლოს დაუკობდნენ და საკვამში ინახავდნენ, რომ თოფისწამალი არ დანოტიოებულყო.

რაჭაში თოფისწამალს ამავე წესით ტეხავდნენ იმ განსხვავებით, რომ მას კვახში დამარცვლავდნენ; კვახში დამარცვლილ თოფისწამალს ტრიდნენ და მზეზე აფიციხებდნენ<sup>6</sup>. ასევე იცოდნენ თოფისწამლის დაკაკლვა და გაცრა-გაფიციხება სვანეთსა<sup>7</sup> და დიდოეთში<sup>8</sup>. ორ უკანასკნელ შემთხვევაში დამარცვლას წმინდა საცერზე აწარმოებდნენ და დამარცვლის შემდეგ სავანგებო საცერში ტრიდნენ. დამზადებულ თოფისწამალს აქაც ხის ქურჭელში ინახავდნენ—მშრალ ადგილას.

ამგვარად, თოფისწამლის გატეხვის თვალსაზრისითაც ხეცურეთისა, რაჭისა, სვანეთისა და დიდოეთის ეთნოგრაფიული მასალა სრულ იგივეობას იჩენს.

როგორც ადგილებზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალიდან და საკითხ-

<sup>1</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე. დასაზ. ნაშრ., გვ. 142-ის 2 შენიშვნა.

<sup>2</sup> ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე. ზემო სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1945.

<sup>3</sup> ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე. ზემო რაჭის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1938.

<sup>4</sup> ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე. დიდოეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1940.

<sup>5</sup> შ დ რ. „თოფო ბეჩაო, ნეტაი წამალი დაგიომლაო“ (ხ ე თ ი ს ო კ ი ნ ქ ა რ უ ლ ი.

ს. კეე).

<sup>6</sup> ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე. ზემო რაჭის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1938.

<sup>7</sup> ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე. ზემო სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1945.

<sup>8</sup> ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე. დიდოეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1940.

ზე არსებული ლიტერატურიდან ირკვევა, თოფისწამლის დამზადება ქართველ და კავკასიელ ტომთა შორის ფართოდ ყოფილა გავრცელებული<sup>1</sup>.

საკუთრივ ქართველ ტომთა ყოფაში თოფისწამლის დამზადება ხელოსნობის იმდენად მკვიდრ დარგს წარმოადგენდა, რომ სვანეთში მას, ხელოსნობის სხვა დარგების მსგავსად, საკუთარი მთარეელი ჰყავდა სოლომონის სახით<sup>2</sup>.

ლიტერატურულ წყაროებში დაცული ცნობები საქართველოსა და კავკასიაში თოფისწამლის დამზადების შესახებ, სიმწუხაროდ, მოკლებულნი არიან საკირო სისრულეს და ამ ცნობათა საფუძველზე თოფისწამლის დამზადების მთლიანი პროცესის ზუსტი სურათის დადგენა შეუძლებელი ხდება.

ზოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ხევისურეთს, რაქას, სვანეთსა და დიდოეთს, ე. ი. კუთხეებს, სადაც ეთნოგრაფიული მასალა თოფისწამლის დამზადების შესახებ სპეციალურად იყო შეკრებილი, იზადება შესაძლებლობა თოფისწამლის დამზადების შედარებით სრული სურათის დადგენისა და ცალკეულ თავისებურებათა გამოვლენისა.

ამ მასალის შედარებითი შესწავლა თოფისწამლის პროცესის შემადგენელი ელემენტების მიხედვით მოწმობს, რომ თოფისწამლის დამზადება ისეთ მნიშვნელოვან მომენტებში, როგორცაა გვარჯილის ნედლეულად გამოყენება და მისი მოპოვება, გვარჯილის გამოხდის წესები, ნახშირის გამოწვა, თოფისწამლის შემადგენელ ნაწილთა (გვარჯილა, გოგირდი, ნახშირი) ურთიერთშეფარდება, თოფისწამლის ვასატები ხელსაწყო (დენგი), თოფისწამლის დანავის, დამარცხლის, გატრის, გაფიცებისა და შენახვის წესები და სხვა, ხევისურეთისა, რაქისა, სვანეთისა და დიდოეთისათვის სრულ იგივეობას წარმოაჩენს.

სრული იგივეობა ამ შემთხვევაში არ გულისხმობს სტერეოტიპულ განმეორებას. თოფისწამლის დამზადება მრავალი კომპონენტის შემცველი რთული პროცესია და აბსოლუტური მსგავსება არც არის მოსალოდნელი. ამდენად, შედარებითი მასალა ზოგჯერ მნიშვნელოვან განსხვავებასაც წარმოაჩენს; უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება გვარჯილის გამოხდის წესებს და მათზე დამოკიდებულს თოფისწამლის შემადგენელ ნაწილთა ურთიერთშეფარდებას. მართალია, განსხვავებათა ეს რიგი სრულიად კანონზომიერია, მაგრამ ეს კანონზომიერება ასახავს უფრო ამა თუ იმ კუთხის ბუნებრივ პირობებს, ვიდრე ამ კუთხის ეთნიკური შემადგენლობის თავისებურებას, და ამდენად განსხვავებათა ეს რიგი არ წარმოადგენს კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე ფაქტორს.

მაშასადამე, თოფისწამლის დამზადების ზემოაღწერილი პროცესი ხევისურეთისა, რაქისა, სვანეთისა და დიდოეთისათვის შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ერთი, მოკემულ კუთხეთათვის საერთო ტიპოლოგიური მთლიანობა,

<sup>1</sup> კავკასიაში თოფისწამლის დამზადების შესახებ უკვე მოხსენიებული წერილების გარდა: А. Омаров. Как живут лаки, ССКГ, III, Тиф. 1870, გვ. 37; С. Броневский. Дагестан. №8, II, გვ. 142, 219, 381; А. Лаудаев. Чеченское племя, ССКГ, VI, 1872, გვ. 29; А. Б. Духа Омар-оглы. Воспоминания муталима, ССКГ, II, 1869, გვ. 27; Кольчевский. Дагестан. №8, гв. 92; Е. Шиллинг. Кубачи. Пятигорск, 1937, гв. 14 და სხვ.

<sup>2</sup> აღ. რობაქიძე. ზემო სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1945.

ბოლო აღნიშნული განსხვავება—როგორც ამ ტიპოლოგიური მთლიანობის ვარიანტული სახესხვაობა.

მეორე მხრით, ზემომოყვანილი მასალა ცხადყოფს იმ გარემოებასაც, რომ თოფისწამლის დამზადება საქართველოში და კავკასიის სხვა პუნქტებში უზრუნველყოფილი იყო ადგილობრივი საკუთარი ნედლეულით (გვარჯილა, გოგირდი, ნახშირი) და ისეთი სასოფლო-სამეურნეო იარაღით (საცეხველი), რომლის გამოყენების სიადვილემ თოფისწამლის დამზადების მიზნით ხელი შეუწყო კულტურის ამ ელემენტის განმკვიდრება-გავრცელებას ქართველთა და სხვა კავკასიელ ხალხთა ყოფაში.

აქ ვერ შევეხებით თოფისწამლის წარმოშობილობის ადგილისა და გავრცელების გზების საკითხს ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, რადგან სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის გარკვეული რიგი პრინციპული მომენტი, რომელთა გარკვევის გარეშე შემოხსენებული საკითხის დასმა ნაადრევი იქნებოდა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> შეჯამებული ცნობები თოფისწამლის დამზადების წარმოშობის ადგილისა და მისი გავრცელების გზების შესახებ იხ.: C. Zenghelis, Le feu Grègeois et les armes à feu des Byzantins, Byzantion, VII, 1932.

მაცხ. ბეჩინიშვილი

## იოანე-ვარაზშაჩისთვის

იოანე-ვარაზშაჩე, სპეციალურ ლიტერატურაში იოანე ათონელად აღიარებული, არა ერთხელ გვხვდება X საუკ. ძველებში, უმთავრესად ამ საუკუნის მეორე ნახევრის მანუსკრიპტთა მინაწერებში. ქრონოლოგიური რიგის მიხედვით ეს სახელი პირველად იხსენიება 977 წელს გადაწერილ ეტრატის „სამოთხეში“. აქ არის ასეთი მინაწერები:

1. „წმიდაო იოანე ოქროპირო და წმიდაო ეფრემ, მეობ ეყვენით იოანე ვარაზშაჩეს და შეილთა მისთა; წმიდაო ნათლისმცემლო, იოხე... მიქაელ, ააუჭარბ“<sup>1</sup>;

2. „მე იოანე თორნიკოფილმან და ძმამან ჩემმან იოანე ვარაზშაჩე, ძეთა სულკურთხეულისა ჩორდევანელისა, მოვიგეთ წმიდა ესე... სამოთხე... სალოცველად და სადიდებლად... პირველად იოვანე თორნიკოფილისათვის... და მერმე იოვანე ვარაზშაჩესათვის და მეუღლისა მისისა და შეილთა მისთა...“<sup>2</sup>;

3. „იესო ქრისტე, ადიდე იოვანი ვარაზშაჩი (იოვნი ვრზეჩი) სულიერად და შეილინი მისნი...“;

4. „ქრისტე, შეიწყალე მიქელ, ძე ვარაზშაჩესი, დიდი სიტკბოება მინჯენეს ამის წიგნისა შრომასა“; ამ ორ მინაწერს ვხვდებით 978 წ. უშკის ნათლისმცემლის ლავრაში გადაწერილი „დაბადების“ მეორე ტომში, მეფეთა მეოთხე წიგნის ბოლოს<sup>3</sup>;

5. „...წადიერ ვიყავ მსახურებისათვის ღვთივ დიდებულთა უფალთა და წმიდათა მამათასა პირველად იოვანე თორნიკ სინგელოზისათვის და ვარაზშაჩე იოვანესთვის და შეილთა მათათვის ერთობით...“;

<sup>1</sup> А. Чагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. Вып. 1. СПб., 1886, стр. 90; დიშ. ბაქრაძე. საქართველოს ისტორია, თბ., 1890, გვ. 244; თ. ქორდანიანი. ქრონიკები, I, გვ. 168. Rob. Blake-ის კატალოგში ეს მინაწერი არაა.

<sup>2</sup> ibidem. აქ ციტირებულია Robert Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la laure d'Iviron au mont Athos, Paris, 1932, № 9, p. 49—50; მინაწერი გრძელია და მეტად ძვირფას გენეალოგიურ ცნობებს შეიცავს. იგი გვიჩვენებს თორნიკოფილის ვინაობას სრული უტყველობით. ესაა ბარდა სკლიაოსის შემსუვრელი თორნიკე, რომელსაც ვიცნობთ იოვანეს და ექვთიმეს „ცხოვრებით“. მინაწერი ძვირფასია იმიტომ, რომ თორნიკეს აქ ჩამოთვლილი ჰყავს მშობლების (ჩორდევანელისა და მარიაშის) გარდა ძმები: იოანე ვარაზშაჩე, ბაგრატო, არშუშა და აბუჰარბი, მამის ძმანი აბუჰარბი და არშუშა, იოანე ვარაზშაჩეს შეილინი: მიქაელ, ჩორდევანელ ზორაგარი, ჩორალოდი და თორნიკე და ცალკე სხვა მწიგნობრობის: ჩორდევანელი პატრიკი და ბაგრატ პატრიკი; დასაზღვებულია აგრეთვე ბაგრატ მაგისტროსი, თითქოს როგორც უკვე მიცვლილი მწიგნული.

<sup>3</sup> А. Чагарели. Цит. соч., стр. 72.

6. „...წმიდასა ოქროპირსა თანა დაუსაყდრენ იოვანე თორნიკს და იოვანე ვარაზფაჩეს და შვილთა მათთა ორთავე ცხორებათა მეობ ეყავ, წმიდაო ოქროპირო“,—ასე ვკითხულობთ იმავე ოშკის სავანეში დაწერილ „იოანე ოქროპირისა ცხორებად და ნაწილთა უკმოყვანებად“-ში (141 r<sub>1</sub>/v<sub>1</sub>)<sup>1</sup>;

7. „...მე იოვანე თორნიკყოფილმან ძემან სულკურთხეულისა უფლისა ჩორდვანელისამან... დაეწერე... წიგნი... განძი... აწ გვედრები... მოხსენებით პირველად მოძღუარი ჩემი იოვანე აბულ ჰერით და ძმად ჩემი იოვანე ვარაზფაჩე და შვილნი ჩუენნი სულიერნი და ხორციელნი მიქაელ და ჩორდვანელი ექუსოგიტი და ბაგრატ პატრიკი და ჩორდვანელი და მცირად თორნიკ და სულნი მშობელთა ჩემთანი და ძმათა და ყოველთა თვისთა ჩემთაჲ; ასეთი მინაწერი აქვს „ქვეყანასა კარნისასა“ გადაწერილ „განძს“<sup>2</sup>;

8. „აუ ვინცა მიემთხვეუნეთ წმიდათა ამთ კაცთა ცხორებას გვედია (sic. თ. გ.) სული ვარაზფაჩესი“—ამგვარად წერია ტექსტის ხელით „სიმონ სალონის ტხორების“ ბოლოს X ს. დეფექტურ ძეგლში, რომელიც, თ. ყორდანიას სიტყვით, ათონშია ნაწერი<sup>3</sup>;

9. ამავე ძეგლში 227 გვერდზე იგივე ვარაზფაჩე იხსენიება შემდეგნაირად: „ქე შე ს'ლი ვარაზფაჩესი“ (ქრისტე, შეიწყალე სული ვარაზფაჩესი)<sup>4</sup>;

10. მინაწერთა გარდა იოანე ვარაზფაჩეს სახელი გვხვდება ერთს ეპიგრაფიკულ ძეგლშიც. ესაა ქვა-ჯვარი ანისის ღვთისმშობლის ეკტერში. წარწერათუმცა უთარილოა და ძალიანაც მოკლე, მაგრამ ტექსტი (სომხური) იმდენად მკაფიოა, რომ გაუჭირებელივ შეიძლება იმავე ხანებს მივაკუთვნოთ, რა დროისაც არის მინაწერები. აქ ვკითხულობთ შემდეგს, თუ ქართულად ვთარგმნით: „სახელთა ღვთისათა მე იოანე ვარაზფაჩემ ჩორტვანიკის ძემან აღვმართე ეს ჯვარი“<sup>5</sup>. ამჟამაა, რომ ეს იოანე ვარაზფაჩე იგივე ჩორდვანე-

<sup>1</sup> R. Blake № 3, p. 21—72; A. Чагарели, и. с., стр. 83, № 52. ძეგლი უთარილოა, ოღონდ გადაწერილია „წინამძღურობასა საბაჲსსა“, რომლის დროს გადაწერილია ხემოხსენებული 977 წლ. „სამოთხე“-ც. აღბათ ამის მიხედვით აკად. გ. კეკელიძე ფიქრობს კიდევ, რომ ოქროპირის „ცხორება“ დაწერილი უნდა იყოს 977—980 წლებში (ქართ. ლიტერ. ისტორია, ტ. I<sup>3</sup>, 1941, გვ. 483).

<sup>2</sup> P. Peeters, Un colophon géorgien de Thornik le moine. Anal. Boll. t. L. (1932), p. 360. ამ შრომაზე მითითებისათვის ვმადლობ პროფ. ს. ყაუხჩიშვილს. ძეგლი დაიწერა „დასაბამითგანსა წელთა ხუ“, ე. ი. 6500—5508=992 წელს, ხოლო „ქორთნიკუნსა სა“ ანუ 201+780=981 წ., ე. ი. „სამოთხის“ დაწერის ანლო ხანებში.

<sup>3</sup> Ф. Кюрдания, Описание рукописей Тифл. Церковного музея, кн. 1, Тиф., 1903, стр. 395.

<sup>4</sup> ამ მინაწერზე ჩვენი ყურადღება მიაქცია პ. ლმა თამარ ხაჭოშიამ, რასაც მდლობით აღვნიშნავთ.

<sup>5</sup> დიდ მადლობას ეწირავთ პროფ. ილ. აბულაძეს ამ რეალიისა და ქვემოთე ცნობათა მოწოდებისათვის. ანისის ღვთისმშობლის (მერე განაძლებისას წმ. გრიგოლის) მცირე ეკლესიაში დატული ქვა-ჯვარს ტექსტი გამოქვეყნებულია Ch. Texier, Description de l'Arménie, la Perse et la Mésopotamie. I, Paris, 1842, pl. 21. გადაიტანა აქედან ალი შანმა შქარს-ში, გვ. 80. შდრ. ბასმაჯიანი, Les inscriptions arméniennes d'Ani de Bagnair et de Marmachen, Paris, 1931, p. 118.

ლის ძეა, რომელსაც ჩვენ შევხვდით ამავე კაცის შვილად მეორე და მეშვიდე მინაწერებში<sup>1</sup>.

ვფიქრობთ, დიდი მიხვედრილობა არაა საქირო იმის დასასკვნელად, რომ მერვე და მეცხრე მინაწერის გარდა ყველგან ლაპარაკია ერთსა და იმავე პირზე: იოანე ვარაზეანე იხსენიება იოანე თორნიკყოფილთან ერთად როგორც მისი ძმა (2, 5, 6, 7 მინაწერები), ან კიდევ მიქაელთან ერთად, რომელიც მისი შვილია (1, 2, 4, 7 მინაწერები), ან კიდევ როგორც ჩორდვანელის-ძე (2, 7, 10); მერვე პირველი ექვსი მინაწერი დაკულია იმ ხელნაწერებში, რომელნიც შესრულებულია ერთსა და იმავე ადგილას — „დიდებულსა ლავრასა ოშკს, resp. უშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემელისა“; შესრულებულია თითქმის ერთს დროს, maximum 15 წლის, min. 4 წლის მანძილზე: 977, 978, 981 თუ 992 წელს. მართალია, არის ერთი უთარილო მანუსკრიპტი (ბლევით № 9, ცაგარლით № 52), მაგრამ მისი დათარიღებაც სიძნელეს არ ჰქმნის: იგი გადაწერილია იმავე ოშკში და იმავე საბას წინამძღვრობაში, სადაც და როდესაც დაიწერა 977 წლით დათარიღებული „სამოთხე“-ც. ასე რომ აკად. კ. კეკელიძის ვარაუდი, 977—980 წლებშია გადაწერილიო, ადვილად გასაზიარებელია.

ამავე დროს ადვილადვე ირკვევა იოანე ვარაზეანეს ვინაობაც, რადგან იგი იოანე თორნიკყოფილის ხორციელი ძმაა, იმასაკით „სულკურთხეულის ჩორდ-

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ პროფ. ე. კე. თ. თაყაიშვილის ვარაუდით, ჩორდვანელს ჰქონდა მეორე სახელიც — სულა. ეს ვარაუდი ემყარება ზარზმის სამრეკლოზე მოწიწებული ვეცეტრის წარწერას, სადაც იხსენიება ივანე სულას-ძე, ზარდა სკლიაროსის საწინააღმდეგო ლაშქრობის მონაწილე, თავაშვილის ახრით. იგივე თორნიკყოფილი იოანე ჩორდვანელის-ძე, ათონის მთავაგე და იმავე ლაშქრობაში ძღვეით შემოსილი; ხოლო ჩორდვანელი ნაწარმოებია ზარზმაზე 7 ვერსით დაშორებული სოფელი ჩორჩანის სახელითგან, იდენტურია ჩორჩანელისა და აღნიშნავს არა სახელს ან გვარს, არამედ იმ პირთ, ვინც ფლობდა ჩორჩანს და მის სიმაგრეს ოქროსციხეს (ახლა ალთუნ-კალას) (Зарзский монастырь, его реставрация и древня, СМОМПК, вып. 35, стр. 35). პროფ. უ. თავაშვილის ამგვარ ვარაუდს მხარს აძლევს სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“: „ყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქვეყანასა ამას..., რომელსა სახელი ეწოდა ვიორგი, მეორედ ჩორჩანელი, რომლისა ტაძარი შენ-იყენეს ხანაზებმა ჩორჩანისა და ხანავისას.“ (კ. კეკელიძე, აღრიწდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1935, გვ. 154, სტრიქ. 5, 11—13).

მასვე უკანა შვილი კი ამავე ჩორდვანელს ამოტის სახელით იხსენიებს, როგორც იმპერატორ რომანოს ლაკაპენის (919—944) თანამებრძოლეს (საქართველოს ისტორია, თბ., 1906, გვ. 354; შდრ. მისივე, ქართული მიწერობა, წ. II, გვ. LIII). მართლაც, ლაკაპენის სიძე კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (912—959) თავის „De admin. imperii“-ის 45-ე თავში ასახელებს პროტოსპათარ ზურბანელს ანაქს (მაც თონ ზურბანელი ერთოთხარისა თონ მჯჯჳთ), რომლის ხელით იბერიის კურაპალატმა იმპერატორს გაუგზავნა ოქრომჭკდილი ფასიანსა და აბნიკის ციხეზე თავის პრეტენზიასა დასასახებთებლად (ბონის გამოცემით, 1840, გვ. 202, 13). საეკლესიოშია, რომ ხელნაწერის არეზე იმავე ხელით მიწერილი ყოფილს: „თვით ეს ზურბანელი არის მამა თორნიკის, აბასი, რომელიც ახლა სვინგელოზია“ (ამთის მჯ ზურბანელი ბ ნატიჳ თონ ორქინჳ თჳს ᾿Αβξ, თონ ᾰρξ᾿ანდ სუყჩქლსა, ბონის გამოც., გვ. 373). ასე რომ ამ მინაწერის წყალობით უდავოა: ეს ზურბანელი ჩვენი ჩორდვანელია, თორნიკე სვინგელოზის, ათონის მთავაგის, შშობელი მამა. ხოლო პორფიროგენეტის ტექსტში ნახმარი მჯჯჳთ (ზურბანელ II ჩორდვანელის მიმართ), К. Г а ი-ის მიერ Алар-ად თარგმნილი (Известия... о Кавказе, т. II, Тпа., 1890, стр. 27), გვირკევეს მ. უკანაშვილის ამოტსაც, როგორც უსაფუძვლოდ მიღებულს საკუთარ სახელად. მინაწერზე მითითებისათვის ვმადლობთ პროფ. ს. ყაუხჩიშვილს 16, ანალები, I.

ვანელის ძეა. ეს იოანე თორნიკოფილი, იგივე იოანე სენგელოზი კი ცნობილი ისტორიული პირია. იგი ბიზანტიის მცირეწლოვან იმპერატორთა—ვასილ და კონსტანტინეს—დროს, როცა ისინი ისევ („წუთლა“) „ყრმა იყვნენ და ყოველი განსაგებელი ეპარა“ დედოფალს თეოფანოს და ვასილ პარაკიმენონს, დავით კურაპალატის თანხმობით შეპყრებს ლაშქარს და შემუსრავს ბარდა სკლიაროსს. ამას მოგვითხრობს „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“-ც, „სამოთხის“ ვრცელი მინაწერიც, 375 ფურცელზე დაცული, და ზარზმის ეპიგრაფიკული ძეგლიც<sup>1</sup>.

ამრიგად სავსებით გარკვეულია იოანე ვარაზეაჩეს ვინაობა, რადგან იგი იოანე-თორნიკეს ძეა; გარკვეულია მისი დროინდელიც: მას ეხედავთ 977—992 წლებში მხოლოდ და ისიც უკვე შეიღების მამად, თანაც მისი შვილი მიქელ 978 წ. იმდენად მოსწრებულია, რომ შეუძლია „წიგნის შრომისას“ „სიტკობება უჩვენოს“ გადამწერს, ე. ი. დახმარება გაუწიოს. ამის ძალით იოანე-ვარაზეაჩე გვევლინება X საუკ. უკანასკნელი მეოთხედის მოღვაწედ, უკიდურეს შემთხვევაში XI ს. დამდეგში მცხოვრებ პირად შეიძლება მივიჩნიოთ.

სამაგიეროდ მერვე და მეცხრე მინაწერში მოხსენებულ ვარაზეაჩეს ვინაობის გარკვევა არა ხერხდება. ის იოანე-ვარაზეაჩესგან განსხვავებით მარტო ვარაზეაჩედ იხსენიება. თუ, თ. ჟორდანიასამებრ, ძეგლი, რომელშიაც დაცულია ეს მინაწერები, მართლა ათონის მთაზეა დაწერილი და თარიღიც—X საუკუნე—უმცდარია, შეიძლება ეს ვარაზეაჩე მივიჩნიოთ იმავე ჩვენთვის ცნობილ იოანე-ვარაზეაჩედ, ოღონდ ის ჯერ არაა ბერად აღკვეცილი და ამიტომ არც იხსენიება ორმაგი სახელით. მაგრამ არც ისაა გამოირიცხული, რომ ეს სულ სხვა პირი იყოს და არა იოანე-თორნიკეს ძეა.

მაგრამ ისევ იოანე-ვარაზეაჩეს მიეუბრუნდეთ. ეს იმიტომ, რომ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მის ირველივ არაა გარკვეულობა, პირიქით, დამკვიდრებულია აზრი, თითქოს ეს იოანე-ვარაზეაჩე, სულიერი და ხორციელი ძეა იოანე-თორნიკესი, იყოს იოანე ათონელი, სახელოვან ექვთიმეს მშობელი მამა, ათონის ივერთა მონასტრის დიდი მოამაგე და პირველი წინამძღვარი<sup>2</sup>. რასაკვირველია, ამგვარი აზრი არაა მართებული.

დავეუშვათ კიდევ, რომ იოანე-ვარაზეაჩე იგივე იოანე ათონელია, ექვთიმეს მამა. მაშინ როგორ-ღა ავსხნათ შეუწყნარებელი სისხლის აღრევა, ამ მოღვა-

<sup>1</sup> Е. Такашвили Зарзский монастырь, его реставрация и фрески, СМОИП, вып. 35, стр. 18—19; ვ. თაყაიშვილი. ზარზმის ველისა და მისი სიძველენი, თბ. უნ-ტის შრომებ, № 1, 1917—1920; Д. П. Гордеев. Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 г... Известия Кавк. Историко-Археологич. Ин-та в Тифлисе, т. I, Петроград, 1923; Д. Гордеев. Из эпиграфических материалов Зарзми; к обследованию надписи Ивана, сына Суля, цენტрарქივის გამოცემა „საისტორიო შრომებ“, 1925 წ. 1, გვ. 107—112.

<sup>2</sup> თ. ჟორდანი. ქრონიკები, I, გვ. 109—110 და გენეალოგიური ტაბულა; აკად. კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძეგლს ჭართულ მწერლობაში, „ჩვენი მეცნიერება“, 1923 წ. № 2—3, გვ. 107, შენ. 4; მისივე, აღრიღდელი ფეოდალური ჭართული ლიტერატურა, თბ., 1935 წ., გვ. 136—137; მისივე, ჭართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I<sup>2</sup>, თბ., 1941, გვ. 90—91, 164.

წის მიერ ჩადენილი? მას ხომ „ცხოვრების“ მიხედვით ცოლად ჰყავდა აბუჰარ-ბის ქალი, ხოლო ეს აბუჰარბი იყო, მინაწერთა თანახმად, ალალი ბიძა თორნიკესი და ვარაზეაჩესი. მაშ, იოანე-ვარაზეაჩეს, იმავე იოანე ათონელს, ცოლად ჰყოლია ღვიძლი ბიძაშვილი? წარმოუდგენელია და დაუშვებელი.

ამიტომ პირველ რიგში გვმართებს ანგარიში გაუწიოთ „იოანე-ეფთვიმეს ცხოვრება“-ში დაცულ სათანადო ინდიციებს. იქ კი იოანე-თორნიკე იხსენიება მხოლოდ როგორც „თვისი“ იოანესი და ექვთიმესი, „თვისი“ კი საბა ლექსიკო-გრაფის თემსაც კი<sup>1</sup>, არა თუ ჩვენთვის საინტერესო ხანებში, ესმოდათ როგორც „ღედის ნათესავი“, ერთობ ნათესავი ქალის მხრით, ქალის ხაზით. ვინაიდან „ღედა“, მშობლის გარდა, საერთოდ ნიშნავდა ქალსაც, ღედაკაცსაც<sup>2</sup>. ასე ესმოდა „თვისი“, მაგალითად, გიორგი ხუცეს-მონაზონს, რომელიც გიორგი მთაწმიდელის დისწულებსა და ამათ შვილებს „თვისებდა“ იხსენიებ<sup>3</sup>. „იოანე-ეფთვიმეს ცხოვრება“-შიც ერთ ადგილას, სადაც ავტორი ლაპარაკობს იოანეს მოსვლაზე მთაწმიდას, ათანასეს ლაფრაში, ამბობს: „მთ თემთა შინა თვისი მიხი დიდი თორნიკ თვისსა ქუეყანასა მონაზონ იქმნა“-ო<sup>4</sup>. „მოვიდა თვისი ჩემი თორნიკ და მისითა ვზთა დიდთა შულთა შთავეარდი“-ო. მოახსენებს იოანე ათონელი მეფეთ, როცა განუმარტავს, თუ რატომ დააპირა შვილ ექვთიმეთურთ „ლტოლვა სპანიად“<sup>5</sup>. აღსასრულის თემს იგივე იოანე ათონელი მონასტრის ძმათ ემშვიდობება და ანდერძად სხვათა შორის ამასაც ეტყვის: „მახსენებდით..., რათა... ლმერთმან შემინდევს ყოველნი ცოდვანი ჩემნი და ეგრეთვე სულიერსა ძმასა ჩემსა იოანე სვინგელოზსა, რამეთუ ფრიადითა სარწმუნოებითა მოვიდა ჩვენდა წმიდასა მთასა“-ო<sup>6</sup>. მეტად საეჭულისხმოა, რომ იოანე ათონელი იოანე სვინგელოზს, ე. ი. თორნიკეს, იხსენიებს მხოლოდ სულიერ ძმად. არა ნაკლებ კი ისაა მნიშვნელოვანი, რომ თორნიკეს ასე იხსენიებს იოანე არა მარტო სიტყვიერად, არამედ წერილობითაც: „ესე ყოველი წარმოთქვა და აღწერით დაუტევო“, გვამცნობს მისი ბიოგრაფოსი გიორგი მთაწმიდელი; ამას კი, ცნობილია, „თავით თვისით არა რაჲ აღუწერია, არამედ რაჲ იგი ისწავა კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა იგი ეხილნეს და ემსახურა მათდა“<sup>7</sup>. ცხადია, თუ კი რაიმე სისხლიერი ნათესაობა, ამ შემთხვევაში ხორციელი ძმობა, არსებობდა იოანესა და თორნიკეს შორის, ამას გიორგი მთაწმიდელი წერილობით ძველებში სადმე ამოიკითხავდა ან სიტყვიერად ვინმე მომსწრე ძმათაგანი უთუოდ ეტყოდა „ცხოვრებისათვის“ მასალის შეგროვება-შესწავლისას და ესეც ბიოგრაფიაში სადმე უშვებელად აღნიშნავდა. ამას კი ჩვენ ვერ ვხედავთ სრულიად. პირიქით, თორნიკე აქ, „ცხოვრებაში“, იხსენიება მხო-

<sup>1</sup> ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძის და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928 გვ. 143.

<sup>2</sup> ღედის მნიშვნელობისთვის იქვე, გვ. 96; განსაკუთრებით კი აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 224—226.

<sup>3</sup> ათონის კრებული, თბ., 1901, გვ. 326.

<sup>4</sup> *ibid.*, გვ. 8.

<sup>5</sup> *ibid.*, გვ. 25.

<sup>6</sup> *ibid.*, გვ. 24.

<sup>7</sup> *ibid.*, გვ. 3.





ლოდ როგორც „თვისი“, როგორც „სულიერი ძმა“ მარტო. ეს ოდნავადაც უგულვებელსაყოფი გარემოება არაა.

მერე: ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ თვით იოანე სვინგელოზი, იგივე თორნიკე, იოანე ათონელს ასევე მარტო მოძღვარს უწოდებს. „ესე... წიგნი მე იოვანე სვინგელმან დაეწერე ბრძანებითა წმიდისა მამისა და მოძულურისა ჩემისა იოვანესითა და ეფთიმესითა“, ვკითხულობთ 983 წ. გადაწერილ „ქლემაქსის“ მინაწერში 324 ვ., ზე<sup>1</sup>. მინაწერის ფრაზა „წმიდა მამა და მოძულური ჩემი იოვანე და ეფთიმე“ სრული უუკველობით გვიჩვენებს, რომ იოანე სვინგელოზს ანუ თორნიკეს აქ ლაპარაკი აქვს სწორედ იოანე ათონელზე და არა სხვა ვისმეზე, ვინაიდან მას იხსენიებს წმიდა მამად ანუ მონასტრის წინამძღვრად და ისიც ექვეთმისთან ერთად. „იოვანე-ეფთიმეს ცხოვრებაც“ ნათლად გვიჩვენებს, რომ იოანე მართლაც იყო თორნიკეს მოძულური. აი საამისო რეალიტიც. „ყოველივე მამისა თვისისა სულიერისა იოანეს ხელთა მისცა და თავი თვისი სრულიად უარყო და ყოველივე ნებად თვისი მოიკვეთა და სრულებით შეუდგა მორჩილებასა მისსა“<sup>2</sup>. იოანე ათონელი თორნიკეს „სულიერი მამა“ ანუ მოძღვარი, თორნიკე მისი მოწაფეა. ასეთი ურთიერთობა „ცხდრების“ სხვა ადგილებითაც მეღაენდება. თორნიკე მორჩილი იყო იოანეს: „უფთუმცა შესაძლებელ იყო, თვინიერ მისისა (ე. ი. იოანეს) ბრძანებისა არცამცა წყლისა გემოდ იხილა და არცამცა სიტყუად ერთი აღმოთქუა...“<sup>3</sup>; „უნდოთაცა გულის სიტყუათა ტირილით გამოუცხადებნ ნეტარსა იოანეს და კანონსა და შენდობასა ითხოვნ“<sup>4</sup>—ო, —გვაუწყებს გიორგი მთაწმიდელი თორნიკეზე<sup>5</sup>. ცხადია, გულის სიტყუათ გამოუცხადებდა და დასჯა-შენდობას თორნიკე ითხოვდა იმიტომ, რომ „ნეტარი იოანე“ მისი მოძღვარი იყო. თორნიკე „მარადის ეტყენ დიდსა იოანეს—მოგვეთხრობს ბიოგრაფოსი—...ნებად ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღვთისა შენდა მომიცემია; ვითარცა გნებავს, აცხოვენ სული ჩემი“<sup>6</sup>—ო<sup>7</sup>. თორნიკეს უყვარდა „სალაშქროთა საქმეთა უბნობად და მამბავი“<sup>8</sup>—ო, გადმოგვცემს ვ. მთაწმიდელი, და როცა იოანემ ამხილა თორნიკე, რომ „ზღვევად რაიმე სულიერი [არ] შეამთხვიოს თვისსაცა სულსა“, უუკველია როგორც მოძღვარმა, ესეც „მეყსეულად დავარდა ფერხთა თანა მისთა და ცრემლით ეტყოდა: რად დაიდუმე აქამომდე და არა მამხილე, წმიდაო და ღმერთ-შემოსილო მამაო!“<sup>9</sup> ერთი სიტყვით, ეს დეტალები გვიჩვენებენ, რომ იოანე ათონელი თორნიკეს მოძღვარი ყოფილა და მინაწერებში მარტოვად მოხსენებული „მოძღვარი“<sup>7</sup> ან „წმიდა მამა და მოძულური ჩემი იოანე“ არის ათონელი მოღვაწე იოანე, ექვეთმის მამა.

აქვე თუ გავიხსენებთ სოლომონის იგავთა ბოლოში მინაწერსაც: „ქრისტე აღიღე მამად იოანე-თორნიკე მოძულრით, ძმით, შვილითურთ“<sup>8</sup>, იმასაც და-

<sup>1</sup> Blake. № 5, p. 25—26; A. Παγαρει. Σведения... вып. 1, стр. 88—89.

<sup>2</sup> ათონის კრებული, გვ. 4.

<sup>3</sup> Ibid.

<sup>4</sup> Ibid. გვ. 14—15.

<sup>5</sup> Ibid. გვ. 15.

<sup>6</sup> Ibid. გვ. 15—16.

<sup>7</sup> A. Παγαρει. Σведения..., вып. 1, стр. 72.

<sup>8</sup> A. Παγαρει. Σведения..., вып. 1, стр. 72. ძველი გადაწერილია 978 წ.

ვინახავთ, რომ თორნიკეს განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა ჰქონია თავისი მოძღვრისა, ვინაიდან მას იხსენიებს ძმასა და შვილზე უწინარესად: ამგვარი გრძობა მოძღვრისადმი სავსებით ეთანხმება „იოვანე-ეფთვიმეს ცხოვრება“-ს ზემორე ინდიციას: „ნებაა ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღვთისა შენდა მომიცია“-ო, ეუბნება თორნიკე იოანე ათონელს.

ამრიგად ვხედავთ: თორნიკეს მოძღვარია იოანე ათონელი, ვინაიდან იგი ამავე დროს „წმიდა მამა“-ცაა, და იგი განსაკუთრებული გრძობით სარგებლობს თორნიკეს მხრით: მას ძმასა და შვილზე უწინარესად იხსენიებს მინაწერში და მასვე მისცემს თუ მიანდობს შემდგომად ღვთისა თავის ნებასა და თავს „ცხოვრება“-თაც.

სწორედ ამასვე გამოსთქვამს თორნიკე 981 წ. „განძის“ მინაწერშიც. აქ ვკითხულობთ: „მოიხსენენით... პირველად მოძღვარი ჩემი იოვანე აბულ ჰერიოთ და ძმად ჩემი იოვანე ვარაზეანე და შვილი ჩუენი“-ო<sup>1</sup>. აქაც ჯერ მოძღვარი ჰყავს დასახელებული, მერე ძმა და შემდეგ შვილები. მაგრამ სხვა მინაწერებისგან განსხვავებით აქ თორნიკეს მოძღვარს ვხედავთ უკვე ერისკაცობითაც სახელდებულს. იგი არის იოანე აბულჰერიოთ. ამრიგად, თუ აქამდე თორნიკეს მოძღვარს ჩვენ ვიცნობდით ერთი სახელით მხოლოდ („იოვანე“), ამიერიდან ვეცნობით მის მეორე სახელსაც, ერისკაცობისას („იოვანე აბულჰერიოთ“). მეორე მხრით რაკი ზემორე რეალიათა ძალით ჩვენთვის ცხადი შეიქნა, რომ თორნიკეს მოძღვარი ყველა ნიშნით არის იოანე ათონელი, ვხლა შეგვიძლია იმაც დავასკვნათ, რომ იოანე ათონელის ერისკაცობის სახელი იყო აბულჰერიოთ.

ამგვარი ჩვენი დასკვნები სავსებით დასტურდება დოკუმენტურადაც. A134 ხელნაწერის (მამათა ცხოვრებანი და მოქალაქობანი) 424 გვერდზე მინაწერი გვაუწყებს: „იესო ქრისტე, შეამკვე მადლითა და ნიჭითა შემნიერითა წმიდა ძამა ეფთვიმე, ძე წმიდისა მამისა იოვანე აბულჰერისი, დამკვიდრებად სამოთხისაჲ, რომელმან თარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი, განმანათლებელი სულთაჲ და სხუანი ურიცხენი ბერძულისაგან ქართულად ჰლოცვათ“<sup>2</sup>. ამ მინაწერით სავსებით მტკიცდება, რომ აბულჰერიოთ თუ აბულ ჰერი ერქვა სწორედ იოანე ათონელს, ექვთიმეს მამას და არა სხვას ვინმეს.

გარდა ამისა ჩვენ მოგვეპოვება მეორე ინდიცია, მასზე უფრო ნათელი, ზუსტი და უიკველი. იგი დაკუთვლია A 222 ხელნაწერის (სეიანქსარის) 359—360 გვერდებზე და შემდეგს შეიცავს: „თვესა იენისსა იდ. ამასვე დღესა მიცვალემა<sup>3</sup> ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანესი, ეფთვიმეს მამისა, კუშმარტისა მის მონაზონისა და ქრისტეს ნებისყოფელისაჲ, რომელსა პირველად აბულჰერიოთ ერქუა ერისმთავრობახა“<sup>4</sup>. იყო კი იოანე ერისმთავარი? „ცხოვრება“ ამასაც გვიდას-

<sup>1</sup> P. Peeters. Un colophon géorgien de Thornik le moine. Anall. Boll., t. I, p. 360.

<sup>2</sup> ეს მინაწერი ორგზის გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ (ქრონიკები, I, გვ. 210; Описание рукописей Церк. музея, кн. I, № 134, стр. 141). საოცარია: აქ იოანე ათონელის ერისკაცობის სახელი (აბულჰერიოთ-ს ფორმით) გარკვეულადაა აღნიშნული, ვორდანია მას მაინც იოანე ვარაზეანედ სთვლის. ციტატა ამოღებულია უშუალოდ მანუსკრიპტიდან.

<sup>3</sup> „ცხოვრებითაც“ იოანე ათონელმა „დაიძინა თთუესა იენისსა იდ“-ს (გვ. 24).

<sup>4</sup> მ. ჯანაშვილი აბულჰერიოთის ცნობაზე რამდენჯერმე მიუთითებს (ქართველთა მატრიანე, თურ. „მოამბე“, 1903, № III, გვ. 15; Жизнь Грѹзии, СМОНІК, вып. 35, стр. 158)

ტურებს: „იოანე იყო... დიდებული და წარჩინებული და საჩინოდ მთავართა შორის დავით კურაპალატისათა“<sup>1</sup>.

ამრიგად უცილობლად მტკიცდება, რომ ექვთიმეს მამას, ცნობილს იოანე ათონელს ერისკაცობაში ერქვა აბულჭერით და არა ვარაზვანე, როგორც ეს მიღებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

რაც შეეხება იოანე-ვარაზვანეს, რომელიც არა ერთხელ იხსენიება მინაწერებში, ის არის მხოლოდ სულიერი და ხორციელი ძმა თორნიკესი, მასავით ძე ჩორდვანელისა და მარიამისა, და მისი გაიგივება იოანე ათონელთან ზემოთქმულის შემდეგ ყოველად შეუწყნარებლად უნდა მივიჩნიოთ<sup>2</sup>.

ამგვარად: 1) უცილობელია, რომ იოანე ათონელი იყო თორნიკეს მოძღვარი; 2) არც ის იწვევს ეჭვს, რომ იოანე ათონელს ერისკაცობაში აბულჭერით ერქვა; 3) ისიც ცხადია, რომ იოანე აბულჭერით, resp. იოანე ათონელი, ექვთიმეს მამა, ერთი პირია, ხოლო იოანე ვარაზვანე სხვა პირია; 4) ვიცით სრული უეჭველობით ისიც, რომ იოანე ვარაზვანე სულიერი და ხორციელი ძმა იოანე თორნიკესი, თორნიკესაგვით ესეც ჩორდვანელის ძეა.

მაგრამ რა ნათესაური ურთიერთობა არსებობდა იოანე თორნიკესსა და იოანე ათონელს შორის? ყოველად სანდო „იოანე-ექვთიმეს ცხობება“, პუნქტუალური და კეთილსინდისიერი გიორგი მთაწმიდელის კალამს რომ ეყუთენის, გარკვეულად და მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ თორნიკე იოანე-ექვთიმესთვის იყო „თვისი“ ანუ, ჩვენი გაგებითა, ნათესავი ქალის მხრით, ქალის ხაზით, მოკლედ, არასისხლიერი ნათესავი. თვით თორნიკეს სახელით შესრულებული მინაწერებიც არსად ღრ აღნიშნავენ მის სისხლიერ ნათესაობას იოანე ათონელთან, თუმცა მას საერთოდ ეხალისება გენერაციის მეტნაკლები სიზუსტით მოხსენიება (გავიხსენოთ „სამოთხისა“ და „განძის“ მინაწერები).

მაგრამ, ჩანს, ვერ გარკვეულა, რადგან ექვთიმეს მამად მიაჩნია იოანე აბულჭერიც და იოანე ვარაზვანეც (საჭრთველოს ისტორია, თბ., 1906, გვ. 354). ეს ერთი და მეორე: ვერ ამჩნევს სისხლის აღრევასაც; რადგან, მისით, ექვთიმეს მამას ცოლად ჰყავდა აბუქარბ I-ის შვილი (ibid.), ე. ი. დიძლი ბიძაშვილი: იოანე-ვარაზვანე ზომ ალალი ძმისწული იყო აბუქარბ I-ისა! P. Peters-ი კი აბუქარბსა და იოანე ვარაზვანეს ერთ პირად, ვარაუდობს რატომღაც (An. Boll., t. L. p. 364: „Son beau-père—ამბობს ის იოანე ათონელზე—qui était aussi, semble-t-il, celui de Jean Varasvade—s'appelait აბუქარბ“).

<sup>1</sup> ეგებნის ეს მართლაც ანაქრონიზმს წარმოადგენდეს და იოანე „საჩინოა იყო მთავართა შორის“ არა დავით კურაპალატის დროს, არამედ ადრე, როგორც ფიქრობს აკად. გ. კეკელიძე (ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში, „ჩვენი მეცნიერება“, 1923 წ., № 2—3, გვ. 106—107, შენ. 4). მაინც იოანეს „მთავართა შორის საჩინოობის“ ფაქტი, გიორგი მთაწმიდელის მიერ აღნიშნული, ამით, რა თქმა უნდა, არ ირღვევა.

<sup>2</sup> იოანე-ვარაზვანე შეიძლება იყოს ის იოანე მონაზონი, რომელიც ათონის მე-16 ალაპში (გვ. 220) იხსენიება ქარაგმით („იე მონაზონი“) აბუქარბსა და თორნიკესთან ერთად; საგულისხმოა, რომ სამივესთვის „წესი ლოცვისაა“ და „ქამის წირვაა“ დადგენილი იყო „ეთა სკინეგლოზისა სწერია“—ო, ე. ი. თვით იოანე-თორნიკესათვის იყო განკუთვნილი. ამიტომ საფიქრებელია, იოანე მონაზონისა, აბუქარბისა და თორნიკეს ერთ ალაპში მოქცევა, სავანის წინაშე მათი დამსახურების გარდა, მიგვითითებდეს მაშინველთან ზორციელ მახლობლობაზედაც: 977 წ. გადაწერილ „სამოთხეში“ ზომ მოხსენიებულია აბუქარბიც (ერთი როგორც თორნიკესი ძმა, მეორე აბუქარბი—როგორც ბიძა) და თორნიკეც (როგორც ვარაზვანეს შვილი), რომელიც ამგვარივე გენერაციით გვგვდება „განშედაც“ („მცირაა თორნიკე“). ნათესავთა ერთად მოქცევა ერთს ალაპში კი იშვიათი არაა.

მაგრამ ამავე დროს მოაპოვება ერთი მინაწერი („ბასილი დიდის სიტყვა-ნი“-სა), შესრულებული 977 წ. იოანე ათონელის სახელით, სადაც ვკითხულობთ: „...ლოცვასა მოგვიხსენენით მე იოვანე და სულიერად და ხორციელად ძმაჲ ჩემი იოანე თორნიკოფილი და შვილი ჩემი ეფთიმე, რომელმან თარგმნა ესე...“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ეს მინაწერი არღვევს ჩვენს კონცეფციას იოანე ათონელისა და თორნიკეს „თვისობისას“ და გარკვეულად გვეუბნება, რომ იოანე თორნიკოფილი ყოფილა ექვთიმეს მამის იოანეს „სულიერად და ხორციელად ძმაჲ“.

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ იოანესა და თორნიკესთვისობის აზრი არაა უკუსადგები. მართლაც, თუ იოანე ნამდვილად ხორციელი ძმა იყო თორნიკესი, რატომ თორნიკე სისხლიერ ნათესავთა (ძმების, ბიძების, ძმისწულების, შშობლების) ჩამოთვლისას არსად არ იხსენიებს იოანე ათონელსაც? თუ აქამდე შეიძლება ეს პირი გვეგულისხმე ანტერძებში ერისკაცობის სახელით მოხსენებულად და ასეთად მიგვეჩნია იოანე ვარაზეაჩე, ახლა, როცა იოანე ათონელის ერისკაცობის სახელი უკვე გარკვეულია (აბულჰერით), რატომ ეს აბულჰერით არ გვხვდება „სამოთხის“ ანტერძში, ხოლო „განძის“ მინაწერში იგი აღნიშნულია მხოლოდ როგორც მოძღვარი („პირველად მოძღვარი ჩემი აბულჰერით და ძმა ჩემი იოვანე ვარაზეაჩე“)? მერე ისიც ძმა იოვანე ვარაზეაჩესთან ერთად, რომელიც აქამდე იოანე ათონელთან იყო გაიგივებული?!

შემდეგ: ბასილი დიდის წიგნი გადაწერილია 977 წ. ათონზე, ე. ი. იქ, სადაც მერე მოღვაწეობდა გიორგი მთაწმიდელი. ხოლო ცნობილია, რომ გიორგი „ცხოვრებას“ წერდა „წმიდისა მამისა ეფთუმეს ხელთა ნუსხითგან“ და საერთოდ „მამათავე ჩვენთა დაწერილისგან“<sup>2</sup>, იცნობდა კიდევ ამ წიგნს, ვინაიდან ექვთიმეს შრომათა ნუსხაში მეორე ადგილას პირდაპირ ასახელებს მას — „სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისნი“<sup>3</sup> — მაშასადამე, წაიკითხავდა კიდევ ამ იოანე ათონელისა და თორნიკეს „ხორციელი“ ძმობის შემცველ მინაწერსაც და მაინც, მიუხედავად ამისა, ხორციელ ნათესაობაზე „ცხოვრებაში“ არასა წერს და მხოლოდ „თვისობას“ აღნიშნავს. ან ნუთუ წარმოსადგენი და დასაშვებია, რომ „კაცთა სარწმუნოთა, რომელნი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუილისა“,<sup>4</sup> ამათი (იოანე ათონელის და თორნიკეს) „თვისობის“ ამბავი აუწყეს გიორგის, ხოლო ხორციელ ძმობაზე კი არა უთხრეს რა?

ეს წარმოუდგენელი და დაუშვებელია კიდევ იმიტომ, რომ ხსენებული ძეგლი დღესაც, XX საუკუნეში, 1930-იან წლებისათვის, როცა ბლექი მათ აღწერდა, ათონის მონასტერშივეა დაცული, სადაც თავიდანვე ითარგმნა და იქმნა გადაწერილი, და უმკველია იქვე იქნებოდა გიორგი მთაწმიდელის მიერ „ცხოვრების“ შეთხზვის გამსაც.

არც ისაა უგულვებელსაყოფი, რომ ეს ექვების აღმძვრელი მინაწერი ეკუთვნის იმავე საბას, რომელიც სხვა მის მიერვე გადაწერილ წიგნში, „კლემაქს-

<sup>1</sup> R. Blake. № 32; A. Шагарели, н. соч., № 49.

<sup>2</sup> ათონის კრებული, გვ. 18.

<sup>3</sup> ibid., გვ. 27.

<sup>4</sup> ibid., გვ. 3.



ში“, იოანეს და თორნიკეს ხორციელ ძმობაზე არას ლაბარაკობს. ის აქ მხოლოდ წერს: „მე იოვანე სენეკელმან (ე. ი. თორნიკოფილმან) ესე წიგნი დავეწერე ბრძანებითა წმიდისა მამისა და მოძღურისა ჩემისა იოვანესითა და ეფთიმესითა“-ო. რატომ არას ამბობს ხორციელ ძმობაზე? იმიტომ რომ ასეთი ძმობა მათ შორის არც ყოფილა ფაქტიურად. ხოლო რომ „კლემავსისეული“ საბა იგივე „ბასილისეული“ საბაა, ამას გვიჩვენებს იმდენად არა ეპითეტების სიმსგავსე („საბა უცბად მწერალი“ და „საბა უცბად მჩბრეკალი“), რამდენადაც ის, რომ ორივე ძეგლი ერთს ადგილას და თითქმის ერთ დროს არის გადაწერილი. მართლაც, ერთი „დაიწერა მთავა წმიდასა ათონას საყოფელსა წმიდისა ღმრის მშობელისასა, მონასტერსა წმიდისა იოანე მახარებელისასა“<sup>1</sup>, მეორე კი „უდაბნოსა მთაწმიდისასა“<sup>2</sup>, ე. ი. იქვე, ვინაიდან მას უდაბნოც ეწოდებოდა: იოანემ და თორნიკემ, — „ცხოვრებაჲ“-ს სიტყვით, — „უდაბნოსა შეენიერსა წმიდისა იოანე მახარებელისა ეკლესია აღაშენეს და სენეკები და მუნ იყოფოდეს მრავალდემ“<sup>3</sup>. მეგრე პირველი დაიწერა 977 წელს, ხოლო მეორე 983 წელს. ეფექტობით, ამ ორი ძეგლის გადაწერა ერთ ადგილას და თითქმის ერთ დროს უეჭველყოფს იმას, რომ მათი გადამწერი საბა ერთი პიროვნებაა. ყოველივე ეს ძალა-სიმტკიცეს ჰმატებს ჩვენს კონცეფციას და ნებას გვაძლევს ფრაზა — „...მოგვიხსენენით მე იოანე და სულიერად და ხორციელად ძმობა ჩემი იოვანე თორნიკოფილი“ — მივიჩნიოთ ფიგურალურ თქმად, ფიზიკური მახლობლობის მნიშვნელობისად მხოლოდ, როგორც ამას ხშირად ვხმარობთ დღესაც: ძმის ვუწოდებთ ფაქტიურად არა ღვიძლ ძმასაც, ოღონდ სიყვარულით, მახლობლობით ძმის სადარსა და ტოლს. თორნიკეს კი, ჩვენ ვიცით, ათონში ჩასვლამდევე „ფრიალი სიყვარული აქვდა იოანეს მიმართ“<sup>4</sup>. გარეშე ამისა მათ შორის არსებობდა ფიზიკური, არასისხლიერი, მახლობლობაც ანუ „თვისობა“, ე. ი. სწორედ ის, რასაც მოწმობს გიორგი მთაწმიდელი „ცხოვრებაში“<sup>5</sup> და რაც, თუ გნებავთ, ერთგვარ ფორმალურ გამართლებასაც წარმოადგენს მათი „ხორციელად“ ძმობისას.

იოანე ათონელსა და თორნიკეს შორის არსებული ნათესაობის ზუსტი დადგენა მოხერხდება, თუ ყურადღებას გავამახვილებთ აბუჰარბიზე, „რომელი იყო სიამბრი მამისა იოანესი“<sup>6</sup> და რომელსაც თორნიკე ასახელებს „სამოთხის“ მინაწერში როგორც თავის „მამის ძმას“ ანუ ბიძას მეორე ბიძასთან არშუშასთან ერთად. „სალოცველად... მამის ძმათა აბუჰარბისთვის და არშუშასთვის“, — ვკითხვლობთ აქ<sup>7</sup>. ასე რომ არა თუ შესაძლო და დასაშვებია, არამედ სარწმუნო და უცილობელი ხდება ზემოდასახელებულ პირთა შორის ნათესაური კავშირის დადგენა: ერთი მხრით აბუჰარბი იოანე ათონელის სიამბრია, ე. ი. იოანეს ცოლად ჰყავს მისი ასული, მეორე მხრით იგივე აბუჰარბი თორნიკეს ბიძაა: იგი-

<sup>1</sup> Blake, № 32; Παγαρελι, № 49.

<sup>2</sup> Blake, № 5; Παγαρελι, № 68.

<sup>3</sup> ათონის კრებული, გვ. 9.

<sup>4</sup> ibid., გვ. 8.

<sup>5</sup> ibid. გვ. 8, 20.

<sup>6</sup> ibid., გვ. 7.

<sup>7</sup> R. Blake. Catalogue des manuscrits géorgiens... Paris, 1932, № 9, p. 50.

ძმია თორნიკეს მამის—ჩორდვანელისა; მაშასადამე, თორნიკე ყოფილა იოანეს ცოლის ბიძაშვილი, ე. ი. იოანესთვის თორნიკე სწორედ „თვისია“, ცოლის მხრით ნათესავია. და აკი იხსენიება კიდევ ასეთად ორჯერ. ასე რომ ორი წყაროს („ცხოვრებისა“ და „სამოთხის“ მინაწერის) ამგვარი ჯგერედინა შეწამებით არავითარი ეჭვი აღარ რჩება იმისი, რომ „ცხოვრების“ აბუჰარბი იგივე აბუჰარბია, თორნიკეს ბიძა, რომელიც „სამოთხის“ მინაწერში იხსენიება.

ვითარება სრულიად არ იცვლება, თუ 977 წ. ამ მინაწერში აბუჰარბი იხსენიება როგორც მიცვალებული. მართალია, „ცხოვრების“ მიხედვით აბუჰარბი ცოცხალია ექვთიმეს ბავშვობის ეპოქა, როცა მისმა შვილებმა ექვთიმე მძევლად მიჰგვარეს იმპერატორს, „მათ ეამთა შინა“, ოდეს „ბერძენთა მეფემან ზემონი ქვეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა“; მაგრამ ეს იყო 961 წელს, როგორც დამაჯერებლად არკვევს აკად. კ. კეკელიძე<sup>1</sup>. ასე რომ 977 წ., იოანე-თორნიკეს ანდერძის დაწერისას, აბუჰარბი სრულიად ბუნებრივად შეიძლება უკვე გარდაცვალებულად ვიგულოთ.

ამრიგად ცხადია და არავითარ ეჭვებს არ იწვევს აბუჰარბის მეშვეობით იოანე ათონელის მიმართ თორნიკეს „თვისობა“ ანუ ნათესაობა ქალის ხაზით.

შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ იოანე-აბულჰერიოსს, resp. იოანე ათონელს, მართლაც ჰყოლოდა ხორციელი ძმა იოანე თორნიკეყოფილის სახელით, მაგრამ საამისო რეალია არ მოიპოვება და არც ადვილდასაშვებია ორი თანამოსახლე პიროვნების ერთ ადგილას და ერთდროულად არსებობა. ამიტომ ამგვარი ვარაუდი არც გვეჩვენება შესაწყნარებლად.

ასეა თუ ისე, ერთი-რამ კი უცილობელია: იოანე-ვარაზეანე არაა იოანე ათონელი, ექვთიმეს მამა, ის იოანე-თორნიკეს ძმაა, იმასავით ჩორდვანელის-ძეა და, როგორც ვნახეთ, ჩანს მხოლოდ 977—992 წლებში.

რაც შეეხება იმ ვარაზეანეს, ბერძნულ წყაროებში რომ იხსენიება, იგი სულ სხვა პიროვნებაა თუნდაც იმიტომ მარტო, რომ ის მოქმედებს გიორგი კედრენის მიხედვით რომანოზ III არგირას (1028—1034) და მიხეილ IV პაფლაგონელის (1034—1041) მეფობის ხანებში, ხოლო ტურინოს კომპილაციის მიხედვით კონსტანტინე IX მონომახის ზეობისას (1042—1055). მაგრამ მის შესახებ სხვა დროს მოვისაუბრებთ.

<sup>1</sup> ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში, ე. ჩენი მეცნიერება, 1923, № 2—3, 83. 104—106.

## ო. სოსელია

### წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან<sup>1</sup>

XV ს. მეორე ნახევარში საქართველოს ფეოდალური მონარქია დაიშალა-აღექსანდრე დიდის ცდა, ქვეყნის ერთიანობის დაცვისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მიმართული, მარცხით დამთავრდა. ქვეყნის დეცენტრალიზაციის მომხრე ძალამ გაიმარჯვა. ლიხთ-ამერეთი ორ სამეფოდ გაიყო (ქართლისა და კახეთისა). ლიხთ-იმერეთი ჩამოშორდა ამერეთს და იქ ერთი სამეფო (იმერეთისა) და ოთხი სამთავრო (სამეგრელო, გურია, აფხაზეთი და სვანეთი) ჩამოყალიბდა<sup>2</sup>. ამ სამეფო-სამთავროებს შიგნით კი მალე მრავალი სათავადო აღმოცენდა. ამ სათავადოთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკიზა „წერეთლოს“.

როგორც წყაროებიდან ჩანს, წერეთლიანთ თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილი იმერეთში არ იყო. აქ ისინი სხვა კუთხიდან იყვნენ მოსული. საფიქრებელია, ეს კუთხე საინგილო იყოს, სადაც, როგორც მ. ჯანაშვილის აღწერილობა გვიჩვენებს, „დღევანდლამდე შერჩენილია სახელები „წერეთლის ტახტი“, „წერეთლის წყალი“<sup>3</sup>. საინგილოში ამ სახელების არსებობა შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ იქ ოდესღაც წერეთლები ცხოვრობდნენ.

საინგილო საქართველოს ფეოდალური მონარქიის საზღვრებში შედიოდა. წინათ იქ ქართული მოსახლეობა იყო. მერე ეს მხარე „ლექთაგან მიგვხმინა და გაუშაპადაინებიათ“<sup>4</sup>.

სწორედ ამ საფუძველზე შეიძლება შეთხზულიყო დღემდე დაცული ისტორიული გადმოცემა წერეთლიანთ დაღისტინიდან მომავლობისა და ლეკებთან ნათესაობის შესახებ, რომლის ფიქსაციას უნდა წარმოადგენდნენ „შემო-

<sup>1</sup> ამოღებულია სადისერტაციო შრომიდან: „არგვეთის სათავადოების ისტორიიდან („საწერეთლო“)“.

<sup>2</sup> ამ სამთავროების ჩამოყალიბება სხვადასხვა დროს ჰდება. ჯერ XVI ს. შუა წლებში სამეგრელოსა და გურიის სამთავრო ყალიბდება, მერე, დაახლოებით XVII ს. პირველ ნახევარში, აფხაზეთის და ბოლოს, ყველაზე გვიან—სვანეთის სამთავრო.

<sup>3</sup> მ. ჯანაშვილი ი. საინგილო, ტფ. 1910, გვ. 31 „წერეთლის ტახტი“—მთის სახელია (იქვე, გვ. 17).

<sup>4</sup> ამ სახელებზე („წერეთლის ტახტი“, „წერეთლის წყალი“) და „შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“-ში (საქართველოს საეკლემწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილების ფონდი S 3729) დაკულ ცნობაზე დაყრდნობით მ. ჯანაშვილი წერეთლების თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილად საინგილოს (ბელაქანს) თვლის. იხ. მისი „საინგილო“, გვ. 31.

ციტატა ანტონ II კათალიკოსს ეკუთვნის, ამოღებული გვაქვს მ. ჯანაშვილის „საინგილო“-დან, გვ. 17.

კლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა<sup>1</sup>—ში და უცნობი ავტორის წერილში დაცული ცნობები<sup>2</sup>.

ამ ბოლო ხანებში წერეთლიანთ სადაურობის საკითხს შეეხო ლ. ასათიანი, იმის გამო, რომ ზემო ქართლში არის წერეთის ქედი და სოფლები, დიდი და პატარა წერეთი, მან წერეთლიანთ თავდაპირველ სამკვიდრებლად ეს კუთხე მიიჩნია<sup>3</sup>.

შეიძლება ლ. ასათიანის მოსაზრება სწორი იყოს, მაგრამ ძნელია გადაკრით იმის თქმა, რომ წერეთლიანთ უძველესი საცხოვრებელი ზემო ქართლი იყო. ჩანს მხოლოდ, რომ წერეთლების თავდაპირველი სამკვიდრებელი იმერეთში არ იყო და იქ ისინი ზემო ქართლიდან ან საინგილოდან არიან მისული.

წყაროები წერეთლიანთ იმერეთში გადასვლას თენურ-ლენგის შემოსევას უკავშირებენ<sup>4</sup> და ეს ჩვენ სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია. საქართველოს ისტორიაში იყო შემთხვევები, როცა აღმოსავლეთში გაბატონებული მტრისაგან განაწამები ქართველები დასავლეთ საქართველოში იხიზნებოდნენ და მერე დროთა ვითარებაში იძულებული ხდებოდნენ საბოლოოდ იქ დარჩენილიყვნენ<sup>5</sup>. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გადმოცემა და მის ნიადაგზე შედგენილი წერილობითი წყარო ამ შემთხვევაში ისტორიულ საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს და თემურ-ლენგის შემოსევებით შევიწროებული წერეთლიანთ გვარი სწორედ XIV ს-ში უნდა იყოს დამკვიდრებული იმერეთში<sup>6</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუხრუმის ხელნაწერების განყოფილების ფონდი S 3729 (დაბეჭდილია 1884 წ. „ივერიის“ დამატებაში—№ 4, № 5—6, № 7—8, 9—10, № 11—12) და H 1516. შემდგომ ნაჩვენები იქნება მხოლოდ ფონდი და ხელნაწერის ან საბუთის ნომერი.

აღნიშნულ წყაროთა აზრს იმეორებს პეტრე დოლგორუკის მიერ 1856 წ. პეტერბურგში გამოცემული „Российская родословная книга“-ს შესახებ ნაწილის ავტორი (იხ. გვ. 476—477), ხოლო ამ უკანასკნელზე დაყრდნობით და მითითებით ასეთსავე აზრს გამოსთქვამს წერეთლიანთ სადაურობისა და მათი იმერეთში დამკვიდრების შესახებ ბროკაუსისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში მოთავსებული სტატიის—„Черети“-ს ავტორი ვინმე P.-H. იხ. ტ. XXXVIII, № 75, СПб, 1903.

<sup>2</sup> ლ. ასათიანის თქმით, „წერეთლების უძველესი სამკვიდრებელი აღმოსავლეთ-საქართველოში უნდა ვეძიოთ. ამ გვარის წინაპარნი, როგორც ირკვევა, თავდაპირველად ზემო ქართლში მისახლებოდნენ. გორის სამხრეთით, თრიალეთის მთის ჩრდილო მხარეიდან მიემართება ქედი, რომელიც ატარებს წერეთის ქედის სახელწოდებას, ხოლო იმავე რაიონში, მდინარე ტანას შემდინარეთა ხეობაში, მდებარეობენ სოფლები დიდი წერეთი და პატარა წერეთი. ვაშთა მიმავლობაში წერეთლებს ბინადრობა უცვლიათ. ნაწილი იმერეთში გადასულა, ნაწილი კიდევ დასახლებულა მდ. ფრონეს ხეობაში, ტბინავლის მახლობელ მიდამოებში“. ლ. ასათიანი, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“. ფედერაციის გამოცემა, თბ., 1940, გვ. 11.

როგორც ჩანს, ლ. ასათიანი წერეთელს წერეთიდან ნაწარმოებ გვარად სთვლის, მაგრამ, როგორც პატ-ლ პოთვ. გ. წერეთელმა ამ საკითხზე მასთან საუბრის დროს გადმოგვცა, ენობრივად წერეთიდან წერეთელი არ შეიძლებოდა ეწარმოებინათ.

<sup>3</sup> S 3729 და „Российская родословная книга“, ნაწ. III, გვ. 476—477.

<sup>4</sup> იხ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, ტფ., 1913, გვ. 362—363.

<sup>5</sup> ასე ფიქრობს ლ. ასათიანიც. იხ. მისი—„ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, გვ. 13.

ფურც. შუაგისი-ს 1892 წ. მეორე ნომერში მოთავსებული სტატიის „დავით მიტროპოლიტის“ ავტორის ცნობით, „სამი ძმანი წერეთლები VIII ს-ის დასაწყისში, საქართველოს მეფის ადარნასის დროს, დაღესტნიდან გადმოვიდნენ“, დაესახლნენ იმერეთში და მათ შთამო-



წერეთლიანთ სამფლობელოს „საწერეთლო“ ეწოდებოდა. „საწერეთლო“, როგორც წერეთლიანთ მფლობელობაში მყოფი მიწა-წყლის აღმნიშვნელი ტერმინი, წყაროებში პირველად გვხვდება XVI ს-ის შუა წლებში. ასე მაგალითად, 1550—1570 წლის ვახუშტ აბაშიძის შეწირულობის წიგნში მოხსენიებულია „საწერეთლო“ და „საწერეთლოთა საყდრის ყმანი“<sup>1</sup>.

ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ „საწერეთლო“, ანუ წერეთლიანთ სათავადო, XVI ს-ის შუა წლებში ან ყოველ შემთხვევაში ამ საუკუნის ბოლო ხანებისათვის მაინც ჩამოყალიბებული იყო.

სწორედ ამავე ხანებში ჩნდება პირველად ისტორიის ასპარეზზე წერეთლიანთ საგვარეულოც. XVI ს-ის მიწურულში, სვიმონ ქართლის მეფის იმერეთში ლაშქრობის დროს, როგორც ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებიდან ჩანს, წერეთლები იმერეთის სხვა გავლენიან საგვარეულოებთან, აბაშიძეებთან და ჩხეიძეებთან ერთად, აქტიურად საქმიანობენ და სვიმონ მეფეს ემხრობიან<sup>2</sup>.

ამ დროიდან მოყოლებული წერეთლიანთ საგვარეულოს როლი იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო იზრდება.

XVI ს-ის წყაროებში და ფარსადან გორგიჯანიძის მიერ აწერილ სვიმონ მეფის იმერეთში ლაშქრობის ეპიზოდში წერეთლიანთ საგვარეულო ზოგადად არის წარმოდგენილი. ამ საგვარეულოს კონკრეტული წარმომადგენელი ჯერ კიდევ არა ჩანს. XVII ს-ის დამდეგის ამბების აღწერასთან დაკავშირებით კი წყაროებში უცბად თავს იჩენს წერეთლიანთ საგვარეულოს პირველი განპირობებული წარმომადგენელი, ქველი წერეთელი.

ქველი დიდი მოურავის გიორგი სააკაძის თანამედროვე იყო და მასთან მტრულ განწყობილებაში იმყოფებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, „ქვალად ეთქვა მუქარა ქველის წერეთელს მოურავისა. მიუხდა მოურავი, მოსწვა მამული მისი; წარმოსულს მოურავს ეწია ქველი წერეთელი და ბრძოდეს ურთიერთსა. არამედ მოურავმან განაწონნა სამნი ისარნი მკერდსა და ივლტოდა ქველი, ხოლო მოურავი მოვიდა გამარჯვებული“<sup>3</sup>.

ქველი წერეთელს კარგად იცნობენ აგრეთვე „დიდი მოურავიანის

მავლობას წარმოადგენენ წერეთლები (იხ. დასახელებული თურნალი, გვ. 1—3). ეს ცნობა ისტორიულ საფუძველს მოკლებულია. არა ჩანს, საიდან აიღო ავტორმა ეს. ამ ცნობას არც ისტორიული გადმოცემა უჭერს მხარს და არც რომელიმე სხვა წყარო. ავტორის დავით მიტროპოლიტის გვარის განდიდება უნდა და ამიტომ ცდილობს მისი გვარის ფესვები შორეულ წარსულს დაუკავშიროს.

<sup>1</sup> დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფ. 1921 წ. გვ. 23—24. საბუთი უთარილოა, კაკაბაძე მას „პალეოგრაფიულ თვისებათა მიხედვით“ 1550—1570 წლით ათარილებს, აკად. ნ. ბერძენიშვილიც—როგორც ამ საკითხზე კონსულტაციის დროს გადმოგვცა—კაკაბაძის დათარილებას სწორად სთვლის.

<sup>2</sup> ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“, წ. II, 1625, ტფ. 1926, გვ. 14.

<sup>3</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. „საქართველოს ცხოვრება“, ხ. ჭიჭინაძის მეორე გამოცემა, თბ., 1913, გვ. 67.

ავტორი იოსებ ტფილელი<sup>1</sup> და არჩილ მეფე. უკანასკნელს თავის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ აწერალი აქვს შაჰაბაზისაგან ლტოლვილი კახეთისა და ქართლის მეფის თეიმურაზ პირველისა და ლუარსაბ მეორის გადასვლა დასავლეთ საქართველოში, მათი შეხვედრა გიორგი იმერთა მეფესთან საჩხერეში და შერე სამივე გვირგვინოსნის—სამყოფსა მუნ სახლსა კარგთა ქველთასაში“ „დავანება“<sup>2</sup>.

ასეთი სტუმრები დაბალი ღირსების ფეოდალს არ ეწვეოდნენ და უკანასკნელი ვერც შეიძლებდა მათ გამასპინძლებას. ჩანს, ამ დროს ქველი წერეთელი მართლაც „ქარგი“ და საქართველოში სახელგანთქმული ფეოდალი ყოფილა. ეს გარემოება და ქველის XVII ს-ის დამდეგის ამბებში მონაწილეობა ცხადჰყოფს, რომ ის XVI—XVII ს-ის გავლენიანი კაცი იყო. ქველის შემდეგ წერეთლიანთ სავგარეულოს წარმომადგენლები მრავლად ჩანან და იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი გავლენით სარგებლობენ.

ფეოდალურ ეპოქაში ამა თუ იმ ფეოდალის პოლიტიკური გავლენა და ძლიერება, უპირველეს ყოველისა, ყმა და მამულის სიმრავლეზე იყო დამოკიდებული. წერეთლიანთ ფეოდალური სახლის გავლენის ზრდაც ამ საფუძველს ემყარებოდა.

მეფისაგან „წყალობად“ მიღებისა, შესყიდვის, მიმძღაერების თუ სხვა ნიადაგზე წერეთლიანთ ფეოდალური სახლი მრავალრიცხოვანი ყმა და მამულის პატრონი გახდა. მის მფლობელობაში მყოფი ტერიტორია თანდათან გაფართოვდა და XVIII ს-ის მეორე ნახევრისათვის წერეთლიანთ სათავადოს საზღვარმა ჩრდილოეთით რაჭის საერისთავომდე მიადწია, სამხრეთით—მდინარე ძირულამდე, აღმოსავლეთით—ლიხის მთამდე<sup>3</sup> და დასავლეთით—აბაშიძეთა სათავადომდე.

ამ საზღვრებს შიგნით მოთავსებული ტერიტორიის ვარდა წერეთლიანთ საკუთრებას წარმოადგენდა სურამის ახალ-სოფელი<sup>4</sup>, არადეთი<sup>5</sup> და თიღვა<sup>6</sup> ქართლში და XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან კი—რაჭის საერისთავოს საქმოდ დიდი ნაწილიც<sup>7</sup>.

აინიშნული საუკუნის ბოლოსათვის იმერეთის სამეფოში წერეთლიანთ სათავადომ პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ამ სათავადოს ნიჭიერმა წარმომადგენელმა სახლთუხუცესმა ზურაბ წერეთელმა ისეთი გავლენა მოიპოვა, რომ

<sup>1</sup> იხ. მისი დასახელებული პოემა, გ. ლეონიძის რედ., 1939, გვ. 39. აქ მოხსენებულ ქველი წერეთელს ლ. ასათიანი „ქართული წერეთლების“ სავგარეულოს მიაკუთვნებს, მაგრამ ეს მოსახრება მას არაფრით არა აქვს დასაბუთებული.

<sup>2</sup> არჩილი—საქ. მუხუშუმის გამოცემა, ტფ. 1937, ტომი II, გვ. 55.

<sup>3</sup> წერეთლიანთ სათავადოს საზღვარი აღმოსავლეთით XVIII ს-ის მეორე ნახევარზე უფრო ადრეც იყო მიღწეული ლიხის მთამდე.

<sup>4</sup> Sd 505.

<sup>5</sup> Д. П. Шурцеладзе. Грузинские дворянские грамоты, Тиф., 1881, გვ. 54 და საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1910, ტ. III, გვ. 297.

<sup>6</sup> Sd 1138.

<sup>7</sup> Sd 1187 და 1563.

მთელი იმერეთი მის სიტყვას ისმენდა, ანუ წყაროების ერთ რომ ვთქვათ, „რახაბა უნდოდა იმერლებს, ისე ათქმევინებდა და აქნევინებდა“<sup>1</sup>.

ქვემოთ ჩვენ მიერ განხილული იქნება წერეთლიანთ დამოკიდებულება იმერეთის სამეფოსთან და მათი პოზიცია იმერეთში მეფის რუსეთის ხელისუფლების დამყარების ხანებში.

### 1. წერეთლიანთ დამოკიდებულება იმერეთის სამეფოსთან

წერეთლები იმერეთის მეფეებთან ყოველთვის ერთნაირ დამოკიდებულებაში არ იყვნენ. იყო დრო, როცა წერეთელს „ხემწიფე“ უწყებოდა<sup>2</sup>. ჯერ კიდევ XVII ს-ის პირველ ნახევარში ზაალ წერეთელი ვერ შეეწყო იმერეთის მეფეს და ამის გამო იძულებული გახდა ქართლს გადახიზნულიყო. მერე კი, მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში, როცა იმერთა მეფე ალექსანდრე V ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცის დასაცავად თავის ურჩ ყმებს, ზურაბ აბაშიძეს და გრიგოლ რაჭის ერისთავს, ებრძოდა, მაშინ „უკუღდა წერეთელი პაპუნა ზურაბ აბაშიძისა გამო“, „ამისთვის მოუხდა მეფე პაპუნას და მოაოხრა საწერეთლო“<sup>3</sup>.

„შემდგომად დაიხავე მეფემან ზურაბ და პაპუნა“, მაგრამ მალე ამ დახვეების შემდეგ „მოიყვანა ალექსანდრემ ძე ზურაბისა და ვით და პაპუნა წერეთელი ვარციხეს“ და ორივე მოაკვლევინა<sup>4</sup>.

ბრძოლა იმერეთის თავადებსა და ალექსანდრე V შორის პაპუნა წერეთლისა და და ვით აბაშიძის დაღუპვით არ გათავებულა, პირიქით, უფრო გამწვავდა. ამას ხელს უწყობდა იმერეთის უზენაესი მზრძანებელი ოსმალეთიც, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცის შესარყევად განგებ უპირისპირებდა იმერეთის მეფეს სამეფო სახლის ამა თუ იმ წარმომადგენელს ან რომელიმე ძლიერ ფეოდალს, მხარს უჭერდა მათს მთავრული განკერძოებისაკენ მისწრაფებას და ამით თავის საქმეს აკეთებდა.

ოსმალთა წაქეზებით ალექსანდრე V-ის ისე აეშალნენ მისი ყმები (დიდიანი, რაჭის ერისთავი, აბაშიძე), რომ ალექსანდრე „ვერ წინააღუღდა“ მათ და იძულებული გახდა 1740 წელს ქართლს გადახვეწილიყო<sup>5</sup>. მოწინააღმდეგეებმა იმერეთში მისი ძმა გიორგი გაამეფეს.

როცა ალექსანდრე V-ემ ქართლს შეაფარა თავი, „მას ეამსა მკვიდრობდა საქართველოსა შიგან სპარსნი, დაიპირეს სპარსთ მეფე ალექსანდრე და გაუგზავნეს ახალციხის ფაშას ტყვედ“<sup>6</sup>. აქ ალექსანდრე V „იყო რაოდენ-

<sup>1</sup> Sd 1446.

<sup>2</sup> Hd 14040.

<sup>3</sup> ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 356.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 356-357.

<sup>5</sup> ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 357-358.

<sup>6</sup> Sd 1563.

წაროები არ აღნიშნავენ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, სპარსთა მიერ ალექსანდრეს დატყვევება და ახალციხის ფაშასთან გაგზავნა ოსმალთა მოთხოვნით იქნებოდა გამოწვეული.

სამე ხანს საპყრობილედ<sup>1</sup> და როცა „იუწყა ტყვეობა მისი ზონთქარმან“, გაანთავისუფლა მეფე, „მისცა მას ჯარი თვისი“ და იმერეთში გამოგზავნა<sup>1</sup>.

ახალციხიდან დაბრუნებულ ალექსანდრეს დიდი სამსახური გაუწიეს წერეთლებმა და უკანასკნელთა „სისხლამდე მსახურებითა“ ალექსანდრე V-ემ „დაიპყრა სამკვიდრებელი თვისი იმერეთი“<sup>2</sup>.

ზაალისა და პაპაუნას გარდა აღებულ ხანაში წერეთლიანთ საგვარეულოს არც ერთი წარმომადგენელი იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრის წინააღმდეგ მოქმედებაში შემჩნეული არ ყოფილა. პირიქით, ამ საგვარეულოს ყველა დანარჩენი მნიშვნელოვანი წევრი მეფის პოლიტიკის განხორციელებისათვის იბრძვის.

როგორც წყაროებიდან ჩანს, ალექსანდრე V-ის მამამ გიორგი IV-მაც იმერეთის სამეფო ტახტი დაიპყრო წერეთლიანთ სახლის, „სდ (სრულიად) ერთგულად დაშთომითა და მსახურებითა“<sup>3</sup>. მაგრამ ყველაზე მეტი სამსახური წერეთლებმა სოლომონ I-სა და სოლომონ II-ეს გაუწიეს.

ალექსანდრე V-ის შემდეგ 1751 წელს იმერეთში უკანასკნელის შვილი სოლომონ I გამეფდა. სოლომონ I-ის მიზანი იყო „მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნა, ღიბთიმერეთის პოლიტიკური გაერთიანება და ოსმალთა ბატონობის უკუგდება“<sup>4</sup>. ცხადია, ასეთი მიზნების მქონე სოლომონ I-ს ბრძოლის წარმოება უხდებოდა როგორც ოსმალეთთან, ისე დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ სათავადოსთან.

სოლომონ I-ის დროსაც (1751—1784) იმერეთის სამეფოში რაჰის ერისთავი როსტომ და ლევან აბაშიძე მძლავრობდნენ. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ხსენებული თავადები მთავრობას იჩემებდნენ—აბაშიძე არგვეთისას, ერისთავი რაჰისას და ამ ნიადაგზე სასტიკი მტრობა ჰქონდათ სოლომონის მამა ალექსანდრესთან. „ახალგაზრდა სოლომონი მამის ნაკვალევს გაყვა და ამ თავადების დამორჩილებას ცდილობდა“<sup>5</sup>. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო, მით უმეტეს ოსმალეთიც მათ მხარს უჭერდა. „ქართველობისათვის ბრძოლის მეთაური“<sup>6</sup>, მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ მებრძოლი მეფე ოსმალეთსაც არ მოსწონდა. საჭირო იყო მისი დამორჩილება ან მთლად მოსპობა. ამ მიზნით სულთანს არა ერთხელ გამოუგზავნია თავისი ლაშქარი იმერეთში. მათი მეჭურვი ლევან აბაშიძე და რაჰის ერისთავი როსტომი იყვნენ. მაგრამ „მიეცა ძლევა მეფესა სოლომონს და გაიმარჯვა“<sup>7</sup>. ამ გამარჯვებისათვის წერეთლიანთ სახლი თავს არ ზოგავდა.

<sup>1</sup> Sd 1563.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, „შანადირ წარმოუვლინა კაცი რაცმით ისაყ ფაშას, რათა მყოს ალექსანდრე მეფედ იმერთა... უსმინა ფაშამ შანადირს... და ჰყვეს იგივე მეფედ“. იხ. „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 358.

<sup>3</sup> Sd 1563.

<sup>4</sup> საქ. ისტორიის სახელმძღვანელო (აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ შედგენილი ნაწილი), თბ., 1940, გვ. 371.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 371.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 372.

<sup>7</sup> Sd 1563.

1767 წლის გაზაფხულს სოლომონ I-ს ძალიან გაუჭირდა, 40.000 კაცი-საგან შემდგარ ოსმალთა ლაშქარს იგი ვერ გაუმკლავდა და იძულებული გახდა გაქცევით ეშველა თავისათვის. გამარჯვებულმა მოწინააღმდეგეებმა იმერეთის მეფეი დასვეს სოლომონის ბიძაშვილი და როსტომ რაქის ერისთავის სიძე თეიმურაზ ბატონიშვილი<sup>1</sup>.

ამავე დროს ოსმალნი სოლომონ მეფის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, „ეძიებდეს სასიკვდილოდ ნიადაგ“ და „იქმნა მეფე უღონო ყოვლის გზით“. ამ განწირულების ქამს წერეთლიანთ სახლმა სოლომონ I-ს ფასდაუღებელი სამსახური გაუწია<sup>2</sup>. „დაძალა მეფე ესე სოლომონ წერეთელმან ქაიხოსრომ მონითა ოთხითა ციხესა შა (შინა) თვისსა... და იყო ქამ რაოდენიმე ფარულად“<sup>3</sup>.

1767 წელს სოლომონ I-მა მოახერხა სამალავიდან გამოსვლა. „შეწევნითა ღთისათა და მოქმედებითა ქაიხოსრო წერეთლისათა დაიპყრა იმერეთი და შეიპყრა ერისთავი როსტომ“<sup>4</sup>. მეფე სასტიკად გაუსწორდა თავის ურჩ და მოლალატე ფეოდალს. როსტომსა და მის შვილებს თვალები დასთხარეს. საერისთავო ჩამოართვა და თავის სახასოდ გამოაცხადა, ნაწილი კი სოლომონ I-მა მისთვის თავდადებულ წერეთლიანთ სახლს უბოძა.

დიდი სამსახური გაუწიეს წერეთლებმა სოლომონ II-საც. განსაკუთრებით უკანასკნელსა და დავით გიორგის ძეს შორის ბრძოლის დროს, „წერეთელი პაპუნა და ზურაბ დიდათ ვრთვულობდა სოლომონს“<sup>5</sup>. ამიტომ არის, რომ სოლომონ II, ჩამოთვლის რა იმერეთის მეფეთათვის წერეთლიანთ სახლის მიერ გაწეულ სამსახურს, არ თვლის ამ სახლისადმი თავის მამა-პაპათაგან ბოძებულ წყალობას საკმარისად და თავის სიგელში აღნიშნავს:—„უმეტესისა თანამდებ იყო სახლი სამეფო ჩვენი ოჯახსა თქვენსა ზედა, ამისთვის რომ ძველნი მამა-პაპანი თქვენნი მამა-პაპათა ჩვენთა და მეფეთა წინაშე რიცხვით ორასზედ უმეტესნი კრმლით და თოფით დააკლდნენ სიცოცხლესა“-ო“, და ასეთი ბოდიშის მოხდით უმტიკცებს ის თავის წინაპართა მიერ ბოძებულ სიგელს სახლთუხუცეს ზურაბს და სარდალ ქაიხოსრო წერეთელს.

აღებულ ხანაში წერეთლებს სენიორული განკერძოების მისაღწევად ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლა არ უწარმოებიათ, როგორც ამას აწარმოებდნენ, ვთქვათ, აბაშიძეები ან რაქის ერისთავები; პირიქით, წერეთლიანთ სახლის ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი, სახლთუხუცესი ზურაბ ქაიხოსროს-ძე, დიდად ცდილობდა მის თანამოგვარეებს ან ყმებს „კელმწიფის საწინააღმდეგო“ რამე არ ჩაედინათ. ამ მიზნით ზურაბმა 1793 წელს თავის ძმისწულ ქაიხოსრო წერეთელთან დადებულ ერთობის წიგნში სპეციალური

<sup>1</sup> Sd 1563 და საქ. ისტ. გვ. 374.

<sup>2</sup> Sd 1563.

<sup>3</sup> Sd 1563.

<sup>4</sup> Sd 1563.

<sup>5</sup> ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება. დაბეჭდილია გ. თყაიშვილის „Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения“, вып. 1—4, ტ. I, ტფ., 1902—1904, გვ. 18.

<sup>6</sup> Sd 563.

მუხლიც კი შეიტანა: „რომელსაც ჩვენის ჯელმწიფის ყმას ჩვენი ჯელი მისწვდება და ან ჩვენი მახლობელნი მეზობელნი არიან, ჩვენგან და ჩვენის ყმისაგან არ შეწუხდნენ, ძალა და უსამართლობა არ დაეშართოს, ამისათვის რომ ჩვენის ჯელმწიფის საწინააღმდეგო იქნება“-ო. მაგრამ ის ზურაბ წერეთელი, რომელიც პირველ ხანებში ასე ერიდებოდა და კრძალავდა „ჯელმწიფის“ წინააღმდეგ მოქმედებას, ბოლოს თვით გამოდის თავის „ჯელმწიფის“ წინააღმდეგ. მაგრამ ამაზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარე.

## 2. მეფის რუსეთის ხელისუფლების დაშვარება იმეჩითში და წმართლიანთ დამოკიდებულება თვითმპყრობელობასთან

XIX ს-ის დამდეგისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის ბედი საბოლოოდ გადაწყდა. რუსეთთან მეფარველობითი კავშირის ხანგრძლივი ძიება ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ინკორპორაციით გათავდა. 1801 წ. 12 სექტემბრის მანთესტით რუსეთის თვითმპყრობელობამ ქართლ-კახეთის სამეფო თავის სამფლობელოს შეუერთა. ამის შემდეგ, როგორც ზ. ავალოვი აღნიშნავს, „...присоединение остальных грузинских владений было лишь делом времени“<sup>2</sup>.

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე დასავლეთს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის რუსეთის ეკონომიურ-პოლიტიკური ინტერესებისათვის. ამიტომ იყო, რომ აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებისთანავე თვითმპყრობელობა ფრთხილად შეუდგა დასავლეთ საქართველოში ფეხის მომაგრებისათვის ნიადაგის მომზადებას.

ფეოდალური შუღლი და წინააღმდეგობა, რომელიც დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებსა და სათავადოებს შორის არსებობდა, მეფის რუსეთის მიზნების განხორციელებას აქ ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. თვითმპყრობელობის მოხელეებმა ეს პირობები მოხერხებულად გამოიყენეს. ამ გარემოებათა წყალობით 1803 წლის 2 სექტემბერს სამეგრელოს სამთავრო უმტკივნეულოდ შევიდა რუსეთის მეფარველობაში<sup>3</sup>.

სულ სხვა ვითარებაში მიმდინარეობდა იმერეთის სამეფოში თვითმპყრობელობის ხელისუფლების დამყარება. იმერთა მეფე სოლომონ II თავის უფლებებს იოლად არ სთმობდა. თვითმპყრობელობის მიზნებისათვის აუცილებელი იყო მეფის თავიდან მოშორება, მაგრამ ისე, რომ ამას სისხლის ღვრა არ მოჰყოლოდა. ამ საქმის სასურველად მოგვარებისათვის მეფის რუსეთის მოხელეებს საქიროდ მიაჩნდათ იმერეთის ვაელენიან პირთა თავიანთ მხარეზე გადმობირება. ამ დროს იმერეთში „პირველი კაცი“ იყო ზურაბ წერეთელი.

<sup>1</sup> Sd 1216.

<sup>2</sup> Авалов. Присоединение Грузии к России, СПб., 1901, стр. 275.

<sup>3</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. II, гв. 464 (შემდეგ დასახელებული იქნება შემოკლებით—Акты).

ზურაბი რუსეთში ნამყოფი იყო<sup>1</sup>, თვითმპყრობელობის ძალა და ძლიერება აწონ-დაწონილი ჰქონდა და პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლას ემზრობოდა. იმერეთის მეფე სოლომონ II-სათვის მას დიდი სამსახური ჰქონდა გაწეული. მეფეც მას თავის „სარწმუნოდ საყვარელ და ერთგულ თავადად“<sup>2</sup> სთვლიდა, მაგრამ ზურაბ წერეთელი თავის პატრონს ძველებურად არ ერთგულობდა.

ზურაბ წერეთელს სოლომონ II-სადმი განწყობილება შეეცვალა მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა აღმოსავლეთ საქართველოდან გადმობეჭვილი სოლომონ ლეონიძე შეიფარა<sup>3</sup>. რუსებისაგან ლტოლვილ ლეონიძეს მეფეც თავისი კანცლერობა მიანიდა, ყმა და მამული უბოძა. ნიჭიერმა ლეონიძემ მალე მეფეზე დიდი გავლენა მოიპოვა და იმერეთის სამეფო კარზე პირველობა დაიწყო. აქ ის შეეჯახა მასზე არა ნაკლებ ნიჭიერ სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს. ლეონიძე სახლთუხუცესის „დიდგულობას“ ვერ ითმენდა<sup>4</sup>. სახლთუხუცესი კი — ლეონიძის მეფეზე გავლენას და მის გაპირველკაცებას. ლეონიძე საქართველოს მიმართ მეფის რუსეთის ზრახვების აშკარა მტერი იყო. მეფისა და ლეონიძის პოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა<sup>5</sup>, მეფე მას ენდობოდა და უჯერებდა. პატივმოყვარე წერეთელი მეფესთან ლეონიძის დაახლოებით უკმაყოფილო იყო.

ეს გარემოება მეფის რუსეთის მოხელეთ ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა ზურაბ წერეთელთან დასაკავშირებლად. ასეთ ვითარებაში დაიწყო იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ მოლაპარაკება სოლომონ II-სა და საქართველოს მთავარმართებელ პ. ციციანოვს შორის. მოლაპარაკება უკანასკნელმა დაიწყო. მეფე ლეონიძის პროვინციაზე თავის უფლებების აღდგენას მოითხოვდა... ციციანოვისთვის მეფის ეს მოთხოვნა მიუღებელი იყო. საჭირო იყო მეფეზე გავლენის მოხდენა და დაყოლიება. ეს საქმე ციციანოვმა ზურაბ წერეთელს მიანიდა. უკანასკნელმა ციციანოვის იმედები გაამართლა, „გულმოდგინება თვისი რუსეთისადმი ცხადყო“ „და მოდრიკა მეფე დამტკიცებასა ზედა მის მიერ უელის მოწერილის ტრახტატისასა“<sup>6</sup>. წერეთლის ასეთი მოქმედებით კმაყოფილი

<sup>1</sup> Sd 1682 და П. Г. Бутков. „Материалы для нов. ист. Кавказа“, ч. III, СПб, 1869. стр. 185, 189, 191. (1784 დავით იმერთა მეფემ რუსეთში გაგზავნა ელჩად ზურაბ წერეთელი, მაქსიმე კაპალიკოზი და დავით კვინიძე).

<sup>2</sup> Sd 1563.

<sup>3</sup> როგორც კოვალენსკის მიერ საქართველოს მთავარმართებელ ენორინგისადმი გაგზავნილ 1802 წლის 4 ივლისის რაპორტიდან ჩანს, სოლომონ ლეონიძე იმერეთში გადასულა 1800 — 1801 წლის მიჯნაზე (Акты I, გვ. 569. ამავე მოწმობას თვით სოლომონ ლეონიძის მიერ 1804 წლის 22 მაისს საქართველოს მთავარმართებელ ციციანოვისადმი გაგზავნილი წერილიც. Акты, II, 380).

<sup>4</sup> Hd 5694, ეს საბუთი წარმოადგენს 1806 წლის 30 ოქტომბერს სოლომონ ლეონიძის მიერ ზურაბ წერეთლისადმი გაგზავნილ წერილს („ივერია“ — 1877 წ. 26, გვ. 12 — 13).

<sup>5</sup> სოლომონ II და მისი მომხრეები რუსეთთან კავშირის წინააღმდეგი არ იყვნენ, მაგრამ მეფის რუსეთი ამას არ სჯერებდებოდა. მას იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი არსებობის მოსპობა სურდა, სოლომონ II და მისი მომხრეები მეფის რუსეთის სწორედ ამ მიზნის წინააღმდეგი იყვნენ.

<sup>6</sup> Sd 1582.

ციციანოვი თავის 1804 წლის 25 აპრილის უქვეშევრდომილეს რაპორტში წერს: „...Сахлѣхуцес ки. Зураб Церетели, быв посланником в 1787 году у нашего двора, столько привязан к России, что не корыстью водимый, но единою приверженностью держит в советах желаемую мне сторону“<sup>1</sup>.

ამ ერთგულებისა და შრომის სანაცვლოდ ციციანოვი, სთხოვდა რა იმპერატორს ზურაბ წერეთლისა და ზოგიერთი სხვა თავადის დაჯილდოებას, იმავე რაპორტში წერდა: „Трем первостатейным князьям имеретинским, кои были царем употребляемы в переговоры и переезды, а именно: сахлѣхуцес ки. Зурабу Церетели, сердарю ки. Кайхосро Церетели и ки. Сехниа Цулукидзе, дерзаю испрашивать, во мзду их старания и трудов, по табакерке, украшенной священным именем в. и. в.“<sup>2</sup>...

იმპერატორმა ციციანოვის თხოვნა დააკმაყოფილა. ზურაბ წერეთელს ეს საჩუქარი პირადად ციციანოვმა გადასცა, ხოლო სეხნიასა და ქაიხოსროს სახელზე ეს ჯილდო თუმცა მიიღო საქართველოს მთავარმართებლობამ, მაგრამ რადგან მალე უკანასკნელთა ანტი-რუსული განწყობილება გამოემკლავნდა, მათ ეს ჯილდო არ მისცეს.

რუსეთის თვითმპყრობელობის მიზანი იმერეთის სამეფოს თავის მფარველობაში მიღებით არ განისაზღვრებოდა. ამ მფარველობას აქ მეფის ხელისუფლების გაუქმება და იმერეთის დაპყრობა უნდა მოჰყოლოდა.

ჯერ კიდევ 1808 წლის 10 თებერვლის რესკრიპტით ალექსანდრე I ბრძანებას აძლევდა საქართველოს მთავარმართებელ გუდოვიჩს, რომ იმერეთის მეფე სოლომონი დაუყოვნებლივ მოეშორებინა სახელმწიფოს გამგებლობისაგან და იქ თავის ხელმძღვანელობის ქვეშ იმერეთის დროებითი მმართველობა დაემყარებინა<sup>3</sup>.

სანამ ბრძანების სისრულეში მოსაყვანად მოქმედებას დაიწყებდა, გუდოვიჩმა დაავალა გენერალ-მაიორ რიკვოფს: „С тонким искусством и самым неприметным образом выведать от кн. Зураба Церетели, каких он может быть мыслей о том, если-бы когда нибудь нужно было по переменчивости царя сделать и перемену правительства в Имеретии и какое оно было-бы на сие расположение?“<sup>4</sup>.

გენერალ-მაიორმა რიკვოფმა ვერ მოახერხა ზურაბ წერეთლის პირადად ნახვა, რადგან უკანასკნელის ერთგულებაში შეეჭვებულ მეფეს ის თავის ზედამხედველობის ქვეშ ჰყავდა დაყენებული და მას თავის ნებით მეფისაგან მოცილება არ შეეძლო<sup>5</sup>.

მაინც 1808 წლის 16 სექტემბრის რაპორტით რიკვოფი, აცნობებდა

<sup>1</sup> Акты, II, 375.

<sup>2</sup> იქვე, 375.

<sup>3</sup> იქვე, III, 127.

<sup>4</sup> იქვე, 154.

<sup>5</sup> იქვე, 156.

<sup>6</sup> იქვე 156.

<sup>6</sup> იქვე, 166.



რა გულდოვის იმერეთის ზოგიერთი თავადის რუსეთისადმი კეთილგანწყობილებას, წერდა: „Но при всем том князья не желают того, чтобы царя в Имеретии не было, без какового они не могут быть“<sup>1</sup>.

რიკოფი საესებით მართალი იყო. ფეოდალები თუმცა ხშირად ებრძოდნენ მეფეს, მაგრამ ისეთ მეფეს, რომელიც მათ სენიორულ მიდრეკილებებს ზღუდავდა, ისე კი ფეოდალთა ბუნება აუცილებლად მოითხოვდა მეფობის არსებობას. იგივე ითქმის ზურაბ წერეთელზედაც. უკანასკნელის ზრახვები კარგად ჰქონდა გაგებული იმერეთის მმართველ სიმონოვის და ტორმასოვთან გაგზავნილ თავის 1811 წლის 25 აპრილის რაპორტში ასე ახასიათებდა მას: „Посредством русских надеялся Церетели возвысить свою власть и увеличить силу в Имеретии, не предполагая может-быть никогда, чтобы царь лишился вовсе царства и водворилось Русское правительство. Что не ожидал он сего, то обнаружил прошлым годом, уехав отсель в Сачхере в то самое время, когда положено было читать прокламацию о свержении царя“<sup>2</sup>.

სიმონოვიჩმა სწორედ შეიცნო ზურაბ წერეთლის სულისკვეთება. მეფისაგან გულნაკლული თავადი ცდილობდა თვითმპყრობლობისათვის თავი ერთგულად მოეჩვენებინა, მოეპოვა უკანასკნელის პატივისცემა და ჯილდო და ამრიგად ძალამოხვეჭელს მეფე თვისი გამგონ-დამყოლი გაეხადა. ზურაბ წერეთლის ზრახვა ამის იქით არ მიდიოდა. ამ მიზნის მისაღწევად ის მზად იყო მეფის რუსეთის მოხელეთა ზოგიერთი დევალება შეესრულებინა. ის არ ფიქრობდა, რომ ამ დევალებათა შესრულება მას მეფის დალატამდე მიიყვანდა.

მეფის რუსეთის მოხელეთა მიზანი კი სულ სხვა იყო. მათ სურდათ ზურაბ წერეთლისა და იმერეთის სხვა თავადთა საშუალებით მეფე ხელში ჩაეგდოთ, ისე, რომ ამ საქმის შესრულების დროს მოსალოდნელი სისხლისღვრა თავიდან აეცდინათ<sup>3</sup>.

ამ საქმის გაკეთების მოლოდინში რუსეთის თვითმპყრობელობამ ზურაბ წერეთელს პოლკოვნიკობა მისცა<sup>4</sup>. ამას გარდა მას იმერეთის მართველობაში პირველ ადვილს, გენერალ-მაიორის ჩინს და სხვა უხვ წყალობას ჰპირდებოდნენ<sup>5</sup>. მაგრამ საბუთებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ზურაბ წერეთელი მეფის რუსეთის მოხელეთა წინაშე თვალთმაქცობდა, მას მეფის განწირვა არ უნდოდა, ოღონდ ამას არ აპყდავებდა. თვითმპყრობელობის მოხელეებმა მალე შენიშნეს ზურაბ წერეთლის ცბიერება. ჯერ კიდევ 1808 წლის 2 მარტის რაპორტში გენერალ-მაიორი რიკოფი საქართველოს მთავარმართველ გულდოვის სწერდა: „...Здесь долгом поставляю донести в. с. о кн. Зурабе Церетели, который хотя и искренно привержен к России, но в избра-

<sup>1</sup> Акты, III, 167.

<sup>2</sup> Акты, IV, 366—367.

<sup>3</sup> Акты, III, 156.

<sup>4</sup> ზურაბმა პოლკოვნიკობა მიიღო 1808 წლის მარტში (Акты, III, 156), გენერალ-მაიორის ჩინი კი—1811 წელს (Sd 1910).

<sup>5</sup> Акты, III, 165.

жении поступков царя крайне оказался осторожным, опасаясь, что в противном случае он может лишиться и последняго теперешняго его состоянiя<sup>1</sup>.

მაგრამ თუ 1808 წელს გენერალ-მაიორ რიკოვს ზურაბ წერეთლისა-მხოლოდ ის არ მოსწონდა, რომ მეფის საქციელს ძალიან ფრთხილად და რბილად ხატავდა და სხვა მხრივ კი მაინც რუსეთის გულწრფელ მიმდევრად მიაჩნდა, სამაგიეროდ 1810—1811 წლებში იმერეთის მმართველ სიმონოვიჩისათვის წერეთლის თვალთმაქცობა სავსებით აშკარა გახდა. ამის გამო ის, თხოვდა რა საქართველოს მთავარმართველ ტორმასოვს რაიმე მიზეზით გაეწვია იმერეთიდან ეს მისთვის ხელშემშლელი ადამიანი, სწერდა: „В. выс-о во многом развязали бы руки, когда-бы под видом будто-бы нужных вам сведений и совокупных советов о положении Имеретии или под другим каким-либо предлогом изволили вызвать к себе самого Зураба Церетели и более его сюда до времени не отправлять, о чем и прошу всепокорнейше в. выс-о. Ни оказываемое к нему [уважение, ни ласки, ни обещания награды не могут возбудить в нем искреняго к нам расположения...“<sup>2</sup>.

ტორმასოვს იმ ხანებში ასეთი ზომის მიღება ხელსაყრელად არ მიაჩნდა და თავის 1811 წ. 7 იანვრის მიწერილობაში სიმონოვიჩს ურჩევდა: „Неоспоримо то, что сотрудник ваш (იგულისხმება ზურაბ წერეთელი) носит личину и может быть питает в сердце вредные какие-нибудь намерения, но по мнению моему еще не время приняться за него, не имея ясных доказательств, кои бы могли обличить его в изверности. Итак необходимость заставляет до времени уважать его и ласкать; старайтесь вести с ним обращение самое обязательное; оказывайте ему пред другими предпочтительное уважение; делайте вид, что вы делаете все с его совета и выставляете его пред другими как человека верного, усердного к России и который действует согласно с вами, дабы сим средством поселить к нему недоверчивость других сильных в Имеретии фамилий и через то ослабить его партию“<sup>3</sup>. აი, ასეთი შეხედულებისა იყვნენ ზურაბ წერეთელზე მეფის რუსეთის მოხელეები და ასე განაგებ სთესავდნენ იმერეთის სხვა დიდ თავადებში მისადმი უნდობლობას.

სოლომონ II-ის თბილისიდან ახალციხეში გაქცევის შემდეგ (1810 წლის 10 მაისი), თვითმპყრობელობის მოხელეები მეფის იმერეთში შემოკრას და აჯანყებას დღე-დღეზე მოელოდნენ, სიფრთხილის ზომებს ლეზულობდნენ და მეფის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. იმერეთში შემოსვლამდე სოლომონ II ახალციხიდან პროკლამაციით მიმართავდა იმერეთის საზოგადოებას და თავის ერთგულებისაკენ მოუწოდებდა. ზურაბ წერეთელს და მის შვილს გრიგოლს კი

<sup>1</sup> Акты, III, 156.

<sup>2</sup> Акты, IV, 361—362.

<sup>3</sup> Акты, IV, 344. ამას გარდა ასეთივე ხასიათის მიწერილობა კიდევ ორჯერ გაუგზავნა ტორმასოვმა სიმონოვიჩს 1811 წლის 17 აპრილს. Акты, IV, 372—364.

პირადად „წიგნს“ უგზავნიდა, სახლთუხუცესს სთხოვდა არ მოეკლო მისთვის მამობრივი სიყვარული, გადაერჩინა განსაცდელისაგან და სამაგიეროდ იმერეთში ძველებურად ისევ პირველკაცობას ჰპირდებოდა<sup>1</sup>. გრიგოლს წერდა: „...თუმცა ყმაწვილი კაცი ბრძანდები, მაგრამ გონებით და სწავლით ყმაწვილად აღარ [ითვლები]...“<sup>2</sup> სახლთუხუცესს წიგნი მოვართვი და შენ იკი რასაც თქვენის ოჯახის ჩემზე ჭირნახულობას დღეს გამოაცხადებთ და ჩვენთვის დათხეულთ მამა-პაპათა სისხლს დღეს განაახლებთ“<sup>3</sup>.

1810 წლის ივნისში მეფე თავისი მომხრეებით და ოსმალთა მცირეოდენი რაზმით იმერეთში შემოვიდა. „მას მოერთვნენ იმერნი ყოველნი“ და დაიწყო მღელღარება<sup>4</sup>.

ასეთ ვითარებაში თვითმპყრობელობის მოხელეებისათვის ზურაბ წერეთლის, როგორც იმერეთის „პირველი კაცის“, მომხრეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში ზურაბი მერყეობდა. მას იმერეთში სოლომონ II-ის ხელისუფლების აღდგენა უნდოდა, მაგრამ თვითმპყრობელობის ძალთა უპირატესობასაც კარგად ხედავდა და მეფის გამარჯვების იმედი არ ჰქონდა. წინდახედულ თავადს „თავის წახდენის“ ეშინოდა, თავის გულის წადილს მალავდა და ცდილობდა საქმე ისე წაეყვანა, რომ მეფის რუსეთის მოხელეებიც მადლიერი ჰყოლოდა და სოლომონ II-ის ხელისუფლებაც დარჩენილიყო.

წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ ზურაბ წერეთელს სოლომონ II-ის თვითმპყრობელობასთან შერიგება უნდოდა. სწორედ ამ მიზნით ის 1810 წლის 31 მაისს წერილს უგზავნიდა თავადს დიმიტრი ორბელიანს და სთხოვდა: „Димитрий, сделай богу угодие и если чем можно помоги мне, чтобы сего бедного царя привести сюда, он просит так как угодно (т. е. е. выс-у) иметь его в Имеретии и не морить его“<sup>5</sup>.

ორბელიანზე უფრო ადრე, 1810 წლის 22 თებერვალს, ზურაბ წერეთელი ამავე მიზნით მიმართავდა საქართველოს მთავარმართებელს ტორმასოვს. ჯერ დიდი ოსტატობით მეფის ძალით ხელში ჩაგდებას განგებ მეტად სამძიმო საქმედ უხატავდა და მერე წერდა: „Почтительно прошу внять моему совету и позволить постараться, чтоб дело кончилось миром, взяты от царя аманатов и депутатов за подпиской архиереев и князей об исполнении вашей воли. Не требуйте от царя прибытия в Кутаис в настоящее время, а удовольствуемся аманатами и подпиской.“

Не обращайтесь-же внимания на безразсудство царя, простите ему по божескому милосердию и не лишайте его царства...“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> Акты, IV, 270—271.

<sup>2</sup> საბუთი დახიანებულია და არ იკითხება, მაგრამ კონტექსტის მიხედვით ეს სიტყვა უნდა წერებულყო.

<sup>3</sup> Sd 1548.

<sup>4</sup> დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამ. თბ., 1941., გვ. 106.

<sup>5</sup> Акты, IV, 276.

<sup>6</sup> Акты, IV, 232.

ტორმასოვისათვის ეს აზრი ყოველად მიუღებელი იყო და იგი ზურაბ წერეთელს ასეთ პასუხს აძლევდა: „ორი წერილი თქვენის ბრწყინვალეობისა მე მივიღე გელითა წარმოგზავნილისა ჩემთან თქვენის აზნაურის ქაქუცისათა და ვისწრაფი ჰაზრისაებრ მათისა პასუხისგებად და წინათვე უწყებად თქვენდა, მოწყალევე გელმწიფევე ჩემო, რომ განხსენებული თქვენ მიერ შემორიგება მეფედ ყოფილისა ანუ ოდესმე იყოს უკმოქცეულ იმერეთის მეფობასა ზედა არცა აღა ჯერ არს მოპაზრებად... და ესრედ გულწრფელად მმართვებს თქმად თქვენის ბრწყინვალეობისადმი, რომ უკეთუ არ გიცნობდე თქვენ ერთგულ და გულსმოდგინე კაცად მისის იმპერატორებისათვის დიდებულებებისადმი, მაშინ ჰაზრისა ჰქვენსა შერიგებისათვის მეფესთან შევრაცხდი გატებად ფიცისა თქვენისა ყ“დ (ყოველად) უმოწყალესის კელმწიფე იმპერატორისადმი და მენაწილებად მეფედ ყოფილისათანა...“<sup>1</sup>.

ტორმასოვს არ უნდოდა დაეფრთხო ზურაბ წერეთელი და ამიტომ თავის წერილში მისს „იმპერატორისადმი გულმოდგინებას“ განგებ ხაზს უსვამდა. ნამდვილად კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მისი რუსეთისადმი გულწრფელი ერთგულების არა სწამდა რა და სიმონოვიჩთან საიდუმლო მიწერ-მოწერაში მას „двуличная особа“-ს და „старый хитрец“-ს უწოდებდა<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, „თავის წახდენის“ შიშით შეპყრობილ ზურაბ წერეთლისაგან მეფის რუსეთის მოხელეები ბევრ სასარგებლო ცნობას ღებულობდნენ. მაგალითად, 1810 წლის 17 ივლისს ზურაბ წერეთელმა აცნობა გორის კომენდანტს სოლომონ II-ისა და იმერლების განზრახვა „что народ Имеретинский положился в весте бывшего царя Соломона...“<sup>3</sup>.

ამ ცნობის მიწოდებით წერეთელს თვითმპყრობელობისადმი თავის ერთგულების დამტკიცება უნდოდა. მაგრამ მეფის რუსეთის მოხელეები მარტო ცნობათა მიწოდებით არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ ცნობასთან ერთად თავიანთ სასარგებლოდ მოქმედებასაც მოითხოვდნენ. ზურაბ წერეთელი, გარკვეულ დრომდე, ამას გაურბოდა. იმერეთის მმართველმა სიმონოვიჩმა ეს მაშინვე შენიშნა და ტორმასოვთან 1810 წლის 10 ივლისს გაგზავნილ რაპორტში ამის შესახებ წერდა: „Известный здешний князь З. Церетели в сие столь критическое время затеял выдать дочь свою в замужество за Левана Дадлиани и уже 3 недели тому назад как уехал в поместье свое Сачхере, для совершения свадьбы... я и прежде заметил, что в обстоятельствах решительных он всегда уклонялся под разными предложениями от содействия нам; в теперешнем случае он следует прежней своей политике“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> Sd 1693. (დაბეჭდილია Акты, IV, 281—293).

როგორც ტორმასოვის მიერ ზურაბ წერეთლისადმი გაგზავნილ წერილიდან ჩანს, უკანასკნელს სოლომონ II-ის „უწინდელს თავის მეფობასუ“ დატოვების შესახებ ტორმასოვთან მიწერ-მოწერა ჰქონია ჯერ კიდევ 1809 წელს. იხ. Sd 1658. (დაბეჭდილია Акты, IV, 210).

<sup>2</sup> Акты, IV, 359, 376.

<sup>3</sup> იქვე, 290.

<sup>4</sup> Акты, IV, 287. ასევე ახასიათებდა სიმონოვიჩი ზურაბ წერეთელს ტორმასოვთან 1810 წლის 7 ივნისს გაგზავნილ რაპორტშიც (Акты, IV, 278).

ამგვარად, მეფის რუსეთის მოხელეები ზურაბ წერეთლის მოქმედებით კმაყოფილი არ იყვნენ, მის ფარისეულობას კარგად ამჩნევდნენ, მაგრამ რადგან მას თავისი მდგომარეობით, კუჭითა და მოხერხებით დიდი გავლენა ჰქონდა მოპოებული, ამიტომ ის იმერეთში ყველაზე საშიშ ადამიანად („самый опасный человек“) მიიჩნდათ და მის თვითმპყრობელობისადმი ერთგულებას, თუნდაც მხოლოდ გარეგნულს,<sup>1</sup> დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ<sup>2</sup>.

ზურაბ წერეთელი იმერეთის სამეფოს მიმართ მეფის რუსეთის ზრახვებს ბოლომდე არ თანაუგრძობდა. ის იმერეთის სამეფოს რუსეთთან მხოლოდ მფარველობითი კავშირის და მისგან სოლომონ II-ის დატუქსევის მომხრე იყო. ეს უკვე მოხდა და წერეთელს არ სურდა ამას იქით გაჰყოლოდა თვითმპყრობელობას<sup>3</sup>. მაგრამ მეფის რუსეთის ძალთა უპირატესობის შეგნებამ, მისდამი გარეგნულმა ერთგულებამ და „თავის წახდენის“<sup>4</sup> შიშმა ის მეფის ღალატად მიიყვანა და ბოლოს (1810 წელს), სოლომონ II-ის ოდესღაც „სარწმუნოდ საყვარელი და ერთგული თავადი“<sup>5</sup> ზურაბ წერეთელი, იმერეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, მეფის წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოვიდა. „მან ვითარცა სარწმუნომან მისის იმპერატორობითის დიდებულებისამან, არა თუ ოდენ არა მიიღო არცა უმცირესიცა მენაწილეობა, არამედ ჯერყთ დაიძევა განსვენებით რუსეთისადმი ერთგულებისა შინა თვისი კელქვეშეთი, მოსცა ყოველნი შესაძლებელნი შემწეობანი რუსეთის მხედრობათა და თვითცა კელქვეშეთითურთ თვისით იმსახურა პირისპირ მებუნთეთა მჯედრობისათანა ღენერალ-მაიორ სიმონოვიჩისა“<sup>6</sup>; და ამით მან ხელი შეუწყო და გაუადვილა თვითმპყრობელობას იმერეთის სამეფოს დაპყრობა<sup>7</sup>.

ზურაბ წერეთლის საყვარელი შვილი გრიგოლიც მამის ზვას გაჰყვა, ანუ ზურაბის ენით რომ ვთქვათ, მამის „ნებათ“ და „განმზრახათ“ იქცეოდა<sup>8</sup>. წერეთლიანთ სახლის სხვა მნიშვნელოვანი წარმომადგენლები და თვით სახლთუხუცესის უფროსი შვილი სვიმონი კი სოლომონ II-ისა და იმერეთის სახელმწიფოებრივი არსებობისათვის თავდადებულად იბრძოდნენ. წერეთლიანთ სახლის ინიციატივით მოეწყო სოლომონ II-ის თბილისიდან გაპარვა,<sup>9</sup> სწორედ წერეთლები: ქაიხოსრო, როსტომი, ბერი, სვიმონ გიორგის-ძე და სვიმონ ზურაბის-ძე თან გაჰყვნენ, ზოგიერთ სხვა თავადთან ერთად, თვითმპყრობელო-

<sup>1</sup> Акты, IV, 362.

<sup>2</sup> Акты, IV, 363—364.

<sup>3</sup> ზურაბ წერეთელს რომ იმერეთში მეფის ხელისუფლების გაუქმება და „რუსეთის სჯულის შემოტანა“ არ უნდოდა, ამას ხეშოთ შოტანილ საბუთებს გარდა ადასტურებს 1810 წლის 25 თებერვლის და 12 აპრილის თარიღით ტორმასოვის მიერ ზურაბისადმი გაცხადებული წერილებიც. Акты, IV, 234 და Sd 1593. (დაბეჭდილია Акты, IV, 245).

<sup>4</sup> Sd 1682.

<sup>5</sup> მეფის რუსეთთან ზურაბ წერეთლის დამოკიდებულებას გაეკრით ეხება პროფ. შ. ჩხეტიანი: „К вопросу о положении евреев Грузии в эпоху царизма“.

<sup>6</sup> „საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-გენოგრაფიული მუხეუმის შრომები“, 1941 წ., ტ. II, გვ. 142.

<sup>7</sup> Sd 1854:

<sup>8</sup> და ვით ბატონი შვილი. ახალი ისტორია, გვ. 105, Акты IV, 273.

ბასთან ბრძოლაში დამარცხებულსა და ოსმალეთში გადახვეწილ მეფეს და სიკვდილამდე მას ახლდნენ<sup>1</sup>.

მამის გამცემლური მოქმედების შესახებ საზოგადოებაში გავრცელებული მითქმა-მოთქმით აღშფოთებული, თვითონაც ამ მითქმა-მოთქმის სიმართლეში დარწმუნებული და ამის გამო სირცხვილის გრძნობით შეწუხებული, პატრონისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული, სვიმონ წერეთელი თავის მამას ახალციხიდან სწერდა: „...აპა რაღათ მინდა სიცოცხლე, ყოველი კაცი, ქართველი თუ კახელი, თათარი თუ სომეხი, ბერი თუ ერი, ყმაწვილი თუ მოხუცებული, ვინც ვნახე ყველა ასე მეუბნება, რომ რა ქნა ეს მამა შენმაო, ნეფე რომ ვასცაო და ეს ხმა რა საძაგელია ხ [ო]მ იცით და მომიხსენებია ნეტამც ოცის წლითაც [ადრე] ამოვწყვეტილიყავით სულყველა ქალებიან-კაცებიანათ და ეს ხმა ჩვენში არ შემოსულიყო, სჯობდა ქეშმარიტათ. რას შერები, რას უყურებ, შენც აქ ჩამოდი და ამასთან (იგულისხმება მეფე სოლომონი, ო. ს.) დაიკარგე, თორემ ამ ხმას ჩვენ ვეღარ მოვიხდით“—ო<sup>2</sup>.

ამგვარად, იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობისათვის სოლომონ II-ის თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ხანებში წერეთლიანთ სახლი ორად გაიყო. უმრავლესობა (ქაიხოსრო, როსტომი, ბერი, სვიმონ გიორგის-ძე, სვიმონ ზურაბის-ძე და სხვ.) მეფეს ამოუღდა მხარში, უმცირესობამ (ზურაბი და გრიგოლი) კი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის სახიფათო ბრძოლას პირადი კეთილდღეობა ამჯობინა და დიდი ყოყმანის შემდეგ ბოლოს მაინც დამპყრობელს მისცა მხარი.

<sup>1</sup> Sd 1554 და 1691.

<sup>2</sup> Hd 3159. ასევე კიციხეს და პატრონისათვის თავგანწირვისაკენ მოუწოდებს სვიმონ წერეთელი თავის ძმას გრიგოლს ტრაპიზონიდან გამოგზავნილ წერილში. იხ. ჟურნალი „კრებულ“ (აკაკის), 1900 წ., № 1, გვ. 72—73.

## 8. მელიქიშვილი

### ურარტული ტოპების უძველესი კერა

ურარტულ წინა აზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო ჩვენს ერამდე IX—VI საუკუნეთა მანძილზე. ამ ქვეყანას მხოლოდ უცხო, ასურული წყაროები ეძახიან „ურარტუ“-ს, ადგილობრივ, ურარტულ წარწერებში ეს სახელი ჯერ-ჯერობით სრულიად არ გვხვდება<sup>1</sup>. ურარტუს მეფეები საკუთარ ენაზე შედგენილ წარწერებში თავის ქვეყანას „ბიანი“-ს (თუ „ბიანი“-ს) უწო-

<sup>1</sup> ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სარდური არგიშთის-ძის ერთ-ერთ წარწერაში (Tsereth. G<sub>11</sub>) საკმაოდ ბუნდოვან კონტექსტში ნახმარი ururdani ასურულთა Urur-ს ადგილობრივი, ურარტული, გვივალენტი უნდა იყოს. ასეთი აზრი გამოთქმული აქვს აკად. ი. მეშჩანინოვს (ი. მისი „Шураа и Урурдан в клинописных памятниках Ванского бассейна“—Доклады Российской Академии Наук, Серия В, 1924 г., გვ. 22). ასეთივე აზრისაა Sayce-ი (Journal of the Royal Asiatic Society, 1929, გვ. 333, 335) და სხვ. სარდური მეფის ზემოდასახელებული წარწერის ururdani-ში ურარტუს ტომის, ურარტული ხალხის, სახელის დანახვას საფუძველს მკვლევარი ბგერითი შედგენილობის მსგავსების გარდა აძლევს ისიც, რომ ტექსტში ამ სიტყვის წინ დგას ნიშანი, რომელიც ასურულ ლურსმულ დამწერლობაში დეტერმინატივად ისმის სხვათა შორის ტომთა საკუთარი სახელების წინაც. ეს ნიშანი (AMĒLU Fr. Delitzsch-ის „Assyrische Lehestücke-ს“ 1912 წ. გამოცემის ნიშნების ცხრილში № 137 ან კიდევ ურარტულში მეტად იშვიათად ხმარებული, მნიშვნელობით საესებით იდენტური № 185), როგორც იდეოგრაფია, აქედურში აღნიშნავს „კაცს, მამაკაცს“, ხოლო ასურულ ტექსტებში დეტერმინატივად ისმის პროფესია-დასისა და სატომო სახელების წინ. Sayce-ს (Journal of the Royal Asiatic Society, 14, 1882, გვ. 422) და ი. მეშჩანინოვს (Халдоведение, გვ. 74) ურარტული დამწერლობის ნიშნების ცხრილებში ნაჩვენები აქვთ, რომ ეს ნიშანი ურარტულშიც იხმარება ხალხთა სახელების დეტერმინატივად. მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. ურარტულ ტექსტებში ჩვენ ვერ შევხვდით ვერც ერთ შემთხვევას, რომ აღნიშნული ნიშანი დეტერმინატივად იდგეს აშკარა საკუთარი სახელის წინ. აქ იგი დეტერმინატივად გამოყენებულია გარკვეული პროფესისა თუ დასის ან საერთოდ ადამიანის (მამაკაცი, დედაკაცი, ხალხი) ზოგადი სახელებისა, ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინებისა და მისთანათათვის. მაგალითად: AMĒLUtaruani (=კაცი, მამაკაცი: CICH 19 Obers. 11, Vorders. 8, Sayce 37 11, 38 11, 39 11, 40 21, 43 11, 45 9, Tsereth. E 2), AMĒLUNISU(-ra-ni) (=ხალხი: Sayce 38 11, 40, 39 11, 39, 40 27, 41 8, Tsereth. B 41, C 3 11, 12, D 21, F 20, 20; G 6, თაფუხავას ბილინგვის ურარტ. ტექსტის სტრ. 25), AMĒLU'ase (=მამაკაცი: Sayce 45 12), AMĒLU uedani (=დედაკაცი: CICH 13 Vorders. 37, 11, Rück. 15, 15 Vorders. 28, Rück. 30, 26 6, Tsereth. A 10, 20, C 13, Friedrich „Einführung ins Urartäische“ № 7), AMĒBU ABU (=მამა: CICH 112 A 2 სტრ. 19 Tsereth. C 27; შტრ. AMĒLUABU-si-ni: Tsereth. G 2, AMĒLU ABU.ABU: Tsereth. C 27) AMĒLU MĀRU (=ძე, ვაჟი: Sayce 79 11, 10, 10), AMĒLU ŠĀBU (=მეომარი: CICH 14 11, Sayce 37 11, Tsereth. G 1), AMĒLU ŠĀBU KAŠATI (=მშვილდოსანი: CICH 15 Vorders. 15, Rück. 18, 20), AMĒLU a-si PI (=მეომრები, ჯარი: CICH 18 11, 11, 11, 11, 27 20, 21 7, წერეთელი 18, Sayce 39 10, 10, 40 20, 41 4, 43 11, 45 20, Tsereth. A 12, C 6, 45 7, F 10, 28; G 5, Sayce 47 21, 50 11, თაფუხავას ბილინგვი სტრ. 15), AMĒLU ħuradi(=მეომარი: CICH 15 Vorders. 15, 11, Rück. 16, 19 Obers. 15, Vorders. 1, 10, 24 4, 27 22, Sayce 37 11, 38 11, 39 11, 25, 46 15, Tsereth. B 29, F 2), AMĒLU gunušini (=მებრძოლი: Tsereth. A 10, 20, 21)

დებენ. ურარტუ-ბაიანის სახელთან დაკავშირებული ეთნიკური ელემენტი მეტად ახლო დგას ჩვენს ერთდღე მეორე ათასწლეულის მანძილზე კარგად ცნობილ ხურის ხალხებთან. უკანასკნელი ხანის კვლევა-ძიება სულ უფრო და უფრო მკაფიოდ აკლენს ხურისა და ურარტულ ენათა შორის არსებულ ნათესაობას<sup>1</sup>.

AMĒLU A. GIR IPL (=კვირთი: Tsereth. G<sub>3</sub>), AMĒLU ereli (=მეფე: CICH 23<sub>3</sub>) AMĒLU ARDU (=მონა: CICH 149 Obv.<sub>10</sub>), AMĒLU bura (=მონა: Tsereth. A<sub>17</sub>, F<sub>201</sub> კოლაგრა-ნის წარწერა სტრ. 3), AMĒLU BĒL-PAHĀTI (=ოღუის მმართველი: Tsereth. F<sub>10</sub> ნორ-ბაია-ზეთის წარწერა სტრ. 4), AMĒLU iri (PL) (Tsereth. B<sub>25</sub>, D<sub>01</sub>, 27), AMĒLU tašmuše (CICH 27<sub>17</sub>), AMĒLU RĒ'U (=მწყემსი: CICH 1<sub>3</sub>, 2<sub>3</sub>, 149 Obv.<sub>21</sub>, 21) და სხვ.

როგორც ჩანს, ეს AMĒLU—დეტერმინატივი ურარტულ დამწერლობაში, ასურელებისაგან განსხვავებით, არ ყოფილა გამოყენებული სატომო სახელების დეტერმინატივად—როგორც ვთქვით, ურარტულ ტექსტებში ჩვენ ვერც ერთი შემთხვევა ვერ შევნიშნეთ, რომ ამ ნიშნით განსახლებული იყოს აშკარა საკეთარი სახელი. სატომო სახელების დეტერმინატივად ურარტულ წარწერებში გამოყენებულია სულ სხვა ნიშანი (Delitzsch-თან № 279), რომელიც ასურულ წარწერებში ჩვეულებრივ დეტერმინატივად იხსის მამრობითი სქესის პიროვნებათა საკეთარი სახელ ბის წინ. ურარტულ ტექსტებში ეს ნიშანი ამ ფუნქციონირება გამოყენებული (იხ. მაგალითად: \*Sarduri, \*Lutipri, \*Išpuri, \*Menua, \*Jaušpua, \*Argišti, \*Rusa და მრავალ სხვა), მაგრამ ურარტულში ამ ნიშანს ფართოდ ვახუთობარება სხვა ფუნქციაც, მას მიუთვსებ ა ასურ. AMĒLU—დეტერმინატივის ფუნქცია—ტომთა, ხალხთა საკეთარი სახელების განსახლება. ის იხსის დეტერმინატივად საკეთარი სახელების წინ. რომლებიც, ეჭვს გარეშე, გაასხვავდება მწერლის მიერ როგორც სატომო სახელები, ამა თუ იმ ხალხთა სახელები. ამ სახის შემთხვევებია, მაგალითად, ტექსტებში არა ერთჯერად გამოწვებული: \*Abiltanibi, \*Eriaš, \*Luša, \*Kataza, \*Uiterš, \*Diauš, \*Sacye 45<sup>2</sup> და სხვა. გვაქვს: MĀTU \*Diauš-ი (di)—„ქვეყანა დიაუბის ტომისა“, ისევე როგორც ხშირად გვაქვს ასურულ ტექსტებში, შდრ. მაგ. სანხორბის ექვსწახანკიან პოემაში: mit amš Kāš-šā, mit amš Ja-šu-ši-gal-la-a-a, ე. ი. „კასიტების ტომის ქვეყანა“, „იასებიალელ ხალხის ქვეყანა“: სვ. I, სტრ. 61) და მრავალი სხვა. ამ უკანასკნელის, \*Diauš-ის შესახებ სხვა მისაზრებებიათაც შეიძლება მტკიცება, რომ აქ ჩვენ სატომო სახელთან უნდა გვეკონფუსი საქმე: ურარტული ტექსტების ამ Diauš-ის სახელი უკანონოებენ ასურული წყაროების Daiaeni-ს ქვეყნის, ქვემოთმდებლურ-ჯაჯა-ის, Σοιχαίν-ჯაჯა-ის (რომლის ცნობა სტეფანე ბიხანტიელთანაა დაცული) ოჯა-ის, სომხ. ტაიქ-ისა და ქართ. ტაოს სახელს. ის ფაქტი კი, რომ ბერძნულ წყაროებში ეს სახელი ხალხის სახელადაა ნაშარი (ჯაჯა, ოჯა) იმაზე მივითითებებს, რომ აქ ჩვენ ეთნიკური ელემენტის სახელთან, სატომო სახელთან უნდა გვეკონფუსი საქმე.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ტომ-ხალხის საკეთარი სახელთა დეტერმინატივად ურარტული დამწერლობა ბმარობს მამრობითი სქესის პიროვნების სახელთა დეტერმინატივის (Delitzsch-თან № 279). მაშინ რაღესაც ასურული დამწერლობის პიროვნება-დასისა და სატომო სახელთა დეტერმინატივი AMĒLU (Delitzsch-თან № 137, 185) ურარტულში იხმარება, როგორც ჩანს, მხოლოდ პროფესია-დასის სახელთა დეტერმინატივად და არ იხმარება დეტერმინატივად ტომთა, ხალხთა, საკეთარი სახელებისათვის. ამიტომაც AMĒLU—დეტერმინატივით განსახლებული ururđani—სიტყვა, რომელიც სარდური არგიშთის-ძის ერთ-ერთ წარწერაში გვხვდება, ვერ იქნება სატომო სახელი, ეთნიკური ელემენტის სახელწოდება, რის გამოც უსაფუძვლო უნდა იყოს იმ შეკვლევართა მისაზრება, რომელნიც მასში ასურულთა Urartu-ს ურარტულ გვივალენტს, ურარტული ხალხის სატომო სახელს ხედავენ.

<sup>1</sup> იხ. J. Friedrich-ის „Kleine Beiträge zur Churritischen Grammatik“, 1939. ამ ნაშრომში, რომელიც ხურის ენის შესწავლის მთელი ვადილი პერიოდის შემაჯავებელ გამოკვლევას წარმოადგენს, შეკრებილია ყველა მონაცემი ხურისა და ურარტულ ენათა ურთიერთობის შესახებ. აქ მითითებულია ხურისა და ურარტულ ენათა შორის არსებული არა ერთი სი-ახლოვე, როგორც მორფოლოგიისა, ისე განსაკუთრებით ლექსიკის სფეროში (გვ. 59—62), რომ-



ხურის<sup>1</sup> ენა და მასთან დაკავშირებული ეთნიკური ელემენტი მეორე ათასეულში ჩვენს ერამდე მეტად ფართო ტერიტორიაზე გავრცელებული, თუმცა ამ ხალხის უმთავრეს კერას, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ცენტრს, ამ დროს ზემო მესოპოტამია და ვანის ტბის სანაპირო წარმოადგენენ. ზემო მესოპოტამიაში მდებარეობდა ხურის ხალხის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო—მითანის სამეფო, ვანის ტბის სანაპიროზე კი უნდა ყოფილიყო მათი მეორე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული—ხურის სამეფო<sup>2</sup>. ზოგიერთი მკვლევარი სწორედ ვანის ტბის რაიონში ხედავს ხურის მოდგმის ხალხების უძველეს და უმთავრეს კერას, ცენტრს<sup>3</sup>. ასე რომ ის ადგილები, სადაც ჩვენ შემდგომ ურარტელებსა ვხვდებით, უკვე მეორე ათასეულში ჩვენს ერამდე, ეკავა ხურის მოდგმის ტომებს, რომლებსაც, როგორც, ენობრივი ფაქტები მეტყველებენ, ეკუთვნიან ურარტელებიც<sup>4</sup>.

მაგრამ ლაპარაკი შეიძლება, ცხადია, ხურისა და ურარტული ენების და ხალხთა მხოლოდ მონათესაობაზე. ურარტუს სახელთან დაკავშირებული და ურარ-

ტელები ამ ორი ენის ახლო მონათესაობაზე მიჯნობიერებენ. Friedrich-ის ამ ნაშრომის გამოკვლევის შემდეგ დაბეჭდილ ნაშრომში „Studies in Hurrian Grammar“ (Journal of the American Oriental Society, ტომი. 59, № 3, სექტემბერი 1939). E. A. Speiser-ი კიდევ ამ ორ ენას შორის არსებულ არა ერთ ახალ ლექსიკურ თუ სხვა სახის საბლოკზე მიუთითებს (გვ. 324). Friedrich-ისა და Speiser-ის გარდა ამჟამად ურარტულ ენას ხურის ენას უკავშირებს ბევრი სხვა მკვლევარი: A. Götze, A. Ungnad-ი და მრავალი სხვა.

<sup>1</sup> ძველად ამ სახელს „ხარი“-ს სახით კითხულობდნენ, როგორც ჩანს, უფრო სწორი „ხური“-ს ნაცვლად—იხ. Bedžich Hrozny'-სთან: „Le Hittite: Histoire et Progrès du déchiffrement des Textes“, Archiv Orientalni, III, 1931, გვ. 286; მისივე, „Die Länder Churri und Mitanni und die ältesten Inder“, Archiv Orientalni, I, 1929, გვ. 91—92. Journal Asiatique-ში (ტომი CCXVII, 1930, გვ. 236) დაბეჭდილ ნარკვევში „Stratification des langues et des peuples dans le proch-Orient préhistorique“ კვლავ „ხარი“—ფორმას იცავს Emil Forrer-ი. აკად. ს. ჯანაშიას აზრით კი შესაძლებელია ამ სახელს რამდენიმე პარალელური ფორმა ჰქონდა და „ხარი“-ცა და „ხური“-ც რეალურად არსებული ფორმებია („უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაეზოების შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე“, ვნიშის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 671; შდრ, მისივე „ურარტუ“ ვერნ. კომუნისტური აღზრდისათვის“ 1937, № 10, გვ. 50).

<sup>2</sup> შდრ. თუნდაც H. Winckler, „Vorderasien im Zweiten Jahrtausend“, 1913, გვ. 66; Fr. Bilabel, „Geschichte Vorderasiens und Ägyptens“, ტ. I, გვ. გვ. 6, 11. 138, 286..., Smith, „Hist. of Assy“, გვ. 212; Peallex. d. Vorgesch., 8, გვ. 226. A. Götze „Hethiter, Churriter und Assyrer“, 1936, გვ. 102—103. საეტიკლოგო ლიტერატურაში მოიპოვება ხურის სამეფოს სხვაგვარი ლოკალიზაცია—იხ. მაგალითად, Hrozny'-სთან „Le Hittite: Histoire et Progrès du Déchiffrement des Textes“, Archiv Orientalni, III, 1931, გვ. 287, მისივე „Die Länder Churri und Mitanni und die ältesten Inder“, Archiv Orientalni, I, 1929, გვ. 98 და სხვა. აგრეთვე G. Contenau, „La Civilisation des Hittites et des Mitanniens“, 1934, გვ. გვ. 80—81, 264—265.

<sup>3</sup> იხ. A. Götze „Hethiter, Churriter und Assyrer“, 1936, გვ. 106 და სხვ.

<sup>4</sup> დღესათვის ფართოდ გავრცელებული მოსაზრებისდა მიხედვით, ხურის ხალხიცა და ურარტელებიც ეკუთვნიან დასავლეთ აზიის უძველესი ხალხების იმ დიდ ჯგუფს, რომლებიც არ არიან არც ინდოევროპელები და არც სემიტები. ხურისა და ურარტუს ხალხებს გარდა ამავე ჯგუფს აკუთვნებენ სემიტებს, პროტოხეობებს და სხვ. თავისი ფიზიკური ტიპითა და ენით ხალხთა ამ ჯგუფის წარმომადგენლები დღეს მცხოვრებ ხალხთაგან ყველაზე ახლო ქართველურ-ი, კავკასიური, მოდგმის ხალხებთან დგანან.

ტულ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივი, უქვევლია, უკვე ძალზე ადრეულ ხანებიდან თავისებურ, სხვა მონათესავე ტომთაგან განსხვავებულ ერთიულს წარმოადგენდა. მეორე ათასეულის მანძილზე ურარტელთა მონათესავე ხურის ხალხებისა და მათი ამ დროის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ერთეულების (მითანისა და ხურის სამეფოების) ანდა მეორე—პირველი ათასეული წლების მიჯნაზე ასურული წყაროების „ნაირის ქვეყნების“ სახელთან დაკავშირებული ფაქტების გათვალისწინება ზოგადად შეიძლება გამოდგეს კიდევ ურარტუს ხალხის უძველესი ყოფიერების დასახასიათებლად, მაგრამ ამ ფაქტების მიხედვით რაიმე კონკრეტულის თქმა თვით ურარტელი ხალხის შესახებ ძნელი იქნება. ურარტელი ხალხის უძველესი ყოფიერების გასათვალისწინებლად, უქვევლია, საკიროა, კონკრეტულად თვით ურარტუს სახელთან და ურარტულ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივთან დაკავშირებული უძველესი ფაქტების გამოვლენა და განმარტება. ქვემოთ ჩვენ სწორედ ამ სახის სამუშაოს ჩატარებას ვცდივთ: შევეცდებით ვიმსჯელოთ ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ურარტელი ტომების უძველესი ყოფიერების დასახასიათებლად შეიძლება გამოდგეს.

### 1. მტრული ურთიერთობა ლულუს ხალხთან

ურარტელი ტომების უძველესი ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფაქტი მელავნდება ურარტულ ტექსტებში ლულუს ხალხის სახელის „მტრულის“ ზოგადი მნიშვნელობით ხმარების მოვლენაში. ეს ფაქტი საკმაოდ მკაფიოდ იჩენს თავს, მაგალითად:

1) ურარტუს მეფეები, ლაპარაკობენ რა თავის სამხედრო წარმატებებისა და სხვადასხვა უცხო ქვეყნების დაპყრობის შესახებ, ხშირად დასძენენ, რომ მათ ეს მოიმოქმედეს „ბაიანას ქვეყნის ძლიერებისა და მტრული ქვეყნის დასამიკრებლად“: CICH 112 A<sub>2</sub> სტრ. 16 შმდ.: MĀTU Bi-i-a-i-na-a-ù-e uš-ma-a-še-e [M]ĀTU Lu-lu-i-na-ù-i na-a-pa-a-ḫi-i-a-i-di

Tsereth. E, სტრ. 16 შმდ. MĀTU Bi-a-i-na-al-ul-i-e uš-ma-a-še MĀTU Lu-lu-i-na-al-ul-i na-a-pa-ḫi-i-a-i-di.

რუსა I-ის ნორ ბაიაზეთის წარწ. სტრ. 6-7: MĀTU Bi-a-i-na-ù-e uš-ma-a-še MĀTU NAKRU na-a-pa-ḫi-a-i-di<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ამ ტრაფარეტულ გამოთქმაში ვარიანტების სახით ენაცვლებიან: MĀTU Lulu(ini/a)<sup>2</sup> (= „ქვეყანა ლულუ“) და MĀTU NAKRU („მტრული ქვეყანა“). უქვევლია, რომ ზემოთმოყვანილ ტექსტში (CICH 112 A<sub>2</sub>

<sup>1</sup> იხ. J. Friedrich-თან „Die Inschrift des urartäischen Königs Rusa I. aus Nor-Ba-azet“, Archiv Orientalni, III, 1931, გვ. 257 შმდ.: ušmaše „ძლიერებას“ ან რაიმე მსგავსს უნდა აღნიშნავდეს (იხ. Friedrich-თან, დასახ. ნაშრ, გვ. 259, შფ. 1. მისივე „Einführung ins Urartäische“ გვ. 26). napalḫiadi-ს შესახებ იხ. Arch. Orientalni, III, 1931, გვ. 267. ეს უკანასკნელი სიტყვა მიმართულებით ბრუნვაშია, ušmaše აქ მიცემით ბრუნვაში უნდა იდგეს (დასახ. ნაშრ. გვ. 268), Biainaue და Luluinaui კი ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია.

<sup>2</sup> J. Friedrich-ის მიხედვით, ამ სახელის საწყისი ფორმა Luluini (Einführung, გვ. 29). აქ ძირეულია Lulu-; მას მიუღია ურარტულ სამკაროში ფართოდ გავრცელებული, ქვეყნების სახელთა მაწარმოებელი ini/a სუფიქსი.

და Tsereth. E) MĀTU Lulu ისეთივე ზოგადი აზრითაა ნახმარი (= „მტრული ქვეყანა, მტრების ქვეყანა“ Lulu=მტრული, მტერი), როგორც ნორ-ბაიანზეთის წარწერის MĀTU NAKRU, რაკი ტექსტებში, სადაც იგი დასახელებულია, სრულიად არაა ლაპარაკი რაიმე კონკრეტული Lulu-ქვეყნის შესახებ<sup>1</sup>. ასე რომ ამ ჩვენ წინაშე Lulu—სახელის „მტრის“, „მტრულის“ ზოგადი აზრით ხმა-რების მოვლენაა.

2) Lulu—ქვეყნის სახელი „მტრული ქვეყნის“ ზოგადი მნიშვნელობითაა ნახმარი აგრეთვე რუსა II-ის ეჩმიადინ-ზვართნოცის წარწერის (Sayce 86) წყველის ფორმულაში. რუსა II ამ ლეტაებათა რისხვით ემუქრება ყველა მას, ვინც მის წარწერას შეურაცხყოფს, დაამსხვრევს, მიწით დაუარავს, წყალში გადაადგდებს და სხვ., სულერთია, იქნება ის ბიას (ბიანას) ქვეყნის (მცხოვრები) თუ ლულუს ქვეყნის (მცხოვრები): eai MĀTU Biainiše eai MĀTU Luluišē (სტრ. 40—42)<sup>2</sup>. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ამ წარწერის გამოთქმა—„ლულუს ქვეყნელი“ (MĀTU Luluišē)—მართლაც რომელიმე კონკრეტული ლულუ-ქვეყნის მცხოვრებს გულისხმობდეს, პირუკუ, „ლულუ“ აქაც ზოგადი, ბიანასთან, როგორც ურარტუს მეფეთა საკუთარ, სამშობლო ქვეყანასთან, დაპირისპირებული მტრული სამყაროს მნიშვნელობითაა ნახმარი. რუსა II ამ ლეტაებათა რისხვით ემუქრება ყველა მას, ვინც ზიანს მიაყენებს მის წარწერას, განურჩევლად იმისა, იქნება ის მისი საკუთარი, სამშობლო ქვეყნის, ბიანას ქვეყნის მცხოვრები (MĀTU Biainiše), თუ იქნება ის უცხო, მტრული ქვეყნის მცხოვრები (MĀTU Luluišē). რუსა II-ის ამ წარწერაშიც, უძველესია, „ლულუს ქვეყანა“ ნახმარია „მტრული ქვეყნის“ ზოგადი მნიშვნელობით<sup>3</sup>.

3) ასეთივე მნიშვნელობით უნდა იყოს „ლულუს ქვეყანა“ ნახმარი ურარტუს მეფეთა სხვა წარწერებშიც, სადაც კი იგი იხსენიება, სარდური არგიშთის-

<sup>1</sup> შეცდომითაა აქვს გაგებული ეს ფრაზა პიოტროვსკის: სარდური არგიშთის-ძის ანალების შემთხვევაში (Tsereth. E<sub>16</sub> შმდ.), კერძოდ, მას ჰგონია, რომ ამ ლაპარაკია „ლულუინას ქვეყანაში ლაშქრობის“ შესახებ (История и Культура Урарту, 1944, გვ. 84).

<sup>2</sup> იხ. ლემან-ჰაუპტთან: CICH სვ. 68, Sayce-თან: Journal of the Royal Asiatic Society, ტ. 33, 1901, Biainiše-სა და Luluišē-ში ბოლოკიდური -še გარდამავალი ზნის სუბიექტის ნიშანი უნდა იყოს (ამ ზნის ფუნქციის შესახებ იხ. Friedrich-თან, Einführung, გვ. 11 და სხვა), —ini—კიდევ კუთვნილების სუფიქსია (იქვე გვ. 9), eai-eai კი უნდა ნიშნავდეს: „როგორც—აგრეთვე“ (M. Tseretheli, Die neuen hald. Inschr. König Sardurs von Urartu, 1928, გვ. 61).

<sup>3</sup> ლემან-ჰაუპტის აზრით, რუსა არგიშთის-ძის ეს მუკარა მათ მიმართ, ვინც ზიანს მიაყენებს მის წარწერას „იქნება ის ბიანადან თუ იქნება ის ლულუდან“ ნიშნავს იმას, რომ რუსა II პრეტენზიას აცხადებს ლულუს ქვეყნისა ანდა მისი ნაწილის ფლობაზე (Armenien, II, გვ. 337). თვით ლემან-ჰაუპტის მიხედვით ურარტული ტექსტების Lulu-ში ზავროსის მთებში მცხოვრები ლულუბის ხალხის სახელია დასაწახი (იქვე, გვ. 336 შმდ.). ამიტომაც მეტად არაბუნებრივი მოჩანს, რომ ა/ვ-ის ტერიტორიაზე, ეჩმიადინთან დატოვებულ წარწერაში მოხსენებული „ლულუელი“ (MĀTU Luluišē) კონკრეტული, ლულუს ქვეყნის მცხოვრების მნიშვნელობით იყოს ნახმარი. ასეთ ვარაუდს მეტიოდენი საფუძველი მაშინ თუ ექნებოდა, ეს წარწერა რომ სადმე ლულუს ტომის საცხოვრებელ ტერიტორიაზე ყოფილიყო დატოვებული, თორემ რა საფიქრებელია, რომ რუსა I-ის აზრით მისი ეჩმიადინთან დატოვებული, წარწერისათვის ზიანის მიყენება შეეძლო მხოლოდ ბიანას ან ლულუს ქვეყნის მცხოვრებს!

ძის ანალებში, მაგალითად, ერთნაირ წინადადებაში ურთიერთს ენაცვლებიან თქმები: MĀTU. MĀTU <sup>PL</sup> ši-su-ia-si (Tsereth. E<sub>47</sub>) და MĀTU Lu-lu-i-na-ši (Tsereth. F<sub>4</sub>). აქაც MĀTU Lulu „მტრულის“ ზოგადი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახშიარი და პარალელური თქმის შესატყვისი ურარტული šua- „მტრულს“ უნდა აღნიშნავდეს, როგორც საპართლიანად ასკენის Friedrich-ი<sup>1</sup>.

4) დაბოლოს, ვფიქრობთ, ასეთივე ზოგადი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახშიარი „ქვეყანა ლულუ“ რუსა სარდურის-ძის თოფუხავას ორენოვან, ასურულ-ურარტულ წარწერაში. აქ ასურული ტექსტის (სტრ. 26 შმდ.) māt Akkadī... ū-si-iš“-ს (= „აქადის ქვეყანა... შევივიწროე მე“) შეესატყვისება ურარტული ტექსტის MĀTU Lu-lu-i-ni-[li?] [...-zi-el-du-bi (სტრ. 29—30)<sup>2</sup>. ასურული ტექსტის Akkadū-ს ქვეყნის იდენტობას (იხ. Delitzsch-თან № 209) შეესატყვისება ურარტული ტექსტის MĀTU Lu-lu-i-ni... მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ საერთოდ ასურულ-ბაბილონურ MĀTU Akkadū-ს შეესატყვისებოდა ურარტელების MĀTU Luluini, არამედ აქ, როგორც ჩანს, ასურული ტექსტის კონკრეტული სახელის— „აქადის ქვეყნის“ შესატყვისად ურარტული ტექსტი იძლევა ზოგად გამოთქმას— „მტრული ქვეყანა“.

ამრიგად, ძნელია დაეკვიება მისში, რომ ურარტულ წარწერებში გამოთქმა „ლულუ(ინი)—ქვეყანა“ უბრალოდ „მტრული ქვეყნის“ მნიშვნელობით იხმარება. „ლულუს ქვეყანა“, „ლულუს ხალხი“ მრავალგზის იხსენიება აქადურ ტექსტებშიც, ასურულ-ბაბილონურ წარწერებში. აქადური ტექსტებიდან კარგად ცნობილი ეს ლულუ—ხალხი ასურეთის აღმოსავლეთით, ზაგროსის მთებში ცხოვრობდა. ურარტული ტექსტების MĀTU Lulu(ini)-შიც ამ ხალხის სახელი უნდა გვექონდეს<sup>3</sup>. Lulu-ქვეყნის მცხოვრებთ აქადური წყაროება ხშირად ელაშურო მრავლობითობის სუფიქსით Lu-lu-b-i-ს ანდა Lu-lu-me-ს ეძახდნენ (ბ-იანი ფორმა ბაბილონურია, m-იანი კი ასურელის გამოთქმას ვადმოგვეცემს)<sup>4</sup>. ბაბილონეთისა და ასურეთის ხელისუფალთ არა ერთგზის უხდებათ შეტაკება ზაგროსის მთიანეთის ამ გეოგრაფიკულ ტომთან. უკვე აქადის დინასტიის მეფე ნარამსინის (მესამე ათასეულის შუა ხანები ჩ. ე-მდე) ცნობილ „გამარჯვების სტელაზე“ გამოსახულია ლულუების ტომზე ნარამსინის გამარჯვების სცენა. ამის შემდეგ თითქმის მთელი ორი ათასეული წლის მანძილზე ბაბილონური და ასურული წყაროები მრავალგზის ლაპარაკობენ ამ ხალხის შესახებ. ამას გარდა, ჩვენამდე მოაღწია თვით ლულუების ხალხის ერთ-ერთი მეფის, ანუბანიინის მიერ კლდეზე

<sup>1</sup> იხ. მისი „Zur urartäischen Nominalflexion“ ZA, N. F. VI (XL) Band, Dezember 1931, 3/4 Heft, გვ. 277, შენ. 1.

<sup>2</sup> შტრ. Friedrich-თან: Archiv Orientalni, III, 1931, გვ. 270.

<sup>3</sup> აღნიშნული აქვს კ. ფ. ლემან-ჰაუპტს—Armenien II, გვ. 336 შმდ. აგრეთვე J. Friedrich-ი: Archiv Orientalni, III, 1931, გვ. 268.

<sup>4</sup> იხ. M. Streck-თან „Das Gebiet der heutigen Landschaften Armenien, Kurdistan und Westpersien nach den babylonisch-assyrischen Keilinschriften“—Zeitschrift für Assyriologie, 15, გვ. 289—290.

ამოკვეთილმა დიდმა რელიეფმა ზოჰაბის ოლქში<sup>1</sup>. ეტყობა, ერთ დროს (ანუბანი-ნის დროს მაინც) ეს რაიონიც ლულუბის ტომის ადგილსამყოფელს წარმოადგენდა. ზოგიერთი მკვლევარი სწორედ ამ რაიონში ხედავს ლულუს ტომის უძველეს კერას. მ. შტრეკის აზრით, ამ რაიონიდან უნდა გავრცელებულიყო ეს ხალხი მეზობელ ტერიტორიაზე, დეისახლებინა ასურული წყაროების „ზამუას ქვეყანა“—ტერიტორია მდ. ქვემო ზაბსა და დიალას შორის<sup>2</sup>. სარგონ II-ის მე-8 ლაშქრობის ანგარიშში ლულუსა და ზამუას ქვეყნების სახელთა საგულისხმო იდენტიფიკაციას ვხვდებით. *māt Lu-lu-mi-iša māt Za-mu-a i-ka-bu-šu-ni*—„ლულუმის ქვეყანა, რომელსაც (აგრეთვე) ზამუას ქვეყანას ეძახიან“ (სტრ. 11), ამბობს აქ სარგონი. შტრეკის მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, ზამუას ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარს ქვემო ზაბი, სამხრეთს კი დიალა წარმოადგენდა<sup>3</sup>. ცნობილია, რომ ზამუას ტერიტორია, მოგვიანო ხანებში მაინც (თუნდაც ასურნასირპალ II—სალმანასარ III-ის დროს) ჩრდილოეთით ვიდრე ურმიის ტბის სამხრეთ სანაპიროებამდე აღწევდა<sup>4</sup>. თვით ურმიის ტბა ასურულ წყაროებში „ზამუას ქვეყნის ზღვად“ იწოდებოდა<sup>5</sup>. უფრო ჩრდილოეთით კი, ურმიის ტბის სამხრეთ სანაპიროებზე უფრო ჩრდილოეთით მდებარე ზოლში წყაროებით არ არის დამოწმებული ამ ხალხის არსებობა.

ამრიგად, ლულუს ხალხი, რომლის სახელიც ურარტელებთან „მტრის“ ზოგად სახელად ქცეულა, როგორც ვხედავთ, ვანის ტბიდან საკმაოდ მოშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთით სახლობდა. ალბათ ხანგრძლივი და ინტენსიური მტრული ურთიერთობის შედეგად მოიპოვა ამ ხალხის სახელმა ურარტელებთან „მტრის“ ზოგადი სახელის მნიშვნელობა. მაგრამ სად და რა ხანშია საგულვებელი ურარტუსა და ლულუს ხალხს შორის ასეთი ხანგრძლივი და ინტენსიური მტრული ურთიერთობის არსებობა?—იგი საგულვებელია, პირველ ყოვლისა, იმ რაიონში, სადაც ერთმანეთის მეზობლად უნდა ეცხოვრა ამ ორ ხალხს. ლულუს ტომი როგორც დავინახეთ, ვანის ტბის რაიონიდან საკმაოდ მოშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდა. ალბათ სწორედ ეს რაიონი წარმოადგენდა მათ შორის არსებული ინტენსიური მტრული ურთიერთობის მთავარ ასპარეზს. მეორე ზხრით, უნდა გავიხსენოთ, რომ ყოველ შემთხვევაში ასურნასირპალ II—სალმანასარ III-ის ხანიდან (IX ს. წ. ე-მდე), რო-

<sup>1</sup> ანუბანიის მეფობის დროის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება. აშკარაა, რომ ესაა მე-18-ე საუკუნის დასაწყისი. მათე რის მიხედვით, ანუბანიის ეს ძველი ეკლესიის ნარაშენიდან დახლოებით ორი საუკუნის შემდგომ ხანას—იხ. მისი „Sumerier und Semiten in Babylonien“, 1906, გვ. 24.

<sup>2</sup> Zeitschrift für Assyriologie, 15, გვ. 294.

<sup>3</sup> იხ. იქვე გვ. 287—288. ზამუას ადგილსამყოფელის შესახებ იხ. აგრეთვე Emil Forrer-თან „Die Provinzeinteilung des assyrischen Reiches“, 1920, გვ. 44.

<sup>4</sup> C. F. Lehmann-Haupt „Armenien einst und jetzt“, II, გვ. 337.

<sup>5</sup> იხ. შტრეკთან, დასახ. ნაშრომი, Zeitschr. f. Assyrl. 15, გვ. 271.

დესაც ასპარეზზე გამოდის ძლიერი ურარტუს სამეფო, ურარტელთა უმთავრეს მტრებს, ექვს გარეშეა, ასურელები წარმოადგენდნენ და არა რომელიმე სხვა ხალხი. ის ინტენსიური მტრული ურთიერთობა ლულუს ხალხთან, რომელსაც ესოდენ ღრმა ნაკვალევი დაუტოვებია ურარტელ ხალხში, ბევრად უფრო აღრიხდელი ხანის ამბავი უნდა იყოს. ამგვარად, როგორც ვხედავთ, ურარტელი ტომების, კერძოდ ურარტელი ბია-ტომის (რომლის მეთაურთაგანაც მოაღწია ჩვენამდე წარწერებმა) უძველესი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს წარმოადგენს ლულუს ხალხთან ხანგრძლივი და ინტენსიური მტრობა-ომიანობა. ურარტელი ხალხის ისტორიის ეს უძველესი ფაქტი, როგორც ვთქვით, ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას უკავშირდება—ამ ფაქტის მიხედვით ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონი მოჩანს უძველეს ხანაში ურარტელი ტომების პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს კერად.

## 2. არღინი (მუსასირი)—ურარტული ხალხის წმინდა ქალაქი

ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, როგორც ჩანს, დღევ. ქალ. როვანდუზის რაიონში, ასურულ-ურარტულ ხანაში იყო ქალაქი, რომელსაც ასურელები Muşafir-ს, ხოლო ურარტელები კი Ardini-ს ეძახდნენ<sup>1</sup>. ურარტული და

<sup>1</sup> მუსასირის ლოკალიზაციისათვის ერთადერთ საიმედო საყრდენს უკრძკობით ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ქალ. როვანდუზის რაიონშია ნაპოვნი ურარტუს მეფეების ეშფუნისა და შენუას ქელიშინისა და რუსა სარდურის-ძის თოფუხავას ორენოვანი წარწერები, სადაც სწორედ ურარტუს მეფეთა მიერ მუსასირში ჩატარებული საქმიანობის შესახებაა ლაპარაკი. ეს ბუნებრივსა ზღის იმის ვარაუდს, რომ ქალ. მუსასირი სადმე ქელიშინისა და თოფუხავას სტელათა ახლოსაა სადებნი. მუსასირის ლოკალიზაციისათვის გარკვეულ მასალას, როგორც ჩანს, თვით ამ ქალაქის სახელწოდებაც გვაწვდის. "მუსასირი" ამ ქალაქის უცხო, ასურული სახელწოდება უნდა ყოფილიყო. Sa y c-e-ის მიხედვით ეს სახელი შეიძლება ასურულად იქნეს გააზრებული, როგორც muša-šir—„გველის გამოსასვლელი (ადგილი)“ (Journal of the Royal Asiatic Society, 1894, გვ. 700. ამ ეტიმოლოგიას არა ერთი მკვლევარი იზიარებს, მათ შორის ლემან-დანგინი—იხ. მისი Armenien, II, გვ. 305 და სხვ.). ეს მოსაზრება დამაჯერებელი მოჩანს, თუკი გავითვალისწინებთ მუსასირის მეფე ურხანას ბეჭედზე ამოკვეთილ წარწერას, სადაც მოცემულია ქალაქ მუსასირის ადგილმდებარეობის, ასეთი ეტიმოლოგიის შესაფერი, დახასიათება: მუსასირზეა ნათქვამი, რომ მას პირი აქვსო ჯაღებელი მთებში გველის მსგავსად (kunuk "Ur-zanšar Al Mu-ša-šir šir... ša kima širi ina šade-e limnūti pi-šu pi-tu-u, გ. ი. ბეჭედი ურხანასი, მუსასირის მეფისა, ქალაქის... რომლის პირი გველის მსგავსად ჯაღებულაა შევხნელ მთებში"—შდრ. Thureau-Dangin „Une relation de la huitième campagne de Sargon“, 1912, გვ. XII, შენ. 3; აგრ. Lehmann-Haupt „Armenien...“, II გვ. 305—306). ადგილზე წარმოებულ დაკვირვებათა შედეგად ლემან-დანგინი ასკვნის, რომ რუსა სარდურის-ძის თოფუხავას სტელის ახლო მდებარე ტერიტორია თავისი რელიეფით კარგად უდგება მუსასირის ადგილმდებარეობის იმ დახასიათებას, რომელსაც იძლევა ურხანას ბეჭედის წარწერა და მუსასირის სახელის ზემოთყვანილი გავება. მისი აზრით ქალაქ მუსასირის ადგილსამყოფელი რუსას სტელის მახლობლადაა სავარაუდებელი (Armenien II, გვ. 299). სხვა აზრისაა მუსასირის ადგილსამყოფელის შესახებ Thureau-Dangin-ი: იგი ფიქრობს, რომ ქელიშინისა და თოფუხავას სტელათა რაიონი მუსასირის ქვეყნის სამხრეთ საზღვარს უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ამ ქვეყნის ცენტრი (სადაც იქნებოდა თვით ქალ. მუსასირი) უფრო ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია, Guivar-ის ოლქი უნდა იყოს (Une relation... გვ. XVI—XVII). Thureau-Dangin-ის

ასურული წყაროებში მიხედვით ეს ქალაქი ურარტელთა უზენაესი ღვთაება ხალდის კულტის ცენტრად, ხალდის ქალაქად მოჩანს. ასურეთის მეფის სარგონ II-ის წარწერებში მუსასირის სახელი განუყრელადაა დაკავშირებული ხალდის სახელთან: „ქალაქა მუსასირი, ღვთაება ხალდიას საცხოვრებელი...“ (AlMusa-sir šū-bat 1<sup>1</sup>Hal-di-a), ამბობს სარგონი თავისი მე-8 ლაშქრობის ანგარიშში (ლფერის ფირფიტა სტრ. 350. ასეთივე გამოთქმა მოვპოვება სარგონს თავის ანალებშიც—სტრ. 127, აგრეთვე Prisma B-ში სტრ. 8)<sup>1</sup>.

იგივე ითქმის ურარტული ტექსტების მიხედვითაც, რომ არა ვთქვათ რა ქელიშინისა და თოფუზავას ორენოვან წარწერებზე, სადაც ლაპარაკია ურარტუს მეფეთა მიერ მუსასირში ხალდისათვის წარმოებულ აღმშენებლობებსა და შესაწირავებზე, საინტერესოა ამ მხრივ იშფუინისა და მენუას მეჭერკაპუსის წარწერა. აქ, იმერიის ცალკეული ქალაქების (მფარველ) ღვთაებათა ჩამოთვლისას, პირველ ადგილზეა დასახელებული არა დედაქალაქ ტუშუას ღვთაება, არამედ „ქალაქ Ardini-ის (მუსასირის) ღვთაება“ (იულისხმება, უქველია, ურარტუს ხალხის უზენაესი ღვთაება ხალდი): ALU Ar-di-ni-na-ú-e ILU ALPU 2 IMMERU PL ALU Ku-me-nu-na-ú-e ILU ALPU 2 IMMERU PL ALU Tu-ú-pa-ni-na-ú-e ILU ALPU 2 IMMEPU PL და სხვ. (CICH 18 სტრ. 14)—ე. ი. ცალკეულ ღვთაებათათვის განკუთვნილი მსხვერპლის ჩამოთვლისას ნათქვამია: „ქალაქ არდინის ღვთაებას—ხარი (და) 2 ბატკანი, ქალაქ კუმენუს ღვთაებას—ხარი (და) 2 ბატკანი, ქალაქ ტუშუას ღვთაებას—ხარი (და) 2 ბატკანი“. ქალაქი არდინი (მუსასირი) ამ ჩამოთვლისას პირველ ადგილზე მოხვდა, უქველია, მხოლოდ იმიტომ, რომ ურარტელი ხალხისა და მათი მეფეების უზენაესი ღვთაება ხალდი სპეციალურად მუსასირის (არდინის) ღვთაება იყო.

ურარტელი ხალხისათვის მუსასირი ასეთ საღმრთო ქალაქად, უზენაესი ღვთაების კულტის ცენტრად იმ ეპოქაში უნდა გამხდარიყო, როდესაც მუსასირის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ეთნიკურად და რელიგიურ-კულტურული ტრადიციებით ერთ მთლიან რამეს წარმოადგენდა ურარტუს ხალხთან ერთად (ამ უკანასკნელში ჩვენ ვგულისხმობთ ხალხს, რომლის ენობრივსა თუ რელიგიურ-კულტურული ცხოვრების ნიშნებს ბიანიას მიეფთა ტექსტები ან ასურულ წყაროებში ურარტუს სახელთან დაკავშირებული ფაქტები გვაწვდიან). მაგრამ მოკვიანო ხანებში ასეთი სრული ერთიანობის ფაქტთან ჩვენ უკვე საქმე არ გვაქვს. მოკვიანო ხანების რიგი ფაქტების მიხედვით პოლიტიკურად, რელიგიურ-კულტურულად და აღმათ ეთნიკურადაც მუსასირის მოსახლეობა ჩამოცილებული მოჩანს დანარჩენ ურარტულ სამყაროს.

რელიგიის სფეროში, მაგალითად, მუსასირის პანთეონი გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს ურარტულ პანთეონთან შედარებით. მოკვიანო ხანებში, მაგალითად, სარგონ II-ის დროს, მუსასირში ხალდის გვერდით თავყვანს სცემ-

მოსახრება დამაჯერებელი არ მოჩანს: მას არ მოეპოვება რაიმე ისეთი საბუთი, რომ სერიოზულ ეჭვი აღვიძრას ქალაქ მუსასირის ქელიშინ-თოფუზავას სტელათა რაიონში ლოკალიზაციის სისწორეში.

<sup>1</sup> იხ. Thureau-Dangin-ის გამოცემაში „Une relation de la huitième campagne de Sargon“, 1912.

დნენ უზენაეს ქალღმერთს Ba-ag-maš (bar)-tu-ს, რომელიც აქ ხალდის მეუღლედ განიხილებოდა. მუსასირის მეფე ურზანას მისამართით სარგონი რამდენიმეჯერ იმეორებს: <sup>ILU</sup> Hal-di-a il-šu ú <sup>ILU</sup> Ba-ag-maš(bar)-tu <sup>ILU</sup> iš-tar-šu, ე. ი. „Haldia, მისი (=მუსასირის მეფე ურზანასი) ღვთაება, Ba-ag-maš(bar)-tu მისი (=ურზანასი) ქალღმერთი“ (ლუერის ფირფიტა, სტრ. 368, 423, Prisma B, სტრ. 54; შდრ. Luckenbill, Ancient Records of Assyria and Babylonia, vol. II<sub>183</sub>). ერთგან კიდევ ამავე სარგონის წარწერებში ნათქვამია: „Haldia და Bagniaštum (Bagbartum), მისი (=ურზანას) ღვთაებანი“ (Luckenbill, II<sub>183</sub>). მუსასირში სარგონ მეფის მიერ ხელთგდებული ნადავლის ჩამოთვლაში ერთგან დასახელებულია „ღვთაება Haldia-ს და მის მეუღლე Ba-ag-maš(bar)-tu-ს განძეულობა“ (ლუერის ფირფიტა, სტრ. 391: šū-ka-ni <sup>ILU</sup> Hal-di-a ú <sup>ILU</sup> Ba-ag-maš(bar)-ti aššati-šu). ბავამითუ (ბავბართუ)—ქალღმერთი ხალდის მეუღლედ არის წოდებული სარგონის წარწერათა სხვა ადგილებშიც (ლუერის ფირფიტა, სტრ. 385).

ამრიგად, მუსასირის პანთეონში, როგორც ჩანს, ხალდის შემდეგ მეორე ადგილი უზენაეს ქალღმერთ Ba-ag-maš(bar)-tu-ს ეკავა, რომელიც უზენაესი ღვთაება ხალდის მეუღლედ განიხილებოდა. სარგონის ტექსტების ამ მონაცემების მიხედვით სპეციალურ ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომ ურარტუს ხალხის უმაღლესი ღვთაება ხალდი იყო, უზენაესი ქალღმერთი კი Ba-ag-maš(bar)-tu<sup>1</sup>. მაგრამ ქალღმერთ Ba-ag-maš(bar)-tu-ს ურარტელთა უზენაეს ქალღმერთად და საერთოდ ურარტული პანთეონის ღვთაებად მიჩნევა არ უნდა იყოს სწორი: ყურადღების ღირსად არავენ სივლის იმ გარემოებას, რომ თვით ურარტუს მეფეთა როგორც ურარტულ, ისევე ასურულ ენაზე შედგენილ წარწერებში არსად არავითარი ღვთაება Ba-ag-maš(bar)-tu არ იხსენიება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ ურარტუს ღვთაებათა სახელებზე ასე თუ ისე მნიშვნელოვნად დეფექტური წარმოდგენა გვქონდეს. აქ შეიძლება გავიხსენოთ თუნდაც იშფუინისა და მენუას მეჭერკაპუსის წარწერა, სადაც მთელი ურარტული პანთეონია დასახელებული, დაწყებული ხალდიდან და გათავებული ისეთი მეორე და მესამე ხარისხის ღვთაებებით, რომელთაც საკუთარი სახელებიც კი არ გააჩნიათ. ვფიქრობთ, ყოველად შეუძლებელია, რომ ურარტუს მეფეთა წარწერებში შემთხვევით არ იხსენიებოდეს უზენაესი ქალღმერთი Ba-ag-maš(bar)-tu. ასეთი ღვთაება ურარტულ პანთეონში სულ არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ არც ასურულ წყაროებშია (სარგონის ტექსტებში) სადმე ნათქვამი ამ ქალღმერთის შესახებ, რომ იგი ურარტუს ღვთაება იყო. სარგონი მას

<sup>1</sup> B. T u r a e v-თან მაგალითად, ვკითხულობთ: „Главным божеством народа (ლაპარაკია ურარტუს ხალხზე. გ. მ.) был Халд, бог неба; кроме него чтислись: его супруга Багбарту..., Ардин..., Тешуб...“ (История Древнего Востока, II, 1936, გვ. 33). Б. Б. П и о т р о в с к и й-ს აღნიშნული აქვს: „Главными богами Урартов были бог Халд и, согласно ассирийским источникам его супруга Багбарту...“ (იხ. წიგნი: В. В. Струве „История Древнего Востока“, 1941, გვ. 322), შდრ. მისივე „История и Культура Урарту“, 1944, გვ. 274; Reallexikon der Assyriologie-ს პირველ ტომშიც ნათქვამია, რომ Bagniaštu არის „ურარტული ღვთაება“ (Ib. I, Lief. 5, 1931, გვ. 391) და სხვ.



მუდამ იხსენიებს როგორც მუსასირელ ურზანას ქალღმერთს (ლუკენბილს ფირფიტა, სტრ. 368, 423, აგრეთვე Luckenbill, II<sup>59</sup>, 183). ხოლო როდესაც ლაპარაკია ურარტუს ან მისი მეფეების, კერძოდ ურსა-მეფის შესახებ, დასახელებულია მხოლოდდამხოლოდ Haldi (Haldia) (ლუკენბილს ფირფიტა სტრ. 342, 347, 398, 401). ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია სარგონის წარწერათა ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია: „Haldia (და) Bagmaštu (Bagbartu), მისი (=ურზანას) ღვთაებები... მე ნადავლად ჩავრიცხე: Ursa-მ, ურარტუს მეფემ, როდესაც შეიტყო მუსასირის დანგრევა (და) Haldia-ს, მისი ღვთაების, წაყვანა, საკუთარი ხელით მოისპო სიცოცხლე...“ (Luckenbill, II<sup>59</sup>). ის, რომ აქ მუსასირელ ურზანას ღმერთებად Haldia და Bagmaštu-ა დასახელებული, ხოლო ორიოდ სიტყვის შემდეგ ურარტულ ურსას ღვთაებად მხოლოდ Haldia იხსენიება, შექვევლია, შემთხვევითი არ უნდა იყოს: როგორც ჩანს, სარგონმაც კარგად იცოდა, რომ Ba-ag-maş(bar)-tu არ იყო ურარტუს მეფის, ურარტუს ხალხის ღმერთი — იგი მარტოაღედ მუსასირის ღვთაება უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>.

ამრიგად, რელიგიის სფეროში მოგვიანო ხანების მუსასირი გარკვეულ განცალკევებას იჩენს ურარტულ სამყაროსაგან. ზოგი რამ გვაფიქრებინებს, რომ ეს ფაქტი მუსასირის ტერიტორიაზე მომხდარი გარკვეული ეთნიკური ძვრების გამოხატულება უნდა იყოს.

სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთგზისაა აღნიშნული, რომ ქალღმერთ Ba-ag-maş(bar)-tu-ს სახელი თავისი bag-ით ირანულ ელფერს ატარებს და აქ ჩვენ შესაძლებელია ირანულ სამყაროდან მომდინარე ღვთაებასთან გვეკონდეს საქმე. „baga“ ძვ. სპარსულად „ღმერთს“ ნიშნავს. ამ ეპოქის მიდიურ-ირანულ სამყაროდან ჩვენამდე მოღწეულია ბევრი საკუთარი სახელი, რომელიც თავის-ში ამ სიტყვასაც შეიცავს. ასე მაგალითად, მარტო მე-8 საუკუნე რომ ავილოთ ჩ. ე-მდე (ე. ი. სწორედ ის ხანა, როდესაც დამოწმებულია მუსასირის Ba-ag-maş(bar)-tu), ჩვენ შეიძლება დავასახელოთ ამ სახის არა ერთი მიდიური და სპარსული საკუთარი სახელი: Bagdatti, Bagadatta, Bagabigna, Bagabuhša, Bagamirri, Bagapāta, Bagazušta<sup>2</sup>. საინტერესოა ამ მხრივ აგრეთვე ძვ. სპარს. Bagastāna (= „ღვთაების ადგილი“)<sup>3</sup>, მიდიის, ერთ-ერთი ადგილის სახელი Bit-Bagaia<sup>4</sup> და სხვა.

<sup>1</sup> სარგონის ტექსტების ჩვენთვის საინტერესო ადგილები Б. Б. Пиотровский-ს შეცდომით აქვს გაგებულთ: თავის 1944 წ. დაბეჭდილ ნაშრომში „История и Культура Ура-рту“ (გვ. 274) იგი აღნიშნავს, რომ „Текст луврской таблички говорит о том, что Саргон своих приближенных послал в храм Халла и что там были захвачены (речь, повидимому, идет о статуях): „Халла, его (т. е. Руса) бог и Багбарту, его богами, с многочисленными богатствами его храма“ (368)“. ნამდვილად აქ ტექსტის გამოთქმა „მისი“ გულისხმობს ყოველგვარ ეჭვს გარეშე, მუსასირის მეფე ურზანას და არა ურარტუს მეფე რუსას. აქვე კი ითვლება სკის აღნიშნული აქვს: „Эти же сведения повторяет и летопись Саргона, добавляющая, что именно известие о разрушении Мусасира об увозе бога Халла и богами Багбарту послужили причиной сомоубийства Руса“. — ნამდვილად კი ტექსტში (იხ. Luckenbill, II<sup>59</sup>-იდან ზემოთყვანილი ფრაგმენტი) ლაპარაკია იმაზე, რომ ხალხის წაყვანის ამბის შეტყობის შედეგად მოიკლა თავი რუსამო, ხოლო ბაგბართუს შესახებ არაფერია იქ ნათქვამი.

<sup>2</sup> იხ. König-ის სტატიაში „baga“-Realexikon der Assyriologie, ტ. I, გვ. 390.

<sup>3</sup> იხ. M. Streck-თან Zeitschr. f. Assyriol., 15, გვ. 352.

<sup>4</sup> შტრ. Rost, Untersuch. z. altorient. Gesch., 86,

როგორც ვხედავთ, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მუსასირის უზენაესი ქალღმერთი Bagmaštu (Bagbartu) ირანულ სამყაროდან მომდინარე ღვთაება იყოს<sup>1</sup>. თუ ეს ასეა, ჩვენ გვექცევა, რომ უცხო ტომის ღვთაების მიერ ასეთი მაღალი ადგილის დაკავება, უზენაეს ქალღმერთად, უზენაესი ღვთაების მეუღლედ ქცევა მარტოდენ კულტურულ-რელიგიური გავლენის პროდუქტი იყოს. ჩვეულებრივ ღვთაებათა ქორწინებასა თუ იერარქიის ამგები პოლიტიკური თუ ეთნიკური ძვრების გამოხატულებად გვევლინება. ამის საილუსტრაციოდ არა ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ძველი აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიის სფეროდან. აქ ერთი მაგალითით დავკმაყოფილდებით: ძველი სუმერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის, ლაგაშის, მფარველი ღვთაება ნინგირსუ (= „გირსუს მეუღლე“: „ნინ“ სუმერულად „ბატონს, მეუღეს“ ნიშნავს) თავდაპირველად ლაგაშის მხოლოდ ერთი კვარტალის—გირსუს ღვთაება იყო. ძველად ეს კვარტალი ცალკე დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. ლაგაშის მეორე უძველეს კვარტალში—ურუზაგაში თავიანთ სცემდნენ ქალღმერთ ბაუს. როდესაც ამ კვარტალების გაერთიანება მოხდა ერთ ქალაქად, ამას მოჰყვა ამ ღვთაებათა დაქორწინება: ბაუ გამოცხადებულ იქნა ნინგირსუს მეუღლედ<sup>2</sup>. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაშიც რომელიღაც ირანელი ტომის ღვთაება Bagmaštu-ს შერწყმა ხური—ურარტული პანთეონის ხალხთან შეიძლება მუსასირის ტერიტორიაზე მომხდარი ხური—ურარტული და ირანული ელემენტის შერევის პროდუქტი იყოს. დასაშვებია, რომ ხური—ურარტულმა მუსასირმა რომელიმე ირანული ტომი (ან მისი ნაწილი) შეირწყა და ირანული გავლენის ეს ფაქტიც ამ პროცესის გამოხატულებას წარმოადგენს. ასეთი ვარაუდი მით უფრო შესაძლებელი მოჩანს, რომ ამავე ხანაში მუსასირის მეზობელ სამთავროებშიც ვხვდებით ჩვენ, როგორც ჩანს, აზიანური და ირანული ელემენტის შერევის მოვლენას<sup>3</sup>.

მეორე მხრივ, მოგვიანო ხანის მუსასირში ძლიერად იგრძნობა **ასურული გავლენა**. იგი თავს იჩენს პირველ ყოვლისა კულტურის სფეროში. ამის საილუსტრაციოდ არა ერთი ფაქტი შეიძლება დავასახელოთ: საყურადღებოა, მაგალითად, რომ მუსასირის ტერიტორიაზე და შეიძლება მუსასირელი მწერლის მიერ შედგენილ ქელიშინის წარწერაში გამოყენებული ლურსმული დამწერლობა არის არა სპეციფიკური ურარტული, არამედ წმინდა ასურული<sup>4</sup>. შეიძლება საყურადღებო იყოს ის ფაქტიც, რომ ურარტუს მეფეთა მიერ მუსასირის ტერიტორიაზე დატოვებული და ჩვენამდე მოღწეული ორი წარწერიდან ორივე ასურულ-ურარტულ ბილინგვებს წარმოადგენს (ქელიშინისა და თოფუზავას ორენოვანი წარწერები). ეს მარტო იმით როდი შეიძლება აიხსნას, რომ ეს წარწერები

<sup>1</sup> Rost-ი ამ ღვთაების სახელის წაკითხვაში უპირატესობას აძლევს Bagmaštu—ფორმას (აგრეთვე შესაძლებელი Bagbartu-ს ნაცვლად), რადგანაც იგი ამ სახელის მეორე ნაწილსაც ირანულ ნიშნად ხსნის, maštu-ს ირან. mazda-ს უკავშირებს: Bagmaštu=Baga-mazda (შდრ. Ahura-mazda) იხ. M. Streck-თან, Zeitschr. f. Assyriol., 14, გვ. 130, შენ. 3.

<sup>2</sup> Тугаев. История Древнего Востока, I, 1935, გვ. 120.

<sup>3</sup> მეფეთა საყუთარი სახელების მიხედვით ამას ასვენის, მაგალითად, Jos. Markwart-ი მუსასირის მეზობელი მანას ხალხის შესახებ—„Südarmanien und die Tigrisquellen nach griechischen und arabischen Geographen“, Wien, 1930, გვ. 433.

<sup>4</sup> შდრ. CICH, სვ. 137.



ასურეთთან ახლო მდებარე ტერიტორიაზე იღვმებოდა, არამედ ეგვიპტის ამით ანგარიში ეწეოდა თვით მუსასირში ასურული ენისა და ასურული კულტურის ფართო გავრცელების ფაქტს. ამას გარდა: ცნობილია, რომ ჩვენამდე არ მოაღწია მუსასირის მთავართა არც ერთმა ურარტულმა წარწერამ, მაშინ, როდესაც ჩვენ არა ერთი გვაქვს ასურულ ენაზე მათ მიერ შედგენილი წარწერები. ასურეთის მეფეთა არქივში დაცულია ასურეთის მეფისა თუ დიდ მოხელეთადმი გაგზავნილი, ასურულ ენაზე შედგენილი რამდენიმე წერილი მუსასირის მეფე ურზანას<sup>1</sup>. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მოღწეულია ამავე ურზანას ასურული ფორმისა და ასურული წარწერის მქონე ბეჭედი<sup>2</sup>. შეიძლება ყურადღება მივაქციოთ აგრეთვე თვით მუსასირის ამ მთავრის სახელსაც: ურარტელთა შორის გავრცელებული იყო სახელი „რუსა“. ამ სახელს ურარტუს არა ერთი მეფე ატარებდა (ჩვენთვის ცნობილია: რუსა სარდურის-ძე, რუსა არგიშის-ძე, რუსა ერიმენას-ძე). ასურულ ტექსტებში ეს ურარტული სახელი Urša-ს ფორმით იხმარება<sup>3</sup>. არ არის გამორიცხული, რომ მუსასირის მეფე Urzana-ს სახელში ჩვენ ეს სახელი გვეკონდეს:—na ხური-ურარტულ სამყაროში მეტად ფართოდ გავრცელებულ, საკუთარ სახელთა დაბოლოებას წარმოადგენს, Uza კი რუსა-სახელის ასურულ ფორმასთან (Urša) მეტად ახლო მსგავსებას იჩენს<sup>4</sup>. ამ სახელით ურზანა გვევლინება არა მარტო ასურულ ენაზე (მისი თუ სხვისი სახელით) გაკეთებულ ტექსტებში, არამედ Urzana-ს ფორმითაა მისი სახელი ნახმარი თოფუხაეას ბილინგვის ურარტულ ტექსტშიც. ასე რომ ამ სახელს იგი, როგორც ჩანს, ნამდვილად ამ ფორმით ატარებდა. ამრიგად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მუსასირის ეს ხელისუფალი ატარებდა ურარტულ სახელს ასურულის მიმხრობი ფორმით. თუ ეს ასეა, აქაც ჩვენ, უეჭველია, ასურული გავლენის მნიშვნელოვან ფაქტთან გვექნება საქმე.

შეიძლებაოდა გვეფიქრა, რომ ასურული სამყაროს ასეთი ძლიერი გავლენა მუსასირზე მარტოდენ კულტურული ზეგავლენის შედეგს წარმოადგენს. მაგრამ ჩვენ გვეჩვენება, რომ არ არის გამორიცხული და სავარაუდებელია ეთნიკური შერევის მოვლენაც და იქნებ ასურული გავლენა ამ გზითაც იკვლევდა აქ გზას. სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთგზისაა აღნიშნული, რომ ენით სემიტი ასურელები ანთროპოლოგიურად, ფიზიკური ტიპით, ნარევ ხალხს, სემიტური ელემენტისა და აზიანური მოდგმის ხურიტების შერევის პროდუქტს წარმოადგენენ<sup>5</sup>. ასეთი ნარევი ხალხის ჩამოყალიბებას საფუძველი შეუქმნა იმ უშუალო

<sup>1</sup> Leroy Waterman „Royal Correspondence of the Assyrian Empire“ № 409, 768.

<sup>2</sup> Thureau-Dangin-თან „Une relation de la huitième campagne...“ გვ. XII, შენ. 3.

<sup>3</sup> ასეა ნაწერი რუსა სარდურის-ძის სახელი სარგონ მეფის წარწერებში ყველგან—იხ.

Luckenbill, II, 30, 31, 201, 221, 231, 261, 269, 292, 1181, 1183, 1211—1231, 1261, 1271, 1281, 1291, 1301, 1321, 1331, 1341, 1351, 1361, 1371, 1381, 1391, 1401, 1411, 1421, 1431, 1441, 1451, 1461, 1471, 1481, 1491, 1501, 1511, 1521, 1531, 1541, 1551, 1561, 1571, 1581, 1591, 1601, 1611, 1621, 1631, 1641, 1651, 1661, 1671, 1681, 1691, 1701, 1711, 1721, 1731, 1741, 1751, 1761, 1771, 1781, 1791, 1801, 1811, 1821, 1831, 1841, 1851, 1861, 1871, 1881, 1891, 1901, 1911, 1921, 1931, 1941, 1951, 1961, 1971, 1981, 1991, 2001, 2011, 2021, 2031, 2041, 2051, 2061, 2071, 2081, 2091, 2101, 2111, 2121, 2131, 2141, 2151, 2161, 2171, 2181, 2191, 2201, 2211, 2221, 2231, 2241, 2251, 2261, 2271, 2281, 2291, 2301, 2311, 2321, 2331, 2341, 2351, 2361, 2371, 2381, 2391, 2401, 2411, 2421, 2431, 2441, 2451, 2461, 2471, 2481, 2491, 2501, 2511, 2521, 2531, 2541, 2551, 2561, 2571, 2581, 2591, 2601, 2611, 2621, 2631, 2641, 2651, 2661, 2671, 2681, 2691, 2701, 2711, 2721, 2731, 2741, 2751, 2761, 2771, 2781, 2791, 2801, 2811, 2821, 2831, 2841, 2851, 2861, 2871, 2881, 2891, 2901, 2911, 2921, 2931, 2941, 2951, 2961, 2971, 2981, 2991, 3001, 3011, 3021, 3031, 3041, 3051, 3061, 3071, 3081, 3091, 3101, 3111, 3121, 3131, 3141, 3151, 3161, 3171, 3181, 3191, 3201, 3211, 3221, 3231, 3241, 3251, 3261, 3271, 3281, 3291, 3301, 3311, 3321, 3331, 3341, 3351, 3361, 3371, 3381, 3391, 3401, 3411, 3421, 3431, 3441, 3451, 3461, 3471, 3481, 3491, 3501, 3511, 3521, 3531, 3541, 3551, 3561, 3571, 3581, 3591, 3601, 3611, 3621, 3631, 3641, 3651, 3661, 3671, 3681, 3691, 3701, 3711, 3721, 3731, 3741, 3751, 3761, 3771, 3781, 3791, 3801, 3811, 3821, 3831, 3841, 3851, 3861, 3871, 3881, 3891, 3901, 3911, 3921, 3931, 3941, 3951, 3961, 3971, 3981, 3991, 4001, 4011, 4021, 4031, 4041, 4051, 4061, 4071, 4081, 4091, 4101, 4111, 4121, 4131, 4141, 4151, 4161, 4171, 4181, 4191, 4201, 4211, 4221, 4231, 4241, 4251, 4261, 4271, 4281, 4291, 4301, 4311, 4321, 4331, 4341, 4351, 4361, 4371, 4381, 4391, 4401, 4411, 4421, 4431, 4441, 4451, 4461, 4471, 4481, 4491, 4501, 4511, 4521, 4531, 4541, 4551, 4561, 4571, 4581, 4591, 4601, 4611, 4621, 4631, 4641, 4651, 4661, 4671, 4681, 4691, 4701, 4711, 4721, 4731, 4741, 4751, 4761, 4771, 4781, 4791, 4801, 4811, 4821, 4831, 4841, 4851, 4861, 4871, 4881, 4891, 4901, 4911, 4921, 4931, 4941, 4951, 4961, 4971, 4981, 4991, 5001, 5011, 5021, 5031, 5041, 5051, 5061, 5071, 5081, 5091, 5101, 5111, 5121, 5131, 5141, 5151, 5161, 5171, 5181, 5191, 5201, 5211, 5221, 5231, 5241, 5251, 5261, 5271, 5281, 5291, 5301, 5311, 5321, 5331, 5341, 5351, 5361, 5371, 5381, 5391, 5401, 5411, 5421, 5431, 5441, 5451, 5461, 5471, 5481, 5491, 5501, 5511, 5521, 5531, 5541, 5551, 5561, 5571, 5581, 5591, 5601, 5611, 5621, 5631, 5641, 5651, 5661, 5671, 5681, 5691, 5701, 5711, 5721, 5731, 5741, 5751, 5761, 5771, 5781, 5791, 5801, 5811, 5821, 5831, 5841, 5851, 5861, 5871, 5881, 5891, 5901, 5911, 5921, 5931, 5941, 5951, 5961, 5971, 5981, 5991, 6001, 6011, 6021, 6031, 6041, 6051, 6061, 6071, 6081, 6091, 6101, 6111, 6121, 6131, 6141, 6151, 6161, 6171, 6181, 6191, 6201, 6211, 6221, 6231, 6241, 6251, 6261, 6271, 6281, 6291, 6301, 6311, 6321, 6331, 6341, 6351, 6361, 6371, 6381, 6391, 6401, 6411, 6421, 6431, 6441, 6451, 6461, 6471, 6481, 6491, 6501, 6511, 6521, 6531, 6541, 6551, 6561, 6571, 6581, 6591, 6601, 6611, 6621, 6631, 6641, 6651, 6661, 6671, 6681, 6691, 6701, 6711, 6721, 6731, 6741, 6751, 6761, 6771, 6781, 6791, 6801, 6811, 6821, 6831, 6841, 6851, 6861, 6871, 6881, 6891, 6901, 6911, 6921, 6931, 6941, 6951, 6961, 6971, 6981, 6991, 7001, 7011, 7021, 7031, 7041, 7051, 7061, 7071, 7081, 7091, 7101, 7111, 7121, 7131, 7141, 7151, 7161, 7171, 7181, 7191, 7201, 7211, 7221, 7231, 7241, 7251, 7261, 7271, 7281, 7291, 7301, 7311, 7321, 7331, 7341, 7351, 7361, 7371, 7381, 7391, 7401, 7411, 7421, 7431, 7441, 7451, 7461, 7471, 7481, 7491, 7501, 7511, 7521, 7531, 7541, 7551, 7561, 7571, 7581, 7591, 7601, 7611, 7621, 7631, 7641, 7651, 7661, 7671, 7681, 7691, 7701, 7711, 7721, 7731, 7741, 7751, 7761, 7771, 7781, 7791, 7801, 7811, 7821, 7831, 7841, 7851, 7861, 7871, 7881, 7891, 7901, 7911, 7921, 7931, 7941, 7951, 7961, 7971, 7981, 7991, 8001, 8011, 8021, 8031, 8041, 8051, 8061, 8071, 8081, 8091, 8101, 8111, 8121, 8131, 8141, 8151, 8161, 8171, 8181, 8191, 8201, 8211, 8221, 8231, 8241, 8251, 8261, 8271, 8281, 8291, 8301, 8311, 8321, 8331, 8341, 8351, 8361, 8371, 8381, 8391, 8401, 8411, 8421, 8431, 8441, 8451, 8461, 8471, 8481, 8491, 8501, 8511, 8521, 8531, 8541, 8551, 8561, 8571, 8581, 8591, 8601, 8611, 8621, 8631, 8641, 8651, 8661, 8671, 8681, 8691, 8701, 8711, 8721, 8731, 8741, 8751, 8761, 8771, 8781, 8791, 8801, 8811, 8821, 8831, 8841, 8851, 8861, 8871, 8881, 8891, 8901, 8911, 8921, 8931, 8941, 8951, 8961, 8971, 8981, 8991, 9001, 9011, 9021, 9031, 9041, 9051, 9061, 9071, 9081, 9091, 9101, 9111, 9121, 9131, 9141, 9151, 9161, 9171, 9181, 9191, 9201, 9211, 9221, 9231, 9241, 9251, 9261, 9271, 9281, 9291, 9301, 9311, 9321, 9331, 9341, 9351, 9361, 9371, 9381, 9391, 9401, 9411, 9421, 9431, 9441, 9451, 9461, 9471, 9481, 9491, 9501, 9511, 9521, 9531, 9541, 9551, 9561, 9571, 9581, 9591, 9601, 9611, 9621, 9631, 9641, 9651, 9661, 9671, 9681, 9691, 9701, 9711, 9721, 9731, 9741, 9751, 9761, 9771, 9781, 9791, 9801, 9811, 9821, 9831, 9841, 9851, 9861, 9871, 9881, 9891, 9901, 9911, 9921, 9931, 9941, 9951, 9961, 9971, 9981, 9991, 10001.

<sup>4</sup> Hüsing-ი და Rost-ი ცდილობენ ურზანას სახელი ირანული ენის მონაცემებით ახსნან—იხ. M. Streck-თან Zeitschr. f. Assyriol., 15, გვ. 357 შენ. 1. Streck-ის აზრით, ურზანაში ჩვენ იგივე ურსა-სახელი უნდა გვეკონდეს—Zeitschr. f. Assyriol., 14, გვ. 124.

<sup>5</sup> შდრ. მაგ. A. Götze, Hethiter, Churriter und Assyrer, 1936, გვ. 117 და სხვ.

მეზობლობამ და ინტენსიურმა ურთიერთობამ, რომელიც არსებობდა მრავალი საუკუნის მანძილზე სემიტ ასურელებსა და მათ ჩრდილოეთით მცხოვრებ ხური-ურარტულ ტომებს შორის. ასეთი შერევისათვის ყველაზე უკეთეს ასპარეზს, ცხადია, ის სასახლო სფეროები წარმოადგენდა, სადაც ერთმანეთს უშუალოდ ემეზობლებოდნენ ხური-ურარტუსა და ასურეთის ტომები. ერთ-ერთ ასეთ ტერიტორიას წარმოადგენდა სწორედ მუსასირის ტერიტორია. ასეთი ვითარების გამო არა. გამორიცხული, რომ მუსასირის ხური-ურარტულ მოსახლეობაში ასურული ეთნიკური ელემენტის გარკვეული ნაკადი გაჩენილიყო, რომელიც თანდათან ალბათ უფრო მრავალრიცხოვან ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფებოდა, ასიმილაციას განიცდიდა. მუსასირში ასურული კულტურისა და ასურული ენის მძლავრად ფეხმოკიდება, რის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით, იქნებ ასეთი ეთნიკური შერევის ფაქტიდანაც მოდიოდეს.

ამრიგად, გვიანდელ ხანაში მუსასირში რაღაც ნარევი ეთნიკური შემადგენლობის მოსახლეობას ვხვდებით, სადაც ხური-ურარტულ ელემენტთან ერთად საკარაუდებელია ირანული, ასურული და შეიძლება კიდევ სხვა ეთნიკური ელემენტის არსებობა (არა ურთიერთისაგან გათიშულად, არამედ გათქვეფილი, ასიმილირებული სახით). როგორც ვხედავთ არა მარტო რელიგიისა და კულტურის სფეროში, არამედ, შეიძლება ვიფიქროთ, ეთნიკურადაც, გვიანდელი ხანის მუსასირი ამ დროს ურარტუსაგან განცალკევებით დგას, თავისებურ იერს ატარებს. საეჭვოა, რომ მუსასირი ასეთ დროს, ასეთი ვითარებისას გამხდარიყო ურარტუს ხალხის წმინდა ქალაქი, უზენაესი ღვთაების კულტის ცენტრი. ეს ალბათ იმ უძველეს ხანაში მოხდა, როდესაც მუსასირის ტერიტორია წმინდა ურარტულ მოსახლეობას, მერმინდელი ურარტუ-ბაინას საშფოს ჰეგემონი ტომის უშუალო წინაპარ ხალხს ეკავა. უძველეს ხანებში მუსასირის ტერიტორია ალბათ ურარტული ტომების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა, რაკი იგი უკვე შეტად ადრეულ ხანებში გამხდარა ურარტუს ხალხის რელიგიურ-კულტურული ცხოვრების უმთავრეს კერად. შემდგომ დროთა ვითარებაში, მუსასირის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა უცხო (ირანული, ასურული და სხვ.) საშყაროსთან ახლო მეზობლობის გამო, ადვილად ექვემდებარება უცხო გავლენას, როგორც ჩანს, იღებს ირანულ, ასურულ და სხვ. უცხო ელემენტის გარკვეულ ნაკადს და რელიგია-კულტურის სფეროშიც ბევრ ახალ რამეს ითვისებს. ეს მაშინ, როდესაც უძველესი ხანის მუსასირის ეთნიკური, რელიგიურ-კულტურული ტრადიციები უფრო წმინდად შემოინახა მუსასირის გარეთ გადასროლილ თუ თავიდანვე მის გარეშე მცხოვრებ მკრძინდელი ურარტუ-ბაინას მოსახლეობაში.

ამრიგად, მუსასირთან დაკავშირებულ ფაქტების გარჩევით ირკვევა, რომ მუსასირის ტერიტორია უძველეს ხანებში ურარტული ტომების უმნიშვნელოვანეს კერას და მათი რელიგიურ-კულტურული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. ზემოთ ჩვენ ურარტულ ტექსტებში ლულუს ხალხის სახელის „მტრის, მტრულის“ მნიშვნელობით ხმარების ფაქტის გარჩევისას დავასკვნით, რომ ურარტული ტომების უძველესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი—ლულუს ხალხთან ინტენსიური მტრობა—ომიანობის ფაქტი—აგრეთვე დაა-

ხლოებით ამავე რაიონს—ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონს უკავშირდება. ასე რომ ყველა ზემოთქმული ფაქტის მიხედვით ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონი უძველეს ხანებში მოჩანს ურარტული ტომების უმთავრეს, უმნიშვნელოვანეს კერად, მათი პოლიტიკური და რელიგიურ-კულტურული ცხოვრების ცენტრად<sup>1</sup>.

### 3. სალმანასარ I-ის წარწერათა URUATRI

საკულისხმოა, რომ ანურელებიც ურარტულ ტომებს პირველად შეხვდნენ, როგორც ჩანს, ამავე ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, იმ რაიონში, რომელსაც ჩვენ ზემოთქმული ფაქტების მიხედვით ვკულისხმობთ უძველეს ხანებში ურარტული ტომების პოლიტიკური და რელიგიურ-კულტურული ცხოვრების უმთავრეს კერად, ცენტრად.

Urartu-ს სახელი Uruatri-ს ფორმით პირველად ასურულ წყაროებში სალმანასარ I-ის (დაახ. 1280—1255 წ. ე-მდე) დროს გვხვდება. თავის წარწერებში სალმანასარ I მოგვითხრობს Uruatri-ს ქვეყანაში მისი ლაშქრობისა და რვა სხვადასხვა ქვეყნის დაპყრობის შესახებ (Luckenbill, I, 114). სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული სალმანასარ I-ის Uruatri-ს ადგილსამყოფელის შესახებ<sup>2</sup>. ჩვენი აზრით, სალმანასარ I-ის წარწერათა ურუატრი მდ. ზედა ზაბის ზემო დინებისა ანდა მის მახლობლად მდებარე რაიონში, ე. ი. ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა საქმენი. ამას გვაფიქრებინებს ჩვენ ასურული წყაროების რიგი მონაცემები.

სალმანასარ I-ის ურუატრის ადგილსამყოფელის ძიებისას, ცხადია, გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია (თუკი ეს მოხერხდება) იმ „ქვეყნების“ მდებარეობაში გარკვევას, რომლებსაც სალმანასარ I ასახელებს როგორც ურუატრ-

<sup>1</sup> შესაძლებელია ამავე მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობდეს ისიც, რომ ხალდის კულტის ცენტრ მესასირთან ურთად ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით უნდა ყოფილიყო ღვთაება თეიშებას (რომელსაც პანთეონში მეორე ადგილი ეკავა) კულტის უმთავრესი ცენტრიც. სხვა ადგილას („ურარტუს უზენაეს ღვთაებათა კულტის ცენტრები“—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 6, 1946) ნაჩვენებია ვეაქეს, რომ თეიშებას კულტის უმთავრეს ცენტრს ქალაქი Kumuenu (=ასურული წყაროების, მაგალითად ადადნიარა II-ის წარწერების, „ქალაქი Kumme“) წარმოადგენდა, რომელიც ვანის ტბის სამხრეთით, სადღაც ასურეთის მახლობლად უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია მოჩანს ამ ქალაქის ადგილმყოფელობის უფრო ზუსტი განსაზღვრაც: ვიმოდ ფორერი ადადნიარა II-სთან მოხსენებულ ქალ. Kumme ს ასურული წყაროების Kummani-ს ქვეყანას უკავშირებს, ფიქრობს, რომ იგი Kummani-ს ქვეყანაში უნდა ყოფილიყო (Reallexikon der Assyriologie, ტომი I, გვ. 295), Kummani-ს ქვეყანა კი მდ. ზედა ზაბის შუა დინების რაიონში მდებარეობდა (იქვე, გვ. 282). თეკი ქალაქ Kumme-ს Kummani-ს ქვეყანას დაეუკავშირებო, გამოვა, რომ ურარტულთა ღვთაება თეიშებას კულტის უმთავრესი ცენტრი Kumuenu—Kumme მდ. ზედა ზაბის შუა დინების რაიონში, ე. ი. სადმე ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონშია საქმენი. ამ ფაქტშიც კიდევ ერთხელ მედავადება ურარტული ხალხის მჭიდრო კავშირი (კულტურულ-რელიგიური ტრადიციებისა თუ სხვ. მხრით) სამხრეთთან, ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონთან.

<sup>2</sup> მაგალითად, Weidner-თან, Die Inschr. der altassyrischen Könige, გვ. 113, შენ. 9; C. F. Lehmann-Haupt, Armenien einst und jetzt, II, 3, 1931, 850; Emil Forrer-თან Reallexikon der Assyriologie, ტ. I, გვ. 265 და სხვ.

რის შემადგენელ ნაწილებს, ურუატის ქვეყნებს. სალმანასარ I თავის ზემოხსენებულ წარწერაში ურუატრის 8 სხვადასხვა ქვეყანას ასახელებს: *mātḪi-im-me mātU-at-ku-un mātMaš(Bar)-gu-un mātSa-lu-a mātḪa-li-la mātLu-ḫa mātNi-li-pa-ḫi-ri u mātZi-in-gu-un*<sup>1</sup>. ამთავან ჩვენ ურადლებას იქცევს *Ḫi m m e-სა* და *Lu ḫ a-ს* ქვეყნები. ეს ორი ქვეყანა დასახელებულია აგრეთვე ტიგლათფილესერ I-ის (1115—1089) ტექსტებში: ტიგლათფილესერ I მოგვითხრობს, რომ მან გაილაშქრა *Ḫabḫi-ს* ქვეყანაში მდებარე *Sugi-ს* ქვეყანაში, დაამარცხა აქ *Ḫime-ს* *Lu ḫ i-ს*, *Ariḡri-ს*, *Alamun-ის*, *Nimni-ს* ქვეყნებისა და *Ḳurū-ს* ხალხის ლაშქარი, დაარბია მათი მიწა-წყალი და სხვ. თხრობის დასასრულს ასურეთის მეფე იკვების, რომ მან მთლიანად დაიმორჩილა *Sugi-ს* ქვეყანა<sup>2</sup>. ძნელია დაეჭვება იმაში, რომ ტიგლათფილესერ I-ის *Sugi-ს* ქვეყნის *Ḫime* და *Lu ḫ i* იგივე სალმანასარ I-ის ურუატრის *Ḫimme* და *Lu ḫ a* უხდა იყოს: გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ორივეგან ეს ორი ქვეყანა ასე წყვილადაა დასახელებული და ამასთანავე ისინი თანაბარი ოდენობის ერთეულებად მოჩანან: ტექსტების შონაცემებით, სალმანასარ I-ის *Ḫimme* და *Lu ḫ a* ისეთივე მცირე ერთეულებია, როგორც ტიგლათფილესერ I-ის *Ḫime* და *Lu ḫ i*. ამიტომ, თუკი შევძლებთ დავადგინოთ, თუ სად უნდა ყოფილიყო *Sugi-ს* ქვეყნის *Ḫime* და *Lu ḫ i*, გვეცოდინება, სადაა საძებნი სალმანასარ I-ის *Ḫimme* და *Lu ḫ a* და მაშასადამე თვით ურუატრის ქვეყანა.

ტიგლათფილესერ I საურადლებო ცნობას გვაწვდის *Sugi-ს* ქვეყნის შესახებ (რომლის შემადგენელ ნაწილებადაც იგი ასახელებს ჩვეთვის საინტერესო *Ḫime-სა* და *Lu ḫ i-ს* ქვეყნებს). იგი ამბობს, რომ *Sugi-ს* ქვეყანა *Ḫabḫi-ს* ქვეყანაში<sup>3</sup> მდებარეობდა (წარწერა პრიზმაზე, სვ. IV, სტრ. 8: *mātSu-gi ša mātḪab-ḫi*). *Ḫabḫi-ს* ქვეყანას ეკავა ტერიტორია მდ. ტიგროსსა და ვანის ტბას შორის დასავლეთით ვიდრე ქალ. დიარბექირამდე, აღმოსავლეთით კი მას ეკუთვნოდა ზაგროსის მთიანეთის მხიშვნელოვანი ნაწილი ნინევიის ჩრდილო-აღმოსავლეთით<sup>4</sup>.

<sup>1</sup> E. Ebeling, B. Meissner, E. F. Weidner. „Die Inschriften der altassyrischen Könige“, 1924, გვ. 114.

<sup>2</sup> იხ. წარწერა პრიზმაზე, სვ. IV, სტრ. 7—31: *i-na gi-biš e-mu-ḡi ša ḪA-šur be-li-ia a-na mātSu-gi ša mātḪab-ḫi la ka-ni-šur ḪA-šur be-li-ia (lu) al-ḫik it-ti 6000 um-ma-na-te-šu-nu mātḪi-me mātLu-ḫi mātA-ri-ir-gi mātA-la-mu-un mātNim-ni u ku-lat mātḲur-ḫi-i rapšū-ti i-na ḡadḫi-ri-ḫi eḫli nam-ra-ḡi ša ki-ma zi-ḫip paḫri šam-ḡu it-ti kul-lat mātāti-šu-nu i-na šēpi-ia lu-u am-da-ḫi-ḫy a-bi-ik-ta-šu-nu lu aš-kun...* *mātSu-gi a-na si-ḫir-ti-ša ak-šud...* და სხვ. (მდრ. Luckenbill, I<sub>232</sub>).

<sup>3</sup> უკანასკნელ დრომდე ამ ქვეყნის სახელს კითხულობდნენ *Kirḫi-ს* ანდა *Kilḫi-ს* ფორმით. ლურსმულის იმ ხიზანს, რომლითაც ჩვეულებრივ იწერება ამ ქვეყნის სახელის პირველი მარცვალი, მართლაც შეიძლება ჰქონდეს მიიხვედლობები: *ki, kir, ḫab* და კიდევ ბევრი სხვა (იხ. *Deitzsch-თან № 282*). მაგრამ E. Forrer-მა უწაადლება მიაქცია რიგ ტექსტებს, სადაც გვაქვს დაწერილობა *Ḫa-ab*, რაც უეჭველს ზდის იმაზე, რომ ეს სახელი *Ḫabḫi-ს* საბით უნდა იქნეს წაკითხული (*Reallexikon der Assyriologie*, I, გვ. 281). E. Forrer-ის ამ მტკიცებას იზიარებს აგრეთვე ცნობილი ასოროლოგი ვაიდნერი—იხ. მისი „*Aus den Tagen eines assyrischen Schattenkönigs*“, *Archiv für Orientforschung*, Band, X, Heft 1/2, 1935, გვ. 20.

<sup>4</sup> იხ. Max. Streck „*Das Gebiet der heutigen Landschaften Armenien, Kurdistan und Westpersien nach den babylonisch-assyrischen Keilschriften*“, *Zeitschr. f. Assyr.*, 13, გვ. 101.

სარგონ II-ის ტექსტებით ირკვევა რომ ხაზხის ქვეყნის ტერიტორია სხვათა შორის მდ. ზედა ზაბის რაიონშიც მდებარეობდა. თავის მე-8 ლაშქრობის ანგარიშში სარგონს მოეპოება ასეთი თქმა: „მდინარე ზედა ზაბი, რომელსაც ნაირისა და ხაზხის ხალხი ელამუნას ეძახის, მე გადავიარე“<sup>1</sup>. ექვს გარეშეა, რომ სარგონი აქ იძლევა ზედა ზაბის ადგილობრივ სახელს, სახელს, რომელსაც უწოდებდა ამ მდინარეს ზედა ზაბის რაიონში მცხოვრები ხაზხისა და ნაირის ხალხი. ამრიგად ირკვევა, რომ ზედა ზაბი ხაზხის ტერიტორიაზეც დიოდა. ცხადია, რომ Elamunia-ს სახელი ზედა ზაბს უნდა მიეკუთვნოს მხოლოდ მის ზემო წელში, როდესაც იგი ნაირისა და ხაზხის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა<sup>2</sup>.

ტიგლათფილესერ I Mušri-ს ქვეყანაში ლაშქრობისას იხსენიებს მსგავსი სახელის მქონე მთას — Elamuni-ს<sup>3</sup>. მუსრის ქვეყანას ნინევიის აღმოსავლეთითა თუ ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას უკავშირებენ<sup>4</sup>. E. Forrer-ის მიხედვით მას ეკავა ტერიტორია ზედა ზაბის შუა დინებასა და ნინევიას შორის<sup>5</sup>. თუ ეს ასეა, მაშინ ტიგლათფილესერ I-ის მორ მუსრის ქვეყანაში ლაშქრობისას დასახელებული მთა Elamuni-ც სადმე ნინევიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ზედა ზაბის (ელამუნას) ანდა მის მახლობლად მდებარე რაიონში უნდა ყოფილიყო. ამიტომ ჩვენ უკვე შემთხვევითად არ გვეჩვენება მისი სახელის მსგავსება მდინარე ელამუნას სახელთან, როგორც ჩანს, ასურულ წყაროებში თავს იჩენს ამ სახელის ერთგვარი კონცენტრაცია ნინევიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში (მთა, მდინარე). ამის გამო საყურადღებოდ გვეჩვენება, რომ Sugi-ს ქვეყნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, „ქვეყანა Alamun-ი“, მსგავს სახელს ატარებს. წყაროების მონაცემებით სავსებით შესაძლებელია, რომ Sugi-ს ქვეყანა ამ თავისი შემადგენელი ნაწილით (Alamun-ის ქვეყნიანად) სადმე ამავე რაიონში ყოფილიყო: 1) როგორც ზემოთ დავინახეთ, მდ. ელამუნაც (ზედა ზაბის ზემო დინება) და Sugi-ს ქვეყანაც ხაზხის ქვეყანას უკავშირდება: ელამუნია ხაზხის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, Sugi-ს ქვეყანა კი ხაზხის შემადგენელ ნაწილადაა დასახელებული ტიგლათფი-

Landsberger-Bauer-თან: Zeitschr. f. Assy. 37, გვ. 75; Boudou-სთან: Orientalia, 36—38, გვ. 102; შდრ. Weidner-თან, Archiv für Orientforschung, Band X, Heft 1/2, 1935, გვ. 20.

<sup>1</sup> ლეგროს ფირფიტა, სვ. III, სტრ. 323, nārZa-ban elu-ù šà nišē nārNa-1-ri ù mātJab-ḫi nārE-la-mu-ni-a i-ḫab-bu-šú-ni e-te-bir. შდრ. Luckenbill, II<sup>110</sup>.

<sup>2</sup> Thureau-Dangin, Une relation de la huitième campagne de Sargon, გვ. XVI.

<sup>3</sup> წარწერა პრიზმაზე, სვ. V, სტრ. 67 შმდ. a-na ka-šad māt Mu-uš-ri iLA-šur bēlu u-ma'-ra-ni-ma bir-ti šadE-la-mu-ni šadTa-la u šadJā-ru-sa lu aš-bat mātMu-uš-ri-a-na si-ḫir-ti-sa ak-šud. შდრ. Luckenbill, I<sup>211</sup>. სპეციალურ ლიტერატურაში ამ ტექსტის šad Elamuni-ს უკავშირებენ ამავე ტიგლათფილესერ I-ის ნაირის ლაშქრობის მადElama-ს (სვ. IV სტრ. 58), იხ. M. Streck-თან, Zeitschr. f. Assy., 13, გვ. 64; აგრეთვე Reallexikon der Assyriologie, ტ. II, გვ. 354. šadElamuni-ს სახელის განსხვავება nārElamunia-ს სახელთან სრულიად უმნიშვნელო გვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ მაგალითად, ურარტელების ILUḫaldi სარგონის ასურულ ტექსტებში ILUḫaldia-ს სახით გვევლინება.

<sup>4</sup> E. Meyer-თან: Geschichte des Altertums, II<sup>1</sup>, 1928, გვ. 474; იგივე თხზულება II<sup>1</sup>, 1931, გვ. 379—380, 392, 411 და სხვ.

<sup>5</sup> Reallexikon der Assyriologie, I, გვ. 150; იხ. იქვე გვ. 265, 282; შდრ. ამავე Forrer-თან: Die Provinzeinteilung des assyrischen Reiches, 1920, გვ. 35.

ლესერ I-თან. 2) Sugi-ს ქვეყნის ადგილსამყოფელის განსაზღვრისათვის საყურადღებოა თვით ტიგლათფილესერ I-ის იმ ლაშქრობის მარშრუტის გათვალისწინება, რომლის დროსაც დალაშქრა მან Sugi-ს ქვეყანა: Sugi-ს ქვეყანაზე გალაშქრების წინ ტიგლათფილესერ I მდ. ქვედა ზაბის რაიონში მოქმედებს, იპყრობს აქ Murattas-ისა და Saradaus-ის ქვეყნებს<sup>1</sup>. ამის შემდეგ იგი მოგვიტოვრობს (ალბათ მეზობლად მდებარე) Sugi-ს ქვეყნის წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ. ამ ლაშქრობისას ტიგლათფილესერ I-ს მუდამ მთიან ადგილებში უხდება მოქმედება, რაც, მდ. ქვედა ზაბის ხსენებასთან ერთად, მივციოთებს იმაზე, რომ აქ საქმე ეხება ალბათ ასურეთის აღმოსავლეთით მდებარე ზაგროსის მთიანეთის ერთ-ერთ რაიონს. ის ფაქტი კი, რომ ტიგლათფილესერ I-თან Sugi-ს ქვეყანა საკმაოდ ჩრდილოეთით მდებარე Hahsi-ს ქვეყნის შემადგენელ ნაწილდაა დასახელებული, უეჭველს ხდის იმას, რომ ასურეთის მეფეს Sugi-ს ქვეყანა უნდა დაელაშქრა მდ. ქვედა ზაბის რაიონიდან ჩრდილოეთის მიმართულებით სვლისას. ამ ფაქტების წიხედვით აშკარაა, რომ Sugi-ს ქვეყანა დაახლოებით მართლაც ზედა ზაბის ან მის მახლობლად მდებარე რაიონში უნდა ყოფილიყო. ამიტომაცაა სწორედ საყურადღებო ის ფაქტი, რომ Sugi-ს ქვეყნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი Alamun-ი ზედა ზაბის (ალბათ ზემო დინების) ადგილობრივ სახელთან (ელამურია) და აგრეთვე მთა ელამურის სახელთან ახლო მსგავსებას იჩენს. სწორედ ამიტომაცაა სავარაუდებელი, რომ აქ ჩვენ სახელთა შემთხვევით მსგავსებასთან არ გვაქვს საქმე: საფიქრებელია, რომ ტიგლათფილესერ I-ის წარწერების „მთა ელამური“-ც და იმავე ტიგლათფილესერის „ქვეყანა Alamun“-იც მდ. Elamunia-ს (ზედა ზაბის ზემო დინების) ანდა მის მახლობლად მდებარე რაიონში ყოფილიყოს. შესაძლებელია აქ ჩვენ ამ სახელის მატარებელ ეთნიკურ ერთეულთან გვაქვს (ანდა გვქონდა) საქმე, რომლის სახელიც ასე ბევრ რამეში იჩენს თავს (მდინარე, მთა, ქვეყანა...).

თუკი Sugi-ს ქვეყნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, Alamun-ი, ზედა ზაბის ზემო დინების რაიონშია საძებნი, აქვეა საძებნი Sugi-ს სხვა შემადგენელი ნაწილებიც: Nimni, Arigi და ჩვენთვის საინტერესო Hime და Luhi, რაკი ამ „ქვეყნების“ სახით ჩვენ, უეჭველია, საკმაოდ მცირე ერთეულებთან გვაქვს საქმე (ყველა მათ, როგორც ტიგლათფილესერ I აზნობს, სულ 6000 კაცი გამოიყვანეს მის წინააღმდეგ). ზემოთ ჩვენ დავასკვნით, რომ სალმანასარ I-ის ურუატრის Hime და Luhi იგივე ტიგლათფილესერ I-ის Hime და Luhi უნდა იყოს, ხოლო რაკი ეს უკანასკნელნი ზედა ზაბის ზემო დინების რაიონში უნდა ყოფილიყვნენ, აქვეა საძებნი, ცხადია, სალმანასარ I-ის წარწერათა ურუატრის Hime-სა და Luhi-ს ადგილსამყოფელიც, სულ სალმანასარ I ურუატრის 8 ასეთ ქვეყანას ასახელებს, ამასთანავე თბრობის დასასრულს დასძენს, რომ მან სამი დღის განმავლობაში დაიმორჩილა ურუატრის მთელი ქვეყანა, რაც იმაზე

<sup>1</sup> წარწერა პრიზმაზე, სვ. III, სტრ. 96 შვდ.: ... nārZa-ba šu-pa-la-a lu e-bir mātMu-rat-taš mātSa-ra-da-uš ša ki-riš šadA-sa-ni-u šadA-ju-ma ešli nam-ra-zi (lu) ak-šud... და სხვ. შდრ. Luckenbill, I 222. ამ ქვეყნების ადგილსამყოფელის შესახებ იხ. M. Streck-თან Zeitschr. f. Assyriol., 15, 1900, გვ. 261; E. Forrer-თან Die Provinzeinteilung des assyr. Reiches. გვ. 42, აგრეთვე Reallexikon der Assyriologie, I, გვ. 281 და სხვ.



მიგვიითობს, რომ სალმანასარ I-ის „ურუატრის მთელ ქვეყანაში“ საქმოდ მცირე ტერიტორია უნდა იგულისხმებოდეს<sup>1</sup>. ამიტომ Himme-სა და Luha-ს მეზობელი, ურუატრის დანარჩენი, სალმანასარ I-ის მიერ ჩამოთვლილი, ქვეყნები სადმე მათ მახლობლად უნდა ყოფილიყვნენ და სალმანასარ I-ის ეს „ურუატრის მთელი ქვეყანა“, ისევე როგორც მისი შემადგენელი ნაწილები Himme და Luha, საძებნაა მდ. ზედა ზაბის ზემო დინებისა ანდა მის მახლობლად მდებარე რაიონში, ე. ი. სადმე ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით<sup>2</sup>.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ასურულ წყაროებში ურარტუს სახელი პირველად ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას უკავშირდება. ასურელები ურარტულ ტომებთან პირველად ურთიერთობას იჭერენ ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, სადმე მუსასირა-არდინის მეზობლად მდებარე რაიონში, ე. ი. იქ, სადაც ჩვენ განხილული ფაქტების მიხედვით (ლულუს ხალხთან ურთიერთობა, მუსასირა—ურარტული ხალხის უზენაესი ღვთაების კულტის ცენტრი და სხვ.) გულისხმობთ უძველეს ხანებში ურარტული ტომების პოლიტიკური და რელიგიურ-კულტურული ცხოვრების ცენტრს, უმთავრეს კერას.

ამ ფაქტების მიხედვით შეიძლება იმიზე მტკიცებაც, რომ ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონი უძველეს ხანებში ურარტულ—ბიანის სახელთან დაკავშირებული ეთნიკური ელემენტის ერთადერთ კერას წარმოადგენდა და მეზობელ ადგილებში, ვანის ტბის ირგვლივ მდებარე რაიონში, ამ ხალხის გავრცელება მხოლოდ შემდგომი დროის მოვლენა უნდა იყოს. მაგრამ ამის თქმა კატეგორიულად ჯერჯერობით შეუძლებლად მიგვაჩნია.

<sup>1</sup> ეს ფაქტი ხაზგასმული აქვს Ed. Meyer-ს, —Geschichte des Altertums, II, გვ. 476 შენ. 2. ასეთივე აზრისაა E. Forrer-იც: Reallexikon der Assyriologie, ტ. I, გვ. 265.

<sup>2</sup> ზემოთ ჩვენ „მთა ელამნის“ შემოღობით მუსრის ქვეყნის სალმანასარ I-ის ურუატრისთან სიახლოვის აზრამდე მივდივით; ეს მოვლენა თითქოს სხვა გზითაც იჩენს თავს: იგივე სალმანასარ I, მაგალითად, ურუატრის ქვეყანაში მისი გალაშქრების ამბავს უშუალოდ აცოლებს მის მიერ ქალაქ Arina-ს (რომელიც მუსრის ქვეყანაში მდებარეობდა—იხ. ტივლათულისერ I-თან წარწერა პრიზმაზე, სვ. V, სვ. სტრ. 77) დარბევა-დანგრევისა და „მუსრის მთელი ქვეყნის“ დამორჩილების ამბავს (Luckenbill, I, 111—113). მუსრის ქვეყანა სალმანასარ I-მა ალბათ ურუატრის ქვეყნიდან დაბრუნებისას დალაშქრა (თუკი აქ მართლა ერთი დასახლების ამბების გაბმულ თხრობასთან გვაქვს საქმე). ასე ესმის ამ ტექსტის მონაცემები, უძველესია, E. Forrer-საც, როდესაც აღნიშნავს, რომ სალმანასარ I-თან ნახსენები ქალ. Arini ურუატრისა და მუსრის ქვეყნებს შორის მდებარეობდა (Reallexikon der Assyriologie, ტ. I, გვ. 265).

ზემოთ ჩვენ დავასკვნით, რომ ურარტულთა ღვთაება თეიმშბას კულტის უმთავრესი ცენტრი ქალაქი Kumeni-Kumme ასურული წყაროების Kummani-ს ქვეყანაში უნდა ყოფილიყო: Kummani-ს ქვეყანა კი Musri-ს ქვეყნის მეზობლად, მის ჩრდილოეთით მდებარეობდა (Reallexikon der Assyriologie), ზედა ზაბის შუა წელის რაიონი გვაქვ; ამ გზითაც მტკიცდება მუსრისა და ურარტუს მეზობლობის ფაქტი, რაც, ვფიქრობთ, კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის ურუატრის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით ჩვენს ზემოთ მსჯელობას.

ურარტულ ტექსტებზე მითითებისას ნახმარი შემოკლებანი

გ. წერეთელი = გ. წერეთელი — საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები.

CICH = Corpus Inscriptionum Chaldicarum.

Sayce = A. H. Sayce-ს მიერ გამოცემული ურარტული ტექსტები Journal of the Royal Asiatic Society-ის სხვადასხვა ნომერში.

Tsereth. = M. Tseretheli — Die neuen chaldischen Inschriften König Sardurs von Urartu, 1928.

### 3. უმთხრამი

## ქართველი მოღვაწენი მრანის კულტურულ ასპარეზზე

XVI—XVII სს განსაკუთრებით მძიმე ხანა იყო საქართველოს ისტორიაში. ჩვენმა ქვეყანამ ამ საუკუნეებში ზედიზედ განიცადა მრავალი შემოსევა მტრის ჯარებისა, რომელნიც არაუფერს ზოგავენენ, რომ საქართველოში თავის ბატონობა შეენარჩუნებინათ. ქართველი ხალხი შემოსეული მტრის წინააღმდეგ თავდადებულ ბრძოლებში იხოცებოდა. ქალაქები და სოფლები ნადგურდებოდა, ქვეყანა უკაცრიელდებოდა, მაგრამ ჩვენი ხალხის ნებისყოფა უდრეკი რჩებოდა და თავისუფლების დაცვის სურვილი არ იშრიტებოდა.

მიუხედავად ასეთი არახელსაყრელი პირობებისა, ქართველი ხალხის შემოქმედებითი უნარი არ ამოწურულა და ის ამ უნარს იჩენდა არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ იმ ქვეყნებშიაც, რომლებთანაც პოლიტიკური ბედის ტრიალმა დააკავშირა ხსენებულ საუკუნეებში ჩვენი ქვეყანა, სახელდობრ, ერანში.

XVI—XVII სს ჩვენ ვხედავთ ერანში მრავალ ქართველს სამხედრო, ადმინისტრაციულ და სხვა სამოქალაქო სამსახურის მაღალ თანამდებობაზე, რომელთაც ისტორიაში დარჩათ გამოჩენილი მხედართმთავრების, კვიანი და ენერგიული ადმინისტრატორ-მმართველების და მსაჯულების სახელი. XVIII საუკუნეში ერანში ერთ-ერთ განსაკუთრებით გამოჩენილ და გავლენიან პიროვნებას წარმოადგენდა როსტომ-ხან (როსტომ-ბეგ) სააკაძე, რომელსაც ვიცნობთ, როგორც ქართული, ისე სპარსული წყაროებიდან. სპარსულ საისტორიო მწერლობაში არსებობს სეფიანთა ერთ-ერთი ისტორიკოსთაგანის „ბიჯანის“ საისტორიო ნაშრომი, ამ გამოჩენილი პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი. ბრიტანეთის მუზეუმში ინახება ჯერჯერობით ერთადერთი ხელნაწერი ამ შრომისა, რომელშიაც ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს როსტომ ბეგის (აგრეთვე როსტომ-ხანად ცნობილის) ბიოგრაფიას ერანის მაშინდელი პოლიტიკური ვითარებისა და წამბების ფონზე.

Rieu<sup>1</sup> ასე ვადმოგვცემს ბიჯანის 'მიერ აღწერილი ბიოგრაფიის მთავარ მომენტებს. როსტომ-ხანი ჰიჯრის 1007 წ. გამოქცეულა სამშობლოდან თავის ოჯახთან ერთად, რადგანაც მისი ქვეყანა თურქებს დაუკავებიათ. ის 11 წ. ასაკის შესულა შაჰ-აბას I-ის სამსახურში და მალე მოუპოვებია წარმატება. 1012 წ. უკვე სოჰბათ-იასაული ყოფილა, 1033 წ. მას სარდარად ვხედავთ და სამი წლის შემდეგ დივან-ბეგობაც მიუღია. 1033 წ. ის იცავდა თავრიზს თურქებისაგან, გაათავისუფლა ბაღდადი და აიღო ჰილალი 1040 წ. 1044 წ. ერანის სპასალარად და ადერბაიჯანის ბეგლარ-ბეგად დანიშნულმა როსტომ-ხანმა აიღო ერევანი. შაჰ-აბას II ტახტზე ასვლის დროს როსტომ-ხანი სათავეში უდგა ერანის მთელ შეიარაღებულ ძალებს ხორასანში. დაიღუპა როსტომ-ხანი ისე,

<sup>1</sup> Rieu—Catalogue of the Persian Manuscripts in the British Museum, v. I, 188.



როგორც ხშირად ილუპებოდნენ ერანში გამოჩენილი პირები: თავის მოქიშვე ვეზირის მირზა თავის შესვენით როსტომ-ხანი სიყვადლით იქნა დასჯილი მეშქედში 1052 წ. როსტომ-ივეს ახსენებს თავის „ისტორიაში“ ფარსადან გორგიჯანიძეც, რომელიც ამბობს: „ხოსროვ ფაშა ბაღდადზედ წამოსულიყო... და ეს ანბავიც მოვიდა როსტომ-ხან ხოსროვ ფაშაზედ გაიმარჯვებო და ურუმის ლაშქარი დაბრუნდაო“<sup>1</sup> და კიდევ „(შაჰმა) საქართველო შეფეს როსტომს მისცა და საქაქაქედ როსტომ-ხანი ერანის ლაშქრით თან გაატანეს“<sup>2</sup>.

ამ უკანასკნელ ფაქტს ადასტურებს შაჰ-სეფაზ მიერ მოჰამედ-ხან-ბეგ ზახურელზე ჰიჯრის 1042 (1632) წ. თარიღით გაცემული ფირმანი, რომელშიც შაჰი ატყობინებს მოჰამედ-ხანს, რომ საქართველოს სამეფო რუსტემ-ხანისთვის (როსტომ მეფისთვის) გვიბოძებია და მავ მხარეს (ე. ი. საქართველოსაკენ) გამოვგზავნეთ ძღვევამოსილი ჯარით რუსთემ-ბეგი, [ჩვენ] დივანბეგი, სპასალარი და თოფანგჩილასიო<sup>3</sup>.

ქართველებს ეკავათ მაღალი თანამდებობები როგორც შაჰის კარზე, ისე ერანის ცალკე პროვინციებშიც, სადაც ისინი ხშირად მთელი მხარის მმართველებად ინიშნებოდნენ. მაგალითად, ერეენის სახანოს მმართველებად ვიცნობთ სეფი-ხან „ქართველს“ და ზაალს, აგრეთვე ქართველს.

მაგრამ ქართველი ერის წარმომადგენლები ერანში მართო სახედრო საქმესა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში კი არ იღებდნენ მონაწილეობას, არამედ მათ ამ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაშიც ეკირათ გარკვეული ადგილი და თავის წილილი შუქონდათ მის საკანძურში.

სხნებულ საუკუნეებში მოღვაწეობდნენ ერანში მხატვრები—ქართველები სიომ-ბეგი და ჯაბადარი, რომლებიც სამართლიანად უნდა ჩაითვალოს პირველხარისხოვან ოსტატებად. სიომ-ბეგს გრანელი ისტორიკოსი ისქანდერ-მუნში ახასიათებს როგორც შესანიშნავ ოსტატს, რომელსაც მხატვრობის ზოგიერთ დარგში „ვერც ერთი ოსტატი ვერ შეედრებოდა“. მხატვარ ჯაბადარის შემოქმედებასაც სამართლიანად აძლევენ ფრიაღ მაღალ შეფასებას, როგორც განსაკუთრებით საინტერესო მოვლენას ერანის მხატვრობის ისტორიაში და მეტად მაღალი ოსტატობის ნიმუშს.

სპარსული წყაროების უკეთესად გაცნობა ჩვენ უთუოდ მეტს ცნობას მოგვცემდა ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ერანის კულტურული ასპარეზის სხვადასხვა უბანზე.

Hammer-ს თავის სპარსული ლიტერატურის ისტორიაში, რომელიც დოვლეთ-შაჰის ცნობილ თებქერზე (ანთოლოგიაზე) არის აგებული, მოხსენებული ჰყავს პოეტი მას'უდ ბენ საად სულეჰმანი. იგი ცხოვრობდა დედლე-მის მბრძანებლის კაბუსის შვილის მანუჩაჰარის მმართველობის დროს და მის ლექსთა კრებული — „დივანი“ — გავრცელებული ყოფილა ერანის ერასყა და თაბარისტანში. ამ პოეტს Hammer ქართველს უწოდებს<sup>4</sup>. მაგრამ მას'უდ ბენ

<sup>1</sup> ფ. გორგიჯანიძის ისტორია, ს. ვაკაბაძის გამოც., ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 29—30.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>3</sup> Акты Кавк. Арх. Комиссии, т. II, 1868, გვ. 1086.

<sup>4</sup> Joseph. Hammer. Geschichte d. Schönen Redenkünste Persiens. Wien, 1818, გვ. 42.

საად სულემდამანის ქართველობის შესახები ეს ცნობა სწორი არ არის. შეცდომა აღმოცენებულია დოვლეთ-შაჰის თეზქერეს სათანადო ადგილის შეცდომით წაკითხვის ნიადაგზე. E. Browne-ის კრიტიკულ გამოცემაში თეზქერეს ეს ადგილი გასწორებულია: მას უდი იყო გორგანელი (გორგანი) და არა ქართველი (გორჯი).

ცნობას სპარსულ ლიტერატურაში ქართველი წარმოშობის პირთა მოღვაწეობის შესახებ ჩვენ სხვა თეზქერეში ვპოულობთ. ეს არის არა დოვლეთ-შაჰის თეზქერესავეთ ცნობილი, მაგრამ აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი თეზქერე-ანთოლოგია შირზა მოჰამედ თაჰერ ნასრაბადისა. თუ სპარსული ლიტერატურის კლასიკური პერიოდისათვის დოვლეთ-შაჰი ითვლებოდა და ითვლება (მიუხედავად რიგი შეცდომებისა და შეუსაბამოებისა) ერთ-ერთ ძირითად სპარსულ წყაროდ, ეგრედწოდებული დაცემის ხანისათვის ასევე მნიშვნელოვან წყაროდ უნდა ჩაითვალოს ნასრაბადის ანთოლოგია, სადაც მოცემულია XVII საუკუნის რამდენიმე ასეული პოეტის, ისტორიკოსის, მხატვრის, კალიგრაფის და კულტურის სხვა დარგში მომუშავე მოღვაწის შესახებ ბიოგრაფიული ცნობანი, დახასიათებანი და ნაწარმოების ჭნიმუშები (ლექსები).

შირზა მოჰამედ თაჰერ ნასრაბადი **محمد طاهر ناسرا** დაიბადა სოფ. ნასრაბადში ესფაჰანის ახლოს ჰიჯრის 1027 (1617—1618) წ. თავის თეზქერეს შედგენა მას დაუწყია 1672 წელს, როცა 56 წლისა ყოფილა. გარდაიცვალა 73 წლის ასაკში 1690 წელს. ახალგაზრდობა მას, როგორც მის ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ, დიდს გაჰირებებაში გაუტარებია ოზლად. ის მარტო ცხოვრობდა სოფლად და სოფლის მეურნეობას ეწეოდა, ხოლო თავისუფალ დროს სწავლასა და ლიტერატურულ შრომას ანდომებდა. თავის კალმით მას მალე მოუპოვებია სახელი და პატივისცემა თანამედროვეებისა. დიდი გემოვნების პატრონი და ლექსის ტექნიკის კარგი მცოდნე, ის ლექსებსაც წერდა, მაგრამ მისი „დივანი“ (ლექსების კრებული) ჯერ აღმოჩენილი არ არის. მისი ლექსებიდან ვიცნობთ მხოლოდ მათ, რომელნიც თეზქერეში აქვს შეტანილი.

თავისი ნაშრომი ნასრაბადის მიძღვნილი აქვს სეფი შირზას—შაჰ-სოლეიმან სეფევის, შაჰ-აბას II-ის შვილისადმი. თეზქერეში მოყვანილი ავტორები დაყოფილია რამდენიმე ჯგუფად, მათი სოციალური მდგომარეობის მიხედვით. პირველ რიგში მოხსენებული არიან შაჰები, რომელნიც ლექსებს წერდნენ, და უმძლესი წოდების წარმომადგენენი, შაჰზადეები (უფლისწულები), ხანები და სხ. შემდეგ შუა ფენებიდან გამოსული პოეტებია მოყვანილი და, ბოლოს, ის პირები, რომელნიც უბრალო ხალხს ეკუთვნოდნენ. შემოქმედების ნიმუშებად უმთავრესად თითო-ოროლა ლექსის სტრიქონია მოტანილი, იშვიათად—მთელი ყასიდა. მხოლოდ თავის ნაწარმოებებიდან მოაქვს თეზქერეს შემდგენელს საკმაოდ მოზრდილი ნაწყვეტები, გასაგები მიზეზის გამო. ნასრაბადის ნაშრომით უხვად უსარგებლიათ, მაგრამ წყაროს მოუხსენებლად, შემდეგი დროის ანთოლოგიათა ავტორებს, მავალითად, ცნობილი თეზქერეს „ათეშქედეს“ ავტორს: ნასრაბადის თეზქერე, გარდა იმისა, რომ, როგორც მისი გამოცემელი ვეჰიდ დასთგერდი ამბობს, აცოცხლებს რამდენიმე ასეული პოეტის და ხელოვანის

სახელს, —გვაძლევს აგრეთვე სეფიანთა ეპოქის კულტურის სურათს და შექს ფენს იმ პერიოდის ბევრ ისტორიულ საკითხს.

ჩვენი თეზიერეს ხელნაწერები იშვიათია. დასთვერდის თავის გამოცემისათვის უსარგებლნია თეირანში ყრძო პირთა ხელში არსებული ორად-ორი ხელნაწერით. Rieu-ს თავის კატალოგში მოხსენებული აქვს კიდევ ორი ხელნაწერი ბრიტანეთის მუზეუმისა<sup>1</sup>; იქვე მითითებულია აგრეთვე Pertesh-ის და Ethé-ს კატალოგებზე, სადაც აღწერილი ყოფილა ნასრაბადის თესქერეს ორი-ოდე ხელნაწერი. ნასრაბადის ეს ნაშრომი გიმოსცა<sup>2</sup> თეირანის ჟურნალ „არმა-ლანის“ რედაქტორმა, სპარსული ლიტერატურის დიდმა მცოდნემ და თვით პოეტმა ვეჰიდ დასთვერდიმ, რითაც დიდი სამსახური გაუწია სპარსული ლიტერატურის ისტორიის კვლევის საქმეს.

აი, ამ ძეგლში ვხვდებით ჩვენ რამდენიმე ქართველის სახელს, რომელნიც ცნობილი ყოფილან, როგორც პოეტები. ყველა ისინი მოქცეული არიან უმადლესი წოდების პირთა ჯგუფში, შაჰ-ზადეების შემდეგ, და ყველა ეკუთვნის ქართველ დიდებულთა რიცხვს. მათი ქართველობის შესახებ ან პირდაპირ არის მითითებული ქართველიაო, ანდა აღნიშნულია—ამ და ამ პირის, ქართველის შვილი არისო.

მოვიყვანთ აქ ამ პოეტების შესახებ ცნობებს იმ რიგზე, როგორადაც ისინი გვხვდება თვით თეზიერეში.

کیخسروخان—همشیره زاده عالیجاه رستم خان سپهسالار ایشان از اعظام و اکابر گرجستان  
 سلسله ایشان بردانگی و شجاعت سر افراز و برمدی و همت ممتازند خصوصاً  
 عالیجاه مشارالیه جوان آدمیست در کمال ملایمت و آزرم با خود طبع نظم  
 خط نستعلیق را خوب مینویسد مدتی در سلك آقایان منسوب بود تا زمان خان  
 ولد کبعلی خان معزول شد (الکا درون) که داخل خراسان است بعالیجاه مشارالیه  
 عنایت شده مدتی در کمال استقلال در آن ولایت بوده مکرراً با جیش اوزبک  
 جنگهای مردانه کرده غالب بوده تا نواب اشرف اورا طلب داشته جای او  
 بعالیجاه صفی قلی خان ولد رستم خان مذکور که او هم بجمیع صفات کمال و  
 مردانگی آراسته بود عنایت شد و مشارالیه را بمنصب جلیل القدر تفنگچی آقاسی  
 گری سرفراز ساخته وقتی که فرصت داشتند متوجه نظم میشدند و این آیات را  
 بمجموعه فقیر نوشته اند

شعر

پیش رویش سوختم آخر دل دیوانه را      چون نگذارد کسی از سوختن پروانه را  
 چاک میسازم بناخن سینه چون بینم رخس      چون برآید مهر بگشایند روزن خانه را<sup>3</sup>

<sup>1</sup> B i e u—Catalogue... v. I, pp. 368 და Supplement to the Catalogue of the Persian Manuscripts... pp. 76 N 110.

<sup>2</sup> تذکره نصر آبادی تألیف میرزا محمد طاهر نصر آبادی اصفهانی با تصحیح وحید دستگردی، تهران ۱۳۱۶—۱۳۱۷.

<sup>3</sup> 17. 83. بخش اول از تذکره میرزا طاهر نصر آبادی

ქაიხოსრო-ხანი დისშვილი მალალადგილოვან რუსთემ-ხან სპასალარი-სა, საქართველოს დიდებულებიდან. მათი გვარი („სელსელე“) ქებულია მამაცობით და ქველობით და რჩეული ვაჟაკობისა და გულმოდგინეობის მხრივ, განსაკუთრებით ხსენებული მალალადგილოვანი (ქაიხოსრო-ხანი), რომელიც მეტად აღერსიანი, მშვიდი და მორიდებული ყმაწვილია. პოეტურ ნიჭთან ერთად, მას ნასთალიკის ხელის კარგად ცოდნაც ახასიათებს<sup>1</sup>.

ერთი ხნის განმავლობაში ის ითვლებოდა ალების რიგებში, ვიდრე არ გადააყენეს ზამან-ხანი, ქალბალი-ხანის შვილი, და დერუნის ოლქი, რომელიც ხორასანში შედის, არ უწყალობეს ხსენებულს მალალხარისხოვანს (ქაიხოსრო-ხანს). რამდენიმე ხნის განმავლობაში ის სრული მორქმულობით განაგებდა ამ ველადეთს, არა ერთგვის გადაუხდია მას მამაკურად ომი ოზბეგთა ლაშქართან და გამარჯვებული გამოსულა, ვიდრე მისმა უდიდებულესობამ (შაჰმა)<sup>2</sup> ის არ გამოიწვია და მისი ადგილი არ უწყალობა მალალადგილოვან სეფი ყული-ხანს, ხსენებული რუსთემ-ხანის შვილს, რომელიც აგრეთვე შემკული იყო ყოველგვარი ნიჭითა და ქველობით, ხოლო ქაიხოსრო-ხანი განდიდებული არ იქნა თოფანგჩილასობის პატივის მინიჭებით. თავისუფალ დროს ის მიმართავდა პოეზიას და ეს ლექსები მან ჩაწერა ჩემს კრებულში.

ლექსი—

მის სახის წინაშე დაეწვი ბოლოს და ბოლოს მე ჩემი გული გაგიცებული—  
— როგორ შეუძლია ვინმეს დაიცვას დაწვისაგან ფარვანა!  
ფრჩხილებით ვიგლეჯ გულმკერდს, ოდეს ვუცქერი მის სახეს  
— როცა მზე ამოდის [ხომ] ალებენ სახლის სარკმელებს!<sup>3</sup>

ამ ცნობაში მოხსენებული ბიძა ქაიხოსროსი, რუსთემ-ხანი, არის ის დიდი მხედართმთავარი, ერანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

მეორე პოეტი-ქართველი, რომელიც მოჰყავს ნასრაბადის თავის თეზერეში,<sup>4</sup> არის ზენალ-ბეგი. მის შესახებ ავტორი შემდეგ ცნობას იძლევა:

زينل بيگ—ولد اصلان خان ايشان از اكبر گرجستانند والدش در ايام شاه عباس  
ثاني بياست مرو سرفراز شد بعد از مدتي معزول گردیده فوت شد مجملًا زينل  
بيگ جوان قابليست بصفات کمال آراسته از آن جهت نياست پريشاني دارد شعرش  
اين است

بی تو چشم عنديب گلستان گم کرده است  
مانده سرگردان چو مرغ آشیان گم کرده است

ز غنچه دهند یوسه بخواب گرفتم      نردم وز گل آرزو گلاب گرفتم

<sup>1</sup> კარგად, კალიგრაფიულად წერა ერანში უკანასკნელ წლებამდე ითვლებოდა განათლებების და მხატვრული უნარის ერთ-ერთ არსებით ნიშნად.

<sup>2</sup> უნდა იგულისხმებოდეს შაჰ-სოლეიმან I, რომელიც მეფობდა 1667—94 წწ.

<sup>3</sup> რომ მზის სხივებმა შემოანათონ სახლში.

<sup>4</sup> ib გვ. 32.

„ზენალ-ბეგი:—ასლან-ხანის შვილი, საქართველოს დიდებულთაგანი. მისი მამა შაჰ-აბას II დროს<sup>1</sup> განდიდებულ იქნა მერვის მმართველად დანიშვნის პატივით. რამდენიმე ხნის შემდეგ ის გადაყენებული იქნა და გარდაიცვალა. მოკლედ, ზენალ-ბეგი ღირსეული ახალგაზრდაა, ნიკით შეგებული, იმ მიზეზის გამო მეტად სევდიანია<sup>2</sup>. მისი ლექსები ეს არის:

უშენოდ ჩემი თვალი არის ბულბული,  
 რომელსაც დაუკარგავს სავარდე.  
 დავრჩენილვარ დაღონებული, როგორც ფრინველი,  
 რომელსაც დაუკარგავს ბუდე!

შენი ბაგეთა კუკურიდან კოცნა მოვწყვიტე ძილში.

არ მოვკვდი დასიყვარულის ვარდიდან ვარდის წყალი ამოვწუნე<sup>3</sup>.

შემდეგ თესქერეში მოსდევს სოჰრაბ (ზურაბ) ბეგის დახასიათება და მისი ლექსების ნიმუშები<sup>4</sup>.

سهرابیک — خوش رستم خان سپهسالار جوان قابل دلنشین است با نهایت آرام و  
 سنجیدگی بسیار خلیق و مهربان و نکه سنج و سخندان شعرش اینست  
 روزی که ریخت دست فضا می بجم ما سلی بروی آتش گل زد قوام مام  
 ما جای دانه آینه در دام ریختیم تا پرتو جمال تو افتد بدام ما

هر که از بزم تو بی دستور میاید برون چون چراغ صبحدم بی نور میاید برون  
 حاصل ما میکند خود سعی در تاراج خود دانه ما از زمین چون مور میاید برون

„სოჰრაბ-ბეგი“ სპასალარ რუსთემ-ხანის ნათესავი, მშვენიერი (მიმზიდ-ველი) ყმაწვილია, მეტად მშვიდი და წონასწორი (ხასიათისა), უაღრესად ზრდი-ლობიანი, მოსიყვარულე, გემოვნების მქონე და მესიტყვე (سخندان) მისი ლექსები:

იმ დღეს, როცა ბედის ხელმა ღვინო ჩაასხა ჩვენს ჯამში,  
 ვარდის ცეცხლს ნიაღვარი დასცა ჩვენმა სიმართლემ.  
 ჩვენ მარცვლის ნაცვლად სარკე დავაგდეთ მახეში<sup>1</sup>,  
 რომ-შენი სილამაზის სხივი მოხვედრილიყო ჩვენს ბადეში.

ვინც შენი ლხინიდან უნებართვოდ გავა გარეთ,  
 როგორც ლამპარი გათენებისას უსინათლოდ დაიკარგება.

ვინც ჩვენ გვეწვევა, ის თვით ცდილობს თავის დარბევას,  
 ჩვენი მარცვალი მიწიდან ამოდის, როგორც ქინძველა!

შემდეგ მოტანილია კიდევ ხუთიოდე ლექსი ასეთივე ხასიათისა. ყველაზე მეტი ნიმუში ნასრაბადის მოცემული აქვს თავის თეზქერეში ფაზლ-ალი ბეგის ნაწარმოებებიდან, რომლის შესახებაც ის შემდეგ ცნობას გვაწვდის:

<sup>1</sup> მეფობდა 1642—1667 წწ.

<sup>2</sup> შეიძლება იგულისხმებოდეს გადაყენებული მამის ძალადური სიკვდილი, რაც ასე ხში-რი იყო ერანშიც.

<sup>3</sup> იხ. გვ. 34.

<sup>4</sup> მოსატყუებლად.



فضل علی بیک—نواده اصلان بیک کوچک شهرت در سلک غلامان خاصه است و از نجای گرجستان است چنانچه قرابتی بعالیجاه کیخسرو خان تفنگچی آقاسی دارد جوان قابلیست اما کمال شوخی در طبع دارد چون بهمه جهت از اقران امتیاز دارد ممتاز تخلص دارد

ფ ა ზ ლ ი ბ ე გ ი — ქუჩუკად ცნობილი ასლან ბეგის შვილის შვილი. ეკუთვნის შაჰის საეკუთარი ამალის მსახურთა („ლულამების“) რიგებს და (წარმოშობით) საქართველოს კეთილშობილთა გვარის არის. ის ნათესავია მაღალადგილოვანი ქაიხოსრო-ხან თოფანგჩილასისა. წესიერი ყმაწვილია, მგერამ ხასიათით მეტად ფიცხია. რადგანაც ის ყველაფრით განსხვავდება თავის ტოლები-საგან, ამიტომ თახალოსად (ფსევდონიმად) აქვს „მომთაზ“ („განსხვავებული“).<sup>1</sup>

შირმარდან (შერმაზან) ბეგი: მის შესახებ ჩვენი ავტორი შემდეგს ძალიან მოკლე ცნობას გვაწვდის:

شیرمردان بیک گرجیست و داخل غلامان خاصه شریفه است کمال اعتبار داشت شعرش اینست و برهمن تخلص دارد.

شعر

خون مارا نوشکاران نی محبا ریختند  
همچو برگ لاله در دامان صحرا ریختند  
شوخی مژگان بیداد تو درخواهم گرفت  
آه از آن مستان که غافل برسرما ریختند

ترا از نکته گل آفریدند  
ما را از شور بلبل آفریدند

შირმარდან (შერმაზან) ბეგი ქართველია და მისი უდიდებულესობის ამალის მსახურთა [რიცხვს] ეკუთვნის. ის დიდი გავლენით (პატივისცემით) სარგებლობდა. ეს არის მისი ლექსები, თახალოსად (ფსევდონიმად) „ბარაჰმანი“ (ბრაჰმანი) აქვს.

ლექსი:

„ჩვენი სისხლი უწყალო (ან უპატივცემლო) მსმელებმა დაღვარეს, როგორც ტულიპის ფოთლები ველის კალთებზე დაფანტეს.

<sup>1</sup> ib., გვ. 45, ფაზლი ალი-ბეგის ლექსების ნიმუშებიდან მოგვეყავს აქ შემდეგი:

(غزل)

تا گرمی رخسار ترا دید نگاهم  
در چشم ترم چون مژه خشکید نگاهم  
تا نقش تو در دیده غم دیده نگارد  
از هر مژه صد خامه تراشید نگاهم  
از دیده برون یکسر مژگان تنهد پای  
تا گشت زدیدار تو نوید نگاهم  
عکس تو بذرات جهان تافته چون مهر  
بر هر چه نظر کرد ترا دید نگاهم  
از سینه صافست که چون آینه ممتاز  
راز دلم از خلق نیوشید نگاهم

მინა ბთე რსიდ დლა وقت: شد که باز  
همچون حجاب ساغر خالی بسر کشم

خانه عشاق را روزن نباشد چون حجاب  
تانگردد تیره بخت آنکس که دارد ماهتاب

შენი უსამართლო წამწამების ცელქობამ სიზმრად წამიღო,  
 ოჰ, ის მთვრალეები! რომ უღარდებებს ჩვენ თავს დაგვესხნენ!”

„შენ ვარდის სურნელებისაგან შეგქმნეს,  
 მე კი ბულბულის მღელვარებისაგან ვარ შექმნილი“.

ალი ხან-ბეგი.

عليخان بيك — موجي تخلص ولد اغلي بيگ گرجي در سلك غلامان خاصه شريفه  
 بود طبع غيوري داشت و از آن سبب در آزار بود طبعش خالي از لطافت نبود

„ალი-ხან ბეგი. მისი თახალოსი არის „მოჯი“ (موجي). ის არის შვილი ოღლი-ბეგ ქართველისა და მისი უდიდებულესობის (შაჰის) ამალის მსახურთა რიგებში იყო. მას შურიანი ხასიათი ჰქონდა და ამის გამო იყო შეწუხებული. მისი გემოვნება არ იყო მოკლებული სიფაქიზეს“...

შენდევ მოტანილია რამდენიმე ლექსი, რომელიც ალი-ხან ბეგს უთქვამს ვინმე საძი ყული ბეგის საპასუხოდ და სეგიდობის მიძიებელ მუხთარ-ბეგ-ქარ-რაშ-ბაშის გამოსაჯავრებლად.

ცნობაში მოხსენებული შაჰი, რომლის სამსახურშიც ითვლებოდა ალი-ხან ბეგი, სოლემან I უნდა იყოს (1667—1699 წწ).

ასეთია ეს მასალა სპარსულ ლიტერატურაში მოღვაწე ქართველების შესახებ, რომელსაც ჩვენ ნასრაბადის ანთოლოგია გვაწვდის. რასაკვირველია, ეს მასალა არ არის სრული, თუნდაც პოეტების რიცხვის მხრივ. სათანადო წყაროები რომ გულდასმით გადაიხინჯოს, ალბათ მეტი ცნობა აღმოჩნდება ქართველების მოღვაწეობის შესახებ ერანის კულტურულ ასპარეზზე XVI—XVII საუკუნეებში.

მაგრამ ბუნებრივია ვიკითხოთ, თუ რა ღირსების არიან ზემოთ მოყვანილი პოეტები. ლექსები, რომლებიც მათი შემოქმედების ნიმუშად არის მოცემული, რასაკვირველია შინაარსით არ წარმოადგენენ რაიმე ღირსშესანიშნავ ნაწარმოებს. თითო-ორი სტრიქონს არც შეუძლია მოგვეცეს წარმოდგენა პოეტის შემოქმედებაზე, მაგრამ ეს ჩვენი თვალსაზრისით და ჩვენი შეხედულების მიხედვით ლიტერატურაზე, კერძოდ პოეზიაზე. სხვანაირი თვალსაზრისი და გემოვნების კრიტერიუმი აქვთ ძველ ერანელ ლიტერატორებს და პოეტებს. ერანელ „ედებისათვის“, სპარსული პოეტური ნაწარმოების შეფასებისათვის, ლექსში მთავარია ტექნიკა, რიტმი და რითმი, მთავარია ლექსის აგებულება და მისი მუსიკალობა და მოხდენილი გამონათქვამები. ამ მხრივ დაფასება პოეტური ნაწარმოებისა ედებს შეუძლია ლექსის ორიოდ სტრიქონის მიხედვითაც და ამიტომაც, რომ თეზეტრეს შემდგენლები ხშირად კმაყოფილდებიან ნაყოფიერი პოეტის შემოქმედების ნიმუშად რამდენიმე ათასი სტრიქონიდან ორი-სამი სტრიქონის მოტანით. სიუჟეტი მათთვის იმდენად საინტერესო არ არის.

განსვენებულ პროფ. ა ჟ რ ი მ ა რ ს თავის „შესავალ ლექციებში ახალი სპარსული ლიტერატურის კურსისათვის“ მოჰყავს ჯამის მიერ „ბეჰარესთან“-ში მოცემული შეფასება ისეთი შინაარსიანი ნაწარმოებისა, როგორიც არის გორ-

ჯანის „ვესორამინ“. ჯამი ამბობს: «Фахр один Джорджани—один из выдающихся и примечательных людей своей эпохи. Мерилом совершенства, превосходства и тонкости его поэзии является его книга Вейс и Рамин, в настоящее время забытая и недоступная. Вот несколько стихов из различных мест этой книги». Далее идут, ამბობს პროფ. აური მარი, восемь стихов—сентенций, вроде, например, следующей: «Как хорошо говорит мудрец: зрителю сраженье кажется легким». Вот и все, განაგრძობს ა. მარი, что он (ე. ი. ჯამი. ვ. ფ.) считает достаточным для характеристики произведения, о самом сюжете—ни слова<sup>1</sup>.

ასეთი ოვალსაზრისით თუ მივიხედვებით ჩვენი თანამემამულეების სპარსულ ლექსებს, უნდა ვთქვათ, რომ ეს ლექსები არც შინაარსით და არც ტექნიკური შესრულების მხრივ არ ჩამოუვარდება სპარსული ლიტერატურის დაცემის ხანის პოეტთა ლექსებს, ე. ი. იმ პერიოდის ნაწარმოებთა რეზუმებს, როცა, უმთავრესად ძველი კლასიკურ ნაწარმოებთა მიბაძვისა (შინაარსით და ტექნიკით) და გადამღერების გარდა, სპარსულ ლიტერატურაში ახალი თითქმის არაფერი შექმნილა. სპარსულ ლიტერატურის ხსენებული პერიოდის საფუძვლიანად შესწავლამ და ამასთან ერთად ქართული მასალების გამოყენებამ შეიძლება მოგვცეს სრული სურათი ზემოხსენებულ მწერლების პოეტური შემოქმედებისა და ღირსეული ადგილიც მიანიჭოს მათ მრავალსაუკუნიანი და უმდიდრესი სპარსული ლიტერატურის ისტორიაში.

ჩვენი მასალა სხვა მხრივითაც არის ნაკლები. ჩვენ ვერ წარმოვადგინეთ ჯერჯერობით გარკვეული მონაცემები ამ პოეტების შესახებ: ნასრაბადის თუმცა მოტანილი აქვს ზოგიერთი ცნობა მათი წარმოშობის, ნათესაობის და სამსახურის შესახებ, ამ ცნობების საფუძველზე შეიძლება მათი ცხოვრების ზოგიერთი თარიღის დადგენაც, მაგრამ ეს ყველაფერი საკმარისი არ არის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამოკვევა, თუ რამდენად იყვნენ ეს პოეტები დაკავშირებული მშობლიურ წრესთან, რამდენად იყვნენ ისინი „ქართველები“ და ჰქონდათ თუ არა საერთო ქართულ კულტურასთან<sup>2</sup>.

ქართული და სპარსული წყაროების შესწავლამ შეიძლება გამოარკვეოს, რომ ზემოხსენებული პოეტები ქართულ ლიტერატურულ სამყაროსაც არ იყვნენ მოწყვეტილნი, მაშინ სავსებით მართებული იქნებოდა ამ თემასთან დაკავშირებით აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ კერძო საუბარში გამოთქმული ის აზრი, რომ ქართული ლიტერატურის ე. წ. აღორძინების ხანაში ჩვენი პოეტები,

<sup>1</sup> Ю. Н. Марр. Статьи и Сообщения, II, 1939, гл. 117—118.

<sup>2</sup> მათი „ქართველობის“ თუ „არაქართველობის“ შესახებ მსჯელობისათვის თითქოს მასალას იძლევა ნასრაბადი, როცა ზოგიერთი მათგანის შესახებ ამბობს, რომ ქართველიაო, ზოგს კი ასახელებს როგორც „ამა და ამ ქართველის შვილს“. შეიძლებაოდა გვეფიქრა, რომ პირველ შემთხვევაში ავტორი გულსხმობდა ნამდვილ ქართველს, მეორეში კი—მხოლოდ მათით ქართველს და უკვე გასაპარსებულ პირს. მაგრამ ამ ნიშნის მიხედვით საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება, რადგანაც ირანელებში მამის მიხედვით კაცის დასახელება ჩვეულებრივია და როცა ნასრაბადი ამბობს, შავალითადა, რომ ალი-ხან ბეგი ოღლი-ბეგი ქართველის შვილიაო, ეს არ უნდა ნიშნავდეს უსათუოდ, რომ ოღლი-ბეგი ქართველად ითვლებოდა და მისი შვილი ალი-ხან ბეგი კი უკვე ირანელად, არა ქართველად.

სპარსულ წყაროსთან დამოკიდებულების მხრივ, შეიძლება გავყოთ 3 ჯგუფად: 1-ლი ჯგუფი სრულიად უარყოფდა სპარსულ წყაროს და დამოუკიდებელი შემოქმედების გზით მიდიოდა. ასეთი იყო მაგ., არჩილი. მე-2 ჯგუფი სპარსულიდან გამოდიოდა უმთავრესად და უხვად სარგებლობდა სპარსული ლიტერატ. სიუჟეტებით და ხერხებით, ხოლო მე-3 ჯგუფი არა მარტო ფართოდ სარგებლობდა სპარსული მოტივებით და უხვად თარგმნიდა სპარსულიდან, არამედ წერდა კიდევ სპარსულად.

ყოველ შემთხვევაში სპარსულ ლიტერატურაში მოღვაწე ქართველი პოეტების შემოქმედებისა და ცხოვრების შემდგომი შესწავლა და ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერთობის საკითხის ამ ხაზითაც უფრო ღრმად კვლევა საყურადღებო და საჭირო საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული. ასეთს კვლევას შეუძლია შექვი მოჰფინოს ალორძინების პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთ ბნელ კუთხესაც.



